

ადამიანის უფლებები საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის
საანგარიშო მოხსენება

2007
წლის მეორე ნახევარი

თბილისი 2008

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.



გაეროს
განვითარების
პროგრამა



საქართველოს
სახალხო
დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის
2007 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება
იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
ფინანსური მხარდაჭერით

1. კოლიტიკური დევნა	9
2. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება	21
3. სიტყვისა და გამონათვის თავისუფლება	60
4. უდანაშაულოების პრეზუმფცია	99
5. 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები – ფაქტები და რეკომენდაციები	108
6. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში – არჩევნებში მონაწილეობის უფლება	128
7. სამართლიანი სასამართლოს უფლება	132
8. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება	143
9. პროკურატურა და ადამიანის უფლებები	149
10. შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები	158
11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციების, პოლიციის განყოფილებებისა და თავდაცვის სამინისტროს ჰაუზბატონების მონიტორინგი	162
12. სასჯელაღსრულების სისტემა	168

13. სიკვდილობის ღონე, მასზე მოქმედი ფაქტორები და მიზეზები საქართველოს პენიტენციური სისტემის დანესებულებებში	174
14. კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ	212
15. დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა	217
16. ლტოლვილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა	225
17. ინფორმაციის თავისუფლება	231
18. საკუთრების უფლების ხელყოფა	234
19. სოციალური დაცვა	239
20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	245
21. ბავშვის უფლებები	251
22. გენდერული თანასწორობის საკითხები	262
23. ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში	265
24. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში	271
25. რელიგიის თავისუფლება	276
26. რაკომენდაციები	278
27. დანართი №1. პოლიტიკური დევნა	287
28. დანართი №2. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება	296
29. დანართი №3. სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლება	338
30. დანართი №4. სამართლიანი სსსამართლოს უფლება	360
31. დანართი №5. სსსამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება	373
32. დანართი №6. პროკურატურა და ადამიანის უფლებები	385
33. დანართი №7. შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები	397

34. დანართი №8. სასჯელაღსრულების სისტემა	408
35. დანართი №9. დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა	412
36. დანართი №10. ინფორმაციის თავისუფლება	433
37. დანართი №11. საკუთრების უფლების ხელყოფა	441
38. დანართი №12. სოციალური დაცვა	466
39. დანართი №13. ბავშვის უფლებები	479
40. დანართი №14. რელიგიის თავისუფლება	481

პოლიტიკური შეხედულებებისათვის დევნის ფაქტებმა 2007 წლის ოქტომბერში ოპოზიციური ძალების გაერთიანების შემდგომ პიკს მიაღწია. ამაზე მეტყველებს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების რაოდენობა და ინტენსივობა. ძირითადად ასეთი ქმედება მიზნად ისახავდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით გამართული საპროტესტო აქციების ჩაშლასა და წინასწარჩვენო პროცესზე ზემოქმედებას.

განცხადებების ანალიზის შედეგად რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პირთა გარკვეული წრე მობილიზებული და დაკავებული იყო ოპოზიციური აზრის მატარებელ პირთა იდენტიფიკაციითა და შემდგომ უკვე მათზე და მათ ახლობლებზე ზეწოლით. ხშირად რთული ხდება იმის მტკიცება, რომ კონკრეტულ ქმედებებში უშუალოდ ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, თუმცა აშკარაა, რომ ხელისუფლება აღნიშნულ პროცესებში დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა თავდამსხმელთა ის განცხადებები და მოთხოვნები, რომლებიც მათ ჰქონდათ ოპოზიციის წარმომადგენლებთან. როგორც წესი, მოთხოვნა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იყო იდენტური – მათ, ან მათი ოჯახის წევრებს პოლიტიკური საქმიანობა შეეწყვიტათ. ეჭვს აძლიერებს ასევე სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობაც აღნიშნულ ფაქტებთან მიმართებაში. დაზარალებულები და მათი ახლობლები ხშირად მიუთითებენ ასევე პოლიციის წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობაზეც.

პოლიტიკური დევნა

პოლიტიკურად აქტიური სპექტრის მიმართ გამოყენებულ იქნა დაშინების ფაქტობრივად ყველა საშუალება: მუქარა, თვალთვალი, ოპოზიციური პარტიების ოფისების დარბევა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ადამიანთა გატაცება, ახლობლებზე ზეწოლა, ოპოზიციური ძალების წარმომადგენელთა დაკავება როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი წესით. პოლიტიკურ ნიადაგზე პირთა დევნა გარკვეული დროის განმავლობაში ტენდენციად იქცა. ოპოზიციური პარტიების ცალკეული წევრები მიუთითებენ მათ გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, უცნობი პირების მიერ განხორციელებულ მუქარის ზარებზე, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. თითოეული ასეთი შემთხვევა უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტულ პოლიტიკურ აქტივობას, იქნება ეს აქცია თუ საინფორმაციო კამპანია გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერის წინააღმდეგ.

ყველა საშუალებითა და ხერხით ხდებოდა იმ პირთა დაშინება და პოლიტიკურად გაუვნებლყოფა, რომლებიც ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს მიეკუთვნებოდნენ. ამის ნათელი მაგალითია სახალხო დამცველის აპა-



რატი შემოსული არაერთი განცხადება. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრებმა კახა კუკავამ, კობა დავითაშვილმა და ბექან გუნავამ არაერთხელ განაცხადეს მათი დევნისა და თვალთვალის შესახებ. მიუხედავად ამისა, არცერთი ასეთი განცხადება სამართალდამცავი ორგანოების სათანადო ყურადღების საგანი არ გამხდარა და არც რაიმე სამართლებრივი შედეგი დადგა.

პოლიტიკური ოპონენტების წინასწარგანზრახულ დევნაზე მიანიშნებს არა მხოლოდ ის მასალები, რომლებიც წინამდებარე თავშია განხილული, არამედ ის არაერთი საქმეც, რომლების მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების თავებშია აღწერილი.

პოლიტიკური შეხედულებების გამო პირთა დევნა დაუშვებელი და მიუღებელია ჯანსაღი დემოკრატიის პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.“

თვალთვალი და სატელეფონო მუქარა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მიმართ

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ პარტიის ოფისებსა და თავად პარტიის წარმომადგენლებზე ხშირია თვალთვალი. უმეტეს შემთხვევაში თვალთვალს თან ახლდა ვიდეოგადაღებაც. სავარაუდოდ, აღნიშნული მიზნად ისახავდა იმ პირთა იდენტიფიკაციას, რომლებიც ოპოზიციური აზრის გამტარებლებს წარმომადგენდნენ. აღნიშნულის შედეგად ხდებოდა ასევე იმ პირთა დადგენა, რომლებთანაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ოპოზიციურ ძალებს. თვალთვალში სავარაუდოდ მონაწილეობდნენ პოლიციის წარმომადგენლები.

აღნიშნული ქმედება, როდესაც იგი არასანქცირებულია, წარმოადგენს პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევას. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობისა და მათი გადაადგილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება არასანქცირებული თვალთვალის გზით არცერთ კანონით დაშვებულ გამოწვევებში არ ჯდება და, შესაბამისად, ვერც კანონით გათვალისწინებულ გადაუდებელ აუცილებლობაზე იქნება საუბარი. იმ ეჭვს, რომ ოპოზიციური პარტიის წევრებსა და მათ გადაადგილებაზე თვალთვალს პოლიციის წარმომადგენლები ახორციელებდნენ, რამდენიმე ფაქტი ადასტურებს.

ცისია დოლიძის საქმე: ბადრი პატარკაციშვილის შტაბის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის პრეს-სამსახურის უფროსმა ცისია დოლიძემ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს აცნობა, რომ ქ. ბათუმში, გამსახურდიას ქ. №16, პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერთა ოფისის გახსნის დღიდან ბათუმის შს სამმართველოს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მიმდინარეობდა მუდმივი თვალთვალი. 2007 წლის 4 ოქტომბერს სახალხო დამცველის წარმომადგენელი აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად იმყოფებოდა ქ. ბათუმში ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მან შენიშნა ბათუმის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომელი ნითელი მერსედესით. სახალხო დამცველის

წარმომადგენლის კითხვაზე, თუ რას აკეთებდა იგი შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, მან უპასუხა, რომ ეს ტერიტორია მიეკუთვნებოდა მის უბანს და აკვირდებოდა. მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა აცნობა მას, რომ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრებს ეჭვი ჰქონდათ, რომ პოლიციის წარმომადგენლები ახორციელებდნენ მათზე თვალთვალს, აღნიშნულმა პიროვნებამ დატოვა მიმდებარე ტერიტორია.

ნინო გელაშვილის საქმე: ოფისზე თვალთვალზე საუბრობს საქართველოს კონსერვატიული პარტიის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ქ-ნი ნინო გელაშვილი. წინასაარჩევნო პერიოდში მათ ოფისთან მუდმივად შეინიშნებოდა თეთრი ფერის 07 მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით SSS 329. აღნიშნულ ავტომანქანაში მყოფი უცნობი პირები ახდენდნენ კონსერვატიული პარტიისა და მათი თანამოაზრეების გადაადგილების ვიდეოგადაღებას. 2007 წლის 14 დეკემბერს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები ავრცელებდნენ ინფორმაციას ამავე წლის 17 ნოემბერს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის ქ.ხაშურში სტუმრობასთან დაკავშირებით. სოფელ ნაცარგორთან მათი მანქანა გააჩერეს თვალთვალში შემჩნეული ავტომანქანით მოძრავმა პირებმა. როგორც მოგვიანებით საუბრისას გაირკვა, ისინი კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა სახელები და გვარები არ დაუსახელებიათ და არც დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოუდგენიათ. მათ ჩაინერეს კონსერვატიული პარტიისა და მათი თანამოაზრეების სახელები და გვარები, შეამოწმეს მანქანის საბარგული და გააფრთხილეს პარტიის წარმომადგენლები, არ გამოეყენებინათ ხმის გამაძლიერებლები.

საანგარიშო პერიოდში ხშირი იყო ასევე მუქარის ზარები. უცნობი პირები პერმანენტულად უკავშირდებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს და ახორციელებდნენ მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ ლიკვიდაციით. აღნიშნული ზარების პოლიტიკურ მოტივს ადასტურებს თავად საუბრების შინაარსი. მოთხოვნები ამ შემთხვევაშიც იყო იდენტური – პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტა, გარკვეული პოლიტიკური აქტივობისაგან თავის შეკავება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემთხვევების შესახებ ეცნობათ სათანადო ორგანოებს, არცერთ საქმეზე კონკრეტული პირი პასუხისმგებლობაში დღემდე არ მიცემულა.

2007 წლის 25 დეკემბერს გაერთიანებული ოპოზიციის წევრების მიერ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილ იქნა ბეჟან გუნავასა და უცნობ პირს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. აღნიშნული ჩანაწერი გადაიკა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით. უცნობი საუბრისას ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მან არაერთხელ დაურეკა ბეჟან გუნავას ტელეფონით და მიაყენა შეურაცხყოფა. გაერთიანებული ოპოზიციის წევრები აცხადებენ, რომ ერთი და იმავე ნომრიდან სხვადასხვა ლიდერს უკავშირდებიან, აყენებენ შეურაცხყოფას და ემუქრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს, აღნიშნულ ფაქტს ამ უკანასკნელთა მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. შეურაცხმყოფელ ზარებზე საუბრობს ასევე საქართველოს პარლამენტის წევრი ქ-ნი თეო ტლაშაძე. იგი აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას მას მუდმივად უკავშირდებოდნენ უცნობი პირები, რომლებიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და მოითხოვდნენ, შეეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა.

ჯულიეტა ლომაიას საქმე: თვალთვალზე და სატელეფონო მუქარაზე საუბრობს ასევე ქ. ფოთში პარტია თავისუფლების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯულიეტა ლომაია. მისი განმარტებით, ოფისზე და პირადად მასზე განუწყვეტლივ ხორციელდება თვალთვალი დაუდგენელი პირების მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში ასევე ადგილი ჰქონდა მუქარასა და ოფისის დარბევას. კერძოდ, 2007 წლის 29 სექტემბერს ოპოზიციური პარტიების თავმჯდომარეები დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ პარტია თავისუფლების ოფისში შეხვედრაზე 30 სექტემბერს დაახლოებით 15 საათზე. შეხვედრაზე უნდა მომხდარიყო სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. აღნიშნულ სატელეფონო საუბრებს ადგილი ჰქონდა 29 სექტემბრის საღამოს დაახლოებით 18 საათიდან 19 საათამდე. ჯულიეტა ლომაიას განმარტებით, საუბრების დასრულებიდან დაახლოებით ერთ საათში მას მობილურ ტელეფონზე დაურეკა უცნობმა მამაკაცმა, რომელიც მას დაემუქრა. მოითხოვდა, არ მოეწყო ოპოზიციური



პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრა და არ მოეხდინა ხალხის მობილიზება თბილისში აქციებზე გადასაყვანად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა „ტვინის გახვრეტი“. ამავე ნომრიდან ზარი განმეორდა დაახლოებით ერთ საათში. უცნობი ითხოვდა ანალოგიურს და აგრძელებდა მუქარას. ამავე დღეს დარბეულ იქნა პარტია „თავისუფლების“ ოფისი. აღნიშნულის შესახებ ჯულიეტა ლომაიას აცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა თენგიზ ბარამიძემ – ოფისი მის კუთვნილ სახლში იყო განთავსებული. ოფისის დარბევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ცოტა ხანში ჯულიეტა ლომაიას დაუკავშირდა უცნობი პირი და აუწყა, „ეს ჟურნალია, კინო ანი იქნება“. უცნობი ისევ დაემუქრა მას ფიზიკური ანგარიშსწორებით, თუ არ შეწყვეტდა ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობასა და ხალხის თბილისში წაყვანის ორგანიზებას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2007 წლის 30 სექტემბერს ქ.ფოთის საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №-4507379 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება). დღემდე აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

მერაბ ასანიძის საქმე: სატელეფონო მუქარას ჰქონდა ადგილი მერაბ ასანიძის შემთხვევაშიც. იგი 2007 წლის 17 მაისიდან არის ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის წევრი ქ. ფოთში. მისი განმარტებით, 2007 წლის 27 სექტემბრიდან მასზე და მის ოჯახის წევრებზე სისტემატიურად ხორციელდება მუქარა მობილური ტელეფონის საშუალებით. კერძოდ, მას ემუქრებიან ლიკვიდაციით. იმის გამო, რომ არ არის უზრუნველყოფილი ბატონ მერაბ ასანიძის უსაფრთხო გადაადგილება, აღნიშნული პიროვნება ვერ გამოდის საცხოვრებელი სახლიდან და ფაქტობრივად იმყოფება შინაპატიმრობაში. გამცხადებელი აგრეთვე განმარტავს, რომ მას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ვინაიდან შიშობს, რომ ამან შეიძლება მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმოს.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე ფოთის შს საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება მერაბ ასანიძის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა ადმინისტრაციული დაკავების ფაქტები

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ასევე გახშირდა სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა ადმინისტრაციული წესით დაკავებები. ადმინისტრაციულმა დაპატიმრებებმა და ჯარიმებმა ფართოდ გავრცელებული სახე მიიღო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამგვარი დაკავებები, როგორც წესი, ხდებოდა მაშინ, როცა სავარაუდოდ იგეგმებოდა საპროტესტო აქცია, ან როდესაც სიტუაცია პოლიტიკურად მწვავედებოდა. ასეთი საქმეების განხილვისას არ ხდებოდა მტკიცებულებათა სათანადო გამოკვლევა. ყოველგვარი დასაბუთების, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კონკრეტული გარემოებებისა და უტყუარი მტკიცებულებების გარეშე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსა და აქტივისტებს უფარდებდნენ ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას.

სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, გამოიკვილოს და დაადგინოს ყველა ის გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადანწყვეტისას. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა“. საქმის გარემოებების სრული გამორკვევის ვალდებულება განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართალდამცავები ამტკიცებენ დაკავებულების მხრიდან ძალადობას. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ინსპექტორის ახსნა-განმარტება და სამართალდარღვევის ოქმი არ წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის წყაროს. სასკ-ის 264-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა, დაადგინოს საქმის გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადანწყვეტისათვის. მიუხედავად ამისა, თითქმის არცერთ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა ამა თუ იმ ოპოზიციური ძალის აქტივისტის ან წევრის საქმე,

არ დაკითხულან მოწმეები მაგ. მურმან კონცელიძის საქმე. მოსამართლეები, როგორც წესი, ეყრდნობოდნენ მხოლოდ პოლიციის წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის, შეურაცხყოფელი გამონათქვამებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არსებობის ფაქტი მოსამართლემ უნდა დააგინოს მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად. პატრულ-ინსპექტორთა ახსნა-განმარტებები არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სრული და ობიექტური მტკიცებულების წყაროდ.

მერაბ ლოლობერიძის საქმე: 2007 წლის 8 ნოემბერს ბათუმის შს სამმართველოს წარმომადგენლებმა ქ. ბათუმის მკვიდრი მერაბ ლოლობერიძე დააკავეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის მიხედვით, მან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (ხულიგნობა) მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩაიდინა, რაც ხმამაღალ გინებასა და უცენზურო სიტყვების გამოყენებაში გამოიხატა. ოქმის თანახმად, მერაბ ლოლობერიძის დაკავება საუბნო ჯგუფის ინსპექტორმა ჯემალ ბერიძემ განახორციელა.

მერაბ ლოლობერიძის დაკავება ბათუმის შს სამმართველოს წარმომადგენლებთან გართულებულ ურთიერთობასა და პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირება. კერძოდ, იგი 2007 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „ბათუმელებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ბათუმის შს საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსს ჯუმბერ დიასამიძეს ოპოზიციის მისამართით მუქარაში ამხელდა, ხოლო დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე ბათუმის შს სამმართველოს მესერზე კაბა დაკიდა.

ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა შემდეგი: 2007 წლის 8 ნოემბერს, დილის 11 საათზე, მას შემდეგ, რაც მერაბ ლოლობერიძისათვის ცნობილი გახდა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში სპეციალური დანიშნულების რაზმი შევიდა, იგი უნივერსიტეტთან მივიდა. მასთან ერთად გაზეთ „ბათუმელების“ დირექტორი მზია ამალლობელი, მთავარი რედაქტორი ეთერ თურაძე და ამავე გაზეთის ჟურნალისტი მაკა მალაყმაძე იმყოფებოდნენ. უნივერსიტეტთან ახლოს იდგნენ ბათუმის შს სამმართველოს უფროსი დავით ბეღია და ბათუმის შს საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსი ჯუმბერ დიასამიძე. ამ უკანასკნელმა მერაბ ლოლობერიძე შეამჩნია და დავით ბედიას მასზე მიანიშნა. რამდენიმე წუთში მერაბ ლოლობერიძეს ნიღბიანი პირები მიუახლოვდნენ, იძულებით გზის მეორე მხარეს გადაიყვანეს და თეთრი ფერის 07 მარკის ავტომობილში ჩასვეს. მანქანაში მის გარდა ხუთი ნიღბიანი პირი იმყოფებოდა. მათ მერაბ ლოლობერიძეს ქურთუკით თვალები აუხვიეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

მერაბ ლოლობერიძის დაკავების პოლიტიკურ მოტივს ადასტურებს გარკვეული გარემოებებიც. კერძოდ, მზია ამალლობელის კითხვაზე, თუ რის გამო აკავებდნენ მერაბ ლოლობერიძეს, აღნიშნულმა პირებმა უპასუხეს, რომ იგი ხან რესპუბლიკელებთან ერთად და ხან სტუდენტებთან ერთად ფიქსირდებოდა. სამივე თვითმხილველი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მერაბ ლოლობერიძის მხრიდან რაიმე შეურაცხყოფელ ქმედებას ან გინებას ადგილი არ ჰქონია. ეთერ თურაძე ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ მერაბ ლოლობერიძის დაკავებისას ერთ-ერთმა ნიღბიანმა პირმა მას შემდეგი ფრაზით მიმართა: „ბიჭო, შენ რამდენი ხანია დაგეძებთ“. ეთერ თურაძე ასევე აღნიშნავს, რომ მერაბ ლოლობერიძეს, გათავისუფლების შემდეგ გაზეთ „ბათუმელების“ რედაქციაში მისულს, კისრის არეში ფიზიკური ზემოქმედების კვალი აღენიშნებოდა.

მერაბ ლოლობერიძის განმარტებით, ავტომანქანაში მას ფიზიკურ და სიტყვიერ შურაცხყოფას აყენებდნენ. კერძოდ, ურტყამდნენ თავის არეში და უმეორებდნენ „რა გეგონა, მინისტრს რომ კაბა ჩამოუკიდე, შეგრჩებოდა?“.

ბათუმის შს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში მიყვანის შემდეგ მასზე ხელმეორედ განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა. დაემუქრნენ, თუ კიდევ გამოჩნდებოდა აქციაზე, ან რომელიმე პარტიაში, „ტვინს



გაუხვრეტდნენ“. ამის შემდეგ მასთან მივიდა ბათუმის შს საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების უბნის ინსპექტორი ჯემალ ბერიძე, რომელმაც მისი ადმინისტრაციული წესით დაკავების ოქმი შეადგინა. მერაბ ლოლობერიძე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას უარყოფს და აცხადებს, რომ აღნიშნული ზენოლის შედეგად აღიარა აღნიშნული სამართალდარღვევა. მისი განმარტებით, ნიღბიანი პირები არიან ბათუმის შს საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლები და შეუძლია მათი ამოცნობა.

მერაბ ლოლობერიძე ამავე დღეს იმყოფებოდა ქ. ბათუმის №1 საავადმყოფოში. საქმეში არსებობს ექიმ ირინე ზამთარაძის განმარტება, რომლის თანახმადაც, საავადმყოფოში მისვლისას მერაბ ლოლობერიძეს აღნიშნებოდა კისრის რბილი ქსოვილის დაუყუჩელობა, კისრის არეში კეფასთან მიმავალი სიგრძითი ზოლი სისხლნაჟღენთი, იგი კარგავდა წონასწორობას. ირინე ზამთარაძის განმარტებით, ასეთი სახის დაზიანება გარე ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მერაბ ლოლობერიძეს თავის ტვინის დაზარალებული ტრავმა დაუდგინდა. მერაბ ლოლობერიძე 8 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე მითითებულ კლინიკაში გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას, რაც ავადმყოფის სამედიცინო ბარათით დასტურდება.

სახალხო დამცველის აპარატიდან მერაბ ლოლობერიძის საქმის მასალები გადაგზავნილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურაში. პასუხი დღემდე უცნობია.

აღნიშნულ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ მერაბ ლოლობერიძის ფიზიკურ შეურაცხყოფასა და შემდგომ ადმინისტრაციული წესით დაკავებას საფუძვლად ედო მისი პოლიტიკური მოსაზრებები. უფრო მეტიც, აღნიშნულ შემთხვევაში იკვეთება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება.

მალხაზ ხიზანიშვილის საქმე: 2008 წლის 4 იანვარს ქ.ყვარელში ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა გაერთიანებული ოპოზიციის წევრი მალხაზ ხიზანიშვილი. ყვარლის რაიონული სასამართლოს დადგენილებით მას სადკ-ის 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომისთვის 5 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა განესაზღვრა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 4 იანვარს, დაახლოებით 12:30 საათზე, მალხაზ ხიზანიშვილი იმყოფებოდა ქ.ყვარელში ჭავჭავაძის ქუჩაზე, ილანძლებოდა პოლიციელების მისამართით, რომლებიც ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. მათ მოუწოდეს მალხაზ ხიზანიშვილს წესრიგისკენ, მაგრამ მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის წარმომადგენლებს, რის შემდეგაც დაკავებულ იქნა. პოლიციის წარმომადგენლების გიორგი ერგეშიძისა და ლევან ცუკოშვილის განმარტებით, მალხაზ ხიზანიშვილმა მათ „საკაპის ლეკვები“ უწოდა. აღნიშნულს არ ადასტურებს ნუგზარ კახაშვილი, რომელიც აღნიშნული ფაქტის თვითმხილველია.

მალხაზ ხიზანიშვილის განმარტებით, 2008 წლის 4 იანვარს იგი გაერთიანებული ოპოზიციის შტაბის წინ იდგა ორ თანაგუნდელთან ერთად. ამ დროს გამოიარა შინდისფერმა მერსედესმა და გაჩერდა მისგან სამი მეტრის მოშორებით. მანქანიდან უცნობმა პირმა ხიზანიშვილს მიმართა: „მახო, გთხოვ, ერთი წუთით მოდი.“ შინაურული მიმართვის გამო გამცხადებელმა ივარაუდა, რომ ნაცნობი უხმობდა თავისთან. პიროვნებამ მას მანქანაში ჩაჯდომა სთხოვა. ხიზანიშვილის განმარტებით, ავტომობილს მუქი მინები ჰქონდა, ამიტომაც ვერ შენიშნა ყვარლის პოლიციის თანამშრომელი ლევან ცუკოშვილი. მისივე თქმით, აღნიშნული პიროვნება ხალხის დატერორებითაა ცნობილი. მანქანაში ლევან ცუკოშვილის გარდა იჯდა კიდევ ერთი პოლიციელი. მათ გამცხადებელს განუმარტეს: „პოლიციელი შეგიგინებია და განყოფილებაში გავარკვევთ.“

მალხაზ ხიზანიშვილის განმარტებით, პოლიციაში მისვლის შემდეგ მას წარუდგა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება და ცილი დასწამა „შენ შემაგინე“. გამცხადებელმა ეს ფაქტი უარყო, მოითხოვა ადვოკატი და ტელეფონით სარგებლობა, რაც არ დაუკმაყოფილეს. მალხაზ ხიზანიშვილის დაკავებიდან ერთი საათის შემდეგ პოლიციის სამორიგოში შევიდა იგივე პიროვნება, როგორც

მოგვიანებით გამოიკვია, ყვარლის პოლიციის თანამშრომელი გიორგი ერგეშიძე და დაკავებულს გვარი ჰკითხა. მან ისევ დატოვა სამორიგეო, ხელახლა შემოსულმა კი ხიზანიშვილს უთხრა: „გვარი შემეშალა, შენ არ შეგიგინებია“. ამის შემდეგ განმცხადებელთან შევიდა პოლიციელი ლევან ცუკოშვილი და უთხრა: „მე შემაგინე და წინააღმდეგობა გამინიე“.

მოსამართლე ოლია სეფიაშვილის მიერ არ იქნა გათვალისწინებული არც მალხაზ ხიზანიშვილის და არც მონმე ნუგზარ კახაშვილის ჩვენება. მონმის ჩვენების თანახმად, მალხაზ ხიზანიშვილი ნე-ბაყოფლობით ჩაჯდა ავტომანქანაში და მისი მხრიდან გინებას და წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მთლიანად ეყრდნობა მხოლოდ პოლიციის წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებას. აღნიშნულ დადგენილებაში საერთოდ არ არის განმარტებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა მალხაზ ხიზანიშვილის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევა – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამ-სახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა.

მოსამართლემ არ გაითვალისწინა ხიზანიშვილის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციამ შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა, რაც ემსახურებოდა მის ჩამოშორებას არჩევნების პროცესიდან იმის გამო, რომ ის იყო გაერთიანებული ოპოზიციის წევრი. ხიზანიშვილის განმარტებით, სასამართლომ გამოიტანა უსამართლო დადგენილება მისთვის ხუთი დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების თაობაზე. გამცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოსამართლე სათათბირო ოთახში იმყოფებოდა ცუკოშვილთან და იარაღის მქონე სხვა პოლიციელებთან ერთად.

ვინაიდან მალხაზ ხიზანიშვილის დაკავება უკავშირდებოდა არჩევნებს, სახალხო დამცველმა ოპე-რაციულად შეატყობინა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო ჯგუფის წევრს ქ-ნ ეკა ზღულაძეს მომხდარის შესახებ, თუმცა ამას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების ფიზიკური შეურაცხყოფა და ოჯახის წევრებზე ზეწოლა

საანგარიშო პერიოდში გახშირდა ასევე ოპოზიციური პარტიისა და ოპოზიციური აზრის მატარებელი პირების ფიზიკური შეურაცხყოფა. ადგილი ჰქონდა მათ ოჯახის წევრებზე ზეწოლასაც. ამ შემთხვევაშიც ძნელია იმის მტკიცება, რომ პირები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ ზეწოლას, იყვნენ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა მათი განცხადებები და საუბრის შინაარსი ადას-ტურებს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების პოლიტიკურ ნიადაგს. თავდამსხმელები პირდაპირ ითხოვდნენ პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტას. ოჯახის წევრებზე ზეწოლის საშუალებით ოპოზი-ციური ძალების წარმომადგენლებზე ზემოქმედების მცდელობის ნათელი მაგალითია ანდრო ქი-ტიაშვილისა და კახა ფანგანის საქმე.

ანდრო ქიტიაშვილის საქმე: 2007 წლის 15 დეკემბერს, საღამოს დაახლოებით რვა საათზე, საკუთარ სახლთან ახლოს გაიტაცეს გაერთიანებული ოპოზიციის აქტიური წევრის გია ქიტიაშვილის ვაჟი ანდრო ქიტიაშვილი. მას მიუახლოვდა უცნობი პიროვნება, რომელმაც მიმართა „ერთი წუთით“. ამავე დროს, ორმა უცნობმა პირმა ხელკავი გამოსდო და პირზე ხელი ააფარა. იგი სახლთან ახლოს მდებარე ეკლესიის ეზოში წაიყვანეს, სადაც სავარაუდოდ შავი ფერის „მერსედესი“ მივიდა. უცნობებმა ანდრო ქიტიაშვილი მანქანაში ჩასვეს და ე.წ „სამარადისოს“ მიმართულებით ტყეში წაიყვანეს. ანდრო ქიტიაშვილის განმარტებით, მის გარდა მანქანაში იმყოფებოდა ოთხი მისთვის უცნობი მამაკაცი. ანდრო ქიტიაშვილს მოსთხოვეს, მის მამას, გია ქიტიაშვილს, შეეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა. ასევე სთავაზობდნენ ჩამწერი მოწყობილობის დამაგრებას, რომლითაც ანდრო ქიტიაშვილი უნდა შესულიყო გაერთიანებული ოპოზიციის შტაბში და ინფორმაცია გამოეთანა. მისი უარის შემდეგ, უცნობებმა ანდრო ქიტიაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრნენ, „გადაეცი მამაშენს,



პოლიტიკას თავი დაანებოს, თორემ მკვდარს გიპოვნინან“. მოგვიანებით იგი დააბრუნეს ეკლესიის ეზოში, სადაც მანქანიდან გადააგდეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს ხაშურის რაიონის შს განყოფილება.

კობა ფანგანის საქმე: კახა ფანგანის შემთხვევაში კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი პოლიტიკური აქტიურობის გამო მასზე ანგარიშსწორების მიზნით მოხდა მისი ძმის კობა ფანგანის დაკავება. კერძოდ, 2007 წლის 6 ნოემბერს შსს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა კობა ფანგანი. მას ბრალი ედება სსკ-ის 360-ე მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კახა ფანგანი აცხადებს, რომ მისი ძმის დაკავება მოხდა პოლიტიკური მოტივით.

კახა ფანგანი არის მოძრაობა „სვანეთის“ დამფუძნებელი. იგი მოძრაობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა 2007 წლის 2-7 ნოემბრის საპროტესტო აქციებში. კობა ფანგანთან 2-3 ნოემბერს მიდიოდნენ უცნობი პირები, რომლებიც ითხოვდნენ, რომ კახა ფანგანს და მისი მოძრაობის წევრებს შეეწყვიტათ საპროტესტო აქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ დაჭრით და „სათანადო რეაგირებით“. მიუხედავად არაერთი მსგავსი ფაქტისა, კახა ფანგანის მოძრაობა განახლებული მრავალრიცხოვანი ძალებით აგრძელებდა აქციებში მონაწილეობას. 6 ნოემბერს მის უარს მოჰყვა კობა ფანგანის დაკავება. ამავე პერიოდში, მისი ძმის დაკავებამდე, კახა ფანგანის სახლთან მუდმივად შეიმჩნეოდა უნომრო მანქანებიდან თვალთვალი. რამდენჯერმე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გააჩერეს კახა ფანგანის კუთვნილი ავტომანქანით მოძრავი მისი ნათესავები და დაჟინებით კითხულობდნენ მის ადგილსამყოფელს. ამავე წლის 1 დეკემბერს უცნობი პირები მივიდნენ ფანგანის სახლში და განაცხადეს, რომ გაზის მაჩვენებლის შესამოწმებლად იყვნენ მისულები. თუმცა კარის გაღების შემდეგ 6 უცნობი პიროვნება შეიჭრა სახლში და თავი კონსტიტუციური დეპარტამენტის თანამშრომლებად წარმოადგინა, თუმცა არცერთ მათგანს ამის დამდასტურებელი მონიშვნა არ წარუდგენია. სახლის დათვალიერების შემდეგ აღნიშნულმა პირებმა იქაურობა დატოვეს.

პოლიტიკურ ნიადაგზე პირთა ფიზიკური შეურაცხყოფის მაგალითებს წარმოადგეს დაჩი ცაგურიასა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრის, პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის ბათუმის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის დავით ბაციკაძის ცემის ფაქტები. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ანგარიშსწორებას აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატვის გამო.

დაჩი ცაგურიას საქმე: 2007 წლის 12 ნოემბერს დაჩი ცაგურია იმყოფებოდა ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე „ყავის სახლში“ თავის მეგობრებთან, ქეთევან ჭეიშვილთან და ნათია ხაინდრავასთან ერთად. ეს უკანასკნელი სახალხო დამცველის რწმუნებულია. დაახლოებით 23 საათისათვის გაითიშა დაჩი ცაგურიას მობილური ტელეფონი, მაშინ, როდესაც ქეთევან ჭეიშვილისა და ნათია ხაინდრავას მობილური ტელეფონები აგრძელებდა მუშაობას. თხუთმეტი წუთის შემდეგ დაჩი ცაგურია შეამჩნია ორი პიროვნება, რომელიც შევიდა კაფეში და სამი ადამიანი, რომელიც გაჩერდა „ყავის სახლის“ კარებთან. უცნობები მიუახლოვდნენ დაჩი ცაგურიას, მიმართეს მას სახელით და სთხოვეს გარეთ გასვლა. უცნობების მოთხოვნაზე დაჩი ცაგურია უარით უპასუხა. ნათია ხაინდრავა სთხოვდა დაჩი ცაგურიას, არ გაყოლოდა უცნობებს და ტელეფონით დახმარებისათვის სახალხო დამცველს მიმართა. ამის შემდეგ უცნობებმა დაიწყეს დაჩი ცაგურიას ცემა, რაც გაგრძელდა სამი წუთის განმავლობაში. ცემის დასრულების შემდეგ უცნობები გავიდნენ კაფე „ყავის სახლიდან.“ შემთხვევის თვითმზილველის, სახალხო დამცველის რწმუნებულის, ნათია ხაინდრავას განმარტებით, მან შენიშნა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი ქამრის ჩასადებში ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს.

ზემოაღნიშნულ თავდასხმა სავარაუდოდ უკავშირდება ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე 2-7 ნოემბრის, ასევე ზუგდიდის 28 ოქტომბრის საპროტესტო აქციაში მონაწილეობის ფაქტს. დაჩი ცაგურია იხსენებს, რომ 2004 წელს უნივერსიტეტში რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით აზრის გამოხატვისათვის დაემუქრა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ახალაია. ხოლო 2007 წლის 3 ნოემბერს მიტინგის მიმდინარეობის დროს შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს შოთა ხიზანიშვილს, რომელმაც განუცხადა, რომ შეამინებდა. მისი სიტყვები დაჩი ცაგურია აღიქვა მუქარად და დააკავშირა მის მიმართ გან-

ხორციელებულ თავდასხმასთან. იგი განმარტავს, რომ „შეშინება“ დაკავშირებული ოპოზიციურ სლოგანთან „არ შეშინა“.

აღნიშნული ფაქტის შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტების საქმე: 2008 წლის 4 იანვარს, ქ.ბათუმში დილის 5 საათზე, გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო შტაბის დაახლოებით 12 წევრი გაემართა რუსთაველის ქუჩაზე, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ლევან გაჩეჩილაძის წინასაარჩევნო პლაკატების გასაკრავად. მათ შტაბიდან გამოსვლისთანავე შენიშნეს ფორდის მარკის თეთრი ფერის მიკროავტობუსი, რომელიც შტაბის შენობიდან დაახლოებით 20 მეტრში იდგა. აღნიშნული ავტომანქანა მათ ასევე შენიშნეს თეატრის შენობასთან, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის მხარდამჭერ „პლაკატებს“ აკრავდნენ.

თეატრთან ახლოს იდგა ერთ-ერთი აქტივისტის, ელგუჯა გოგუაძის მანქანა „ფორდ-სკორპიო“. ელგუჯა გოგუაძის განმარტებით, ადგილზე მისვლიდან დაახლოებით 20 წუთის შემდეგ, მისი ავტომანქანის წინ გაჩერდა მერსედესი, საიდანაც გადმოვიდა დაახლოებით 10 ნიღბიანი პირი. მათ ელგუჯა გოგუაძე აიძულეს, გაეხსნა მანქანის საბარგული, გაჩხრიკეს ავტომანქანა. მას შემდეგ, რაც ვერაფერი აღმოაჩინეს, დანით გაუხეთქეს მანქანის უკანა საბურავი, ხოლო თავად ელგუჯა გოგუაძეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

აღნიშნული შემთხვევიდან რამდენიმე წუთში, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ შტაბის წევრებთან გაჩერდა 3 ავტომანქანა, თეთრი ფერის BMW, VAZ 99 და თეთრი ფერის მერსედესი, საიდანაც გადმოვიდა დაახლოებით 10-15 ნიღბიანი პირი. აღნიშნული პირები, რაულ ბოლქვაძის განმარტებით, იყვნენ სამხედრო ტანსაცმელში. მათ შტაბის წევრებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ნააქციეს რაულ ბოლქვაძე და სცემეს ნიხლებით. დავით ბაციკიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან თავდამსხმელებს აუხსნა, რომ იგი იყო აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი, თავდამსხმელები მას მისდევდნენ დაახლოებით 15-20 მეტრის მანძილზე და აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. დარბევის შემდეგ მათ სასწრაფოდ დატოვეს შემთხვევის ადგილი. ინციდენტიდან დაახლოებით 3 წუთის შემდეგ ადგილზე მივიდა საპატრულო ეკიპაჟი. ნოდარ ცინცაძის განმარტებით, ამ დროს გამოიარა ერთ-ერთმა ავტომანქანამ, რომლითაც თავდამსხმელები მიიმალნენ, კერძოდ, ეს იყო თეთრი ფერის BMW. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ ცინცაძემ აცნობა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ამის შესახებ, მათ არანაირი ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებიათ. ბათუმის №1 საავადმყოფოში გადაყვანილ იქნა ერთ-ერთი ნაცემი აქტივისტი თენგიზ ართილაყვა. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი იმყოფებოდა ბათუმის №1 საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში, სადაც შეამონმა ამბოლატორიული ჟურნალი. ჩანანერით დასტურდება, რომ თენგიზ ართილაყვა მიყვანილ იქნა საავადმყოფოში 2008 წლის 4 იანვარს დილის 05 საათსა და 40 წუთზე და მას აღნიშნებოდა მარცხენა საჯდომის რბილი ქსოვილებისა და საჯდომი ნერვის დაჟეჟილობა.

აღნიშნული ფაქტის შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს ბ-ნ ნიკა გვარამიას და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო ჯგუფის ხელმძღვანელს ქ-ნ ეკა ტყეშელაშვილს. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა სისხლის სამართლის პრაღაზე გახიზნვის ფაქტები

გაერთიანებული ოპოზიციის აქციების დარბევის შემდეგ გახიზნა აქციაში მონაწილე პირებისა და მათი ახლობლების სისხლის სამართლის წესით დაკავება. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის სხვადასხვა მუხლებით, ყოველ კონკრეტულ



შემთხვევაში დაკავებულები აცხადებენ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს მათ პოლიტიკურ დევნას. არცერთ საქმეზე სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია. კარგად ვაცნობიერებთ სასამართლოს პრეროგატივას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დაადგინოს ქეშმარიტება, თუმცა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ საქმეებში არსებულ იმ გარემოებებზე, რომლებიც მიუთითებენ გარკვეულ პირთა დაკავების პოლიტიკურ მოტივზე. თითოეული დაკავებული პირი აცხადებს, რომ წარდგენილ ბრალდებაში არის უდანაშაულო, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მიუთითებენ პოლიციის თუ სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე. ყოველი მათგანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებში, თანამშრომლობდა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან და იყო ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის წევრი. აღნიშნული პირები საუბრობენ დაკავებისას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე, მტკიცებულებათა გაყალბებაზე. მათი განმარტებით, დაპატიმრების შემდეგ ხორციელდებოდა ზენოლა თანამშრომლობის მოთხოვნით.

იოსებ ჯანდიერის საქმე: იოსებ ჯანდიერს ბრალი ედება სსკ-ის 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამჟამად შეფარდებული აქვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. იოსებ ჯანდიერმა ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. მისი თქმით, 2007 წლის 13 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12 საათსა და 30 წუთზე, მის სახლში შეიჭრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დაახლოებით 15 თანამშრომელი. მათ განმარტეს, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ჩაეტარებინათ ჩხრეკა. იოსებ ჯანდიერის განმარტებით, არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და არც მოწმეთა დასწრება მოუთხოვიათ. ჩხრეკა ჩატარდა ზედაპირულად. იგი სულ 20 წუთს გაგრძელდა. ჩხრეკისას სოღ-ის თანამშრომლების მიერ საძინებელ ოთახში ბალიშის ქვეშიდან ამოღებულ იქნა ფხვნილი, რომელიც, გამცხადებლის განმარტებით, არ მიეკუთვნებოდა არც მას და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს. მან მხოლოდ მოგვიანებით, ჩხრეკის ოქმის გაცნობისას შეიტყო, რომ აღნიშნული ფხვნილი წარმოადგენდა ჰეროინს. ჩხრეკის დასრულების შემდეგ იოსებ ჯანდიერი გადაყვანილ იქნა ე.წ. „მოღულის“ შენობაში, მე-2 სართულზე, სადაც მას შეხვდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პირი. ერთ-ერთმა მათგანმა მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, უწოდა მოლაღატე და განუცხადა, რომ დაკავება უკავშირებოდა მიტინგებში მის მონაწილეობას. თუმცა იოსებ ჯანდიერს მისი სახელი და გვარი არ ახსოვს.

იოსებ ჯანდიერი მიიჩნევს, რომ მისი დაკავება განაპირობა მისმა აქტიურობამ ნოემბრის საპროტესტო აქციებში. კერძოდ, იგი ნაციონალური მოძრაობის დაარსებიდან აღნიშნული მოძრაობის სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსი იყო. 2007 წლის 3 ნოემბერს იგი იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე, კოკა გუნცაძესთან და გოგა ხაინდრავასთან ერთად, სადაც მან გია თორთლაძეს გადასცა ნაციონალური პარტიის წევრობის დამადასტურებელი მოწმობა და უთხრა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ტოვებდა. ამის შესახებ გია თორთლაძემ აუწყა მომიტინგეებს.

როსტომ ონიანის საქმე: 2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, როსტომ ონიანი დაკავებულ იქნა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ. მას ბრალი ედება პოლიციის წარმომადგენელთათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და მათთვის წინააღმდეგობის განწვევაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) და 239-ე (ხულიგნობა) მუხლებით. კერძოდ, როსტომ ონიანმა საკუთარი სახლის სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნა პოლიციის წარმომადგენლები და მიაყენა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა, რის გამოც დაკავებულ იქნა.

როსტომ ონიანი დაკავებამდე აქტიურად მონაწილეობას იღებდა ქ. თბილისში 2-7 ნოემბერს გამართულ საპროტესტო აქციებში. იგი ასევე იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში, აჭარაში გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად. სწორედ ამას უკავშირებენ მისი ოჯახის წევრები როსტომ ონიანის

დაკავების ფაქტს. დაკავების თვითმხილველთა – ნიკოლოზ კლიმიაშვილის, ნინო კიკაძის, ნინო ძიძიგურის, ქეთევან ხელიძის, ხათუნა სვანიძისა და ქეთევან ფანცხავას – განმარტებით, როსტომ ონიანის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

როსტომ ონიანის თანამშრომლის ნიკოლოზ კლიმიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს დაახლოებით 7 საათზე, მან საკუთარი ავტომანქანით სახლის სადარბაზომდე მიიყვანა როსტომ ონიანი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იყო. აღნიშნულს ადასტურებენ ასევე როსტომ ონიანის მეზობლებიც, რომლებიც ამ დროს სადარბაზოსთან იმყოფებოდნენ. თვითმხილველები მიუთითებენ, რომ როსტომ ონიანის მანქანიდან გამოსვლისთანავე სადარბაზოსთან გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პიროვნება (ქეთევან ფანცხავას ახსნა-განმარტება), რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობდნენ როსტომ ონიანის ავტომანქანაში ჩასმას. როსტომ ონიანი ამ დროს არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა მათ. მიუხედავად ამისა, მას ხელები გადაუგრისეს და უხეში ფორმით წაიყვანეს მანქანისკენ. როსტომ ონიანის მეუღლემ და მეზობლებმა სცადეს, გაერკვიათ უცნობი პირების ვინაობა და სად მიჰყავდათ როსტომ ონიანი. სადარბაზოსთან ამ დროს მოვიდა ავტომანქანა ჟიგული, საიდანაც გადმოვიდა დაახლოებით 3 პოლიციის ფორმაში გამოწყობილი პირი. ამ დროს სახლის სადარბაზოსთან უკვე უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა მანქანიდან გადმოსვლისთანავე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაინყო ჰაერში სროლა, რამაც იქ შეკრებილი ხალხის დაბნეულობა და შიში გამოიწვია. სულ განხორციელდა დაახლოებით 7 გასროლა, რის შემდეგაც თავად აკრიფა ტყვიის გილზები. ყველა თვითმხილველი მიუთითებს, რომ როსტომ ონიანის მხრიდან არანაირი წინააღმდეგობის განწევა, ან რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედება არ მომხდარა. როსტომ ონიანის მეგობარი ნიკოლოზ კლიმიაშვილი აღნიშნავს, რომ დაკავებამდე როსტომ ონიანმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ მის სახლთან საეჭვო მანქანები შეიმჩნეოდა.

პოლიტიკური დევნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გიორგი ავალიანი. აღნიშნულ ორგანიზაციას ხელი მიუწვდება უნივერსიტეტის ფინანსურ რესურსებზე და ახორციელებს სხვადასხვა სტუდენტურ პროექტებს.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ჯგუფები, რომლებიც არ იზიარებენ სტუდენტური თვითმმართველობის პოზიციას. რამდენად აქვს ასეთ ჯგუფებს თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა, რამდენად არსებობს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრის თავისუფალად გამოხატვის საშუალება და რამდენად არის გარანტირებული ამ ჯგუფების წევრთა ფიზიკური ხელშეუხებლობა – ეს არის პრობლემები, რომლებიც მწვავედ დაისვა 2007 წლის მეორე ნახევარში.

უნივერსიტეტში დაფუძნდა თვითმმართველობის ალტერნატიული სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდული“. სტუდენტური თვითმმართველობის განმარტებით, აღნიშნული ორგანიზაციის უკან იდგნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები. ტელეკომპანია „იმედის“ ჩანაწერით დაფიქსირებულია, თუ როგორ ცდილობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოადგილე გაგა ხაბულიანი „ახალგაზრდულის“ პრეზენტაციის ჩაშლას.

2007 წლის 24 ოქტომბერს სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდულის“ წევრებმა უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან დაგეგმეს ბრიფინგი, რომლის თემას წარმოადგენდა უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ. თვითმხილველთა განმარტებით, მეორე კორპუსთან მივიდა დაახლოებით ოცი ადამიანი, მათ შორის გიორგი ავალიანი, გაგა ხაბულიანი და თორნიკე ხუციშვილი. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დაინტერესდა, აპირებდა თუ არა მოძრაობა „ახალგაზრდული“ ბრიფინგის ჩატარებას. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მოძრაობა „ახალგაზრდულის“ წევრებს გიორგი თოფურისასა და გიორგი ჩითარაშვილს.



გიორგი თოფურიასა და გიორგი ჩითარიშვილისათვის სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით ძველი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება. დაკითხულ იქნა გიორგი თოფურია. ამჟამად აღნიშნულ ფაქტზე გრძელდება გამოძიება.



ზემოთ აღწერილი, ასევე მიტინგებისა და მანიფესტაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების თავში აღწერილი საქმეების ანალიზისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ხელისუფლება საანგარიშო პერიოდში ამჟღავნებდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების სრულ მიუღებლობას. მსგავსი ფაქტების თანხვედრა იმდენად დიდია, რომ დანამდვილებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკური ოპონენტების დევნა გააზრებული პოლიტიკის შედეგია და არა ცალკეულ პირთა თვითნებობის შედეგი.

ძალისმიერი მეთოდებით ოპოზიციური აზრის ჩახშობა ქვეყნის სტაბილურობას, განვითარებას უშლის ხელს. დემოკრატიულ სახელმწიფოში დაუშვებელია, რომ ადამიანები პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევნებოდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დევნას ახორციელებენ კერძო პირები და არა ხელისუფლების წარმომადგენლები, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ის ვალდებულია, აღკვეთოს მსგავსი ქმედებები და შექმნას ჯანსაღი პოლიტიკური გარემო სახელმწიფოში.

ოპოზიციური პოლიტიკური ძალებისა და აზრის არსებობა თვისობრივად დამახასიათებელია ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის. თუნდაც საუბარი სახელმწიფოში პოლიტიკური დევნის არსებობაზე სერიოზულ დარტყმას აყენებს სახელმწიფოს იმიჯს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ამ ეტაპზე სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, თითოეულ ზემოაღნიშნულ ფაქტზე ჩატარდეს ობიექტური გამოძიება და უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდა.

დღესდღეობით საზოგადოების ყველაზე დიდი დაკვეთა ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს შექმნაა, სადაც თითოეულ მოქალაქეს მიეცემა საშუალება, ღიად და ყოველგვარი შიშის გარეშე დააფიქსიროს საკუთარი აზრი პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში. ამ მიზნის მასალწევად კი აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება.

რეკომენდაცია

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რაც შეიძლება სწრაფად და ობიექტურად გამოძიებულ იქნას თითოეული სისხლის სამართლის საქმე და დაისაჯოს ყველა პირი, ვინც აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობდა.

2007 წლის მეორე ნახევარში 7 ნოემბერს განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოში. პირველად საქართველოს ისტორიაში აქციის დასაშლელად გამოყენებული იქნა სპეციალური საშუალებები (წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოწყობილობა), რაც ხასიათდებოდა არაპროპორციულობით და ზოგ შემთხვევაში უკანონობით. სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები თვალყურს ადევნებდნენ საპროტესტო აქციების მიმდინარეობას. აქციის დაშლისას ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებულ გამოყენებას, დემოკრატიულ ფასეულობებსა და კანონის უზენაესობაზე უარის თქმას, სისატიკეს, დევნას ქუჩებსა და შენობებში, ასევე კანონის უხეშ დარღვევას, რაც გამოიხატება კანონით გაუთვალისწინებელი სპეციალური საშუალების – რეზინის ტყვიების გამოყენებაში. ამასთან ერთად, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ადგილი ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა, რის შედეგადაც დაზიანდა რიყის საპროტესტო აქციის სამი მონაწილე. 7 ნოემბრის მოვლენებმა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა გამოიწვია, არამედ სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობა, შეილახა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი.

აქციის დასაშლელად ხელისუფლების მიერ გამოყენებული ძალა ერთერთი ავტორიტე-

ტული ორგანიზაციის (Human Rights Watch) ლაკონურად შეფასებულია როგორც ზღვარგადასული. HRW-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის დირექტორის ჰოლი კარტნერის განმარტებით: „7 ნოემბერს პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გამოყენებული საშუალება იყო არალეგიტიმური. საპროტესტო აქციის დარბევამ სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ჩემპიონი ქვეყნის რეპუტაციას“.

ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო, ჩრიდილოატლანტიკური ალიანსი. ეს არის იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელმაც მკაცრი შეფასება მისცა 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლას. ევროპარლამენტის 2007 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციაში აღნიშნულია: „ოპოზიციის მიერ მოწყობილი ექსდღიანი მიტინგი გადაიზარდა ძალადობაში, მას შემდეგ რაც სპეც-

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება



დანიშნულების რაზმმა გამოიყენა გადამეტებული ძალა დემონსტრაციის დასაშლელად. წყლის ჭავლის, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებამ ზიანი მიაყენა ხუთას ადამიანს, რომელთა შორის იყო საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.“

2007 წლის 7 ნოემბერს ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და 11-ე (შეკრების თავისუფლება) მუხლების უხემ დარღვევას.

7 ნოემბრის მოვლენებს წინ უძღოდა სპორადული ხასიათის ინციდენტები, როდესაც ძალადობრივი გზით ხდებოდა შეკრებისათვის ხელის შეშლა. თავდასხმები ხდებოდა საპროტესტო აქციის მონაწილეებზე.¹

მაღალი ალბათობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ აღნიშნულ თავდასხმებში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რამდენადაც დაზარალებულებიც და თვითმხილველებიც ამტკიცებენ, რომ თავდასხმეებს სპეციალური შავი ფორმები ეცვათ, რაც მათ ძალოვან სტრუქტურებთან კუთვნილებას ასაბუთებს.

საპროტესტო აქციის ყველაზე მასშტაბური დარბევა მოხდა ქალაქ ზუგდიდში 2007 წლის 29 დეკემბერს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციამ გამოიჩინა სრული გულგრილობა. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისაგან იგივე სახის უმოქმედობას ვხდებოდით ქალაქ თბილისში 2-დან 7 ნოემბრამდე თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებული თავდასხმების დროს. როგორც ავლნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ თავდასხმებში.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საპროტესტო აქციის მონაწილეთა გადაადგილებისათვის. ამისათვის ისინი კეტავდნენ გზებს, მძღოლებს ართმევდნენ მართვის მოწმობებს, 2 ნოემბერს თბილისისაკენ მომავალ კოლონებს გზებზე უყრიდნენ უცნაური ფორმის ლურსმნებს. მგზავრებს აკავებდნენ და გადაჰყავდათ ნარკოლოგიურ განყოფილებებში.

საანგარიშო პერიოდში კვლავ უცვლელი დარჩა სასამართლოების შეუწყნარებელი დამოკიდებულება მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეთა მიმართ. სასამართლოები, უმეტეს შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კონკრეტული გარემოებისა და უტყუარი მტკიცებულებების გარეშე, საპროტესტო აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს უფარდებდნენ ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლების საფუძველზე. თუკი წინა საანგარიშო პერიოდებში სასამართლოს ამგვარი მიდგომა იშვიათ გამონაკლის წარმოადგენდა და ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტი“ შემოიფარგლებოდა, 2 ნოემბრის მასშტაბური აქციის შემდეგ, საპროტესტო აქციების მონაწილეთა და პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ადმინისტრაციულმა დაპატიმრებებმა და ჯარიმებმა ფართოგავრცელებული სახე მიიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მონაცემებით 2-დან 7 ნოემბრამდე შეკრებებს და მანიფესტაციებში მონაწილეობისათვის ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა 103 ადამიანი. მათგან 23 პირის მიმართ გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული პატიმრობა, 65 პიროვნებას შეეფარდა ჯარიმა, ხოლო 12 მოქალაქის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული

¹ იხ. რატი მათისურაძის, ნიკა მაჭუტაძისა და ბიჭიკო მშვიდლობაძის, კობა ჭითანავას საქმეები.

ციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება. ამ რიცხვში ბუნებრივია არ შედიან ის პირები, ვინც სისხლის სამართლის წესით იქნენ დაკავებული და ის პირები, ვის მიმართაც შეწყდა სისხლის სამართლის საქმისწარმოება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები გადაეგზავნა ადმინისტრაციულ კოლეგიას.

7 ნოემბრის შემდეგ საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა საპროტესტო შეკრებების მონაწილეთა მიმართ გამოიყენეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი, სისხლისამართლებრივი ფორმა. აღკვეთის ღონისძიებების სხვადასხვა სახე შეეფარდათ 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის მონაწილე 8 პირს. სისხლისამართლის პასუხისმგებებაში მიცემული ზოგიერთი პირების მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 და 173-ე მუხლების საფუძველზე დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელეები.

საპროტესტო აქციაში მონაწილე პირები ძირითადად ეჭვმიტანილი იყვნენ მასობრივ არეულობაში სავარაუდო მონაწილეობისათვის, ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით. გვხვდება ასევე სხვისი ქონების დაზიანების გამო სისხლისამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემის შემთხვევები, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით. ამ მუხლით კვალიფიცირდებოდა როგორც რეზინის ხელკეტის და სხვა სპეციალური საშუალებების განადგურების², ასევე საპატრულო პოლიციის ავტომანქანების დაზიანების შემთხვევები³.

2007 წლის 13 ნოემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი 20 ადამიანის ქმედება გადაკვალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით. ამგვარ კვალიფიკაციას არ დაექვემდებარა ორი პირი, ნიკოლოზ და გრიგოლ დევდარიანები

2007 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მასობრივი არეულობაში მონაწილეობისათვის ბრალდებულ ოთხ პირს, ილია ქოიავას, ზვიად ხარგელიას, ლაშა სირბილაძესა და დავით მაღლაკელიძეს შეუფარდა წინასწარი ორთვიანი პატიმრობა. წინასწარი პატიმრობა ასევე შეუფარდეს ლევან გელაშვილსა და ვლადიმერ ხუციშვილს. გამოძიების მტკიცებით, პატიმრობაში მყოფმა პირებმა სავარაუდოდ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სპეცდანიშნულების რაზმის წევრს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, აღნიშნული გარემოება დასტურდება, როგორც სატელევიზიო ვიდეოჩანაწერით, ასევე ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებით. ბრალდებულები აცხადებენ, რომ აღიარებითი ჩვენება მისცეს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედების შედეგად. 2008 წლის 18 თებერვალს 6 ზემოხსენებულ პიროვნებას წინასწარი პატიმრობა შეეცვალათ გირაოთი.

მტკიცებაჟუღაგაგის გამოკვლევა შიკრების თავისუფლების შეზღუდვის დროს

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წერილმანი ხელისუფლება) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) ხშირ შემთხვევაში გახდა შეკრების თავისუფლებაში ჩარევის საფუძველი. თუმცა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლოს მხრიდან ნაკლებად ხდებოდა შეკრების თავისუფლების მნიშვნელობისა და პირის მიერ ჩადენილ ქმედებასთან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობის გათვალისწინება. ამგვარ შემთხვევებში, პირველ რიგში, დადგენილი უნდა იქნეს, ჰქონდა თუ არა საპროტესტო აქციას მშვიდობიანი ხასიათი.

² ვლადიმერ ხუციშვილის საქმე
³ ოთარ მუჯირიშვილისა და გიგა მამარდაშვილის საქმე



როგორც ვენეციის კომისიამ განაცხადა, არ არსებობს შეკრების თავისუფლება და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული სფერო, თუკი აქცია არ ატარებს მშვიდობიან ხასიათს. ეს ხდება მაშინ, როდესაც აქციის ორგანიზატორების ან მონაწილეთა მხრიდან ხდება ძალადობის ან უნესრიგობის გამოწვევა⁴. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „დემონსტრაციის ორგანიზატორებმა, როგორც დემოკრატიული პროცესის მონაწილეებმა, პატივი უნდა სცენ იმ წესებს, რომლებიც არეგულირებს ამგვარი პროცესს“⁵.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, ყოველმხრივ გამოიკვილოს საქმის გარემოებები. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართალდამცავები ამტკიცებენ დაკავებულების მხრიდან ძალადობას. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ინსპექტორის ახსნა-განმარტება და სამართალდარღვევის ოქმი არ წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის წყაროს. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ მიცემული ჩვენება განსაკუთრებით მაშინ უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან კრიტიკულ შეფასებას, როდესაც პიროვნება პასუხისგებაში იქნა მიცემული პოლიტიკური გამოხატვის კონტექსტში.

2007 წლის 16 ოქტომბერს დაკავებული მოძრაობა, „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხი აქტივისტის, ირაკლი ჯაფარიძის, ირაკლი გაფრინდაშვილის, ირაკლი ჩუხუას და გიორგი მესტუმრიშვილის საქმის განხილვამ აჩვენა, თუ რამდენად ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ქმედების კანონიერების კონტროლი. დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნეს მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტებების საფუძველზე⁶.

ერთ-ერთმა პატრულ-ინსპექტორმა როლანდ სოსელიამ განაცხადა, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები არ აძლევდნენ მძლოლებს გადაადგილების შესაძლებლობას. ერთ-ერთი მძლოლი ჩამოვიდა მანქანიდან და ითხოვა, მიეცათ გზა, რადგან მის შვილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. იმავე პატრულ-ინსპექტორის თქმით, აქციის მონაწილეები მძლოლებს მონებს და მოლაღატებს უწოდებდნენ.

ირაკლი გაფრინდაშვილის მიმართ ოქმის შემდგენი პატრულ-ინსპექტორი მამუკა ბლიაძე აცხადებდა, რომ იქ მყოფი მძლოლები ითხოვდნენ, მიეცათ გზა, ხოლო აქციის მონაწილეები პასუხად ვირთხებს უწოდებდნენ, მანქანებზე ხელებს ურტყამდნენ და სთხოვდნენ, შეერთებოდნენ აქციას.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ არასწორია როლანდ სოსელიას მტკიცება, თითქოს მძლოლები ითხოვდნენ, მიეცათ გზა, ხოლო აქციის მონაწილეები პასუხად ვირთხებს უწოდებდნენ, მანქანებზე ხელებს ურტყამდნენ და სთხოვდნენ, შეერთებოდნენ საპროტესტო აქციას.

ტელეკომპანია „იმედის“ კორესპოდენტი ნინო საყვარელიძე აქციის მსვლელობას დაწყებიდან დასრულებამდე ესწრებოდა და აშუქებდა აღნიშნულ მოვლენებს. მისი განმარტებით, მას არ დაუნახავს აქციის მონაწილეთა შეურაცხმყოფელი საქციელი ან განცხადებები მძლოლების ან თუნდაც საპატრულო პოლიციის მიმართ. უხამსი, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, მოქალაქეების მიმართ გადაკიდება ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა დაკავების მომენტში ასევე ვერ დააფიქსირა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ კამერამ. ამ უკანასკნელის ვიდეომასალაში ჩანს აქციის ახალგაზრდა მონაწილე, რომელიც მისი მეგობრების დაკავების შემდეგ პოლიციის მისამართით ყვირის – „მკვლელებო“.

⁴ CDL Opinion 290/2004 on the Law on conducting gatherings, meetings, rallies and demonstrations in the Republic of Armenia (CDL-AD)2005(040)).

⁵ Oya Ataman v. Turkey, no. 74552/01, §38

⁶ იხ. ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა საქმე

ამგვარად, სამართალდამრღვევების მხრიდან უცენზურო სიტყვების წარმოთქმას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, პატრული-ინსპექტორების მამუკა ბლიაძისა და შმაგი ჯაჭვადის ახსნა-განმარტება არის ყალბი. ეს ჩვენებები არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, უცენზურო სიტყვების წარმოთქმის ფაქტი მოგონილია პატრული-ინსპექტორების მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანისა და მოძრაობა „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხი წევრისათვის ადმინისტრაციული სახდელის დამძიმების მიზნით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის, ლანძღვა-გინების არსებობის ფაქტი მოსამართლეს უნდა დაედგინა მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად. პატრული-ინსპექტორთა ახსნა-განმარტებები არ შეიძლება, მიჩნეული ყოფილიყო სრული და ობიექტური მტკიცებულების წყაროდ. მათი განმარტებები შემოწმებული უნდა ყოფილიყო სამაჟისტრატული კომპანია „რუსთავი 2-ის“ ვიდეომასალით და შემთხვევის თვითმხილველი ჟურნალისტების ჩვენებებით. თუმცა სასამართლოს მიერ არც ვიდეომასალა ყოფილა გამოთხოვილი და არც ჟურნალისტების დაკითხვა მომხდარა.

სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, გამოიკვილოს საქმის ყველა გარემოება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა.“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას ორგანო (თანამდებობის პირი) წყვეტს შემდეგ საკითხს: გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები; სასკ-ის 264-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა, დაადგინოს საქმის გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამგვარად, მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე მოსამართლე კოპალიევილს, რომელიც მოძრაობა „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხი აქტივისტის საქმეს იხილავდა, პირველ რიგში უნდა გადაეწყვიტა საკითხი, რამდენად იძლეოდა საქმეში არსებული მტკიცებულებები საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესაძლებლობას. მოსამართლეს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ პატრული-ინსპექტორთა, ისევე, როგორც პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა და აქციის სხვა მონაწილეთა ახსნა-განმარტებები ვერ იქნებოდა ობიექტური.

შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ჯაფარიძის და სხვათა საქმეზე სასამართლოს დადგენილება ეფუძნებოდა ხელოვნურად შექმნილ ყალბ მტკიცებულებას, რომლის სინამდვილე არ იქნა გამოკვლეული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

მტკიცებულებათა ფაბრიკაციის თვალსაზრისით საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება ბელარუსში, ქალაქ მინსკში „კმარას“ აქტივისტების გიორგი კანდელაკისა და ლუკა ნულაძისათვის წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებასთან.

2005 წლის 24 აგვისტოს საქართველოს მოქალაქეები, მოძრაობა „კმარას“ აქტივისტები გიორგი კანდელაკი და ლუკა ნულაძე, დაკავებულ იქნენ ქალაქ მინსკში ვლადიმერ კობეტთან, ოპოზიციური ახალგაზრდული მოძრაობა „ზუზრის“ აქტივისტთან ერთად. ეს უკანასკნელი ორ საათში იქნა გათავისუფლებული. ქართველი „კმარელების“ მიმართ კი ეჭვი იქნა მიტანილი პასპორტის გაყალბებაში. 29 აგვისტოს ქალაქ მინსკის მოსკოვსკის რაიონულმა სასამართლომ გიორგი კანდელაკი და ლუკა ნულაძე ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე თანამოსაკნის შეურაცხყოფისათვის და შეუფარდა 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Amnesty International“-მა გიორგი კანდელაკსა და ლუკა ნულაძეს სინდისის პატიმრები უწოდა, ვინაიდან ადმინისტრაციული სახდელი დაუკავშირა



25 აგვისტოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) ხელმძღვანელის ბელარუსის ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებას, რომელიც მიუთითებდა ქართველების კავშირზე ისეთ რადიკალურ პოლიტიკურ არარეგისტრირებულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ზუბრი“, „ახალგაზრდული ფრონტი“ და „ლიმონი“.

„Amnesty International“-მა მოითხოვა ქართველი სინდისის პატიმრების გათავისუფლება, ვინაიდან მათი დასჯა გამონვეული იყო პოლიტიკური საქმიანობითა და გამოხატვის თავისუფლებით მშვიდობიანი სარგებლობით. როგორც „Amnesty International“ აღნიშნავს, გიორგი კანდელაკისა და ლუკა წულაძის წინააღმდეგ მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნებოდა მათი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იყო ყალბი.

მტკიცებულებათა ფაბრიკაციას და არსებითი გარემოებების გამოკვლევის გარეშე სასამართლოს მიერ საქმის განხილვასა და დადგენილების მიღებას, ასევე პარტიული კუთვნილების გამო ადამიანთა ჯგუფისათვის „სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტის“ მინიჭებას ადგილი ჰქონდა ქალაქ ზუგდიდში 2007 წლის 29 ოქტომბერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მანუჩარ ფუტკარაძის და სხვათა საქმის განხილვის დროს.

2007 წლის 29 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორმა ზვიად ელარჯიამ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მანუჩარ ფუტკარაძის მიმართ. სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს მანუჩარ ფუტკარაძე იგინებოდა, ილანძებოდა უცენზუროდ, მოქალაქეებს აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნას აღნიშნულის შეწყვეტის შესახებ არ დაემორჩილა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით მანუჩარ ფუტკარაძის ქმედება დაკავალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით. სამართალდარღვევის ოქმს თან ახლავს მანუჩარ ფუტკარაძის დაკავების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სავარაუდო დამრღვევის დაკავება მოხდა 2007 წლის 29 ოქტომბერს 11:20 საათზე ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე ჩადენილი სხვადასხვა ქმედების, მათ შორის მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის.

სამართალდარღვევის ოქმს თან ახლავს მანუჩარ ფუტკარაძის შენიშვნები და განმარტება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს ოპოზიციურმა პარტიებმა ქ. ზუგდიდში ჩაატარეს მიტინგი, სადაც მანუჩარ ფუტკარაძე იმყოფებოდა ერთად და მიტინგის მიმართ მშვიდობიანად გამოხატავდა პროტესტს. მისი განმარტებით, მიტინგის დამთავრების შემდეგ პარლამენტის წევრებმა ზიძინა გუჯაბიძემ, ბეჟან გუნავამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა, სოსო რობაქიძემ გამოიყენეს უცენზურო სიტყვები. მანუჩარ ფუტკარაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ მან მეგობრებთან ერთად სიტყვიერთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საპროტესტო აქციის მონაწილეებს.

საქმეში ასევე მოიპოვება ზუგდიდის შს სამმართველოს რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორების მ. ჩანგელიას, ზ. ელარჯიას, ხ. სიხარულიას, ვ. ჩიქოვანის პატაკები. ყველა პოლიციელი, მერაბ ჩანგელიას გარდა, აცხადებს, რომ გიორგი სამუშიას, ირაკლი მიქაიას, ბიქტორ მიქაიას, გიორგი მანიას, მანუჩარ ფუტკარაძის, აკაკი როგავასა და გოგა ლურწყაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. პოლიციის ინსპექტორი მერაბ ჩანგელია მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს ადასტურებს.

ზუგდიდის რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა პაატა გვალამ თავის სამუშაო კაბინეტში გამოკითხა ინდემნარმეები ილონა ეფსია და რუსუდან ყურაშვილი, რომლებიც აცხადებენ, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს, 20:30 საათზე, მათ მაღაზიაში შევარდა დეპუტატი ბეჟან გუნავა, რომელსაც მისდევდა ხუთი ახალგაზრდა, რომლებმაც გუნავას რამდენჯერმე ჩაარტყეს მუშტი სახეში. ილონა ეფსიამ და რუსუდან ყურაშვილმა აიძულეს ხუთი

ახალგაზრდა, დაეტოვებინათ მათი მალაზია. რუსუდან ყურაშვილის განმარტებით, აღნიშნული გა-
რემოება დააფიქსირა ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ.

მანუჩარ ფუტკარაძის სამართალდარღვევის საქმე განიხილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს
მოსამართლემ ირაკლი აბშილავაძემ. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში, რომელიც სულ ექვს
ხაზს შეადგენს, აღნიშნულია, რომ მანუჩარ ფუტკარაძე 2007 წლის 28 ოქტომბერს, 21 საათზე,
ზუგდიდში, გამსახურდიას გამზირზე იგინებოდა, ილანძლებოდა უცენზუროდ, აყენებდა მოქალა-
ქეებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, პოლი-
ციის მუშაკის კანონიერ მოთხოვნას აღნიშნულის შეწყვეტის შესახებ არ დაემორჩილა. მანუჩარ
ფუტკარაძემ აღიარა სამართალდარღვევა და, როგორც მოსამართლე ირაკლი აბშილავა აღნიშნავს,
მოინანია კიდევ ჩადენილი. მანუჩარ ფუტკარაძე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრ-
ღვევად სასკ-ის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომად-
გენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებე-
ბის ჩადენისათვის და სახდელის სახით, სასკ-ის 36-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად,
განესაზღვრა 173-ე მუხლის საწესი გათვალისწინებული სახდელის მინიმალური ზომა, ჯარიმა
შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით (400 ლარი).

დადგენილებაში არ არის აღნიშნული, თუ რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდა მოსამართლე
იმ დასკვნამდე, რომ მანუჩარ ფუტკარაძის ქმედება შეიცავდა სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით
გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობას. მოსამართლე არ
დაინტერესებულა იმ გარემოებითაც კი, რომ საქმეში წარმოდგენილი ინსპექტორის მერაბ ჩან-
გელიას პატაკი, რომელიც ადასტურებდა, რომ მანუჩარ ფუტკარაძემ მხოლოდ სიტყვიერი შე-
ურაცხყოფის მიყენებით ჩაიღინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ეწინააღმდეგებოდა
საქმეში არსებულ ყველა სხვა მტკიცებულებას, რომლებიც ცალსახად მიუთითებდნენ მანუჩარ
ფუტკარაძის მხრიდან მოქალაქეების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, რაც
წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, არამედ სისხლის სამართლის კოდექსით
გათვალისწინებულ ქმედებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვა „ფიზიკური“, რომელიც
ფიგურირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, საერთოდ ამოღებულია სასამართ-
ლოს დადგენილებიდან. ამგვარი ქმედებით, მოსამართლე ირაკლი აბშილავაძემ განზრახ თავი აარიდა
დადგენილებაში შეურაცხყოფის ფორმის აღნიშვნას, რათა თავიდან აეცილებინა სამართალდამრ-
ღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც, ფიზიკური შეურაცხ-
ყოფის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა.

სასკ-ის 237-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენის საფუძ-
ველზე, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვ-
ლევაზე მათს ერთობლიობაში. იბადება კითხვა – მაშინ, როცა მტკიცებულებათა ერთობლიობა
მიუთითებდა მანუჩარ ფუტკარაძის და სხვათა მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის ჩადენის თაობაზე,
რის საფუძველზე შეამსუბუქა მოსამართლე ირაკლი აბშილავაძემ ზემოაღნიშნულ მოქალაქეთა პასუ-
ხისმგებლობა და მათ მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრა.

ბიქტორ მიქაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი დასტურდება ადმი-
ნისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, პოლიციელთა
პატაკის, მოქალაქეების ილონა ეფსიასა და რუსუდან ყურაშვილის გამოკითხვის ოქმებით. ბიქტორ
მიქაიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს დაურთო თავისი შენიშვნები და ახსნა-გან-
მარტება, სადაც მითითებულია, რომ პარლამენტის წევრებს ბეჟან გუნავას, ბიძინა გუჯაბიძეს,
ასევე „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრს ლაშა ჩხარტიშვილს და მოქალაქე სოსო რობაქიძეს
მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა მას შემდეგ, რაც მათ უხამსი ფორმით მოიხსენიეს ბიქტორ მიქაიას
დედა და ოჯახი, ასევე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ზუგდიდელები.

2007 წლის 29 ოქტომბერს მოქალაქე ბიქტორ მიქაიას მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სა-
მართალდარღვის ოქმი განიხილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ.კეკელიძემ.



დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ოქმის შემდგენმა ზაურ ელარჯიამ სასამართლო სხდომაზე გაიმეორა იგივე, რაც აღნიშნული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში. ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტებას დაეთანხმა სავარაუდო დამრღვევი. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში არ გვხვდება გარემოებები, რომლებიც დადგენილად მიიჩნია მოსამართლემ. დადგენილებაში უბრალოდ აღნიშნულია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება ბიქტორ მიქაიას მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ამგვარად, მოსამართლე კეკელიძის დადგენილებით არ არის უარყოფილი ბიქტორ მიქაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. ამის მიუხედავად, ბიქტორ მიქაიას ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ზემოხსენებული შინაარსის შემცველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმი იქნა შედგენილი გოგა ლურნკაიას მიმართაც. ოქმში აღწერილია იგივე ქმედებები, რის გამოც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა მანუჩარ ფუტკარაძესა და ბიქტორ მიქაიას. სამართალდარღვევის ოქმს თან ერთვის იგივე გამოკითხვის ოქმები და იმავე პოლიციელთა პატაკები, რაც განხილული იყო ზემოხსენებულ საქმეებში. გოგა ლურნკაიამ დამატებით აღნიშნა, რომ პარლამენტის წევრების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ მიიმალა, რადგანაც გამოჩნდა პოლიცია, რომელიც მანამდე მოუწოდებდა აღნიშნული ქმედების შეწყვეტისაკენ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც სასამართლო სხდომის ოქმში, არც სასამართლოს დადგენილებაში არ გვხვდება გოგა ლურნკაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე მითითება. სასამართლომ თავისი დადგენილებით გაითვალისწინა სამართალდარღვევის საშიშროების ხარისხი, სამართალდამრღვევის პიროვნება და წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისათვის მას 20 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, ქმედება გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, გოგა ლურნკაიას შეეფარდა ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. საქმის მასალების შემოწმების შედეგად, თვალშისაცემი ხდება შემდეგი გარემოება: სახდელის დამძიმების მიზნით სასამართლოს მიერ არ მომხდარა გოგა ლურნკაიას ქმედების ინდივიდუალიზება. მას ბრალად შეერაცხა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში ლანძღვა-გინება ჩადენილი ჯგუფურად, ანუ იგივე ქმედება, რაც ჩაიდინეს მისმა თანაამსრულებლებებმა: მანუჩარ ფუტკარაძემ, ბიქტორ მიქაიამ, ირაკლი მიქაიამ, გიორგი მანიაშვილმა და აკაკი როგავამ, თუმცა მათ, გოგა ლურნკაიასაგან განსხვავებით, მხოლოდ ჯარიმა, შედარებით მსუბუქი სახდელი შეეფარდათ. ეს მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი ის გარემოებები, რაც, თანაამსრულებლებისაგან განსხვავებით, ამძიმებდა გოგა ლურნკაიას ბრალეულობას და ასაბუთებდა მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას.

აქვე აღსანიშნავია ის უხეში დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახდელის დადებისას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე სამართალდარღვევის განხილვისას სახდელის დადების ორ წესს. პირველი არის ზოგადი წესი: „ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე“. მეორე ნაწილში გვხვდება სახდელის დადების სპეციალური წესი იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთი და იმავე ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ხდება ერთზე მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთდროულად განხილვა.

მოსამართლემ გამოიყენა არა 36-ე მუხლის მეორე ნაწილი, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც გამოიყენება შემდეგ შემთხვევაში:

1. სხვადასხვა ორგანო იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სამართალდარღვევას;

2. ერთი და იგივე ორგანო ცალ-ცალკე იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სამართალ-დარღვევას;
3. ერთი და იგივე ორგანო ერთდროულად იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ რამდენიმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მაგრამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებულია თანაბარი სიმკაცრის სანქცია.

კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო 36-ე მუხლის მეორე ნაწილი, ვინაიდან ერთი და იგივე ორგანო (ზუგდიდის რაიონული სასამართლო), ერთი და იგივე თანამდებობის პირი დ. კეკელიძის სახით, ერთდროულად იხილავდა ერთი და იმავე პირის, გოგა ლურნკაიას მიერ ჩადენილ ორ სხვადასხვა სამართალდარღვევას: ნვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასკ-ის 36-ე მუხლის მეორე ნაწილი ასეთი შემთხვევისათვის ითვალისწინებს შემდეგ წესს: „სამართალდამრღვევს სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.“ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო სერიოზულ სამართალდარღვევას წარმოადგენს სასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ვინაიდან ეს უკანასკნელი, 166-ე მუხლისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ჯარიმას შრომის ანაზღაურების 10 მინიმალური ოდენობით, რაც შეადგენს 400 ლარს. ხოლო 166-ე მუხლი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით. ორივე მუხლი ჯარიმის ალტერნატივის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 30 დღის ვადით.

მოსამართლე ვალდებული იყო, გამოეყენებინა მხოლოდ 173-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია, ჯარიმა 400 ლარის ოდენობით, გამასწორებელი სამუშაოები 6 თვემდე ვადით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე. 36-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებული იყო, თავი შეეკავებინა დამატებით 166-ე მუხლის სანქციის გამოყენებისაგან. სასკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი მაინც ითვალისწინებს ორი მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც ითვალისწინებს დამატებით ადმინისტრაციულ სახდელს. სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა და ადმინისტრაციული პატიმრობა, რაც ერთდროულად იქნა შეფარდებული გოგა ლურნკაიას მიმართ, შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ძირითადი სახდელი. სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად დამატებით ადმინისტრაციულ სახდელს წარმოადგენს საგნების სასყიდლით ჩამორთმევა და კონფისკაცია. არც 166-ე და არც 173-ე მუხლები სახდელის ზომად არ ითვალისწინებენ საგნების სასყიდლით ჩამორთმევასა და კონფისკაციას.

სინამდვილეში გოგა ლურნკაია გიორგი სამუშიასთან ერთად გამოირჩეოდა ყველაზე დიდი სისატიკით. გოგა ლურნკაიამ ნიხლები რამდენჯერმე ჩაარტყა ძირს ნაქცეული ბეჟან გუნავას. ბეჟან გუნავა წამოდგა და გაიქცა პირდაპირ მდებარე ილონა ეფსიას სუპერმარკეტისაკენ. გაქცეულ ბეჟან გუნავას უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე აქტივისტი გიორგი ლურნკაია წამოეწია. ამ უკანასკნელმა თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი. ბეჟან გუნავა სუპერმარკეტში შევარდა, სადაც შეჰყვა გოგა ლურნკაია და ბეჟან გუნავას მუშტებით ცემა გააგრძელა. გოგა ლურნკაიას მიერ განხორციელებული ქმედებები შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ხულიგნობა ჩადენილი ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ). შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობა, რომელიც ამ უკანასკნელს დაეკისრა იყო მეტისმეტად ლმობიერი და არ იყო მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული. მოსამართლემ სათანადოდ არ ასახა თავის დადგენილებაში გოგა ლურნკაიას მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და ის სისატიკე, რაც მას სხვა სამართალდამრღვევებისაგან განსხვავებდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ გოგა ლურნკაიას მიმართ გამოყენებული სახდელი უკანონოა.



ირაკლი მიქაიას მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები მიუთითებდნენ მის მიერ პარლამენტის წევრებისა და სხვა პირების ფიზიკურ შეურაცხყოფას. აღნიშნული გარემოების შესახებ არსებობდა თავად ირაკლი მიქაიას აღიარება, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენის მერაბ ჩანგელიას ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ირაკლი მიქაიას მხოლოდ ილანძღებოდა უცენზურო სიტყვებით, მაღალი ხმით მიმართავდა მოქალაქეებს. როგორც სასამართლო სხდომაზე საუბნო ქვეგანყოფილების ინსპექტორმა მერაბ ჩანგელიამ დააკონკრეტა, მოქალაქეების შეურაცხყოფაში მან იგულისხმა გინება. ირაკლი მიქაიას საქმე სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისაგან განსხვავდება იმით, რომ ოქმის შემდგენმა ორგანომ დააკონკრეტა, თუ რას გულისხმობდა ფიზიკურ შეურაცხყოფაში: „ყველა ერთმანეთს ექაჩებოდა, იყო განევ-გამონევა“. ამგვარად, ოქმის შემდგენმა გამოიციხა ისეთი სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების არსებობა, როგორცაა ადამიანის მიმართ რამდენჯერმე მუშტისა და ნიხლის დარტყმა, რაც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. არადა, რამდენიმე ტელეკომპანიის ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის წევრების მიმართ არა ჯაჯგურს, არამედ სწორედ სასტიკ ცემას ჰქონდა ადგილი და პოლიციის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მიერ მოხდა ფაქტების გაყალბება. მოსამართლის შეკითხვაზე, რას გულისხმობდა ირაკლი მიქაია სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, სამართალდამრღვევი პასუხობს, რომ მას შეაგინეს დედა, რაზედაც თურმე ეჯიკავებოდა, მაგრამ მისი მხრიდან ხელის გარტყმას ადგილი არ ჰქონია.

მოსამართლე ამირიდო გელანტიამ მოისმინა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად არ ჩათვალა საჭიროდ დამატებითი მტკიცებულების გამოკვლევა, ტელეკომპანიების ვიდეოჩანაწერებისა და შემთხვევის თვითმხილველთა ჩვენებების სახით. სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია: 2007 წლის 28 ოქტომბერს, 21 საათსა და 00 წუთზე, ქ.ზუგდიდში, გამსახურდიას გამზირისა და რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ირაკლი მიქაია იგინებოდა, ილანძღებოდა, ხმამაღლა გამოთქვამდა უცენზურო სიტყვებს მოქალაქეთა მისამართით. აღნიშნული ქმედების შეწყვეტის შესახებ ბოროტად არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას.

სასკ-ის 260-ე მუხლის თანახმად, საქმის განმხილველი ორგანო ვალდებულია დაადგინოს, გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალა. იმავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, რაც, როგორც უკვე ითქვა, გულისხმობს საქმის ყველა გარემოების **ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ** გამოკვლევაზე მტკიცებულებათა ერთობლიობაში (სასკ-ის 237-ე მუხლი). აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, მოსამართლე ამირიდო გელანტია ვალდებული იყო, გამოეკვლია დამატებითი მტკიცებულებები ვიდეომასალის გამოქვეყნებისა და მოწმეთა დაკითხვის სახით, რაც წარმოადგენს სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რომლის შედეგად მოსამართლე, სასკ-ის 264-ე მუხლის შესაბამისად, დაადგენდა, ექვემდებარებოდა თუ არა ირაკლი მიქაია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; ხომ არ არსებობდა 238-ე მუხლით დადგენილი წესით დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმის წინსაწარი გამოძიების ორგანოში ან პროკურატურაში გადაგზავნის საფუძველი.

გიორგი სამუშიასათვის ადმინისტრაციულ სახდელის დაკისრების საფუძველი არის გოგა ღუნკაიას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის იდენტური, მის საქმესთან დაკავშირებით გამოყენებული იქნა იგივე მტკიცებულებები, რაც ყველა დანარჩენი პირის საქმეში. ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა 20 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა წვრილმანი ხულიგნობისათვის, ხოლო ჯარიმა 400 ლარის ოდენობით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. გიორგი სამუშიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ ბუჟან გუნავას ცემაში, არამედ ასევე სხვა პირებთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბიძინა გუჯაბიძეს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის დაზიანება.

ზემოთქმულის შესაბამისად წარმართა გიორგი მანიასა და აკაკი როგავას საქმის განხილვაც. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ჯ.მორგოშიამ გიორგი მანიას, ხოლო აკაკი როგავას მოსამართლე ი. აბშილავამ განუსაზღვრეს ჯარიმა 400 ლარის ოდენობით ზემოთხსენებულ გარემოებებში ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს არცერთი მოსამართლის მიერ არ იქნა გამოკვლეული ტელეკომპანიების „იმედისა“ და „რუსთავი-2-ის“ ვიდეომასალა, ასევე არ მომხდარა მანუჩარ ფუტყარაძის და სხვათა მიერ განხორციელებული თავდასხმის თვითმხილვეთა დაკითხვა.

რადიო „იმედის“ ჟურნალისტის ნანა ფაჟავას სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ მმართველი პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები გოგა ლურნკაია, გიორგი სამუშია, გელა თოლორაია, ირაკლი თორდია, კობა რიგვავა, ლადო ქვარცხავა და მანუჩარ ფუტყარაძე ოპოზიციის ლიდერებთან მიახლოებას და მათთვის შეურაცხყოფის მიყენებას ცდილობდნენ. თუმცა აქციის მონაწილეებმა ამის საშუალება არ მისცეს. ნანა ფაჟავა იხსენებს, რომ მიტინგის დასრულების შემდეგ სავარაუდოდ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელმა გოგა ხაინდრავას შეურაცხყოფა მიაყენა და გაიქცა. გიორგი სამუშიამ ავტომანქანიდან, რომლიდანაც გადმოშლილი იყო დროშა, გადმოიღო იგი და გაანადგურა. მკა სახურია, პარლამენტის წევრის ბიძინა გუჯაბიძის მეუღლე, უშუალოდ დააკავა სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ მეგის ქარდავამ. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ბეჟან გუნავა მინაზე დაანარცხეს და სახეში ნიხლებს ურტყამდნენ. პარლამენტარი გაიქცა და თავი ილონა ეფსიას სუპერმარკეტს შეაფარა. გოგა ლურნკაია იქაც შეყვა და მისი ცემა განაგრძო. ილონა ეფსიამ და მალაზიაში მყოფმა მეორე ქალბატონმა რუსუდან ყურაშვილმა გოგა ლურნკაია მალაზიიდან გააძევეს და ბეჟან გუნავა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ბეჟან გუნავა სუპერმარკეტში 22:30 საათამდე იმყოფებოდა, შემდგომ მისი გაყვანა სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა თენგიზ გუნავამ განახორციელა. ნანა ფაჟავას შეტყობინების საფუძველზე, შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ერთი ჯგუფი, თუმცა მათ არ მოუხდენიათ მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთა.

ნანა ფაჟავას ახსნა-განმარტებაში მოყვანილი გარემოებები მთლიანად დასტურდება სახვადასხვა ტელეკომპანიების ვიდეოჩანაწერებით.

ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, მეგის ქარდავა და ზუგდიდის შს რაიონული სამმართველოს უფროსი კობა ნარსია. მათ არანაირი ღონისძიებები არ გაუტარებიათ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მმართველი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად. მკა სახურიას განმარტებით, მეგის ქარდავა უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმ პირებს, ვინც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბიძინა გუჯაბიძეს. მეგის ქარდავამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მკა სახურიას (მეგრულად დედა შეაგინა), საპასუხოდ მკა სახურიამ სილა გაანწა მეგის ქარდავას. კობა ნარსიამ მხოლოდ ეს გარემოება მიიჩნია წესრიგის დარღვევას და დააკავა მკა სახურია. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მამაკაცის ფიზიკური ხელყოფისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მეგის ქარდავამ მკა სახურია უშუალოდ დააკავა.

ამგვარად, მეგის ქარდავასა და კობა ნარსიას მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ გულგრილობას, ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახე აშკარად არაპროპორციულია აღნიშნული პირების მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასთან. უფრო მეტიც, იგი აშკარად სცილდება



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფარგლებს. მათი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებისათვის: „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფილი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“. ტელეკომპანიების მიერ გავრცელებული ვიდეო მასალიდან კარგად ჩანს სამართალდამრღვევები ლანძღვა-გინებასთან ერთად როგორ აყენებენ დეპუტატებს ფიზიკურ შეურაცხყოფას, რამაც გამოიწვია მათი ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის მოშლა.

ფიზიკური შეურაცხყოფა აშკარად სცილდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის დისპოზიციის ფარგლებს. აღნიშნული მუხლი შედეგის სახით ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევას. კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი აქვს არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევას. სერიოზული ზიანი მიადგა ისეთ სიკეთეს, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობა და ფიზიკური ხელშეუხებლობა. აღნიშნული კი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ ობიექტს.

ანალოგიისთვის შეიძლება გავიხსენოთ 2006 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ფაქტი, როცა ნაციონალური მოძრაობის წევრი 2 აქტივისტი ქალბატონის პოლიტიკური მოტივით შეურაცხყოფისათვის დაიწყო წინასწარი გამოძიება გიორგი თთარაშვილისა და სარქის შაროიანის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (პოლიტიკური ნიშნით ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 151-ე (მუქარა) მუხლებით. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული შაროიანი ნიჩბით დაემუქრა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტს მარინა გადელიას. ნიჩბის მოლერება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ შეფასებული იქნა, როგორც დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მარინა გადელიას არ მიუღია ჯანმრთელობის თუნდაც უმნიშვნელო დაზიანება.

ზუგდიდში მომხდარი შემთხვევის დროს დეპუტატები სცემეს მუშტებით, ნიხლებითა და ხელჯოხებით. **უცნაურია, როდესაც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტზე მუქარა ითვლება დანაშაულად, ხოლო დანაშაულს არ წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც თავად სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები, არათუ ემუქრებიან არამედ სცემენ ოპოზიციური მიტინგის მონაწილეებს.** ზუგდიდში გამართული მიტინგის მონაწილეებმა, მოქალაქე გადელიასაგან განსხვავებით, მიიღეს ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები, თუმცა აღნიშნული სამართალდამცავმა ორგანოებმა მარინა გადელიაზე თავდასხმასთან მიმართებაში ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ ქმედებად მიიჩნიეს და თავდამსხმელების მიმართ გამოიყენეს არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობა. ამ ორ შემთხვევას შორის საერთოა ის, რომ ორივე ქმედება განხორციელდა პოლიტიკური მოტივით. განსხვავებაა ის, რომ ერთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლი აღმოჩნდა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, მეორე შემთხვევაში კი თავად მმართველი პარტიის აქტივისტები მონაწილეობდნენ პოლიტიკურად მოტივირებულ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში

თთარაშვილისა და შაროიანის მიმართ ბრალდება მთლიანად ეფუძვნებოდა საქმეზე დაზარალებულად ცნობილი „ნაციონალური მოძრაობის“ ორი აქტივისტის ჩვენებას. საქმეში არ მოიპოვებოდა სხვა ობიექტურ წყაროზე დაფუძნებული მტკიცებულება. ზუგდიდში მომხდარი შემთხვევა დასტურდება სხვადასხვა ტელეკომპანიის ვიდეომასალით, რომელიც გამოირჩევა სარწმუნოებისა და ნდობის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე დაინტერესებული პირების ჩვენება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება ხორციელდება შერჩევით და მხოლოდ იმ პირების მიმართ, ვინც მიეკუთვნება ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს. თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოები მეტისმეტ ლმობიერებას ამჟღავნებენ, მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ.

2007 წლის 16 ოქტომბერს თბილისში აქციის მსვლელობისას დაკავებულ პირებსა და 28 ოქტომბრის ზუგდიდის აქციის დარბევის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთი და იგივე მუხლები. თბილისის აქციის შემთხვევაში, 2007 წლის 17 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ 20 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა ახალგაზრდული მოძრაობის „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხ აქტივისტს გ. მესტუმრიშვილს, ი. ჩუხუას, ი. გაფრინდაშვილსა და ი. ჯაფარიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ 16 ოქტომბერს თბილისში გამართული აქციის მონაწილეებს არავისთვის მიუყენებიათ ფიზიკური შეურაცხყოფა, 20 დღიანი პატიმრობის სახით ოთხივე ახალგაზრდას იგივე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა განესაზღვრა, რაც შეეფარდა ზუგდიდის აქციის დარბევის მხოლოდ ორ მონაწილეს. განსხვავება არის მხოლოდ ფულად ჯარიმაში. ზუგდიდის დარბევის დანარჩენ ოთხ მონაწილეს კი გაცილებით მსუბუქი სახდელი, ფულადი სანქცია დაეკისრა.

ზუგდიდის შემთხვევაში, სხვადასხვა ტელეკომპანიების მიერ გავრცელებული კადრებიდან უტყუარად დგინდება, რომ იქ განხორციელდა ის ქმედებები, რაც საფუძვლად დაედო ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა საქმეში სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ ზუგდიდში ჩადენილი ქმედებები გაცილებით მძიმე იყო და, გარდა ხულიგნობისა, შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე (დევნა) მუხლითა და 142-ე (ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. საქმეზე ასევე დანიშნული უნდა ყოფილიყო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომლიც შეისწავლიდა ზუგდიდის საპროტესტო აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გადაწყდებოდა ქმედების კვალიფიკაციის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) 120-ე (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) ან 125-ე (ცემა) მუხლებით.

აღნიშნული არის საჯარო ბრალდების საქმე და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, იჩივლებენ თუ არა კონკრეტული დაზარალებული პირები. შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ვალდებული არიან, პირდაპირ დაიწყონ გამოძიება ყოველგვარი განცხადების გარეშე. მით უმეტეს, ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული დარბევები ხორციელდებოდა პოლიციელების გულგრილი მეთვალყურეობის ქვეშ, ზოგ შემთხვევაში კი ისინი პირდაპირ მონაწილეობდნენ ამ დარბევებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს დანაშაულს.

ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება და შეკრების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მეორე ნაწილით მიხედვით, კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი განმარტება: „შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების დროს გაფრთხილების ვალდებულების შემოღება განსაკუთრებული ზომების მიღებისათვის არის აუცილებელი. კერძოდ, გაფრთხილებასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა სახელმწიფო ორგანოებს საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ წარმოდგენა შეეძქნათ ერთი მხრივ იმაზე, თუ რა განკარგულებები უნდა გაიცეს მოძრაობის მონესრიგებისა და სხვა ღონისძიებებისათვის, რათა შეკრების მიმდინარეობა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს, მეორე მხრივ კი შეფასდეს, თუ რა არის საჭირო მესამე პირთა, ასევე საზოგადოების ინტერესების დასაცავად და როგორ უნდა შეუთავსდეს ეს ორი გარემოება ერთმანეთს“⁷.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/2/180-183 გადაწყვეტილებით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“



წინასწარი გაფთხილების გარეშე ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას შეკრების ჩატარებისათვის 2007 წლის 16 ოქტომბერს ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს მოძრაობა „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხ აქტივისტს. რუსთაველის გამზირზე სამოძრაო ადგილის გადაკეტვას 2007 წლის 7 ნოემბერს მოყვა სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ძალის გამოყენება, რის შედეგადაც დაზიანდა დაახლოებით ექვსასი ადამიანი⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, წინასწარი გაფთხილების ვალდებულება არ შეიძლება, წარმოადგენდეს ფარულ დაბრკოლებას მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელებისათვის, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით⁹. სასამართლომ მიუთითა, რომ წინასწარი გაფთხილების გარეშე ჩატარებული შეკრება უკანონოა, თუმცა ეს არ ამართლებს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევას. წინასწარი გაფთხილება ხელისუფლების ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს, მინიმუმადე დაიყვანოს ტრანსპორტის შეფერხების შემთხვევები, როდესაც ამგვარი საპროტესტო აქცია იმართება პიკის საათში. ამავე დროს, წინასწარი გაფთხილების შედეგად ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ უსაფთხოების პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რაც გულისხმობს სასწრაფო დახმარების მობილიზებას დემონსტრაციის ჩატარების ადგილას¹⁰. ეს არის ის მიზნები, რასაც ემსახურება ხელისუფლების წინასწარი გაფთხილება აქციის ჩატარების თაობაზე.

ამგვარად, ხელისუფლებას ეძლევა გაფთხილება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აქციის ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის აუცილებელია ნებართვა. აქედან გამომდინარე, როდესაც პოლიცია მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდებს, ეჭვქვეშ დგება თვით ამგვარი მოთხოვნის კანონიერება. შესაბამისად, თუ აქციის მონაწილეები ამ მოწოდებას არ ემორჩილებიან, მათი ქმედება არ შეიძლება ავტომატურად შეფასდეს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ოია ატამანის საქმეში, ისევე, როგორც ეს თბილისში გამართულ 16 ოქტომბრის და 7 ნოემბრის საპროტესტო აქციების დროს მოხდა, უშიშროების სამსახურებმა მსვლელობის მონაწილეები გააფთხილეს, რომ მათი აქცია იყო უკანონო და დაშლა მოსთხოვეს. აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ ამ მოთხოვნას, რის შემდეგაც მათ მიმართ გამოყენებულ იქნა ცრემლსადენი გაზი და დაპატიმრებულ იქნა აქციის რამდენიმე მონაწილე.

ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, გაკვირვება გამოხატა მთავრობის მოუთმენლობასთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობდა იმ მსვლელობის სწრაფად დასრულებას, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა. იმავე დროს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის ფაქტს, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა¹¹. ეს გარემოება, ცალკე აღებული, არ შეიძლება, წარმოადგენდეს აქციის მონაწილეთა დაშლის და დაუმორჩილებლობის გამო პასუხისგებაში მიცემის საფუძველს. ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებასთან ერთად, შეკრების დაშლისა და ძალის გამოყენების კანონიერებისათვის აუცილებელია, აქცია ატარებდეს ძალადობრივ ხასიათს, რაც ვერ დამტკიცდა ოია ატამანის საქმეში.

ძალადობრივ ხასიათს არ ატარებდა არც 7 ნოემბრის საპროტესტო აქცია რუსთაველის პროსპექტის ტრანსპორტის სამოძრაო ადგილზე, სადაც არ დამტკიცებულა არცერთი ვიტრინა და აქციის მონაწილეები ხელანულები იდგნენ წყალსატყორც მანქანასთან¹². რიყესა და ტელეკომპანია „იმედთან“

⁸ შყა ატამან ვ. თურქეყ, ნო. 74552/01, §38

¹⁰ შყა ატამან ვ. თურქეყ, ნო. 74552/01, §39

¹¹ იქვე, §41.

¹² საპატრულო პოლიციის ავტონაშენების დაზიანება ცრემლსადენი გაზის გამოყენებისა და საპროტესტო აქციის მონაწილეთა რეზინის ხელკეტებით ცემის შემდეგ მოხდა.

გამართულ აქციებს კი არათუ ძალადობრივი ხასიათი არ ჰქონია, არამედ მათი მსვლელობისას გზის გადაკეტვაც კი არ მომხდარა. რაც შეეხება 16 ოქტომბრის მსვლელობას, როდესაც დაკავებული იქნა ახალგაზრდული მოძრაობის ოთხი აქტივისტი, დემონსტრანტთა მიერ რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის ნაწილობრივი შეფერხება გაგრძელდა ერთ წუთს. ოია ატამანის საქმის მსგავსად, სახელმწიფოს ასეთი მცირე ხანგრძლივობით ჩატარებული აქციის მიმართ შედარებით მეტი მოთმინება უნდა გამოემყვანებინა. 7 ნოემბრის დილის აქციისაგან განსხვავებით, როდესაც აქციის მონაწილეებმა ცრემლსადენი გაზის გაშვებამდე შეძლეს რუსთაველის გამზირზე მოძრაობის სრული ბლოკირება, 16 ოქტომბრის საპროტესტო მსვლელობის დროს რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა არ შეწყვეტილა, არამედ მოხდა მოძრაობის მცირე ხნით შეფერხება. ეს გარემოება მით უმეტეს არ ამართლებს აქციის მონაწილეთა 20 დღით დაპატიმრებას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის.

წვრილმანი ხულიგნობა და შპკრების თავისუფლება

2007 წლის მეორე ნახევარში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ საპროტესტო აქციის მონაწილე 33 პირის ქმედება დააკვალიფიცირა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით. აქედან 4 პირს მიესაჯა ადმინისტრაციული პატიმრობა, 26 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჯარიმა, 3 საქმეზე შეწყდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

წვრილმანი ხულიგნობის, ისევე, როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლი უცვლელად მოქმედებს 1984 წლიდან. საქართველომ აღნიშნული ნორმები ტოტალიტარული რეჟიმისაგან მემკვიდრეობით მიიღო. 166-ე მუხლის დისპოზიციაზე მეტად მისი სამართალშეფარდების პრაქტიკა ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-11 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებას.

დემონსტრაციის მონაწილეთა ქმედების წვრილმან ხულიგნობად შეფასების თაობაზე საკუთარი დასკვნები უკვე გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე გალციანი სომხეთის წინააღმდეგ¹³. აღსანიშნავია, რომ სომხეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მიღებულ იქნა 1985 წელს. ამ პერიოდში საქართველო და სომხეთი ერთი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და გასაკვირი არ არის, რომ ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობაში წვრილმანი ხულიგნობის დისპოზიცია იდენტურია: „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.“

როგორც დისპოზიციიდან ირკვევა, წვრილმან ხულიგნობას შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. წარმოადგენს თუ არა ხმაური და გზის გადაკეტვა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის

¹³ გამცხადებელი 2003 წლის 5 მარტის სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის წარმომადგენელი იყო საოლქო საარჩევნო კომისიაში. 2003 წლის 7 აპრილს, ქალაქ ერევანში, მამტოცის გამზირზე, ძველ ხელნაწერთა კვლევითი ინსტიტუტის (*Մատենադարան*) გვერდით გაიმართა დემონტრაცია. აქციის მონაწილეთა (რაოდენობა 30 000) უმრავლესობა ქალები იყვნენ. ისინი გამოვიდნენ პრეზიდენტის კრიტიკით. გამცხადებელი იმყოფებოდა აღნიშნულ დემონსტრაციაზე. სახლში მიმავალს წამოეწია ორი სამოქალაქო პირი, რომელმაც წარუდგინეს პოლიციის მონაწილეები და დააკავეს. პოლიციელებმა განყოფილების უფროსის სახელზე დაწერეს პატაკი, სადაც აღნიშნულია: „დაკავებული იმყოფებოდა დემონსტრაციაზე, აფერხებდა ტრანსპორტის მოძრაობას, თავისი ანტისოციალური ქმედებებით ძალადობისაკენ აქეზებდა სხვებს. გალციანის დაკითხვის შემდეგ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (*վարչական իրավախախտման արձանագրություն*), სადაც აღნიშნული იყო, რომ დემონსტრაციაზე გამცხადებელმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, ქმედება, გათვალისწინებული სომხეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლით. საქმე განსახილველად გადაეცა კრიმინალური და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც გალციანს სამდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა



იმგვარ დარღვევას, რომელიც ამართლებს მშვიდობიანი მანიფესტაციის ძალადობრივი მეთოდებით დაშლას?

გალციანის საქმეზე სასამართლომ საერთოდ გამორიცხა ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობის დაკისრება საპროტესტო აქციაში მონაწილეობისათვის, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც დემონსტრაციის დროს ხდება სავალი გზის ბლოკირება, ასევე ხმაური, რომელიც გარდაუვლად არღვევს მოქალაქეთა სიმშვიდეს. „მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის მიღება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაუშვებელია ამის გამო ადამიანი დაექვემდებაროს რაიმე სახის პასუხისმგებლობას, მათ შორის პასუხისმგებლობის ისეთ მსუბუქ ზომას, როგორცაა დისციპლინური სახდელი, ვიდრე მისი კონკრეტული მონაწილე არ ჩაიდენს გასაკიცხ ქმედებას.“¹⁴ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინურთან შედარებით გაცილებით მძიმეა, ვინაიდან ითვალისწინებს პატიმრობას¹⁵.

სასამართლომ გამცხადებელი ცნო სამართალდამრღვევად წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში. დადგენილების თანახმად, ხულიგნობა გამოიხატებოდა ყვირილსა და გზის გადაკეტვაში. წინა თავში ვისაუბრეთ გზის გადაკეტვის მართლზომიერებაზე. რაც შეეხება ხმაურს, იგი არ წარმოადგენს ძალადობისკენ მოწოდებას ან საზოგადოების მიმართ უპატივცემულობას ან ძალადობისკენ მოწოდებას. „ძნელად წარმოსადგენია ხალხმრავალ პოლიტიკურ დემონსტრაციაზე, სადაც ხალხი გამოხატავს თავის აზრს, არ იყოს გარკვეულ დონეზე ხმაურიანი.“¹⁶

ამგვარად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც მისი განხორციელება გარკვეულ დისკომფორტს იწვევდეს სხვა მოქალაქეებისათვის, ეს არანაირად არ ამართლებს მანიფესტაციის ძალადობრივ დაშლას და აქციის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოებმა უარი უნდა თქვან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ 166-ე მუხლის გამოყენებისაგან, თუ უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვათა მიმართ გასაკიცხ ძალადობრივ ქმედებას.

ზემოაღნიშნული აქციების უკანონო ხასიათი დადასტურებულადაც რომ მივიჩნიოთ, საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი თუნდაც უკანონო მანიფესტაციების დაშლის უფლებას მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში იძლევა. აღნიშნული დისპოზიციის მიხედვით, პოლიციას უფლება აქვს, „აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;“

2007 წლის 16 ოქტომბრის და 7 ნოემბრის საპროტესტო აქციები არ შეიცავდა ზემოაღნიშნული საფრთხის დადგომის შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნული აქციის მონაწილეთა მიმართ დაკისრებული ადმინისტრაციული სანქციები იყო უკანონო.

¹⁴ Galtsyan v. Armenia application no.26986/03 15 November 2007 # 115

¹⁵ იგივე №116

¹⁶ იგივე №116

გადამატებული კალის გამოყენება 2007 წლის 7 ნოემბერს

ა) რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციის პირველი დარბევა

7 ნოემბერს, დილის 7:00 საათზე, პარლამენტის შენობასთან გამოჩნდა ქალაქის დასუფთავების სამსახურის ტექნიკა – დაახლოებით 8-9 დიდი და ამდენივე უფრო მცირე ზომის მანქანა და ორასამდე მეზოვე. დილის ამ მონაკვეთში პარლამენტის შენობის წინ 16-მდე მოშიმშილე ინვა¹⁷. ათ წუთში დასუფთავების სამსახურის სატვირთო მანქანებით შემოიტანეს რკინის მესრები¹⁸. იმის გამო, რომ მთელი ღამის განმავლობაში წვიმდა, მოშიმშილეების თავზე გადაჭიმული იყო ლურჯი ფერის ბრეზენტი. პარლამენტის შენობასთან ამ დროისათვის იმყოფებოდა დაახლოებით 200-მდე აქციის მონაწილე¹⁹.

დაახლოებით 7:45 საათზე ნავის მანქანებმა დატოვეს ტერიტორია. საპატრულო პოლიციამ, რომელიც რუსთაველის გამზირზე 2007 წლის 2 ნოემბრიდან პატრულირებდა, გზა გახსნა იმ მოტივით, რომ ნავის მანქანები გაეტარებინა. ამ დროს მეტროსადგურ „თავისუფლების“ მხრიდან მოედანზე შევიდა 2-3 ყვითელი ავტობუსი, საიდანაც ჩამოვიდა ყვითელ ლაზადებში ჩაცმული 60 პოლიციელი²⁰. ისინი მწკრივად მოემართებოდნენ საპროტესტო აქციისაკენ. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები გამოჩნდნენ სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ მხრიდანაც. მათ ეცვათ ჯინსის შარვალი, შავი ქუთუკი და ეკეთათ ნიღბები. ნავის მანქანებმა და დასუფთავების სამსახურის ტექნიკამ კორიდორი გააკეთა გზის სავალ ნაწილზე²¹. აქციის მონაწილეები მხოლოდ კითხვებს სვამდნენ, რათა გაერკვიათ, თუ რისთვის იყვნენ მისულნი პოლიციის თანამშრომლები. აქციის მონაწილეები ორგანიზებულად გადავიდნენ ტროტუარზე. ამასობაში, პოლიციის რაზმები მიუახლოვდნენ მოსიარულეთათვის განკუთვნილ გზის სავალ ნაწილს და სოლისებურად შეიჭრნენ აქციის მონაწილეთა ჯგუფში. აქციის მონაწილენი ხელებანუღნი გაჩერდნენ მოშიმშილეთა პერიმეტრზე. გოგა ხაინდრავა იდგა იმ კუთხეში, სადაც მიიწვედნენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომლებმაც ის გადაისროლეს ქვემოთ. შემდგომ პოლიციელებმა მოარღვიეს რკინის ჯებირები და დაიწყეს მოშიმშილეების კიბეებიდან გადმოყრა. მოშიმშილეებს კიდებდნენ ხელს და ყრიდნენ, ხშირ შემთხვევაში კი ურტყამდნენ ფეხებს. პოლიციელთა მხრიდან მათ არ მოუსმენიათ არცერთი გაფრთხილება. დემონსტრანტები პოლიციის თანამშრომლებს უსვამდნენ კითხვებს, თუ რომელი კანონი ირღვეოდა მათ მიერ, რაზეც პასუხები არ მიუღიათ. დემონსტრანტები ცდილობდნენ მოშიმშილეთა გაყვანას, რადროსაც სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები მათაც ურტყამდნენ.

ტელეკომპანია „იმედის“ ფარული ჩანანერებიდან კარგად ჩანს, როგორ ურტყამს ნიხლს ერთ-ერთი პოლიციელი პარლამენტის წევრს ლევან გაჩეჩილაძეს. კადრში ასევე ჩანს ის გარემოება, რომ ნიხლის ჩარტყმის დროს ლევან გაჩეჩილაძე არის ნაქცეული. დაახლოებით ექვსი ადამიანი მას ნიხლებს ურტყამს²². სამართალდამცავებმა ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თბილისის საკრებულოს ყოფილ წევრს ბიძინა გეგიძეს, რომელმაც წინა დღით შიმშილობა გამოაცხადა²³.

დემონსტრანტები ცდილობდნენ მოშიმშილეთა გაყვანას, რადროსაც სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები მათაც ურტყამდნენ. პარალელურად, სამართალდამცავები ადგილზე მომუშავე სხვადასხვა ტელევიზიის გადამღებ ჯგუფებს კამერებს ართმევდნენ და ამსხვრევდნენ. დარბევას იღებდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს 5-6 კამერა.

¹⁷ დავით უსუფაშვილის ახსნა-განმარტება

¹⁸ ელისო ბერიშვილის ახსნა-განმარტება

¹⁹ Human rights watch-ის მონაცემებით მათი რაოდენობა ექვსასს აღწევდა

²⁰ დავით უსუფაშვილისა და ელისო ბერიშვილის ახსნა-განმარტება

²¹ Human rights watch Crossing the line

²² Human rights watch Crossing the line

²³ დავით უსუფაშვილის ახსნა-განმარტება



დემონსტრაციის დაშლისას დააკავეს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი გოგა ხაინდრავა და „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ზურაბ მარაქველიძე. გიორგი ხაინდრავას მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი), წვრილმანი ხულიგნობის (სასკ-ის 166-ე მუხლი) და ნარკოტიკების მოხმარებისათვის (სასკ-ის 45 მუხლი). თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნათია ჯორბენაძემ სამართალდარღვევის ნიშნების არარსებობის გამო შეწყვიტა საქმის წარმოება სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებით. ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის გიორგი ხაინდრავას დაეკისრა ჯარიმა ხუთასი ლარის ოდენობით. გიორგი ხაინდრავამ უარი განაცხადა ანალიზის გაკეთებაზე. ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი სასამართლომ დადასტურებულად ცნო ექიმის კლინიკური დიაგნოზის საფუძველზე.

ზურაბ მარაქველიძე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და შთანთქმის პრინციპით დაენიშნა უფრო მძიმე, 173-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელი – ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

ბ) რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციის მეორე დარბევა

პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან უკანონოდ აყრილი აქციის მონაწილეები კვლავ დაბრუნდნენ ზემოაღნიშნულ ადგილას 7 ნოემბრის 10:30 წუთზე. თავდაპირველად შეკრება მიმდინარეობდა ტროტუარზე. მოგვიანებით აქციის მონაწილეებმა სცადეს სავალი გზის დაკავება, თუმცა პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა. შედარებით წარმატებული აღმოჩნდა აქციის მონაწილეთა მეორე მცდელობა – მრავალრიცხოვნების გამო მათი გარკვეული ნაწილი ვერ დაეცა ტროტუარზე და გადავიდა ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას. ამის გამო პოლიციამ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ გამოიყენა რეზინის ხელკეტები. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ სიუჟეტში აშკარად ჩანან ადამიანები, რომელთაც ხელკეტების მოხვედრის შედეგად თავიდან სისხლი სდით.

ხელკეტების გამოყენება უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან რამდენიმე ადამიანის დაშავების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ტრანსპორტის სავალი გზის გათავისუფლება. ამის შემდეგ პოლიცია გადავიდა უფრო მკაცრი საშუალებების გამოყენებაზე. აქციის მონაწილეთა მოპირდაპირე მხარეს მიყვანილ იქნა წყალსატყორცნი. დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ გაისმა შემდეგი მოწოდება: „გთხოვთ დაიშალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.“ აღნიშნული გაფრთხილება განმეორდა რამდენჯერმე.

წყლსატყორცნს თან ახლდა შეიარაღებული ფორმირებები. ისინი სხვადასხვანაირად გამოიყურებოდნენ. პირველ ჯგუფს, რომელიც წინა ხაზზე იმყოფებოდა, ეხურა პლასტიკური ჩაფხუტები, ხელში ეკავა ფარები და რეზინის ხელკეტები. იქვე იმყოფებოდნენ შავ პიჯაკში და ჯინსებში გამოწყობილი პირები. მათ ერთ ნაწილს ზურგზე გაკეთებული ჰქონდა წარწერა: „კრიმინალური პოლიცია.“ შავ ტანსაცმელში ჩაცმული პირების ნაწილს სახეზე ეკეთა ნიღბები. ჩაფხუტიანთა უკანა მხარეს იმყოფებოდნენ სამხედრო კამუფლაჟში გამოწყობილი პირები. მათ ერთ ნაწილს სახეზე აირწინალები ეკეთა. ტროტუარზე განთავსებული იყვნენ ყვითელ სანჯიმარში ჩაცმული საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ეს უკანასკნელნი რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ დილიდან და ლითონის ჯებირების გამოყენებით ცდილობდნენ, აღეკვეთათ საპროტესტო აქციის მონაწილეთა გადასვლა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. აქციის დასაშლელად გამოსულ არცერთ შეიარაღებულ პირს არ ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნიშანი. რუსთაველის გამზირზე „იმედის“ კორესპონდენტმა თეა ბოლქვაძემ აღმოაჩინა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი ზაზა გოგავა. თავისუფლების მოედანზე თავმოყრილი იყვნენ თავდაცვის სამინისტროს

ნომრიანი ავტომანქანები. ეს ფაქტი სპეცოპერაციაში თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის მონაწილეობაზე უნდა მიუთითებდეს.

წყალსატყორცნიდან დაახლოებით ოც მეტრში განთავსებული იყო ლითონის ჯებირი. ჯებირის მეორე მხარეს, ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას, იმყოფებოდნენ აქციის მონაწილეები. მათ ხელე-ბი ზემოთ ჰქონდათ ანეული, რითიც სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს ანიშნებდნენ, რომ შე-უიარაღებლები იყვნენ. აქციის მონაწილეთა წინა რიგებში ძირითადად ახალგაზრდები შეინიშნე-ბოდნენ. მცირე რაოდენობით, თუმცა იქვე იმყოფებოდნენ შუახნის ქალბატონები. **საზგასმით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დროს არანაირ ძალადობას აქციის მონაწილეთა მხრიდან პოლი-ციის ან სხვა პირთა მიმართ ადგილი არ ჰქონია.**

რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ ავზიდან გამოშვებულ იქნა წყლის ჭავლი, რომელმაც მხოლოდ აქციის იმ მონაწილეებზე მოახდინა გავლენა, რომლებიც იმყოფებოდნენ წინა რიგებში. წნევის სიმცირის გამო წყლის ჭავლმა ვერ მოახერხა რუსთაველის გამზირის ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას მყოფი აქციის მონაწილეების დაშლა. ამის შემდეგ ჰაერში გაშვებულ იქნა დიდი რაოდე-ნობით მომწამვლელი აირი, ცრემლსადენი გაზი. სხვადასხვა ტელეკომპანიების ეთერიდან ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად თეთრ კვამლში გაეხვია. რამ-დენიმე ათასი ადამიანი სირბილით ტოვებდა რუსთაველის პროსპექტს და გარბოდა მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლესია უკრაინკას, ჭიჭინაძისა და ჩიტაძის ვიწრო ქუჩებზე, სადაც დიდი მასის ერთიანად თავმოყრამ ჭყლეტა გამოიწვია.

ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების შედეგად მოინამლა აქციის მონაწილეთა უმრავლესობა. კერ-ძოდ, აქციის მონაწილეებს უჭირდათ სუნთქვა, გადაადგილება, ჰქონდათ გულისრევის შეგრძნება და სდიოდათ ცრემლი, რასაც თან სდევდა თვალის წვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გამ-ზირი სრულიად იყო განმენდილი, ხოლო აქციის დაშლილი და დაქსაქსული მონაწილეები სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ, შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები კვლავ აგრძელებდნენ მათ დევნას. სახალხო დამცველის რწმუნებულმა დააფიქსირა შემთხვევა ჩიტაძის ქუჩაზე, როდესაც სასწრაფო დახმარება „03“-ის თანამშრომლები პირველად სამედიცინო დახ-მარებას უწევდნენ დაშავებულ პირებს, ხოლო სპეციალური სამსახურის თანამშრომლები მათი მი-მართულებით ისროდნენ რეზინის ტყვიებს.

გაქცეულთა მცირე ნაწილმა, მათ შორის, პარლამენტის წევრებმა, მოახერხეს პარლამენტის შენო-ბაში შესვლა. პარლამენტის შენობაში შევიდა დაახლოებით 50-100 კაცი. ხალხის შესვლა პარლა-მენტის შენობაში განაპირობა თვითგადარჩენის ინსტინქტმა. ვინაიდან გაზი სწრაფად ვრცელდე-ბოდა შენობის ვესტიბულშიც, ხალხი ავიდა მე-3 სართულზე²⁴. ჭიშკარის გახსნის გადანყვეტილება მიიღო პარლამენტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ. ის გარემოება, რომ აქციის მონაწილეთა რაღაც ნაწილი პარლამენტის შენობაში აღმოჩნდა, შპს „ტელეიმედის“ ქონებაზე ყადა-ლის დადების შესახებ დადგენილებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი შავლიაშვილმა პარლამენტში „უკანონო შეჭრად“ შეაფასა (დანვრილებით იხილეთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ნაწილში).

რუსთაველის გამზირზე დარჩენილ ადამიანთა მცირე ჯგუფის მიმართ კვლავ გრძელდებოდა სადამ-სჯელო ღონისძიებები. პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების ყველაზე ნათე-ლი შემთხვევა ასახა ტელეკომპანია "Euronews"-მა. ამ უკანასკნელის ვიდეომასალაში კარგად ჩანს, აქციის დაშლის შემდეგ როგორ უსწორდება ნილაბში გამოწყობილი სპეცრაზმელი რუსთაველის გამზირზე დარჩენილ ავთანდილ ჯორბენაძეს ხელკეტით. ავთანდილ ჯორბენაძე ხელკეტის ჩარტ-ყმის შემდეგ გარბის. სხვა სპეცრაზმელები მას უკან მისდევენ და ურტყამენ ნიხლებს. არსებობს ფოტო, სადაც ჩანს ძირს ნაქცეული ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც თავზე იფარებს ხელეებს. ამ დროს სამართალდამცავები, ერთ-ერთი მათგანი სამხედრო კამუფლაჟშია ჩაცმული, ნიხლებს²⁵

²⁴ კობა დავითაშვილის ახსნა-განმარტება
²⁵ <http://www.youtube.com/watch?v=Aj1hGarg8lk&NR=1>



ურტყამენ მას. იქვე შეკრებილი ხალხი ცდილობს ყოფილი სახელმწიფო მინისტრის დაცვას თავდამსხმელთაგან. პოლიცია დაუნდობლად უსწორდებოდა პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან დარჩენილ ადამიანებს. ტელეკომპანია „კავკასიის“ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, როგორ მისდევენ ყვითელ ლაბადაში გამონყობილი პოლიციელები ქაშუეთის ეკლესიის ეზოში შევარდნილ აქციის მონაწილეებს. ცრემლსადენი გაზმა შეაღწია ქაშუეთის ეკლესიაშიც. ტელეკომპანია „იმედის“ ვიდეომასალაში ჩანს ეკლესიაში დაგდებული სისხლიანი დოლბანდი.

სახალხო დამცველის შეესწრო ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტის ლევან ტაბიძის სასტიკად ცემის ფაქტს. პოლიციელები მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და „ბადრის ლეკვს“ უწოდებდნენ. ლევან ტაბიძემ, რომელიც ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ თავს პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობას აფარებდა, დაინახა, რომ ჭიჭინაძის ქუჩაზე პოლიციელები სცემდნენ ერთ-ერთ პიროვნებას. ლევან ტაბიძემ აღნიშნული მოვლენის კამერაზე აღბეჭდა გადაწყვიტა. გადაღების დასრულების შემდეგ იგი გავიდა ჭიჭინაძის ქუჩაზე. სპეცრაზმელებმა მიკროფონის მიხედვით მისი დამსაქმებლის იდენტიფიცირება მოახდინეს. ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მას ხელკეტი გადაარტყა მარცხენა ფეხის არეში.

პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ვიდეოკამერა წაართვეს გორის ადგილობრივი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ოპერატორს გიორგი ქვრივიშვილს.

თვალშისაცემია სპეცრაზმელთა აშკარა პოლიტიზაცია. ტელეკომპანია „იმედმა“ ვიდეოკამერით დააფიქსირა რუსთაველზე მყოფი სამართალდამცავების კოლონა, რომელთა ერთი ნაწილი ყვითელ საწვინარშია გამონყობილი, მეორე ნაწილი – შავ სპეცტანსაცმელსა და ნიღბებში, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი – სამოქალაქო ტანსაცმელში და ნიღბებში. ყველა მათგანი ხმამაღლა სკანდირებს: „საქართველოს გაუმარჯოს!“ „მიშას გაუმარჯოს!“ „ბადრის რა? დედის ტყვნა“

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კადრებში ასახული ადამიანები არა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, არამედ რომელიმე ექსტრემისტული პოლიტიკური პარტიის წევრები არიან.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.“

შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, აკისრიათ ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება და მათი მხრიდან პოლიტიკური ხასიათის განცხადებები და მოწოდებები ეწინააღმდეგება პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

სამართალდამცავები ასევე სასტიკად გაუსწორდნენ რუსთაველზე დარჩენილ მცირერიცხოვან ადამიანებს. ფოტომასალებში ჩანან ნაქცეული ადამიანები, რომელთაც სახეში წიხლს ურტყამენ შავ ტანსაცმელში გამონყობილი ნიღბიანები. მოგვიანებით გამოჩნდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხმოვანი აპარატი.

სპეცრაზმელები მისდევდნენ რუსთაველის გამზირიდან გამოქცეულ დემონსტრანტებს, ძალით ამტვრევდნენ სასტუმროებისა და კერძო სახლების კარებს, შედიოდნენ და ხელჯოხებით სცემდნენ იქ შეფარებულ ადამიანებს. სახალხო დამცველის მოადგილის, სოფიო ხორგუანის განმარტებით, მან თავი შეაფარა სასტუმრო „იფარს“, მას შემდეგ რაც რუსთაველის გამზირზე თეატრალური უნივერსიტეტის მახლობლად აუფეთქდა გაზის კაფსულა. სასტუმროსთან აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. სოფიო ხორგუანი იდგა სასტუმრო „იფარის“ ფოიეში, შესასვლელი კარის

მახლობლად და ტელეეკრანზე ისმენდა პოლიტიკოსთა კომენტარებს. ამ დროს მან შეამჩნია ახალგაზრდების დაახლოებით 25 კაციანი ჯგუფი, რომელსაც უკან მოსდევდნენ შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ნიღბიანი სპეცრაზმელები. ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა სასტუმრო „იფარში“ შეაღწია. ამის შემდეგ სასტუმროს კარი ავტომატურად დაიკეტა. სპეცრაზმელებმა შენობაში შეღწევის მიზნით კარებს ქვები და ხელჯოხები დაუშინეს. სოფიო ხორგუანმა შეამჩნია, რომ სპეცრაზმელები ასევე ამტვრევდნენ სასტუმროს მახლობლად მდებარე ე.წ. „იტალიური ეზოს“ ჭიშკარს, ვინაიდან ეზოში იმყოფებოდნენ დემონსტრანტები.

პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების მსხვერპლი აღმოჩნდა მოქალაქე ნინო სოსელია. რუსთაველის გამზირზე ცრემლსადენი გაზის გაშვების დროს იგი იდგა პარლამენტის შენობის გვერდით, პირველ საშუალო სკოლასთან, რა დროსაც ნინო სოსელიას ერთ-ერთმა ნიღბიანმა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა პირმა თავის არეში ჩაარტყა ხელკეტი, სახეში გაანწა სილა და მთელი ძალით მიანარცხა პირველი საშუალო სკოლის კედელს. მიუხედავად მწვავე ტკივილისა, ნინო სოსელიას გონება არ დაუკარგავს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ იგი სახლში დაბრუნდა. მოგვიანებით მარცხენა თვალიდან დაეწყო ცრემლდენა და ძლიერი ტკივილები თავისა და ბეჭის არეში. 2007 წლის 8 ნოემბერს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს. ნ.სოსელიას მკურნალ ექიმთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას გატყევილი აქვს თავის ქალა (საფეთქლის ძვალი).

ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების შედეგად მოინამლნენ №1 კლასიკურ გიმნაზიასა და თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში მყოფი პირები. სახალხო დამცველის ოთხი რწმუნებული მონამგლის გამო გადაიყვანეს ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში. ცრემლსადენი გაზის გამოყენების შედეგად მოინამლა 9 წლის თორნიკე პაპიაშვილი.

ცრემლსადენი გაზის ბალონი შევარდა პარლამენტის შენობის გვერდით მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც თავს აფარებდა პარლამენტის შენობიდან გამოქცეული აქციის მონაწილე ირმა ქარდავა ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. ამის შემდეგ შენობაში მყოფი ადამიანები გავიდნენ ეზოში, სადაც აღმოაჩინეს, რომ გასასვლელი ჭიშკარი გარედან იყო დაკეტილი სამთავრობო დაცვის თანამშრომლების მიერ. ცრემლსადენი გაზის ჭარბი რაოდენობის მიღების შედეგად გული წაუვიდა ირმა ქარდავას უმცროს, 7 წლის ვაჟს. ამის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და ირმა ქარდავა გაემართა კანცელარიის შენობის მიმართულებით, სადაც კიდევ ერთხელ იქნა გაშვებული ცრემლსადენი გაზი. ირმა ქარდავას და მისი მცირეწლოვანი შვილები გადაყვანილ იქნენ იაშვილის სახელობის კლინიკაში.

სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სარგებლობა დასჭირდათ ნატო მასხარაშვილის ორ მცირეწლოვან შვილს, რომლებიც რუსთაველზე ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ არ შეუშვეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. უცნობმა პიროვნებამ ისინი მანქანით გადაიყვანა კოლმეურნეობის მოედანზე, სადაც გამოძახებულ იქნა „03-ის“ სამსახური.

აქციის მონაწილეთა ერთი ნაწილი გაიქცა თავისუფლების მოედნის მიმართულებით. მათ უკან დაედევნა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც გაქცეულთა მიმართულებით ცრემლსადენი გაზის კაფსულებსა და რეზინის ტყვიებს ისროდა. სპეცრაზმელებმა გაქცეულებს პუშკინის სკვერამდე სდიეს. ხელანეული რამდენიმე ახალგაზრდა პუშკინის სკვერთან კვლავ მიუახლოვდა სპეცრაზმს. მათ ახალგაზრდებს რეზინის ტყვიები და გაზის კაფსულები ესროლეს.²⁶

აქციის მონაწილეთა მეორე ნაწილი სასტუმრო „თბილისი-მერიოტის“ მიმართულებით გაიქცა. სპეცდანიშნულების რაზმმა კვლავ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. საბოლოოდ აქციის მონაწილეებმა ოპერისა და ბალეტის თეატრის უკან გადაინაცვლეს. სხვადასხვა ტელეკომპანიების ეთერში ჩნდება დამტვრეული პოლიციის მანქანა, ასევე აქციის მონაწილეები, რომლებიც სპეცრაზმელთა მიერ

²⁶ Crossing the line Human rights watch



მათკენ ნასროლ გაზის კაფსულებს სამართალდამცავებისაკენ ისროდნენ. ამ დროს გაშვებული იქნა ცრემლსადენი გაზი. კაფსულა მოხვდა „რესპუბლიკური“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თინათინ ხიდაშელს.

2007 წლის 2 ნოემბრიდან აქციის მსვლელობას თვალყურს ადევნებდნენ სახალხო დამცველის რწმუნებულები. 7 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც უკიდურესად გამწვავდა ვითარება, აქციაზე მონიტორინგის მიზნით მივიდა სახალხო დამცველიც. დაახლოებით საღამოს 3 საათზე, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მორიგი დარბევის შემდეგ იგი იმყოფებოდა რევაზ ლალიძის ქუჩაზე. ქუჩის ზედა მხარე გადაკეტილი იყო სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ფარებით და ხელკეტებით, ხოლო სახეზე ეკეთათ აირნიანალები. ქუჩის ქვედა მხარეს იმყოფებოდნენ რუსთაველის გამზირიდან სპეცდანიშნულების რაზმის მიერ გამოდევნილი ადამიანები. სახალხო დამცველის თხოვნით, პოლიციელებმა შეწყვიტეს მოქალაქეთა დევნა. სახალხო დამცველი ასევე ამშვიდებდა შეკრებილ მოქალაქეებს და სთხოვდა, დაშლილიყვნენ.

შეკრებილი მოქალაქეები თანდათან იშლებოდნენ, როდესაც მოულოდნელად აღნიშნული რაზმის უკანა მხრიდან გამოჩნდნენ სხვა სპეცრაზმელებიც; ზოგი იყო შავი ტანსაცმლითა და ნიღბებით, ხოლო ნაწილს ეცვა სამხედრო ფორმა და ეკეთათ ნიღბები. ისინი ყვირილით გამოიქცნენ ხალხისკენ, მათ ზემოთ აღმართული ჰქონდათ რეზინისა და ხის ხელკეტები. მათ გამოჰყვნენ აირნიანალებით, ფარებითა და ხელკეტებით აღჭურვილი სპეცრაზმელებიც. ამის დანახვაზე ხალხი შეშინდა და ქუჩის ქვედა მხარეს გაიქცა. სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები გაყვნენ გაქცეულ ადამიანებს. სპეცრაზმელები მიუახლოვდნენ სახალხო დამცველს და ხელკეტი ზემოთ აღმართეს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა, დანიელ მგელიაშვილმა ხელები გაშალა, ზურგით გადაეფარა სოზარ სუბარს და სპეცრაზმელებს მოსთხოვა, არ დაერტყათ სახალხო დამცველისათვის. სპეცრაზმელმა თავი შეიკავა ხელკეტის დარტყმისაგან. ამის შემდეგ დანიელ მგელიაშვილი სახალხო დამცველის წინ აღმოჩნდა. ამ დროს ნაიქცა ერთერთი დემონსტრანტი. ეს უკანასკნელი წამოაყენა სახალხო დამცველმა.

მოულოდნელად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმი მიუახლოვდა სახალხო დამცველს და ხელკეტები დაარტყა მას. სპეცრაზმელებმა განაცხადეს, რომ სახალხო დამცველი რომ იყო, სწორედ ამის გამო სცემდნენ. ამის შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დანიელ მგელიაშვილსაც. სპეცრაზმელები სახალხო დამცველს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც, კერძოდ, მას „ქვეყნის მტერს“ და „ავენტს“ უწოდებდნენ.

7 ნოემბერს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამედიცინო დანესებულებებს დახმარების მიზნით მიმართა 300-ზე მეტმა ადამიანმა. მეორე დღეს ეს რიცხვი 600-მდე გაიზარდა. საპროტესტო აქციის დარბევის შედეგად აქციის მონაწილეებთან ერთად დაშავდნენ ჟურნალისტები, სახალხო დამცველის 4 რწმუნებული და რუსთაველის გამზირზე და მის მახლობლად მდებარე შენობებში შემთხვევით მყოფი პირები. №1 კლინიკურ საავადმყოფოში იქნა ჰოსპიტალიზებული 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში შეიყვანეს მოქალაქე მალხაზ ჯოლოხავა. მას 7 ნოემბრის 05:30 საათზე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დეზოდორანტის მსგავსი ბალონიდან სახეში შეასხეს უცნობი ნივთიერება. 12 საათისათვის იგი დაბრუნდა პარლამენტის შენობის წინ, სადაც ნაცემი იქნა რეზინის ხელკეტით. მას დაესვა თავის ტვინის შერყევის დიაგნოზი, მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილის ქვეშ აღენიშნება სისხლჩაქცევები. მისი თქმით, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, რაც გამოიხატა ნემსის თითებში შერჭობაში.

7 ნოემბერს 14 საათზე რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეყვანილ იქნა მოქალაქე გია შერაზადაშვილი, რომელიც დაშავდა პარლამენტის შენობასთან აქციის დარბევის შედეგად. მას დაესვა შემდეგი

დიაგნოზი: პოლიტრავმა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ეპიდურული ჰემატომა, ორივე ჰემის-ფეროში, სუბდურული ჰემატომა მარცხენა შუბლის საფეთქელში. გაა შერაზადაშვილი იმყოფება ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე. გაა შერაზადაშვილი არ იყო საპროტესტო აქციის მონაწილე. ის იმყოფებოდა საკუთარი სახლის წინ გრიბოედოვის ქუჩაზე რუსთაველის გამზირიდან მოშორებით. გაა შერაზადაშვილი სპეცრაზმელებმა იმ დროს სცემეს, როდესაც რუსთაველის გამზირიდან გაქცეულ მომიტინგეებს მისდევდნენ.

გ) საპროტესტო აქციის დარბევა რიყეზე

რუსთაველის გამზირზე მომხდარი მოვლენების შედეგად აღშფოთებული ადამიანები შეიკრიბნენ რიყეზე. ეს უკანასკნელი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მარცხენა სანაპირო იწყება ტროტუარით, რომელიც გამოიყენება ქვეითთა სასიარულოდ, მას მოყვება ტრანსპორტის სავალი ტრასა, რის შემდეგაც დიდ ფათოზე გადაშლილია გამწვანების რამდენიმე ზოლი. ერთ-ერთ მათგანზე განთავებულია სცენა, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. სწორედ ამ ადგილას გაგრძელდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მიტინგი.

საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს მეტეხის ეკლესიის მხრიდან სანაპიროზე გამოჩნდა 10-15 სამხედრო მანქანა, რომელზეც ისხდნენ სამხედრო მოსამსახურეები. აქციის მონაწილეები სამხედრო კოლონას მოუწოდებდნენ, დამდგარიყვნენ აქციის მონაწილეთა გვერდით. სამხედრო კოლონა მცირე ხნით გაჩერდა, სამი წუთის გასვლის შემდეგ სამხედრო მანქანები დაიძრნენ, გაიარეს ბარათაშვილის ხიდი და გაემართნენ საპატრიარქოს მიმართულებით. 10-15 წუთის გასვლის შემდეგ ბარათაშვილის ხიდიდან და ხიდის ქვემოდან გამოჩნდა სპეცდანიშნულების რაზმი. მათ წინ მოუძღოდა წყალსატყორცნი. სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა მეტეხის ხიდის მხრიდანაც. ამის დანახვაზე აქციის მონაწილეებს შორის ატყდა პანიკა და მათი დიდი ნაწილი გაიქცა სხვადასხვა მიმართულებით. სპეცდანიშნულების რაზმი სკანდირებდა: „მიშა“ „გაუმარჯოს მიშას.“ სპეცდანიშნულების რაზმის მიახლოების შემდეგ დაახლოებით 20 ადამიანი დარჩა სცენაზე, ისინი მუხლებზე დაჩოქილები, სანთლებით ხელში, ტირილით განაგრძობდნენ ხმამაღლა ლოცვას. სპეცრაზმელები სცენაზე მყოფ ადამიანებს არ შეხებოდნენ. სამაგიეროდ მათ რეზინის ხელკეტებით სცემეს იქ მყოფი საპროტესტო აქციის სხვა მონაწილეები. აქციის მონაწილეებზე მიუშვეს წყლის ქავლი და ფერადი საღებავი, ესროლეს რეზინის ტყვიები.²⁷

რიყეზემ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტი ნათია მიქიაშვილი. მისი თქმით, სპეცრაზმელებმა მიკროფონის მიხედვით მოახდინეს ტელეკომპანიის იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მიზანში ამოიღეს და რეზინის ტყვიები ესროლეს მას და ოპერატორ მამუკა გოგიჩაიშვილს.

მთელ ტერიტორიაზე ალყა იქნა შემორტყმული, რაც შეუძლებელს ხდიდა ტერიტორიის უვნებლად დატოვებას. ამ დროს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ჟურნალისტი ნინო სილაგაძე იმყოფებოდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ გადამღებ ჯგუფთან ერთად. მათ თავს დაესხა ოთხი სპეცრაზმელი, რომლებმაც დამიზნებით ისროლეს რეზინის ტყვიები. ნინო სილაგაძეს მოხვდა ორი ასეთი ტყვია, ერთი მათგანი – კისრის არემი, მეორე – ფეხზე.²⁸

ნილბიანმა სამართალდამცავებმა ხელკეტების გამოყენებით დაამსხვრიეს რიყეზე მდგარი წითელი ფერის ავტომანქანა.

რიყიდან გაქცეულმა აქციის მონაწილეებმა მიაშურეს მეტეხის ეკლესიისკენ მიმავალ აღმართს. მათ დაედევნენ სპეცრაზმელები. აქციის მონაწილეთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა აღმართის

²⁷ კახა ჯანაშვილის ახსნა-განმარტება
²⁸ ნინო სილაგაძის ახსნა-განმარტება



ვინრო ასასვლელით დროულად სარგებლობას. სპეცრაზმელები აღმართის ქვემოთ დარჩენილი ადამიანების მიმართულებით ცრემლსადენი გაზის კაფსულებსა და რეზინის ტყვიებს ისროდნენ. ქვემოთ დარჩენილ ადამიანებს უმოწყალოდ სცემდნენ. 10—15 პოლიციელი ერთ მოქალაქეს შუაში აგდებდა და ნიხლებით სცემდა.²⁹

აქციის მონაწილეთა მცირე ნაწილი გაიქცა ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, როგორ შემოავლო წრე პოლიციის სამმა თანამშრომელმა აქციის ერთერთ მონაწილეს და როგორი გამეტებით დაუნყო მას ცემა.

ბარათაშვილის ხიდის მახლობლად აქციის მონაწილეებმა ნააქციეს და სცემეს სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის, სპეციალური დაცვის განყოფილების გუშაგს პაატა გელაშვილს. ამ უკანასკნელმა გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მას ქვები დაუშინეს. სპეცრაზმელის ცემა მოხდა რიყეზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლის შემდეგ.³⁰ სამართალდამცავების მიერ ძალის გამოყენებამდე შეკრება მშვიდობიან ხასიათს ატარებდა.

სპეცრაზმელები გაემართნენ ღვინის აღმართისაკენ. ისინი განთავსდნენ ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ავლაბარში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეზოსთან სანვიმარში გამონყოფილი უამრავი პოლიციელი პატრულირებდა. მათ დაიწყეს რიყიდან გამოქცეულ მომიტინგეთა ცემა. ამ დროს ისინი სკანდირებდნენ: „მიშა!“ „მიშა!“ „ბადრის რაა? დედის ტყვანა!“

სომხური სამოციქულო ეკლესიის ეზოდან სამების ტაძრის მიმართულებით ასევე დაიძრნენ მეტაღის ჩაფხუტსა და ფარებში გამონყოფილი სპეცრაზმელები. ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობა მათ ესროდა სხვადასხვა საგნებს (ქვები, ცოცხი და ა.შ). თვითმხილველთა განცხადებით, საპროტესტო აქციის მონაწილეები ამგვარად თავს იცავდნენ სპეცრაზმელთა მხრიდან თავდასხმისაგან. ორი სპეცრაზმელი მიუახლოვდა ტელეკომპანია „იმედის“ გადამღებ ჯგუფს და ჟურნალისტ ალექო გაბუნისა და ოპერატორ კახაბერ ჯანაშვილს დაარტყა ხელკეტი. ამის შემდეგ სპეცრაზმელებმა მათ ჰკითხეს, რომელ ტელევიზიაში მუშაობდნენ. რუსთაველისა და რიყის აქციის დარბევის შემდეგ „ტელეიმედის“ ჟურნალისტები ვერ გრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ, ამის გამო მუშაობას ტელეკომპანიის ატრიბუტიკის გარეშე აგრძელებდნენ. კახა ჯანაშვილმა უპასუხა, რომ „რუსთავე-2“-ის ჟურნალისტები იყვნენ. ამის შემდეგ სპეცრაზმელები „იმედის“ გადამღებ ჯგუფს დაშორდნენ.

რიყიდან გამოქცეულმა დაახლოებით 8 ადამიანმა, მათ შორის ქალებმა და ბავშვებმა, თავი მეტროსადგურ „ავლაბრის“ მოპირდაპირე საცხოვრებელი კორპუსის ქვედა სართულზე არსებულ „PSP“ აფთიაქს შეაფარეს. პოლიციელებმა შეამტვრიეს აფთიაქის კარი, იქ მყოფ ქალებსა და ბავშვებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო მამაკაცები ძალით გარეთ გამოიყვანეს, ძირს დააგდეს და ერთ ადამიანს 10-15 პოლიციელი ნიხლს და რეზინის ხელკეტს ურტყამდა.³¹ ეს გარემოება ასევე დადასტურებულია ტელეკომპანია „იმედის“ ვიდეოჩანაწერით, რომელიც გადაცემა „დროების“ ეთერში გავიდა 2007 წლის 16 დეკემბერს.

ნაცემი მოქალაქეები გაქცევას ცდილობდნენ. გაქცეულებს უკან უკვე სხვა სამართალდამცავები მისდევდნენ და ნიხლებით სცემდნენ. ადამიანები თავდაცვის მიზნით ქვებსა და ფიცრებს ისროდნენ.³² მეტროსადგურ „ავლაბართან“ ყვითელ სანვიმარებში ჩაცმულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა დაჩი ბერიძეს თავში რეზინის ხელკეტი ჩაარტყა, რის შემდეგაც ირგვლივ ბერიძეს შემოეხვივნენ დანარჩენი პოლიციელები და ნიხლებით ცემა დაუნყეს.

²⁹ კახა ჯანაშვილის ახსნა-განმარტება

³⁰ ზვიად ხარგელის ახსნა-განმარტება

³¹ კახა ჯანაშვილის ახსნა-განმარტება

³² კახა ჯანაშვილის ახსნა-განმარტება

მეტროსადგურ „ავლაბართან“ მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდნენ პირდაპირ განთავსებული კორპუსის მაცხოვრებლები. მათი უმრავლესობა აღაშფოთა სამართალდამცავების მხრიდან გამოვლენილმა სისატიკემ. ისინი ფანჯრიდან და აივნიდან ისროდნენ სხვადასხვა ნივთებს. ბოლოს სამართალდამცავებმა მათი მიმართულებით ცრემლსადენი გაზი გაუშვეს.

სპეცრაზმელები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ტაძრიდან გამომავალ ადამიანებს. არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია სამების ტაძარში მყოფი ადამიანები, რომლებიც ღამეს ათევენ და ვერ ტოვებენ ტაძარს.

რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, ალტერნატიული ექსპეტრიზების დასკვნის მიხედვით დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ რიყის აქციის დარბევის დროს ასევე გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი.

2007 წლის 7 ნოემბერს დაახლოებით 23 საათზე სამების საკათედრო ტაძრის ქვედა სართულს თავს აფარებდა 300-მდე ადამიანი. ტაძრიდან გამოსულ ადამიანებს თავს ესხმოდნენ სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმის წევრები. იქ იმყოფებოდა სახალხო დამცველის რწმუნებული კობა ჩოფლიანი, რომლის იქ ყოფნისას ტაძარი დატოვა ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელიც ოცი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ერთერთ ახალგაზრდას ორივე ბარდაყზე მიყენებული ჰქონდა დაზიანებები.

ტაძარში მყოფ ერთერთ მოქალაქეს (დაახლოებით 35 წლის მამაკაცი) კანი ჰქონდა აგლეჯილი მარჯვენა ხელის მკლავზე, საიდანაც სისხლი სდიოდა. მისი განმარტებით, დაზიანება მიღებული იყო სპეცრაზმელის მიერ ხელკეტის დარტყმის შედეგად. ერთერთ დაახლოებით 27 წლის მამაკაცს გატეხილი ჰქონდა თავი და სდიოდა სისხლი. მას 2-3 სანტიმეტრზე ამძვრალი ჰქონდა თავის კანი და თმა. მისი განმარტებით, ტაძრიდან გასვლის მომენტში თავს დაესხნენ სპეცრაზმელები, რომლებიც მას ხელჯოხებითა და რეზინის ხელკეტებით გაუსწორდნენ.

სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე იდგა მიკროავტობუსი, სადაც იმყოფებოდა 8 მომიტინგე. მუქი ფერის უნომრო „ჯიპით“ მოძრავი პირები მიკროავტობუსში მყოფ ადამიანებს იმ დროს დაესხნენ თავს, როდესაც მათ ეძინათ. თავდამსხმელებმა საპროტესტო აქციის მონაწილეები სცემეს ხელჯოხებითა და რეზინის ხელკეტებით.

სამების საკათედრო ტაძრიდან გამოსულ ყველა ადამიანს რეზინის ხელკეტებითა და ხელჯოხებით სცემდნენ მუქი ფერის უნომრო „ჯიპში“ მსხდომი ნიღბიანი პირები.³⁴

პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობას გადიოდნენ 7 ნოემბერს რიყეზე დაზარალებული სამი პირი: ვახტანგ ინასარიძე, ნიკა დიდიშვილი და გიორგი თევდორაშვილი. მათი ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ჯერჯერობით წინასწარი გამოძიების ორგანოებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ სამივე პაციენტი მონმის სტატუსით დაკითხეს. არ ჩატრებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. წინასწარი გამოძიების ორგანოების უმოქმედობის ფონზე, სახალხო დამცველმა და დაზარალებულების ადვოკატებმა (ლაშა ავალიანი და ბესო ღვინიაშვილი) 2007 წლის 20 დეკემბერს მიმართეს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორს“ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით.

2008 წლის 8 იანვარს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორმა“ სახალხო დამცველს გაუგზავნა სასამართლო-სამედიცინო დასკვნების ქსეროასლები.

2007 წლის 20 იანვარს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განცხადება გააკეთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგო-

³⁴ კობა ჩოფლიანის მოხსენებითი ბარათი



ბიანმა. მან აღნიშნა: „მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ცეცხლსასროლი იარაღით არცერთი ადამინი არ არის დაზიანებული.“

ალტერნატიული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში კი აღნიშნულია: „ჭრილობებში უცხო სხეულების არსებობის გათვალისწინებით, დაზიანება განვითარებული უნდა იყოს საკმაო კინეტიკური ენერჯის მქონე რაიმე ფეთქებადი საგნის მოქმედებით.“³⁵ იმავე შინაარსის მოსაზრებას ვხვდებით ვახტანგ ინასარიძის მიმართ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში: „დაზიანება განვითარებული უნდა იყოს ცეცხლსასროლი კომპონენტისა და საკმაო კინეტიკური ენერჯის მქონე ფეთქებადი საგნის მოქმედებით.“³⁶

„რიყეზე“ საპროტესტო აქციის დარბევაში მონაწილეობდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმი. სახალხო დამცველის რწმუნებულმა აღმოაჩინა, რომ ქ. თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის თანამშრომელი ლევან ფიცხელაური, რომელმაც სხეულზე დაზიანებები მიიღო საპროტესტო აქციის დაშლის დროს. 7 ნოემბრის საღამოს დაახლოებით 8 საათზე სასჯელალსრულების დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმი მობილიზებული იყო მეტეხის ხიდთან. მათი უწყებრივი კუთვნილება დასტურდებოდა სპეციალურ ტანსაცმელზე წარწერით: „სად“.

დ) კობა დავითაშვილის გატაცება და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება

კობა დავითაშვილი არის „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე. აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრია. ეს უკანასკნელი ორგანიზებას უწევდა ქ. თბილისში 2007 წლის 2-7 ნოემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციას რუსთაველის გამზირზე.

7 ნოემბერს ცრემლსადენი გაზის გამოყენებით რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო აქციის დარბევას კობა დავითაშვილი თვალყურს პარლამენტის შენობის სახურავიდან ადევნებდა. კობა დავითაშვილი სახურავზე ხმის გამაძლიერებელთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას ცდილობდა. აღნიშნული საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ ოპოზიციის ერთიანი ეროვნული საბჭო „რესპუბლიკური პარტიის“ ოფისში შეიკრიბა, სადაც დაიგეგმა საპროტესტო აქციის ჩატარება რიყეზე. ვინაიდან მიტინგის ჩასატარებლად საჭირო აპარატურა კვლავ არ არსებობდა, კობა დავითაშვილი „კონსერვატიული პარტიის“ სამ წევრთან ერთად წავიდა მის შესაძენად.

გამყიდველმა კობა დავითაშვილს აცნობა, რომ დილიდან ბაზრობაზე დადიოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები და ძმები რურუების დაჯგუფების წევრები.³⁷ ისინი ხალხს უკრძალავდნენ აქციაზე წასვლას. ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიაში კობა დავითაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შეიძინეს საჭირო აპარატურა. როდესაც ისინი გამოდიოდნენ მაღაზიიდან, იქ მივიდა 20-მდე ადამიანი. დაახლოებით 7 მათგანი შევიდა მაღაზიაში და ყოველგვარი საუბრის ან გაფრთხილების გარეშე დაიწყეს კობა დავითაშვილის ცემა. აღნიშნული პირები, კობა დავითაშვილის განმარტებით, იყვნენ შავ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულები. კობა დავითაშვილს ზუსტად არ ახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა მისი ცემა. მას სცემდნენ სკამებით, გასაშლელი რკინის ჯოხებითა და გაურკვეველი საგნებით, შემდეგ გამოიყვანეს

³⁵ ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა №56/კ ნიკა დიდიშვილის მიმართ მე-10 გვ.

³⁶ ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გიორგი თევდორაშვილის მიმართ №55/კ მე-7 გვ.

³⁷ ნიკოლოზ რურუა საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. ძმასთან, გიორგი (ჟორიკა) რურუასთან ერთად, ნიკოლოზ რურუა 1991-1992 წლებში სახელმწიფო გადატრიალების დროს ხელმძღვანელობდა არაფორმალური შეიარაღებული სამხედრო ფორმირების, „მხედრიონის“ ერთერთ დანაყოფს ე.წ. „ბოროტების სამოს“. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში, ასევე 1993 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიმდინარე სამოქალაქო ომში. ოპოზიციური პარტიის ზოგიერთი ლიდერის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს გიორგი რურუა სავარაუდოდ მონაწილეობდა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის დაშლაში.

გარეთ და განაგრძეს მისი ცემა. კობა დავითაშვილმა იქვე მდგარ სასულიერო პირს და „ელიავას“ ბაზრობაზე მყოფ ხალხს სთხოვა დახმარება. ამის შემდეგ თავდამსხმელები მოქალაქეებმა ალყაში მოაქციეს. კობა დავითაშვილის განმარტებით, ხალხის წინააღმდეგობის გამო თავდამსხმელები ვეღარ ახერხებდნენ კუთვნილ ავტომანქანამდე მისვლას. მათ მძევლად აიყვანეს მახლობლად მდგარი თეთრი მიკროავტობუსის მძღოლი, კობა დავითაშვილი საბარგულში ჩასვეს და აიძულეს მძღოლი, წასულიყო გორში გლდანის გავლით. აღნიშნული მიკროავტობუსი იყო თეთრი ფერის, საბარგო. სავარაუდოდ, მძღოლი ვაჭრობდა მანქანის საბურავებით, ვინაიდან საბარგული სავეს იყო შეფუთული საბურავებით. მიკროავტობუსში თავდამსხმელები აგრძელებდნენ კობა დავითაშვილის ცემას. ამ უკანასკნელის განმარტებით, ის შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ თავდამსხმელები სახეს არ მალავდნენ. ამ გარემოებამ მას აფიქრებინა, რომ მისი ფიზიკური ლიკვიდაცია ჰქონდათ გადანყვეტილი, რაც საუბრისას დაუდასტურეს კიდევ. კერძოდ, კობა დავითაშვილმა მიმართა მათ „თუ მკლავთ, რაღა გორში მიგყავართ, კასპში მაინც ჩამიყვანეთ, მშობლიური მხარეა“, რაზეც თავდამსხმელებმა უპასუხეს: „შეგისრულებთ, თუ პურმარილს იკისრებ“. კობა დავითაშვილმა მგზავრობისას დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი. ვინაიდან მიიჩნია, რომ მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო, წარმოთქვა ლოცვა და შეუნდო თავდამსხმელებს ყოველივე. ამან, მისი ვარაუდით, იმოქმედა მათზე, რადგან მათ მძღოლს გააჩერებინეს მანქანა, ამოიტანეს წყალი, რომლითაც მობანეს სახე და ჭრილობა ცხვირსახოცით შეუხვიეს. თავდამსხმელების მითითებით, მძღოლმა კობა დავითაშვილისათვის უცნობ ადგილას, ბუჩქნარში გადაუხვია. გამტაცებლები გადავიდნენ ავტომანქანიდან და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საუბრობდნენ ტელეფონზე. ამის შემდეგ კობა დავითაშვილი გადაიყვანეს შავი ფერის ტოიოტას ფირმის ჯიპში. მანქანას მძღოლის მხარეს დაზიანებული ჰქონდა წინა საქარე მინა, ასევე მძღოლი გვერდით საქარე მინა არ იწეოდა ბოლომდე. კობა დავითაშვილმა, სანამ ჯიპში ჩასვამდნენ, შენიშნა წითელი ფერის BMW-ს მარკის ავტომანქანა. „ჯიპში“ მას გადმოჰყვა 2-3 თავდამსხმელი, ხოლო მანქანაში კიდევ 2 უცნობი პიროვნება დახვდათ. მგზავრობისას თავდამსხმელები პერიოდულად უკავშირდებოდნენ უცნობ პიროვნებას და მას ასმენინებდნენ კობა დავითაშვილის კენესას. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას მოისმინა, როგორ ეუბნებოდნენ თავდამსხმელები უცნობს, „სამნი ჩვენ ვართ, ალიკაც აქ არის“.

ბოლოს თავდამსხმელებმა კობა დავითაშვილს უთხრეს, რომ ასაღელვებელი აღარაფერი ჰქონდა, ვინაიდან მიჰყავდათ საავადმყოფოში. იგი ცოტა ხანში მიიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანა დაუბრკოლებლად შევიდა ჰოსპიტალის ეზოში. კობა დავითაშვილი გადაიყვანეს საკაცზე და მოათავსეს რეანიმაციაში. დაზარალებული აღნიშნავს, რომ მომსახურე მედ-პერსონალი გაკვირვებული ჩანდა მისი იქ ხილვით, თუმცა ექიმებმა თითქოს იცოდნენ საქმის ვითარება და მომზადებულები იყვნენ მის მისაღებად. ექიმი დაჟინებით მოითხოვდა ოპერაციის ჩატარებას, რასაც კობა დავითაშვილი ეწინააღმდეგებოდა. მას ჰოსპიტალში ჩაუტარდა მთელი რიგი გამოკვლევები. მიუხედავად იმისა, რომ მას არც შინაგანი ორგანოების დაზიანება და არც თავის ქალის სერიოზული ტრავმა აღენიშნებოდა, იგი მოათავსეს რეანიმაციაში. აქ იგი სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ აძლევდნენ ტელეფონზე დარეკვის საშუალებას. მეორე დღე შეიტყო, რომ გორის ეპისკოპოსი მეუფე ანდრია ცდილობდა მასთან დაკავშირებას, თუმცა ექიმმა მას განუმარტა, რომ კობა დავითაშვილის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იგი ვერ შეძლებდა ლაპარაკს. კობა დავითაშვილის განმარტებით, გორის ჰოსპიტალში მომუშავე მისმა ნათესავმა მალულად შეძლო მასთან მობილური ტელეფონის შეტანა. კობა დავითაშვილი დაუკავშირდა ოჯახს და პარლამენტის წევრ კახა კუკავას. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი. კობა დავითაშვილის განმარტებით, ამჟამად აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა მისი დაკითხვა მოხდა მხოლოდ 14 ნომბერს.³⁸ სახალხო დამცველმა მას ახსნა-განმარტება ჩამოართვა 2007 წლის 9 ნოემბერს.

7 ნოემბერს ღამით სახალხო დამცველის სამი რწმუნებული ცდილობდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში შესვლას და კობა დავითაშვილთან შეხვედრას. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის უხეში დარღ-

³⁸ კობა დავითაშვილის ახსნა-განმარტება



ვევით სახალხო დამცველის რწმუნებულებს უარი უთხრეს ჰოსპიტალის ტერიტორიაზე დაშვებაზე. ასეთ პირობებში უცნაურია, როგორ მოახერხეს გაურკვეველი პირებმა კობა დავითაშვილის სამხედრო ჰოსპიტალში მოთავსება.

ე) ტელეკომპანია „იმედის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის დარბევა

2007 წლის 7 ნოემბერს 20 საათსა და 20 წუთზე საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკის“ წამყვანებმა ლევან ჯავახიშვილმა და სოფო მოსიძემ მაცურებელს აცნობეს ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის და ანძიდან მათი სიგნალის გათიშვის თაობაზე. წამყვანებმა მოითხოვეს, ხელისუფლება არ წასულიყო პროვოკაციაზე და დაცული ყოფილიყო ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლების უსაფრთხოება. წამყვანები საეთერო სტუდიაში ელოდნენ სპეცდანიშნულების რაზმის გამოჩენას. ცოტა ხანში ლევან ჯავახიშვილმა და სოფო მოსიძემ საეთერო სტუდია დაუთმეს არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქციის ხელმძღვანელს გიორგი თარგამაძეს. ის საუბრობდა ტელეკომპანია „იმედის“ დამსახურებაზე საზოგადოების მიმართ. ამ დროს ეთერში გაისმა ყვირილი. გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ტელეკომპანიაში სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა და იმედი გამოთქვა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა.

გიორგი თარგამაძის სატელევიზიო განცხადების ეთერში გასვლის შემდეგ ახმეტელის ქუჩაზე, ტელეკომპანია „იმედის“ შენობის გარშემო, შეკრება დაიწყო მოქალაქეებმა. საპროტესტო აქციას შეურთდნენ ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები, რომლებიც სამსახურში ბრუნდებოდნენ და შენობაში ვერ შევიდნენ სპეცრაზმის შეჭრის გამო.³⁹ ტელეკომპანიის შენობასთან მივიდნენ სხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტებიც. საპროტესტო აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ტელეკომპანია „იმედის“ აღდგენას⁴⁰ და სკანდირებდნენ „იმედი! იმედი!“⁴¹ შემთხვევის ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ სხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტები. ტელეკომპანიის ეზოში გამოყვანილი „ტელეიმედის“ თანამშრომლები სხვა ტელეკომპანიების კამერების წინ საუბრობდნენ „იმედის“ შენობაში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე.

ადგილზე მობილიზებული იყო სპეცდანიშნულების რაზმი. მათ დოლბანდები გაიკეთეს,⁴² მიუახლოვდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს, ესროლეს მათ რეზინის ტყვიები და რეზინის ხელკეტებით დაუნყეს ცემა.⁴³ დარბევის დაწყებამდე საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ძალადობას.⁴⁴ საპროტესტო აქციის დაშლა მოხდა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.⁴⁵ სპეცრაზმელები საპროტესტო აქციაზე მყოფ ქალბატონებს „პატარაკაციშვილის ბოზებს“, „ურის ბოზებს“ უწოდებდნენ. იმავე ლექსიკას იყენებდნენ სპეცრაზმელები, როდესაც მათ ეკითხებოდნენ შენობაში მყოფი ტელეკომპანიის თანამშრომლების მდგომარეობას. ორ ახალგაზრდას, რომლებმაც იკითხეს ტელეკომპანიის შიგნით არსებული მდგომარეობა, ნილბიანებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ავტომანქანა ნივა დაუზიანეს.⁴⁶ გაშვებული იქნა ცრემლსადენი გაზი, რის შედეგადაც აქციის მონაწილეები გაიქცნენ მახლობლად მდებარე კორპუსებისაკენ, სადაც თავი შეაფარეს საცხოვრებელ სახლებს.⁴⁷ სპეცრაზმელებმა ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ ერთი მიმართულებიდან ალყაში მოაქციეს საპროტესტო აქციის მონაწილეები და არ აძლევდნენ მათ შესაძლებლობას, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ტელეკომპანია „იმედის“ მიმდებარე ტერიტორია.⁴⁸ სპეცრაზმელები აგრძელებდნენ კორპუსებისკენ გაქცეული ადამიანების

³⁹ თინათინ ბაქარაძის ახსნა-განმარტება

⁴⁰ ქეთევან ვაშაკიძის ახსნა-განმარტება

⁴¹ ხათუნა ფხაკაძის ახსნა-განმარტება

⁴² სალომე არშუას ახსნა-განმარტება

⁴³ რუსუდან ტაბატაძის ახსნა-განმარტება

⁴⁴ გიორგი მდივანის ახსნა-განმარტება

⁴⁵ თამარ კვანტალიანის ახსნა-განმარტება

⁴⁶ მაია ანთელავას ახსნა-განმარტება

⁴⁷ რუსუდან ტაბატაძის ახსნა-განმარტება

⁴⁸ ქეთევან ვაშაკიძის ახსნა-განმარტება

დევნას. მათ გაქცეულ ქალს, ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელს მაია ანთელავას 6 რეზინის ტყვია მოარტყევს.⁴⁹ შედიოდნენ სადარბაზოებში და ხელკეტებით სასტიკად უსწორდებოდნენ იმ ადამიანებს, ვინც ბინაში თავშესაფრის მოპოვება ვერ შეძლო.⁵⁰ არაერთი რეზინის ტყვია და ცრემლსადენი გაზის კაფსულა ესროლეს ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებს, მას შემდეგ რაც ისინი სპეცრაზმელებმა შენობიდან გაიყვანეს ლუბლიანას ქუჩაზე. სპეცრაზმელები გაქცეულებს დევნიდნენ დიღმის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიამდე. დიღმის ბაზართან გაუშვეს ცრემლსადენი გაზი.⁵¹ ტელეკომპანიასთან აქციის დარბევის დროს სპეცრაზმელებმა ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს 12 წლის არასრულწლოვანს.⁵² გაქცეულ ადამიანებს, რომლებიც დასასვენებლად ჩერდებოდნენ, სპეცრაზმელები რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ.⁵³ სპეცრაზმელები გაქცეულების დევნას მხოლოდ რამდენიმე კილომეტრში, მაიაკოვსკის ძეგლთან წყვეტდნენ.⁵⁴ ახალგაზრდებს მისდევდნენ და ცრემლსადენი გაზის კაფსულებს ესროდნენ რესტორან „ლუდის მოედნის“ მიმართულე-ბითაც.⁵⁵

ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ მდებარეობს შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია სუპერმარკეტი. საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს აღნიშნულ სუპერმარკეტში იმყოფებოდა შენობის ზედა სართულზე მაცხოვრებლების მცირე ნაწილი. სპეცრაზმელებმა სუპერმარკეტის მიმართულებით ისროლეს ცრემლსადენი გაზის კაფსულები.⁵⁶

„რუსთავი 2-ის“ მაცურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა მამა-შვილის, თეიმურაზ და გიორგი თოფურიების ცემის კადრები. ტელეკომპანია „იმედის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჟურნალისტის, მანანა მანჯგალაძის პირდაპირი ჩართვის დროს, ყვითელ ლაბადაში ჩაცმული პოლიციელები გამოედევნენ საპროტესტო აქციის მონაწილეს, თეიმურაზ თოფურიას და ხელკეტი ჩაარტყევს მას. ამის შემდეგ თეიმურაზ თოფურია ძირს დაეცა. პოლიციელთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი მივარდა ნაქცეულ ადამიანს და წიხლების კვრით გააგრძელეს მასზე ძალადობა. გიორგი თოფურია გადაეფარა მამას, თუმცა იმ მომენტში არ იცოდა ნაქცეული ადამიანის ვინაობა. პოლიციისაგან მოქნიული ხელკეტები მოხვდა გიორგი თოფურიასაც.

როგორც ვთქვით, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, რეზინის ხელკეტები ასევე გამოიყენეს ლუბლიანას ქუჩაზე, სადაც გამოიყვანეს ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები. რეზინის ხელკეტის გამოყენებით თავი გაუტყეხეს ჟურნალისტ ანა მამულაშვილს. ლუბლიანას ქუჩაზე მყოფი ჟურნალისტები აპირებდნენ შინ დაბრუნებას. კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცავების მხრიდან ძალის გამოყენება მიზნად ისახავდა უფრო მეტად ანგარიშსწორებას, ვიდრე დემონსტრაციის დაშლას. ამის გამო ლუბლიანას ქუჩის შემთხვევა უფრო დეტალურად არის განხილული გამოხატვის თავისუფლების თავში.

7 ნოემბრის მოვლენების სამართლებრივი შეფასება

7 ნოემბერს პოლიციამ გამოიყენა სპეციალური საშუალებები – ცრემლსადენი გაზი, რეზინის ხელკეტები, რეზინის ტყვიები, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხმოვანი აპარატი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მაქქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განაცხადა, რომ ძალის გამოყენება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აბსოლუ-

⁴⁹ მაია ანთელავას ახსნა-განმარტება
⁵⁰ რუსუდან ტაბატაძის ახსნა-განმარტება
⁵¹ თინათინ ბაქრაძის ახსნა-განმარტება
⁵² მაია შათაშვილის ახსნა-განმარტება.
⁵³ გიორგი მდივანის ახსნა-განმარტება
⁵⁴ მაია ანთელავას ახსნა-განმარტება
⁵⁵ თამარ კვანტალიანის ახსნა-განმარტება
⁵⁶ ირაკლი ნიჭარაძის ახსნა-განმარტება



ტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ძალის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო იმ პირთა ქმედება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს, არამედ ყველა მასთან დაკავშირებული გარემოება, მათ შორის ძალის გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი (150-ე პარაგრაფი).

გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის № 34/169 რეზოლუციით დამტკიცდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ქცევის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „ძალის გამოყენება უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. დაუშვებელია, ამ პრინციპის ინტერპრეტაცია მოხდეს იმგვარად, რომ ძალის გამოყენება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული“.

იმავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ გამოირიცხოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, განსაკუთრებით ბავშვების წინააღმდეგ. ზოგადი პრინციპის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოიყენება, თუ ეჭვმიტანილი არ გასწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ან საფრთხეს არ შეუქმნის სხვის სიცოცხლეს, თუკი ნაკლებად მკაცრი საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია საფრთხის აღმოფხვრა ან დამრღვევის შეპყრობა. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თითოეული შემთხვევა უნდა ეცნობოს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს.“

გადამეტებული ძალის გამოყენების სტანდარტები დაადგინა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ: „საფრთხეში მყოფმა სახელმწიფო ინტერესებმა შესაძლოა გადანონოს ინდივიდის უფლებები, თუკი ობიექტურად დადგენილია ძალის გამოყენების აუცილებლობა. ამისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოყენებული იარაღის სახე, ის გარემოებები, რომლებშიც გამოყენებული იქნა ძალა და ის პირები, ვის მიმართაც მოხდა ძალის გამოყენება.“⁵⁷

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოსტონის პოლიციის დეპარტამენტის ინსტრუქციების შესაბამისად, სამართალდამცავმა არ შეიძლება ნაკლებ ლეტალური ძალა გამოიყენოს,⁵⁸ თუკი პიროვნება არ უწევს მას წინააღმდეგობას. იმავე დოკუმენტის თანახმად, ხალხმრავალ შეკრებებზე სპეციალური ნაკლებლეტალური საშუალების გამოყენება დასაშვებია, თუკი არსებობს ტენდენცია, რომ ამგვარ თავყრილობაზე მოხდეს ძალადობა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული საშუალება საფრთხის შესაბამისი უნდა იყოს. დაუშვებელია არაუფლებამოსილი პირის მიერ ძალის გამოყენება. ძალის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის შემადგენლობა, კერძოდ, მისი ფსიქოლოგიური და მენტალური მონაცემები. დაუშვებელია სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსული ქალის, ბავშვების (16 წლამდე) და მოხუცების (50 წლის ზემოთ), ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მიმართ.⁵⁹

შემთხვევა, როდესაც ხელკეტის გამოყენება ხდება გაქცეული ადამიანის მიმართ, რომელიც არანაირ საფრთხეს არ უქმნის პოლიციას, უნდა შეფასდეს, როგორც ძალის გადამეტებული გამოყენება. იგივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს რუსთაველის გამზირზე წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებას საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, რომელთაც ხელები ზემოთ ჰქონდათ აწეული და არანაირ საფრთხეს არ უქმნიდნენ პოლიციის ან სხვა ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და საკუთრებას. ძალის გამოყენების აუცილებლობა მით უმეტეს, არ არსებობდა მაშინ, როდესაც ცრემლსადენი გაზისგან თავის დასაცავად საპროტესტო აქციის მონაწილეები თავს აფთიაქს აფარებდნენ ან გარბოდნენ რუსთაველის გამზირის გვერდით ქუჩებზე. ტელეკომპანია „იმედის“ ტერიტორიაზე განსაკუთრებით ხშირი იყო არასრულწლოვანთა ხელკეტებით ცემა. ამგვარად, არ იქნა გათვალისწინებული იმ პირთა თავისებურება, რომელთა მიმართაც

⁵⁷ Supreme Court in *Graham v. Connor*, 490 U.S. 386 (1989) http://www.aclum.org/pdf/less_lethal_report.pdf

⁵⁸ ნაკლებ ლეტალურ საშუალებაში იგულისხმება რეზინის ხელკეტი, რეზინის ტყვია და ცრემლსადენი გაზი, საშუალება, რომელსაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია სიკვდილის გამოწვევა

⁵⁹ http://www.aclum.org/pdf/less_lethal_report.pdf

მოხდა ძალის გამოყენება. რიყეზე მიდინარე აქციის დაშლისას ცეცხლსასროლი იარაღით სამი პირის დაზიანება, წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ყველაზე მძიმე შემთხვევას. ვახტანგ ინასარიძე, ნიკა დიდიშვილი და გიორგი თევდორაშვილი არ უნევენდნენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას, არ უქმნიდნენ საფრთხეს სამართალდამცავების ან სხვა პირთა სიცოცხლეს.

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელმაც, აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნების მასობრივი დარღვევის შემთხვევაში უნდა მოსთხოვოს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა. 7 ნომბერს არცერთი საპროტესტო აქციის დაშლას წინ არ უსწრებდა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნა.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.**

ამგვარი გაფრთხილება არ იქნა გაკეთებული პოლიციის მხრიდან რუსთაველზე მოშიმშილეების დაშლის, ასევე რიყესა და ტელეკომპანია „იმედთან“ მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლის დროს. აქციის მონაწილეები გააფრთხილეს მხოლოდ რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მეორედ დაშლისას.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **პოლიციელი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელს თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მონიშვნა და სპეციალური ჟეტონი.**

საპროტესტო აქციის დაშლის დროს არცერთი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს არ გააჩნდა რაიმე საიდენტიფიკაციო ნიშანი. ბევრ მათგანს ეცვა ჯინსი, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს. **აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ აქცია დაარბიეს ძალის გამოყენებაზე არაუფლებამოსილმა პირებმა.** იმავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეკრების დაშლაში მონაწილეობდნენ უწყებები (თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), რომელთაც არანაირი კომპეტენციური შემხებლობა არ გააჩნიათ საპროტესტო აქციის დაშლასთან.

ვინაიდან რიყესა და ტელეკომპანია „იმედთან“ შეკრება არ იმართებოდა ტრანსპორტის ან ხალხის სამოძრაო ადგილას, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლისა და „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, არ არსებობდა თბილისის მერიის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება. შესაბამისად, ამ შეკრების ჩატარება იყო კანონიერი.

აქვე უნდა გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ. **ევროსასამართლოს მიხედვით, სხვა კანონდარღვევის არარსებობის შემთხვევაში, შეკრების დაშლა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ორგანიზატორებს წინასწარ არ გაუფრთხილებიათ სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოები, წარმოადგენს შეკრების თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.**

„პოლიციის შესახებ“ კანონი ამომწურავად ჩამოთვლის სპეციალური საშუალებების სახეებს. მათ შორის გვხვდება რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ნელსატყორცნი. ჩამონათვალში არ გვხვდე-



ბა რეზინის ტყვია. მე-12 მუხლის პირველ პუნქტში გვხვდება სპეციალური საშუალებების ამომწურავი ჩამონათვალი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ნორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი სხვა იძულების სპეციალური საშუალების გამოყენება გარდა იმისა, რაც განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლით.

ამ მოსაზრებას ამყარებს „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.“

ვინაიდან მე-12 მუხლი არ ითვალისწინებს პოლიციის მიერ რეზინის ტყვიის გამოყენების უფლებამოსილებას, ცხადია, რომ საჯარო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი და შესაბამისად, აკრძალული საშუალების გამოყენებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, უნდა დაისვას არა მხოლოდ რიგითი სპეცრაზმელების პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში უნდა იქნეს მიცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ის მაღალი თანამდებობის პირი, ვინც საქართველოს კანონმდებლობის სანინააღმდეგოდ შეიძინა რეზინის ტყვიები და ბრძანება გასცა მისი გამოყენების შესახებ. გადაუჭარბებლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეზინის ტყვიების ვერც შეძენა და ვერც გამოყენება ვერ მოხდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გარეშე. ამგვარად, აშკარად იკვეთება მინისტრის როგორც თანამდებობრივი, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

რეზინის ტყვიების გამოყენების მართლზომიერების დასასაბუთებლად შეუძლებელია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პრაქტიკაზე მითითება, სადაც მისი გამოყენება პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების დროს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია, კანონით განსაზღვროს რეზინის ტყვიების გამოყენების უფლება. შინაგან საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი გასამხედროებული ნაწილები, წარმოადგენენ რა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, ეკისრებათ კანონის ზუსტი აღსრულების ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ აკრძალულია ადამიანის მიმართ კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საშუალების გამოყენება.

სახელმწიფო ფლობს მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე. იმავდროულად, ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში; კონკრეტული იძულების ღონისძიებები პირდაპირ, ნათლად, არაორაზროვნად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით.

„პოლიციის შესახებ“ კანონი საერთოდ არ განსაზღვრავს რეზინის ტყვიის გამოყენების შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც პოლიციის არსენალში რეზინის ტყვიის მოხვედრა თავისთავად უკვე წარმოადგენს კანონდარღვევას, ყოველგვარ აზრს არის მოკლებული იმ საკითხის განხილვა, რამდენად ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს ან რამდენად აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებას წარმოადგენდა მისი გამოყენება თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში.

ამგვარად, რეზინის ტყვიის გამოყენების ფაქტი, სხვა გარემოებების მტკიცების გარეშე, უკვე წარმოადგენს გადამეტებული ძალის გამოყენებას. შესაბამისად, ლევან ჯავახიშვილის, ზაალ წულუკიძის, მაია ანთელავას, ლაშა მიქაძის და სხვების მიმართ ჩადენილი ქმედებები წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც კანონით ნებადართულია რეზინის ტყვიების გამოყენება, მათ იყენებენ მხოლოდ შეკრების მონაწილეთა მხრიდან ძალადობის განსაკუთრებული ფორმის მაგალითად ე.წ. „მოლოტოვის კოქტილის“ სროლის შემთხვევაში.⁶⁰

⁶⁰ http://www.nio.gov.uk/international_law_enforcement_forum_visits_and_meetings_in_washington_august_2004.pdf

თბილისში 7 ნომბერს არ დაფიქსირებულა არც „მოლოტოვის კოქტეილის“, არც სხვა რაიმე განსაკუთრებული საშუალების გამოყენების ფაქტი. მომიტინგეები პოლიციის მხრიდან აგრესიისაგან თავს იმ საშუალებებით იცავდნენ, რაც სპონტანურად მოხვდებოდათ ხელში. რასაკვირველია, დაფიქსირდა მომიტინგეების მხრიდან სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლების მიმართ გაუმართლებელი სისასტიკის გარკვეული შემთხვევები, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს სამართლებრივ რეაგირებას, თუმცა მსგავსი შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სპეცრაზმელების შემოტევის საპასუხოდ, არანაირად არ ამართლებს იმ ქმედებებს, რასაც პოლიციამ და ხელისუფლების მიერ მობილიზებულმა სხვა ძალებმა მიმართეს მშვიდობიანი მანიფესტაციის დასარბევად. ყველაზე აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მანიფესტაციას, სამივე აღწერილ შემთხვევაში, კი არ შლიდნენ, არამედ არბევდნენ. ხალხს გზებს უკეტავდნენ, დასდევდნენ, მიზანი იყო მათი ცემა და ფიზიკური ზიანის მიყენება და არა ქუჩის განმენდა ან სხვა მიზნები, რომლებიც მოხსენიებული იქნა აღწერილი მოვლენების გასამართლებლად.

რაც შეეხება რეზინის ხელკეტს, წყლის ქავლს, ცრემლსადაც გაზს, როგორც სპეციალურ საშუალებებს, მათი გამოყენება, მართალია ნებადართულია „პოლიციის შესახებ“ კანონით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილება ექვემდებარება მკაცრ შეზღუდვებს. პირველ რიგში, მათი გამოყენება უნდა ემსახურებოდეს განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს აუცილებელი, პროპორციული ღონისძიება და სხვა უფრო მსუბუქი საშუალებით შეუძლებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მიღწევა.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცრემლსადაცნი გაზის გამოყენება ხდება მოქალაქეზე, პოლიციელზე, დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცრემლსადაცნი გაზის გამოყენება ხდება მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით და ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამგვარი სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება მიეცათ ერაყში განთავსებულ შეიარაღებულ ძალებს სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად. აკძალულია ცრემლსადაცნი გაზის გამოყენება იმ მეზობლთა მიმართ, რომლებიც სამოქალაქო პირს იყენებენ ფარად. ამგვარი საშუალების გამოყენება ასევე ნებადართულია ამერიკის შეერთებული შტატებში ბრბოს თავდასხმის მოსაგერიებლად ან პატიმრების ტრანსპორტირებისას თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.⁶¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცრემლსადაცნი გაზის გამოყენებით მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დაშლა მიჩნეულია ძალის გადამეტებულ გამოყენებად. მაგალითად, როცა ჰუმბოლდტის საგრაფოს შერიფის მოადგილემ ჰიდვოთერის ტყის აქტივისტების მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დასაშლელად ცრემლსადაცნი გაზი გამოიყენა, კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის მსაჯულთა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა გადამეტებულ ძალის გამოყენებას.⁶²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცრემლსადაცნი გაზის გამოყენების საკითხს შეეხო საქმეში ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ. ცრემლსადაცნი გაზი არ წარმოადგენს ქიმიურ იარაღს. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ მის გამოყენებას შეუძლია, გამოიწვიოს სუნთქვის პრობლემები, გულსრევა, პირღებინება, სასუნთქი ტრაქტის გაღიზიანება, ცრემლის სადინარისა და თვალის გაღიზიანება, კრუჩხვები, გულმკერდის ტკივილი, ალერგია. დიდი დოზის მიღება იწვევს სასუნთქი

⁶¹ <http://www.commondreams.org/headlines03/0402-01.htm>
⁶² John Driscoll, *Excessive force: Jury issues verdict in favor of pepper spray plaintiffs*, EUREKA TIMES STANDARD, April 29, 2005. http://www.aclum.org/pdf/less_lethal_report.pdf



გზების ან საჭმლის მომწოდებელი ტრაქტის ნეკროზის, ფილტვების დაავადებას ან შინაგან სისხლ-ჩაქცევას (ცრემლსადენი გაზის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტი, იხილეთ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ* (მე-18 პარაგრაფი).

ოია ატამანის საქმეში ადგილი ჰქონდა ცრემლსადენი გაზის გამოყენებას იმ დემონსტრანტთა მიმართ, რომლებმაც შეაფერხეს ტრანსპორტის მოძრაობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დემონსტრაციის დაშლა მიიჩნია მე-11 მუხლის დარღვევად. სასამართლომ განაცხადა: „თუკი დემონსტრანტების მხრიდან ადგილი არა აქვს ძალადობრივ აქტებს, გარდა იმისა, რომ მათ შეაფერხეს ტრანსპორტის მოძრაობა, საჯარო ხელისუფლებას მართებს განსაზღვრული ხარისხის შემწყნარებლობის გამოჩენა ხალხის მშვიდობიანი შეკრების მიმართ, რომელიც გარანტირებულია ევროკონვენციის მე-11 მუხლით“ (42-ე პარაგრაფი).

ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ხელკეტებით შეკრების დაშლის შემთხვევაში ასევე ნამოიჭრება ამგვარი ღონისძიების მე-3 მუხლთან (წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) შესაბამისობის საკითხი. ოია ატამანის საქმეში ვერ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან გამოცხადებულმა ვერ წარმოადგინა სამედიცინო დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა ცრემლსადენი გაზის მიერ გამოწვეული გვერდითი ეფექტები. ცრემლსადენი გაზის გამოყენებას ახასიათებს გვერდითი ეფექტები, რაც დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დასკვნით. ამასთან ერთად, ცრემლსადენი გაზის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის ტანჯვასა და დამცირებას (23-25 პარაგრაფები).

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კონტექსტში რეზინის ხელკეტისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენების პროპორციულობის საკითხს შეეხო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში *ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*.⁶³ სასამართლომ განაცხადა, რომ ძალის არგადამეტების მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს (31-ე პარაგრაფი). მართალია, აღნიშნულ საქმეში არ არსებობდა წინასწარი გაფრთხილება აქციის ჩატარების თაობაზე, თუმცა პოლიციას ჰქონდა შესაძლებლობა, აღნიშნული სცოდნოდა და გაეტარებინა პრევენციული ზომები. აქციის მონაწილეები მშვიდობიანი გამოხატვის ფორმით არ ქმნიდნენ იმგვარ საფრთხეს, რომ მათ მიმართ ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ხელკეტების გამოყენება გამხდარიყო აუცილებელი. შეკრების თავისუფლებით სარგებლობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს და არ შეიძლება მის სამართალდარღვევად მიჩნევა (32-ე პარაგრაფი). ძალა რომელიც აღნიშნული უფლების განხორციელების ხელშეშლისაკენ არის მიმართული, აშკარად გადამეტებულია და ასეთ შემთხვევაში მთავრობა მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაბუთოს მისი გამოყენების დამაჯერებლობა.

იმავე საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რამდენად შეესაბამებოდა თურქეთის მთავრობის მიერ გამოყენებული ზომები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი სახის შეკრებასა თუ გამოხატვას შესაძლოა, გამოენჯია საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევა და მტრული დაპირისპირება. ამისათვის მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ პრევენციული ღონისძიების გატარება (პარაგრაფი 49). იმ პირების მიმართ, ვინც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეკრების ფორმით გამოხატავენ თავის პოზიციას, მთავრობის მიერ ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენება მიჩ-

⁶³ CASE OF BALÇIK AND OTHERS v. TURKEY Application no. 25/02 განმცხადებელმა და მისმა 39-მა თანამოაზრემ მოაწყეს საპროტესტო აქცია სადაც გამოაქვეყნეს პრეს-დეკლარაცია F-ტიპის ციხეების დახურვის მოთხოვნით. პოლიციამ აქციის მონაწილეებს მოსთხოვა დაშლა და განუმარტა, რომ წინასწარი გაფრთხილების გარეშე მათი აქცია იყო უკანონო. დემონსტრაციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ მოთხოვნას და გადაწყვიტეს ქსტამბულში ისტიკლალის ქუჩაზე საპროტესტო აქციის მოწყობა. დემონსტრანტები სკანდირებდნენ აქციის ლოზუნგებს და კითხულობდნენ პრეს-დეკლარაციას. პოლიციამ დაშლა აქციის მონაწილეები რეზინის ხელკეტებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით. ორ განმცხადებელს დაუდგინეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება.

ნეულ იქნა ევროკონვენციის მე-11 მუხლის დარღვევად (53-ე პარაგრაფი). **იმავედროულად, რეზინის ხელკეტებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენება ორ გამცხადებელთან მიმართებაში, რომლებმაც სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაასაბუთეს ჯანმრთელობის დაზიანების წარმოშობის მიზეზი, შეფასდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.**

ამგვარად, დაუშვებელია ცრემლსადენი გაზის გამოყენება, ვიდრე შეკრება არ დაკარგავს მშვიდობიან ხასიათს და არ გადაიზრდება ძალადობაში. 7 ნოემბერს დემონსტრანტების მხრიდან ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა სასტუმრო „თბილისი-მარიოტთან“, როდესაც პოლიციელს ქვა ესროლეს და საპატრულო პოლიციის ავტომანქანა დააზიანეს, ასევე ბარათაშვილის ხიდთან სპეცრაზმელის ცემის შემთხვევაში. ოღონდ ამ ინციდენტებს წინ უძღოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ცრემლსადენი გაზის და რეზინის ხელკეტების გამოყენება გაქცეული დემონსტრანტების მიმართ.

შეკრება და მანიფესტაცია არ კარგავს მშვიდობიან ხასიათს და, შესაბამისად, მე-11 მუხლით დაცვის გარანტიას, თუკი თავდაპირველად იყო მშვიდობიანი, ხოლო პოლიციაზე თავდასხმა განხორციელდა ამ უკანასკნელის მიერ ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ხელკეტის გამოყენების შემდეგ. აღნიშნული დასკვნა გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *ნურეტტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*.⁶⁴ სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განაცხადა, რომ ცენტრალური პროსპექტის გადაკეტვა წინასწარი შეტყობინების გარეშე არ შეიცავს სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის, იმის მიუხედავად, რომ ამგვარ ქმედებას შესაძლოა გარკვეული შეფერხება გამოეწვიოს ქალაქის ყველაზე საქმიან ნაწილში.

დემონსტრანტებმა ძალით სცადეს გზის გაგრძელება მას შემდეგ, რაც მათ პოლიციამ დაშლის ბრძანება გასცა და გზა ჩაკეტა. ამის შემდგომ პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ხელკეტები. დემონსტრანტებმა ამ ქმედებას ძალადობით უპასუხეს. ევროსასამართლომ არეულობად მიიჩნია ის შედეგები, რაც მოჰყვა დემონსტრანტთა ქმედებას, კერძოდ, დაზიანდნენ დემონსტრაციის მონაწილეები და პოლიციელები.⁶⁵

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მშვიდობიანი იყო საპროტესტო აქცია, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ქმედებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა შეკრების დაშლის მოთხოვნის წარდგენამდე და ცრემლსადენი გაზის გამოყენებამდე. „აქცია თავდაპირველად იყო მშვიდობიანი, თუმცა ხელისუფლება ძალის გამოყენებით სასწრაფოდ ჩაერია აქციის მონაწილეთა დასაშლელად, რასაც შედეგად მოჰყვა დაპირისპირება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის.“⁶⁶

⁶⁴ Case of NURETTIN ALDEMIR AND OTHERS v. TURKEY (application nos. 32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02) 18 December 2007: 2001 წელს თურქეთის პარლამენტი იხილავდა კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის დროს საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირი გამოვიდა საპროტესტო აქციაზე კანონპროექტის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც პროფკავშირების პრეზიდენტი კითხულობდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართვას, პოლიციამ აქციის მონაწილეები გააფრთხილა, რომ მათი მოქმედება იყო უკანონო და მოითხოვა დაშლა. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს ანკარის მთავარი, ათათურქის პროსპექტი და სცადეს მსვლელობის მონაწილე პრემიერ-მინისტრის ოფისთან. პოლიციამ მსვლელობის მონაწილეთა მიმართ გამოიყენა რეზინის ხელკეტები და ჯოხები, ასევე ცრემლსადენი გაზი. ზოგიერთი დემონსტრანტი თავს დაესხა პოლიციას, დაუშინა მას ქვები და ჯოხები. თავდასხმის შედეგად დაშავდა 7 პოლიციელი, დაზიანდა პოლიციის მანქანა. პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად დაზიანდა და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 8 გამცხადებელს. მათ პოლიციის და სპეცრაზმელთა წინააღმდეგ საჩივრით მიმართეს ანკარის საჯარო პროკურატურას. ამ უკანასკნელმა ასევე დაიწყო წინასწარი გამოძიება 27 დემონსტრანტის მიერ მიტინგებისა და დემონტრაციების შესახებ კანონის დარღვევის ფაქტზე. პროკურატურამ მიტინგის დაშლის განმარტებული საჯარო მოხელეების წინააღმდეგ საქმის მასალები გადაუგზავნა თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ უკანასკნელმა შეწყვიტა წინასწარი გამოძიება „ბრალდების ზოგადი ხასიათის“ საფუძველზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩათვალა, რომ დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ძალა იყო კანონიერი და გამართლებული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. პოლიციელები ვალდებული იყვნენ დაეშალათ უკანონო შეკრება. თავის მხრივ ანკარის სისხლის სამართლის სასამართლომ გაამართლა ორი გამცხადებელი. მისი განმარტებით, მათ ჰქონდათ მშვიდობიანი შეკრების უფლება.

⁶⁵ NURETTIN ALDEMIR AND OTHERS v. TURKEY 43 და 44 პარაგრაფები

⁶⁶ იგივე საქმე 45-ე პარაგრაფი



სასამართლომ საპროტესტო აქციის მშვიდობიანი ხასიათის და პოლიციის მიერ აქციის დასაშლელად გამოყენებული საშუალებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ ხელისუფლების მიერ გამოყენებული ძალა იყო არაპროპორციული და იგი არ იყო აუცილებელი კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შეფასებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ნურეტინ ალდემირის საქმეზე დადგენილი სტანდარტებით. 2 დან 7 ნოემბრამდე მიმდინარე საპროტესტო აქცია თავდაპირველად ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. ამ დროის განმავლობაში საპროტესტო აქციის მონაწილეებს არცერთხელ არ განუხორციელებიათ ძალადობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიმართ. აქციის მსვლელობაში ძალადობრივი ჩარევა პირველად განხორციელდა სწორედ პოლიციის მხრიდან. პირველად სწორედ პოლიციელებმა გამოიყენეს ძალა, როდესაც 7 ნოემბერს დილით აყარეს პარლამენტის კიბეებთან მყოფი მოშიშპილენები. მეორედ პოლიციელებმა გამოიყენეს წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საპროტესტო აქციის ცალკეულმა მონაწილეებმა საპატრულო პოლიციის კუთვნილი მანქანის დამსხვრევა რუსთაველზე და პოლიციის მიმართულებით ქვების სროლა. თუმცა ასეთი ხასიათის ქმედებებმა ნურეტინ ალდემირის საქმის გათვალისწინებით არ შეიძლება გავლენა მოახდინოს 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის მშვიდობიან ხასიათზე და მთლიანობაში გასამართლოს საპროტესტო აქციის დაშლა. დემონსტრანტების მხრიდან ქვების სროლა, საპატრულო პოლიციის ავტომანქანის დაზიანება და სხვა მსგავსი უნესრიგობები პროვოცირებული იყო პოლიციის მიერ ძალის თავდაპირველად გამოყენების შედეგად.

იგივე შეიძლება ითქვას რიყესთან მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლაზეც. აქციის მონაწილეებმა სასტიკად სცემეს სპეცრაზმელი მას შემდეგ, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან გამოყენებული იქნა წყლის ჭავლი, საღებავი, რეზინის ტყვიები, რეზინის ხელკეტები და ცალკეულ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღიც.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ საპროტესტო აქციის დაშლის მეორე საფუძველს – მონოდებას კონსტიტუციური წყობილების დამხობის თაობაზე, ამის შესახებ საუბარია გამოხატვის თავისუფლების თავში. აქ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მიტინგზე თინა ხიდაშელის და სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერთა მიერ წარმოთქმული სიტყვები „დავამთავროთ ეს ხელისუფლება“ არ ქმნიდა ძალადობის და, მით უმეტეს, ხელისუფლების დამხობის რეალურ შესაძლებლობას. განცხადების მონოდებად კვალიფიკაციისათვის საჭიროა არსებობდეს უკანონო ქმედებების განხორციელების რეალური რისკი. საეჭვოა, რომ ქუჩაში გამოსულ უიარაღო ადამიანებს რეალური შესაძლებლობა ჰქონოდათ, განეხორციელებინათ უკანონო მოქმედებები სპეციალური საშუალებებითა და ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სპეცდანიშნულების რაზმების მიმართ, რომლებმაც გადამეტებული ძალის გამოყენებით რამდენჯერმე დაარბიეს მშვიდობიანი აქცია.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეზინის ხელკეტი გამოიყენება მოქალაქეზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

რეზინის ხელკეტების გამოყენება ხდებოდა გაქცეული ადამიანების მიმართ. რეზინის ხელკეტს იყენებდა პოლიციელთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი ერთი ადამიანის წინააღმდეგ. რეზინის ხელკეტი ყველაზე ნაკლებად გამოიყენებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. აღნიშნული სპეციალური საშუალება იყო, ერთ შემთხვევაში, ანგარიშსწორების იარაღი (ლევან ტაბიძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში), სხვა შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ძალის გამოყენების სუბიექტის თავისებურება და გარემოება, როდესაც მისი გამოყენება იყო აუცილებელი. სმი-

რად ამგვარი საშუალების გამოყენება ხდებოდა ქალებისა და არასრულწლოვანთა მიმართ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების და წესრიგის მასობრივი დარღვევის ფაქტის დადასტურების გარეშე. ხელკეტებს იყენებდნენ მაშინაც, როდესაც საპროტესტო აქცია იყო დაშლილი და არ არსებობდა წესრიგის მასობრივი დარღვევის რისკი.

საპროტესტო აქციის ჩატარებისათვის ხელშემშლის მცდელობამ აშკარად კრიმინალური ხასიათი მიიღო „ხალხის პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის გატაცებით. მიგვაჩნია, რომ კობა დავითაშვილის მიმართ ადგილი აქვს თავისუფლების უკანონო აღკვეთას (ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით), შეკრებისა და მანიფესტაციის მოწყობაში სავარაუდოდ უკანონო ხელისშეშლას, რომელიც ჩადენილია ძალადობით (ქმედება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით).

8 ნოემბრის საპროტესტო აქციის დარღვევა ბათუმში

2007 წლის 7 ნოემბერი არ აღმოჩნდა სამწუხარო გამონაკლისი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების თვალსაზრისით. მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები კვლავ გახდნენ სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი. სამართალდამცავთა ქმედებები აღბეჭდილია მობილური ტელეფონით გადარებული ვიდეომასალაში.

2007 წლის 8 ნოემბერს დილის 9 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის წინ გაიმართა აღნიშნული უნივერსიტეტისა და ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტთა საპროტესტო აქცია. აღნიშნული შეკრება დაშლილი იქნა სპეციალურ ფორმაში ჩაცმული ნიღბიანი პირების მიერ. შავ ტანსაცმელსა და ნიღაბში გამოწყობილმა სპეცრაზმელებმა აქციის მონაწილეები მიაშინებდნენ შენობის კედელთან, არ აძლევდნენ მათ გადაადგილების საშუალებას და ურტყამდნენ რეზინის ხელკეტს. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება გრძელდებოდა რამდენიმე წუთის განმავლობაში. სპეცდანიშნულების რაზმმა გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. აქციის მონაწილეები გაიქცნენ ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მიმართულებით, მათ უკან მისდევდნენ სპეცრაზმელები. გაქცეულთა ნაწილმა თავი შეაფარა სკოლის გვერდზე არსებული საბავშვო ბაღის შენობას, ხოლო დაახლოებით 20-30 აქციის მონაწილე შევიდა №2 საჯარო სკოლის შენობაში. სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები დაედევნენ აქციის დანარჩენ მონაწილეებს, რომლებმაც ვერ იპოვეს თავშესაფარი.

2007 წლის 8 ნოემბერს ქალაქ ბათუმის №1 კლინიკურ საავადმყოფოში შეიყვანეს უნივერსიტეტის შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის ოთხი მონაწილე, ნიკა კახიძე, გიორგი ბერიძე, ლაშა ბეჟუნაშვილი და მამუკა მამულაშვილი. მათ აღენიშნებოდათ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები: გიორგი ბერიძეს აღენიშნებოდა მარჯვენა საფეთქლის თხემის არეში სისხლნაჟღერებები, მცირე სისხლიანი გამონადენით. სისხლნაჟღერთი მარჯვენა თხემ-საფეთქლის არეში აღენიშნებოდა ნიკა კახიძესაც. მამუკა მამულაშვილი უჩიოდა ტკივილს გულმკერდის არეში. ლაშა ბეჟუნაშვილს სახეში ურტყეს მუშტი, ხოლო ზურგზე გადაარტყეს ხელკეტი. ფიზიკური შეურაცხყოფის დროს დაუზიანდა სათვალე და მიიღო ნაკანრი წარბის არეში. ლაშა ბეჟუნაშვილს დაესვა მარჯვენა თვალის კაკლის კონტუზიის დიაგნოზი.

ქ. ბათუმში ჩარკვიანის სახელობის სამშობიარო სახლში მიყვანილი იქნა უნივერსიტეტის შენობასთან გამართული აქციის მონაწილე თ.ბ. ეს უკანასკნელი იყო შვიდი თვის ფეხმძიმე. აქციის დაშლისას მის მიმართ გამოყენებული იქნა ძალა, რის შედეგადაც დაზიანდა ნაყოფი. თ.ბ-მ მოახერხა მშობიარობა და ნაყოფის გადარჩენა. საპროტესტო აქციის დაშლის შედეგად ასევე დაზიანდა მეორე ფეხმძიმე ს.ლ. ამ უკანასკნელს აიძულეს სირბილი უნივერსიტეტის მესამე სართულამდე. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ს.ლ-ს ნაყოფის გადარჩენა.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ ბრძანებულება 2007 წლის წლის 7 იანვარს საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. აღნიშნული ითვალისწინებდა საგანგებო მდგომარეობის



გამოცხადებას მხოლოდ ქალაქ თბილისში და არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა 2007 წლის 8 ნოემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი. ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეებისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო პრეზიდენტის ბრძანებულების თაობაზე, მათი განცხადებით, საპროტესტო აქციას არ გამართავდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ცოდნის შემთხვევაში მათ მიერ ჩატარებული შეკრება იქნებოდა უკანონო. შესაბამისად, აღნიშნული აქციის დასაშლელად გამოყენებული ძალა იქნებოდა ლეგიტიმური. თუმცა სისატიკის იმ ფორმა, რაც გამოყენებული იქნა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ კედელთან მიმწყვდევითა და რეზინის ხელკეტით ცემით, წარმოადგენს აშკარად არაპროპორციულ ღონისძიებას. არ შეიძლება საპროტესტო აქციის უკანონობითა და საგანგებო მდგომარეობით გამართლდეს კედელთან მიმწყვდევლ და შესაბამისად, უსუსურ ადამიანზე ძალადობა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა შეკრების თავისუფლებაში ჩარევას, არამედ წამებას ან არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი დაუშვებელია წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვისაგან გადახვევა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახორციელებენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია. საეჭვოა, რომ თ.ბ. ან ს.ლ ყოფილიყო შეიარაღებული შეკრების ჩატარების დროს, ვინაიდან არ მომხდარა მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა იარაღის უკანონო შენახვისათვის ან პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევისათვის. იგივე შეიძლება ითქვას 9 თვის ფეხმძიმე „ტელიმედის“ ჟურნალისტზე, დიანა ტრაპაიძეზე, რომელიც წინა დღით პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ერჯი თურქეთის წინააღმდეგ* განაცხადა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს უკანონო შეკრების დაშლისას აქციის მონაწილეთა მიმართ ისეთი იარაღის გამოყენება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით აღიარებულ სიცოცხლის უფლებას, არის იმაზე მეტი რაც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. კონკრეტულ შემთხვევაში ფეხმძიმე ქალის მიმართ გამოყენებულმა იძულების ღონისძიებებმა სერიოზულად შელახა მისი ჯანმრთელობა და ნაყოფის უფლება სიცოცხლეზე. ამიტომ სპეცდანიშნულების რაზმის ქმედება არ არის დასაბუთებული პროპორციული და ვერ იქნება საგანგებო გამართლებული მდგომარეობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი არ ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს სიცოცხლის უფლებისაგან გადახვევას. ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილ ნაყოფს უკვე აქვს სიცოცხლის უფლება.⁶⁷ ეს არ ნიშნავს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ უფლებაუნარიანობას, რომელიც წარმოიშობა არა ჩასახვისთანავე, არამედ დაბადების მომენტიდან. ნაყოფის სიცოცხლის უფლება ნიშნავს იმას, რომ მისი მოცილება შესაძლებელია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აბორტის მომწესრიგებელი ნორმების ზუსტი დაცვით. ყოველი გადახვევა აღნიშნული ნორმებიდან ითვლება ნაყოფის სიცოცხლის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად.

⁶⁷ კონსტანტინე კუბლაშვილი ძირითადი უფლებები. გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003 წელი, გვ. 124

რეკომენდაცია

1. ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ქართულმა სასამართლოებმა თავი შეიკავონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების გამოყენებისაგან თუ უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება საპროტესტო აქციის მონაწილის მხრიდან ძალადობის ფაქტი.
2. რეზინის ტყვიის გამოყენების გამო დადგეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ ივანე მერაბიშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე მოხდეს ამ საქმის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა იმ პირს, ვინც მიიღო რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, ასევე მათ ვინც შეასრულა აღნიშნული უკანონო ბრძანება.
3. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უზრუნველყოს ეფექტური გამოძიების წარმოება 2-7 ნოემბრის მოვლენებში დაზარალებულ პირთა: რატი მაისურაძის, კობა ქიტანავას, ნიკა მაჭუტაძის, ბიჭიკო მშვიდობაძის და სხვათა საქმეზე.
4. დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის მიზნით დადგენილ იქნეს იმ სამართალდამცავთა ვინაობა, ვინც დაარღვია პოლიციის ორგანოთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეძახილებით გამოხატავდნენ თავიანთ მხარდაჭერას ერთი პოლიტიკური ლიდერის მიმართ, ასევე შეურაცხყოფასა და ანტისემიტურ გამონათქვამებს მეორის მიმართ.
5. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეისწავლოს ცრემლსადენი გაზის, რეზინის ხელკეტის, სპეციალურ საღებავის გამოყენების პროპორციულობის საკითხი.
6. დეტალურად იქნეს შესწავლილი საპროტესტო აქციის დაშლის დროს ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. დაუბრუნდეთ მათ ჩამორთმეული აპარატურა და გადაღებული ვიდეომასალა.
7. ავთანდილ ჯორბენაძის, ნინო სოსელიას, დაჩი ბერიძის, თეიმურაზ თოფურიას, ოთარ მუჯირიშვილის, ვახტანგ ინასარიძის, გიორგი თევდორაშვილის, ნიკა დიდიშვილის, გიორგი თოფურიას და 7 ნოემბერს დაზარალებულ სხვა პირთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე დაიწყო ნინასნარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში იქნენ მიცემული სამართალდამცავი ორგანოს შესაბამისი წარმომადგენლები.
8. გაირკვეს 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის მონაწილეობის საფუძველი და პასუხისმგებაში იქნენ მიცემული შესაბამისი თანამდებობის პირები.
9. 2007 წლის 28 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში ოპოზიციის წამომადგენლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს გამოვლენილი სამსახურებრივი გულგრილობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში იქნეს მიცემული სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მეგის ქარდავა და ზუგდიდის შს სამმართველოს უფროსი კობა ნარსია.



3

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

2007 წლის მეორე ნახევარში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევამ და თავისუფალი მედიის შეზღუდვამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი და სასტიკი ფორმები მიიღო. საანგარიშო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა თავისუფალი მედიისაშუალებების ძალისმიერი გზით დარბევას, მათი ქონების განადგურებას და მათი მაუნყებლობის აკრძალვას ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე.

სახალხო დამცველის ოფისმა შეისწავლა არაერთი ფაქტი, როცა პოლიციელები ჟურნალისტებს ხელს უშლიდნენ მუშაობაში, ართმევდნენ ვიდეოკამერებს, ანადგურებდნენ გადაღებულ მასალებს და ზოგჯერ ვიდეოკამერებსაც.

ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების მიმართ არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, მათ მიმართ მუქარას, ჟურნალისტების გამიზნულად ცე-

მას რეზინის ხელკეტებით, მათთვის სრულიად შეგნებულად და დამიზნებით რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის კაფსულების სროლას, ცენზურას და სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას;

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, წინასაარჩევნო პროცესის დაუბალანსებელი გაშუქება და სხვა.

ყოველივე ზემოთქმული ნაწილობრივ აისახა კიდევ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში. მაგალითად, ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია "Freedom House"-ის მონაცემებით, საქართველო რჩება ნახევრად თავისუფალ სახელმწიფოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში. "Freedom House" ასახელებს იმ სფეროებს, სადაც საქართველომ განიცადა რეგრესი. მათ შორის გვხვდება გამოხატვის თავისუფლება. „ქართულ მედიაში არსებული გარემო არ აკმაყოფილებს დემოკრატიულ სტანდარტებს.“ "Freedom House"-ის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წლის ბოლოს ქვეყნის მასშტაბით ერთადერთ ოპოზიციურ მაუნყებლთან, „იმედთან“ დაკავშირებით შექმნილმა პრობლემებმა. "Freedom House"-მა რეგრესის ინდიკატორად ასევე მიიჩნია ნოემბერში პოლიციური ძალის გამოყენება და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, რასაც შედეგად მოჰყვა დამოუკიდებელი მედია საშუალებების საქმიანობის შეწყვეტა.⁶⁸

⁶⁸ http://www.freedomhouse.hu/index.php?option=com_content&task=view&id=122

"Freedom House" ყურადღებას ამახვილებს ასევე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ეუთოს ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის შენიშვნებზე მედიაში პლურალისტური გარემოს არარსებობისა და დაუბალანსებლობასთან დაკავშირებით – „მიუვითებთ, რომ მედია საშუალებებით გადაიციემა დაუბალანსებელი ინფორმაცია. ტელეკომპანიების მიერ ყველაზე ხშირად ხდება მიხეილ სააკაშვილის კამპანიის გაშუქება.“

ტელეკომპანია „იმედის“ დარეგულირება და მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ

2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 20.20 საათზე, ტელეკომპანია „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქციის ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე საინფორმაციო გამოშვების მსვლელობისას შევიდა სტუდიაში, დაიკავა „ქრონიკის“ წამყვანების ადგილი და მაყურებელს მიმართა. მან განაცხადა, რომ ტელეკომპანიაში სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა და იმედი გამოთქვა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. ამის შემდეგ „იმედის“ სიგნალი გაითიშა. ჟურნალისტების განმარტებით, სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა მათ ხელები გადაუგრიხეს, ძირს დაანვინეს და ცეცხლსასროლი იარაღი დაადეს. ყველა ჟურნალისტს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მათი იქ ყოფნის კანონიერებას. ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებს დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში არ აძლევდნენ გადაადგილების საშუალებას. შემდეგ მათ უბრძანეს, შენობა სათითაოდ დაეტოვებინათ და გასულიყვნენ ეზოში, სადაც სამართალდამცველებს ტელეკომპანია „იმედის“ დაცვის თანამშრომლები დაწვენილი ჰყავდათ პირდაპირ მიწაზე. ამის შემდეგ „იმედის“ თანამშრომლებს უბრძანეს, დაეტოვებინათ იმედის ტერიტორია.

იმავე საღამოს, 22.32 საათზე, საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. მხოლოდ 13 ნოემბერს აღმოჩნდა, რომ არსებობდა სასამართლოს ბრძანება, რომლის საფუძველზეც შპს „ტელე-იმედის“ ქონება და ტელეკომპანია „იმედის“ სამაუწყებლო ლიცენზია დაყადაღებულ იქნა.

ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტის ირგვლივ განვითარებული მოვლენების აბსურდული ხასიათიდან გამომდინარე, დიდხანს ვიფიქრეთ იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა „ტელეიმედის“ ლიცენზიის შეჩერების საკითხზე სერიოზული სამართლებრივი დასკვნის მომზადება. ელემენტარულ საღ აზრზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანია „იმედის“ სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმება სრულიად უკანონოდ მოხდა და მისი ერთადერთი მიზეზი პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო.

სასამართლოს ბრძანების გამოცემის თარიღი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის ბრძანება „იმედის“ კუთვნილი ქონებისა და მაუწყებლობის ლიცენზიის დაყადაღებაზე დათარიღებულია 2007 წლის 7 ნოემბრით. ბრძანებაში მოყვანილია გამომძიებლის შუამდგომლობის ნაწყვეტები, რომლებშიც, სხვა მოვლენებთან ერთად, ნახსენებია ბადრი პატარკაციშვილის განცხადება და „რიყეზე“ მომხდარი ფაქტებია აღწერილი.

საქართველოს პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებული 2007 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებმა წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით 17.30 საათზე დაშალეს რიყის ტერიტორიაზე შეკრებილი მომიტინგეები. არკადი პატარკაციშვილის განცხადება „იმედის“ ეთერიდან პირველად 18.28 საათზე გაისმა. ვინაიდან გამომძიებლის შუამდგომლობაში ლაპარაკია რიყის ტერიტორიაზე მომხდარ მოვლენებსა და პატარკაციშვილის განცხადებაზე, რომელმაც შექმნა „მყისიერი და რეალური საფრთხე ვითარების კიდევ უფრო ესკალაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა“, აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ გამომძიებლის შუამდგომლობა მომზადდა ამ მოვლენე-



ბის შემდგომ. „იმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტისკენ მიმართული სპეცოპერაცია განხორციელდა იმავე დღეს, დაახლოებით 20.00 საათზე. პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებული ქრონოლოგიის მიხედვით, 20.30 საათზე ტელეკომპანია „იმედმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა.

ამგვარად, ამ მოკლე დროში (დაახლოებით 2 საათი) მოხდა შემდეგი: გამოძიებელმა დააფიქსირა ტელეიმედის ეთერით მიმდინარე რეპორტაჟის დანაშაულებრივი ხასიათი, მივიდა დასკვნამდე, რომ არკადი პატარკაციშვილის 7 ნოემბრის განცხადება, რომელიც „იმედის“ ტელეეთერით 18.28 საათზე გადმოიცა, მიუთითებდა ამბოხების გარდაუვალობაზე და ამ ამბოხების იარაღი სწორედ ტელეკომპანია „იმედი“ გახდებოდა, გადაწყვიტა, რომ შესაძლო დანაშაულის აღკვეთისათვის აუცილებელი იყო მისი შესაძლო იარაღის, ანუ შპს „ტელეიმედის“ ქონების დაყადაღება, შეადგინა შუამდგომლობის ტექსტი, რომელშიც საკმაოდ დეტალურად აღწერა 2 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე მიმდინარე მოვლენები (ჩვენი გათვლით, მხოლოდ შუამდგომლობის ტექსტის შედგენას და აკრეფას სულ ცოტა 40 წუთი მინც დასჭირდებოდა), გადაადგილდა საქალაქო სასამართლომდე (30 წუთის გზა), დააყენა შუამდგომლობა. მოსამართლემაც დაუყოვნებლივ განიხილა ხსენებული დოკუმენტი და დააკმაყოფილა იგი. ამის მერე გამოძიებელმა მოახდინა სამართალდამცავთა მობილიზაცია (სიჩქარის გამო ბევრი მათგანი სამოქალაქო ტანსაცმელში აღმოჩნდა) და განახორციელა სპეცოპერაცია „ამბოხების შესაძლო იარაღის“ – ტელეკომპანია „იმედის“ გასაწვრთვად.

სასამართლოს ბრძანება ლიცენზიის დაყადაღების შესახებ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას მხოლოდ 13 ნოემბერს, მისი გამოცემიდან ექვსი დღის შემდეგ გადაეცა. კითხვაზე, თუ რატომ არ მოხდა, მისი არსებობის შემთხვევაში, ამ დოკუმენტის წარმოდგენა სპეცდანიშნულების რაზმის „იმედში“ შეჭრის დღესვე, რათა მორალური და მატერიალური ზარალი, რაც ტელეკომპანიამ და მისმა თანამშრომლებმა განიცადეს და რასაც მოგვიანებით მივუბრუნდებით, თავიდან ყოფილიყო აცილებული, გამოძიებელმა გ. ქაჯაიამ განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე ვერ მოახერხა ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის, ბატონი ბიძინა ბარათაშვილის პოვნა, რათა მისთვის მოსამართლის ბრძანების ასლი გადაეცა. შედეგად, როცა დაინტერესებულ მხარეს აღნიშნული ბრძანება გააცნეს, გასაჩივრების ვადა – 72 საათი – დიდი ხნის გასული იყო.

სხვა რომ არაფერი, ზემოაღწერილი უკვე იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ 7 ნოემბერს სასამართლოს ბრძანება ჯერ კიდევ არ არსებობდა და იგი ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის შემდგომ იქნა მიღებული და წინა რიცხვით გაფორმებული. ჩვენი ვარაუდით, ბრძანების პოსტ ფაქტუმ გამოცემა იმისათვის გახდა საჭირო, რათა შეძლებისდაგვარად ელემენტარულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეულიყო ტელეკომპანია „იმედის“ წინააღმდეგ განხორციელებული ბარბაროსული ქმედებები.

15 ნოემბერს, ბრძანების ასლის მოპოვებისთანავე, დავიწყეთ აღნიშნული დოკუმენტის შესწავლა და მალევე გაგვიჩნდა ეჭვი ტელემაუწყებლობის ლიცენზიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაყადაღების უკანონობაზე.

ტელემაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადება გვამცნობს, რომ „მხოლოდ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს უფლება, განახორციელოს სრული უფლებამოსილება იმ საკითხებზე, რომლებიც მასზე დელეგირებულია შესაბამისი კანონით.“ იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ნებისმიერი პირის მცდელობა, განახორციელოს იურისდიქცია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროზე, უკანონოა, ხოლო შედეგებს არა აქვს იურიდიული ძალა.“

ზემოხსენებული კანონის მე-3 მუხლში, რომელიც ტერმინთა განმარტებას ეხება, „პირი“ განმარტე-

ბულია, როგორც „ფიზიკური პირები და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, სხვა სახელმწიფო ორგანოები;“ („ლ“ ქვეპუნქტი).

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის სასამართლოს ჩარევა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში არის უკანონო და შედეგები მოკლებულია იურიდიულ ძალას.

სამაუწყებლო ლიცენზიის შეჩერება კი სწორედ დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, კერძოდ კი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონიც პირდაპირ მიუთითებს, რომ სალიცენზიო უფლებამოსილება მარეგულირებლის პრეროგატივაა და მასში ჩარევის უფლება არავის აქვს:

მუხლი 10. სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილება

- 1. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ლიცენზიები და ნებართვები, შეაჩეროს მათი მოქმედება, გააგრძელოს მათი მოქმედების ვადა, მოახდინოს მათი მოდიფიცირება, გააუქმოს ისინი.
- 2. დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება.

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ 36-ე მუხლში მიუთითებს, რომ:

- 1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გამცემი ორგანოა კომისია, რომელიც საჯაროობის პრინციპის დაცვით:
 - გ) ამ კანონით დადგენილი წესით ახდენს ლიცენზიის მოდიფიცირებას, აჩერებს და ანახლებს ლიცენზიის მოქმედებას, აუქმებს ლიცენზიას;

36-ე მუხლში ნახსენები „დადგენილი წესი“ კი იმავე კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით არის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი:

- 4. სისშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა, მოდიფიცირება, მისი მოქმედების შეჩერება და გაუქმება, აგრეთვე ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მინისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის დაყადაღება, ესე იგი მისი მოქმედების შესაჩერებლად სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების გამოყენება, ორმაგად უკანონოა. ერთი მხრივ, სასამართლო არ წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, ლიცენზიის შეჩერების თაობაზე ბრძანების გამოცემით იგი შეიჭრა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში, რასაც, როგორც ვნახეთ, თავად „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი აფასებს, როგორც უკანონოს. მეორე მხრივ, არ იქნა გამოყენებული სპეციალურ კანონში მითითებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი, რაც ასევე კანონდარღვევას წარმოადგენს.

მაუწყებლობის შეჩერების კანონიერებაზე ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად მოვიძიეთ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება „იმედის“ ლიცენზიის შეჩერებასთან დაკავშირებით,



მაგრამ 15 ნოემბრის სალამოს კომისიის ინტერნეტ-საიტზე ვერაფერი აღმოვაჩინეთ. 15 ნოემბრამდე არც ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობისთვის იყო ცნობილი მსგავსი შინაარსის დოკუმენტის არსებობის შესახებ. უკვე გადანყვეტილი გვექონდა, პირდაპირ კომისიიდან გამოგვეთხოვა აღნიშნული ინფორმაცია და იმავდროულად გაგვერკვია თავად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პოზიცია სასამართლოს მიერ ტელემაუწყებლობის ლიცენზიის დაყადაღებასთან დაკავშირებით, როცა 16 ნოემბერს, სალამოს საათებში, კომისიის საიტზე გამოქვეყნდა ერთბაშად ორი გადანყვეტილება ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით.

პირველი მათგანი, გადანყვეტილება 672/18 „შპს „ტელეიმედის“ გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ“, დათარიღებულია 2007 წლის 7 ნოემბრით. გადანყვეტილების თანახმად, „კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტმა (გ. რატიშვილი) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ე) პუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 7 ნოემბერს ჩაატარა სამაუწყებლო კომპანიების საქმიანობის შემოწმება და შეადგინა შემოწმების აქტი, რომლის თანახმად ირკვევა, რომ მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია შპს „ტელეიმედის“ მიერ გადაცემა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიმართვა, რომელიც ქვეყანაში არსებული რეალობის ფონზე განხილულ უნდა იქნას, როგორც უკანონო პროცესების კიდევ უფრო მეტად ესკალაციის აშკარა ნაქმეზება, რაც წარმოადგენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის (კონსტიტუციური ნესრიგის მოშლის) დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

კომისიის აზრით, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროგრამული შეზღუდვების, კერძოდ ძალადობისკენ ნაქმეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს, აგრეთვე 70-ე მუხლის პირველი პუნქტის და შესაბამისად – სალიცენზიო პირობების დარღვევას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელი წერილობით გააფრთხილოს და დააკისროს ჯარიმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება, გამოსცეს აქტი დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის გარეშე.“

გაუგებარია, მანამდე რატომ არ მიიღო გაფრთხილება ტელეკომპანიამ, თუ, როგორც კომისია №673/18 გადანყვეტილებაში ამტკიცებს, „2 ნოემბრიდან კომისიაში შემოდის საქართველოს მოქალაქეთა (მომხმარებელთა) არაერთი სატელეფონო ზარი, იმასთან დაკავშირებით, რომ სამაუწყებლო კომპანია „ტელეიმედით“ ხორციელდება სახელმწიფოში განვითარებული რთული პოლიტიკური ვითარების შეგნებული ესკალაცია და იქმნება ქვეყანაში მასობრივი არეულობების რეალური საშიშროება.“

აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს კომისიის წევრს, ბატონ ზურაბ ნონიკაშვილს, რომელიც კომისიის წევრთან, დავით პატარაიასთან ერთად ხელს აწერს ზემოაღნიშნულ გადანყვეტილებებს. ბატონმა ზურაბმა განგვიცხადა, რომ 7 ნოემბრამდე „იმედის“ პროგრამებში კომისიას სამართალდარღვევა არ აღმოუჩენია: „მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა სატელეფონო ზარები იყო 2007 წლის 2 ნოემბრიდან, კომისიამ მხოლოდ 7 ნოემბრის გადაცემებში დაინახა ძალადობისკენ ნამქმეზბლური მოწოდებები, რაც საფუძველი გახდა ზემოაღნიშნული გადანყვეტილებების მიღებისა.“ აქედან გამომდინარეობს, რომ „იმედის“ მიმართ გატარებული სანქციების მთავარი, თუ არა ერთადერთი, მიზეზი მისი ეთერით გავრცელებული არკადი პატარკაციშვილის განცხადება გახდა.

გადანყვეტილება 673/18 „შპს „ტელეიმედის“ NB16 სამაუწყებლო ლიცენზიის მოქმედების დროებითი შეჩერების შესახებ“ კი 2007 წლის 8 ნოემბრით თარიღდება. ამჯერად კომისია უკვე სამი თვით არჩერებს „ტელეიმედის“ ლიცენზიას. გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ აღმოეფხვრა 2007 წლის 7 ნოემბრის N672/18 გადანყვეტილებაში აღნიშნული დარღვევები (2007 წლის 7 ნოემბრის გადანყვეტილების შესახებ შპს „ტელეიმედის“ დაუყოვნებლივ ეცნობა ტელეფონოგრამის მეშვეობით), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, შპს „ტელეიმედის“ ეთერით, კვლავ გავრცელდა არკადი პატარკაციშვილის ის მიმართვა, რომელიც შეიცავდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პროგრამულ შეზღუდვებს.“

ჩვენ დავუკავშირდით „ტელეიმედის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ ბიძინა ბარათაშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ მისთვის მსგავსი გაფრთხილება არავის მიუცია და მხოლოდ 16 ნოემბერს მიიღო ზემოაღნიშნული გადანყვეტილებების ასლები.

დავუშვათ, რომ ტელეკომპანია „იმედისათვის“ 7 ნოემბერსვე გახდა ცნობილი გაფრთხილების შესახებ, ხსენებული სანქციისა და ჯარიმის ერთდროულად დაკისრება, რაც კომისიამ ერთი გადანყვეტილების ფარგლებში განახორციელა, მაინც უკანონო იყო, ვინაიდან „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 71-ე მუხლის მიხედვით, ჯარიმის დაკისრება მხოლოდ გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

აღნიშნულის შესახებ ზურაბ ნონიკაშვილმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებისადმი მიცემულ ასსნა-განმარტებაში განაცხადა, რომ „კომისიამ ისარგებლა რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული დისკრეციით, შეაფასა რა საჯარო და კერძო ინტერესების არსი, მიიჩნია, რომ შპს „ტელეიმედის“ მიერ განხორციელებული მაუწყებლობა აშკარად შეიცავდა ძალადობისკენ ნაქეზების რეალურ ნიშნებს და მისი საქმიანობის გაგრძელებას შეიძლებოდა, გამოეწვია უმართავი პროცესები და მასობრივი არეულობები. ალტერნატიულად გაფრთხილების, როგორც სანქციის გამოყენება ვერ შეაჩერებდა იმ ზემოაღნიშნულ რეალურ საფრთხეს, რის გამოც კომისიამ უპირატესობა მიანიჭა რა საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას, მიიღო ყველა ზომა მაუწყებლობის დროებითი შეჩერებისათვის. შესაბამისად, კომისიის მიერ განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები, გაფრთხილების, დაჯარიმებისა და ლიცენზიის მოქმედების დროებითი შეჩერების მიზნით, რაც აისახა კომისიის ორ სამართლებრივ აქტში.“

თუ დავუშვებთ, რომ 7 ნოემბერს, არკადი პატარკაციშვილის განცხადების გამოქვეყნებისთანავე, ანუ 18.28 საათზე ტელეკომპანია „იმედს“ მიეცა გაფრთხილება აღნიშნული განცხადების არაკანონიერების შესახებ, გამოდის, რომ მხოლოდ იმავე განცხადების „იმედის“ ეთერიდან ხელმეორედ განმეორების შემთხვევაში შეეძლო კომისიას ჯარიმის დაკისრება და ეს უნდა მომხდარიყო ცალკე გადანყვეტილების ფარგლებში, თუნდაც იმავე დღეს. არანაირი საჯარო ინტერესების უზრუნველყოფა და „კომპლექსური ღონისძიებების“ გატარება არ ამართლებს კანონით დადგენილი პროცედურების დაუცველობას.

გარდა ამისა, 672/18 ბრძანებაში არასწორად იქნა გამოყენებული 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მიხედვით, 56-ე მუხლიდან გამომდინარე დარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს ამავე კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული შიდა რეგულირების მექანიზმის ფარგლებში. ხოლო 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ უკრძალავს კომისიას 56-ე მუხლიდან გამომდინარე საჩივრების განხილვას.

ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ 8 ნოემბრით დათარიღებულ კომისიის გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გაფრთხილების მიუხედავად, „იმედის“ ეთერით კვლავ გავრცელდა პატარკაციშვილის განცხადება, რამაც უფრო რადიკალური სანქციის დადება, ლიცენზიის სამი თვით შეჩერება გამოიწვია.



კომისია შეგნებულად ივინყებს იმ ფაქტს, რომ დარბევის შედეგად, ტელეკომპანია „იმედისათვის“ უკვე წინა დღის 20.30 საათიდან ფიზიკურად იყო შეუძლებელი ეთერში გასვლა. ამ გარემოების გამო კომისიას შეეძლო, თავი შეეკავებინა ტელეკომპანია „იმედის“ ლიცენზიის შეჩერებისაგან, რადგან, ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინა დღით, ანუ 7 ნოემბერს, 20.30 საათზე, ტელეკომპანიაში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრისა და ოფისის დარბევის შედეგად „იმედმა“ სრულად შეწყვიტა მაუწყებლობა და შესაბამისად, აღარანაირი საფრთხე აღარ არსებობდა იმისა, რომ მისი ეთერიდან კვლავ გაუღერდებოდა „ძალადობისკენ წაქეზება“. უკვე აღარაფერს ვიტყვით ასევე 7 ნოემბერს, 22.32 საათზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე, რომელიც ასევე უკრძალავდა ტელეკომპანიას ახალი ამბების გაშუქებას და ნებისმიერი პოლიტიკური განცხადებისათვის ეთერის დათმობას. ამგვარად, 8 ნოემბერს უკვე აღარ არსებობდა ლიცენზიის შეჩერებისათვის აუცილებელი პირობა, რომელიც, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გაფრთხილებისა და ჯარიმის დაწესების შემდეგ მაუწყებლის მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნების კვლავ შეუსრულებლობაში მდგომარეობს. ამასთან, კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის დისპოზიციაც, რომლის მიხედვითაც, „ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრამდე“. ამგვარად, 7 ნოემბერსვე, დარღვევის ფაქტობრივმა აღმოფხვრამ კომისია არაუფლებამოსილი გახადა, მიეღო ლიცენზიის შეჩერების გადაწყვეტილება.

2007 წლის 07 ნოემბერს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შემოწმების აქტი №20-ის მიხედვით, კომისიამ, 17 საათსა და 40 წუთზე შპს „ტელეიმედის“ მონიტორინგი ჩაატარა, რაზედაც შედგა ოქმი. ოქმში აღნიშნულია: **„დასტურდება, რომ შპს „ტელეიმედმა“ რამოდენიმეჯერ გადასცა თავის ეთერში არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიმართვა“.**

იმავე დღეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწვეული იქნა №66 რიგგარეშე საგანგებო სხდომა. აღნიშნულ სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ნონიკაშვილი, სხდომის მდივანი – ნ. ჯანელიძე, ხოლო სხდომას ესწრებოდნენ: დ. პატარაია, გ. რატიშვილი, გ. სულუხია, კ. ყურაშვილი, ვ. შულღიაშვილი.

სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ „მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ზ. ნონიკაშვილის ინფორმაცია შპს „ტელეიმედისათვის გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის აპარატის მაუწყებლობის დეპარტამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2007 წლის 7 ნოემბერს ჩაატარა სამაუწყებლო კომპანიების საქმიანობის შემოწმება და შეადგინა შესაბამისი აქტი, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია შპს „ტელეიმედის“ მიერ გადაიცა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიმართვა, რომელიც ქვეყანაში არსებული რეალობის ფონზე განხილული უნდა იქნეს, როგორც უკანონო პროცესების კიდევ უფრო მეტად ესკალაციის აშკარა ნაქეზება, რაც წარმოადგენს განზრახ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.

შპს „ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის ბიძინა ბარათაშვილის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა ბადრი (არკადი) პატარკაციშვილის 2007 წლის 7 ნოემბერის მიმართვის ვიდეორჩანაწერი, რომლის თანახმად დასტურდება, რომ აღნიშნული მიმართვა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პირველად გადაიცა 2007 წლის 7 ნოემბერს, **18 საათსა და 28 წუთზე**. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შემოწმების აქტი №20 შედგა 17 საათსა და 40 წუთზე, ხოლო საგანგებო სხდომა ჩატარდა 18:00 საათზე. ამგვარად, გ. რატიშვილმა 40 წუთით ადრე განსაზღვრა „ტელეიმედის“ ეთერში არკადი პატარკაციშვილის განცხადების გადაცემის ფაქტი, ხოლო ზურაბ ნონიკაშვილმა მოიწვია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რიგგარეშე სხდომა და შპს „ტელეიმედს“ დააკისრა გაფრთხილება და ჯარიმა ისეთი ქმედებისათვის, რომელსაც 28 წუთის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ რომ აღნიშნული ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს: **სამსახურებრივი სიყალბე, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტში ან დავთარში, ანდა ყალბი დოკუმენტის შედგენა ან გაცემა, აგრეთვე სანარმოს, დანესებულების ან ორგანიზაციის საქმეში არსებული ოფიციალური ან კერძო დოკუმენტის გაყალბება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.**

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი სიყალბე გამოიხატება ოფიციალურ დოკუმენტში არასწორი მონაცემის შეტანაში. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ამგვარი ქმედება შესაძლოა მოტივირებული ყოფილიყო პირადი ინტერესებით.

საქმის მასალები სახალხო დამცველმა გადაუგზავნა გენერალურ პროკუროროს წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

როგორც ვხედავთ, ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, გამომძიებელი მ. ქაჯაია და მოსამართლე გ. შავლიაშვილი ერთდროულად მივიდნენ დასკვნამდე, რომ „იმედის“ ეთერით გაჟღერებული ბადრი პატარკაციშვილის განცხადება „კონსტიტუციური ნესრიგის მოშლის“, „ქვეყანაში მასობრივი არეულობების“ და „ძალადობისაკენ ნაქეზების“ ისეთ „აშკარა, პირდაპირ და არსებით“ საფრთხეს შეიცავდა, რომ აუცილებელი იყო იმ ტელეკომპანიის მაუწყებლობის შეჩერება, რომლის ეთერიდანაც ეს განცხადება გაისმა.

ამგვარად, ყველა საშუალება იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ ტელეკომპანია „იმედს“ ელემენტარული საშუალებაც კი არ დარჩენოდა ეთერში გასასვლელად – ყადაღა, ლიცენზიის შეჩერება, აპარატურის განადგურება, ტელეანტიდან გამორთვა და სატელიტზე გადამცემი თეფშის სადენების გადაჭრა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხადია, რომ ეს ყველაფერი მოცემული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ განხორციელებულა.

არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტებზე აღნიშნული თარიღები მიუთითებს სიყალბეზე. თავდაპირველად ცნობილი იყო რომ „ტელეიმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტა განპირობებული იყო პრეზიდენტის დეკრეტით საგანგებო მდგომარეობის დროს გასატარებელ ღონისძიებების თაობაზე. 13 ნოემბრისათვის ცნობილი ხდება, რომ „ტელეიმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტას საფუძვლად დაედო არა საგანგებო მდგომარეობა, არამედ 2007 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული სასამართლოს ბრძანება ყადაღის დადების თაობაზე.

დავივინყოთ ქრონოლოგიური შეუსაბამობები, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით, გვერდზე გადავდოთ მაუწყებლობის ამკრძალავი ბრძანების დაუსაბუთებლობა, მისი განხორციელების ვანდალური ფორმები, დავეშვათ, რომ სამაუწყებლო ლიცენზიაზეც შესაძლებელია ყადაღის დადება და განვიხილოთ აღნიშნული ბრძანების შინაარსი (გასაგებია, რომ დაშვებების სიმრავლიდან გამომდინარე, ამ განხილვას მხოლოდ ფორმალური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს).

ლიცენზიის დაყადაღების მართლზომიერება

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს 16:10 საათზე შპს „ტელეიმედის“ გენერალურ დირექტორს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა მ. ქაჯაიამ გადასცა ბრძანების ასლი, რომელიც თარიღდება 2007 წლის 7 ნოემბრით და რომლის მიხედვითაც ყადაღა დაედო შპს „ტელეიმედის“ ქონებას, ხოლო მესაკუთრესა და მფლობელს აეკრძალათ ამ ქონებით სარგებლობა და მისი განკარგვა. ბრძანება გაცემულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გ. შავლიაშვილის მიერ.



ბრძანების გამოსაცემად, როგორც თავად ბრძანების შინაარსიდან ირკვევა, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე, 190-194-ე და მე-200 მუხლებით.

სსსკ 190-ე მუხლი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს და საფუძველს. სასამართლო თავისი ბრძანებით დაეყრდნო სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვითაც „ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქონებაზე ყადაღის დადების ღონისძიება ასევე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-330-ე და 331¹ მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად“.

სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად კანონიერად გამოიყენა სასამართლომ ყადაღა და რამდენად შეესაბამებოდა და ემყარებოდა მისი გამოყენება სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებსა და საფუძველს.

სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან ცალსახაა, რომ ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს უნდა წარმოადგენდეს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-330-ე და 331¹ მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღკვეთის უზრუნველყოფა ან მათი მომზადების შესახებ მონაცემების შემთხვევაში, მათი ჩადენის თავიდან აცილება, ხოლო მისი გამოყენების საფუძველია „საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად“.

კონკრეტულ შემთხვევაში, გამომძიებლის შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დასადებად ბრძანების გაცემის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, არანაირ ფაქტობრივ გარემოებას არ ემყარებოდა. როგორც სასამართლოს ბრძანების აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, გამომძიებელი თავის შუამდგომლობას შემდეგ არგუმენტებს აფუძნებს:

„2007 წლის 2 ნოემბერს, საქართველოში რეგისტრირებულმა რიგმა პოლიტიკურმა მოძრაობებმა და პარტიებმა, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო საპროტესტო აქციები, რომელიც საწყის ეტაპზე მიზნად ისახავდა არჩევნებთან დაკავშირებული რიგი პოლიტიკური მოთხოვნის ხელისუფლების მხრიდან დაკმაყოფილებას. აღნიშნული აქციები ორგანიზებული, მხარდაჭერილი და დაფინანსებული იქნა ბიზნესმენ არკადი პატარკაციშვილის მიერ, რომელიც სატელევიზიო თუ სხვა სახის საჯარო გამოსვლებში ცალსახად ადასტურებდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ფაქტს და აშკარად გამოხატავდა მწვავე დაპირისპირებას საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მიმართ.“

2007 წლის 7 ნოემბერს, იმ მიზეზით, რომ დარღვეულ იქნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ: არ ყოფილა დაცული კანონით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნები და არ გაფრთხილებულა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და შესაბამისად აქცია ატარებდა უკანონო ხასიათს; ასევე განზრახ შეექმნა შეფერხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას; ასევე დაფიქსირდა აქციაზე ალკოჰოლური სასმელების მასობრივი გამოყენება, რაც აკრძალულია კანონმდებლობით; რუსთაველის გამზირზე უკანონოდ აღმართულ იქნა დროებითი კონსტრუქციები, რომელთა დემონტაჟის დროს სამართალდამცველთა მიმართ განხორციელდა ძალადობრივი წინააღმდეგობა, მათ შორის აქციის ორგანიზატორთა მხრიდან; თვითმმართველობის ორგანოს კანონიერი გაფრთხილების მიუხედავად, მიტინგის ორგანიზატორების მიერ არ განხორციელებულა კანონით მათთვის დაკისრებული ვალდებულება, კანონის მასობრივი დარღვევების შემთხვევაში შეეწყვიტათ შეკრება და მიეღოთ ზომები მონაწილეთა დასაშლელად – სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღეს სრულიად კანონიერი, ადეკვატური და პროპორციული ზომები კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად.

აქციის ორგანიზატორების აქტიურმა ძალისხმევამ და მონოდებებმა განაპირობა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ განხორციელებული აშკარა ძალადობა და მათი კანონიერი მოთხოვნების მასობრივი შეუსრულებლობა, ასევე გამოიწვია მასობრივი არეულობა, მათ შორის საქართველოს პარლამენტის შენობაში არალეგიტიმური შეჭრა. სამართალდამცავთა მიერ რუსთაველის გამზირზე წესრიგის დამყარების შემდეგ, მიტინგის ორგანიზატორთა მიერ გაკეთებული მონოდების შედეგად, მომიტინგეებმა გადაინაცვლეს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ე.წ. „რიყის“ ტერიტორიაზე და განაგრძეს მასობრივი გამოსვლები. ამ შემთხვევაშიც ადგილი ქონდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ აშკარა ძალადობას და მათი კანონიერი მოთხოვნების მასობრივ შეუსრულებლობას. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად რამდენიმე ათეულმა სამართალდამცავმა მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები.

არკადი პატარკაციშვილმა, როგორც შეთქმულებაში მონაწილემ, 2007 წლის 7 ნოემბერს, მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებადი „ტელეიმედის“ საშუალებით გააკეთა განცხადება, რომელმაც უკიდურესად გამწვავებული ვითარების ფონზე შექმნა მყისიერი და რეალური საფრთხე ვითარების კიდევ უფრო მეტად ესკალაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა, რაც წარმოადგენდა დედაქალაქში მიმდინარე მასობრივი არეულობის კიდევ უფრო გააქტიურების ნაქეზებას.

აღნიშნული ქმედებისათვის, არკადი პატარკაციშვილი 2007 წლის 7 ნოემბერს ცნობილ იქნა ეჭვმიტანილად დანაშაულის ჩადენაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბრძანებაში ასევე მითითებულია, რომ გამომძიებელმა შუამდგომლობაში თავისი მოთხოვნა შემდეგ გარემოებებს დააფუძნა: „საქართველოს დედაქალაქში შექმნილია მასობრივი არეულობა, ადგილი აქვს სამართალდამცავთა მიმართ ძალადობრივი წინააღმდეგობის მასობრივ განევას, გამოძიების ვარაუდით არსებობს რეალური საფრთხე, რომ აღნიშნულმა პროცესებმა შეიძლება მიიღოს კიდევ უფრო მძიმე და უმართავი ხასიათი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – ამბოხების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის აღკვეთის მიზნით, ითხოვა ყადაღა დაედოს ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №5-ში მდებარე შპს „ტელეიმედის“ ქონებას, რამეთუ არსებობს საკმარისი მონაცემები და დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება ამ მიზნის მისაღწევად. ამ ვარაუდს ამყარებს ის გარემოება, რომ სწორედ ტელეკომპანია „იმედი“ იყო გამოყენებული, როგორც მთავარი საშუალება იმ აქციების ორგანიზებისათვის, რომლებმაც მიიღეს უკონტროლო ხასიათი, შექმნეს დედაქალაქში მასობრივი არეულობა და სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობის აშკარა და რეალური საშიშროება.“

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, არსებობდა თუ არა სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზანი, უნდა გავერკვეთ, გვექონდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე:

სსკ-ის 323-ე-330-ე და 331¹ მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაული ან მისი მომზადება

ან

სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან მისი მომზადება

ასევე აუცილებლად უნდა არსებობდეს **საკმარისი მონაცემები** იმის დასადასტურებლად, რომ ქონება იქნა ან იქნებოდა გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად.

კონკრეტულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ სსკ-ის 323-ე-330-ე და 331¹ მუხლებით გათვალისწინებული არცერთი დანაშაულის შესახებ არ არსებობდა მონაცემები და შესაბამისად არც გამოძიება იყო დაწყებული. შესაბამისად ყადაღის გამოსაყენებლად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩადენილი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან უნდა მომხდარიყო ასეთი დანაშაულის მომზადება.



190-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისათვის აუცილებელი იყო შემდეგი პირობის არსებობა:

1. სასამართლოს უნდა ჰქონოდა საკმარისი მონაცემები, რომლებიც უნდა ყოფილიყო დაფუძნებული უტყუარ მტკიცებულებებზე, რათა დიდი ყოფილიყო ალბათობა, რომ დანაშაულის ჩასადენად სწორედ აღნიშნული ქონება („ტელემედის“ საკუთრებაში არსებული ნივთები (შენობა ნაგებობა და აპარატურა) და (ლიცენზია) არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) იქნებოდა გამოყენებული;
2. სახეზე უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (რომლის აღკვეთაც უნდა მომხდარიყო), ან ასეთი დანაშაულის მომზადება (რათა ყადაღის განხორციელებას ხელი შეეშალა დანაშაულის სისრულეში მოყვანისთვის);
3. აღნიშნული ქონება უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩასადენად ეფექტური საშუალება;

იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა სახეზე აღნიშნული პირობები სასამართლო განხილვისას, აუცილებელია სათითაოდ განვიხილოთ ისინი.

1. ჰქონოდა თუ არა სასამართლოს **საკმარისი მონაცემები**, რომ დანაშაულის ჩასადენად „ტელემედის“ ქონება იქნებოდა გამოყენებული?

სსსკ-ის 193-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „პროკურორი ან მისი თანხმობით გამოძიებული ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ადგენს და სასამართლოს უგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს მოსამართლის ბრძანების მისაღებად საჭირო მონაცემები“.

აღნიშნული ნორმის თანახმად, სწორედ პროკურორი ან, მისი თანხმობით, გამოძიებული არის ვალდებული, სასამართლოს გადაუგზავნოს **დასაბუთებული** შუამდგომლობა.

შუამდგომლობა დასაბუთებულად შეიძლება მაშინ მივიჩნიოთ, თუ მასში მოყვანილი ფაქტები ემყარება კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომლებიც მაღალი ალბათობით ადასტურებს მოყვანილი გარემოებების სინამდვილეს.

სასამართლო სწორედ აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სსსკ 140-ე მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორის, ან პროკურორის თანხმობით, გამოძიებლის შუამდგომლობით, მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, გასცემს ბრძანებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

ამავე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემონმების შემდეგ მოსამართლე გასცემს ბრძანებას სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ საქმეში არ მოიპოვება პირის მიმართ ასეთი ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძველები, მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

შესაბამისად, სწორედ მოსამართლეა ვალდებული, ამტკიცოს როგორც ფორმალურ (საპროცესო), ასევე ფაქტობრივ (მტკიცებულებით) გარემოებათა არსებობა ამა თუ იმ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისათვის.

ამავე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას და შუამდგომლობის შემტან პირს წინადადება მისცეს, წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემონმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

სასამართლო სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენებისას ვალდებულია, თავის აქტში დაასაბუთოს, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მივიდა საბოლოო დასკვნამდე. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო თავის ბრძანებაში აღწერს გამომძიებლის მიერ შუამდგომლობაში მოცემულ გარემოებებს, მიუთითებს, რომ გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მივიდა დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა წარმოდგენილია საპროცესო კანონმდებლობის დაცვით და არსებობს მისი დაკმაყოფილების რეალური საფუძვლები. მოსამართლე ვერ ასახელებს, კონკრეტულად რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მივიდა დასკვნამდე, რომ სწორედ ტელეკომპანია „იმედის“ ქონება იქნებოდა გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად. მხოლოდ გამომძიებლის ვარაუდი იმის შესახებ, რომ არკადი პატარკაციშვილს შეეძლო განცხადება გაეკეთებინა ტელეკომპანია „იმედით“, რომელიც დანაშაულის იარაღად აქცევდა ტელეკომპანიას, ვერ იქნება აღქმული სათანადო არგუმენტად. ასეთ გადაწყვეტილებამდე სასამართლო შეიძლება მიეყვანა მხოლოდ გამომძიებლის „განსაკუთრებულ უნარს მოსამართლის დარწმუნებისა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიუთითებდა იმ „საკმარის მონაცემებზე“, რომლებიც სარწმუნოს გახდიდა ტელეკომპანია „იმედის“ ქონების გამოყენებას დანაშაულის ჩასადენად. როგორც სასამართლოს ბრძანებიდან ირკვევა, მოსამართლე კონკრეტულად არ უთითებს რომელიმე მონაცემზე, რომელიც საკმარისი იქნებოდა საფუძვლიანი ეჭვის მისატანად იმაზე, რომ სწორედ ტელეკომპანია „იმედის“ ქონების მეშვეობით მოხდებოდა სსკ-ის 315-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ასე რომ, ამ შემთხვევაში მოსამართლის მიერ ბრძანების გამოცემა ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) გარემოებების მითითების გარეშე, მხოლოდ გამომძიებელი მ. ქაჯაიას ზემოხსენებულ „განსაკუთრებულ უნარს“ უნდა დაუყუკვიროთ. სხვა მონაცემი იმის თაობაზე, რომ „იმედის“ ქონების დაყვადება აუცილებელი იყო დანაშაულის აღსაკვეთად, არ არსებობს.

შესაბამისად, მოსამართლეს არ გააჩნდა საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ გამოეცა შპს „ტელემედის“ ქონების დაყვადების ბრძანება.

2. იყო თუ არა სახეზე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (რომლის აღკვეთაც უნდა მომხდარიყო), ან ასეთი დანაშაულის მომზადება (რომ ყადაღის განხორციელებას ხელი შეეშალა დანაშაულის სისრულეში მოყვანაზე)?

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემონების შემდეგ მოსამართლე გასცემს ბრძანებას სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ საქმეში არ მოიპოვება პირის მიმართ ასეთი ღონისძიების გამოყენების როგორც **ფორმალური**, ისე ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებას უკავშირებს ორ გარემოებას:

1. უნდა არსებობდეს მისი გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლები;
2. უნდა არსებობდეს მისი გამოყენების ფორმალური საფუძვლები;

ჩვენ უკვე განვიხილეთ რამდენად არსებობდა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლები. არანაკლებ მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რამდენად არსებობდა აღნიშნული იძულების ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები.

იმისათვის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე გვექონოდა სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფორმალური საფუძვლები, აუცილებელი იყო, სახეზე გვექონოდა ერთ-ერთი:



1. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (რომლის აღკვეთაც უნდა მომხდარიყო);
2. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება (რომ ყადაღის განხორციელებას ხელი შეეშალა დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად).

სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილი სწორედ ამ გარემოებებს (დანაშაულის მომზადებას ან დანაშაულის აღკვეთას) უკავშირებს ქონებაზე ყადაღის დადების გამოყენების შესაძლებლობას.

ამავდროულად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დანაშაული, რომლის მომზადება და ჩადენა ხდება, უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად: „განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა“.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც სასამართლოს ბრძანების აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება, რომლის მიხედვითაც ბიზნესმენი არკადი პატარკაციშვილი 2007 წლის 7 ნოემბერს ცნობილ იქნა ეჭვმიტანილად სსკ-ის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად). აღნიშნული ნორმა სანქციად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან – რვა წლამდე და განეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს.

როგორც ითქვა, სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა პროცესუალური უფლება, გამოეყენებინა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, თუ სახეზე გვექნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა.

დავუშვათ, რომ არკადი პატარკაციშვილს, „ტელემედით“ გაკეთებული განცხადებების საშუალებით, ჩაფიქრებული ჰქონდა „მასობრივი არეულობის ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, ცეცხლის ნაკიდება, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობა“. აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი და იგი მძიმე ხასიათისაა. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გამოეყენებინა 190-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები.

ასეთი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მონაცემები (რომლებიც დასაბუთებულს უნდა ხდიდეს უფლების შეზღუდვას), რომ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული მზადების პროცესშია ან მომზადებულია და მისი განხორციელება დამოკიდებულია სწორედ კონკრეტული ქონების გამოყენებაზე. სხვა შემთხვევაში ყადაღის დადების გადაწყვეტილება უკანონოა.

სსსკ-ის 263-ე მუხლის თანახმად: „წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამოძიებულს ან პროკურორს მიანოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა, ოპერატიულ-სამძებრო ორგანომ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აგრეთვე უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.“

„ტელევიმედის“ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსამართლემ თავისი ბრძანება დააყრდნო მხოლოდ გამომძიებლის ვარაუდს, რომ მომავალში არკადი პატარკაციშვილს შეიძლება ჩაედინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 315-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ამ ეჭვის დასასაბუთებლად გამომძიებელს არანაირი არგუმენტი არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ არ ცნო მან არკადი პატარკაციშვილი ეჭვმიტანილად სსკ-ის 315-ე მუხლის მე-2 ნაწილითაც.

მიუხედავად ამისა, მოსამართლე სწორედ გამომძიებლის ამ „შორსმჭვრეტელურ“ ვარაუდს დაეყრდნო, ჩათვალა, რომ ა. პატარკაციშვილს მართლაც შეეძლო ჩაედინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული – „ამბოხება“ ტელეკომპანია „იმედის“ ქონების გამოყენებით და სწორედ ეს მიიჩნია საკმარის საფუძვლად, დაედო ყადაღა „ტელევიმედის“ ქონებაზე და პრაქტიკულად შეენწყვიტა ტელევიმედის მაუნყებლობა. გამომძიებელს არ მოუყვანია არცერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ არკადი პატარკაციშვილი შპს „ტელევიმედის“ ქონების გამოყენებით ამზადებდა ამბოხებას სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მსგავსი იქნებოდა, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო 11 სექტემბრის ტერაქტების სერიის შემდეგ ყადაღას დაადებდა ყველა საფრენ საშუალებას, რათა ტერორისტებს არ მისცემოდათ საშუალება, შეჯახებოდნენ შენობებს, ან თუ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებას დაეადებდით ყადაღას, რადგანაც არსებობს გამომძიებელ მ. ქაჯაიას ვარაუდი, რომ ისინი გამოყენებული იქნება რომელიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მაშინ, როცა თავის შუამდგომლობაში გამომძიებელი მ. ქაჯაია საუბრობს „დედაქალაქში მიმდინარე მასობრივი არეულობების კიდევ უფრო გააქტიურების“ ნაქვებზე და „ამბოხების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის აღკვეთის“ აუცილებლობაზე, ხოლო შემდეგ, როცა მოსამართლე გ. შავლიაშვილი იმავეს იმეორებს თავის ბრძანებაში, დედაქალაქში უკვე აღარანაირი არეულობის კერა აღარ არსებობს, სპეცდანიშნულების რაზმის მიერ განმედილია როგორც რუსთაველის, ასევე რიყის მიმდებარე ტერიტორია. ამის შემდეგ ვარაუდის დონეზეც კი აღარ შეიძლება იმის მტკიცება, რომ „იმედის“ ეთერით გაჟღერებულ ნებისმიერი სახის მონოდებას შეეძლო გამოეწვია საიდანაც შეიარაღებული და ორგანიზებული ხალხის გამოჩენა ხელისუფლების დამხობის მიზნით. უიარაღო და არაორგანიზებული ადამიანების მიერ ხელისუფლების დამხობის შეუძლებლობას კი, ვფიქრობთ, მტკიცება არ სჭირდება.

მაშასადამე, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა რომელიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ან მომზადების შესახებ საკმარისი მტკიცებულება, მოსამართლეს არ შეეძლო, გამოეყენებინა 190-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსამართლე გ. შავლიაშვილის ბრძანება მოკლებულია საკმარის ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებს და შესაბამისად, უკანონოა.

„იმედის“ მაუნყებლობა, როგორც „აშკარა, პირდაპირი და არსებითი“ საფრთხე სახელმწიფოს უშიშროებისათვის

განვიხილოთ, რამდენად პროპორციული და ადეკვატური იყო შესაძლო ამბოხების თავიდან ასაცილებლად ტელეკომპანია „იმედის“ მაუნყებლობის შეწყვეტა და რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული ტელეკომპანიის ქონება და სამაუნყებლო ლიცენზია ამგვარი დანაშაულის ჩადენის ეფექტურ საშუალებას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტების მხრივ განსაკუთრებით მწირია მოსამართლე გ. შავლიაშვილის ბრძანება. ამ დოკუმენტის ერთი გვერდი ეთმობა 2-7 ნომბრის მოვლენების აღწერას და იმ სამართალდარღვევებს, რომლებიც დაფიქსირდა ამ მოვლენების დროს.



აღნიშნული მტკიცებები ნაკლებად დამაჯერებელია, თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ მისი დასაბუთებულობის განხილვას, რადგან ამ ყველაფერს ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ გატარებულ სანქციებთან ნაკლები კავშირი აქვს. მაშინ, როცა ნოემბრის აქციები მთელი საქართველოსა და საერთაშორისო მედია საშუალებების ყურადღების ცენტრში იყო, ტელეკომპანიების და მათ შორის, „იმედის“ დანტერებაც, გაეშუქებინა ეს მოვლენები, სრულიად ბუნებრივია. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც „თავისუფალი პრესა ფაქტობრივად წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, ერთი მხრივ, ხალხსა და, მეორე მხრივ, პარლამენტსა თუ მთავრობაში მის (ხალხის) წარმომადგენლებს შორის, ხალხი მეტწილად სწორედ პრესის საშუალებით ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებაზე. პარლამენტისა და მთავრობის წევრებს პრესის საშუალებით მათზე განხორციელებული კონტროლი და საზოგადოებრივი ზენოლა აიძულებს, კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებების შესაბამისად.“⁶⁹

იმასაც აღვნიშნავთ, რომ სასამართლოს ბრძანებაში ნახსენები „საქართველოს პარლამენტის შენობაში არალეგიტიმური შეჭრა“ არ მომხდარა. თავად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, „იმედის“ ყურნალისტებთან შეხვედრისას დაადასტურა, რომ პარლამენტის ჭიშკარი მისი ბრძანებით გაიღო, რათა მოქალაქეებს საშუალება მისცემოდათ, თავი შეეფარებინათ პარლამენტის შენობისათვის, რითაც, სავარაუდოდ, არაერთი მოქალაქის მძიმე მონამვლისა თუ სხვა დაზიანების ფაქტი იქნა თავიდან აცილებული.

ერთადერთი არგუმენტი, რაც გამომძიებელმა გ.ქაჯაიამ ტელეკომპანია „იმედის“ დაყადაღებისათვის მოიყვანა და რაც მოსამართლემაც გაიზიარა, არის „იმედის“ ეთერით არკადი პატარკაციშვილის განცხადების გავრცელება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მონოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. მონოდება ინვესტს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“

ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია არა თავად მონოდება, არამედ კანონის დარღვევისაკენ მიმართული ქმედება. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ ფაქტს, რომ 18.00 საათისთვის ქ. თბილისში უკვე ყოველგვარი მანიფესტაცია აღკვეთილი იყო და არავითარი არეულობის საფრთხე და მით უმეტეს არეულობა აღარ არსებობდა. შესაბამისად, მაშინ, როცა „იმედის“ ეთერში გაისმა ბადრი პატარკაციშვილის განცხადება ანუ 18:28 საათზე, არ არსებობდა არანაირი აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე, რომ მას რეალური უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა მასობრივი არეულობისა და ძალადობის სახით.

ამის დადასტურებლად ისიც მიგვაჩნია, რომ 22.32 საათზე პრემიერ მინისტრის, ბატონ ზურაბ ნოლაიდელის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შედეგად „დროებითი შეზღუდვა წესდება [...] მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არეულობის, ძალადობისა და ძალის გამოყენებით ხელისუფლების დამხობის მოწოდებებზე, ეს შეზღუდვები წესდება მხოლოდ, სხვა მხრივ სიტყვის თავისუფლება არ იზღუდება. როგორც კი აღდგება ჩვეულებრივი წესრიგი, ბუნებრივია, მაშინვე მოიხსნება საგანგებო მდგომარეობა და აღდგება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩვეულებრივი ფუნქციონირება“

როგორც ვხედავთ, ბატონი პრემიერ მინისტრი სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის მონოდების გავრცელება სიტყვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია და მისი შეზღუდვა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და გარკვეული დროით შეიძლება, რაც გამორიცხავს მონოდებების გავრცელების გამო სამაუწყებლო საშუალებისათვის გრძელვადიანი სანქციის დაკისრებას.

⁶⁹ კონსტანტინე კუბლაშვილი „ძირითადი უფლებები“, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი 2003 წ., გვ. 250-251

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებებში ასევე საუბარია „კანონსაწინააღმდეგო შედეგის (კონსტიტუციური წყობის მოშლის) დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით“ საფრთხეზე. კომისიის შეფასებით, აღნიშნული ქმედება (პატარაკაციშვილის განცხადების წაკითხვა) წარმოადგენს „ძალადობისკენ ნაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს“.

ბადრი პატარაკაციშვილის განცხადება შემდეგში მდგომარეობდა: „სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი განწინდებულია, მე ისევე როგორც მილიონობით ქართველი უკანსკნელ წამამდე გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ ხელისუფლება ვერ გაბედვდადა ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, გავაკეთე ყველაფერი რათა გამოძიებულა კომპრომისი. ოპოზიციონერები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელისუფლების არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოვეგენ და არ გადადგეს არაკანონიერი ნაბიჯი, ზუსტად ამან გააცოფა შეშლილი სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, ყველა ის ვინც გვიყვებოდნენ ზღაპრებს თავიანთი დემოკრატიულობის შესახებ. სააკაშვილის ხელისუფლება დანაშაულებრივი აღმოჩნდა, დღეს მთელი საქართველოს, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ხელისუფლებამ დაკარგა ლეგიტიმურობა, სააკაშვილის რეჟიმიმ აჩვენა, რომ არაფრით განსხვავდება იმ კომუნისტურისგან, რომელთა ჯარისკაცებიც გამწვანებულა ნიჩბებით უჩვენებდნენ თავებს ჩვენს მოქალაქეებს 1989 წლის 9 აპრილს, იმავე ადგილას. ახლა ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ხარჯავს ხალხის ფულს დამსჯელი პოლიციური ბატალიონის და სპეცდანიშნულების დანაყოფის აღჭურვაში, რათა შემდგომ ისინი საკუთარ მშვიერ, შეურაცხყოფილ ხალხს გაუსწორდეს. სწორედ ამიტომ აშფოთებს ის ადამიანებს, რომლებიც საპირისპიროდ ფულს ჩვენი ქვეყნის ქალაქების კეთილმონყობაში ხარჯავენ. მაგრამ დანაშაულებრივი ხელისუფლების განსაკუთრებულ გაბოროტებას იმსახურებს ხალხის თავისუფალი ხმა, ხელისუფლებას არადამორჩილებული კომპანია „იმედი“, მე უზომოდ მადლობელი ვარ „იმედის“ მამაცი ჟურნალისტების, იმ ყველა პატიოსანი ჟურნალისტის, იმისთვის რომ მათ აუხილეს თვალები საქართველოს მოსახლეობას, მთელ მსოფლიოს სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებრიობაზე. სიმბოლურია, რომ ზუსტად დღეს, 7 ნოემბერს, ბოლშევიკური პუჩიდან 90 წლის თავზე საქართველოს ახალ ტრაგედიას განიცდის. ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი ფინანსური რესურსი, უკანსკნელი თეთრის ჩათვლით გამოყენებულ იქნება საქართველოს ფაშისტური რეჟიმისგან გასათავისუფლებლად. გაუმარჯოს საქართველოს.“

ჩვენი შეფასებით, ხსენებული განცხადება არ შეიცავს არანაირ მონოდებას ძალადობისკენ, რის გამოც ტელეკომპანიას შეეძლო, უარი ეთქვა მის ეთერში გაშვებაზე. საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ ბადრი პატარაკაციშვილს გადანყვეტილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიებისა და მათი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. მის ადრე გაკეთებულ განცხადებაში ყოველთვის ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხელისუფლების შეცვლას იგი მხოლოდ მშვიდობიანი გზით განიხილავდა და ყველაფერს გააკეთებდა ამის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ ვინმეს შეეძლო პატარაკაციშვილის განცხადება გაეგო, როგორც ძალადობისაკენ მონოდება, დაუშვებელია. ეს იყო ცხარე და აგრესიული ტონით გაკეთებული პოლიტიკური განცხადება, რომელიც დაცულია გამოხატვის თავისუფლების პრინციპით. მით უმეტეს დაუშვებელია იმ მედია საშუალებაზე სანქციის დაწესება, რომელმაც ეს განცხადება თავისი ეთერის მეშვეობით გაავრცელა.

ჩვენი პოზიციის დასადასტურებლად მოვიყვანთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. იმასაც აღვნიშნავთ, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ისევე, როგორც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.“

ძირითადი ელემენტი, რომელსაც ევროსასამართლო აფასებს, არის ძალადობის ფაქტორი. იმისთვის, რომ გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მონოდებას ან პუბლიკაციას უშუალოდ უნდა შეეძლოს ძალადობის გამონწვევა. ეს შესაძლებლობა კი ყოველთვის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს.⁷⁰

⁷⁰ 1999 წლის 8 ივლისის გადანყვეტილება სურეკი და იოზემირი თურქეთის წინააღმდეგ NN23927/94 და 24277/94



ყველა სხვა შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინფორმირებას და შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის, თუნდაც ყველაზე უფრო აგრესიული განცხადების საზოგადოებისათვის მიწოდება მოვლენების რეალისტურ ასახვასა და გაშუქებას ისახავს მიზნად.

სტრასბურგის სასამართლომ, საქმეში ოკუიოლლუ თურქეთის წინააღმდეგ მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შემზღვეველი მოქმედება ძალზე ვიწრო პოლიტიკური სიტყვისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატების სფეროში. ნებადართული კრიტიკა უფრო ფართოა მთავრობასთან მიმართებაში, ვიდრე კერძო პირებისა და თვით პოლიტიკოსების შემთხვევაშიც კი. დომინანტური ადგილი, რომელსაც იკავებს მთავრობა, ავალდებულებს მას, გამოამყვანოს თავშეკავებული დამოკიდებულება სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებისას მაშინ, როდესაც შესაძლებელია არა სისხლისსამართლებრივი, არამედ სხვა სახის ღონისძიების გამოყენება იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს მონინააღმდეგეების დაუსაბუთებელ თავდასხმებსა და კრიტიკას. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს რჩება საშუალება მოახდინოს რეაგირება, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, ისეთ მეტისმეტად გადაჭარბებულ გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ნესრიგს, როგორც ეს მოხდა საქმეში ინკალი თურქეთის წინააღმდეგ. იმ გამონათქვამებთან მიმართებაში, რომლებიც შეიცავს ინდივიდების, თანამდებობის პირებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის ძალადობისაკენ წაქეზებას, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით, შეზღუდოს თუ არა ასეთი სახის გამონათქვამები. (47-ე პარაგრაფი).

ევროსასამართლოს აზრით, დემოკრატიის მთავარი პრინციპია განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებებისა და პროექტების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, თუნდაც ისინი წინააღმდეგობდნენ იმჟამად არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციის სისტემას.⁷¹ ხელისუფლების ვალდებულებაა, მსგავს შემთხვევებში ნაკლებად მიმართოს სისხლის სამართლის პროცედურებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზოგადოების ან მედიის მხრიდან გაუმართლებელ კრიტიკულ გამოსვლებზე პასუხის გაცემისთვის სხვა გზებიც არსებობს.⁷²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ოკუიოლლუს საქმეში თურქეთის სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება მიიჩნია არაპროპორციულ ჩარევად და შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მიერ პრესაში გაჟღერებული ტონი იყო მტრული, ის არ მოიცავდა მონოღობას ძალადობაში მონაწილეობის, შეიარაღებული წინააღმდეგობისა და აჯანყებისაკენ. ეს იყო ის არსებითი ფაქტორი, რაც სასამართლომ მიიღო მხედველობაში.⁷³

ბადრი პატარკაციშვილმა „იმედის“ ეთერით განაცხადა, რომ უკანასკნელ თეთრს დახარჯავდა სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად. ეს განცხადება მან გააკეთა რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციის დარბევის შეფასებისას. აღნიშნული შეფასება არის მტრული ხასიათის, თუმცა არ წარმოადგენს მონოღობას შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამგვარი შეფასებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება არაპროპორციულად მიიჩნია ზემოაღნიშნულ საქმეში. შესაბამისად, „ტელეიმედის“ მიერ აღნიშნული განც-

⁷¹ 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება იბრაჰიმ აკსოი თურქეთის წინააღმდეგ NN28635/95, 30171/96 ეტ 34535/9, §77; 1999 წლის გადაწყვეტილება თავისუფლებისა და დემოკრატიის პარტია თურქეთის წინააღმდეგ 28635/95, 30171/96 et 34535/97 §44

⁷² კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ

⁷³ ქუთათული წარმოშობის თურქეთის მოქალაქემ ახმედ ოკუიოლლუმ ჟურნალ „დემოკრატი“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც სტამბულის პროკურატურამ ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიიჩნია და ყადაღა დაადო ზემოხსენებული ჟურნალის ეგზემპლარს, ხოლო სტატიის ავტორი მიცემული იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. თურქეთის ეროვნული უშიშროების სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცხადებლის კომენტარები, რომლებიც ეხებოდა ქუთათის ტერიტორიების დაყოფას რამდენიმე სახელმწიფოს მიერ და ქუთათული წარმოშობის ადამიანებისათვის მოქალაქეობაზე უარის თქმას, წარმოადგენდა სეპარატიზმის პროპაგანდას და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში გაჩაღებული ტერორისტული ომის ფონზე, რომელშიც დღემდე ათობით ადამიანი იღუპებოდა, საფრთხეს უქმნიდა თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ხადების გავრცელების ძალადობისკენ ნაქეზებად შეფასება და ამ შეფასების საფუძველზე აღნიშნული ტელეკომპანიისათვის მაუნყებლობის უფლების შეჩერება კონვენციის მე-10 მუხლის და შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

საქმეში *ინკალი თურქეთის წინააღმდეგ*⁷⁴ განმცხადებლის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები, რომლებიც გამოხატული იყო ლიფლეტების სახით, მიზნად ისახავდა შუღლის გაღვივებას იზმირში მცხოვრები ქურთების მიმართ, კერძოდ, ლიფლეტების მიხედვით იზმირის მუნიციპალიტეტი აპირებდა ქურთების ქალაქიდან გასახლებას. თურქეთის მთავრობა მოსარჩელის მიმართ გამოყენებულ სისხლის სამართლის სანქციებს იმით ხსნიდა, რომ ინკალი მოუწოდებდა მოსახლეობას აჯანყებისა და დაუმორჩილებლობისაკენ. შესაბამისად, მის წინააღმდეგ გატარებული ზომები გამართლებული იყო უწესრიგობისა და აჯანყების თავიდან აცილების მიზნით. ევროსასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და განაცხადა, რომ მიუხედავად ტერორიზმის საფრთხის რეალურობისა, ვინაიდან არაფერი ადასტურებს ინკალის როლს ტერორიზმთან დაკავშირებული პრობლემების არსებობაში, მის მიმართ გამოყენებული ზომები, კერძოდ კი აღნიშნული ლიფლეტების ჩამორთმევა და სისხლისსამართლებრივი სანქციები დისპროპორციულია, არ წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამგვარად, არღვევს მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

არკადი პატარკაციშვილს კიდევ რომ მოწოდებინა სააკაშვილის ხელისუფლების დამხობისაკენ, ამ მოწოდების ადრესატები, ინკალის საქმის მსგავსად, იქნებოდნენ არა კარგად შეიარაღებული ტერორისტული ფორმირებები, არამედ ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით პირისპირ იდგნენ კარგად შეიარაღებული სამხედრო ფორმირებების და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წინაშე, რომლებმაც ხელკეტების, ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიების, ნყლის ჭავლისა და სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენებით კარგად გაართვეს თავი იმ ამოცანის დაძლევის, რასაც მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი მასობრივი არეულობასა და ხელისუფლების დამხობის აშკარა მცდელობას უწოდებს.

საქმე სურეკი და იოზდემირი თურქეთის წინააღმდეგ შეეხებოდა პუბლიკაციას, რომელიც ასახავდა არა რომელიმე მოქალაქის პოზიციას, როგორც ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში, არამედ არალეგალური ტერორისტული ორგანიზაციის თვალსაზრისს, რომელიც მოქმედებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. ამ შემთხვევაშიც კი, ევროსასამართლოს აზრით, მსგავსი პუბლიკაცია საშუალებას აძლევს მკითხველს, გაეცნოს მეორე მხარის მოსაზრებებსაც და შესაბამისად, შეაფასოს მხარეები. ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა უფრო „კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის აგრესიული პოზიციის ასახვას ისახავდა მიზნად, ვიდრე ძალადობისკენ მოხმობას. მთლიანობაში კი სტატია არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც ძალადობისკენ მოწოდება.“⁷⁵

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში 673/18 „შპს „ტელეიმედის“ NB16 სამაუნყებლო ლიცენზიის მოქმედების დროებითი შეჩერების შესახებ“ აღნიშნულია, რომ „მიმდინარე წლის

⁷⁴ 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება N41/1997/825/1031; იბრაჰიმ ინკალი იყო სახალხო ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ლეიბორისტულმა პარტიამ გაავრცელა ბროშურა, რომელშიც მოუწოდა ხალხს, დაპირისპირებოდა ხელისუფლების მიერ გავრცელებულ მოვლას და შენობებში თვითნებურად შეჭრილი მოქალაქეების დევნას: „ყველა დემოკრატ პატრიოტს! ამ შეურაცხყოფის საპასუხოდ ერთადერთი გზა ხალხის ძალებით უზნის კომიტეტების ჩამოყალიბებაა. მოვუწოდებთ ყველა ქურთ და თურქ დემოკრატ პატრიოტს, იკისროს თავისი წილი პასუხისმგებლობა და დაუპირისპირდეს სპეციალურ ომს, რომელიც პროლეტარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღდა“. იზმირის უსაფრთხოების პოლიციამ მიიჩნია, რომ ბროშურა შეიცავდა პროპაგანდას, რომელიც ხალხს ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის განცეისა და დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ აქეზებდა.

⁷⁵ თავის ინტერვიუში ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენელი მოუწოდებს ქურთებს, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და საუბრობს იმ საფრთხეებზე, რის გამოც არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოეცხადოს: „მათ უნდათ, ქურთები საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენონ. არჩევნების მიზანი, ერთი მხრივ, სამხრეთში მიმდინარე პოზიტიური პროცესების შეფერხებაა, ხოლო მეორე მხრივ, ქურთისტანის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლის ხელის შეშლაა.“ „ჩვენ ვართ ხალხი, რომელმაც ყველაფერი დაკარგა და რომელიც იბრძვის დაკარგულის დასაბრუნებლად. ეს არის ჩვენი მოქმედების მიზანი. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. ჩვენ არავის ვემალებით და არავის ვგვეშინია. ერთადერთი, რაც შეიძლება დავკარგოთ, მონობაა. ამის გამოა, რომ უშიშრად ვმოქმედებთ“.



7 ნოემბერს 20.00 საათის შემდეგ ზემოაღნიშნული ტელეკომპანიის ეთერით გაისმა აშკარა დეზინფორმაციული ხასიათის ცნობა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს განზრახული აქვთ სამების საკათედრო ტაძარში შეჭრა.“

თუკი თვალს გადავაგვლებთ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულ ვიდეორჩანაწერს, აღმოვაჩინებთ, რომ ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი ვარაუდის დონეზე აღნიშნავს სპეცრაზმელთა სამების საკათედრო ტაძარში შეჭრის შესაძლებლობაზე. აღნიშნული ვარაუდი ემყარება ერთი მხრივ სამების ტაძართან მყოფი რესპოდენტების ინტერვიუებს, მეორე მხრივ იმავე დღეს ქაშუეთის ტაძარში ცრემლსადენი გაზის გაშვების ფაქტს. ნათია მიქიაშვილის პირდაპირი ჩართვის დასრულების შემდეგ „ქრონიკის“ წამყვანი სოფო მოსიძე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმაცია სამების საკათედრო ტაძარში სპეცრაზმელთა შესაძლო შეჭრის შესახებ არის გადაუმოწმებელი. წამყვანის განცხადებით, „ქრონიკა“ შეეცდება ინფორმაციის შინაგან საქმეთა სამინისტროში გადამონმებას, რასაც დაუყოვნებლივ შეატყობინებს მაყურებელს.

ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ჭორებისა და ვარაუდების გამოქვეყნება სიტყვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია. საქმეში თორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ ჟურნალისტმა გადაუმოწმებლად გამოაქვეყნა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია პოლიციის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევაში მედია საშუალებას არ აკისრია ინფორმაციის გადამონმების ვალდებულება და განაცხადა, რომ თუ პრესას დაეკისრებოდა ვალდებულება, გამოექვეყნებინა მხოლოდ გადამონმებული და დადასტურებული ფაქტები, იგი ფაქტობრივად ველარანაირი ინფორმაციის გამოქვეყნებას ველარ შეძლებდა.

საქმეში ობზერვერი და გარდიენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აცხადებს, რომ „ახალი ამბები მალფუჭებადი პროდუქტია და მისი გამოქვეყნების შეყოვნებას, თუნდაც მცირე ხნით, შეუძლია, ხელყოს მისი ღირებულება და მისდამი ინტერესი.“ (მე-60 პარაგრაფი)

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცალკე შეფასებას აძლევს მედიაში სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელების საკითხს. საქმეებში ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ და თომა ლუქსემბურგის წინააღმდეგ, ევროსასამართლო აცხადებს, რომ „ჟურნალისტის დასჯა სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელებაში დახმარებისათვის [...] სერიოზულად დააბრკოლებდა პრესას, წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების განხილვაში და არ უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ ამისთვის არ არსებობს განსაკუთრებით ცალსახა მიზეზები.“

ცხადია, ამგვარ „განსაკუთრებით ცალსახა მიზეზებს“ არ წარმოადგენს გამომძიებლის ან ნებისმიერი სხვა პირის ვარაუდი, რომ განცხადების გავრცელებას შეიძლება მოყვეს კანონსწინააღმდეგო შედეგები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „ტელეიმედის“ მაუწყებლობის შეჩერება მოხდა საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით.

ნებისმიერ შემთხვევაში არაფერი ამართლებს იმ ქმედებებს, რომლებიც სამართალდამცავებმა ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის შესაწყვეტად ჩაიდინეს.

ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობა

გარდა იმისა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ოფისში შეჭრა იყო უკანონო, ამასთანავე პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა გადამეტებული ძალის გამოყენებას. ტელეკომპანიის შენობაში გაშვებული

იქნა ცრემლსადენი გაზი.⁷⁶ იგივე საშუალება იქნა გამოყენებული მას შემდეგ, რაც ჟურნალისტები გაიყვანეს ლუბლიანას ქუჩაზე. ამ დროს სახლში მიმავალ ტელეკომპანიის თანამშრომლებს ესროლეს ცრემლსადენი გაზის ყუმბარები და რეზინის ტყვიები.⁷⁷ რეზინის ხელკეტის გამოყენებით ჟურნალისტ ანა მამულაშვილს ლუბლიანას ქუჩაზე გაუტყვეს თავი.⁷⁸ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლუბლიანას ქუჩაზე ჟურნალისტებს არ გაუწევიათ რაიმე სახის წინააღმდეგობა სპეცრაზმელთათვის.

არასათანადო მოპყრობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ფეხმძიმე ქალთან, ჟურნალისტ დიანა ტრაპაიძესთან მიმართებაში. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის უფლებამოსილების არეალი ყველაზე მეტად არის შეზღუდული. წარმოდგენილ შემთხვევაში, დიანა ტრაპაიძის მიმართ ორჯერ ჰქონდა ადგილი ძალის გადამეტებულ გამოყენებასა და არასათანადო მოპყრობას. პირველ შემთხვევაში მას, 9 თვის ფეხმძიმე ქალს, აიძულებდნენ, ხელბანულ მდგომარეობაში ჩამუხვლას,⁷⁹ მეორე შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები, განხორციელდა დადევნება, რის შედეგადაც მას მოუწია გარკვეული მანძილის სირბილით გავლა.⁸⁰

ტელეკომპანია „იმედის“ ოფისში სპეცრაზმელთა შეჭრის დროს თანამშრომლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ისეთ ქმედებას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა სპეცრაზმელთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ჟურნალისტები თითქმის უსიტყვოდ ასრულებდნენ სამართალდამცავთა აშკარად უკანონო და ღირსების შემლახავ მითითებებს, რაც ეხებოდა იატაკზე დანოლას, ტელეფონების ჩამორთმევას, ერთი ოთახიდან მეორე ოთახში ან ერთი სართულიდან მეორე სართულზე გადაადგილებას. მათ მიერ შენობის დატოვება მოხდა სპეცრაზმელთა მითითებისთანავე. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ რა საფრთხის თავიდან ასაცილებლად იქნა გამოყენებული ცრემლსადენი გაზი ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში.

სპეცრაზმელთა ქმედებები არ იყო იმ თუნდაც სავარაუდოდ არსებული საფრთხის პროპორციული, რის გამოც განხორციელდა აღნიშნული სპეცოპერაცია. თუკი არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ტელეკომპანია „იმედის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა მოწოდებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად შერჩეული უნდა ყოფილიყო ნაკლებად მტკივნეული ღონისძიება. მაგალითად, სატელევიზიო ანტიდან სამაუწყებლო სიგნალის გათიშვა ან ტელეკომპანიის გენერალური დირექტორისათვის ყადაღის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 7 ნოემბრის ბრძანების წარდგენა და მაუწყებლობის ნებაყოფლობით შეწყვეტის შეთავაზება. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სპეცრაზმელთა მიერ მოხდა ტელეკომპანიის გენერალური დირექტორისათვის ყადაღის დადების შესახებ ბრძანების გაცნობა და ამგვარად, ტელეკომპანიაში მათი შესვლის სამართლებრივი საფუძვლის განმარტება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი ან პროკურორი მოსამართლის ბრძანებას ყადაღის დადების შესახებ წარუდგენს იმ პირს, რომელთანაც არის ქონება. არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს ყადაღის დადების შესახებ ბრძანება ჩაბარდა არა 2007 წლის 7 ნოემბერს, შინაგან საქმეთა ორგანოების ტელეკომპანიის შენობაში შესვლის მომენტში, არამედ 2007 წლის 13 ნოემბერს. ამგვარად, სრულიად ბუნებრივია, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობისათვის სრულიად გაუგებარი იყო კერძო მფლობელობაში სამართალდამცავების შესვლის სამართლებრივი საფუძველი. როგორც ირკვევა, იმის ნაცვლად, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელისათვის, ბიძინა ბარათაშვილისათვის, მიეცათ სათანადო განმარტება, მას შუბლის გახვრეტით დაემუქრნენ.⁸¹

⁷⁶ თამთა ფეიქრიშვილის ახსნა-განმარტება
⁷⁷ ლევან ჯაფახიშვილის, ზაალ წულუკიძის და სხვათა ახსნა-განმარტებები
⁷⁸ გიორგი მურჯიკიძის ახსნა-განმარტება
⁷⁹ თეა სიჭინავას ახსნა-განმარტება
⁸⁰ ლაშა მიქაძის ახსნა-განმარტება
⁸¹ ლევან ალფაიძის და ლევან მანველიძის ახსნა-განმარტებები



„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური იძულების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა. გაუგებარია, რა კანონიერი მოთხოვნა ნაუყენა საპატრულო პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმმა ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებს, რომლის გონივრულ ვადაში შეუსრულებლობასაც ტელეკომპანიის თითქმის ყველა თანამშრომლის იატაკზე ან სველ ასფალტზე (მხედველობაშია „ტელეიმედის“ დაცვის თანამშრომლები) დაწვენა, მათთვის მობილური ტელეფონების ჩამორთმევა, ზოგიერთი მათგანისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, დაშინება და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით ღირსების შელახვა მოჰყვა.

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს. ამგვარი მოპყრობის დადგენისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, წარმოიშვა თუ არა შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა იმ ადამიანში, რომელიც გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. დამამცირებელი მოპყრობა ასევე მოიცავს მსხვერპლის ფიზიკური და სულიერი ხელშეუხებლობის დარღვევას (ირლანდიის რესპუბლიკა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 167-ე პარაგრაფი). არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მსხვერპლის იძულება, იმოქმედოს თავისი სურვილისა და სინდისის სწინააღმდეგოდ (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის დასკვნა გრიკის საქმესთან დაკავშირებით IV თავი).

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა მოიცავს ასევე ქონების განადგურებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქონების განადგურება იმ ოპერაციის დროს, რომელიც არის წინასწარ დაგეგმილი და ხორციელდება აზრად ამგდები, მსხვერპლის გრძნობების შეურაცხმყოფელი ფორმით, ამავე დროს ქონების განადგურება მსხვერპლის თანდასწრებით, წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას (სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ, 77-ე და 78-ე პარაგრაფები). თუკი ამგვარი ქმედება დადგენილი იქნება, უკვე აღარ არის საკმარისი იმ გარემოების მტკიცება, ისახავდა თუ არა აღნიშნული ქმედება მიზნად მსხვერპლის დასჯას ან დამცირებას (სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ, 79-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული ქმედება დამატებით შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, ვინაიდან ადგილი ჰქონდა მფლობელობის მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას (სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ, 86-ე პარაგრაფი).

იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად, საჭიროა მან მიაღწიოს სისასტიკის გარკვეულ დონეს. არასათანადო მოპყრობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მოპყრობის ხანგრძლივობა, მისგან გამონეული ფიზიკური და სულიერი შედეგები, მსხვერპლის ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (ტეკინი თურქეთის წინააღმდეგ 52-ე პარაგრაფი). კონკრეტულ შემთხვევაში, მუხლებზე დადგომის, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის გარემოება, რომ ამგვარი მოპყრობის ობიექტს წარმოადგენს ორსული ქალი.

თანამშრომლების იატაკზე ან სველ ასფალტზე (მხედველობაშია „ტელეიმედის“ დაცვის თანამშრომლები)⁸² დაწვენა, მათთვის მობილური ტელეფონების ჩამორთმევა, ზოგიერთი მათგანისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება,⁸³ დაშინება და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები,⁸⁴ შენობაში ცრემლსადენი გაზის გაშვება, დაშინების მიზნით იარაღის დამიზნება,⁸⁵ საეთეროს, აპარატურის, გაყვანილობების განადგურება, რომელიც განხორციელდა ჟურნალისტთა თანდასწრებით⁸⁶ – ყველა

⁸² ლევან მანველიძის, ლევან გიორგაძის, დავით კიკვაძის, ივანე ქიტუაშვილის ახსნა-განმარტებები
⁸³ მაია ყიფიანის, თეა სიჭინავას, ლევან ჯავახიშვილის, ამირან მურვანიძის და სხვათა ახსნა-განმარტებები
⁸⁴ ლევან ჯავახიშვილის, თამარ ჩიხლაძის, ანა წილოსანის, გიორგი ხუგაშვილის, მერაბ მეტრეველის, მათე კირვალიძის, რუსუდან ტაბატაძის ახსნა-განმარტებები
⁸⁵ ლევან ჯავახიშვილის, თამთა ფეიქრიშვილის, თეა კერესელიძის, ნინო კიკნაძის ახსნა-განმარტებები
⁸⁶ თამთა ფეიქრიშვილის, ელენე ლომაშვილის, თეა სიჭინავას, კახაბერ იმნაიშვილის, ლევან ალფაიძის, ახსნა-განმარტებები

ეს ქმედება ერთობლიობაში წამოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. სამართალ-დამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიზანს წარმოადგენდა ტელეკომპანიის თანამშრომლების დაშინება, დასჯა და მათი ღირსების შელახვა. ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ, დაშინებამ, იარაღის დამიზნებამ შენობაში მყოფი ადამიანები ჩააყენა უსუსურ მდგომარეობაში.

ამგვარად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამატებით დარღვეული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელთა დათვლებით, ტექნიკის განადგურების შედეგად მიყენებული ზიანი შეადგენს დაახლოებით 1 200 000 ლარს. ხოლო სარეკლამო შეკვეთების სახით მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა მილიონ ლარს. ამჟამად მიმდინარეობს ზარალის ზუსტი აღწერა. მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია „იმედისათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოქმედება საგანგებო მდგომარეობის დროს

საქართველოს პრეზიდენტის №621 ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. 2007 წლის 7 ნოემბერს ღამით განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოლაიდელმა, რომლის თანახმადაც საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ თბილისის მაშტაბით ცხადდებოდა. 2007 წლის 7 ნოემბრით თარიღდება საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის დროს გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული დეკრეტის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე შეიზღუდა კონსტიტუციის 24-ე (მედიის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება), 25-ე (შეკრების თავისუფლება) და 33-ე (გაფიცვის უფლება) მუხლებით გარანტირებული უფლებები. მეორე პუნქტის თანახმად, შეჩერდა ყველა ტელე და რადიომაუწყებლის მიერ ინფორმაციის მიღება და გავრცელება ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება მიეცა მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს. ინფორმაცია აღნიშნული დეკრეტის, ისევე როგორც №621 ბრძანებულების სრული და დაზუსტებული რედაქციის შესახებ საჯაროდ ცნობილი გახდა მხოლოდ 2007 წლის 8 ნოემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით.

სპეცდანიშნულების რაზმის მიერ „ტელეიმედის“ დარბევიდან რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ გაითიშა თბილისის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „კავკასია“. 8 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს მიერ გათიშული იქნა ბათუმის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „TV 25“. „ტელეიმედთან“ ერთად მაუწყებლობა შეწყვიტა რადიო „იმედმაც“. თბილისში მოქმედი ელექტრონული მედიის მიმართ ზემოაღნიშნულ მოქმედებებს ადგილი ჰქონდა პრემიერ მინისტრის სატელევიზიო განცხადებების გაკეთებამდე. რაც შეეხება ტელეკომპანია „TV 25“-ის გათიშვას, პრემიერ მინისტრის 7 ნოემბრის ღამით გაკეთებული განცხადებიდან ირკვეოდა, რომ საგანგებო მდგომარეობა ცხადდებოდა მხოლოდ ქალაქ თბილისში.

გაუგებარია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის საჯაროდ გამოცხადებამდე რატომ შეჩერდა ბათუმში არსებული დამოუკიდებელი სატელევიზიო სადგურის მოქმედება. ისევე, როგორც ბუნდოვანია, რატომ გაითიშა თბილისში არსებული ცალკეული დამოუკიდებელი ელექტრონული მედიის სიგნალი ასევე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებამდე.



სამი სატელევიზიო არხისა და ერთი რადიოსადგურის სიგნალის გათიშვის მიუხედავად, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე კვლავ მაუწყებლობდნენ საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი-2“ და „მზე“. ახორციელებდა რა ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებამოსილებას, საგანგებო მდგომარეობის დროს ცვლილება არ განუცდია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეს. ეთერში კვლავ გადიოდა საინფორმაციო გამოშვება „მომამბე“ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გადაცემები. საქმიანობა შეაჩერეს „რუსთავი-2“-სა და „მზის“ ახალი ამბების რედაქციებმა. აღნიშნული არხების საეთერო ბადიდან ასევე ამოღებული იქნა თოქ-შოუები. „რუსთავი-2“ და „მზე“ გასართობი, მუსიკალური და სხვა ფორმატის გადაცემების მეშვეობით კვლავ აგრძელებდნენ მაუწყებლობას.

ოფიციალური მიზეზი, რის გამოც ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობა შეწყვიტეს, იყო ამ ტელეკომპანიის მხრიდან არეულობისაკენ მონოდება, რაც არ დასტურდება. მით უმეტეს, მსგავსი მონოდებები არ გასულა ტელეკომპანიების „კავკასიისა“ და TV-25-ის ეთერით. ამ ორი მაუწყებლის მუშაობის შეფერხების მიზეზი ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, ვინაიდან არ ყოფილა მიღებული რაიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც მათი სიგნალის გათიშვის საკითხს მოაწესრიგებდა. ამჟამად, რომ აღნიშნული მედია საშუალებების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის პირობებში მაუწყებლობის შესაძლებლობა მისცა მხოლოდ „რუსთავი-2“-სა და „მზეს“, ვინაიდან ეს სატელევიზიო სადგურები ხასიათდებოდნენ ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებით. კრიტიკულად განწყობილ ტელეკომპანიებს, „კავკასიისა“ და „TV-25“-ს, რომელთა სამაუწყებლო სიგნალები სრულად იყო გათიშული, არ მიეცათ „რუსთავი-2“-ისა და „მზის“ მსგავსად შეზღუდული ფორმატით მაუწყებლობის საშუალება. შერჩევითი მოპყრობის შედეგად, „კავკასია“ და „TV-25“ სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე შეაჩერა მაუწყებლობა ტელეკომპანია „კავკასია“ და „TV-25“-მა, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-სა და ტელეკომპანია „მზის“ ახალი ამბების რედაქციების საქმიანობის შეზღუდვის კანონიერების საკითხიც. 2007 წლის 8 ნოემბრიდან 16 ნოემბრის 19 საათამდე „რუსთავი 2“-სა და „მზის“ სამაუწყებლო ბადიდან ამოღებული იყო საინფორმაციო გამოშვებები. ამის მიზეზად მიუთითებდნენ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ პრეზიდენტის დეკრეტზე, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად შეჩერდა ყველა ტელე და რადიომაუწყებლის მიერ ინფორმაციის მიღება და გავრცელება.

პრესის სადისტრიბუციო კომპანია „მაცნეს“ 2007 წლის 14 ნოემბრის №131 ნერილით ირკვევა, რომ „საკანონმდებლო მაცნეს“ 37-ე ნომერი სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ექსპედიციაში შეიტანეს 2007 წლის 8 ნოემბერს, ხოლო ხელმომწერებს მიენოდათ 9 ნოემბერს.

შპს „ელვასერვისის“ 2007 წლის 20 ნოემბრის №81 ნერილიდან ირკვევა, რომ „საკანონმდებლო მაცნეს“ პირველი ნაწილის 37-ე ნომერი აღნიშნულმა ორგანიზაციამ მიიღო 2007 წლის 8 ნოემბერს, ხოლო „ელვასერვისის“ ხელმომწერებს გაეგზავნათ 2007 წლის 9 ნოემბერს.

„სახალხო ფოსტის“ 2007 წლის 12 ნოემბრის №71/3 ნერილში აღნიშნულია, რომ „საკანონმდებლო მაცნეს“ 37 ნომრის პირველი ნაწილი შპს „სახალხო ფოსტაში“ შეიტანეს 2007 წლის 8 ნოემბერს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. პრეზიდენტის დეკრეტი გამოქვეყნდა 2007 წლის 9 ნოემბერს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ. იმავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.

ამგვარად, პრეზიდენტის დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ძალაში შევიდა 2007 წლის 9 ნოემბერს, 24 საათზე.

შესაბამისად, 2007 წლის 10 ნოემბრამდე დეკრეტის საფუძველზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-სა და ტელეკომპანია „მზის“ ახალი ამბების რედაქციის შეჩერება იყო უკანონო. აღარაფერს ვამბობთ ტელეკომპანია „კავკასიასა“ და „TV-25“-ზე, რომელთაც სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და ოფიციალური დოკუმენტაციის გარეშე ჩაუხშვეს სამაუწყებლო სიგნალი.

რადიო „იმედის“ საქმე

2007 წლის 16 ნოემბერს, საღამოს 19 საათზე, საქართველოში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა. ტელეკომპანია „კავკასიამ“ აღადგინა მაუწყებლობა. ხოლო „რუსთავი-2“-სა და „მზის“ საეთერო ბადეში გაჩნდა ახალი ამბების გამოშვებები. „TV-25“-მა საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 24 საათის გასვლის შემდეგ შეძლო მაუწყებლობის განახლება. „TV-25“-ის მაუწყებლობის აღდგენა მხოლოდ მას შემდგომ გახდა შესაძლებელი, რაც სახალხო დამცველმა ამ ფაქტის შესახებ ევროკომისიის დელეგაციას აცნობა. ევროკომისიის წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, საკითხის გასარკვევად გენერალურ პროკურატურას მიმართეს. მხოლოდ „ტელეიმედმა“ და რადიო „იმედმა“ ვერ შეძლეს ეთერში გასვლა.

რადიო „იმედი“ არის დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმო. მისი რეგისტრაცია მოხდა 2002 წლის 1 აპრილს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ. ტელე და რადიო „იმედს“ ჰყავთ საერთო დამფუძნებელი, ბიზნესმენი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მ. ქაჯაიას 2007 წლის 7 ნოემბრის დადგენილებით ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი.

2007 წლის 7 ნოემბრის ბრძანებით თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს „ტელეიმედს“ შეუჩერა №B16 სამაუწყებლო ლიცენზიით სარგებლობა. მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში საუბარია შპს „ტელეიმედზე“ და არა შპს „რადიო იმედზე“, რომელიც, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ტელევიზიისაგან დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტს, არ მაუწყებლობს სასამართლოს ბრძანებაში აღნიშნული №B16 ლიცენზიით.

2006 წლის 3 თებერვლის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით საეთერო სამაუწყებლო ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ, შპს „რადიო იმედს“ მიენიჭა კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზია და პირველ სამაუწყებლო ზონაში (ქ. თბილისი) მაუწყებლობის ლიცენზიის ნომრად განისაზღვრა №B49-ით, ხოლო საქართველოს რეგიონებში სამაუწყებლოდ ლიცენზიის ნომერი განისაზღვრა №B50-ით. სასამართლოს ბრძანებით მხოლოდ №B16 ლიცენზიით სარგებლობა არის აკრძალული. რაც შეეხება №B49 და №B50 ლიცენზიებს, მათი შეჩერების თაობაზე არც სასამართლოს ბრძანება, არც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება არ არსებობდა. ამის მიუხედავად, რადიო „იმედის“ ოფისი დაილუქა და თანამშრომლებს არ ეძლეოდათ შენობაში შესვლის შესაძლებლობა.

2007 წლის 01 ივლისს საზოგადოება „ი-მედიაში“, არასაცხოვრებელი ფართის შესახებ იჯარის ხელშეკრულებით, ანმეტელის ქ. №10-ში განთავსებული გადასაღები პავილიონი, რომლის საერთო ფართი შეადგენს 2215 კვ/მ-ს, გადასცა შპს „ტელეიმედს“. 2007 წლის 1 ოქტომბერს შპს „ტელეიმედმა“ ქვეიჯარის ხელშეკრულება გააფორმა რადიო „იმედთან“. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ქვემეიჯარემ ქვემოიჯარეს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადასცა ქ. თბილისში ლუბლიანას №5-ში მდებარე მე-4 პავილიონის ფართის ნაწილი.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა ან მისი თანხმობით გამოძიებელმა უნდა დაადგინოს სად და ვის ხელშია ის ქონება, რომელზედაც ყადაღის დადების შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებლის მ. ქაჯაიას შუამდგომლობაში ყადაღის დადების შესახებ ქონების მფლობელად დასახელებულია „ტელეიმედი“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილი აკისრებს მოსამართლეს ვალდებულებას, ყადაღის დადების შესახებ ბრძანებაში მიუთითოს, ვისთან ინახება ყადაღადადებული ქონება. მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი თავის ბრძანებაში საუბრობდა „ტელეიმედის“ მფლობელობაში არსებულ შენობაზე და იმ ქონებაზე, რაც სავარაუდოდ გამოიყენებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად. რადიო „იმედის“ შენობაზე ყადაღის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად, ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, არის თუ არა პირდაპირი მითითება მოსამართლის ბრძანებაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რადიო „იმედზე“, როგორც იმ სუბიექტზე, რომელიც ფლობს „ტელეიმედის“ იჯარით აღებულ ქონებას. როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს ბრძანებაში ამგვარი მითითება არ გვხვდება. შესაბამისად, იგულისხმება, რომ ყადაღა დაეღო მხოლოდ „ტელეიმედის“ მფლობელობაში არსებულ ქონებას და არა იმ ქონებას, რომელიც მართალია ეკუთვნის მას, მაგრამ არ წარმოადგენს მფლობელობის საგანს. შესაბამისად, რადიო „იმედის“ ქვეიჯარით აღებულ შენობაზე არ მომხდარა ყადაღის დადება მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის ბრძანებით და აღნიშნული რადიოსადგურის თანამშრომლებისათვის შენობაში შესვლისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელისშეშლა, რაც ხორციელდება შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლების მიერ, იყო უკანონო.

ამგვარად, რადიო „იმედის“ მაუწყებლობის შეფერხება მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. ტელეკომპანია „იმედისაგან“ განსახვავებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არც უცდიათ რადიო „იმედის“ მაუწყებლობის შეფერხების ფაქტი გაემართლებინათ რაიმე სამართლებრივი აქტით.

რადიო „იმედის“ საქმიანობაში ხელშეშლის აღკვეთის რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. მაუწყებლობის შეწყვეტის მიზეზების შესწავლისა და რადიოსადგურის მიერ მაუწყებლობის აღდგენის თაობაზე სახალხო დამცველმა ასევე რეკომენდაციით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. კომისიიდან მივიღეთ სრულიად არაადეკვატური პასუხი, რომლიდანაც მხოლოდ ის ირკვეოდა, რომ რადიო „იმედის“ ლიცენზიის შეჩერება არ მომხდარა.

სახალხო დამცველის აზრით, მედია საშუალებების მიმართ ამგვარი ფორმალისტური მიდგომა, მითუმეტეს, იმ ორგანოს მხრიდან, რომელსაც კომუნიკაციების სფეროს რეგულირება აქვს დავალებული, დაუშვებელია და არაჯეროვანი ადმინისტრირების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ საქმე

სახალხო დამცველმა განიხილა კახეთის რეგიონის სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ განცხადება, რომელიც ეხებოდა აღნიშნული მედიის დარბევის მუქარას. რადიო „ჰერეთის“ დირექტორმა, რამაზ სამხარაძემ ჩაინერა პრეზიდენტობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელს, ისაკო ცქიფურიშვილის საუბარი, რომელიც შედგა 2007 წლის 30 ნოემბერს.

ისაკო ცქიფურიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ იგი დააკავშირა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამ უკანასკნელებმა ისაკო ცქიფურიშვილი მიავლინეს სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ დირექტორთან, რომელსაც მოსთხოვეს სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა. რამაზ სამხარაძისაგან მოითხოვეს მიხეილ სააკაშვილისა და ნაცი-

ონალურ მოძრაობის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი კრიტიკული მოსაზრების ეთერიდან მოხსნა და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამების ეთერში გაშვება. ისაკო ცქიფურიშვილმა რადიოსადგურის გენერალურ დირექტორს უსაყვედურა ეთერში მიხეილ სააკაშვილის თელავის საარჩევნო შტაბის უფროსების გოჩა მამაცაშვილისა და გენერალური პროკურორის ძმის, დავით ადეიშვილის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება და გააფრთხილა, მომავალში თავი შეეკავებინა მსგავსი ქმედებებისაგან. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისაკო ცქიფურიშვილის განმარტებით, რადიო „ჭერეთი“ გახდებოდა ხელისუფლების მიერ შექმნილი სადამსჯელო ჯგუფების დარბევის ობიექტი. აქცენტი გაკეთდა იმ ჯგუფებზე, რომლებმაც აღნიშნულ სატელეფონო საუბრამდე რამდენიმე ხნით ადრე დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“. დარბევასთან ერთად, რამაზ სამხარაძეს ლიცენზიის ჩამორთმევითაც დაემუქრნენ.

აღნიშნული საუბრიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, 2007 წლის 3 დეკემბერს, სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთს“ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაუგზავნა გაფრთხილება სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის, 1032,75 ლარის გადახდის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთს“ დაეკისრა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით, რომლითაც გამარჯვებულად გამოცხადდა კერძო საერთო რადიომაუწყებლობის კონკურსში. გადაწყვეტილების თანახმად, სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთზე“ ლიცენზიის გაცემა მოხდებოდა სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთმა“ აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს ფოსტაში ჩააბარა 2007 წლის 7 ივლისს. შესაბამისად, რამაზ სამხარაძისათვის გაუგებარი გახდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნის საფუძველი და აღნიშნული ისაკო ცქიფურიშვილის მუქარას დაუკავშირა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუდიო ჩანაწერი მიუთითებს დანაშაულის ნიშნებზე, კერძოდ, სიტყვის თავისუფლების ხელყოფაზე. აღნიშნული ქმედება გულისხმობს ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, რისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ისაკო ცქიფურიშვილის ქმედება ასევე შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ისაკო ცქიფურიშვილი აცხადებდა, რომ სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთის“ შენობა გახდებოდა სადამსჯელო რაზმის დარბევის ობიექტი. სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, – ითვალისწინებს ჯარიმას, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, ისაკო ცქიფურიშვილი აქტიურად მონაწილეობდა როგორც წინასაარჩევნო კამპანიაში, ისე კენჭისყრის დღეს. 2008 წლის 5 იანვარს ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქის №19 საარჩევნო უბანში მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა რადიო „ჭერეთის“ ჟურნალისტის მიმართ მუქარას, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლას.

საკაბელო ტელეკომპანია „მანეტროს“ საქმე

2007 წლის 23 თებერვალს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, №104/1 გადაწყვეტილებით, შპს „სტუდია მანეტროს“ მიანიჭა №B87 სამაუწყებლო ლიცენზია საკაბელო ტელემაუწყებლობისათვის. სტუდია „მანეტროსათვის“ მინიჭებული ლიცენზიის სახეობა წარმოადგენდა სპეციალურს, რაც გულისხმობს შემეცნებითი, მუსიკალური და გასართობი თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობას. ტელეკომპანიის მაუწყებლობის ზონას წარმოადგენს ქალაქი თბილისი.



2007 წლის 28 ნოემბერს გაითიშა „მაესტროს“ სამაუწყებლო სიგნალი. როგორც ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელმა მამუკა ლლონტიმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განაცხადა, მას დაუკავშირდა პიროვნება, რომლის ვინაობა მას არ დაუსახელებია, და მოსთხოვა თოქ-შოუ „პროფესია ჟურნალისტის“ სამაუწყებლო ბადიდან ამოღება. აღნიშნული გადაცემა უნდა წაეყვანათ ცნობილ ჟურნალისტებს: ალექსანდრე ელისაშვილს, თამარ ჩიქოვანს, ია ანთაძეს და ზვიად ქორიძეს. პირველი გადაცემის თემას წარმოადგენდა არჩევნები.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში ტელეკომპანიის გათიშვა ტექნიკური პრობლემებით ახსნა. გიორგი არველაძემ განმარტა, რომ „მაესტროს“ ეთერში მხოლოდ მუსიკალური, გასართობი და შემეცნებითი გადაცემების ჩვენება შეეძლო. ტელეკომპანიას არ შეეძლო სახეობის შეცვლა.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მამუკა ლლონტის განმარტებით, 2007 წლის 29 ნოემბერს „მაესტროს“ მაუწყებლობის განახლება მხოლოდ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის ჩარევის შედეგად შეძლო.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაუწყებლობის სახეობის შეცვლა შესაძლებელია ლიცენზიის მოდიფიცირების გზით. ეს უკანასკნელი ნიშნავს „საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში შეტანილი ცვლილებების ან/და დამატებების შესაბამისად ან/და კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას“ („მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს მაუწყებლობის ლიცენზიის ორ სახეობას: საერთო და სპეციალიზირებულ ლიცენზიას. საერთო მაუწყებლობა ნიშნავს არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობას („მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტი). სპეციალიზირებული მაუწყებლობა ნიშნავს 1 თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობას („მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის 3^ე ქვეპუნქტი). ამგვარად, იმისათვის, რომ მაუწყებელს ჰქონდეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის ეთერში გაშვების უფლება, იგი უნდა ფლობდეს საერთო სახეობის მაუწყებლობის ლიცენზიას. რა ხდება მაშინ, როდესაც მხოლოდ სპეციალიზირებული სახეობის ლიცენზიის მფლობელის სამაუწყებლო ბადეში აღმოჩნდება ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები. წარმოადგენს თუ არა აღნიშნული გარემოება ლიცენზიის მფლობელის მიმართ სანქციის, მათ შორის ლიცენზიის ჩამორთმევის საფუძველს?

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველს წარმოადგენს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის პრიორიტეტებში ცვლილებების შეტანა. თავად ლიცენზიის მოდიფიცირების პროცედურა იწყება ლიცენზიის მფლობელის ან თვითონ კომისიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე განცხადება განიხილება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დაუშვებელია ლიცენზიის სახის არსებითი შეცვლა („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამ მუხლში საუბარია ლიცენზიის სახეზე და არა სახეობაზე. სახეობის შეცვლა სწორედ მოდიფიცირების და არა ახალი ლიცენზიის გაცემის გზით ხდება.

თუკი თვალს გადავავლებთ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკას, დავრწმუნდებით, რომ მოდიფიცირებისათვის საჭირო არ ხდება ლიცენზიის მფლობელის მიერ კომისიისათვის განცხადებით მიმართვა. თუკი კომუნიკაციების ეროვნული კომისია მაუწყებლის პროგრამების მონიტორინგის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ აღნიშნული პროგრამები არ შეესაბამება ლიცენზიით გათვალისწინებულ სახეობას, კომისია თავად იღებს გადაწყვეტილებას მოდიფიცირების თაობაზე. ამგვარი პრაქ-

ტიკის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 3 თებერვლის 43/2 გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

„წარმოდგენილი წერილების შესწავლისა და მაუწყებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგად ირკვევა:

შპს „პირველი სტერეოს“ მაუწყებლობა, მიუხედავად, №325 ლიცენზიაში დაფიქსირებული საერთო მაუწყებლობისა, არსებული ჩანაწერებისა და სამაუწყებლო ბადის შესაბამისად, შედგება მხოლოდ მუსიკალური და გასართობი პროგრამებისაგან. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, ერთი თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობა, სპეციალიზებული მაუწყებლობაა. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „პირველი სტერეოს“ №325 ლიცენზიის მოდიფიცირება და ლიცენზიის სახეობად სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობის განსაზღვრა.“

ტელეკომპანია „პირველი სტერეოს“ სამაუწყებლო ბადე მისი ეთერში გასვლის დღიდან დატვირთულია მუსიკალური პროგრამებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტელეკომპანიას ჰქონდა საერთო მაუწყებლობის ლიცენზია, მას არასოდეს შეუთავაზებია მაცურებლისათვის ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები. ეს გარემოება არასოდეს გამხდარა „პირველი სტერეოსათვის“ ლიცენზიის ჩამორთმევის ან სხვა სანქციის დაკისრების საფუძველი. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ იხელმძღვანელა რა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლით, რომელმაც განსაზღვრა სამაუწყებლო ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველები, მიიჩნია, რომ პირველი სტერეოს მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში განხორციელებული ცვლილებები, აღნიშნული მაუწყებლის განცხადების არარსებობის მიუხედავად, წარმოადგენდა „პირველი სტერეოს“ საეთერო ტელემაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

თუკი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ტელეკომპანია „მეგასტროს“ მონიტორინგის შედეგად ჩათვლიდა, რომ პროგრამა „პროფესია ჟურნალისტი“ მიეკუთვნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკას, მას, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა გაეთვალისწინებინა იდენტური შემთხვევა „პირველ სტერეოსთან“ დაკავშირებით. შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიას თავი უნდა შეეკავებინა „მეგასტროს“ მიმართ სანქციების გამოყენებისაგან. ამის სანაცვლოდ, „მეგასტროს“ დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, თავისი ინიციატივით უნდა მიეღო გადაწყვეტილება ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე.

გამოსატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

ა) საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა გურჯაანში

სახალხო დამცველმა განიხილა და რეკომენდაცია მოამზადა ისეთ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სამართლებრივი სიკეთე – საზოგადოების უფლება მისთვის საყურადღებო საკითხის შესახებ მედია საშუალებებით სრულყოფილი ინფორმაციის მიღებაზე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება.

მ/ნ 15 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედის“ კახეთის რეგიონულმა კორესპონდენტმა ჟანა დიდბაშილიმა, მისმა ოპერატორმა კახა გოგილაშვილმა და ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის რეგიონულმა კოორდინატორმა, გელა მთივლიშვილმა იმაში დასარწმუნებლად, თუ რამდენად შესაძლებელი იყო



მოქალაქე ნანა ჯაფარაშვილის სახლში შეღწევა დაბრკოლების გადალახვის გარეშე, მონახულეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლი ქ. გურჯაანში, შევიდნენ ეზოში და ვიდეოკამერით დააფიქსირეს ნახევრად დანგრეული ჯაფარაშვილის სახლი, რათა დაემტკიცებინათ, რომ იქ ნებისმიერ პიროვნებას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო მოხვედრა და აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ადგილას არასრულწლოვანის მიერ განხორციელებული ქურდობის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით), რამაც აღნიშნული ქმედებისთვის განსაზღვრული სასჯელის დამძიმება გამოიწვია, არასწორი იყო. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ გავიდა სიუჟეტი, სადაც ნაჩვენებია იქნა ნანა ჯაფარაშვილის საცხოვრებელი სახლის დეტალები. ნანა ჯაფარაშვილმა მიიჩნია, რომ ჟურნალისტების მხრიდან ადგილი ჰქონდა მისი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევას და მიმართა გურჯაანის შინაგან საქმეთა განყოფილებას. საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ტელეიმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკამ“ მოახდინა ნანა ჯაფარაშვილის ბინის ქურდობის ფაქტის განზოგადება. გურჯაანში მომხდარი შემთხვევა ტელეკომპანია „იმედმა“ დაუკავშირა თბილისში ანალოგიურ სისხლის სამართლის საქმეს. ორივე შემთხვევაში მცირე ღირებულების მქონე ნივთის ქურდობისათვის არასრულწლოვანებს სასამართლომ დააკისრა არაგონივრული ოდენობის გირაო. სიუჟეტში ხაზი იყო გასმული არასრულწლოვანთა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე. ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა ასევე გურჯაანელი არასრულწლოვანის ქმედების არასწორ კვალიფიკაციაზე, რისი ილუსტრაციის მიზნით, ეთერში ნაჩვენებები იქნა სახლისაკენ მიმავალი გზა, შესასვლელი, შენობის კედლები და ნარჩენები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება. იგივე უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელი ნაწილი. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ არსებული ზოგადი სამართლის ნორმების ინტერპრეტაციას ახდენს სასამართლო.

საქართველოში პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ ეროვნულ ორგანოსთან ურთიერთობისას შეუძლია მიუთითოს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებზე, რომლებიც განმარტავენ კონვენციის ტექსტს. ამგვარად, სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის გამოყენება უნდა მოხდეს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ X და Y ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ საქმეში მონაწილე სახელმწიფოს დააკისრა პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოფილი მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები კერძო პირთა მხრიდან დარღვევისაგან. გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმეში, ევროსასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფომ იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა პოზიტიური ვალდებულება, უნდა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და ინდივიდის ინტერესებს შორის. დღესდღეობით ევროსასამართლოს მიერ განხილული ერთადერთი შემთხვევა, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ზემოაღნიშნული ინტერესები, არის საქმე მონაკოს პრინცესა კაროლინა ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კოლიზიის გადაწყვეტის ორი სახის ტესტი:

1. შეაქვს თუ არა მასალის გამოქვეყნებას წვლილი საჯარო დებატებში;
2. აქვს თუ არა იმ პირს, ვისი გადაღებაც მიმდინარებს, პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი.

ტელეკომპანია „იმედზე“ გასული სიუჟეტები ეხებოდა ხელმოკლე ოჯახებში მცხოვრები არასრულწლოვანების მიმართ არაგონივრული ოდენობის გირაოს შეფარდების საკითხს მცირე ღირებულების მქონე საგნის ქურდობის შემთხვევაში. აღნიშნული პრობლემა სცილდება ცალკე აღებული ინდივიდის ინტერესების ფარგლებს და საზოგადოებრივ ხასიათს იძენს. შესაბამისად, ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა უფლება, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი ხედვა მიენოებინა აუდიტორიისათვის. ამგვარად, პრობლემის ასახვას შეაქვს ნეგატიური საჯარო დებატებში.

რაც შეეხება საკითხს, ჰქონდა თუ არა ნანა ჯაფარაშვილს თავისი საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი: პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს, რომ გონივრული მოლოდინი არ შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც საცხოვრებელი ადგილის გადაღება მიმდინარეობს საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილიდან (ქუჩები, სკვერი, მოედანი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყე, სადაც შესვლა თავისუფალია და ა.შ.) და სახლის დამცავი სისტემის (ფანჯრის, კარის ა.შ.). არარსებობის გამო კადრში ხვდება ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალები. თუკი ადამიანს სურს, რომ მისი სახლის შიგნით არსებული მდგომარეობის შესახებ არ იყოს ცნობილი გარეშე პირებისათვის, ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს სათანადო ზომების მიღება. ამის გარეშე ობიექტურად წარმოუდგენელია, ადამიანს თავისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი ჰქონდეს. ასეთ ვითარებაში ადამიანს ეკისრება მის პირად ცხოვრებაში ჩარევის თემის ვალდებულება გამომხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

თემის ვალდებულება მთავრდება იქ, სადაც იწყება ადამიანის კერძო მფლობელობის ობიექტი. ამგვარ ობიექტს წარმოადგენს სახლი და მის გარშემო მდებარე ფართი, რომელიც საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილისაგან შემოსაზღვრულია კაპიტალური ნაგებობით, ღობით და ა.შ. დამცავი ღობის არსებობა წარმოშობს ადამიანის გონივრულ მოლოდინს, რომ მისი პირადი ცხოვრება დაცული იქნება ამგვარი ღობის გადალახვით განხორციელებული ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. საქმის გარემოებების მიხედვით, ნანა ჯაფარაშვილის სახლს მხოლოდ ერთ ადგილას ჰქონდა საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილიდან შემომზღუდავი ღობე მოშლილი. სახალხო დამცველის აზრით, ის გარემოება, რომ სახლი უმეტესადაა იყო დატოვებული და ღობე საკმარისად არ იყო გამაგრებული, არ ამართლებს ჟურნალისტების ქმედებას, რომლებიც გადაღებას აწარმოებდნენ ნანა ჯაფარაშვილის გარდაცვლილი დედის საკუთრებაში რიცხულ ობიექტზე (საუბარია ეზოზე. საქმის გარემოებების მიხედვით, ჟურნალისტებს საცხოვრებელ სახლში არ შეუღწევიათ) აღნიშნული ქონების მფლობელის (მემკვიდრის) თანხმობის გარეშე.

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრის ადგილობრივი კოორდინატორის, გელა მთივლიშვილის არგუმენტი იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, საცხოვრებელი სახლი არ წარმოადგენს ნანა ჯაფარაშვილის საკუთრებას და ამ საფუძველზე მოკლებულია მე-8 მუხლით დაცვას, არის უსაფუძვლო. საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს სამოქალაქო უფლებას, ხოლო საკუთრება – სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას. საჯარო რეესტრის მონაცემებს მნიშვნელობა აქვს იმ დროს, როდესაც ხდება უძრავ ქონებაზე საკუთრების განსაზღვრა და მესაკუთრის უფლებების დაცვა. მოცემულ შემთხვევაში, ნანა ჯაფარაშვილი არ უთითებს მისი, როგორც მესაკუთრის უფლებების დარღვევაზე. დავის საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ აფუძნებს უფლებას საცხოვრებელ სახლზე. ევროპულმა კომისიამ საქმეში X გერმანიის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ლტოლვილის შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფაზე უარი არ წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას. ევროსასამართლომ საქმეში ბაკლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ უარყო არგუმენტი იმის შესახებ, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იცავდა მხოლოდ საცხოვრებელ ადგილს, რომელიც კანონიერად იყო დაფუძნებული. კონკრეტულ საქმეში ევროსასამართლომ განაცხადა, რომ მინის ნაკვეთზე მესაკუთრის უფლებების არარსებობის გამო დაცული იყო ბოშას საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა ფურგონზე, სადაც იგი თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლების გატარებას აპირებდა.



ევროსასამართლო უფრო შორს წავიდა საქმეში ნეიმეიტცი გერმანიის წინააღმდეგ და საცხოვრებელ ადგილად მიიჩნია სანარმოს შენობა, სადაც ტარდებოდა ჩხრეკა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით აღიარებულია საკუთრების ხელშეუხებლობა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ უკანასკნელით და მე-8 მუხლით დაცული უფლებების განსხვავებულ ხასიათზე. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კონსტიტუციის თაობაზე, რომლის მე-20 მუხლით აღიარებულია პირადი ცხოვრების და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება, ხოლო 21-ე მუხლი იცავს საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებას. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ნანა ჯაფარაშვილი არ იყო მოკლებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის უფლებას იმ სახლის მიმართ, რომელიც მოხვდა ტელეკომპანია „იმედის“ ობიექტივში. ნანა ჯაფარაშვილი წარმოადგენს გარდაცვლილი მესაკუთრის პირველი რიგის მემკვიდრეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება უნდა ჩაითვალოს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.

მიუხედავად ამისა, კონკრეტულ შემთხვევაში ჩნდება კითხვა – რამდენად პროპორციულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის, როდესაც განსახილველი ქმედება მიზნად ისახავს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას?

სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით. ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა, რომელიც ჩადენილია ჯგუფურად, ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ორიდან ხუთ წლამდე.

160-ე მუხლში წარმოდგენილი სანქცია მეტად მკაცრია მათთვის, ვინც სხვის მფლობელობაში შევიდა თავისი პროფესიული ჟურნალისტური მოვალეობის გასახორციელებლად, იმისათვის, რომ დაეცვა საზოგადოების (კონკრეტულ შემთხვევაში არასარულწლოვანის) ინტერესები, აუდიტორიისათვის მიენოღებინა აქტუალური ინფორმაცია და ამ გზით წვლილი შეეტანა საჯარო დებატებში. პატიმრობის ან სხვა მძიმე სანქციის გამოყენებას შესაძლოა ჰქონდეს ე.წ. „გამყინავი ეფექტი“ სიტყვის თავისუფლებისათვის. მკაცრი სანქციის შიშით ჟურნალისტები მომავალში თავს შეიკავებენ აქტუალური ინფორმაციის გავრცელებისაგან და ამგვარად, ვერ შეასრულებენ საზოგადოებრივი დარაჯის (ნატცჰდოგ) ფუნქციას (ტოლსტოი-მილოსლავესკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ სიკეთის დასაცავად, რის გამოც ჟურნალისტებმა დაარღვიეს ნანა ჯაფარაშვილის მფლობელობის ხელშეუხებლობა, მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ ფაქტზე შეწყდება წინასწარი გამოძიება და საქმე გაგრძელდება სამოქალაქო სასამართლოში. ბინის მფლობელს შეუძლია, სასარჩელო წარმოების წესით სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მიმაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალწარმოება იქნება პროპორციული ღონისძიება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით აღიარებული უფლების (საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება) დასაცავად.

პარლამენტის წევრის გამოხატვის თავისუფლება (გიორგი ცაგარეიშვილის საქმე)

პარლამენტის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი გახდა თავისი კოლეგა პარლამენტის წევრების მხრიდან თავდასხმის, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გაკეთებული შემდეგი განცხადებისათვის: „ქეთი მახარაშვილის და თეო ტლაშაძის საქციელი ცალსახად წარმოადგენს სამოქალაქო გმირობას. მე გაგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი სართულით

ზემოთ ზის 140 ღირსებაშელახული, უღირსი მამაკაცი, რომელიც სულში ჩაფურთხებას იტანს ამ წლების მანძილზე და ხმას არ იღებს.“

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უხამსობას წარმოადგენს: „განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.“

იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვის და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადა, რომ „სიტყვის თავისუფლება მოიცავს არამარტო იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან ამაღლებელია, ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები“. ევროსასამართლოს აზრით, „დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსებთან მიმართებაში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან დაკავშირებით, პოლიტიკოსები გაცნობიერებულად და განზრახ აქცევენ საკუთარ თავს საზოგადოების და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა ამჟღავნებდნენ თმენის მაღალ ხარისხს.“ (ობერშლიკი – ავსტრიის წინააღმდეგ).

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს სიკეთეს ყველასათვის, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის. საკანონმდებლო ორგანოს წევრი წარმოადგენს რა თავის ამომრჩეველს, საქმიანობის განხორციელების მომენტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და დაიცვას მათი ინტერესები. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკული განხილვის საგანს (კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 42). სასამართლომ ამავე საქმეში აღნიშნა, რომ პრესაში გამოთქმულ მოსაზრებასთან შედარებით, დაცვის უფრო მაღალი ხარისხით სარგებლობს დეპუტატის მიერ პარლამენტის სხდომაზე გაკეთებული განცხადება. თუმცა ამ მხრივ არ უნდა იქნეს დავინყებული პრესის გამორჩეული ადგილი სახელმწიფოში, რომელიც დაფუძნებულია კანონის უზენაესობის პრინციპზე. მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს ის საზღვრები, რაც დადგენილია ინტერ ალია უნესრიგობისა და სხვათა რეპუტაციის დასაცავად, მაინც არსებობს ვალდებულება, გავრცელდეს იდეა და ინფორმაცია პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე (კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 43). პრესის თავისუფლება საშუალებას აძლევს საზოგადოებას, საუკეთესო ფორმით გამოარკვიონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები და დამოკიდებულება პოლიტიკური ლიდერის მიმართ. უფრო კონკრეტულად, პრესა შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკოსებს, გამოხატონ და კომენტარი გააკეთონ საზოგადოებაში არსებულ აქტუალურ საკითხებზე. ამგვარად, ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება პოლიტიკურ დებატებში თავისუფალი მონაწილეობა, რაც წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ძირეულ კონცეფციას.

გიორგი ცაგარეიშვილის მოსაზრებები წარმოთქმული იყო პოლიტიკური დებატების კონტექსტში. განცხადების გაკეთების მომენტში გიორგი ცაგარეიშვილი ახორციელებდა მასზე, როგორც ხალხის წარმომადგენელზე, დაკისრებულ ამოცანებს, ვინაიდან საჯარო განცხადებები წარმოადგენს პარლამენტის წევრის საქმიანობის განხორციელების გავრცელებულ ფორმას. მისი გამონათქვამების მიმართ კოლეგა პარლამენტის წევრებს ეკისრებოდათ თმენის ვალდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს საშუალება ჰქონდათ თანაზომადი ფორმით ეპასუხათ მათ მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ მოსაზრებებზე. იმავდროულად, ყველა მხარე ვალდებული იყო, თავი შეეკავებინა ძალადობრივი ქმედებებისაგან. ჯანმრთელობის დაზიანება, რაც დასტურდება სამედიცინო ჩანაწერებით და რაც გამოიწვია გიორგი ცაგარეიშვილის პოლიტიკურ



შინაარსის განცხადებებმა, წინასწარი გამოძიების მიერ შეფასებული უნდა იყოს, როგორც დეკლარაციის საქმიანობისათვის ხელის შეშლა. პოლიტიკური თანამდებობის პირის ჯანმრთელობის ხელყოფა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა პოლიტიკოსებმა განაცხადეს, თითქოს გიორგი ცაგარეიშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გიორგი ცაგარეიშვილის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების ხარისხის მიუხედავად, ადგილი აქვს სპეციალურ შემთხვევას – დაზარალებული არის პარლამენტის წევრი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის მიუხედავად, პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი, რაც არის საჯარო ბრალდების საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის არ არის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის პოზიცია, ეს უკანასკნელი ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო დაეწყო წინასწარი გამოძიება მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა გიორგი ცაგარეიშვილის საჩივრი.

სარედაქციო დამოუკიდებლობა

სარედაქციო დამოუკიდებლობის არარსებობა ქართულ მედიაში კვლავ ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს. მედია მფლობელები და მმართველები კვლავ აქტიურად ერევნიან ახალი ამბების რედაქციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების საქმიანობაში.

მედია მფლობელი ერთ შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს სატელევიზიო არხის ხელმძღვანელ პირად, რომელსაც გააჩნია შეუზღუდავი უფლებამოსილება, განსაზღვროს არხის სარედაქციო პოლიტიკა და ეს უფლებამოსილება განიმტკიცოს ტელესადგურის სადამფუძნებლო დებულებებით. მეორე მხრივ, ტელეარხის პოლიტიკური მიმართულება განისაზღვრება გენერალური დირექტორის კუთვნილებით კონკრეტულ ბიზნეს და პოლიტიკურ ჯგუფებთან. მმართველი პოლიტიკური ელიტის ცვლილება ან გავლენის შესუსტება ავტომატურად იწვევს ცალკეულ ეროვნულ სატელევიზიო მედიაში ხელმძღვანელების ცვლილებას. ზემოხსენებულ ტელევიზიაში მომუშავე ის ჟურნალისტები, რომელმაც შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს სახალხო დამცველს, არ ადასტურებენ რომელიმე ჯგუფის მხრიდან პირდაპირი მითითებების არსებობას. თუკი ხელმძღვანელის მეშვეობით მმართველი პოლიტიკოსის დასაბრუნებლად თავის ინტერესებს, ასეთ პირობებში ყოველგვარ აზრს მოკლებულია პოლიტიკოსის უშუალო ზენოლა ჟურნალისტზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზღვარი მედიის გარე (ეს არის ჟურნალისტის თავისუფლება დაცული იყოს ხელისუფლების წარმომადგენლის ან სხვა გარეშე პირის ზემოქმედებისაგან) და შიდა თავისუფლების (ჟურნალისტის დაცვა მედია მფლობელის ან ხელმძღვანელის ჩარევისაგან) ხელყოფას შორის მთლიანად მოშლილია.

საანგარიშო პერიოდში სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, კობა დავარაშვილმა ჟურნალისტებს არხის ახალი კონცეფცია შესთავაზა. აღნიშნული ტელეკომპანიის ჟურნალისტთა მტკიცებით, გენერალურმა დირექტორმა ტელეკომპანიის თანამშრომლებს წარუდგინა მაყურებლისაგან „ახალი ადამიანის“ შექმნის მოდელი. დასახული მიზნის მისაღწევად გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებისაგან აზროვნებაში „რეგულაციის მოხდენა“ მოითხოვა. ჟურნალისტებს უნდა მოემზადებინათ ოპტიმისტური განწყობის სიუჟეტები. მოვლენები ისე კი არ უნდა აღენერათ, როგორც ის იყო, არამედ ისე, როგორც შეიძლება იყოს სასურველი ხელისუფლებისათვის. ასეთი მიდგომა დაუკავშირდა პატრიოტიზმის ცნებას, რომელმაც გენერალური დირექტორის კონცეფციით ახალი შინაარსი შეიძინა. ტელეკომპანიას არ უნდა გაეშუქებინა მოვლენები, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდა. ერთ-ერთი თემა, რომლის გაშუქებასაც გენერალური დირექტორის აზრით, შესაძლოა საფრთხე შეექმნა საქართველოსათვის, იყო ვაზის აჩეხვა კახეთში. ტელეკომპანია არა მხოლოდ იგნორირებას უკეთებდა ამ თემას, არამედ აშუქებდა კიდევ მას ოპტიმისტური, სასურველი კუთხით, თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა „რთველი 2007“.

თავისთავად არ არის უკანონო ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლის გამოკლებით ესა თუ ის სატელევიზიო სადგური შესაძლოა ტენდენციური იყოს. დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არ არის უცხო სატელევიზიო სადგურების მიერ მათი გამოკვეთილი პოლიტიკური პლატფორმის განსაზღვრა. გამოხატვის თავისუფლების დარღვევად ითვლება ხელმძღვანელის მიერ სარედაქციო საქმიანობაში ჩარევა, რაც გამოიხატება არა ახალი ამბების გამოშვების ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის ზოგადი მიმართულების განსაზღვრაში, არამედ კონკრეტული თემის დაბლოკვასა და აშკარა ცენზურაში. ზემოხსენებული ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტები „რთველი 2007-ის“ გარდა იხსენებენ სიუჟეტებს, რომელიც გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტისა და გადაცემის რედაქტორის სურვილის საწინააღმდეგოდ დაექვემდებარა ცენზურას. ეს სიუჟეტებია: ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის) აღმართის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გალელი დავით სიგუას გაუჩინარების შემთხვევა, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დაკვეთით მომზადებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები. როგორც ვხედავთ, ამ თემების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების ინტერესებს, მეორე ნაწილი კი დადებით კონტექსტში წარმოაჩენდა პოლიტიკურ ოპოზიციას. აღსანიშნავია, რომ გენერალური დირექტორი „ახალი ადამიანის შექმნის“ კონცეფციის წარდგენამდეც, როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, ბლოკავდა დამონტაჟებულ ან ჯერ დაუმონტაჟებულ სიუჟეტს, ასევე იდეის დონეზე მყოფ თემებს. გადაცემიდან მასალის ამოღება ნაკლებად ხდებოდა რედაქტორის ან პროდიუსერის გადაწყვეტილებით. ეს უკანასკნელები ყურადღებას უფრო პროფესიონალიზმზე ამახვილებდნენ.

როგორც ჟურნალისტები განმარტავენ, „ახალი ადამიანის აღზრდის“ კონცეფცია გულისხმობდა ცენზურასა და განსხვავებული აზრის იგნორირებას. ამის შედეგად შეუძლებელი იყო დაბალანსებული და ობიექტური სიუჟეტის მომზადება.

სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპი განმტკიცებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით, რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულია, რომ ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება. იმავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში გვხვდება იმ ფასეულობათა ჩამონათვალი, რომლებიც დაცულია გამოხატვის თავისუფლებით. ამ ჩამონათვალში გვხვდება ცენზურის დაუშვებლობა და სარედაქციო დამოუკიდებლობა. თუმცა სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის შემთხვევისათვის აღნიშნული კანონი არანაირ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს, რაც ზემოაღნიშნულ ნორმას მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს უტოვებს. მისი სავალდებულობისათვის აუცილებელია დაცვის კონკრეტული მექანიზმების ჩამოყალიბება.

გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტისა, სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპი განსაზღვრულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონითაც. სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვის კონტექსტში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მკვეთრად ზღუდავს თავისი რეგულირების ფარგლებს. აღნიშნული კანონი მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებაში განსაზღვრავს, რომ ეს უკანასკნელი ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა (მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), იკრძალება საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი). ბუნებრივია, აღნიშნული ნორმები ეხება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს და ვერ გავრცელდება კერძო მაუწყებლებზე.

კერძო მაუწყებლების ჟურნალისტთა სარედაქციო დამოუკიდებლობის მარეგულირებელი ერთადერთი ნორმა, რომელიც განსაზღვრულია მაუწყებლობის შესახებ კანონით, ეხება გადაცემის სპონსორებსა და რეკლამის მიმწოდებლებს. აღნიშნულ სუბიექტებს ეკრძალებათ, მოახდინონ მათ მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსზე გავლენის მოხდენა ან სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა. ამ მუხლის სუბიექტს არ წარმოადგენს კერძო მაუწყებლის მფლობელი. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი, რომელიც დაიცავს კერძო მაუწყებლებს სარედაქციო საქმიანობაში მათი შეუზღუდავი ჩარევისაგან.



ის ფაქტი, რომ ჟურნალისტები და რედაქტორები დაუცველები არიან მედია მფლობელისა და ხელმძღვანელების ზემოქმედებისაგან, დიდწილად განპირობებულია დღეს მოქმედი შრომის კოდექსით. ამ უკანასკნელმა შემოიტანა ზეპირი ხელშეკრულების ცნება. მედიაში ახალი შრომის კოდექსის მიღებაამდეც დამკვიდრებული იყო მანერა პრაქტიკა, როდესაც ჟურნალისტები ან შრომითი ხელშეკრულების გარეშე მუშაობდნენ ან მათთან ფორმდება ერთთვიანი წერილობითი ხელშეკრულებები. ეს ტენდენციები დღესაც გრძელდება. ისეთ პირობებში, როდესაც დამფუძნებელს ან ხელმძღვანელს ადვილად შეუძლიათ ჟურნალისტის სამსახურიდან გათავისუფლება, მისთვის ყოველგვარი ფინანსური დანაკარგის გარეშე, შეუძლებელია ვისაუბროთ სარედაქციო დამოუკიდებლობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეეხო სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხს საქმეში ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ. ჟურნალისტს სუბორდინაციის დაუცველობის გამო შეუწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება ესპანეთის შრომის კანონმდებლობის გამოყენებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ჟურნალისტის კომენტარები, რის გამოც იგი სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული, ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს და წარმოადგენდა პასუხს რადიოს მენეჯერის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე. ამავე საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მსგავს შემთხვევებში უნდა არსებობდეს მყარი ფინანსური გარანტიები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს ჟურნალისტს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. მედიისათვის, ისევე, როგორც ნებისმიერი საქმიანობისათვის, დამახასიათებელია სუბორდინაციული პრინციპი, რასაც ჟურნალისტი უდაოდ უნდა დაემორჩილოს. თუმცა ჟურნალისტის გათავისუფლება მენეჯერის მიმართ კრიტიკული განცხადებისათვის წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებაში აშკარად არაპროპორციულ ჩარევას (49-ე პარაგრაფი).

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ცვლილებები და დამატებები უნდა უნდა იქნეს შეტანილი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში. ნებისმიერს, მათ შორის, მფლობელს, ხელმძღვანელობას თუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს აუკრძალავს ჟურნალისტისა და რედაქტორის ნების საწინააღმდეგოდ მასალის გამოქვეყნების ან ეთერში გასვლის, თემის შერჩევის, რედაქტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას. მანიპულაციების თავიდან აცილებისათვის ასევე მიზანშეწონილია, შრომის კოდექსით გათვალისწინებული დებულებებში გამოწვევის სახით, მაუწყებლისათვის ჟურნალისტთან სულ მცირე ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების დაკისრება⁸⁷, გარდა გამოსაცდელი ვადისა. საკანონმდებლო წესითვე უნდა იყოს რეგლამენტირებული, არასაპატიო მიზეზით ჟურნალისტის გათავისუფლების შემთხვევაში, მისთვის ადეკვატური და მედია საშუალების შემოსავლების შესაბამისი კომპენსაციის უზრუნველყოფის საკითხი. გონივრული კომპენსაციით უზრუნველყოფა წარმოადგენს სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვის სტრასბურგის სასამართლოს მიერ აღიარებულ გარანტიას.

საქალაქის უფლების ზანოლა მედიაზე

სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში აისახა წამყვანი ჟურნალისტების, ნათია ლაზაშვილის, ნანა ლეჟავას, თამარ ლვინიანიძისა და თამარ რუხაძის სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის დატოვების ფაქტი. ამის მიზეზად დასახელდა სამაუწყებლო კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე ნიკა ტაბატაძის კობა დავარაშვილით ჩანაცვლება. მაშინ ჟურნალისტებს საჯაროდ არ განუცხადებიათ ხელისუფლების მხრიდან ზენოლაზე. პირველად ამის შესახებ განცხადებები გაკეთდა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „რეაქციის“ ეთერში. სახალხო დამცველი დაინტერესდა ზემოაღნიშნული განცხადებებით და ახსნა-განმარტება ჩამოართვა „კურიერის“ ყოფილ მთავარ პროდიუსერს, თამარ რუხაძეს და დღის საინფორმაციო გამოშვების ყოფილ წამყვანს, ნანა ლეჟავას.

⁸⁷ ამჟამად არსებული პრაქტიკის მიხედვით, ჟურნალისტებთან ხდება ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება. ეს გარემოება ჟურნალისტებს დაუცველ მდგომარეობაში აყენებს და აიძულებს მათ, უსიტყვოდ დაემორჩილონ მფლობელის ან დირექტორის ყველა მითითებას და მაქსიმალურად შეიკავონ თავი განსხვავებული აზრის გამოთქმისაგან, რაც, საბოლოო ჯამში, სერიოზულ ზიანს აყენებს სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის რეალიზაციას.

ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა შემდეგი: ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ არხის საინფორმაციო სამსახურის მუშაობაზე. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ეთერში გასულ სიუჟეტებთან დაკავშირებით და იძლეოდნენ სათანადო მითითებებს მომავალში მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად. ხელისუფლების წარმომადგენელთა უკმაყოფილება ეხებოდა როგორც პოლიტიკური, ასევე არაპოლიტიკური ხასიათის სიუჟეტებს, რომლებშიც დასმული პრობლემების გადაწყვეტა წარმოადგენდა რომელიმე თანამდებობის პირის კომპეტენციას. თამარ რუხაძემ გაიხსენა ქალაქ თბილისის მერის გიგი უგულავას სატელეფონო ზარი, რომელიც აპროტესტებდა „კურიერის“ ეთერში გასულ რეპორტაჟს. ეს უკანასკნელი ეხებოდა თბილისის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ონკანიდან ხვლიკის გადმოსვლის საკითხს. მსგავსი რეაქცია მოჰყვა „კურიერის“ ეთერში თურქეთში მომხდარი ავტოავარიის შემთხვევის გაშუქებას. ხელისუფლების წარმომადგენლები არა მხოლოდ იმის თაობაზე იძლეოდნენ მითითებებს, თუ რომელი მასალა გასულიყო ეთერში, არამედ ცდილობდნენ საეთერო მასალის რიგითობაც განესაზღვრათ. თამარ რუხაძის თქმით, პარლამენტის წევრმა გიგა ბოკერიამ მას შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ „კურიერმა“ გამოშვება ლიბანის პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობით არ დაინყო.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა გამოიკვლია შემთხვევა, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევას. გურჯაანში საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტი თეა ალავერდაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელს რამაზ ქერეჭაშვილს ზენოლაში ადანაშაულებდა. ჟურნალისტის განცხადებით, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებული პრესკონფერენციის გაშუქებისათვის გამგებელმა მას მობილური ტელეფონი ესროლა. ჟურნალისტის მიმართულებით მობილური ტელეფონის სროლის ფაქტი ვერ დადასტურდა, თუმცა სახალხო დამცველის მიერ შეკრებილი ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ გამგებლის მხრიდან უდავოდ არსებობდა უკმაყოფილება საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის მიმართ. თეა ალავერდაშვილის და მისი კოლეგის გელა მთივლიშვილის განმარტებით, გამგებელი რამაზ ქერეჭაშვილი სატელეფონო ზარების მეშვეობით ითხოვდა კონკრეტული მოვლენის გაშუქებისაგან თავის შეკავებას. ამ მოთხოვნას ჟურნალისტი არ დაემორჩილა. თეა ალავერდაშვილის განმარტებით, გურჯაანის გამგებელს არასწორად ესმის საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულება, ვინაიდან მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტელეარხის ჟურნალისტი არ შეიძლება ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ თემებს აშუქებდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: პრესა ასრულებს არსებით როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. პრესის ფუნქციაა გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხზე ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის მოვალეობას და პასუხისმგებლობას.⁸⁸ არა მხოლოდ პრესის ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის გავრცელება, არამედ საზოგადოებასაც აქვს მისი მიღების უფლება. ამის გარეშე პრესა მოკლებული იქნებოდა მისი სასიცოცხლო ფუნქციის – საზოგადოებრივი დარაჯის (Public Watchdog) განხორციელების შესაძლებლობას.⁸⁹ ცენზურა იმდენად დიდი საფრთხის შემცველია, რომ მის მიმართ საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ ამბებს, რომლებიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს და მცირე ხნით მისი გამოქვეყნების შეფერხებასაც კი შეუძლია ღირებულება და ინტერესი დაუკარგოს ახალ ამბებს.⁹⁰

ცხადია, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მსგავსი დირექტივების პირობებში შეუძლებელია დამოუკიდებელი მედიის არსებობა. ხელისუფლების მხრიდან იქმნება გარკვეული ცენზურის ატმოსფერო. საზოგადოება მოკლებული ხდება, მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ გადის ფილტრაციას პოლიტიკური პროცესების მონაწილე პირების მხრიდან. ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ, საჯაროდ გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებები ამა თუ იმ ტელეკომპანიის საქ-

⁸⁸ De Haes and Gijssels v. Belgium, judgment of 24 February 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-I, pp. 233-34, § 37
⁸⁹ Thorgeir Thorgeirson v. Iceland, judgment of 25 June 1992, Series A no. 239, p. 28, § 63
⁹⁰ The Observer and the Guardian v. the UK judgment 26 November 1991 §60



მიანობასთან დაკავშირებით საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელთათვის სატელეფონო საუბრების მეშვეობით მითითებების მიცემის გარეშე. საზოგადოდ, ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკისა და ჟურნალისტიკა პროფესიული სტანდარტების დაცვის საკითხები შორს დგას თანამდებობის პირთა პირდაპირი მოვალეობისაგან და შესაბამისად, მათში ჩარევა ყოველად გაუმართლებელია.

ვიდეოკამერების წართმევა

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჟურნალისტებისათვის ვიდეოკამერების წართმევა და ამგვარად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა, საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ ძირითადად მითი არამართლზომიერი ქმედების დაფარვის მიზნით. მსგავსი ფაქტი წარსულშიც ყოფილა სახალხო დამცველის შესწავლის საგანი.⁹¹

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტებისათვის კამერების წართმევის ოთხი ფაქტი. ყოველი ასეთი შემთხვევა ხდებოდა მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ატარებდნენ სპეცოპერაციას, იყენებდნენ ძალას და ცდილობდნენ, მათი ქმედება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურის კამერით ყოფილიყო დაფიქსირებული. კამერის ჩამორთმევას ყველა შემთხვევაში თან ახლდა ძალის გამოყენება ჟურნალისტების მიმართ. ერთი შემთხვევის გარდა, ყოველთვის ხდებოდა კამერის დაბრუნება, თუმცა გადაღებული ვიდეომასალის გარეშე.

საანგარიშო პერიოდში კამერის წართმევის პირველი შემთხვევა მოხდა 27 სექტემბერს ათონელის ქ. №24-ში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების დროს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აპარატურა ჩამოართვეს, ხელი გადაუგრიხეს და სახით ავტომანქანისკენ დააყენეს ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი რუსუდან ჭაბუკიანი და ოპერატორი კახა ჯანუაშვილი. მოგვიანებით მათ კასეტის გარეშე დაუბრუნეს კამერა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციამ უარყო ტელეკომპანია „იმედისათვის“ კამერის წართმევის ფაქტი.

7 ნოემბერს, დილის 7 საათსა და 30 წუთზე, პარლამენტის შენობას, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, მიუახლოვდნენ ყვითელ ლაბადაში გადაცემული პოლიციელები. მათ დაარბიეს შენობის წინ შეკრებილი მოშიმშილეები. ძალადობის ფაქტი დააფიქსირა ტელეკომპანია „იმედის“ კამერამ. ოპერატორი თემურ თანდაშვილი ძირს დააგდეს და კამერა წაართვეს. ერთ საათში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა ტელეკომპანია „იმედს“ დაუბრუნა გამოსაყენებლად აბსოლუტურად უვარგისი კამერა.

7 ნოემბრის მოვლენების დროს ვიდეოკამერა წაართვეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გორის ადგილობრივი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ოპერატორს გიორგი ქვრივიშვილს. „თრიალეთისთვის“ ჩამორთმეული კამერა დღემდე არ დაუბრუნებიათ.

25 ნოემბერს ევროპის მოედანზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. ჟურნალისტმა მარიამ ქადაგიშვილმა, რომელიც ამზადებდა მასალას საკაბელო ტელეკომპანია „CNN“-სათვის, სცადა რიყეზე მყოფი რამდენიმე მაღალჩინოსანის, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის, შოთა ხიზანიშვილის, იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის, ბაჩო ახალაიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, ერეკლე კოდუას გადაღება. შეიძმა პოლიციელმა მას ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვა ვიდეოკამერა. მოგვიანებით მარიამ ქადაგიშვილს დაუბრუნეს წართმეული კამერა, თუმცა გადაღებული მასალის გარეშე.

⁹¹ იხ.სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნაწილის მოხსენება სოფელ დამია-გეორაზში საქართველოში აკრედიტირებული აზერბაიჯანის ტელევიზიის „LIDER TV“-სა და „ANS TV“-ს ჟურნალისტებისათვის კამერის წართმევის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, დაკავება წარმოადგენს საპროცესო იძულების სახეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სახის ნორმას, რომელიც კრძალავს დაკავების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, გავრცელებას, აუდიო და ვიდეო ჩანერას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „გამომძიებელი და პროკურორი უზრუნველყოფენ, რომ არ გამჟღავნდეს მონაცემები საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისა და მისი შედეგების, ჩვენებათა შინაარსის, მთლიანად საქმის ან მისი გარკვეული ნაწილის შინაარსის თაობაზე, აგრეთვე მონაცემები ექსპერტთა დასკვნის შესახებ.“ ამგვარად, ვიდეოგადაღების აკრძალვა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების დროს და არა ისეთი მოქმედებისას, როგორებიცაა პიროვნების დაკავება ან პოლიციის მიერ საპროტესტო აქციის დაშლა. აკრძალვას არ ექვემდებარება თანამდებობის პირის გადაღება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ვინაიდან ამ დროს ამგვარი გადაღება არც რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს და არ არსებობს პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი.

ნებისმიერ შემთხვევაში, კანონით საგანგებოდ მითითებული გამონაკლისების გარდა, ვიდეოგადაღების ან გადაღებული მასალის გავრცელების აკრძალვა სასამართლოს კომპეტენციაა. შესაბამისად, პოლიციელების მხრიდან ვიდეოკამერების ჩამორთმევა და მასალის განადგურება, ერთი მხრივ, ლახავს მედიის თავისუფლების პრინციპს და, მეორე მხრივ, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში უხეშ ჩარევას. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ქმედებები ძირითადად ძალადობრივი და ღირსების შემლახავი ფორმებით ხორციელდებოდა.

რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის მაშინ, როდესაც ხდება ადამიანის დაკავება ან სხვაგვარად ძალის გამოყენება? რა როლს ასრულებენ ჟურნალისტები ამ საქმეში? აღნიშნული საკითხები გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეში თორგეირ თორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ. სასამართლომ განაცხადა, რომ პოლიციის მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ გამოთქმული მოსაზრება ან გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და დაცულია იმავე ხარისხით, როგორც პოლიტიკურ კონტექსტში განხორციელებული გამოხატვა (პარაგრაფი 64).

ჟურნალისტებისათვის აპარატურის ჩამორთმევა, რაც განხორციელდა ფიზიკური იძულების გამოყენებით, შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისათვის, ესე იგი მისი იძულებისათვის, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისაგან. აღნიშნული ქმედებისათვის მიძიდება პასუხისმგებლობა, თუ იგი ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აღნიშნული ქმედება ასევე შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა აპარატურის დაზიანება, რაც მოითხოვს ქმედების დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე (მუხლით).

ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა წინასწარი გამოძიების დაწყება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უნდა გამოვლინდეს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში უნდა მიეცნეს სამართალდამცავი ორგანოს ყველა ის თანამშრომელი, რომელთაც ფიზიკური იძულების შედეგად არ მისცეს რეპორტიორებს პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.



რეკომენდაციები და წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- მედიაში სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეფექტური საკანონმდებლო გარანტიების შემუშავება და მიღება;
- საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლში. ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს ის პირი, რომელმაც ეს ქმედება ჩაიდინა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- დისციპლინურ პასუხისგებაში იქნეს მიცემული მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი „ტელეიმედის“ ქონებაზე ყადაღის დადებისა და ლიცენზიით სარგებლობის აკრძალვის შესახებ 2007 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული ბრძანების მიღებისათვის.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- დაიწყოს წინასწარი გამოძიება მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურეობრივი სიყალბის ფაქტზე;
- დაიწყოს წინასწარი გამოძიება პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ გ. ქაჯაიას მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურეობრივი სიყალბის ფაქტზე;
- გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის კანონიერების საკითხი და სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს სპეცოპერაციის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღები ყველა თანამდებობის პირი;
- გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს ტელეკომპანიების „კავკასიისა“ და „TV-25“-ის, ასევე რადიო „იმედის“ მიერ მათუწყებლობის შეწყვეტის კანონიერების საკითხი და სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირი, ვინც გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული მედია საშუალებების სიგნალის გათიშვის თაობაზე;
- გურჯაანის შს სამმართველოში შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტების მიერ ნანა ჯაფარაშვილის ბინის ხელყოფის ფაქტზე;
- დაიწყოს წინასწარი გამოძიება და სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ყველა ის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი, ვინც გამოიყენა გადამეტებული ძალა „ტელეიმედში“ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს;
- რადიო „ჭერეთის“ მიმართ განხორციელებული მუქარისათვის სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული მოქალაქე ისაკო ცქიფურიშვილი. მასვე დაეკისროს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა 2008 წლის 5 იანვარს ჟურნალისტ ხათუნა გოგაშვილის მიმართ განხორციელებული მუქარის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისათვის;
- საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყოს წინასწარი გამოძიება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 7 ნოემბრის №20 შემოწმების აქტის და №66 რეგარეშე საგანგებო სხდომის ოქმის გაყალბების ფაქტზე.

კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას:

- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იზრუნოს ერთგვაროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, კერძოდ კი, თავი შეიკავოს ლიცენზიის მფლობელების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობისაგან;
- საკაბელო ტელეკომპანია „მაესტროსათვის“ სანქციების დაკისრების ნაცვლად საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ლიცენზიის მოდიფიცირება.

**საქართველოს
კონსტიტუცია, მუხლი 40:**

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, მუხლი 6, მე-2 ნაწილი:

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

პატარაკაციშვილის საქმე


2007 წლის 16 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა გენერალური პროკურატურის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „პატარ-

აკაციშვილის საქმე“. ფილმი გენერალური პროკურორის მოადგილის ნიკოლოზ გვარამიას ინტერვიუს ფორმატში მიმდინარეობს. ინტერვიუს თანახმად ბადრი პატარაკაციშვილის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ განმარტებები.

დოკუმენტური ფილმი იწყება ინფორმაციით, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ას პროცენტს ფლობს ბიზნესმენი არკადი პატარაკაციშვილი. ეს უკანასკნელი იმავდროულად წარმოადგენს არხის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, რაც მას ანიჭებს სრულ შესაძლებლობას, განსაზღვროს არხის სარედაქციო პოლიტიკა და გამოიყენოს „ტელეიმედი“ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ამის შემდეგ გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ აქცენტი გააკეთა 7 ნოემბერს ბადრი პატარაკაციშვილის მიერ, მათ შორის „ტელეიმედის“ ეთერით, გავრცელებულ განცხადებაზე, სადაც იგი

უდანაშაულობის პრეზუმცია



ხელისუფლებას უნოდებს ფაშისტურს და აცხადებს, რომ უკანასკნელ თეთრს დახარჯავს მის შესაცვლელად. ნიკა გვარამია აღნიშნავს: „როდესაც პროცესები იღებს არალეგიტიმურ მიმართულებებს და ამ ვითარებაში კეთდება განცხადებები **ნამქვებლურ ტონალობაში**, ბუნებრივია, მისი პოზიციაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც არალეგიტიმური“.

გენერალური პროკურორის მოადგილე მიუთითებს, რომ პატარკაციშვილის განცხადებები იყო ნამქვებლური და იმ „მასობრივი არეულობის“ დროს, რაც 7 ნოემბერს ხდებოდა ქალაქ თბილისში, ამგვარ განცხადებებს შესაძლოა გამოენვია ხელისუფლების დამხობა. თავისთავად ის გარემოება, რომ პიროვნება ცნობილია ექვმიტანილად, არ ანიჭებს უფლებას ბრალდების მხარეს, იგი აღნიშნული დანაშაულის ჩამდენად მიიჩნიოს. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება მაშინ, როდესაც პროკურორი აკეთებს განცხადებას პიროვნების მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენის თაობაზე, რის გამოც იგი ექვმიტანილადაც კი არ არის ცნობილი.

2007 წლის 7 ნოემბერს არკადი პატარკაციშვილი ექვმიტანილად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეთქმულებისათვის ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად. ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ბადრი პატარკაციშვილი საპროტესტო აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა ხელისუფლების დამხობისაკენ. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით (საქვეყნოდ მონოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ). არკადი პატარკაციშვილი არასოდეს ყოფილა ექვმიტანილი აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამ შემთხვევაში ნიკა გვარამიამ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ამის შემდეგ გენერალური პროკურორის მოადგილე საუბრობს იმის თაობაზე, თუ როგორ გადაუხადა არკადი პატარკაციშვილმა დიდი რაოდენობით თანხა ირაკლი ოქრუაშვილს სატელევიზიო განცხადების გაკეთებისათვის და საპროტესტო აქციის ორგანიზატორები როგორ ადარებდნენ 2007 წლის 7 ნოემბერს 1989 წლის 9 აპრილს. ეს ფაქტები დადასტურებული რომც იყოს, არ იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არცერთი დანაშაულის ნიშნები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ გენპროკურორის მოადგილე 9 აპრილთან პარალელს მიიჩნევს ხელისუფლების დასამხობად ნაქვებად. როგორც დოკუმენტური ფილმებიდან ჩანს, ამგვარ პარალელს ავლებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერები. აღნიშნული სატელევიზიო განცხადებები ნაქვებადაც რომ მივიჩნიოთ, გენერალური პროკურორის მოადგილეს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა ამგვარი განცხადებების ბადრი პატარკაციშვილთან და მის სავარაუდო დანაშაულებრივ გეგმებთან კავშირს. დოკუმენტური ფილმის ეს ნაწილი მთლიანად წარმოადგენს 7 ნოემბრის მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას.

ამის შემდეგ ეთერში გადის ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების ეკა ქადაგიშვილისა და სოფო ჭაავას ფარული აუდიო ჩანაწერი. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, სოფო ჭაავა აცხადებს, რომ სამშაბათს დაგეგმილ პიკეტს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მოჰყვება ძალის გამოყენება და 3 ადამიანის მსხვერპლი, რის შემდეგაც საპროტესტო აქციის მონაწილეები ხელისუფლებას „გადაჯეგავენ“. სოფო ჭაავა აცხადებს, რომ ამის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა თათბირიდან, რომელსაც მასთან ერთად ესწრებოდნენ გიორგი თარგამაძე და ლევან ვეფხვაძე. **მიუხედავად სახალხო დამცველის მოთხოვნისა, რომელიც გენერალურ პროკურატურას გაეგზავნა 2007 წლის 28 ნოემბერს, ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია აღნიშნული სატელეფონო საუბრების მოსმენის სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე.**

თვალშისაცემია ერთი გარემოება: ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ჟურნალისტები ფლობდნენ ინფორმაციას სამშაბათს მოსალოდნელი ესკალაციის თაობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ჟურნალისტებმა სოფო ჭაავამ, გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ იცოდნენ, რომ მზადდებოდა 3 ადამიანის მკვლელობა, მასობრივი არეულობა და ამბოხება, თუმცა

არ შეატყობინეს ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს და ამგვარად ჩაიდინეს სულ მცირე სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა) გათვალისწინებული დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ ეთერში ნაჩვენები აუდიოჩანაწერიც კი არ იძლევა მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას და სრულიად ნათელია, რომ ამგვარი საუბარი იყო საალბათო მსჯელობა მოვლენების შესახლო განვითარებაზე, ნიკა გვარამია მიუთითებს, რომ ჟურნალისტები ახდენდნენ დანაშაულის დაფარვას. ეს განცხადება კეთდება იმ დროს, როდესაც არათუ არცერთი ჟურნალისტის დანაშაული არ არის დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, არამედ ისინი მონმის სტატუსითაც კი არ არიან დაკითხულები.

ნიკა გვარამიამ სამშაბათს მოსახდენი დანაშაულის თაობაზე ჟურნალისტების საუბარი დაუკავშირა კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიას სატელეფონო საუბარს. ცოტნე გამსახურდია უფროს ძმას უფრო აქტიური მოქმედებაზე გადასვლისაკენ მოუწოდებს. კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ მოვლენები აქტიურ ფაზაში ორ დღეში გადავა. ნიკა გვარამიას განმარტებით, აღნიშნული საუბარი შედგა შაბათ დღეს. „ეს ადამიანებიც აბსოლუტურად იგივეს იმეორებენ, ერთი-ორი დღე არაფერი მოხდება, სამშაბათს მოხდება პიკეტრება, მდგომარეობა გამწვავდება“. – აცხადებს ნიკა გვარამია. ამგვარად, იგი დანაშაულის შეუტყობინებლობაში ადანაშაულებს ასევე ძმებ გამსახურდიებს. ასევე თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ეთერში გასული გამსახურდიების სატელეფონო ჩანაწერიდან არ იკვეთება, რომ არეულობა მაინცდამაინც პიკეტირებით მოხდება. კონსტანტინე გამსახურდია საუბრობს მოვლენების აქტიურ ფაზაში გადასვლაზე, სიტყვა „პიკეტირებას“ ის არ ახსენებს. ამიტომ ნიკა გვარამიას განცხადება, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ იცოდა მოსალოდნელი პიკეტირების შესახებ, უსაფუძვლოა.

კონსტანტინე გამსახურდია ზემოხსნებული ჟურნალისტების მსგავსად არ იყო ეჭვმიტანილად ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. იგი მონმის სტატუსით დაიკითხა ხელისუფლების დასამხობად მონყობილი შეთქმულებისა და ჯაშუშობის ფაქტზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მოგვიანებით იქნა შეწყვეტილი ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ამის შემდეგ ნიკა გვარამია ეხება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნას და ხელმძღვანელობას. ფილმში მთხრობელი გადმოსცემს, რომ პატრაკაციაში ვილის დაცვის უფროსი ალექსანდრე მაისურაძე ქმნიდა სხვადასხვა დაცვის სამსახურებს, იბრებდა ყოფილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს. ასეთი დაჯგუფებების მიერ, რომელთაც ალექსანდრე მაისურაძე კურირებდა, სავარაუდოდ ხორციელდებოდა თვალთვალი, მიყურადება. ორი ასეთი ფორმის ხელმძღვანელი იყო გია ბერიძე. ფილმის მთხრობელისვე აზრით, ეს ფორმირებები გამოყენებული უნდა ყოფილიყო მასობრივ არეულობაში.

გია ბერიძე და ალექსანდრე მაისურაძე დაკავებულ იქნენ იარაღის სავარაუდოდ უკანონო შექმნა, შენახვა და ტარებისათვის და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის. მათ მიმართ გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე დადგენილებას. ისინი არ არიან ბრალდებულები მასობრივი არეულობის ან თუნდაც ამ დანაშაულის მცდელობისათვის. ამასთანავე მათ მიმართ არ შესულა კანონიერ ძალაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მათი დამნაშავედ მოხსენიება ნებისმიერ კონტექსტში არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. დოკუმენტურ ფილმში მთხრობელი გია ბერიძისა და ალექსანდრე მაისურაძის მიმართ არ იყენებს სიტყვებს „სავარაუდოდ გეგმავდნენ არეულობას“, „სავარაუდოდ ახორციელებენ მიყურადებას“, „სავარაუდოდ ხელმძღვანელობდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას“. მათ მიერ დანაშაულის მზადების შესახებ მტკიცებით ფორმაცია საუბარი. ფილმში ასევე ნაჩვენებია ზურაბ მეტრეველი, რომელიც, ფილმის ავტორის განცხადებით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ალექსანდრე მაისურაძესა და გია ბერიძეს, მათთან ერთად შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი. ზურაბ მეტრეველის მიმართაც ადგილი აქვს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მტკიცებით და კატეგორიულ ტონს. ასეთივე მტკიცებით ფორმაში



საუბრობს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გია ბერიძის დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რაც გულისხმობდა მისი მხრიდან სავარაუდოდ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებში ადამიანების გადაბირებასა და მათ ე.წ. „დავერობოვებზე“. ნიკა გვარამიას განაცხადებით, გია ბერიძე საუბრობდა რაღაც X დღეზე. გენერალური პროკურორის მოადგილე ვარაუდობს, რომ ეს დღე უნდა ყოფილიყო შვიდი ნოემბერი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გენერალური პროკურორის მოადგილე ვარაუდის ტონით საუბრობს, ამ განცხადებაში მაინც აქვს ადგილი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. როგორც აღვნიშნეთ, გია ბერიძეს ბრალი ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და იარაღის უკანონო შექმნა-შენახვაში. გამოძიებას მისთვის დღემდე არ წაუყენებია მასობრივი არეულობის ორგანიზების ბრალდება. ამგვარად, გაუგებარია, რატომ საუბრობს გენერალური პროკურორის მოადგილე გია ბერიძის მიერ მასობრივი არეულობის ორგანიზებაზე.

ნიკა გვარამია საუბრობს იმის თაობაზე, რომ საშა მაისურაძე „დაცვის საერთაშორისო ასოციაციის“ დამფუძნებელია. „ეს ადამიანი ცნობილი გახდა გიგანის აფეთქების საქმით“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოხდა ალექსანდრე მაისურაძის გამართლება იმ საქმესთან დაკავშირებით, რაზედაც საუბრობს ნიკა გვარამია.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა მაშინაც, როდესაც საკანონმდებლო საფუძვლის მიუხედავად მოხდება პიროვნების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა, თუმცა თანამდებობის პირები მაინც მიუთითებენ კონკრეტული პიროვნების მიერ იმ დანაშაულის ჩადენაზე, რისთვისაც დადგა გამამართლებელი განაჩენი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში ა.ლ. გერმანიის წინააღმდეგ).

კონკრეტულ შემთხვევაში ნიკა გვარამიამ საჯარო განაცხადებით დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვინაიდან პიროვნება დაუკავშირა იმ დანაშაულს, რომლის ჩადენაშიც მის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი.

აღნიშნული დოკუმენტური ფილმი ეთერში გავიდა ტელეკომპანია „იმედის“ ლიცენზიის შეჩერებასთან დაკავშირებით. თავისთავად ფაქტია, რომ შვიდი ნოემბრის მოვლენებისა და „ტელევიმედისათვის“ ლიცენზიის შეჩერების ფაქტის მიმართ არსებობდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. ეს გარემოება ამართლებს თუნდაც ტენდენციურად მომზადებული დოკუმენტური ფილმის ეთერში გასვლის ფაქტს. საზოგადოებას ჰქონდა უფლება, მოესმინა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია პოლიტიკური ხასიათის სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არ ამართლებს ფიზიკური პირების უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. აქვე თვალშისაცემია ის გარემოება, რომ დოკუმენტურ ფილმში ნახსენებ პირებს ან მათ დამცველებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არ დაეთმოთ თანაბარი დრო დოკუმენტურ ფილმში გამოთქმულ ვარაუდებზე პასუხის გასაცემად. აღნიშნული დოკუმენტური ფილმი ასევე გავიდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-სა და ტელეკომპანია „მზის“ ეთერშიც. თუმცა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელია ვალდებული უზრუნველყოს პროგრამების სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მოვალეობას წარმოადგენს აუდიტორიისათვის ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება. საეთერო დროის დიდი ნაწილის განმავლობაში ბრალდების არგუმენტების პრეზენტაციით სერიოზული საფრთხე შეექმნა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას სამართლიან სასამართლოზე. აღნიშნული ფორმატის ფილმის ეთერში გაშვება, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევასთან ერთად, შესაძლოა, აღქმულ იქნეს სასამართლოზე ზეწოლა. სასამართლომ უნდა განიხილოს ალექსანდრე მაისურაძის, გია ბერიძესა და ზურაბ მეტრეველის ბრალეულობის საკითხი. არ შეიძლება, მოსამართლე შებოჭილი იყოს წინასწარ ჩამოყალიბებული,

სტერეოტიპული მოსაზრებებით აღნიშნული პიროვნებების ბრალეულობასთან დაკავშირებით, რისი შესაძლებლობაც შეიქმნა პროკურატურის დაუბალანსებელი ბრალდებების ეთერში გაშვებით. ასევე შეილახა დაცვის უფლება, რომელიც მოკლებული იყო შესაძლებლობას, ფილმისათვის დათმობილი დროის ფარგლებში წარმოდგინა თავისი საინააღმდეგო შეხედულებები.

დოკუმენტური ფილმი „ნომბრიდან ნომბრამდე“

2007 წლის 20 ნოემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმი „ნომბრიდან ნომბრამდე“. ტიტრებში მითითებული იყო, რომ აღნიშნული მომზადებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ. ფილმის ეთერში გასვლიდან მეორე დღეს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია: „ფილმი ნომბრიდან ნომბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომზადებულია ტელეკომპანიების „მზის“, „რუსთავი 2“-ის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედისა“ და „აჭარის“ მასალებზე დაყრდნობით. მასში გადმოცემულია მოვლენათა განვითარების ის ხედავ, რასაც განვიღო დღეებში საქართველოს შსს და პროკურატურა აწვდიდა საზოგადოებას“.

ამგვარად, ფილმში გამოსატყული მოსაზრებები გამოხატავს კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს – შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს და, შესაძლებელია, მისი განხილვა მოხდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის კონტექსტში.

ფილმი იწყება 2003 წელს ოპოზიციის ლიდერზე, მიხეილ სააკაშვილზე, მომხდარი თავდასხმით. ეს გარემოება დაკავშირებულია რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობასთან. ამის შემდეგ სიუჟეტი ვითარდება ვარდების რევოლუციით და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლით, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა რუსეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მხრიდან. რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის კონტექსტშია განხილული ქვეყანაში არსებული ტერიტორიული პრობლემები, ასლან აბაშიძესა და ემზარ კვიციანთან დაკავშირებული მოვლენები. ფილმის ამ ნაწილში შეფასებულია 2003 წლიდან სახელმწიფოს წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევები. ფილმის ამ მონაკვეთში რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე გაკეთებულია ზოგადი ვითარების ანალიზი და ამ კუთხით შეუძლებელია რაიმე სახის სამართალდარღვევაზე საუბარი.

ინდივიდის მხრიდან მტკიცებით ფორმაში დანაშაულის ჩადენის შესახებ პირველად აღნიშნულია ახალსოფლის ინციდენტის შემდეგ. „ამ პერიოდში რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს ეკონომიკის და საგარეო პოლიტიკური გეგმების შესახებ ინფორმაციას ყველა საშუალებით, მათ შორის აგენტურული ქსელის მეშვეობით აგროვებდნენ.“

ამის შემდეგ ეთერში გადის საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბერძენიშვილის და რუსი დიპლომატის სოკოლოვის საუბრის ფარული აუდიო ჩანაწერი. ლევან ბერძენიშვილი რუს დიპლომატს ატყობინებს, რომ საქართველოს პარლამენტი არ გეგმავს დსთ-ს დატოვებას.

ფილმის ავტორები იხსენებენ 2006 წელს სალარო აპარატების გამოყენების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებს, რომლებშიც მონაწილეობდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. ეს გამოსვლები დოკუმენტურ ფილმში შეფასებულია, როგორც არეულობის მომზადება. შალვა ნათელაშვილის მიტინგზე გამოსვლის ვიდეომასალას თან ახლავს შემდეგი გამონათქვამი: „საქართველოში მოქმედი აგენტურული ქსელი სააკაშვილის მთავრობით უკმაყოფილო ჯგუფისა და ფენის ურთიერთდაკავშირებას შეუდგა“. აგენტურული ქსელის წარმომადგენლად, კონკრეტულ შემთხვევაში, მაყურებელი შალვა ნათელაშვილს მოიხაზრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის თაობაზე, რომ ლევან ბერძენიშვილი, როგორც რუსეთის აგენტურული ქსელის წარმომადგენელი, აწვდიდა უცხო სახელმწიფოს ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკური გეგმების თაობაზე, კონკრეტული პირის მიმართ



შეიცავს მტკიცებას დანაშაულის ჩადენის შესახებ. დანაშაულს, რომლის შესახებაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითებს, ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი. ეს არის ჯაშუშობა, რაც ნიშნავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უცხო სახელმწიფო-სათვის გადაცემას.

ფილმში ნახსენები საუბარი არ მიუთითებდა ლევან ბერძენიშვილის მხრიდან საიდუმლო ინფორმაციის გაცემაზე. ფარული სატელეფონო ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ლევან ბერძენიშვილისათვის საქართველოს დსთ-დან გამოსვლის ფაქტი ცნობილი გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, რომელიც აქტიურად ემზადებოდა სამიტიისათვის. ეს გარემოება არ წარმოადგენდა საიდუმლო ინფორმაციას. ამის შესახებ იმ დროისათვის აქტიურად საუბრობდა ქართული მედია. ასეთი სახის ინფორმაციის უცხოელი დიპლომატიისათვის გადაცემა არ ქმნის ჯაშუშობის შემადგენლობას. მედიის მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ისეთ პირობებში, როდესაც არ არის ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. კონკრეტულ შემთხვევაში, ლევან ბერძენიშვილი არათუ ეჭვმიტანილად არ იყო ცნობილი, არამედ აღნიშნული სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი დასაბუთებული ეჭვის საფუძველსაც კი არ ქმნიდა ხსენებული პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე.

მეორე მხრივ, გაუგებარია, საპროტესტო აქციის ორგანიზების გამო რატომ შეიძლება ადამიანის მიკუთვნება უცხო ქვეყნის აგენტურული ქსელისათვის. ამგვარად, საჯარო განცხადების მეშვეობით, შალვა ნათელაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

ფილმში ასევე საუბარია ბიზნესმენ არკადი პატარკაციშვილზე. ყურადღებას იქცევს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი განცხადება: „მოსკოვის გათვლით, ხელისუფლებამ შეანაწყენებული ოლიგარქი სააკაშვილის მთავრობის დასამხობად შესაფერისი კანდიდატურა იყო. მოხდა შეთანხმება. პატარკაციშვილი პირადად უნდა ჩადგომოდა სათავეში ხელისუფლების შეცვლის ოპერაციას. სამაგიეროდ, რუსეთში მის წინააღმდეგ დევნა შეწყდებოდა. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ პატარკაციშვილს წაყენებული ბრალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოუხსნა.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბუტკევისიუსი ლიტვის წინააღმდეგ საქმეში განაცხადა, რომ პროკურორის მიერ პრესის თანდასწრებით გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ სასამართლომ დაადასტუროს პიროვნების მხრიდან დანაშაულის ჩადენა, არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ფილმში მოყვანილ კონკრეტულ მონაკვეთთან დაკავშირებით, გაუგებარია, თუ რა არსებით მტკიცებულებებზე მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ ბადრი პატარკაციშვილი რუსეთთან შეთანხმებით აწყობდა შეთქმულებას. გარდა იმისა, რომ აღნიშნული განცხადება არ არის გაკეთებული ვარაუდის ფორმით, არ არის მინიშნებული იმ არსებით მტკიცებულებებზე, რომლებიც განცხადებაში მოყვანილ გარემოებებს დაასაბუთებდა. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს ბადრი პატარკაციშვილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

არსებით მტკიცებულებად ასევე ვერ ჩაითვლება შალვა ნათელაშვილისა და გიორგი ხაინდრავას სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერი რუს დიპლომატ სოკოლოვსა და სოლომატინთან. ერთ შემთხვევაში, შალვა ნათელაშვილი შეხვედრაზე უთანხმდება სოკოლოვს, მეორე შემთხვევაში, გიორგი ხაინდრავა სოლომატინს „მაესტროს“ უწოდებს. ეს ფარული ჩანაწერი არ წარმოადგენს არსებით მტკიცებულებას შალვა ნათელაშვილისა და გიორგი ხაინდრავას მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე (ჯაშუშობა) და 315-ე (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე. კონკრეტული პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე პრესასთან განცხადების გაკეთებისას აუცილებელი იყო საკმარისი მტკიცებულებების წარდგენა. სხვა შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრებოდა ვალდებულება, უფრო თავშეკავებული ყოფილიყო გიორგი ხაინდრავას და

შალვა ნათელაშვილის მიერ ჯაშუშობის ჩადენასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთებისას (იხ. დაკტარსი ლიტვის წინააღმდეგ).

ფილმში წარმოდგენილია კონტრდაზვერვის მასალები, სადაც აღნიშნულია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი და არკადი პატარკაციშვილი გეგმავდნენ საპროტესტო აქციების მასობრივ არეულობაში გადაზრდას. ოქრუაშვილის შეიარაღებული მომხრეები დაიკავებენ სასიცოცხლო ობიექტებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, პარლამენტს, თბილისის მერიას და ა.შ. ოქრუაშვილი გამოაცხადებდა დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ. ოქრუაშვილი გადატრიალების ლიდერი უნდა გამხდარიყო.

ამგვარად, მტკიცებით ფორმაში კვლავ ადგილი აქვს სახელმწიფოს კონსტიტუციური ნყობილების დასამხობად შეთქმულების არსებობის მტკიცებას. გაუგებარი რჩება, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა კონტრდაზვერვის ზემოაღნიშნული ანგარიში. საქართველოს გენერალურ პროკურატურას არ დაუნყია წინასწარი გამოძიება ირაკლი ოქრუაშვილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებაზე. იმავე დოკუმენტური ფილმიდან ირკვევა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალად ედება გამოძალვა, ფულის გათეთრება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ფილმში ასევე აღნიშნულია, რომ „იმედის“ დაცვის სამსახურების საფარქვეშ პატარკაციშვილი თავისი ხელქვეითების მაისურაძისა და ბერიძის მეშვეობით სერიოზულ გასამხედროებულ შენაერთებს ქმნიდა გამამწყვეტ მომენტში ხელისფლების ძალადობრივი დამხობის მიზნით.

დოკუმენტური ფილმის ამ მონაკვეთში ალექსანდრე მაისურაძე და გია ბერიძე ლიად არიან დადანაშაულებულნი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამჟამად ეს პირები იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში. ისინი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლით (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა) და 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა და შენახვა). 315-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ინკრიმინირებას მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია. ამგვარად, ფილმის ეს მონაკვეთი არღვევს ბრალდებულების უდანაშაულობის პრეზუმფციას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ორი ნომბრის საპროტესტო აქციის კომენტარებისას, აცხადებს, რომ ოპოზიციის მიერ, რუსეთის ნაქეზებით, საზოგადოებაში ხდებოდა სიძულვილის დანერგვა იმისათვის, რომ გამართლებული ყოფილიყო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა. საპროტესტო აქციის სამზადისის შსს კვლავ ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე აფასებს, როგორც ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მცდელობას. ოპოზიციური პარტიის ლიდერების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ ძალადობრივი მოქმედებისკენ ნაქეზებად ფილმში შეფასებულია კონფლიქტების დარეგულირების დარგში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მომხდარი ინციდენტი.

2 ნომბრის საპროტესტო აქციის დაწყების წინ, დემონსტრანტთა პროვოცირების მიზნით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო დაწესებულების შენობის წინ გამოფინეს არკადი პატარკაციშვილის კარიკატურა, რომელიც აქციის მონაწილეებს „ბადრის მარიონეტებად“ წარმოადგენდა. აქციის რამდენიმე მონაწილემ კარიკატურის ჩამოხსნა მოითხოვა. კარიკატურის დასაცავად მობილიზება გაუკეთეს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის მთელ პირად შემადგენლობას. კარიკატურით აღშფოთებულმა რამდენიმე მოქალაქემ ქეები ისროლა. აქციის მონაწილეთა დაშოშმინება მოხდა და მასობრივი არეულობა სწორედ ოპოზიციონერი ლიდერების, კერძოდ, თინა ხიდაშელის ჩარევის შედეგად იქნა თავიდან აცილებული. ამ ინციდენტში ფილმის ავტორები საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს ადანაშაულებენ.

მასობრივი არეულობის მტკიცებულებად ფილმის ავტორებს მოჰყავთ ცოტნე გამსახურდიას ფარული სატელეფონო საუბარი შალვა ნათელაშვილთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან. ცოტნე გამსახურდია ოპოზიციის ლიდერებს ადანაშაულებს, რომ 150 000 ადამიანის მეშვეობით მათ ვერ შეძლეს



დასახული მიზნის მიღწევა და ამის გამო უნიჭოები არიან. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ხსნის, რა კავშირშია აღნიშნული სატელეფონო საუბარი სახელმწიფო აპარატთან მომხდარ ინციდენტთან. ქვების სროლა გამონვეული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროვოკაციული მოქმედებით, რომლებმაც მრავალათასიანი აქციის მახლობლად გამოფინეს შეურაცხმყოფელი კარიკატურა. შესაბამისად, შეუძლებელია ინციდენტი ყოფილიყო ცოტნე გამსახურდიას, შალვა ნათელაშვილსა და კოკო გამსახურდიას წინასწარი შეთანხმების შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარიკატურა ოპოზიციის ლიდერებთან წინასწარი შეთანხმებით გამოაფინეს.

გენერალური პროკურატურის ფილმის „პატარკაციშვილის საქმის“ მსგავსად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფილმში ბადრი პატარკაციშვილი დადანაშაულებულია იმაში, რომ 7 ნოემბრის მოვლენები 9 აპრილს შეადარა. შინაგან საქმეთა სამინისტრო იმეორებს გენერალური პროკურატურის მოსახრებას, რომ ჟურნალიტებმა გიორგი თარგამაძემ, ლევან ვეფხვაძემ და სოფო ჭაავამ იცოდნენ 7 ნოემბერს მოსალოდნელი არეულობის თაობაზე. ფილმის ავტორი აცხადებს, რომ „ტელეიმედი“ მითითებას იღებს, დაელოდოს ნებისმიერ, თუნდაც მცირე ინციდენტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფილმში არაფერია აღნიშნული იმის შესახებ, რომ დილის 8 საათზე საპატრულო პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა საპროტესტო აქცია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ლევან გაჩეჩილაძეს. იმავე დროს, სრულიად უსაფუძვლოდ, „ტელეიმედი“ კვლავ იქნა დადანაშაულებული ძალადობისკენ მოწოდებაში. თითქოს „ტელეიმედი“ დილის აქციის დაშლა 9 აპრილის მოვლენას შეადარა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ხელისუფლების დამხობის მოწოდებაში შსს-მ ოპოზიციის ლიდერები 11 საათზე რუსთაველზე საპროტესტო აქციის განახლების შემდეგ დადანაშაულა. „რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მართულმა ოპოზიციის ლიდერთა ერთმა ნაწილმა საკუთარ მომხრეებს საპატრულო პოლიციის დაწესებული შემზღვევაზე ხაზის გარღვევისაკენ და პროსპექტის გადაკეტვისკენ მოწოდა.“ – აცხადებს ფილმის ავტორი.

რუსთაველის გამზირზე ცრემლსადენი გაზის, რეზინის ხელკეტის და წყლის ჭავლის გამოყენების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით, გაისმა ხელისუფლების დამხობის მოწოდებები. ასეთად მიჩნეული იქნა კობა დავითაშვილისა და ლევან ბერძენიშვილის განცხადებები, რომლებმაც ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში დემონსტრანტთა დარბევა 9 აპრილს შეადარეს. „რიყის“ აქციის დაშლასთან დაკავშირებით არკადი პატარკაციშვილის მიერ გაკეთებული განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნაქეზებად მიიჩნია. როგორც დოკუმენტურ ფილმშია აღნიშნული: „გაისმა ხელისუფლების ძალადობით დამხობის მოწოდება. პატარკაციშვილმა ამ ვითარებაში მიმართვა გააერცვლა, სადაც მან სააკაშვილის ხელისუფლებას ფაშისტური უწოდა და მოქალაქეებს მისი დამხობისაკენ მოუწოდა.“

აღსანიშნავია, რომ არკადი პატარკაციშვილის განცხადებაში არ ყოფილა მოწოდება ხელისუფლების დამხობისაკენ. არკადი პატარკაციშვილი იმ განცხადებაში, რომელიც „იმედის“ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტმა მაგდა ანიკაშვილმა წაიკითხა, აღნიშნავს: „ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე, ჩემი მთელი ფინანსური რესურსი, უკანასკნელი თეთრის ჩათვლით, გამოყენებული იქნება საქართველოს ფაშისტური რეჟიმისაგან გასათავისუფლებლად.“

აღნიშნული განცხადებიდან ჩანს, რომ მისი ავტორი არავის მოუწოდებს ძალის გამოყენებით ხელისუფლების დამხობისაკენ. იგი აცხადებს მომავალში თავისი ფინანსური რესურსების ხელისუფლების შესაცვლელად გამოყენების და არა დამხობის შესახებ, როგორც ამას ფილმის ავტორები ამტკიცებენ. არჩევნების მეშვეობით ხელისუფლების შეცვლა, რასაც ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია უძღვის წინ, ყველა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ გარემოებაში არაფერია კრიმინალური.

ფილმის ავტორებმა ხელისუფლების დასამხობად მოწოდებაში დადანაშაულებს ასევე ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები, კონკრეტულად კი ნათია მიქიაშვილი. ამ უკანასკნელმა პირდაპირ ეთერში

განაცხადა, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სპეცდანიშნულების რაზმი აპირებს სამების საკათედრო ტაძარში ამოსვლას, სადაც იმყოფებიან საპროტესტო აქციის მონაწილეები. ჟურნალისტმა იქვე მიუთითა, რომ ინფორმაცია სპეცდანიშნულების რაზმის მიერ სამების საკათედრო ტაძარში შესაძლო შეჭრის თაობაზე არ იყო დაზუსტებული. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია იყო გადაუმოწმებელი, აღნიშნა გადაცემა „ქრონიკის“ წამყვანმა სოფო მოსიძემაც, თუმცა ეს გამონათქვამი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფილმში ამოჭრილია.

ფილმის ავტორი ძალადობისაკენ მონოდებაში ადანაშაულებს ასევე გიორგი თარგამაძეს, რომელმაც წამყვანის ადგილი დაიკავა მას შემდეგ, რაც სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედი“ შეიჭრა. უცნობია, რა გარემოება მიიჩნია შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონოდებად გიორგი თარგამაძის განცხადებაში. საინტერესოა, რატომ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და მასობრივი არეულობის გამომწვევად საპოლიციო ოპერაციის პირდაპირ ეთერში გადმოცემა. შეუძლებელია, ჩვეულებრივმა ადამიანმა მონოდებად აღიქვას გიორგი თარგამაძის შემდეგი სიტყვები: „ებლა მე მინდა გთხოვოთ ... აღარ ვიცი რა უნდა გთხოვოთ, არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება“.

კობა დავითაშვილის, ლევან ბერძენიშვილის, არკადი პატარკაციშვილის, ნათია მიქიაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით არ დაწყებულა წინასწარი გამოძიება კონსტიტუციური წყობილების დასამხობად მონოდების ფაქტზე, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით.

ნათია მიქიაშვილის განცხადებას თან ერთვის ფილმის ავტორთა შემდეგი კომენტარები: „ამას ვითარება საერთოდ უმართავი უნდა გაეხადა. რასაც მოჰყვებოდა წინასწარ მომზადებული და კარგად შეიარაღებული ჯგუფების ამოქმედება“. კადრში ჩანს ბადრი პატარკაციშვილის მიერ შექმნილი დაცვის სამსახურის თანამშრომლის ზურაბ მეტრეველის დაკავების ოპერაცია. ფილმის ავტორებმა ეს პიროვნება 7 ნომბერს დაგეგმილი შეთქმულების მონაწილედ მიიჩნიეს, რითაც, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დაარღვიეს ამ ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეთა და ორგანიზატორთა ქმედებები შეფასებულია მასობრივ არეულობად და სახელმწიფო გადატრიალების რუსულ გეგმად. ფილმში არაფერია ნათქვამი იმ ძალის პროპორციულობაზე, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ იქნა გამოყენებული.

კონსტიტუციური წყობილების დასამხობად შეთქმულებისა და ჯაშუშობის ფაქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილად იქნენ ცნობილი არკადი პატარკაციშვილი და შალვა ნათელაშვილი. მონმის სტატუსით დაიკითხნენ ლევან ბერძენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და გიორგი ხაინდრავა. აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. თუმცა, ამ მოვლენას საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით სახელმწიფო ორგანოს მიერ წინ უძღოდა ზემოხსენებულ პირთა სახელმწიფო ლალატში ღიად დადანაშაულება.

მიუხედავად საზოგადოებრივი მაუწყებლის დაპირებისა, ფილმში დამნაშავედ მოხსენიებულ არცერთ პიროვნებას არ მიეცა შესაძლებლობა, იმავე საეთერო დროის გამოყენებით გაექარწყლებინა მათ მიმართ წარმოთქმული ბრალდებები. ამგვარად, დაირღვა დაცვის მხარის უფლება, ბრალდებასთან თანაბარ პირობებში მოეხდინა ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე და არ დაეშვა სასამართლოს მანიპულირება ფილმის გავლენით ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით. დოკუმენტური ფილმი მიზნად ისახავდა არა იმდენად სამართლებრივი არგუმენტების პრეზენტაციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც არსებობდა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, რამდენადაც ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერების დისკრედიტაციას და ქვეყანაში მიდინარე პოლიტიკური ნიშნით დევნის გამართლებას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 7 ნომბრის მოვლენებს მისცა მასობრივი არეულობის ცალსახა შეფასება, რამაც შესაძლებელია, გავლენა იქონიოს სასამართლოში მასობრივ არეულობაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული 6 პირის (ლევან გელაშვილი, ილია ქოიავა, დავით მაღლაკელიძე, ლაშა სირბილაძე, ვლადიმერ ხუციშვილი, ზვიად ხარგელია) საქმის განხილვაზე.



5

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები - ფაქტების და რეკომენდაციები

სახელმწიფო ხელისუფლება არჩევნებით იწყება და სწორედ ხალხის ნების ამ ფორმით გამოვლენა განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ მომავალს. საარჩევნო უფლების სრულყოფილი რეალიზაცია იმის ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ მოქალაქეებს ეყოლებათ ანგარიშვალდებული და ეფექტური ხელისუფლება, რომელიც ყველა სხვა უფლების დაცვის გარანტიად უნდა მოგვევლინოს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული კონკურენტულობით გამოირჩეოდა, თუმცა, ასევე აუცილებელად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკურენტულობას თან ნამდვილად არ ახლდა თანასწორუფლებიანი წინასაარჩევნო გარემო: ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, თავი იჩინა მმართველი პარტიის

საპრეზიდენტო კანდიდატისა და სახელმწიფო ხელისუფლების შერწყმის შემამფოთებელმა ტენდენციამ, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა (განსაკუთრებით ძალოვანი) სტრუქტურების საარჩევნო პროცესებში პირდაპირ პოლიტიკურ ჩართულობაში გამოიხატა. აღნიშნული სტრუქტურების პოლიტიზირების კიდეც ერთ დადასტურებად იქცა ის ფაქტი, რომ მმართველი პარტიის კანდიდატის საარჩევნო შტაბს რეალურად ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც თათბირებს უტარებდა და არჩევნებთან დაკავშირებული კონკრეტული მოქმედებების განხორციელებას ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებს, პოლიციის უფროსებს, კონსტიტუციური უსაფრთხოების და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტების თანამშრომლებს, პროკურორებს, გამგებლებსა და გუბერნატორებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატში სისტემატურად შემოდიოდა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო 2008 წლის 5 იანვარს აპარატის თანამშრომლები უშუალოდ აკვირდებოდნენ კენჭისყრის, ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურებს საარჩევნო უბანთა გარკვეულ რაოდენობაზე (ძირითადად თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში), აღნიშნული საქმიანობის მასშტაბი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოში 2008 წლის

5 იანვარს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება მოვასდინოთ მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში ძირითადად ეფუძნება შესაბამისი სადამკვირვებლო საქმიანობის მასშტაბისა და საარჩევნო გამოცდილების მქონე საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების დასკვნებსა და შეფასებებს 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტი ორიენტირებულია საარჩევნო უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის შექმნილი ძირითადი პრობლემების წარმოჩენაზე, შესაბამისად, მასში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება პოზიტიურ ფაქტორებზე. ის, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შევიდა რიგი დადებითი ცვლილებები და რომ 5 იანვრის არჩევნები წინა არჩევნებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად კონკურენტულად შეფასდა, უკვე არაერთხელ აღინიშნა. თუმცა, როგორც ფაქტებმა ცხადჰყვეს, ეს გარემოებები არ აღმოჩნდა საკმარისი მოქალაქეთა საარჩევნო უფლების დასაცავად.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია ყურადღების გამახვილება არჩევნების დროს გამოვლენილ, საკმაოდ სერიოზულ და შემამოფოთებელ გარემოებებსა და დარღვევებზე. რათა სამომავლოდ მაინც იქნას მსგავსი დარღვევები თავიდან აცილებული. შესაბამისად, ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს, რომელთა განხორციელება სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია.

საარჩევნო კანონმდებლობა

ევროპული საარჩევნო მემკვიდრეობის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორც არის საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს საარჩევნო კოდექსი წარმოადგენს ამ ძირითადი პრინციპების იმპლემენტაციის ინსტრუმენტს, განსაზღვრავს რა სხვადასხვა ტიპის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, საარჩევნო პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. საარჩევნო კოდექსის გარდა, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს მთელი რიგი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის ცესკოს მიერ მიღებული ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიმოხილვისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დამკვიდრდა მავნე პრაქტიკა – ყოველი არჩევნების წინ იწყება საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა არსებული პოლიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების განხორციელებით, ერთი მხრივ, შესაძლებელია წინა არჩევნებისას გამოკვეთილი საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არჩევნების ძირითადი კომპონენტების სტაბილურობა განსაკუთრებული დაცვით უნდა სარგებლობდეს. **„საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტები, განსაკუთრებით თავად საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის წესი არ უნდა განიცდიდეს ცვლილებას არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები ხანით ადრე, ან აღნიშნული ელემენტები ასახული უნდა იყოს კონსტიტუციაში ან ჩვეულებრივ კანონზე უფრო მაღალი ძალის მქონე კანონში“.**⁹²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ფუნდამენტური ელემენტები ზოგადად მოცემულია კონსტიტუციაში და დეტალურად ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობასთან დაკავშირებული ნორმები ტრანსფორმაციას განიცდის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების ცვლილებისთანავე. გაცილებით ხშირია კონკრეტული პროცედურული ნორმების შეცვლა. ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორი ხელს უშლის საზოგადოებაში სრულყოფილი საარჩევნო კულტურის დამკვიდრებას და საარჩევნო

⁹² „მართებული პრაქტიკის კოდექსი საარჩევნო სფეროში“, მიღებულია ევროპის საბჭოს კომისის დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით მიერ (ვენეციის კომისია) 2002 წლის 5-6 ივლისს.



კანონმდებლობის სტაბილურობას. ამ კუთხით ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, საარჩევნო პროცედურების ცვლილებების პარალელურად, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადაზიდვის საკითხი.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საქართველოს საარჩევნო კოდექსში მორიგი ცვლილებები და დამატებები შევიდა 2007 წლის 22 ნოემბერსა და 7 დეკემბერს. აღნიშნული ცვლილებებით, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვრა ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალი წესი; 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დაშვებულ იქნა ხმის მიცემა არჩევნების დღეს დამატებითი სიბინი რეგისტრაციის საფუძველზე, შეიცვალა წინასწარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული გარკვეული დებულებები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ცვლილებებით საარჩევნო კოდექსში აისახა იმ რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მომდინარეობდა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისგან, ევროპის საბჭოს ევროპული კომისიისგან დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისგან, მაინც შეიქმნა რიგი დამატებითი პრობლემები, რაც საარჩევნო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაციის ხშირმა შემთხვევებმა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული დავების შინაარსმაც ცხადჰყო. დღეს მოქმედ საარჩევნო კოდექსში სხვადასხვა სახის პრობლემებს ვხვდებით. კერძოდ, საარჩევნო პროცესის ცალკეული ასპექტები არ არის სრულყოფილად განსაზღვრული კანონმდებლობით, ან ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას. კოდექსში ხშირად ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო ან ბუნდოვან ნორმებს, რომლებიც იძლევა კანონის განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც ფართო დისკრეციას ანიჭებს საარჩევნო ადმინისტრაციას და, საზოგადოებრივი ნდობის არსებული დაბალი ხარისხიდან გამომდინარე, საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაციას.

სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის ანალიზი და უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტს წარედგინება დეტალური წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობის ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საქმიანობაში აქტიურად იქნას გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დახმარება. აუცილებელია, ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინადადებების გათვალისწინება, რადგან მათი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო კანონმდებლობის გაუმართაობის პრაქტიკულ გამოვლენას.

და ბოლოს, სასურველია, საარჩევნო კოდექსის დახვეწა მოხდეს არა მხოლოდ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, არამედ სამომავლოდ საქართველოში საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის სტაბილური გარანტიების შექმნის მიზნით, იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას ქვეყანაში საარჩევნო კანონმდებლობის ხშირი ცვლის პრაქტიკა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

დაკომპლექტების წესი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გამოიკვეთა პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის ფორმალური მცდელობები, რეალურად, ამგვარი მცდელობა მხოლოდ განაცხადად დარჩა, რადგანაც ხელისუფლებაში ფაქტობრივად არ არსებობდა პროფესიონალური და დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისათვის აუცილებელი პოლიტიკური ნება. როგორც ჩანს, ამისათვის გარკვეული პოლიტიკური სიმნიფე და საზოგადოებრივი ნდობის მაღალი ხარისხია აუცილებელი. რეალურად, ვითომ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია პრაქტიკულად მონოპარტიულ საარჩევნო ადმინისტრაციას წარმოადგენდა. ყველა დონის საარჩევნო კომისიებში

კომისიის წევრთა უდიდესი ნაწილი მმართველის პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარე-
დამჭერი ან სულაც აქტივისტი იყო.

2007 წლის 22 ნოემბრის ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღ-
ლესი ორგანოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და საუბნო საარჩევნო კომისიების და-
კომპლექტების ახალი წესი. თუ მანამდე ცესკო-ს თავმჯდომარესა და 6 წევრს საქართველოს პრეზი-
დენტის წარდგინებით საქართველოს პარლამენტი ირჩევდა, ამჟამად ცესკო-ს შემადგენლობა გა-
ნისაზღვრება 13 წევრით, რომელთაგან 7 წევრი ინიშნება პარტიების მიერ (დღევანდელი მდგომარეობით
ეს არის 6 ოპოზიციური და 1 სახელისუფლებო პარტია), ხოლო 5 წევრსა და ცესკოს თავმჯდომარეს
პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. პარტიული წარმომადგენლობა იმავე პრინციპით
აისახება საუბნო საარჩევნო კომისიაშიც. ერთი მხრივ, აღნიშნულ ცვლილებას კვლავ შემოაქვს პარტი-
ული დაკომპლექტების პრინციპი, რაც კომისიის წევრთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლო-
ბასთან დაკავშირებით მრავალ კითხვას ბადებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის მიერ წარდგენილ
ცესკო-ს წევრებს არ მოეთხოვებათ საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის ქონა, რაც პროფესიონალიზმის
სტანდარტებს დაბლა წევს. თუმცა, მეორე მხრივ, ცესკო-ს დაკომპლექტების ადრინდელი წესი კიდევ
უფრო მეტად ვერ უზრუნველყოფდა ნეიტრალურობასა და პოლიტიკურ მიუკერძოებლობას, რადგანაც
საქართველოს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა გადაწინაღობის გათვალისწინებით, რეალურად
პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას ეძლეოდათ ცესკო-ს მთელი შემადგენლობის განსაზღვრის უფ-
ლებამოსილება. შესაბამისად, საარჩევნო კომისიები, რომლებიც ფორმალურად პროფესიული ნიშნით
უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, პრაქტიკულად ერთპარტიული იყო.

პარტიული დაკომპლექტების წესზე გადასვლით, საარჩევნო კანონმდებლობამ შესაძლებლობა მისცა
ძირითად ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ საარჩევნო ადმინისტ-
რაციის როგორც უმაღლეს დონეზე, ისე საუბნო საარჩევნო კომისიებში. თუმცა, საარჩევნო ადმინისტ-
რაციის დაკომპლექტების ახალმა პრინციპმა ასახვა ვერ ჰპოვა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენ-
ლობაზე, რამაც გამოიწვია საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე განსხვავებული წარ-
მომადგენლობა და დისბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ცვლილებებით საოლქო საარჩევნო
კომისიების უფლებამოსილება გარკვეულწილად შემცირდა, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო
არჩევნების დროს გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიმართ მნიშვნელოვანი პრეტენ-
ზიები დაგროვდა, განსაკუთრებით შედეგების შეჯამების, საჩივრების განხილვისა და შესაბამისი
გადაწყვეტილებით ცესკო-სათვის მიმართვის საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიებს, როგორც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო
მისიის მოხსენებაშია მითითებული, ხელმძღვანელი თანამდებობები ოპოზიციური პარტიების მიერ
დანიშნულ წევრებს თითქმის არ ეკავათ. მმართველი პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სა-
უბნო საარჩევნო კომისიებში დე ფაქტო უმრავლესობით იყო წარმოდგენილი.⁹³

უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი

საარჩევნო ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღებისას მუდმივად უნდა ხელმძღვანელობდეს სა-
ქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით. 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო
არჩევნების დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ცესკო-ს მიერ დადგენილი პროცედურები არა-

⁹³ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (IOEM) 2008 წლის
5 იანვრის საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE/PA), ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა
(PACE) და ევროპარლამენტის (EP) ერთობლივი წამოწყება), საქართველო, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008
წლის 5 იანვარი, „მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ“.



სრულყოფილი ან საარჩევნო კოდექსთან შეუსაბამო აღმოჩნდა,⁹⁴ რითაც შეიქმნა აღნიშნული პროცედურების არათანმიმდევრულად განხორციელების საფრთხე. მნიშვნელოვანი პრობლემები წამოიჭრა ასევე საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო-ს დადგენილებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები – მიიღება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ით. რაც შეეხება საარჩევნო კომისიის განკარგულებებს, იმისათვის, რომ მიღებულ იქნას აღნიშნული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, თუ კანონით სხვა კვორუმი არ არის დადგენილი, მას მხარი უნდა დაუჭიროს კომისიის დამსწრეთა უმრავლესობამ, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. საყურადღებოა, რომ განკარგულებებით ხდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების დარეგულირება, როგორც არის, მაგალითად, გადაწყვეტილება განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის, ასევე ქვემდგომი საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებების გაუქმების ან შეცვლის შესახებ, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო ოპოზიციის აზრის გაუთვალისწინებლად.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის „მართებული პრაქტიკის კოდექსში“ აღნიშნულია: **„სასურველია, საარჩევნო კომისიებმა გადაწყვეტილება მიიღონ კვალიფიციური უმრავლესობით ან კონსენსუსით“.**⁹⁵ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 21 იანვრის ანგარიშში, რომელიც 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ შექმნილი დროებითი კომიტეტის დაკვირვების შედეგებს ასახავს, აღნიშნულია, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილებები ხშირად იყოფოდა პარტიების კურსის მიხედვით, მისი წევრები ხშირად პარტიის ვინრო პოლიტიკურ ინტერესებს კანონის სწორ ინტერპრეტაციაზე მალლა აყენებდნენ. ამას ერთვოდა საარჩევნო კოდექსში არსებული შეუსაბამობები და ბუნდოვანება, რაც ცესკო-ს წევრებს შესაძლებლობას აძლევდა კანონის გონივრული ინტერპრეტაციის ფარგლებს გასცდნოდნენ. იმავე ანგარიშში მითითებულია, რომ ცესკო ხშირად იღებდა გადაწყვეტილებას განკარგულების ფორმით და ამ გზით თავს არიდებდა მისი საქმიანობის შესაძლო ბლოკირებას, პროსახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების ინტერესთა გაყოფის გამო, თუმცა, ამგვარ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი საფუძველი ხშირად ეჭვქვეშ იდგა.⁹⁶ ის, რომ ცესკო-ს წევრები ბევრ გადაწყვეტილებას ხმას პარტიის ინტერესებიდან და არა კანონის რაციონალური გააზრებიდან გამომდინარე აძლევდნენ, ხაზგასმულია ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის №2 შუალედურ ანგარიშშიც.⁹⁷

მაგალითად, 2007 წლის 12 დეკემბერს ცესკო-მ ვერ მიიღო დადგენილება საქართველოს საზღვრებს გარეთ განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნებისა და პლებისციტის ვადამდე ჩატარების შესახებ, რითაც ვერ შეასრულა კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა, ერაცა და კოსოვოში მყოფი ხმის მიცემის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყო საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით მათთვის გარანტირებული აქტიური საარჩევნო უფლება, რის შესახებაც სახალხო დამცველმა სათანადო რეკომენდაციით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციის

⁹⁴ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, შუალედური ანგარიში №2, 14–24 დეკემბერი, 2007 წელი, გვ. 2.

⁹⁵ „მართებული პრაქტიკის კოდექსი საარჩევნო სფეროში“, მიღებულია ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის (კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით) მიერ 2002 წლის 5-6 ივლისს.

⁹⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 21 იანვარი 2008, საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვება (5 იანვარი, 2008), ანგარიში, მომხსენებელი - მათიას იორში, §20, 21.

⁹⁷ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, შუალედური ანგარიში №2, 14–24 დეკემბერი 2007 წელი, გვ.2.

უმალეს ორგანოს. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სასამართლოს მიერაც, რის შედეგადაც ცესკო-ს დაევალა შესაბამისი გადაწყვეტილის მიღება.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სრულყოფილი სია არჩევნების საყოველთაობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა. სიების უზუსტობასთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ მწვავე საკითხია, რაც ხშირად ზუსტი მონაცემთა ბაზის არქონით არის ხოლმე გამოწვეული. თუმცა, საქართველოს საარჩევნო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამომრჩეველთა სიები განზრახი მანიპულირების საგანი ხდება.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ცესკო-მ ამომრჩეველთა სიების შესადგენად, კანონით განსაზღვრული დანტესტებისაგან მიღებული მონაცემებთან ერთად, ამომრჩეველთა კარდაკარ გადამონმების მეთოდი გამოიყენა. ამომრჩეველთა სიები გამოქვეყნდა იმისათვის, რომ საარჩევნო სუბიექტებს, დამკვირვებებსა და ამომრჩევლებს გადაემონმებინათ შესაბამისი მონაცემები და საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მოეთხოვათ სათანადო ცვლილებების შეტანა.

როგორც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშშია აღნიშნული, „პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა OSCE/ODIHR-ს მიაწოდეს ინფორმაცია ისეთი დარღვევების შესახებ, როგორცაა დუბლიკატები და არასრული მონაცემები, უფლებამოსილი ამომრჩევლის სიაში გამოტოვება, მართლწერისა და ტიპოგრაფიული შეცდომები და სიებში გარდაცვლილ პირთა არსებობა. ცესკომ შეცდომების არსებობა აღიარა და მიზეზად დროის უკმარისობა დაასახელა მოულოდნელად დანიშნული არჩევნების გამო. ოპოზიციურმა პარტიებმა ცესკოში სულ ცოტა ექვსი საჩივარი შეიტანეს, რომელშიც 40 ათასზე მეტი ამომრჩევლის შესახებ არსებულ არასწორ მონაცემებზე მიუთითებდნენ. ყველა აღნიშნული საჩივარი ამომრჩეველთა სიის გადამონმებისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ იქნა შეტანილი. ცესკომ განაცხადა, რომ საჩივრებში ჩამოთვლილი შემთხვევები გადამონმდა და უზუსტობების დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი შესწორებებიც გაკეთდა.“⁹⁸

22 ნოემბრის ცვლილებებით 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დამატებითი სიების გამოყენება იქნა დაშვებული. საქართველოს საარჩევნო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც სათანადოდ უფლებამოსილი ამომრჩეველი ვერ ახერხებდა საკუთარი საარჩევნო უფლების განხორციელებას მუდმივად განახლებადი და ზუსტი ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზის არქონის გამო. შესაბამისად, დამატებითი სიების მეშვეობით მას შესაძლებლობა ეძლევა დარეგისტრირდეს კენჭისყრის დღეს და ხმა მისცეს ამგვარი რეგისტრაციის საფუძველზე. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება გაჩნდეს დამატებითი სიების ბოროტად გამოყენების საფრთხე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მრავალჯერადი ხმის მიცემისაგან დამცავი მექანიზმის – მარკირების გამოყენება სათანადოდ არ ხორციელდება. **გარდა ამისა, დამატებითი სიები მხოლოდ ერთჯერადი მექანიზმია და არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, იზრუნოს ამომრჩეველთა ზუსტი სიის ფორმირებაზე. აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ პოლიტიკური ნება და სათანადო ძალისხმევა რჩება გადაწყვეტ ფაქტორებად სრულყოფილი საარჩევნო სიის შექმნისათვის.**

დამატებითი სიებთან დაკავშირებით 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა იჩინა თავი. კერძოდ, კენჭისყრის დღეს ბევრ უბანზე საერთოდ არ ხდებოდა მარკირების შემონმება ან გამოყენება, ან აღნიშნული პროცედურების ჩატარებას მთელი რიგი ხარვეზები ახლდა თან. „ყველაზე ფართომასშტაბიანი პროცედურული დარღვევა დაკავშირებული იყო მარკირების პროცესთან. არ ხორციელდებოდა ყველა ამომრჩევლის შემონმება მონა-

⁹⁸ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ.



ხულებული საარჩევნო უბნების 15 პროცენტზე, ხოლო 12 პროცენტზე ყოველთვის არ გამოიყენებოდა მარკირების სითხე.⁹⁹ ნათქვამია საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში. აღნიშნული პროცენტები, თავისთავად, საგანგაშოდ მაღალია და ბუნებრივია, რომ ასეთი მასშტაბის დარღვევებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ არჩევნების საბოლოო შედეგზეც.

გარდა ამისა, დამატებითი სიების საფუძველზე მიცემული ხმების დათვლის დროს თვალსაჩინო გახდა კანონმდებლობაში არსებული სერიოზული პრობლემები. კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 129⁷ მუხლი საუბროს საარჩევნო კომისიას ანიჭებს სრულ დისკრეციას, ნევრთა 2/3-ით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი სიების საფუძველზე მიცემული ხმების დათვლის შესახებ ან არ მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილება და შესაბამისი კონვერტები, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად (დამატებითი სია, ამომრჩეველთა განცხადებები და პირადობის ან დევნილის მონმობების ასლები) გააგზავნოს ცესკო-ში, რომელიც ასევე ფართო დისკრეციით, ნევრთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ხმების დათვლის შესახებ. საკითხის არასწორმა საკანონმდებლო რეგულირებამ გააჩინა ეჭვები ცესკო-ში უბნებიდან შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნასთან დაკავშირებით, რასაც თან დაერთო ნაგავსაყრელზე აღმოჩენილ საარჩევნო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ბრალდებები. და ბოლოს, ყოველივე ამას დაემატა ცესკო-ს მიერ ამგვარი ხმების დათვლისას არაერთგვაროვანი სტანდარტების გამოყენება, რის შედეგადაც დამატებითი სიების საფუძველზე მიცემული ხმების საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქნა მიჩნეული.

წინასაარჩევნო პერიოდი

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს წინ უძღოდა ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და პროცესები. შესაბამისად, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლებისციტის ორგანიზება და ჩატარება საგანგებო რეჟიმში განხორციელდა. საყურადღებოა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას შემჭიდროვებულ ვადებში მოუწია არჩევნებისა და პლებისციტის ორგანიზება, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საარჩევნო კანონმდებლობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პოლიტიკური დაპირისპირებებისა და სხვადასხვა ბრალდებათა წაყენების ფაქტები. საარჩევნო პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ მაუწყებლობდა ტელეკომპანია „იმედი“. საყურადღებოა ასევე მედიის თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნის ის ფაქტებიც, რომლებსაც წინასაარჩევნო პერიოდში რადიო „ჰერეთთან“ დაკავშირებით ჰქონდა ადგილი.¹⁰⁰

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად არჩევნები შეფასდა როგორც კონკურენტული, საარჩევნო კამპანიას თან ახლდა მთელი რიგი შემამოფოთებელი გარემოებები, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების უმთავრეს პრინციპებს, მათ შორის ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პუნქტს, რომლის თანახმად, **„არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში, ყოველგვარი ადმინისტრაციული ღონისძიების, ძალადობისა და დაშინების გარეშე უნდა ჩატარდეს.“**

საარჩევნო პროცესის მონაწილენი, მათ შორის საარჩევნო სუბიექტები, დამკვირვებელი ორგანიზაციები და ამომრჩევლები მიუთითებდნენ წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

⁹⁹ *ibid.*

¹⁰⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შესაბამისი ფაქტების გამოძიების მოთხოვნით. იხ. თავი „გამოხატვის თავისუფლება“, დანართი – „ჰერეთის საქმე“.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გაიგივება. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დაისვა როგორც საერთაშორისო,¹⁰¹ ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიებისა და ორგანიზაციების ანგარიშებში.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ზღვარის მოშლა არ შეესაბამება ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს და ხელს უწყობს არათანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას.¹⁰²

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 76 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისათვის იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.“

საბიუჯეტო წლის დასრულებამდე ორი თვით ადრე, პრეზიდენტის ინიციატივით ხელისუფლებამ წამოიწყო არაერთი სოციალური პროექტი, რომლის განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის სოციალური დახმარების განწევა ყოველთვის დროულია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ინიცირებულ გადაწყვეტილებათა ნაწილს რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლება შეუძლებლად მიიჩნევდა, მაგალითად: ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, პედაგოგებისთვის, პენსიონერებისთვის შეღავათების გაზრდის საკითხი, საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი სარგებლობის საკითხი და ა.შ.

2007 წლის 1 დეკემბრიდან მინიმალური პენსიების რაოდენობა 38 ლარიდან 55 ლარამდე გაიზარდა. ასევე, 1 დეკემბრიდან 1600 ლარამდე გაიზარდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების ხელფასი, ხოლო წევრ-კორესპოდენტების ხელფასი 1000 ლარი გახდა. დღეისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 65 აკადემიკოსი და 64 წევრ-კორესპოდენტი, მათთვის მომატებული ხელფასების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს წლიურად დასჭირდება დაახლოებით 2,2 მლნ. ლარი, მაშინ, როდესაც 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში მეცნიერებათა აკადემიისთვის მხოლოდ 1 300 000 ლარი იყო გათვალისწინებული. უფრო მეტიც, ყველა წამოწყებული სოციალური პროგრამის ფინანსური ხარჯები არათუ 2007 წლის, არამედ 2008 წლის ბიუჯეტის პროექტშიც არ ყოფილა გათვალისწინებული. ჩნდება ეჭვი, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები წინასაარჩევნო კამპანიის კომპონენტია და არა ხელისუფლების თანმიმდევრული და გრძელვადიანი სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამედიცინო და კომუნალური გადასახედების „ვაუჩერებში აშკარად არის ნათქვამი, რომ იგი პრეზიდენტის სუბსიდიია. ჯანდაცვის ვაუჩერებზე, ისევე როგორც დროებითი დასაქმების პროგრამის ფურცლებზე, გამოსახულია ციფრი „5“, ნომერი, რომლითაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში 2004 წლიდან მონაწილეობს. ხანდახან ვაუჩერების დამრიგებლები ადრესატებს ეკითხებოდნენ, მხარს ხომ არ დაუჭერდნენ ბატონ სააკაშვილს და მათ მხარდაჭერის დასადასტურებლად დოკუმენტზე ხელის მოწერას სთხოვდნენ. ზოგჯერ ვაუჩერები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისებიდანაც რიგდებოდა.“¹⁰³ სახალხო დამცველის აპარატშიც

¹⁰¹ STATEMENT OF THE NDI ELECTION OBSERVER DELEGATION TO GEORGIA'S 2008 PRESIDENTIAL ELECTION Tbilisi, January 7, 2008, გვ.3.; საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 21 იანვარი 2008, საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვება (5 იანვარი, 2008), ანგარიში, მომხსენებელი – მათიას იორში.

¹⁰² საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ.

¹⁰³ *ibid.*



არაერთი მსგავსი ინფორმაცია შემოვიდა. უფრო მეტიც, შემოსული ინფორმაციით, ვაუჩერების და-რიგებაში ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც კი იყო ჩართული. წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გაიგივების ხელშემწყობი სხვა არაერთი ფაქტი შეიძლება დასახელდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც ახალქალაქში ახალი ნავთობსადენისა და თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის განათების სისტემის ოფიციალურ გახსნაში პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობის ფორმაც.¹⁰⁴

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლში არის მითითებული, რომ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ „სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი ასრულებენ თანამდებობრივ და სამსახურებრივ მოვალეობებს“. 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა არაერთი ფაქტი, როდესაც საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო აგიტაციაში.¹⁰⁵ აღნიშნული ფაქტები გასაჩივრებულ იქნა, თუმცა საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას ცესკო-სა და სასამართლოების მიერ შეიმჩნეოდა კანონის გონივრული ინტერპრეტაციის ფარგლების გაცდენის მცდელობა მმართველი პარტიისა და თანამდებობის პირების სასარგებლოდ.¹⁰⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში, წინასაარჩევნო პერიოდის საარჩევნო დაგეგმვის შესახებ თავში მითითებულია, რომ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას ცესკო-მ ვერ შეძლო დაეცვა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და საერთაშორისო სტანდარტები. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ „იყო შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებები საჩივრებთან დაკავშირებით მიიღებოდა ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად და არა კომისიის, როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ“.¹⁰⁷

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ამ სფეროში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს განიცდის, აღნიშნული საკითხების გაანალიზება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან ერთობლიობაში და ადმინისტრაციული რესურსების (ადამიანური თუ ფინანსური) ნებისმიერი ფორმით გამოყენება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც იწვევს სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურებისა და საქმიანობას შორის ზღვარის მოშლას, აუცილებლად უნდა იქნას აღმოფხვრილი.

ამომრჩევლის დაშინება და „მოსყიდვა“. საარჩევნო კამპანიის დროს არაერთხელ მოხდა დაშინებისა და ზეწოლის ფაქტებზე აპელირება. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის თანახმად, „იყო ბევრი დადასტურებული ზეწოლის ფაქტი პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ოპოზიციის მხარდამჭერებზე, რათა მათ შეეწყვიტათ კამპანიის წარმოება. იყო დაჭერიტა და სამსახურიდან გათავისუფლებით დაშინება, შენობების მესაკუთრეებზე ზეწოლის ფაქტები, რათა მათ არ მიექირავებინათ ფართი ოპოზიციისთვის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. განკერძოებული ძალადობის შემთხვევები ოპოზიციური

¹⁰⁴ *ibid.*

¹⁰⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლემბისციტის სადამკვირვებლო მისია, მონიტორინგის ანგარიში, 17 იანვარი 2008. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიშები.

¹⁰⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 21 იანვარი 2008, საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვება (5 იანვარი, 2008), ანგარიში, მომხსენებელი – მათიას იორში, § 29.

¹⁰⁷ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. საქართველო, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი.

აქტივისტების წინააღმდეგ, გატაცების ჩათვლით გაცხადდა და დადასტურდა.¹⁰⁸ მსგავსი ინფორმაციები შემოვიდა სახალხო დამცველის აპარატშიც.

ადგილი ჰქონდა ზენოლას ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებზეც, ძირითადად რეგიონებში.

წინასაარჩევნო პერიოდში როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე დაფიქსირდა ამომრჩევლებისათვის მატერიალური ფასეულობების გადაცემისა და დაპირების შემთხვევები, რაც კატეგორიულად იკრძალება საარჩევნო კოდექსის 73 მუხლით.¹⁰⁹

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს **საარჩევნო კამპანიის ფონდის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები**. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლი განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიის ფონდის განკარგვის წესს. 48-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 8 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყაროს მითითებით. აუდიტორული შემომნმების ჩატარების უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას).“ იმავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, „ინფორმაცია საარჩევნო შემომნრულებების შესახებ არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში არსებული ფულადი სახსრების ოდენობის, წყაროსა და ჩარიცხვის თარიღის შესახებ მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, აგრეთვე უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება შესაბამის ვებ-გვერდზე.“

იმისათვის, რომ საზოგადოებამ მიიღოს საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული სრულყოფილი და დროული ინფორმაცია, საარჩევნო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების ოდენობისა და წყაროების, არამედ ასევე კამპანიისათვის განეული ხარჯების სახეებისა და მათი ოდენობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. გარდა ამისა, კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ხოლო პრაქტიკაში უზრუნველყოფილი აღნიშნული ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში, როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდგომ.¹¹⁰

კენჭისყრის პროცესი

2008 წლის 5 იანვარს არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა და უფლებამოსილმა ამომრჩევლებმა მეტწილად შეძლეს საკუთარი ნების გამოხატვა.

რაც შეეხება თავად კენჭისყრის პროცესს, საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის დამახასიათებელი იყო არაორგანიზებულიობა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მხრიდან სათანადო ცოდნის ნაკლებობა და მთელი რიგი ტექნიკური პრობლემები. გარდა ამისა, იმავდროულად დაფიქსირდა კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დარღვევები, კერძოდ:

¹⁰⁸ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ.
¹⁰⁹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლებისციტის სადამკვირვებლო მისია, მონიტორინგის ანგარიში, 17 იანვარი 2008.
¹¹⁰ Joint Opinion of the Election Code of Georgia by the Venice Commission and the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Adopted by the Council for Democratic Elections at its 19th meeting (Venice, 16 December 2006) and the Venice Commission at its 69th plenary session (Venice, 15-16 December 2006), §106.



- უზნების გარკვეული რაოდენობა გაიხსნა დაგვიანებით;
- საუბნო საარჩევნო კომისიათა ნაწილში წილისყრით არ მომხდარა კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილება;
- უბანთა გარკვეულ რაოდენობაში საარჩევნო ყუთებში არ მოთავსდა საკონტროლო ფურცლები;
- კენჭისყრის შენობაში დაფიქსირდა არაუფლებამოსილი პირების, ასევე საარჩევნო სუბიექტების კანონით დაშვებულ რაოდენობაზე მეტი წარმომადგენლის ყოფნა;
- გამოიკვეთა უბნები, სადაც სათანადო წესით არ იყო დალუქული საარჩევნო ყუთები;
- დაფიქსირდა მრავალჯერადი ხმის მიცემის შემთხვევები და ამომრჩეველთა სიაში იდენტური ხელმოწერების არსებობა;
- გარკვეულ უბნებში ადგილი ჰქონდა ბიულეტენების ჩაყრას;
- გამოიკვეთა უბნები, სადაც კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა და სისტემატურად ირღვეოდა ხმის მიცემის ფარულობა;
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, იმ უბანთა 11 პროცენტზე, სადაც ვიდეოკამერები იქნა დამონტაჟებული, მათი მდებარეობა იმგვარი იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა ხმის მიცემის ფარულობას.
- უბანთა გარკვეულ რაოდენობაზე შეიქმნა დამატებით სიებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც გამოიხატებოდა დამატებით სიების საფუძველზე იმ პირთა მიერ ხმის მიცემაში, რომლებიც მოცემული უბნის ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე არ იყვნენ რეგისტრირებულნი. იყო შემთხვევები, როდესაც კომისიის წევრები არ იტოვებდნენ დამატებით სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა პირადობის მოწმობის ასლებს, ასევე არ სთხოვდნენ მათ შესაბამისი განცხადების დაწერას;
- იყო უბნები, სადაც ხმის მიცემა ხდებოდა დაბადების მოწმობითა და სამხედრო ბილეთით;
- ყველაზე მნიშვნელოვანი და შემაფოთებელი აღმოჩნდა მარკირებასთან დაკავშირებული დარღვევები. კერძოდ, შემოფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დამატებითი სიების არსებობის პირობებში, საარჩევნო უბნების გარკვეულ ნაწილზე საერთოდ არ ხორციელდებოდა ამომრჩეველთა მარკირების შემოწმება. იყო შემთხვევები, როდესაც არ გამოიყენებოდა მარკირების სითხე, ან უკვე მარკირებულ ამომრჩევლებს ეძლეოდათ ხმის მიცემის საშუალება. გარდა ამისა, მარკირების აპარატსა და სითხესთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები ზრდიდა მრავალჯერადი ხმის მიცემისაგან დამცავი მექანიზმის არასრულყოფილი გამოყენების შემთხვევებს.

უნდა აღნიშნოს, რომ კენჭისყრის პროცედურა განსაკუთრებით კრიტიკულად იყო შეფასებული ზოგიერთ რეგიონში. **„კენჭისყრის პროცედურამ მიიღო შეფასება „ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში – 24 პროცენტი, ქვემო ქართლში – 10 პროცენტი და კახეთში – 9 პროცენტი“.**¹¹¹

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა მიერ იქნა აღმოჩენილი ცესკო-ს მიერ დამზადებული სტიკერები ტექსტით: „სად იქნები 5 იანვარს?“, ტექსტის შუაში ფიქსირდებოდა წითელ წრეში ჩასმული „5“, რაც ვიზუალურად მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ციფრთან ასოცირდება.¹¹²

საყურადღებოა, რომ პრობლემები დაფიქსირდა კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონაცემებით, 2152 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან ხმა მისცა მხოლოდ 7%-მა, რადგან პირადობის დამადასტურებელი საბუთები თან მხოლოდ ამ 7%-ს ჰქონდა. დანარჩენმა 93%-მა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო.¹¹³

¹¹¹ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო - რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ.

¹¹² *ibid.*

¹¹³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის მონიტორინგი.

სმეხის დათვლა და შედეგების შეჯამება

გარდა იმისა, რომ ხმების დათვლა ნელა და არაორგანიზებულად მიმდინარეობდა, სადამკვირვებლო მისიათა უმრავლესობის მიერ აღნიშნული პროცედურის კანონთან შესაბამისობა მეტწილად უარყოფითად იქნა შეფასებული.

„არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 180 საუბნო საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლის პროცესსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთა შედგენას დააკვირდა. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვების შედეგად, 23 პროცენტი შეფასდა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი.“¹¹⁴ ცხადია, რომ ესეც საგანგაშოდ მაღალი პროცენტია.

გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის მნიშვნელოვანი დარღვევებიც:

- იყო შემთხვევები, როდესაც მთვლელები არ შერჩეულან წილისყრით;
- ხმების დათვლისას არ იყო დაცული კანონით დადგენილი პროცედურები;
- ბიულეტენების ნამდვილობის დადგენა არათანმიმდევრულად და კანონთან შეუსაბამოდ ხორციელდებოდა;
- ხმების დათვლაში მონაწილეობას იღებდნენ არაუფლებამოსილი პირები;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებისას ხშირად ხდებოდა კანონით განსაზღვრული წესების იგნორირება;
- ბევრ ოქმს აკლდა როგორც კანონით დადგენილი აუცილებელი ინფორმაცია, ასევე კომისიის წევრთა სათანადო ხელმოწერები და ბეჭდები;
- ოქმების გამოფენა არ ხდებოდა საჯაროდ;
- ოქმების დიდ რაოდენობაში დაფიქსირდა სერიოზული უზუსტობები, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არ შეესაბამებოდა ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების ჯამს;
- დაფიქსირდა ოქმებში მონაცემების შეცვლისა და გადასწორების ფაქტები, უფრო მეტიც, „იყო შემთხვევები, როდესაც შემაჯამებელ ოქმზე წინასწარ ხდებოდა ხელმოწერა და მონაცემები კალმისტრის ნაცვლად ფანქრით ივსებოდა.“¹¹⁵

სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა შედეგების შეჯამებისას საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე, კერძოდ:

- ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც მისიისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებული ოქმები განსხვავდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებული ოქმებისგან. ამ უკანასკნელებში მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ მიცემულ ხმათა საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა;¹¹⁶
- იყო შემთხვევები, როდესაც ერთი საარჩევნო ოლქის ფარგლებში ეუთო-ს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ შემოწმებული ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები ერთი და იმავე პირის მიერ იყო შედგენილი;¹¹⁷
- კანონმდებლობით საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება გარკვეულწილად შემცირდა და მათ კანონით ცალსახად აღარ ენიჭებოდა უფლება, შეცვალონ ქვემდგომი კომისიების გადანყვებილები და დოკუმენტაცია (საარჩევნო კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით, შემოწმოს კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების მოქმე-

¹¹⁴ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

¹¹⁵ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო - რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი, მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ.

¹¹⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

¹¹⁷ *ibid.*



დებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერება (მათ შორის, არჩევნებში მონაწილეთა აღრიცხვის, საარჩევნო ბიულეტენების დათვლის სიზუსტე და სხვ.), ხოლო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში **მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რომელსაც დაუყოვნებლივ უგზავნის ცესკოს დასამტკიცებლად ან ცესკოში აყენებს უზნის შედეგების გაუქმების საკითხს).**¹¹⁸ მიუხედავად ამისა, მაინც დაფიქსირდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში შესწორების შეტანის ფაქტები;¹¹⁹

■ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის თანახმად, 23 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა 100 პროცენტის აქტივობა დაფიქსირდა, ხოლო სხვა 205 უბანზე აქტივობა 90 და 100 პროცენტს შორის აჩვენა. საუბნო საარჩევნო კომისიათა დიდმა ნაწილმა უჩვეულოდ დიდი აქტივობა დააფიქსირა კენჭისყრის ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში. ცესკოს მიერ მონოდეტული ინფორმაციისა და არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მონაცემების მიხედვით, „79 საარჩევნო უბანზე 500-ზე მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა ბოლო სამი საათის განმავლობაში. მაგალითად, მარნეულში, №50 საარჩევნო უბანში – 866 ადამიანი, №1 საარჩევნო უბანში კი – 657 ამომრჩეველმა. საგარეჯოში, №36 საარჩევნო უბანში 822 ამომრჩეველმა მისცა ხმა კენჭისყრის ბოლო სამი საათის განმავლობაში, ხოლო ახალქალაქში, №24 საარჩევნო უბანში – 879 ადამიანი. ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებული ოქმების მიხედვით, 17 იანვრისთვის ასეთი უბნების რაოდენობამ 45 შეადგინა“.¹²⁰ ამომრჩეველთა აქტივობის აღნიშნული მონაცემების ნამდვილობასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაჩნდეს ეჭვები, რადგანაც წარმოდგენილია ერთმა ამომრჩეველმა ასეთი ხანმოკლე დროის განმავლობაში გაიაროს შესაბამისი პროცედურა. აუცილებელია, აღნიშნული ფაქტები შესწავლილ იქნას პროკურატურის მიერ.

საკითხისადმი ფორმალური მიდგომა, რომ გარკვეულ უბნებზე მართლაც იყო ასეთი მაღალი აქტივობა, მხოლოდ აღრმავებს ეჭვებს. ცხადია, რომ სრულიად არააღმარებელია ამომრჩეველთა 90-პროცენტის გამოცხადება, რომ არაფერი ვთქვათ 100 პროცენტზე. ამ პროცენტებს თუ გავიზარებთ ზემოთჩამოთვლილი დარღვევების კონტექსტში, სრულიად ნათელია, რომ ამ უბნებზე ადგილი ჰქონდა ტოტალურ გაყალბებას.

2008 წლის 23 იანვარს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა ცესკო-ს თავმჯდომარეს, ბატონ ლევან თარხნიშვილს, წარუდგინა საარჩევნო უბნების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი და სთხოვა მოეწოდებინა ის ვიდეორჩანაწერები, რომლებიც გადაღებულ იქნა საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული სპეციალური კამერების მეშვეობით, რომელთა დანიშნულებასაც სწორედ კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. პასუხად, ცესკო-ს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წერილში მითითებულ არცერთ საარჩევნო უბანზე, გარდა N40 ახალქალაქის საარჩევნო ოლქის N4 საარჩევნო უბნისა (რომლის შედეგებიც ბათილად იქნა ცნობილი) ვიდეოთვალი დამონტაჟებული არ ყოფილა. ხოლო, ახალქალაქის აღნიშნული უბნის ჩანაწერები ცესკო-ს საოლქო საარჩევნო კომისიიდან არ გამოუთხოვია და ეს პროცედურა, მათი განმარტებით, უმოკლეს ვადაში განხორციელდებოდა. იმავდროულად, საყურადღებოა, რომ ცესკო-ს 2007 წლის 29 ნოემბრის N25 დადგენილების თანახმად (საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე) კენჭისყრის შენობაში, სადაც განთავსებული იქნება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ, ამ სისტემის მიერ გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მასალას გადასცემს ცესკოს საარჩევნო ოლქში

¹¹⁸ მიუხედავად აღნიშნული ცვლილებისა, საარჩევნო კოდექსის 63 მუხლში, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამებას ეხება, კვლავ შემორჩენილია პუნქტები, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა და საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილების შეტანა კვლავაც მოიხსენიება. აუცილებელია, აღნიშნული შეუსაბამო ადმოფხვრილ იქნას. გარდა ამისა, 77 მუხლის 28 პუნქტით გათვალისწინებულია საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

¹¹⁹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

¹²⁰ *ibid.*

კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე. უნდა აღინიშნოს, რომ ცესკო-ს N25 დადგენილებაში არ არის მითითებული იმ უბანთა ჩამონათვალი, სადაც ვიდეოკამერების დამონტაჟება უნდა განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ცესკო-ს სხდომის ოქმებში, ეს ინფორმაცია არ ასახულა ცესკო-ს არცერთ სამართლებრივ აქტში, რითაც მიზანშეწონილი იქნებოდა დარეგულირებულყო აღნიშნული საკითხი. სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილ იქნა ყველა იმ უბნის ვიდეოჩანანერი, სადაც, ცესკო-ს ინფორმაციით, გადაღება განხორციელდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ტექნიკურად აღნიშნული ჩანანერების ასლების გაკეთება არ ხერხდება და მათი ნახვა მხოლოდ ცესკო-ს შენობაში შეიძლება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ცესკო-ს მიერ გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ინიცირებული ღონისძიება თავად მოკლებულია გამჭვირვალობას, რადგან მისი შედეგები ფაქტობრივად მიუწვდომელია საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცესკო-მ უარი განაცხადა, სახალხო დამცველისათვის მიენოდებინა მის მიერ მოთხოვნილი უბნების ხელმოწერილი ამომრჩეველთა სიების ასლები იმ მიზეზით, რომ დოკუმენტაცია დალუქულია და მათი გახსნის შესახებ ცესკო-ს სათანადო განკარგულება არ მიუღია. აღნიშნული ეწინააღმდეგება „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლს, რომლის თანახმადაც სახალხო დამცველისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია. იმავე კანონის 23-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს, თანამდებობის თუ იურიდიულ პირს, ყოველმხრივ დაეხმაროს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც მას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად ესაჭიროება. ხოლო 25-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით და აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება.

გამოთხოვილი მასალის მოუწოდებლობა წარმოადგენს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა ცესკო-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეუდგინა. 2008 წლის 29 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაჯარიმების შესახებ საქმის წარმოება შეწყვიტა, თუმცა არ მიუთითებია, რა საფუძვლით.

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა არაერთი კონკრეტული ინფორმაცია არჩევნების დღეს ჩადენილ მთელ რიგ დარღვევებთან, მათ შორის სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

შემოსული ინფორმაციის გადამოწმებისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მიღების შედეგად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა ცესკო-ს, განეხილა იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც N12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის N33 კარდენახის საარჩევნო უბანზე ხელი შეუშალა საარჩევნო სუბიექტების კანონიერ წარმომადგენელსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელს, დაკვირვებოდნენ არჩევნების დღეს კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესსა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებას, დაეფიქსირებინათ დარღვევები და საჩივრით მიემართათ კომისიებისათვის. თუმცა, აღნიშნული წინადადება არ იქნა გათვალისწინებული.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული ინფორმაციისა და აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, შესაბამისი მასალები გაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, N12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში, N59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის N111 საარჩევნო უბანზე, N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის N15 უბანზე, N16 ყვარლის საარჩევნო ოლქის N15 საარჩევნო უბანზე, N17 თელავის საარჩევნო ოლქის N16 საარჩევნო უბანზე, ლაგოდეხის N15 საარჩევნო ოლქის N19



საარჩევნო უბნაზე ჩადენილი ქმედებების გამოძიების მიზნით, რომლებიც, სახალხო დამცველის აზრით, შესაძლოა შეიცავდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა), 163-ე (საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა), 164-ე (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება), 1642-ე (ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება), 151-ე (მუქარა) და 154-ე (ყურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო N12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში, N59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის N111 საარჩევნო უბანზე, N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის N15 უბანზე, N17 თელავის საარჩევნო ოლქის N16 საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით.

დამატებითი სივარის საფუძველზე მიცემული ხმების დათვლა

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცესკო-ში დამატებითი სივარის საფუძველზე მიცემული ხმების დათვლის პროცესი. როგორც უკვე აღინიშნა, საარჩევნო კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა ამ კუთხით. როგორც ერთს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშშია აღნიშნული, დაახლოებით 85 000-მდე ამომრჩეველი დარეგისტრირდა დამატებით სიაში კენჭისყრის დღეს და მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. აქედან 35 772 ამომრჩევლის ხმების დათვლა ცესკო-ს მიერ განხორციელდა. ხმების დათვლის ამ პროცედურას მნიშვნელოვანი პრობლემები ახლდა თან. კერძოდ, როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშშია მითითებული, „მართალია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს უშუალოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხმის დათვლის წესს, თუმცა, სპეციალური დებულების არარსებობა არ ათავისუფლებს ცესკოს (რომელიც ფაქტობრივად ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციას) იხელმძღვანელოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლით, რომელიც დანვრილებით განსაზღვრავს ხმის დათვლის პროცედურას საუბნო საარჩევნო კომისიისთვის. 59-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით, განსხვავებული ზომისა და შეფერილობის კონვერტების გახსნა ერთდროულად ხდებოდა რამდენიმე პირის მიერ, რაც შეუძლებელს ხდიდა იმის გარკვევას, თუ რამდენი ბიულეტენი იყო მოთავსებული ერთ კონვერტში. მთვლელები დამკვირვებელთა თხოვნის მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში არ ამოწმებდნენ საარჩევნო ბიულეტენებზე რეგისტრატორის ხელმოწერისა და ბეჭდის არსებობას, რასაც საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბიულეტენების ნამდვილობა/ბათილობის დასადგენად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. საარჩევნო კოდექსი იმპერატიულად მოითხოვს დამატებითი სივარით მიცემული შედეგების შეჯამებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიულეტენებს თან ახლავს დამატებითი სია და პირადობის დოკუმენტების ასლები; ამასთან ერთად, კოდექსის მიხედვით თუ ხელმოწერების რაოდენობა არის უფრო ნაკლები, ვიდრე უბნიდან მიღებული კონვერტები, მოცემული უბნიდან მიღებული კონვერტები უნდა ჩაითვალოს ბათილად და არ იქნება გათვალისწინებული საერთო შემაჯამებელ დოკუმენტში. მოცემული დარღვევების დაფიქსირების გამო, საიას დამკვირვებლებმა 10 იანვარს 16:50 საათზე ოფიციალურად მიმართეს ცესკოს საჩივრით და მოითხოვეს 123 კონკრეტული უბნიდან კანონის დარღვევით მიღებული ბიულეტენების ჩაუთვლელად შეეჯამებინა დამატებითი სივარით მიღებული ხმები.“¹²¹

თუმცა, საია-ს საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული. საარჩევნო დოკუმენტაციის არასრულყოფილებაზე ყურადღება გამახვილდა ასევე ერთ-ს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ. მისიის ანგარიშში მითითებულია, „რომ ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული ბიულეტენების დიდი რაოდენობა იდენტურად იყო შევსებული,

¹²¹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლებისციტის სადამკვირვებლო მისია, მონიტორინგის ანგარიში, 17 იანვარი 2008.

რაც უკანონო ქმედების ჩადენის ეჭვს აღძრავდა. ასეთ შემთხვევებში, ერთის გარდა ყველა კანდიდატის ნომერი იყო შემოხაზული, ან კიდევ, იდენტიურად, ერთის გარდა ყველა სახელი იყო გადახაზული.¹²² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ აღნიშნული ფორმით შევსებული ზოგიერთი ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარი ბიულეტენები ნამდვილად ჩაითვალა ცესკო-ს მიერ 10 იანვარს „დამატებითი სიების მიხედვით მიცემული ხმების ცესკოში დათვლილი ბიულეტენების ბათილად ჩათვლის შესახებ“ მიღებული განკარგულების საფუძველზე, რომელიც ბიულეტენთა ნამდვილობის უფრო ლიბერალურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ვიდრე საარჩევნო კოდექსი.¹²³

კომისიამ მის მიერ დათვლილი დამატებითი სიების საფუძველზე მიცემული ხმების შეჯამება მოახდინა დამატებითი სიებით ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი სპეციალური ოქმით. ოქმში მონაცემები არ არის საარჩევნო უბნების მიხედვით დაყოფილი, რაც არ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას საარჩევნო უბნებში ხმების გადანაწილების შესახებ.

და ბოლოს, 2007 წლის ნოემბერში საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ცესკო ვალდებულია რვა დღის ვადაში შეაჯამოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები (ნაცვლად ძველ რედაქციაში დადგენილი 16 დღიანი ვადისა). თუ იმავე კოდექსით დადგენილ გასაჩივრების ვადებს გავითვალისწინებთ, რვა დღიანი ვადა ვერ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ცესკო-მ ისე შეაჯამოს შედეგები, რომ ამ ვადაში დასრულდეს შესაბამის სასამართლო ინსტანციებში დავების განხილვა, რაც, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე პრაქტიკაშიც დადასტურდა. ცესკო-ს მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება განხორციელდა ისე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში არ იყო დასრულებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა საჩივრის განხილვა.¹²⁴ გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსი ადგენს, რომ საარჩევნო სუბიექტი, რომელიც წინასწარი მონაცემებით მიიღებს კანონით დადგენილ ხმათა რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 8 დღისა ვალდებულია, საარჩევნო ფონდის სრული ანგარიში აუდიტორის დასკვნასთან ერთად წარუდგინოს კომისიას. თუ დადასტურდება დარღვევა, შესაბამისი კომისია აფრთხილებს სუბიექტს წერილობით და სთხოვს მას გამოასწოროს ხარვეზი. „თუ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკო მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითი ხასიათისაა და შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს არჩევნების შედეგების შეჯამება ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად“. შესაბამისად, სახეზეა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც 8 დღიან ვადას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი 8 დღიან ვადას სრულად გამოიყენებს, ცესკო-მ ისე უნდა შეაჯამოს შედეგები, რომ მას ვერ ექნება გათვალისწინებული წარმოდგენილი ინფორმაცია საარჩევნო ფონდების შესახებ.

საარჩევნო ღვაწი

არჩევნების დღის შემდგომ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობამ, ისე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და ზოგადად ქართულმა საზოგადოებამ არაერთხელ გაუსვა ხაზი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების შედეგების შეჯამების, ასევე საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად განხორციელების აუცილებლობას, რაც 2008 წლის 5 იანვარს ქართველი ელექტორატის მიერ გამოვლენილი ნების საბოლოო შედეგში სამართლიანი და თავისუფალი გარდაქმნის წინაპირობა უნდა გამხდარიყო.

¹²² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

¹²³ *ibid*

¹²⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლესისციტის სადამკვირვებლო მისია, მონიტორინგის ანგარიში, 17 იანვარი 2008.



თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციამ, ისევე როგორც საერთო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს საზოგადოების მოთხოვნა. მოხდა საჩივრებისა და სარჩელების თითქმის სრული უგულვებელყოფა, რაც ხშირად კანონმდებლობის ინტერპრეტაციის უფლების ბოროტად გამოყენებას ეფუძნებოდა. უმრავლეს შემთხვევაში არ ხდებოდა მტკიცებულებათა და საქმის გარემოებების სათანადო შესწავლა, ხოლო გადაწყვეტილებები მოკლებული იყო სათანადო სამართლებრივ საფუძველსა და დასაბუთებას.

კენჭისყრის, ხმების დათვლასა და შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული ნორმების უმნიშვნელოვანესი დარღვევების შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციაში შეტანილი უამრავი საჩივრის მიუხედავად, აღნიშნული დარღვევების გამოკვლევა და საჩივრების სათანადო განხილვა არ განხორციელდა როგორც საოლქო საარჩევნო, ისე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე. უფრო მეტიც, საჩივართა დიდი ნაწილი, რომლებშიც სერიოზული დარღვევების გამო კონკრეტული საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების გაუქმება/შედეგების ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არსებითადაც კი არ იქნა განხილული კანონით დადგენილი რეკვიზიტების არასრულყოფილების მიზეზით. ეუთოს დამკვირვებელთა მისიის მონაცემებით, „საუბნო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით ათასი საჩივარი შევიდა, იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები რეგისტრაციაში არ გაატარეს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს ასობით საჩივარი (მათაც უარი განაცხადეს რამდენიმე მათგანის რეგისტრაციაში გატარებაზე)“.¹²⁵ მაგალითად, მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილ იქნა 230-მდე საჩივარი, აქედან 35-მდე უბნის შედეგების გაუქმების მოთხოვნით. ყველაზე მნიშვნელოვანი საჩივრებიდან, რომლებიც კონკრეტული უბნების შედეგებს ეხებოდა, მხოლოდ ერთი იქნა სრულყოფილად განხილული და დაკმაყოფილებული.¹²⁶

განსაკუთრებით შემამფოთებელია ის ფაქტი, რომ ცესკო-მ საარჩევნო კანონმდებლობის არასრულყოფილებით ისარგებლა და საჩივრების დიდი ნაწილი განსახილველადაც კი არ მიიღო კანონით დადგენილ პროცედურულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო და იმავდროულად არც ერთხელ არ გამოიყენა საარჩევნო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით შეისწავლოს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით გააუქმოს ან შეცვალოს ისინი, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/სპეციალური კონვერტების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ. უფრო მეტიც, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ცესკომ არასწორად თქვა უარი ზოგიერთი საჩივრის განხილვაზე, რომლებშიც მოითხოვდნენ ოქმების ბათილად გამოცხადებას, იმ საფუძველით, რომ მხოლოდ სასამართლოებს ჰქონდათ ამის უფლება. ცესკოს თავმჯდომარემ არასწორად განაცხადა, რომ ცესკოს არ ჰქონდა გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. ცესკომ ერთხელ უარიც კი განაცხადა ოფიციალური ვიდეოჩანაწერის განხილვაზე, რომელშიც ნაჩვენებია იყო საუბნო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ინციდენტი, განაცხადა რა, რომ ცესკოს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება.“¹²⁷ საერთო ჯამში, ცესკო-ს ინფორმაციით, მის მიერ ბათილად იქნა ცნობილი ხუთი საარჩევნო უბნის შედეგები, ხოლო ექვსი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ იქნა შესწორებები.

რაც შეეხება სასამართლო დავებს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში სადამკვირვებლო მისიის სტატისტიკის თანახმად, საქალაქო სასამართლოებში შევიდა 50-ზე მეტი სარჩელი რომელთა უმეტესობა არ იქნა მიღებული მათში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამო. საქალაქო და რაიონული სასამართლოების 30-

¹²⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

¹²⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლუბისციტის სადამკვირვებლო მისია, მონიტორინგის ანგარიში, 17 იანვარი 2008.

¹²⁷ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნების სადამკვირვებლო მისია, საქართველო – 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში, 6-18 იანვარი, 2008 წელი.

მდე გადაწყვეტილება, რომელთა მიხედვითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების კანჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების გაბათილებაზე, გასაჩივრდა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. ეს სარჩელები ან არ დაკმაყოფილდა, ან მოსარჩელეს უარი ეთქვა განხილვაზე.¹²⁸ ცესკო-ს ინფორმაციით, სასამართლოების მიერ სულ 7 უბნის შედეგები იქნა ბათილად ცნობილი.

2008 წლის 15 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით ოთხი სარჩელი შევიდა. 16 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი სარჩელი მიიღო. სასამართლომ არცერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. 18 იანვარს სამმა კანდიდატმა სარჩელი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება არ შეუცვლია.¹²⁹

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში მითითებულია ასევე, რომ მისია ინფორმირებულია არჩევნების დღეს მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე, რომელთა გამოძიებაც დაწყებულია. თავის მხრივ, სახალხო დამცველის აპარატი თვალყურს მიადევნებს ამ კუთხით განვითარებულ მოვლენებს და საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას აღნიშნული გამოძიებების შედეგების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მისი თავმჯდომარის საქმიანობა იმსახურებს უკიდურესად უარყოფით შეფასებას. მიუხედავად ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ აღნიშნული უამრავი დარღვევისა, კომისიამ არამცთუ რამე იღონა მათ გამოსასწორებლად, პირიქით, თავისი სუბიექტური მიდგომებით და შეგნებული უმოქმედობით ხელი შეუწყო კიდევ ამ დარღვევების „გაკანონიერებას“.

რეკომენდაციები

საარჩევნო პროცესის დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას საქართველოს ამომრჩევლის ურყევი ნება, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებაში თანასწორი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით. იმისათვის, რომ ამომრჩეველმა შეძლოს არა მხოლოდ ნების გამოვლენა დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, არამედ ასევე უზრუნველყოფილ იქნას მის მიერ გამოვლენილი ნების სრულყოფილი ასახვა არჩევნების შედეგებში, აუცილებელია ხელისუფლების მიერ დაუყოვნებლივ იქნას მიღებულ სათანადო ზომები, კერძოდ:

- პირველ რიგში, პროკურატურის მიერ თანმიმდევრულად და კანონის განუხრელი დაცვით იქნას გამოძიებული ყველა ის ფაქტი, რომელიც წინასაარჩევნო, არჩევნების დღის თუ კენჭისყრის შემდგომ პერიოდში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებს უკავშირდება. გამოძიების შედეგების შესაბამისად, კანონის სრული სიმკაცრით იქნას დასჯილი ყველა სამართალდამრღვევი, რათა შეიქმნას სერიოზული პრეცედენტები აღნიშნულ სფეროში არსებული დაუსჯელობის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ინფორმაცია ამ მიმართულებით გატარებული ზომების შესახებ გახდეს მაქსიმალურად საჯარო;
- საარჩევნო კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს; გამოირიცხოს საარჩევნო კოდექსში საერთაშორისო სტანდარტებთან და კონსტიტუციასთან შეუსაბამო, ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების, ხარვეზების არსებობა, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას კოდექსის ნორმების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა;

¹²⁸ იბიდ.
¹²⁹ იბიდ.



- გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები საპარლამენტო არჩევნებისას მოქმედი საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიისა და ეუთოს ერთობლივი დასკვნის მიხედვით, ისეთი საარჩევნო სისტემის გამოყენება, რომლითაც გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი (ე.წ. “winner takes all”) საპარლამენტო არჩევნებისათვის საკმაოდ უჩვეულოა, შესაბამისად, რეკომენდირებულია საქართველოს პარლამენტმა ყურადღებით განიხილოს აღნიშნული სისტემის მიზანშეწონილობა.¹³⁰ აუცილებელია ასევე საარჩევნო ბარიერის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სტანდარტი ამ შემთხვევაში 3-დან 5%-მდე მერყეობს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 1477(2006) რეზოლუციის მეშვეობით პირდაპირ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო ბარიერი 5%-მდე შეამციროს;
- დაიხვეწოს და მკაფიოდ გაიმიჯნოს ყველა ღონის საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილება, განსაკუთრებით მათი კომპეტენცია საჩივრების განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; განისაზღვროს საარჩევნო დარღვევების გასაჩივრების, აღნიშნული საჩივრების განხილვის ზუსტი და სრულყოფილი წესები, რაც გასაჩივრებას არა მხოლოდ ფორმალურ მექანიზმად დატოვებს, არამედ რეალურ ბერკეტად აქცევს;
- მკაფიოდ განისაზღვროს საარჩევნო პროცესის მონაწილეთა დაშინების ან მათზე ნებისმიერი ფორმით ზეწოლის მოხდენის, მათ შორის ამომრჩეველთა „მოსყიდვის“ აკრძალვა და დამრღვევთა მიმართ გატარდეს სათანადო ღონისძიებები;
- იმისათვის, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით სარგებლობდეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელმწიფო ორგანოებისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე, რისთვისაც აუცილებელია დეტალურად განისაზღვროს და გამკაცრდეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება. სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები დეტალურად უნდა მონესრიგდეს კანონმდებლობით, ხოლო შესაბამისი მოთხოვნების დამრღვევთათვის პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები უნდა დადგინდეს;
- სახელმწიფო უწყებებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა აღმოიფხვრას ამომრჩეველთა სიებით დაკავშირებული პრობლემები და უზუსტობები; კენჭისყრამდე საკმაო ხნით ადრე უნდა მოხდეს საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი მონაცემთა ბაზის გადამოწმების სათანადო შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მომავალ არჩევნებში აღარ უნდა იყოს დამატებითი სიებით ხმის მიცემის შესაძლებლობა;
- მიღებულ იქნას ყველა სათანადო ზომა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყველა იმ ინფორმაციის საჯაროობისა და პროცედურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რისი ცოდნაც აუცილებელია ამომრჩევლისათვის თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად. აღნიშნული ზომები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფორმალური, თუნდაც საკანონმდებლო დებულებებით და მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი ქმედითობა. აუცილებელია მაქსიმალური საჯაროობა იქნას უზრუნველყოფილი თავად საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოში როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი ქვემდგომი კომისიებიდან საარჩევნო დოკუმენტაციის შემოსვლის, შედეგების შეჯამებისა და საჩივრების განხილვის დროს;¹³¹
- დაიხვეწოს კამპანიის ფონდების სამართლებრივი რეგულირება, კერძოდ ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ დაფინანსების ოდენობისა და წყაროების, არამედ ხარჯვითი ნაწილის შესახებაც, ამავდროულად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთელი საარჩევნო პროცესის მანძილზე, როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდგომ.

¹³² Joint Opinion of the Election Code of Georgia by the Venice Commission and the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Adopted by the Council for Democratic Elections at its 19th meeting (Venice, 16 December 2006) and the Venice Commission at its 69th plenary session (Venice, 15-16 December 2006), §44,45.

¹³¹ ვენეციის კომისიის მიერ 2002 წლის 5-6 ივლისს მიღებულ „მართებული პრაქტიკის კოდექსში საარჩევნო სფეროში“ მითითებულია, რომ „ნებისმიერი კომპიუტერული ოთახი, სატელეფონო კავშირი, ფაქსები, სკანერები და ა.შ. უნდა იღოს შემოწმებისათვის ღია“.

■ საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს იმ ვადებში, რაც შესაძლებლობას მისცემს საარჩევნო ადმინისტრაციას, შემუშავდეს და განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა წევრის მომზადების სათანადო პროგრამა.

აუცილებელია, სასამართლო ხელისუფლება მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდოს საარჩევნო დავების განხილვის საკითხებს და განუხრელად დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების გატარება და შემდგომში მათი ქმედითობის უზრუნველყოფა აუცილებელია იმისათვის, რომ მოქალაქეთა ნდობა საარჩევნო პროცესისადმი აღდგეს, რადგან არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია, პირველ ყოვლისა, ამომრჩევლის მიერ უნდა მოხდეს და იმ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოში ხელისუფლების წყაროს სწორედ ამავე სახელმწიფოს მოქალაქეები წარმოადგენენ.



ნ

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში - არჩევნებში მონაწილეობის უფლება

ნარსული გამოცდილება

სახალხო დამცველის აპარატმა 2006 წლის 5 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განახორციელა მონიტორინგი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეალიზაციაზე დაკვირვების მიზნით.

მონიტორინგმა გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები. **კერძოდ, ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა არ შეასრულეს მათზე საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება სიის წარდგენის შესახებ, ერთ-ერთმა დაწესებულებამ კი არასრულყოფილი სია წარადგინა, რომელშიც არ იყო მითითებული პაციენტების პირადობის დამადასტურებელი მონომოების მონაცემები. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კომისიის წევრებმა აღნიშნულ დაწესებულებაში მიიტანეს გადასატანი ყუთი და პაციენტებ-**

მა მისცეს ხმა. ამ პროცესში პაციენტებს პირადობის დამადასტურებელი მონომოები არ გააჩნდათ.

2007 წლის 17 აპრილს, სახალხო დამცველის ოფისში, ამ პრობლემებზე გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილულ იქნა ის საკითხები, რომლებიც აბრკოლებს პაციენტთა საარჩევნო უფლების რეალიზებას და დაისახა პრობლემათა მოგვარების გზები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და ფსიქიატრიულ დაწესებულებებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები პირადობის დამადასტურებელ მონომოებთან დაკავშირებული სირთულეების მოსაგვარებლად.

სახალხო დამცველის აპარატი არჩევნების შემდეგაც აკვირდებოდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესს. ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციებმა მართლაც მიიღეს ზომები პაციენტთა პირადობის მონომოების აღდგენის და მათი ქმედუნარობის სტატუსის იდენტიფიკაციის მიზნით.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წლის 5 იანვარს, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან

დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა კვლავ განახორციელა მონიტორინგი პაციენტთა საარჩევნო უფლების რეალიზაციაზე სამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. კერძოდ, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

მონიტორინგისას გამოყენებულ იქნა სტანდარტული კითხვარი (გამოიკითხა ადმინისტრაცია და პერსონალი), რომელიც მოიცავდა შემდეგ შეკითხვებს:

1. რამდენია დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტების საერთო რაოდენობა?
2. რამდენი პაციენტია მათ შორის ქმედუუნაროს სტატუსით?
3. გადაეცა თუ არა პაციენტთა სია კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას? (გაეცანით ასლს)
4. მოთავსებული პაციენტების საერთო რაოდენობიდან რამდენს არ აქვს თან პირადობის მონიშვნა?
5. ჩაუტარდათ თუ არა პაციენტებს წინასწარი გასაუბრება არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით?
6. დაწესებულებაში მოთავსებული პირთა საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის გაგინათ თუ არა ცესკომ რაიმე სახის დახმარება?
7. გაიხსნა თუ არა საარჩევნო უბანი ამ დაწესებულებაში?
8. დაასახელეთ განსაკუთრებული სირთულეები არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით:

მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არჩევნების მომენტისათვის მოთავსებული იყო 220 პაციენტი. ადმინისტრაცია არ ფლობდა ზუსტ მონაცემებს ქმედუუნარო პაციენტთა საერთო რაოდენობის შესახებ. პაციენტთა სია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 6 დღისა გადაეცა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისიისადმი გასაგზავნ სიაში შეყვანილ იქნა ყველა ქმედუუნარიანი პაციენტი, რომელმაც წინასწარ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოხატა – ასეთი იყო სულ 40 პაციენტი. პაციენტებს თან ჰქონდათ პირადობის მონიშვნები. მათ წინასწარ მიენოდათ ინფორმაცია საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი წინასწარ პროგრამების შესახებ, როგორც ტელევიზიით, ასევე პრესით. **ასევე მათი ინფორმირება არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოახდინა პერსონალმა. პაციენტთა არჩევნებში მონაწილეობის მხარდასაჭერად, დაწესებულების ხელმძღვანელმა გამოყო პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ცესკოსთან ურთიერთობა ევალებოდა.** ადმინისტრაციის განცხადებით, არჩევნებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე და წამოჭრილ სირთულეებზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მას არაერთხელ გაუწია კონსულტაცია. დაწესებულებაში შუადღისას მიტანილ იქნა გადასატანი საარჩევნო ყუთი და ბიულეტენები.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არჩევნები ჩატარდა ორგანიზებულად. მხოლოდ 2 ბიულეტენი გაუქმდა, რადგან ერთ შემთხვევაში პაციენტს მხოლოდ პირადობის მონიშვნის ასლი აღმოაჩნდა და მეორე შემთხვევაში კი პაციენტმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. ადმინისტრაცია კარგად იყო მომზადებული არჩევნების ჩასატარებლად.

ქ. თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არჩევნების მომენტისათვის მოთავსებული იყო 100 პაციენტი. ქმედუუნარო პაციენტთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 40-ს; პაციენტთა სია კენჭისყრამდე 3 კვირით ადრე გადაეცა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტში გასაგზავნ სიაში შეყვანილ იქნა 29 ქმედუუნარიანი პაციენტი. 60-დან მხოლოდ 29 ქმედუუნარიან პაციენტს ჰქონდა თან პირადობის მონიშვნა. პაციენტებს წინასწარ არ მიუღიათ ინფორმაცია საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი წინასწარ პროგრამების შესახებ. ადმინისტრაციის განცხადებით, მას არჩევნებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან არავითარი კონსულტაცია არ მიუღია. დაწესებულებაში მიტანილ იქნა გადასატანი საარჩევნო ყუთი და ბიულეტენები.



ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. მომავალში ადმინისტრაციის მხრიდან საჭირო დამატებითი ზომების მიღება პაციენტთა ინფორმირებისთვის საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში არჩევნების მომენტისათვის მოთავსებული იყო 477 პაციენტი, მათ შორის 14 პაციენტი არანებაყოფლობით მკურნალობას იღებდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. 477 პაციენტიდან 26-ს აქვს ქმედუუნაროს სტატუსი. 437 პაციენტის სია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 6 დღისა გადაეცა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ფუნქციონირებდა საარჩევნო უბანი.

საოლქო საარჩევნო კომისიისადმი გაგზავნილ სიაში ვერ მოხვდა 14 პაციენტი, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იღებდა არანებაყოფლობით მკურნალობას და 26 ქმედუუნარო პაციენტი. **ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული 14 პაციენტი (რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იღებდა არანებაყოფლობით მკურნალობას) არ იქნა შეყვანილი საარჩევნო სიაში, რადგან, კანონმდებლობის შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.**

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნას სასამართლოში“. ასევე ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, პაციენტის ქმედუუნაროდ აღიარების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება“. **აქედან გამომდინარე, დაირღვა იმ 14 მოქალაქის უფლება, რომლებიც იმყოფებოდნენ არანებაყოფლობით მკურნალობაზე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან პირი, რომელიც ექვემდებარება არანებაყოფლობით მკურნალობას სისხლის სამართლის საქმეზე, არ შეიძლება, ჩაითვალოს ქმედუუნაროდ.**

დაწესებულებაში მოთავსებულ პაციენტთა დიდ უმრავლესობას თან ჰქონდა პირადობის მონმობა. მათ წინასწარ მიენოდათ ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის, კანდიდატების და მათი წინასაარჩევნო პროგრამების შესახებ ტელევიზიის საშუალებით. პაციენტთა ინფორმირება მოხდა პერსონალის საშუალებითაც. ადმინისტრაცია არჩევნებთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების შესახებ კონსულტაციებს იღებდა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისგან.

ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდა. პაციენტებს ჰქონდათ კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალება. პირადობის მონმობების აღდგენა მოხერხდა თითქმის ყველა იმ პაციენტისთვის, რომელსაც იგი დაკარგული ჰქონდა. იმ პაციენტებთან დაკავშირებით, რომლებიც იმყოფებოდნენ არანებაყოფლობით მკურნალობაზე სისხლის სამართლის საქმეზე და არ მიეცათ კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალება, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს მიეცა სპეციალური რეკომენდაცია.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა გარკვეული სირთულეებიც:

პაციენტებისათვის რთული აღმოჩნდა არჩევნების პროცედურის დაცვა და ბიულეტენებში გარკვევა, რადგან პაციენტის სტატუსით ისინი ამას პირველად აკეთებდნენ და არ ჰქონდათ საჭირო ჩვევები.

სამივე დანესებულებაში პაციენტებს არ აღმოაჩნდათ საჭირო ინფორმაცია პლებისციტის შესახებ. ამის გამო საკითხში დამოუკიდებლად გარკვევა გაუჭირდათ. ისინი კითხვებს სვამდნენ ნატო-ს და სა-პარლამენტო არჩევნების შესახებ. ამის გამო ადმინისტრაციის წარმომადგენელი იძულებული იყო, მოკლე ახსნა-განმარტება მიეწოდებინა თითოეული პაციენტისთვის, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, კურატორს არცერთხელ არ უკარნახია პასუხი. იგი უხსნიდა, თუ რომელ ბიულეტენზე რა ენერა და შემდეგ აძლევდა ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას. **ამ გარემოებამ კომისიის ერთ-ერთ წევრზე დატოვა შთაბეჭდილება, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მონაწილეობა არჩევნებში ფორმალური და არაფრის მომტანია.** გარდა ამისა, თავად კომისიის წევრები თავს არიდებდნენ პაციენტებისათვის ახსნათ პროცედურა და ადმინისტრაციის წარმომადგენელს სთხოვდნენ ამის გაკეთებას იმ მოტივით, რომ „თქვენ უკეთ იცით, როგორ უნდა ესაუბროთ“.

პაციენტები კითხულობდნენ, თუ როგორ უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი არჩევანი (ხელი მოეწერათ, გაეხაზათ თუ სხვა); უნდა ითქვას, რომ ზოგ პაციენტს სათვალის გარეშე კითხვა უჭირდა. რიგ შემთხვევებში, კომისიის წევრთა დამოკიდებულება და გამონათქვამები პაციენტთა მიმართ შეურაცხმყოფელი იყო.

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ბოლო 5 წლის განმავლობაში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ფსიქიატრიულ დანესებულებებში იმყოფებიან, პირველად მიეცათ არჩევნებში კანონის სრული დაცვით მონაწილეობის მიღების და საკუთარი თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით.

ზოგადი შეფასებით, ფსიქიატრიული დანესებულებების ადმინისტრაციები და პერსონალი არჩევნებს მომზადებული შეხვდა, რამაც პაციენტებს გაუადვილა 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა.

მონიტორინგმა წარმოაჩინა დადებითი ტენდენცია - ბევრი პაციენტი ენთუზიაზმით მონაწილეობდა და გულმოდგინედ იცავდა საარჩევნო პროცედურას. ამომრჩეველთა აქტივობამ სამ ფსიქიატრიულ დანესებულებაში მოთავსებულ პაციენტთა შორის დაახლოებით 60% შეადგინა.

რეკომენდაციები

ფსიქიატრიულ დანესებულებებს:

- საჭიროა, გაგრძელდეს პაციენტთა პირადობის მონმობებთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარება, რათა ყველა ქმედუნარიან პაციენტს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.
- წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელია პაციენტთა მეტი ინფორმირება საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.
- საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები სისხლის სამართლის საქმეზე არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღსადგენად.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უკეთ ინფორმირება კენჭისყრის პროცედურის შესახებ, რაც შესაძლოა გაკეთდეს წინასწარ როლური თამაშების ორგანიზებით ან სპეციალური საინფორმაციო კლიპის ჩვენებით.
- აუცილებელია, ცესკომ ჩაატაროს შესაბამისი მუშაობა უნარშეზღუდულ ადამიანთა უფლებების შესახებ, რათა აღმოიფხვრას საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ პაციენტების ღირსების შელახვის ფაქტები.





სამართლიანი სასამართლოს უფლება

თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარი ბევრი სერიოზული პრობლემის სათავე ის არის, რომ ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სასამართლო. სასამართლო ხელისუფლებაში თითქოს წლების განმავლობაში მიმდინარეობს რეფორმა, იცვლება კანონმდებლობა, ხდება სასამართლო შენობების ტექნიკური აღჭურვა თანამედროვე დონეზე, მიმდინარეობს მოსამართლეების მომზადება-გადამზადება, თუმცა, ამ სფეროში ვითარება მაინც არ უმჯობესდება. ბოლო პერიოდის გამოკითხვებით მოსახლეობაში სასამართლოს მიმართ ნდობა 14-15 პროცენტს არ აღემატება.

ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საქართველოში სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და იგი მთლიანად ემორჩილება პროკურატურას და სახელმწიფო ადმინისტრაციას. სასამართლო დარბაზებში ფაქტობრივად ხდება სხვა კაბინეტებში წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებების ნოტარიალური

გაფორმება. გარეგნულად მშვენივრად გარემონტებული და კეთილმოწყობილი სასამართლოს შენობები ვერ ასრულებენ მათ წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანას – გახდნენ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი.

ასეთ ვითარებაში რიგითი მოქალაქე სრულიად დაუცველია და მისი ბედი მთლიანად არის დამოკიდებული ძალაუფლების მქონე მოხელეების სუბიექტურ ნებაზე, რაც, როგორც წესი, სახელმწიფო ინტერესად ცხადდება. დაცული იქნება თუ არა მოქალაქე, მისი უფლებები, მისი საკუთრება, დამოკიდებულია პოლიტიკურ ვითარებაზე და არა სასამართლოზე. 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების შემდეგ, როცა შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ კერძო საკუთრების ნგრევა და განადგურება თურმე ცუდი ყოფილა, მაგრამ სასამართლო არ აღმოჩნდა ის ინსტიტუტი, რომელიც მანამდე წინ აღუდგებოდა ამ სფეროში არსებულ უსამართლობას და განუკითხაობას.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კონცეფცია ძირითადად 4 კომპონენტისგან შედგება:

- ა) **მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საქმიანობისას** გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შიდა და გარეშე ძალების ზემოქმედებისგან დამოუკიდებლობას;
- ბ) **პერსონალური დამოუკიდებლობა** მოსამართლის კარიერის განვითარება (დანაშინის, დანაშაულებისა და

გათავისუფლების პროცედურა) არაა დამოკიდებული ხელისუფლებაზე ისეთი ფორმით, რომელიც იმოქმედებდა მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;

გ) **კოლექტიური დამოუკიდებლობა** გულისხმობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ინსტიტუციურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას;

დ) **შიდა დამოუკიდებლობა** გულისხმობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას მათი ხელმძღვანელებისა და კოლეგებისგან.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ემყარება მისთვის შექმნილ საკანონმდებლო გარანტიებს, თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის სპეციფიკას, უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში გარანტირებულ უსაფრთხოებას, ადეკვატურ ანაზღაურებასა და პრივილეგიებს.

სახალხო დამცველის ანალიზით, ვითარების გაუმჯობესებას აბრკოლებს:

- 1) პოლიტიკური ნების არარსებობა, რაც გამოიხატება პროკურატურის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციის მიზნით სასამართლო სისტემის დამორჩილების მცდელობაში;
- 2) მოსამართლეთა პროფესიული მომზადების დაბალი დონე, რაც მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებას აადვილებს;
- 3) დემოკრატიული კულტურის ნაკლებობა.

თანამედროვე საზოგადოებაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ღირებულება, უნდა აისახოს სახელმწიფო პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპებში. კონსტიტუციური მიზნის მისაღწევად, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მართლმსაჯულების თანაბრად განსახორციელებლად, საჭიროა სამართლებრივი აზროვნების გაფართოება და ყველა იმ თანმდევი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესის გაანალიზება, რომლებიც სასამართლო სისტემის ხელისუფლების სხვა შტოებზე დამოკიდებულებას შეიძლება მოჰყვეს.

სასამართლო, როგორც ხელისუფლების ყველა სხვა შტო, ეკუთვნის ხალხს. მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობა უნდა იყოს ღია და საჯარო. კანონის დაცვა სწორედ სასამართლოში უნდა ხდებოდეს.

ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს მართლმსაჯულების განმახორციელებელი რეალური, ქმედითი სისტემა, რომელიც ინდივიდს მისცემს გარანტიას, რომ განახორციელებს მის სამართლებრივ დაცვას და, საჭიროების შემთხვევაში, პირობას, რომ თავისი დამოუკიდებლობით შექმნის ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გარანტიას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საქმის სრულყოფილ შესწავლას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. სახალხო დამცველმა შეისწავლა ირაკლი ბათიაშვილის საქმე, რომელშიც არაერთი დარღვევა აღმოაჩინა და სადაც აშკარად გამოიკვეთა მოსამართლის ტენდენციურობა (იხ. დანართი № 4: ი.ბათიაშვილის საქმე).

სასამართლოს პროკურატურაზე დამოკიდებულების ნათელი მაგალითია ლ.ჟორჟოლიანის საქმე, რომელშიც სასამართლომ, სათანადო მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. **პროკურატურა საბრალდებო დასკვნაში (338-ე მუხლის ნაწილში, ქრთამის ალება) ემყარებოდა მხოლოდ ერთი მონმის ირიბ ჩვენებას. კერძოდ, მონმის კატეგორიული განცხადებით, ერთ-ერთ ბრალდებულთან (გ.ს.) მობილური ტელეფონით დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოყვანაზე საუბრისას, ბრალდებულ გ.ს.-თან ერთად იმყოფებოდა ლ.ჟორჟოლიანი. მონმეს ესმოდა, რომ ბრალდებულ გ.ს. ამ გეგმის შესახებ ლევან ჟორჟოლიანს ესაუბრებოდა.**



ზემოაღნიშნული მონმის ჩვენება სასამართლომ საკმარისად მიიჩნია და ლ. ჟორჟოლიანს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (იხ. ლ. ჟორჟოლიანის საქმე).

ლ. ჟორჟოლიანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენით სასამართლომ დაარღვია სამართლიანი სასამართლოს უფლება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პიროვნების თავისუფლების უფლება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩადინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით“.

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემაზე მიუთითებს სახალხო დამცველის თანამშრომლის გიორგი გენაძის საქმე. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს ერთადერთ არგუმენტად მოყვანილი აქვს ღრმა შინაგანი რწმენა, რომ გ. გენაძემ ჩადინა დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა. განაჩენში ვკითხულობთ „დანაშაული (საუბარია პროვოკაციაზე) დამთავრებულად ითვლება დაყოლიების მომენტიდან“; „განსასჯელის ქმედება უშუალოდ იქნა მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ამ მსჯელობით მოსამართლე საკუთარ თავთან მოვიდა წინააღმდეგობაში (იხ. დანართი №4: გ. გენაძის საქმე).

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს ევალუბოდა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად გამოეკვლია საქმე. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა შეფასებისას უნდა დაედგინა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის მათი უტყუარობა და საკმარისობა.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „...ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და საჯარო მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში...“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში მუსუკი მოლდავეთის წინააღმდეგ, განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) პირველი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ემყარება მხოლოდ მონმის ჩვენებას, თუ პროკურატურას არ წარმოუდგენია სხვა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ჩადენილია დანაშაული და განსაჯელი მონანილეობადა მის ჩადენაში. სტრასბურგის სასამართლომ იმავე საქმეში განაცხადა, რომ პროკურატურის მიერ სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულება ნათლად უნდა ასახავდეს – გარემოებას, თუ რამ მიიყვანა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელმა ჩადინა მის მიმართ ინკრიმინირებული ქმედება (32 პარაგრაფი).

საქმეში პერნა იტალიის წინააღმდეგ განმცხადებელის მიმართ ბრალდება ეფუძნებოდა ერთი ფარული მონმის (**pentito** – ადამიანი, რომელიც იყო მაფიის ყოფილი წევრი და დათანხმდა გამოძიებასთან თანამშრომლობას) ჩვენებას. აღნიშნულ ჩვენებას იტალიური სასამართლოს მიერ მიენიჭა ზოგადი დამაჯერებლობისა და ნდობის ღირსი მნიშვნელობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა **pentito**-ს ინსტიტუტის მნიშვნელობას იტალიური სამართლის სისტემაში. იმავე დროს მიჩნეულ იქნა, რომ მსგავსი განცხადებების სასამართლოს მიერ გათვალისწინება თავისი ბუნებით წარმოშობს უამრავ პრობლემას. ამგვარი მტკიცებულებების განხილვის დროს სასამართლოს დიდი სიფრთხილე მართებს მის უტყუარობასთან დაკავშირებით. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ცალკეული მონმეთა ჩვენებები არ არის დაკავშირებული მანიპულაციებთან, რაც გულისხმობს ბრალდებულის მიმართ პიროვნულ ანგარიშსწორებასა და ჩვენების მიცემით განსაზღვრული სარგებლის მიღებას (157-ე პარაგრაფი). ზოგჯერ მონმეთა განცხადებების ორაზროვანი ხასიათი და რისკი, რომ ადამიანს შესაძლოა თავისუფლება აღეკვეთოს

დაუდასტურებელი განცხადებების საფუძველზე, სასამართლოს სათანადო შეფასების საგანი უნდა გახდეს (კონტრადო იტალიის წინააღმდეგ 112-ე პარაგრაფი). ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში პერნა იტალიის წინააღმდეგ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამცხადებლის თავისუფლების აღკვეთაზე, რომელიც ეფუძნებოდა მონმის ჩვენებას, მაგრამ არ დასტურდებოდა სხვა ობიექტური მტკიცებულებებით, არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს (პერნა იტალიის წინააღმდეგ 158-ე პარაგრაფი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ცალკეული მონმის ჩვენებას, ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებულ პრინციპებს.

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2007 წლის 19 ივნისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღარ წარმოადგენს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 86¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა რეგულირდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და აღნიშნული ორგანო მიეკუთვნება სასამართლო ხელისუფლებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“.

იუსტიციის საბჭოზე პრეზიდენტის გავლენის შესუსტება დადებითად უნდა შეფასდეს. ცვლილებების შედეგად ასევე დაბალანსდა საბჭოში შემავალ წევრთა რაოდენობა. საბჭო 15 წევრისგან შედგება და ნახევარზე მეტს წარმოადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტს წარმოადგენს მის მიერ შერჩეული პარლამენტის 3 წევრი, ხოლო პრეზიდენტს – მის მიერ დანიშნული 2 წევრი.

საერთო სასამართლოებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეთა კონფერენციის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით არჩეული 8 წევრი, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

დისციპლინური სამართალწარმოება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საერთო სასამართ-



ლოს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა – სახდელი.

ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლში დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ მითითებულია მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა.

ვენეციის კომისიამ 2007 წლის მარტში ერთხელ უკვე გააკრიტიკა ზემოაღნიშნულ საფუძველზე მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესაძლებლობა და საქართველოს მოუწოდა ტერმინის „კანონის უხეში დარღვევა“ დაკონკრეტებისკენ, რის შედეგადაც 2007 წლის 11 ივლისს კანონში შეიცვალა დეფინიცია და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „კანონის უხეში დარღვევად ჩაითვლება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც არსებითი ზიანი მიიყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს.“

განმარტება აერთიანებს 2 ცნებას: „არსებითი ზიანი მიიყენა“ და „შეძლო მიეყენებინა“. სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოაღნიშნულის შემთხვევაში, ცალ-ცალკე გაიწეროს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები, რადგან უსამართლოდ მიაჩნია, ზიანის არსებობისა და სავარაუდო ზიანის შემთხვევაში პირისათვის ერთნაირი პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან, აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ამ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკაში შესაძლო პრობლემებისა და განმარტების უსამართლოდ გამოყენების პრევენციას.

ქონების ჩამორთმევა

სახალხო დამცველმა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი სისტემური პრობლემა გამოავლინა.

სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევას. კოდექსის 52-ე მუხლი მიუთითებს, რომ „დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ეჭვმიტანილისთვის, ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული, ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან, ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“.

მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კოდექსი ითვალისწინებს საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევას მესამე პირისთვისაც, რომლის ქონება გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად. ზემოაღნიშნულის გარდა, მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს პირობებს, რა დროსაც კანონი სასამართლოს ქონების ჩამორთმევის ულებამოსილება ანიჭებს. აღნიშნულს წარმოადგენს:

1. „სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე“,
2. „ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე“ ,
3. „ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“.

ტერმინი – „ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ქონების ნებისმიერი სახეობა (მაგ. მანქანა, ბინა და ა.შ) შეიძლება მოხვდეს

ამ კატეგორიაში. ეს გარემოება მოსამართლეებსა და პროკურორებს მუხლის ტენდენციურად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ამის გარდა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს მოსამართლეები განაჩენში არ ასაბუთებენ ქონების ჩამორთმევის საჭიროებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „დავით ჯიმშიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ „სადავო ნორმის მიხედვით, დამატებითი სასჯელის გამოყენებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობის“ არსებობა. ეს ზოგადი, ფართო ცნებაა, არ არსებობს მისი დეფინიცია, თუნდაც სადავო ნორმის მიზნებისთვის. მართალია, ის ყოველთვის მოიცავს სხვათა უფლებების დაცვის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, მაგრამ ეს ორი გარემოება ვერ ამონურავს მის არსს. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებით მან განსხვავებული შინაარსი შეიძლება შეიძინოს. ბუნებრივია, შეუძლებელია ამ ტერმინის ზუსტი განმარტების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ანდა თუნდაც იმ შემთხვევების ამომწურავად ჩამოთვლა, რომლებიც ასეთ გარემოებებზე უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ იმავდროულად, უნდა გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა მართალია, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს სასამართლო, მაგრამ სასამართლოს ფუნქცია შემოიფარგლება იმით, რომ მან კონკრეტულ შემთხვევაში სწორად განსაზღვროს, არსებობს თუ არა კანონმდებლის მიერ ასეთად მიჩნეული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობა, მისთვის გადამწყვეტია კანონმდებლის ნება, მას არ შეუძლია თავის ნება-სურვილით ან შეხედულებისამებრ განსაზღვროს ამ ცნების კონკრეტული შინაარსი“.

სახალხო დამცველმა გამოითხოვა 52-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეთა მასალები 2007 წლის 2 ივლისიდან ოქტომბრამდე და სახალხო დამცველმა 2008 წლის მარტის მდგომარეობით ასეთი 73 განაჩენი მიიღო. გამოიკვეთა, რომ არცერთ მოსამართლეს არ აქვს დასაბუთებული ქონების ჩამორთმევის აუცილებლობა.

მოსამართლეები განაჩენში ქონების ჩამორთმევის დაუსაბუთებლობით არღვევენ კანონს და, ამის გარდა, უგულებელყოფენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულის გარდა, სახალხო დამცველი არ ეთანხმება სასჯელის სახედ ქონების ჩამორთმევის არსებობას, გარდა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთებისა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, „სასჯელის მიზანია: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ქონების ჩამორთმევა არც ერთ ზემოაღნიშნულ მიზანს არ ემსახურება. ქონების ჩამორთმევის სამართლიანობის დასაბუთება ვერ აიხსნება ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, რადგან პიროვნებისთვის განზრახული მოქმედების განსახორციელებლად კონკრეტული აღნიშნული სახეობის სხვა ნივთის მოპოვება ისევე იქნება შესაძლებელი.

გარდა ამისა, **საზგასანმელია, რომ სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ხდება უსასყიდლოდ.** აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ მიუთითებს ქონების ანაზღაურებაზე, მაგრამ მასში გათვალისწინებულია საკუთრების უფლების შეზღუდვა და არა მისი ჩამორთმევა. შესაბამისად, 52-ე მუხლი ვერ განიხილება აღნიშნულ კონტექსტში, ხოლო, კონსტიტუციის იმავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევას მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კერძოდ, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით



პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“. კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს საკუთრების ჩამორთმევის პირობებს. კერძოდ:

- ა) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით და სათანადო ანაზღაურებით;
- ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, სათანადო ანაზღაურებით.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, ხოლო 1997 წელს კი – ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. ორივე ზემოაღნიშნული კანონი ამომწურავად და იმპერატიულად განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება პირისთვის ქონების ჩამორთმევა. ყველა სხვა შემთხვევაში ქონების ჩამორთმევა უსასყიდლოდ დაუშვებელია.

სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში ქონების ჩამორთმევისთვის მითითებული ჩამონათვალი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში (და შესაბამის კანონებში) აღნიშნულ მოთხოვნებს, შესაბამისად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ამასთან, 52-ე მუხლის ჩამონათვალი ეწინააღმდეგება სასჯელის მიზნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ სამი პირობის ერთობლივად არსებობისას არის დასაშვები. კერძოდ, 1) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; 2) თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი და 3) თუ აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. საკუთრების უფლების შეზღუდვა, რომელიც თავის თავში მოიცავს ქონების ჩამორთმევას, განხილულ შემთხვევაში აღნიშნულ მოთხოვნას არ შეესაბამება.

მოსამართლეთა არაკვალიფიციურობა

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული დარღვევები ხშირად მოსამართლეთა არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს.

სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმეები, რომლებშიც ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა მიერ პროცესული ნორმების დარღვევას (იხ. დანართი №4 ლომსაძის საქმე, ობოლაძე-ლობუჯანიძის საქმე, ჟორჟოლიანის საქმე).

საზოგადოება მოსამართლისგან, მისი დამოუკიდებლობის გარდა, კომპეტენციის მაღალ ხარისხსაც მოელოს. მოსამართლეთა გადამზადება, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, მაგრამ გადამწყვეტი მაინც მათი სწორად შერჩევაა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების, კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის, წარდგენილი საკითხების თავისუფლად და მიუკერძოებლად შეფასების უნარის გამოვლენის, პროფესიული მუშაობის გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით“.

კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატს მოსამართლის თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსამართლეთა არაკვალიფიციურობას, შესაძლებელია, მეტად მძიმე შედეგი მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს კადრების შერჩევისა და მათი პროფესიული დონის საკითხს.

ზემოაღნიშნულის გარდა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსამართლეთა მიერ არაკვალიფიციურობისა თუ სხვა მიზეზის გამო კანონის დარღვევაზე და ადეკვატურ ზომებს უნდა მიმართოს.

სახალხო დამცველის მიერ მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გაგზავნილ რეკომენდაციათა უმრავლესობას შედეგი არ მოჰყოლია, ზოგჯერ დარღვევები იმდენად თვალნათელი იყო, რომ შესწავლასაც კი არ საჭიროებდა.

2007 წლის 4 ივლისს, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით ამოღებულ იქნა სსკ-ის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა). აღნიშნულმა ქმედებამ განიცადა დეკრიმინალიზაცია, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მოსამართლეს კანონდარღვევის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობისგან. სახალხო დამცველმა შეინსავლა საქმე, როცა მოსამართლემ არასრულწლოვანს 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სახალხო დამცველის მიერ საქმის მასალების პროკურატურაში გაგზავნის შემდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 336-ე მუხლით, ხოლო მუხლის გაუქმების შემდეგ კი წინასწარი გამოძიება შეწყდა ისე, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი არც დასმულა. სახალხო დამცველმა იუსტიციის საბჭოში გაგზავნილი წერილით მოითხოვა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება (იხ. ა.ლ-ს საქმე).

სტატისტიკა

2007 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაჩენის გამოტანით დამთავრდა 9919 სისხლის სამართლის საქმე 11948 პირის მიმართ. შეწყდა 182 საქმე 203 პირის მიმართ, იძულებითი ღონისძიება კი 29 პირს შეეფარდა. დამატებით ძიებაში დაბრუნდა 53 საქმე 64 პირის მიმართ.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს გასულ წელთან შედარებით საერთო სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების კლების ტენდენციას. ადრე პროკურატურა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით, ა/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე, რომელთა დიდი ნაწილი კმაყოფილდებოდა სასამართლოს მიერ. 2006 წლის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

2007 წლის მეორე ნახევარში სასამართლოებში შევიდა 10059 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 4475 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 44.5%, მათგან დაკმაყოფილდა 4240 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 94%.

ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით პროკურატურა პროცენტულად უფრო ხშირად ითხოვს აღკვეთ ღონისძიებად არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას, ეს ასანგარიშო პერიოდში პატიმართა აბსოლუტურ რაოდენობაზე ვერ ახდენდა სერიოზულ გავლენას, რადგან გაიზარდა მთლიანად თავისუფლებათკვეთილთა რიცხვი.

სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე მაქსიმალურად შეზღუდოს აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, რაც იმავე



დროულად გარკვეულნილად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

საგულისხმოა, რომ 2007 წლის პირველი ნახევრის შემდეგ იმატა გირაოსა და პირადი თავდებობის შესახებ შესულმა და დაკმაყოფილებულმა შუამდგომლობების რაოდენობამ. კერძოდ: 2007 წლის მეორე ნახევარში გირაოს შეფარდების შესახებ საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობების რიცხვი შეადგენდა 5537, საიდანაც დაკმაყოფილდა 5455, პირადი თავდებობის შესახებ კი შევიდა 47 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 46. 2007 წლის პირველ 6 თვეში გირაოს შეფარდების შესახებ საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობების რიცხვი შეადგენდა 5321, რომელთაგან 5153 დაკმაყოფილდა, პირადი თავდებობის შესახებ კი შევიდა 38 შუამდგომლობა, საიდანაც 38-ივე დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული რიცხვები ეხება მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობებს. დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, სამწუხაროდ, უზენაეს სასამართლოში ვერ მოვიპოვეთ. მათი მითითებით აღნიშნული ინფორმაცია ცალკე არ ინარმოება.

აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკა

პროკურატურა სასამართლოში		
შევიდა შუამდგომლობით		დაკმაყოფილდა (სულ)
2006 წლის		
1 იანვარი-30 ივნისი	გირაო – 2212 პირადი თავდებობა – 221 პატიმრობა – 5868 (სულ: 8301)	გირაო – 2121 პირადი თავდებობა – 216 პატიმრობა – 5156 (სულ: 7584)
2006 წლის		
1 ივლისი - 31 დეკემბერი	გირაო – 3445 პირადი თავდებობა – 80 პატიმრობა – 5893 (სულ: 9418)	გირაო – 3362 პირადი თავდებობა - 80 პატიმრობა - 5202 (სულ: 8644)
2007 წლის		
1 იანვარი-30 ივნისი	გირაო – 5321 პირადი თავდებობა – 38 პატიმრობა – 5084 (სულ: 10443)	გირაო – 5153 პირადი თავდებობა – 38 პატიმრობა – 4689 (სულ: 9880)
2007 წლის		
1 ივლისი-31 დეკემბერი	გირაო – 5537 პირადი თავდებობა – 47 პატიმრობა – 4475 (სულ: 10059)	გირაო – 5455 პირადი თავდებობა – 46 პატიმრობა – 4240 (სულ: 9741)

წინა წლებთან შედარებით იკლო გამამართლებელი განაჩენების რიცხვმა. კერძოდ:

2007 წლის მეორე ნახევარში საერთო სასამართლოების მიერ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 8 პირის მიმართ, მათ შორის: პირველი ინსტანციაში – 6 პირის მიმართ, აპელაციაში – 2 პირის მიმართ.

2007 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 7 პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლოში 4 პირის მიმართ და კასაციაში საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო 1 პირის მიმართ.

გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა

	პირველი ინსტანციის სასამართლოები	სააპელაციო სასამართლო	სააპელაციო სასამართლო
2005 წელი	64 საქმისა და 79 პირის მიმართ	7 საქმისა და 8 პირის მიმართ	11 საქმისა და 11 პირის მიმართ
2006 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	12 საქმისა და 17 პირის მიმართ	5 საქმისა და 5 პირის მიმართ	4 საქმისა და 5 პირის მიმართ
2006 წლის 1 ივლისი - 31 დეკემბერი	20 საქმის მიმართ	8 საქმის მიმართ	2 საქმის მიმართ
2007 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	7 პირის მიმართ	4 პირის მიმართ	საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო
2007 წლის 1 ივლისი-31 დეკემბერი	1 პირის მიმართ	6 პირის მიმართ	2 პირის მიმართ

რაც შეეხება საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტზე კერძო განჩინების შესახებ ინფორმაციას, სტატისტიკური ანგარიშგების მოქმედი ფორმების მიხედვით, არც ერთი კერძო განჩინება არ არის გამოტანილი.

მეტად მნიშვნელოვანია სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. საანგარიშო პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია 151 საქმე, რომელთაგან 112 დაკმაყოფილდა. 2007 წლის პირველ 6 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 196 საქმე, რომელთაგან 173 დაკმაყოფილდა. 2006 წლის მეორე ნახევარში განხილული იყო მხოლოდ 86 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 40. ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ 2007 წლის მეორე ნახევარში არც ერთი საქმე არ განხილულა.

რაც შეეხება ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, საანგარიშო პერიოდში განხილულია 7 საქმე, რომელთაგან 3 დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილია 4544 განაჩენი 5770 პირის მიმართ. 8 საქმე 8 პირის მიმართ დაუბრუნდა პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად.

2007 წლის პირველ 6 თვეში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილია 3888 განაჩენი 4689 პირის მიმართ. 7 საქმე დაუბრუნდა პროკურატურას



საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, პროკურატურიდან შესული შუამდგომლობების 99% დაკმაყოფილდა.

2006 წელს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესულია 2547 საქმე, ხოლო საბრალდებო დასკვნით – 13302 საქმე, საიდანაც 1330 საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. სულ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 3791 საქმეზე. ანუ, საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა მთელი საქმეების დაახლოებით 25 პროცენტი. საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურას უარი ეთქვა და დაუბრუნდა საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად 10 საქმე.

2007 წლის ივლისიდან შემოსული არაერთი განცხადება შეეხება იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, სადაც მოვალე მხარე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მქონე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლებსაც აქვთ დავალიანებები მოქალაქეების (კრედიტორების) მიმართ წინა წლებში გაუცემელი ხელფასების, პენსიების, იძულებითი განაცდურის სახით, სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით და სხვა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ. ამ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 921 მუხლის შესაბამისად:

1. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან 3 თვის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრო მოვალეებზე

თანხებს გასცემს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ მიცემული წინადადებების რიგითობის მიხედვით.“

ამდენად, აღნიშნული კატეგორიის საქმეთა აღსრულების პროცესში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 921-ე მუხლის თანახმად, მოვალე მხარეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტიდან ეგზავნებათ წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე. მათ ასევე ეგზავნებათ სააღსრულებო დეპარტამენტის საბანკო ანგარიშები და სხვა რეკვიზიტები სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების შესაბამის ანგარიშებზე ჩასარიცხად.

სახალხო დამცველის აპარატი განხილული განცხადებების

8

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

2007

მიხედვით, სააღსრულებო დეპარტამენტიდან გაგზავნილ წინადადებებს სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულება არ მოჰყოლია. იყო შემთხვევები, როცა წინადადებები განმეორებით ეგზავნებოდათ მოვალე სახელმწიფო დაწესებულებებს.

წინადადებების შეუსრულებლობის შემდეგ იწყება იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელიც ჭიანჭურდება და იწვევს მოქალაქეების სამართლიან გულისწყრომას. იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორებს სააღსრულებო დეპარტამენტიდან ეგზავნებათ ერთი და იმავე შინაარსის წერილები: „მითითებული სააღსრულებო საქმე გადაეცა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, რომელმაც “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 921-ე მუხლის თანახმად, მოვალე მხარეს ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე, რაც მოვალემ არ შეასრულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელს მიეცა მითითება სასამართლო გადაწყვეტილების დროულად აღსრულების მიზნით, განახორციელოს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.“

იძულებითი აღსრულების რა კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებენ სააღსრულებო ბიუროები წინადადების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემდეგ, დეპარტამენტის პასუხებში მითითებული არ არის და გადაწყვეტილებათა აღსრულება რეალურად დიდი დროის განმავლობაში არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე ვრცელდება კანონით დადგენილი ვადები, რაც შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი დიდი ხნით ჭიანჭურდება და ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში აღუსრულებელი რჩება. ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები მიმართავენ სახალხო დამცველის აპარატს განცხადებებით და აღნიშნავენ, რომ სააღსრულებო ორგანოებში არაფერი კეთდება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ან, რაც შემთხვევებში, განხორციელებული ღონისძიებები არაეფექტურია.

იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალის, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შესახებ შემოსულ განცხადებებზე, თუ დადგინდა გამცხადებლის უფლებების დარღვევა, საქართველოს სახალხო დამცველისაგან სააღსრულებო დეპარტამენტს ეგზავნება რეკომენდაციები, რათა სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სააღსრულებო ორგანოებმა დროულად გაატარონ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და შეასრულონ მათზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები. კერძოდ, სასამართლო აღმასრულებელი, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე, უფლებამოსილია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, გადახდევინება განახორციელოს: „მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.“

სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი აღსრულება დამოკიდებულია სასამართლო აღმასრულებლისაგან მიცემულ წინადადებაში მითითებულ დროზე და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების

დანყებაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის კანონით განსხვავებულად არის განსაზღვრული. იძულებითი აღსრულების პროცესი, მოვალე სახელმწიფო (საბიუჯეტო) ორგანიზაციებისათვის თანხის გადახდევინების ნაწილში, შეიძლება დაინყოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან 3 თვის შემდეგ. სამთვიანი ვადისაგან განსხვავებით, მოვალე კერძოსამართლებრივი სუბიექტის, მათ შორის ფიზიკური პირების მიმართ სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს, იძულებითი აღსრულების პროცესი დაინყოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით ხუთი დღის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხოლო ფულის ან ქონების გადახდევინებისას, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების წინადადების ჩაბარებასთან ერთად, სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას კანონით დადგენილი წესით.

იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები მოვალე სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ თანხების გადახდევინების ნაწილში ძირითადად ხორციელდება მოვალე ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალების გაგზავნის საფუძველზე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გაგზავნილ საინკასო დავალებას არ მოჰყოლია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მაგალითად, **ლონდა ნიტაიშვილის** განცხადების შემთხვევაში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსრულებლად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა გააგზავნა საინკასო დავალება მოვალის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საბანკო ანგარიშებიდან თანხის უდავო წესით ჩამოჭრის მიზნით. საქმის შემდგომმა განხილვამ ნათელყო, რომ საინკასო დავალების გაგზავნის დროისათვის მოხდა მოვალე ორგანიზაციის სახაზინო ანგარიშების შეცვლა, რამაც, თავის მხრივ, შეუძლებელი გახადა საინკასო დავალების შესრულება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. გაგზავნილი საინკასო დავალება შეუსრულებელი სახით დაუბრუნდა სააღსრულებო დეპარტამენტს.

რაიმე საფუძველზე საინკასო დავალების შეუსრულებლობა აშკარა კანონდარღვევაა, რადგან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმისა.“

2007 წლის მეორე ნახევარში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინებამ. „2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში გათვალისწინებული იქნა წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის** გადასახდელი თანხები 10 მილიონი ლარის ოდენობით. თანხის გადახდევინების თაობაზე აღსრულებულ საქმეთა ძირითადი ნაწილი სწორედ აღნიშნული ასიგნებებიდან იქნა დაფარული (იხ. სტატისტიკური მონაცემები).

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გამოყოფამ ასევე გააადვილა სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარება და მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენა. განსახილველ პერიოდში, ანუ 2007 წლის მეორე ნახევარში, სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ გაგზავნილი რეკომენდაციებიდან გაზიარებული იქნა 58%. მიმდინარეობს ერთი რეკომენდაციის განხილვა, რომელიც ეხება შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ თანამშრომლების სახელფასო დავალიანების საკითხთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. მოქალაქების, რეზო ბოჭორიშვილის, ნუგზარ გალუაშვილის, ელიკო სულხანიშვილის და მარინე დათუაშვილის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები აღსრულდა და მათ სრულად მიიღეს კუთვნილი სახელფასო დავალიანება (იხ. დანართი №5).



აღსრულებელი საქმეებიდან აღსანიშნავია ბათო ჭუმბურიძისა და რობერტ დიაკონიძის საქმეები. ბათო ჭუმბურიძის სარჩელის საფუძველზე მოპასუხეს, ქ.თბილისის მერია, დაეკისრა ბ. ჭუმბურიძის შრომის წიგნაკში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ.თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ ჩანაწერის შეტანა. აგრეთვე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის იანვრიდან შრომის წიგნაკში გათავისუფლების შესახებ ჩანაწერის გაკეთების მომენტამდე ხელფასის ანაზღაურება ყოველ თვეზე 150 ლარის ოდენობით.

2007 წლის 28 დეკემბერს სააღსრულებო დეპარტამენტიდან მივიღეთ ჩვენს მიერ გაგზავნილი რეკომენდაციის პასუხი, რომლის თანახმად, მითითებული სააღსრულებო საქმე აყვანილი იქნა კონტროლზე და უახლოეს მომავალში გატარდება იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები. მიუხედავად ამისა, დღემდე რეკომენდაციას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ მოჰყოლია.

რაც შეეხება რობერტ დიაკონიძის საქმეს, თანხა, რომელსაც იგი ითხოვს, სახელმწიფოს შიდა ვალად აქვს აღიარებული, თუმცა მისი გაცემა არ მომხდარა. აღნიშნულ საკითხზე მოქალაქემ სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, ხოლო შემდეგ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, რობერტ დიაკონიძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, დაეკისრა რობერტ დიაკონიძის სასარგებლოდ 28102,35 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება. საქმე აღსასრულებლად გადაეცა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გაგზავნილი რეკომენდაციის 2007 წლის 2 ნოემბერის პასუხში აღნიშნულია, რომ უახლოეს მომავალში სააღსრულებო დეპარტამენტი გაატარებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიებას (იხ. დანართი №5).

ქ. ქუთაისის მთავრობისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დღემდე არ არის აღსრულებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ფარგლებში დააკმაყოფილონ დევნილები ვეფხვია მიქაუტაძე, თამარ ჯალაღონია, მარინა პაპავა, მედეა რატიანი და ზინაიდა რიგვავა საცხოვრებელი ფართით.

შეიძლება ითქვას, რომ უფრო ეფექტურად ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება კერძო პირებთან მიმართებაში, თუმცა პრობლემები ამ მხრივაც არსებობს. ამის მაგალითია მალხაზ მელაშვილის საქმე (იხ. დანართი №5).

2004 წელს სახელმწიფო დაწესებულებების უმეტესობაში სხვადასხვა საფუძველით განხორციელდა რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად მრავალი საჯარო მოხელე დათხოვილი იქნა თანამდებობიდან. ამ მოხელეთა დიდმა ნაწილმა უკანონოდ მიიჩნია სამსახურიდან გათავისუფლება და თავისი უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოებს. საჯარო მოხელეთა გარკვეული ნაწილის სამსახურიდან დათხოვნა სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა უკანონოდ და სახელმწიფო დაწესებულებებს დაეკისრათ მათი დარღვეული უფლებების აღდგენა – სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. აღნიშნული კატეგორიის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება დღეისათვის მიმდინარეობს ძალზე არაეფექტურად, რაც სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული.

სასამართლო აღმასრულებელი, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე, მოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. აღნიშნულ მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს სასამართლო აღმასრულებელმა ფულის და ქონების გადახდევინებისას. რაც შეეხება სასამართლო გა-

დანყვეტილების აღსრულებას, რომელიც არ ეხება მოვალისაგან ფულის და ქონების გადახდევინებას, სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია, თვითონ განსაზღვროს აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები და იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

„სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში“.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი უკანონოდ დათხოვნილ პირთა სამსახურში აღდგენის შემთხვევაში არ აკონკრეტებს, თუ რა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება უნდა გაატაროს სასამართლო აღმასრულებელმა იმისათვის, რომ იძულებითი წესით აღსრულოს სასამართლო გადაწყვეტილება. ასეთი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ძირითადად გამოიხატება სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოების პროცესი მთლიანად დამოუკიდებლად უნდა ჩაატაროს მოვალე დანესებულებამ (ადმინისტრაციულმა ორგანომ), ან შესაბამისმა თანამდებობის პირმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, უნდა შემუშავდეს სათანადო მექანიზმები და განისაზღვროს იძულებითი აღსრულების კონკრეტული ღონისძიებები, რომლებსაც გამოიყენებს სასამართლო აღმასრულებელი მოვალისაგან სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონში იძულებითი ღონისძიებების განსაზღვრის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელს საშუალება მიეცემა, იმოქმედოს კონკრეტული ნორმის შესაბამისად და რეალურად განახორციელოს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება მითითებული კატეგორიის საქმეთა აღსრულების პროცესში.

უკანონოდ დათხოვნილ პირთა სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში წამოჭრილ სირთულეებს უფრო ნათლად წარმოაჩენს დანართში მოყვანილი სააღსრულებო საქმეები (გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძის და ზურაბ თორდიას საქმე).

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო აქტივისადმი განსაკუთრებული პატივისცემის და მორჩილების მოთხოვნები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციასა და საკანონმდებლო აქტებში.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მისი 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 (1) მუხლი იცავს ყველა ადამიანისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სასამართლოსადმი მიმართვა არ მოიცავს მხოლოდ თეორიულ უფლებას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინსაც გულისხმობს. ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილია და უფლება სასამართლოზე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც გულისხმობს. (იხ. ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ).

ოფიციალური მონაცემებით, 2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის პირველ იანვრამდე სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების-სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 133 393 საქმე. აღნიშნულ პერიოდში სააღსრულებო ბიუროების მიერ აღსრულდა 35 207 საქმე.



აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 26%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს არა მხოლოდ თანხის გადახდევინებას, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებსაც: გამოსახლება-შესახლება, სამუშაოზე აღდგენა, ალიმენტის გადახდევინება და ა.შ.

2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის პირველ იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღსასრულებლად სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების, სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 1452 საქმე. აქედან აღნიშნულ პერიოდში აღსრულებული იქნა 552.

ბიუჯეტის ან საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი ასეთი კატეგორიის საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 38%-ს შეადგენს.

როგორც ვხედავთ, აღსრულებული საქმეებიდან ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საქმეების მხოლოდ გარკვეული ნაწილია აღსრულებული, რაც მხოლოდ 38 % პროცენტს შეადგენს. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული ბევრი საჩივარი და განცხადება სწორედ ამ პრობლემას შეეხება.

საქართველოს პარლამენტს მიემართავ საკანონმდებლო წინადადებით, განსაზღვროს ის ღონისძიებები და მექანიზმები, რომლებსაც სასამართლო აღმასრულებელი მიმართავს მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში.

ვარდების რევოლუციის შემდეგ გასული 4 წლის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურა ჩამოყალიბდა უწყებად, რომლის ხელშიც თავი მოიყარა განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ. გენერალური პროკურატურა იქცა ქვეყნის არაფორმალური მართვის ინსტიტუტად, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. საქართველოს ნებისმიერ რაიონში სწორედ ადგილობრივი პროკურორები, გენერალურ პროკურატურასთან შეთანხმებით, იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, ხოლო თვითმმართველობის ორგანოებს მხოლოდ პროკურორის გადაწყვეტილების გაფორმების უფლებამოსილება შეერჩათ.

საკუთრების უფლების დარღვევის ყველა ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, სწორედ პროკურატურასთან არის დაკავშირებული. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტია აღწერილი სახალხო დამცველის 2004-2007 წლების მოხსენებებში, მაგრამ ისინი ხელისუფლების მხრიდან ყურადღების გარეშე დარჩა. ზოგიერთ შემთხვევაში პროკურატურა აპატიმრებდა მესაკუთრეებს და ასე აიძულებდა მათ „ეჩუქებინათ“ საკუთრება სახელმწიფოსთვის (მაგ. ჯემალ ნიკლაურის საქმე, ქ. გორი, იხ. სახალხო დამცველის მოხსენებები, 2004 წელი, 2006 წლის პირველი ნახევარი, 2007 წლის მეორე ნახევარი);

ზოგიერთ შემთხვევაში პროკუ-

რორები იბარებდნენ მესაკუთრეებს და მუქარით აიძულებდნენ, გაეფორმებინათ სახელმწიფოსთან ნაჩუქრობის ხელშეკრულება (მაგ. „აბანოების საქმე“, ქ. თბილისი, იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი; გელა ბაჭაშვილის საქმე, ქ. სიღნაღი, იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის პირველი ნახევარი);

სხვა შემთხვევებში მოქალაქეებს საკუთრებას ართმევდნენ ან უნადგურებდნენ სხვა უწყებები (მაგ. თვითმმართველობის ორგანოები, პოლიცია), მაგრამ პროკურატურა დანაშაულის ნიშნების აშკარად არსებობის შემთხვევაშიც კი არ იძიებს მსგავს საქმეებს.

პროკურატურა იქცა პოლიტიკურ სადამსჯელო უწყებად, რომელიც ახორციელებს ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების სისხლისამართლებრივ დევნას ან მათ დისკრედიტაციას დამონტაჟებული და

9

პროკურატურა და ადამიანის უფლებები

სს
2007

ფალსიფიცირებული სატელეფონო თუ სხვა სახის ჩანაწერების გამჟღავნების მეშვეობით (ირაკლი ბათიაშვილის საქმე; სატელევიზიო ფილმები „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, „პატარკაციშვილის საქმე“ და სხვ.).

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი არაერთი საქმიდან ნათლად ჩანს პროკურატურის ზეგავლენა სასამართლო ხელისუფლებაზე, როცა მოსამართლეს თითქმის ერთადერთი ფუნქცია დარჩა – გადაინეროს და ნოტარიუსივით გააფორმოს პროკურორის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა. ამგვარი პრაქტიკის არსებობა აღიარა და დაგმო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში გია ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ და იგი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად მიიჩნია.

თვალშისაცემ პრაქტიკად ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საქმეების არასრულყოფილი გამოძიება, რადგან ამის საჭიროებას პროკურორები ვერ ხედავენ – სასამართლო ყველა შემთხვევაში დააყენებს იმ განაჩენს, რასაც პროკურორი ითხოვს. ამის ნათელი მაგალითია გამამართლებელი განაჩენების წარმოუდგენლად დაბალი რაოდენობა – 2007 წლის განმავლობაში დამდგარი 17526 განაჩენიდან გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ 19 საქმეზე დადგა. მართალია, საკმაოდ მაღალია განაჩენების რაოდენობა, როცა მოსამართლე ბოლომდე არ იზიარებს პროკურორის მოთხოვნას, მაგრამ ამას უფრო ფორმალური ხასიათი აქვს – უმრავლეს შემთხვევაში მოსამართლე ოდნავ ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილ სანქციას და ეს ქმნის ხსენებულ სტატისტიკას, რაც საქმის არსს მთლიანობაში არ ცვლის.

მიღებულ პრაქტიკად იქცა ერთი მოწმის ან მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე საბრალდებო დასკვნის შედგენა, როცა საქმეში სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

პროკურორებს ხშირად თავიანთ ვალდებულებად მიაჩნიათ გამამტყუნებელი განაჩენის დაყენება და საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას საქმეში არსებულ დანაშაულის გამომრიცხავ გარემოებებს (მაგალითად, იხ. დავით ბაძგარაძის საქმე, სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე ნახევრის და 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებები. თავად პროკურორები პირად საუბრებში თავს იმართლებენ, რომ მათ სხვაგვარად მოქცევა, უბრალოდ არ შეუძლიათ, რადგან როგორც კი პროკურორი განაცხადებს, რომ ბრალდება უნდა შეწყდეს არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, გენერალურ პროკურატურაში მაშინვე ჩნდება ეჭვი, რომ აქ ადგილი აქვს კორუფციას ან პირად დაინტერესებას და პროკურორი, რომელიც საქმეს წყვეტს, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი ხდება. პროკურორებსაც ურჩევნიათ, თავი აარიდონ ზედმეტ ყურადღებას და ნებისმიერ ფასად დააყენონ გამამტყუნებელი განაჩენი.

დღემდე არ არის დამთავრებული დავით საყვარელიძისა და ეთერ წულიაშვილის საქმის გამოძიება. 2003 წლის 22 ნოემბერს, კერძო მფლობელობაში მყოფ ავტომობილსა და სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორს შორის მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ 23 წლის დავით საყვარელიძე და ეთერ წულიაშვილი, ხოლო სხეულის დაზიანებები მიიღო ამ უკანასკნელის სამმა მცირეწლოვანმა შვილმა: ბადრი, გოჩა და სოფიკო წულიაშვილებმა.

საქმეზე ჩატარდა რვა ექსპერტიზა. აქედან პირველი სამი ექსპერტიზის დასკვნაში იკვეთება ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლის ბრალეულობა, ხოლო მომდევნო ექსპერტიზის დასკვნებში იწყება საქმის გარემოებების სხვაგვარად წარმოჩენა. ამასთან, ბოლოს დანიშნული მეექვსე, მეშვიდე და მერვე ექსპერტიზების ჩატარება ვერ მოხერხდა. **2 წლისა და 8 თვის განმავლობაში ამ საქმის ძიება პერიოდულად წყდებოდა და შემდეგ ისევ გრძელდებოდა.** საბოლოოდ, 2005 წლის 30 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ავთანდილ გივის ძე მამალაძის მიმართ, რომელიც მართავდა ჯავსანტრანსპორტიორს.

აღნიშნული დადგენილება გაუქმდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ს. ციცივიძის 2005 წლის 5 ივნისის დადგენილებით, რომელიც ძალაში დატოვა ქ.თბილისის საოლქო სასამართლომ.

2006 წლის 23 თებერვალს ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორის მ. ლოლობერიძის დადგენილებით კვლავ შეწყდა სს №1003544 საქმე ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

სს საქმის შეწყვეტის დადგენილება დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, მ. საყვარელიძემ გაასაჩივრა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. მოსამართლე ჯ. კოპალიანის 2006 წლის 22 მაისის დადგენილებით გაუქმდა 2006 წლის 23 თებერვლის ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და სისხლის სამართლის საქმე წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდა ქ. თბილისის პროკურატურას. აღნიშნულ საქმეზე დღემდე შედეგი არ დამდგარა. საქმის მასალებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქმის გაუხსნელად დატოვება მაშინდელი უშიშროების სამინისტროსა და პროკურატურის მაღალჩინოსნების ძალისხმევით მოხდა.

პროკურატურა არასათანადოდ აწარმოებს წამების საქმეების გამოძიებას. მეტიც, ძალიან ბევრ საქმეში აშკარად ჩანს, რომ პროკურატურის ამოცანას წარმოადგენს არა წამების საქმის გამოძიება და დანაშაულის ჩამდენი პირის/პირების დასჯა, არამედ მწამებლების დაცვა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მათი დახსნა. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს წინამდებარე მოხსენებაში აღწერილი ალექსი ბახუტოვის საქმე (იხ.შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებების თავში), ასევე ახალგორის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა საქმე, როცა პოლიციელები, რომლებიც არასრულწლოვანთა წამების (და კიდევ რამდენიმე სხვა) მუხლით გასამართლდნენ, პირობითი მსჯავრით გათავისუფლდნენ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე (იხ. დანართი №6: ლ.კ-ს და ი.გ-ს საქმე). ზემოთქმულის გარდა არაერთი მსგავსი საქმეა აღწერილია როგორც წინამდებარე, ისე 2004-2007 წლების მოხსენებებში.

როცა არსებობს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ნიშნები, პროკურორები, იმის ნაცვლად, რომ დაიწყონ გამოძიება და საქმეს სერიოზულად მიუდგინონ, ახორციელებენ გაუგებარ საპროცესო მოქმედებას – დაკითხვის ნაცვლად „ესაუბრებიან“ იმ პოლიციელებს, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული. შესაბამისად, უფრო ხშირად დანაშაული გამოუძიებელი რჩება, ხოლო გამოძიების შემთხვევაში პროკურატურა საპროცესო შეთანხმებებს აფორმებს და ისეთ არაადეკვატურად მსუბუქ სასჯელს ითხოვს, როგორცაა, მაგალითად, პირობითი მსჯავრი არასრულწლოვანთა წამებისთვის (იხ. დანართი №6: ლ.კ-ს და ი.გ-ს საქმე).

წამების საქმეებზე დაკითხული პოლიციელების ჩვენებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ეჭვს, რომ ამ შემთხვევებში ხდება არა რეალური გამოძიება, არამედ უბრალოდ ფორმალობების დაცვა საქმის დასახურად და „ჩამოსაწერად“. იმისთვის, რომ ეს პრაქტიკა შეიცვალოს, აუცილებელია, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეები გამოიძიოს გენერალურმა პროკურატურამ, რადგან რეგიონებში პროკურატურა და პოლიცია მჭიდროდ არის ინტეგრირებული ერთმანეთთან და დიდია ალბათობა, რომ მოხდება საქმის ფალსიფიცირება და შეწყვეტა პოლიციელთა სასარგებლოდ.

თუმცა, მეორე მხრივ, წინამდებარე მოხსენებაში აღწერილი ალექსი ბახუტოვის საქმე არის ნათელი მაგალითი, რომ წამებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების პრობლემა მხოლოდ ადგილზე ურთიერთობებით ვერ აიხსნება. ამ კონკრეტულ საქმეში ადამიანის წამების საქმის „ლეგალიზება“ და გამოსავლის მოძებნა გაყალბება სწორედ გენერალური პროკურატურის დონეზე მოხდა და უდანაშაულო კაცი, რომლისგანაც წამებით მოხდა ყალბი ჩვენებების გამოძალვა, ჯერ ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობის მუხლით გასამართლდა, ხოლო როცა გაირკვა, რომ მკვლელობა არ მომხდარა და ჩოფიკაშვილი ცოცხალი და საღსალამათი იყო, მის მკვლელობაში მსჯავრდებული ბახუტოვი გასათავისუფლებლად მაინც ვერ „გაიმეტეს“ და მკვლელობა მკვლელობის მცდელობად გადაუკვალიფიცირეს.

წამებასთან მიმართებაში უნდა დამკვიდრდეს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპი, რისკენაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში.



საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ამავე წლის 2 ივლისის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ 24 პირის დაკავების ფაქტზე. აღნიშნული დაკავება წარმოადგენდა ჟურნალისტებისთვის დადგმულ თეატრალიზებულ შოუს. დაკავებული პირები მერიის შენობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სხვადასხვა ადგილიდან მიიყვანეს. მათ შორის ერთ-ერთი დაკავებული თბილისიდან ჩაიყვანეს. საქმეში მითითებული გარემოებები პროკურატურამ დარღვევად არ მიიჩნია (იხ. დანართი №6: ქუთაისის მერიაში დაკავებული პირების საქმე).

საანგარიშო პერიოდში ერთსა და იმავე მნიშვნელობის საკითხზე პროკურატურის მხრიდან სხვადასხვა მიდგომა გამოიკვეთა. კერძოდ, ორ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურატურამ სხვადასხვანაირად გამოიყენა უზენაესი სასამართლოს განმარტება. **შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ პროკურატურა გარკვეულ შემთხვევებში არა კანონის, არამედ ტენდენციურად, ბრალდებულის, განსასჯელის ინტერესების საპირისპიროდ მოქმედებს.**

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, წინასწარი გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის №74068449 საქმეზე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ლ. ყუფარაძის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოსამართლემ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა არასრულწლოვანს.

2007 წლის 19 ივლისის წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების თანახმად, საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით გაირკვა და დადგინდა, რომ „სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლ. ყუფარაძის მიერ გამოტანილ იქნა უკანონო სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც მან ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება (მოსამართლის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა). 2007 წლის 4 ივლისს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით ამოღებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლი, ე.ი. მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, როცა ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, „სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლ. ყუფარაძის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტზე წარმოებული წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს“.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, განეხილა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლ. ყუფარაძის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორის რ. ზარანდიას 2007 წლის 19 ივლისის წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების კანონიერების საკითხი. სახალხო დამცველს აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი ჯერ არ მიუღია.

ანალოგიურ ფაქტს სხვა შემთხვევაში პროკურატურა განსხვავებულად მიუდგა. კერძოდ:

2007 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მათა ომხარელის (თავმჯდომარე), ზაზა მენიშვილისა და დავით სულაქველიძის შემადგენ-

ლობით, განიხილა მსჯავრდებულ ბესიკ გვაჯავას საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გადასინჯვის თაობაზე და არ დააკმაყოფილა იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებულ ბ. გვაჯავას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც ამოღებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა). მართალია, ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობა აღარ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას აღარ აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების დასჯადობას ამჟამად ფაქტობრივად ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულთა შესაბამისი მუხლები. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ბ.გვაჯავას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება – უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა – დანაშაული, დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოიცავს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ნიშანს. ამდენად, არ შეიძლება ბ. გვაჯავას მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, რადგან არ მომხდარა მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება, ანუ დეკრიმინალიზაცია, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენდა ზოგადი ნორმის – საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის სპეციალურ შემთხვევას.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 336-ე მუხლის მსგავსად, ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისათვის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ იმ პირების მიმართ, რომლებიც გასამართლებულები არიან და სასჯელს იხდიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილისგან მიღებული ინფორმაციით, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2007 წლის 28 ივნისს №1042აპ საქმეზე მიღებული განჩინების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება არ გულისხმობს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული ქმედების დანაშაულებრიობისა და დასჯადობის გაუქმებას. ამდენად, არ არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველს.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინების სამოტივაციო ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რომელიც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არ აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია.“

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები.“



ზემოთ განხილული მაგალითები ნათელს ხდის, რომ სასამართლო და პროკურატურა გარკვეულ შემთხვევებში თვითნებურად მოქმედებენ კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ და მიუთითებენ, რომ გარკვეული ქმედებების დეკრიმინალიზაცია არ მომხდარა, მაშინ, როცა კანონპროექტების განმარტებით ბარათებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ 184-ე და 336-ე მუხლების გაუქმების მიზეზი სწორედ ამ დისპოზიციებით გათვალისწინებული ქმედებების დეკრიმინალიზაცია იყო.

სასამართლოსა და პროკურატურის ამგვარი პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნასთან, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განმარტებით ამკვიდრებს პრინციპს „არავითარი დანაშაული, არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“ (nullum crimen, nulla poena sine lege).¹³²

აღნიშნული პოზიცია ასევე არღვევს საქართველოს სისხლის სამართლის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა“.



სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეებიდან გამოიკვეთა მკაფიო ტენდენცია, როცა პროკურატურის ორგანოები გულგრილად ეკიდებიან სასჯელალსრულების სისტემაში მომხდარ ფაქტებს, გამოძიებას იწყებენ არაადეკვატური მუხლით ან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო წყვეტენ წინასწარ გამოძიებას, როცა დანაშაულის ნიშნები მკაფიოდ ჩანს (იხ. სასჯელალსრულების სისტემის თავში – დანართი №8: ზ. ვიზლიანის საქმე, ლ. მანაგაძისა და გ. ღვინიაძის საქმე). ამასთან საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების ადგილებში შედგენილ უფლებადარღვევათა ოქმების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში 127 მიმართვა გაიგზავნა, რომელთა საფუძველზე პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, 10 საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება და არცერთ მათგანზე ჯერ არ დასრულებულა.

ზოგადად, პროკურატურის დამოკიდებულება ცემა-წამების ფაქტების გამოძიების მიმართ წინა წლებთან შედარებით არ შეცვლილა (იხ. ლ. მაისურაძის საქმე).

სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ძალიან ხშირად უგულისყუროდ ეკიდებიან წამების საქმეების გამოძიებას. მიუხედავად მრავალი განცხადებისა, წამების წინააღმდეგ ბრძოლა არათუ სახელმწიფო პრიორიტეტად არ იქცა, პირიქით, გამოძიება უმრავლეს შემთხვევაში არ ახდენს საქმეების გამოძიებას და ხელს აფარებს წამებაში ეჭვმიტანილ პირებს. ეს გამოიხატება იმ უამრავ საქმეში, რომელსაც ან არაჯეროვნად იძიებენ, ან გაცილებით მსუბუქ მუხლებად აკვალიფიცირებენ. ასევე ხდება ზენოლა და მუქარა ჩივილის შეწყვეტის მოთხოვნით წამების მსხვერპლებზე, მათი ოჯახის წევრებზე, მონწილეებზე.

წამების პრევენციისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დამნაშავე საჯარო მოხელეები ჩადენილი დანაშაულის პროპორციულად დაისაჯონ.

¹³² „სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-7 მუხლი არ შემოიფარგლება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბრალდებულის ინტერესის საწინააღმდეგო უკუქცევითი ძალის აკრძალვით. იგი ასევე მოიცავს, უფრო ზოგადად, პრინციპს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ კანონს შეუძლია, განსაზღვროს დანაშაული და სასჯელი (nullum crime nulla poena sine lege) და პრინციპს, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ უნდა იყოს ფართოდ განმარტებული ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ“. (მაგ. კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 25 მაისი, § 52; პუჰკი ესტონეთის წინააღმდეგ, 2004 წლის 10 თებერვალი, § 25)

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმე, როცა პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა იმ პოლიციელებს, რომლებსაც ახალგორის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების წამებასა და სხვა რამდენიმე დანაშაულში ედებოდათ ბრალი (იხ. დანართი №6: ლ.კ-სა და ი.გ-ს საქმე). კერძოდ, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ბესიკ ორკოდაშვილი და ბონდო ტატუნაშვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე); 333-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე) და 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებით (წამება, იგივე ქმედება ჩადენილი: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე).

ზემოაღნიშნულ პირებს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალიათ პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული დანაშაულისთვის შეფარდებული სასჯელი ჩადენილ ქმედებასთან აშკარად არაა ადეკვატურია. აღნიშნული გამართლებული ვერ იქნება პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკთა არაკვალიფიციურობით. სხვა გაცილებით მსუბუქი დანაშაულისთვის პროკურატურა გაცილებით მეტ სასჯელს ითხოვს და სწორედ აქედან ჩანს სახელმწიფოს მიდგომა აღნიშნული საკითხების მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობა, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართალი, ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ეფექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიოს წამების საქმეები, ამასთან, გამოიყენოს ადეკვატური სასჯელი დამნაშავეთა მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იკვეთება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დასტურდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხსენებული ქმედებების შესახებ განცხადება ან საჩივარი არასათანადოდ იქნება განხილული და გამოძიებული.¹³³

წამება ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სხვადასხვა გზით იბრძვის წამების წინააღმდეგ და ატარებს ღონისძიებებს წამების პრევენციისთვის, თუმცა აღნიშნული მაინც გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. წამების საქმეების ტენდენციური გამოძიება ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. საზოგადოება თვალყურს ადევნებს იმ საქმეთა გამოძიებას, რომელშიც საჯარო მოხელეები თავად არიან დანაშაულის მონაწილენი. ასეთ დროს ტენდენციური მიდგომა აქარწყლებს საზოგადოების რწმენას კანონის უზენაესობის მიმართ. პოსტრევოლუციური მთავრობისადმი მთავარი საზოგადოებრივი დაკვეთა დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის მიღწევა იყო. ამ კუთხით

¹³³ მაგ. ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბერი, §§ 102 და შემდ.; ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ, 2000 წლის 6 აპრილი, § 131; ე.კ. თურქეთის წინააღმდეგ, 2002 წლის 7 თებერვალი, §§ 54-56.



გამოკვეთილი ტენდენცია იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ხელისუფლება ზემოაღნიშნულ დაკვეთას ჯერჯერობით ვერ ან არ ასრულებს.



დაუსჯელობის სინდრომთანაა დაკავშირებული ტენდენცია, როცა პროკურატურა თავს არიდებს თავის სისტემაში მომუშავე პირთა სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური წესით დასჯას მაშინაც კი, როცა დანაშაული აშკარად სახეზეა (იხ. დანართი №6: დ. ბაძგარაძის საქმე).

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა გენერალური პროკურორისგან პროკურორ ნინო ციხისელების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა.

სახალხო დამცველი წელიწადზე მეტია თვალყურს ადევნებდა დავით ბაძგარაძის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს. საქმის მასალების შესწავლისას დადგინდა, რომ დაკავებულის მიმართ პროკურორმა ნინო ციხისელმა გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა, არ დაიცვა საპროცესო კანონით გათვალისწინებული სამართლიანობის პრინციპი და უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა. პროკურორ ნინო ციხისელის არაპროფესიონალიზმმა და მის მიერ კანონის უხეშმა დარღვევამ გამოიწვია 21 წლის უდანაშაულო ახალგაზრდის სრულიად უკანონოდ 8 თვის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნა.

2007 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა მიიღო გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის გ. ლაცაბიძის წერილი, სადაც მითითებულია, რომ არ არსებობს პროკურორ ნ.ციხისელისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.



2007 წლის მეორე ნახევარში კვლავ დაფიქსირდა გამომძიებლისა და პროკურორის დაკავებულთან ე.წ. „გასაუბრების“ შემთხვევები. სახალხო დამცველის წინა მოხსენებებში მითითებული იყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვას – „გასაუბრებას“ – როგორც საპროცესო მოქმედებას. ძალიან ხშირად საგამომძიებო ორგანოები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმის ძიებას კი არ იწყებენ, არამედ ატარებენ ე.წ. „გასაუბრებას“ დაზარალებულთან (დეტალურად იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის მეორე და 2007 წლის პირველი ნახევრის მოხსენება მ. ლომიძის საქმე).



ხშირია შემთხვევები, როცა პროკურატურის ორგანოები სახალხო დამცველს მის მიერ გამოთხოვილი შეწყვეტილი საქმის მასალების ასლების ნაცვლად არაადეკვატურ პასუხებს უგზავნიან (მაგ. ბათუმის რაიონული პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ წერილს თან არ ახლდა სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნება), რითაც არღვევენ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტს (იხ.დანართი №6).

სახალხო დამცველმა მოხსენებითი ბარათი წერილის ასლთან ერთად ქვემდებარეობის მიხედვით გაუგზავნა სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოების მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა. კერძოდ, ბათუმის რაიონულმა სასამართლომ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილებით უარი განაცხადეს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე, მაშინ როცა ანალოგიურ საკითხზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის №2 დაწესებულების დირექტორის ლაშა ბრეგვაძისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე“. მართალია, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ „ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად“ და „არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან“ (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი), მაგრამ სახალხო დამცველის მიერ შეწყვეტილი საქმის მასალების ასლის გამოთხოვის შემთხვევაში პროკურატურა ახორციელებს სწორედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რამდენადაც გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმეები წარმოებით შეწყვეტილია, ანუ მათზე არ ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებები და საქმე გადაცემული აქვს არქივს. პროკურატურის ორგანოები უზრუნველყოფენ სისხლის სამართლის საქმის, როგორც საარქივო დოკუმენტის შენახვასა და დაცვას. აღნიშნული წარმოადგენს პროკურატურის არა კონსტიტუციური და სპეციალური კანონის საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციას, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში და მოქცეულია დაწესებულების ადმინისტრირების სფეროში. ამდენად, გამოთხოვილი საქმის მასალები წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას.

მსგავსი შინაარსის საკითხი განიხილებოდა საქართველოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში. კერძოდ, შპს „გაზეთი ალია“ საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით, რომელზეც 2003 წლის 6 აგვისტოს გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება და საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა შპს „გაზეთი ალიასათვის“ გაეცნო შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალები, რაც უზენაესმა სასამართლომ განჩინებით ძალაში დატოვა.

დასკვნა

ზოგადად, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში პროკურატურა იკვეთება, როგორც უწყება, რომელიც ორ ანალოგიურ შემთხვევაში ტენდენციურად იღებს სხვადასხვა გადაწყვეტილებას, არასათანადოდ იძიებს წამების საქმეების გამოძიებას, აქვს უმკაცრესი მიდგომები რიგითი მოქალაქეების მიმართ, მაშინ, როდესაც აშკარად არიან თავს თავის სისტემაში მომუშავე კანონდამრღვევ თანამშრომელთა დასჯას.



10

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები

2003 წლის ნოემბერში ვარდების რევოლუციის შემდეგ შს სამინისტროში გატარებულმა რეფორმებმა გაზარდა საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ, რაც რამდენიმე მიზეზით აიხსნებოდა: ჯერ ერთი, პოლიციის ქვედა ფენებში იკლო კორუფციამ, რაც უდავო წარმატება იყო; მეორე – სერიოზული წარმატებები იქნა მიღწეული დანაშაულის, განსაკუთრებით კი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში; მესამე – მკვეთრად იკლო პოლიციის საკნებში ადამიანთა ცემისა და წამების ფაქტებმა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ამავე პერიოდში პოლიციაში დაგროვდა ძალიან ბევრი სერიოზული პრობლემა. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა პოლიციის მიმართ ის არის, რომ პოლიცია, ნაცვლად იმისა, რომ იყოს დეპოლიტიზებული უწყება, პრაქტიკულად გადაიქცა პოლიტიკური ოპონენტების დევნის

მძლავრ იარაღად. ამ მიზნით გამოყენებულია შს სამინისტროს უზარმაზარი რესურსი:

შს სამინისტრო აწარმოებს ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების უკანონო მოსმენებს და ამ მოსმენებს იყენებს მათი დისკრედიტაციის, დაშანტაჟებისა თუ მათ მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებისთვის;

ხშირია ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების უკანონო დევნა და დაპატიმრება მონიღო ბრალდებებით, მათ მიმართ ცრუ მტკიცებულებების შექმნა და საქმეების ფაბრიკაცია;

ხშირია პოლიციის მიერ ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების უკანონო გატაცება და სასტიკი ცემა (იხ. კობა დავითაშვილის, გოჩა ბაძგარაძის საქმეები და სხვ.); ასევე ხშირია ფაქტები, როცა მსგავსი ქმედებები ხდება პოლიციის თვალწინ, პოლიციის მდუმარე თანხმობით, რის შემდეგაც არ ხდება მსგავსი საქმეების გამოძიება;

2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის დროს პოლიციამ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა გადაჭარბებული ძალა, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სპეცსაშუალებებიც (რეზინის ტყვიები) კი. მეტიც, ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სამმა მოქალაქემ დაზიანებები მიიღო ცეცხლსასროლი იარაღით. ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელი იყო ის სისასტიკე, რასაც პოლიციის სპეც-

რაზმელები იჩენდნენ მიტინგიდან გაქცეული მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, ასევე ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ მას შემდეგ, როცა ისინი შეიჭრნენ და დაარბიეს ტელეკომპანიის შენობა. პრაქტიკულად არ გამოვლენილა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ გამოძიებული იქნას და სამართლებრივი შეფასება მიეცეს ამ ფაქტს;

წესად იქცა პოლიციელების მიერ მოქალაქეებისთვის მშვიდობიან შეკრებებსა და მანიფესტაციებში ხელის შეშლა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო როგორც 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენების, ისე 2008 წლის 13 იანვრის მანიფესტაციისთვის მზადების დროს. ეს ხელის შეშლა, როგორც წესი, კანონის დარღვევით ხორციელდება, მაგრამ ამგვარი დარღვევები გამოუძიებელი რჩება და ამის გამო პასუხს არავინ აგებს;

2008 წლის 5 იანვრსი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2007 წლის ნოემბერ-დეკემბერში შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას. იგი ჩადიოდა რეგიონებში, სადაც თათბირებს უტარებდა თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, ადგილობრივი პოლიციის უფროსებს, პროკურორებს და განუსაზღვრავდა მათ სამოქმედო გეგმას, როგორ ემუშავათ მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ. პოლიცია და პროკურატურა აქტიურად იყვნენ ჩართულნი წინასაარჩევნო კამპანიაში, რაც გამოიხატებოდა მოქალაქეთა დაშინებაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო რეგიონებში, სადაც ოპოზიციის მომხრე ადგილობრივ გავლენიან პირებს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები აიძულებდნენ – ან შეეწყვიტათ აქტიურობა, ან სააკაშვილის სასარგებლოდ ემოქმედათ;

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები აღარ სცემენ ყველა დაკავებულს, კვლავ გვხვდება სასტიკი წამების ფაქტები და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, არ ხდება ამ ფაქტების სათანადო გამოძიება. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ამ მოხსენებაში მოყვანილი ალექსი ბახუტოვის, ასევე ახალგორისა და მარტყოფის ბავშვთა სახლების აღსაზრდელების საქმეები. წამების კვალიფიკაცია არ იქნა გამოყენებული შსს კონსტიტუციური ოპერატიული დეპარტამენტის (კუდის) იმ თანამშრომლების მიმართ, ვინც 2006 წლის იანვარში სასტიკად აწამეს სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე, რაც სანდრო გირგვლიანის სიკვდილით დასრულდა. მკვლელებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა 7 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რაც საანგარიშო პერიოდში 6-6 თვით შეამცირა უზენაესმა სასამართლომ;

კვლავ არ დასჯილან და შსს-ში მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ ის პოლიციელები, ვინც მონაწილეობა მიიღო 2004 წლის 2 ნოემბერს პოლიციის მიერ მოკლული ამირან რობაქიძის საქმის მტკიცებულებების გაყალბებაში (იხ. სახალხო დამცველის 2004 წლის მოხსენება, ასევე 2006 წლის პირველი და მეორე ნახევრის მოხსენებები);

კვლავ არ არის გამოძიებული თბილისის ცენტრში საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის, ვალერი გელაშვილის სასტიკი ცემის ფაქტი, რაც როგორც მინიმუმ პოლიციის არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს;

არის ფაქტები, როცა შსს სამინისტროს მაღალჩინოსნები ძალაუფლებას პირადი შურისძიების მოტივით იყენებენ და ამის გამო მათ პასუხი არ მოეთხოვებათ. ამის ნათელი მაგალითი იყო 2007 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში აღწერილი შემთხვევა, როდესაც შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდის) უფროსმა ერეკლე კოდუამ მის მეგობარ გოგონასთან მობილურ ტელეფონზე ღამის ორ საათზე გაშვებული ზარის გამო დააპატიმრებინა სამი უდანაშაულო ახალგაზრდა, რომლებიც აწამეს და „ჩაუდეს“ ნარკოტიკები (სუბოტექსი) და ყუმბარები; პოლიციელებმა ამ სამი პირის წინააღმდეგ მისცეს ცრუ ჩვენება, თითქოს ისინი მათ დაკავების დროს წინააღმდეგობას უწევდნენ; სოდში შექმნეს ყალბი მტკიცებულებები, თითქოს ეს სამი პირი იყო კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი; მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და სიცხადისა, არც ერთ კოდუას და არც სხვა დამნაშავე პირებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია;



პოლიცია ხშირად გამოიყენებოდა იმ უკანონო ბრძანებების აღმასრულებლად, რომლებიც პოლიტიკის ნაწილი იყო; მაგალითად, დევნილების გამოსახლება მათ მიერ კანონიერად დაკავებული საცხოვრებელი ფართებიდან (აჭარა, 2006 წელი; თბილისი 2007 წელი და სხვ.), მენარმეების გამოსახლება მათ მიერ კანონიერად დაკავებული ფართიდან (მაგ. „სონი ცენტრისა“ და კაფე „რუსთაველის“ საქმე, იხ. სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის მოხსენება);

საპროტესტო აქციის ღარკვა

2007 წლის 7 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის, ხელკეტების, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაარბიეს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეები.

სახალხო დამცველის რწმუნებულები მუდმივად ადევნებდნენ თვალყურს 2-7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციების მსვლელობას და მონიტორინგს უწევდნენ მის შედეგებს. სახალხო დამცველმა შეისწავლა საპროტესტო აქციის მონაწილეების არაერთი განცხადება. შესწავლის შედეგად მკაფიოდ ჩანს, რომ პოლიციის მიერ მიტინგის დარბევის დროს გამოყენებული ძალა და მეთოდები ხშირად წამების ტოლფასი იყო. სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა რეკომენდაციით, გამოიძიოს 7 ნოემბერს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება (დეტალურად იხ. წინამდებარე მოხსენების შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების თავი).

Human Rights Watch კრიტიკულად აფასებს 7 ნოემბრის მოვლენებს და მიუთითებს, „7 ნოემბერს თბილისში ძალოვანი უწყებების ასობით წარმომადგენელმა სასტიკად დაარბია ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქცია, თავს დაესხა და დახურა ტელეკომპანია იმედი, დაშავდა დაახლოებით 500 ადამიანი, მათ შორის ზოგიერთი – მძიმედ. ამ ქმედებებმა გამოიწვია ადამიანის უფლებათა კრიზისი ქვეყანაში. Human Rights Watch-ის ანგარიშში „Crossing the Line“ მოცემულია 4 სხვადასხვა შემთხვევა, როცა პოლიციამ გამოიყენა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები მშვიდობიანი აქციის დასარბევად. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (მათ შორის ნილბიანები) დაედევნენ გაქცეულ დემონსტრანტებს, მიუხედავად მათი ასაკისა, ურტყამდნენ ნიხლებს, მუშტებს, ხელკეტებსა და სხვა საგნებს. მძიმედ შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ტელეკომპანია „იმედიში“, დაემუქრნენ და გარეთ გამოყარეს თანამშრომლები, დააზიანეს და გაანადგურეს ტელეკომპანიის აპარატურის უმეტესი ნაწილი. საქართველოს ხელისუფლება აღნიშნავდა, რომ სამართალდამცავთა ამგვარი ქმედებები მიმართული იყო მასობრივი არეულობის თავიდან ასაცილებლად, თუმცა აღნიშნული ვერ გაამართლებს გამოყენებული ძალის ხარისხს.“

Human Rights Watch მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირსა და რიყეზე გამართული აქციის მონაწილეების დარბევისა და ძალის გადამეტებულად გამოყენების, ასევე ტელეკომპანია „იმედის“ სტუდიის გარეთ მომხდარი ფაქტების დამოუკიდებელი და ყოველმხრივი გამოძიებისკენ. ამასთან, გამოძიება არა მხოლოდ რამდენიმე ინციდენტზე უნდა დაიწყოს, არამედ ზოგადად იმის დასადგენად, გადამეტებული ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეესაბამებოდა თუ არა ადამიანის უფლებათა შიდა და საერთაშორისო სამართალსა და სტანდარტებს.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები უპასუხოდ ტოვებენ სახალხო დამცველის წერილებს, რითაც უხეშად არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას (იხ. დანართი: ე.კაკაბაძის საქმე, ყოლანდარია მზიანას საქმე).

„სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მასალეები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს სახალხო დამცველის თანხმობით“. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა ინვეს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.



შინაგან საქმეთა სამინისტროში ენ. „ვარდების რევილუციის“ შემდეგ დამკვიდრდა სხვის საკუთრებაში არსებული მანქანების ჩამორთმევისა და პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა. შს თანამშრომლები პირდაპირ ნადირობენ ძვირფას ავტომანქანებზე, ართმევენ მათ მესაკუთრეებს და თავად სარგებლობენ ჩამორთმეული ქონებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა შეისწავლა დიმიტრი სვანიძის საქმე, რომელსაც კანონდარღვევით, უსაფუძვლოდ ჩამოერთვა მანქანა „რეინჯროვერი“ (გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი DIT 001, საიდენტიფიკაციო ნომერი – SALLMANA42A104062, სარეგისტრაციო ნომერი AE0081793) და გადაეცა საქართველოს შსს სამინისტროს (იხ. დანართი: დ. სვანიძის საქმე).



სახალხო დამცველმა შეისწავლა მოქალაქე ალექსი ბახუტოვის საქმე, რომელიც პოლიციის უსამართლობაზე, კანონის უხეშ დარღვევაზე, მოქალაქის მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მეტყველებს. საქმეში იკვეთება დარღვევები სხვა უწყებების მხრიდანაც. ლაშა ჩოფიკაშვილი, ვისი განზრახ მკვლელობისთვის ა. ბახუტოვს 2007 წლის 24 აგვისტოს თელავის რაიონულმა სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ცოცხალია და სოფელ ჯულაანში, მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში იმყოფება. პოლიციის მიერ სასტიკი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად ა.ბახუტოვმა და მისმა გერმა ირაკლი ციციშვილმა აღიარეს დანაშაული, რომელიც ალექსი ბახუტოვს არ ჩაუდენია და ა. ბახუტოვი ახლა სასჯელს იხდის ამ „დანაშაულისთვის“, ალექსი ბახუტოვის, ირაკლი ციციშვილისა და ამ საქმესთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე პირის წამების ფაქტის გამოძიება კი, პრაქტიკულად, გაჩერებულია (იხ. დანართი №7: ალექსი ბახუტოვის საქმე).



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციორების, პოლიციის განყოფილებებისა და თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტების მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად 2007 წლის მეორე ნახევარში კვლავ პოლიციის საქმიანობის კონტროლი, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება დარჩა. სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტში არსებული მონიტორინგის ჯგუფი საანგარიშო პერიოდში აქტიურად ახორციელებდა პოლიციის რაიონული განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, დროებითი მოთავსების იზოლაციორებისა და ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლაციორის მონიტორინგს. მონიტორინგის ჯგუფის წევრები ძირითადად ყურადღებას სამართალდამცავთა მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის, სხვა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე, პოლიციის მიერ სსსკ-ით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შესრულებაზე ამახვილებდნენ.

2007 წლის პირველი ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქართველოში არსებულ პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლაციორებში სულ 411 ვიზიტი განახორციელეს.

2007 წლის ივლისი-დეკემბრის თვეებში მონიტორინგის შედეგად დაკავებულთა შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის არ არსებობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების არასრული რეგისტრაცია და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისათვის სამსაათიანი დაკავების ვადის დარღვევები. საგულისხმოა, რომ 2007 წლის სექტემბრის თვიდან შს განყოფილებებსა და სამმართველოებში ე.წ. მორიგის შტატი გაუქმდა და მათ მოვალეობას საუბნო ჯგუფის ინსპექტორები ასრულებენ. უმეტეს მათგანს ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, რაც პირდაპირ აისახებოდა შს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნივსსა და საპყრობილეში (დ.მ.ი) გადაყვანილ პირთა რეგისტრაციის ჟურნალზე. მონიტორინგის განხორციელებისას თითქმის ყველა მათგანი მიუთითებდა, რომ პრაქტიკული საქმიანობის დანყებად მათთვის არც მითითებები მიუციათ და არც შესაბამისი ინსტრუქცია. მონიტორინგის განხორციელებისას ხდება დეტალურად ახსნა, თუ რა კონკრეტული მონაცემები უნდა შეიტანონ თითოეულ გრაფაში, როგორ მიეთითება დაკავების დრო და ა.შ.

■ ქუთაისის მასშტაბით მონიტორინგის განხორციელებ-

ბისას არაერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როცა დაკავებული შ.ს. განყოფილებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში რამდენიმე საათის შემდეგ გადაიყვანეს. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევის დროს პირის დაკავება 16.12.07 დაახლოებით დილის 05 საათზე მოხდა, ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა 23:10 საათზე. მსგავს შემთხვევებში გამოძიებლები ამბობენ, რომ დაკავებულის ვინაობის დადგენა (პირადობის მონიშვნის არ ქონის შემთხვევაში ფოტო გადაღება), ალკოჰოლური თრობის და სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაყვანა დიდ დროს საჭიროებს, რაც საბოლოო ჯამში დ.მ.ი-ში გადაყვანის დავიანებას იწვევს. ღამის საათებში დაკავების შემთხვევაში აზრი ლოგიკას მოკლებული არაა, თუმცა ამ მიზეზების გარდა იზოლატორში გადაყვანას ისიც აჭიანურებს, რომ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები (მაგალითად დაკითხვა, ამოცნობა) უშუალოდ განყოფილებაში ტარდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიყავთ დაკავებული იზოლატორში.

- მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა დაკავებული პირდაპირ გამოძიებლის სამუშაო ოთახში შეიყვანეს. მსგავს შემთხვევაში ე.წ. სამორიგეო ნაწილში შეყვანა, სხეულის გარეგნული დეტალები, შესაბამის ნიგნებში მონაცემების შეტანა ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ განყოფილებიდან გაყვანის წინ ხდება.
- იმერეთის მასშტაბით მონიტორინგის განხორციელების დროს გამოვლინდა, რომ განყოფილების თანამშრომლების მიერ ძებნილის დაკავების შემთხვევაში მოქმედების პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ანუ მათი ნაწილი ძებნილს ჯერ შს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნში ატარებს და შემდეგ საპრობილეში გადაყვანილ პირთა რეგისტრაციის ჟურნალში, ხოლო ნაწილი – იმთავითვე საპრობილეში გადაყვანილ პირთა რეგისტრაციის ჟურნალში და გადაყავთ საპრობილეში.
- ერთ-ერთი სადავო საკითხი, რაც მონიტორინგის დროს ვლინდება ადმინისტრაციული დაკავების და შემდგომ პროცედურებს უკავშირდება. ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდეგ, დაკავებული გადაჰყავთ პოლიციის განყოფილებაში, ამზადებენ დოკუმენტებს და მიჰყავთ ნარკოტიკული თრობის დასადგენად შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში. იმის გამო, რომ სათანადო საექსპერტო დაწესებულებების რიცხვი არც ისე დიდია, ე.წ. სამ საათიან ვადაში შემონმება ვერ ესწრება, რის გამოც დაკავებული წერს ფორმალურ ხელწერილს, რომ დანიშნულ დროს გამოცხადდება პოლიციის განყოფილებაში (ან სასამართლოში), რეალურად კი პოლიციელთა გვერდით იმყოფება. კანონის თანახმად, თუ დაკავება სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ან არასამუშაო დროს ხდება, სასამართლოში წარდგენამდე დაკავებული შეიძლება დროებითი მოთავსების იზოლატორში იქნეს გადაყვანილი. ხშირად, მსგავს შემთხვევაში დაკავებული დებს ხელწერილს, რომ მოთხოვნის შესაბამისად გამოცხადდება პოლიციაში და მას ათავისუფლებენ. იგივე წესი მოქმედებს, სანამ დაადგენენ დაკავებულის მიერ ნარკოტიკული მოხმარების პირველ თუ მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იმ მიზეზით, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებისას ნარკოტიკული თრობის შემონმება შესაბამის დაწესებულებაში არსებული გრძელი რიგის გამო 3 საათის განმავლობაში პრაქტიკულად ვერ ხერხდება, მაღალმთიან რეგიონებში (ონი, ამბროლაური) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნებით დაკავება აზრს კარგავს.
- ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არის ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული წესით დაკავებულის მონაცემების შს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნში შეტანის შესახებ. მაგ, აბაშის რაიონულ განყოფილებაში განმარტეს, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ ადამიანს ნიგნში მხოლოდ მას შემდეგ ატარებენ, რაც სასამართლო სამართალდამრღვევად ცნობს და საპატიმრო სახდელს შეუფარდებს.
- დ.მ.ი-ს თანამშრომლები ხშირად საუბრობენ დაკავებულთა აბსტინენციის შესახებ. დაკავებულები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებლები არიან ე.წ. „ლომკის“ დროს განიცდიან ძლიერ ტკივილებს. მსგავს შემთხვევაში დ.მ.ი-ს რეაგირების მექანიზმი მხოლოდ სასწრაფო დახმარების გამოძახებით და ტკივილგამაყუჩებლის მიცემით შემოიფარგლება.
- ერთერთი საკითხი, რაც დასავლეთ საქართველოს პოლიციის განყოფილებების მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, პიროვნების ვინაობის დადგენის მიზნით შემონმებას უკავშირდება. პოლიციის განყოფილებაში ამბობენ, რომ თუ პიროვნება საკუთარი ნებით არ ამჟღავნებს ვინაობას, მათ დაკავების სამართლებრივი საფუძველი არ აქვთ. მეორე მხრივ, იგი შეიძლება იყოს ძებნილი ან გახდეს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, შესაბამისად ვინაობის დადგენამდე იგი პრაქტიკულად დაკავებული ხდება.
- ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ზოგჯერ კონფლიქტი იმდენად მწვავეა, რომ პოლიცია იძულებული ხდება ერთ-ერთი მხარე ოჯახს გაარიდოს. რეალურად ოჯახიდან ადამიანის წამოყვანა



შეიძლება დაკავებულ შეფასდეს, თუმცა პოლიციაში თავდაცვ ამბობენ, რომ ამის სამართლებრივი საფუძველი არ აქვთ.

■ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირების დოკუმენტაციის გაცნობით ირკვევა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ათვლა არაერთგვაროვნად ხდება. მაგალითად, ზოგიერთი მოსამართლე ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ათვლის საწყისად დმი-ში მოთავსების დროს უთითებს და არ ირკვევა, უნდა ჩაეთვალოს თუ არა მას პატიმრობის ვადაში დაკავების რამდენიმე საათი. ასევე დაკონკრეტებას საჭიროებს სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფთა მიერ ადმინისტრაციული სახდელის მოხდისას საიდან უნდა დაიწყოს ვადის ათვლა.

პოლიციის განყოფილებების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება დროებითი მოთავსების იზოლატორების ტექნიკური მდგომარეობა. მართალია, ზოგიერთ შენობას ჩაუტარდა რემონტი და შედარებით გაუმჯობესდა პირობები, მაგრამ თითქმის ვერც ერთ იზოლატორში დღემდე ვერ მოხერხდა საშხაპის, სამედიცინო ოთახის, წყალგაყვანილობის და სავენტილაციო სისტემის მონესრიგება. 2007 წლის მეორე ნახევრის მდგომარეობით შს სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება 53 დროებითი მოთავსების იზოლატორი, აქედან გარემონტდა – 26, რაც შეეხება დედოფლისწყაროს, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, გორის, ხაშურის, ქარელის, გარდაბნის, ადიგენის და ნინოწმინდის დროებითი მოთავსების იზოლატორებს ისინი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის, ახალციხისა და ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარდა რემონტი, მათ არ აქვთ ფანჯრები, რის გამოც ვერ ხდება მათი ბუნებრივი ვენტილაცია. ზემოაღნიშნულის გარდა, საკნები ძლიერ ნესტიანია, რაც იქ განთავსებული პატიმრების ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს.

აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირთათვის, რომლებსაც ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. ისინი ჩივიან თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ პირობებზე. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა იზოლატორის კოსმეტიკური გარემონტება, კვლავ პრობლემად რჩება წყალგაყვანილობა, საკნების სინესტე და სავენტილაციო სისტემა.

სახალხო დამცველმა შს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში გაიგზავნა მიმართვა ადმინისტრაციული წესით შსს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირების კახაბერ ქარდავასა და დავით გაბელაშვილის არაადამიანურ პირობებთან დაკავშირებით. მათ არ ჰქონდათ სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და დაბანის საშუალება, ამასთანავე არ მიეწოდებოდათ სასმელად ვარგისი წყალი და საკანში არ ჰქონდათ საკმარისი განათება. ზემოაღნიშნული მიმართვის მიუხედავად, დაკავებული პირების მითითებით, მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. სახალხო დამცველს არც შინაგან საქმეთა სამინისტროდან და არც გენერალური პროკურატურიდან არ აცნობეს, რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ სამართალდარღვევებს.

განათება-ვენტილაციასთან დაკავშირებით გაეროს პატიმრებთან მოპყრობის „მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-11 წესის მიხედვით: „დანესებულებებში, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: (ა) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე“. მე-13 წესის თანახმად, „დასაბანი მონყობილობანი და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს

იმისათვის, რომ ყოველ პაციმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული, იზანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ, ზომიერი კლიმატის პირობებში – კვირაში ერთხელ მაინც“, ხოლო, მე-15 წესი მიუთითებს, რომ „პაციმრებს მოეთხოვებათ, ყოველთვის იყვნენ სუფთად. ამისათვის საჭიროა მათი მომარაგება წყლითა და პირადი ტუალეტისთვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად“.

ანალოგიური პრინციპები მოცემულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის №რ(87)3 რეკომენდაციაში წევრ სახელმწიფოთათვის ციხის ევროპული წესების შესახებ, რომლის მე-15 წესის თანახმად პაციმრების განთავსების ადგილები, განსაკუთრებით, ყველა საძინებელი სათავსო, უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით, ჰაერის კუბურ შემცველობას, ფართს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას.

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის ადგენს, რომ ჰაერისა და საკმარისი განათების უქონლობა ქმნის დამამცირებელი მოპყრობის პირობებს. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლაციურებში არსებული მძიმე პირობებით ილახება დაკავებული პირების ღირსება და ირღვევა მათ უფლებები.

თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული პაციმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) მონიტორინგი

სახალხო დამცველის რწმუნებულები 2007 წლის მეორე ნახევარშიც განაგრძობდნენ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში მოქმედი ჰაუპტვახტების მონიტორინგს, თუმცა მათ მუდმივად პრობლემები ექმნებოდათ. კერძოდ, არ ეძლეოდათ ჰაუპტვახტის ტერიტორიაზე შესვლის საშუალება. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არაერთი დაპირების მიუხედავად, მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა.

2007 წლის 23 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტში (გორი) იმყოფებოდნენ, სადაც ჰაუპტვახტის უფროსმა მათ შემომწმების უფლება არ მისცა იმ მიზეზით, რომ სამმართველოს უფროსი გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან, ხოლო ახალი უფროსი ჯერ დანიშნული არ იყო.

2007 წლის 24 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები ვერც თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტის ტერიტორიაზე შევიდნენ, ხოლო 2007 წლის 4 მაისს მათ არ მიეცათ ქ. სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე განლაგებული სამხედრო პოლიციის ჰაუპტვახტში მონიტორინგის საშუალება.

2007 წლის 11 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს დახმარებისთვის მიმართეს ადვოკატებმა დ. ხაჩიძემ და ლ. ჭინჭარაულმა, რომელთაც სურდათ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტში მონახულება და რისი უფლებაც მათ ვერ მოიპოვეს.

სახალხო დამცველის რწმუნებულები ადგილზე შეეცადნენ ვითარების გარკვევას, თუმცა შენობის შესასვლელთან მდგომმა გუშაგმა ისინი არ შეუშვა. მიუხედავად სამსახურებრივი მონახულების წარდგენისა და განმარტებისა, რომ მათ შენობაში შესვლის უფლება ჰქონდათ, სახალხო დამცველის რწმუნებულებს ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა სამართალდარღვევის ოქმი, რადგან ამ ქმედებით სამხედრო მოსამსახურებმა დაარღვიეს „სახალხო დამცველის შესახებ“



ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და არ შეასრულეს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა, რისი უფლებაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებს დელეგირებული აქვთ ამავე კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734-ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით 800-დან 2000 ლარის ოდენობამდე.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ამ კანონით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით და აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება.“

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განიხილა სახალხო დამცველის რწმუნებულების მიმართ რეგიონული სამმართველოების სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მონიტორინგის განხორციელებისას დაბრკოლებების ფაქტები. თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული წერილის თანახმად, მონიტორინგის განხორციელებისას სახალხო დამცველის თანამშრომლებისთვის დაბრკოლების შექმნის გამო თანამდებობიდან გათავისუფლდნენ როგორც სამხედრო პოლიციის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს, ისე ჰაუბტვახტის უფროსი და ჰაუბტვახტის მორიგის სამი თანაშემწე.

სამსახურიდან დაითხოვეს ასევე თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გუშაგი, ხოლო მის ხელმძღვანელს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა.

კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუბტვახტის მონიტორინგისას წარმოქმნილი დაბრკოლება, რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელობის განმარტებით, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შემონიშნის პერიოდში სამხედრო დანაყოფის ტერიტორიაზე, უცხოელი დამკვირვებლის მონაწილეობით ტარდებოდა სამხედრო სასწავლო წვრთნები და შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მორიგეს დავალებული ჰქონდა წვრთნებში უშუალო მონაწილე პირების გარდა არავინ დაეშვა ნაწილის ტერიტორიაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დაავალა შესაბამისი ზომების გატარება, მომავალში სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მონიტორინგის განხორციელებისას დამაბრკოლებელი გარემოებების მაქსიმალურად გამოორიციების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 2007 წლის 27 სექტემბერს თბილისის №4 ბრიგადის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები არ შეუშვეს სამხედრო ქვედანაყოფის ტერიტორიაზე, რის გამოც ვერ მოხერხდა მათი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შესაბამისი რეაგირებისა და №4 ბრიგადის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვების მიზნით გაიგზავნა წერილი. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2007 წლის 27 სექტემბერს თბილისის №4 ბრიგადის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეებს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რის გამოც სერჟანტ თ.შავერდაშვილს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა „საყვედურის“ სახით, ხოლო სახალხო დამცველის რწმუნებულის №4 ბრიგადის ტერიტორიაზე არ დაშვების ფაქტთან დაკავშირებით მასალები გაეგზავნა №4 ბრიგადის მეთაურს შემდგომი რეაგირებისთვის.

2007 წლის ივლისი-დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს სისტემაში არსებულ ჰაუპტვახტებში სულ 9 ვიზიტი განახორციელეს. აქედან 5 შემთხვევაში მათ არ მიეცათ ჰაუპტვახტებში მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ერთი და იმავე მიზეზით, კერძოდ, სამმართველოსა და ჰაუპტვახტის უფროსები იმყოფებოდნენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში თათბირზე და მათი ნებართვის გარეშე ჰაუპტვახტში შესვლა აკრძალული იყო.

რაც შეეხება ჰაუპტვახტებში არსებულ მდგომარეობას, ამ მხრივ საგულისხმოა ნამების სანიანალმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წელს გაკეთებული მოხსენება. მასში მითითებულია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან 2007 წლის 11 მაისს მიღებული წერილის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი დახურულია შესაბამისი პირობების არარსებობის გამო. თუმცა ხსენებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და აღნიშნული ჰაუპტვახტი ფუნქციონირებდა, რის შესახებაც ეცნობა ნამების სანიანალმდეგო ევროპულ კომიტეტს. თბილისის ჰაუპტვახტი დაიხურა. მოქმედი ექვსი ჰაუპტვახტიდან მხოლოდ ორი – სენაკისა და ვაზიანის ჰაუპტვახტები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. დანარჩენში კი გაუსაძლისი და ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი პირობებია. ამასთან, ვაზიანში გაიხსნა ახალი ჰაუპტვახტი.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დეკემბრის თვეში განახორციელეს მონიტორინგი სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ახალაშენებულ ჰაუპტვახტში, რომელიც ნოემბრის თვიდან მოქმედებს. ჰაუპტვახტში არსებული პირობები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. მონიტორინგის განხორციელების დროს ჰაუპტვახტში მოთავსებული იყო 24 სამხედრო მოსამსახურე, იყო 26 საკანი, მათ შორის 2 – ოთხადგილიანი და 24 – ორადგილიანი. ორადგილიანი საკნების საერთო ფართობი დაახლოებით 7 მ²-ს შეადგენდა, ხოლო ოთხადგილიანის – 14 მ²; საკნებს ჰქონდა ფანჯრები და ბუნებრივი განათება. ამასთან, საკნების განათება ხდებოდა საკნის შესასვლელი კარის ზემოთ დამონტაჟებული ელექტროსანათურით; საკნებში დამონტაჟებული იყო გათბობის სისტემა, სველი წერტილები (დერეფნის ბოლოს საშხაპეები) და ფუნქციონირებდა საპირფარეოები. ჰაუპტვახტში მოქმედებდასასადილო და სამხედრო პირთა კვება დღეში სამჯერ ხდებოდა.



2007 წლის მეორე ნახევარში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სასჯელალსრულების დაწესებულებებში სულ 160 ვიზიტი განახორციელეს და 913 პატიმარი მოინახულეს.

სასჯელალსრულების სისტემაში უფლებრივი თვალსაზრისით ვითარება წინა წლებთან შედარებით მკვეთრად არ შეცვლილა.

გადატვირთულობა, პატიმრებთან მკაცრი მოპყრობა, არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება, არაადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა, რეაბილიტაცია-რესოცი-ალიზაციის პროგრამების არ არსებობა საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა.

პატიმრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები მიზნად ისახავს არა მხოლოდ საზოგადოების დაცვას

დამნაშავეებისგან, არამედ უთითებს პატიმართა შეძლებისდაგვარად რეაბილიტაციის აუცილებლობაზე. აღნიშნული მიზანი მიიღწევა როგორც კანონმდებლობის სრულყოფითა და ჰუმანიზაციით, ისე სისტემაში სათანადო პირობების შექმნით.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. სასჯელალსრულების დეპარტამენტთან მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე წარდგინებით მიმართავს სასამართლოს („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი).

საანგარიშო პერიოდში – 2007 წლის მეორე ნახევარში – კომისიამ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით განიხილა 653 განცხადება, რომელთაგან მხოლოდ 97 გააგზავნა სასამართლოში, ხოლო 556 პატიმარს ეთქვა უარი.

2007 წლის პირველ ნახევარში კომისიამ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით განიხილა 686 განცხადება, რომელთაგან მხოლოდ 182 გააგზავნა სასამართლოში, ხოლო 504 პატიმარს ეთქვა უარი.

2006 წლის მეორე ნახევარში –

კომისიამ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით განიხილა 401 განცხადება, რომელთაგან მხოლოდ 56 გააგზავნა სასამართლოში, ხოლო 345 პატიმარს ეთქვა უარი.

ზემოაღნიშნული საკითხის დარეგულირება ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის რეორგანიზაციითაა შესაძლებელი. კერძოდ: მოქმედი კანონის თანახმად, სასჯელის გარკვეული ვადის მოხდის შემდეგ პირი ექვემდებარება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმრის პირობითი ვადაზე ადრე გათავისუფლება იმ ვადაში, რასაც კანონი ითვალისწინებს, უნდა მოხდეს ავტომატურად, კომისიის ჩარევის გარეშე. მხოლოდ, იმ პირობით, რომ დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება ჰქონდეს, დისციპლინის ყოველი დარღვევისთვის პატიმარს გარკვეული ვადით გაუგრძელოს პატიმრობა. ეს ვადა მოაკლდება პირობითი ვადაზე ადრე გათავისუფლების დროს და მიემატება პატიმრობის ვადას. მაგ. პირს მისჯილი აქვს 4 წელი და კანონი ითვალისწინებს, რომ ნახევარი ვადის მოხდის შემდეგ ის შეიძლება ვადაზე ადრე გათავისუფლდეს. დღეს ეს გათავისუფლება ხორციელდება საკმაოდ მოუქნელი სისტემით. კერძოდ: ციხის ადმინისტრაცია წარადგენს საბუთებს კომისიაში, რომელიც სწავლობს ამ საქმეს (რაც ხშირად იწვევს დროში) და, თუ შესაძლებლად მიიჩნევს გათავისუფლებას, საბუთებს აგზავნის სასამართლოში, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ პირს თუნდაც ერთი საყვედური აქვს, ეს შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ მას უარი ეთქვას პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე. სახალხო დამცველის მიერ შემოთავაზებული სისტემით პირი, რომელმაც 2 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დაარღვია დისციპლინა და გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით, ავტომატურად თავისუფლდება, თუმცა, ადმინისტრაციას უფლება აქვს, დისციპლინის ყოველი დარღვევისთვის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პერიოდს მოაკლოს გარკვეული დღეები და მათ ხარჯზე გააგრძელოს პატიმრობის ვადა. ეს შეიძლება იყოს 1 დღიდან (უმცირესი დარღვევისთვის) 30 დღემდე ან უფრო მეტიც (სერიოზული დარღვევისთვის). ამგვარი მიდგომა იმას გამოიწვევს, რომ პატიმრებს ექნებათ მეტი მოტივაცია, არ დაარღვიონ დისციპლინა და უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებული რესოციალიზაციისკენ.



რაც შეეხება სასჯელალსრულების დაწესებულებაში არსებულ პირობებს, ძველ დაწესებულებებში წინა წლებთან შედარებით ვითარება არ შეცვლილა.

გადატვირთულობა, პატიმართა დიდი რაოდენობა ისევ პრობლემას წარმოადგენს.

2007 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით:

- ქსნის №7 საერთო მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება: გათვალისწინებულია 1336 პატიმარისათვის, განთავსებული იყო 1814 პატიმარი;
- ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილე: გათვალისწინებულია 305 პატიმარისათვის, განთავსებული იყო 529 პატიმარი;
- ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში საპყრობილე გათვალისწინებულია 250 პატიმარზე, იმყოფებოდა 1033 პატიმარი;
- ქ. თბილისის №5 საპყრობილე: გათვალისწინებულია 2020 მსჯავრდებულზე, განთავსებული იყო 5276 პატიმარი.

ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ პატიმართა რაოდენობის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, საპყრობილეში „რეზინის სტანდარტი“ იყო დამკვიდრებული – იქ იმდენ ადამიანს ათავსებდნენ, რამდენიც მივიდოდა.

გლდანში აშენდა №8 საპყრობილე, რომელიც ჩაანაცვლებს თბილისის №5 საპყრობილეს. გლდანის



საპრობილე საერთაშორისო სტანდარტების დაცვითაა აშენებული. იგი შედგება 6 კორპუსისა და სამედიცინო დაწესებულების შენობისგან. საპრობილეში 2, 4, 6, 8 და 10 ადგილიანი 594 საკანია. არის 37 ერთადგილიანი კარცერის ტიპის საკანი. საპრობილე 3592 პატიმარზეა გათვლილი. 2007 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მასში 2478 პატიმარი იყო მოთავსებული. ყოველ კორპუსს აქვს ორი აბანო, თითოეულში 8 საშხაპეა.

მთელ შენობაში, ყველა საკანსა და კარცერებში დამონტაჟებულია გათბობის, ცივი და ცხელი წყლის სისტემები, სველი ნერტილები. საკნებში დიდი ზომის ფანჯრებია. შენობის ზედა სართულზე მონყო-ბილია სპეციალური ადგილები პატიმართა სეინობისთვის. პაემნებისთვის განკუთვნილია 28 კაბინა. გამოძიებლებთან და ადვოკატებთან შესახვედრად კი 44 ოთახია გამოყოფილი.

სახალხო დამცველი მიესალმება ახალი საპრობილის შენობის ექსპლუატაციაში შესვლას და მიუთითებს, რომ დაწესებულებაში ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და არ შეილახოს იქ მყოფ პირთა ღირსება.

პატიმართა ცემა-ნამება

საანგარიშო პერიოდში იკლო პატიმართა ცემისა და ნამების ფაქტებმა, თუმცა აღნიშნული კვლავ რჩება პრობლემად. ამ თემისადმი ადმინისტრაციის დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა ქუთაისის №2 საპრობილის ერთ-ერთი თანამშრომლის ნათქვამში, როცა მან პირად საუბარში გამოთქვა: „აბა, სიმკაცრე რომ არ ყოფილიყო და ძალა რომ არ გვენახებინა პატიმრებისთვის, ისინი „ბატონო კონტროლიორთი“ კი არ მოგვმართავდნენ, როგორც ახლა მოგვმართავენ, არამედ ისევე „ეი, კლუნიკს“ დაგვიძახებდნენ“.

პატიმართა ცემა-ნამების, მათ მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობით საანგარიშო პერიოდში კვლავ ქუთაისის №2 საპრობილე და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება გამოირჩეოდნენ.

ზოგადად, საერთაშორისო გამოცდილებით, არსებობს სამი კრიტერიუმი, რომელსაც პენიტენციური სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმისთვის, რომ იგი სტაბილური იყოს: უსაფრთხოება, კონტროლი და სამართლიანობა. „უსაფრთხოება“ ნიშნავს სასჯელადსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებას, თავიდან აიცილოს პატიმრების გაქცევა, „კონტროლი“ – თავიდან აიცილოს პატიმრების მიერ არეულობის მოწყობა და „სამართლიანობა“ – პატიმრებს მოექცეს ჰუმანურად და სამართლიანად და მოამზადოს ისინი საზოგადოებაში დასაბრუნებლად.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები უნდა დაბალანსდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული კანონის უგულვებელყოფა, პატიმრების მიმართ გადაჭარბებული ძალის გამოყენება და მათი უფლებების დარღვევა.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში ძალადობას მაინც აქვს ადგილი და ხშირ შემთხვევაში, პატიმართა მიმართ ფიზიკური ზეწოლის ფაქტებზე გამოძიება არასწორი კვალიფიკაციით იწყება ან საგამოძიებო ორგანო სასჯელადსრულების თანამშრომელთა ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო წყვეტს გამოძიებას, თუმცა სახეზეა ამკარა ნიშნები, რომ აღნიშნული შეგნებული ქმედებაა (იხ.დანართი №8: ლ.მანაგაძისა და გ. ლვინიანიძის საქმე, ზ. ვიბლიანის საქმე).

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლში 2006 წლის 28 აპრილს შესული ცვლილე-

ბით განისაზღვრა სასჯელალსრულების დანესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის განმარტოციელებელი მუდმივმოქმედი კომისიების სტატუსი. ამგვარი კომისია დღეს სასჯელალსრულების 18 დანესებულებიდან მხოლოდ 11 დანესებულებაში დაკომპლექტებული.

პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კომისიის ამოცანებს წარმოადგენს სასჯელალსრულების დანესებულების ადმინისტრაციისათვის დახმარების განევა მსჯავრდებულთა განთავსების, სწავლების, მუშაობის, კვების, სამედიცინო მომსახურების, მათზე ზედამხედველობის განხორციელებისა და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტაში“.

საზოგადოებრივი კონტროლის კომისიებს მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. კომისიის წევრები, დანესებულებაში ვითარების დეტალური შესწავლის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტს წარუდგენენ ანგარიშს იქ არსებული პრობლემების შესახებ. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტს კომისიების არცერთ ანგარიშზე დღემდე რეაგირება არ მოუხდენია.

რეკომენდაცია: სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მეტი ყურადღება გამახვილდეს კომისიების ანგარიშებზე. ამასთან, პერმანენტულად მოხდეს კომისიის წევრების გადამზადება და მათი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყოს საჭირო მინიმალური რესურსი (საწვავი, საკანცელარიო ნივთები, ტელეფონი და ა.შ).



2008 წლის 5 იანვარს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელში მონაწილეობის საშუალება სასჯელალსრულების დანესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს არ მიეცათ იმის გამო, რომ მათ პირადობის მონმობები არ აქვთ. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასჯელალსრულების ადმინისტრაციამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი. კერძოდ,

- „1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
- 2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუწნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დანესებულებაში“.

საქართველოს სასჯელალსრულების დანესებულებებში (ქ. თბილისის №8, ქ. ქუთაისის №2, ზუგდიდის №4 და ქალთა და არასრულწლოვანთა დანესებულების ქალთა საპრობილე) დარეგისტრირებული 1606 პატიმრიდან მხოლოდ 55 პატიმარს მიეცა ხმის მიცემის შესაძლებლობა. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პატიმრებზე დგება სპეციალური სია, რომელშიც, ამომრჩეველის სხვა მონაცემებთან ერთად, შეაქვთ მოქალაქის პირადი ნომერი. „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ განყოფილებაში პატიმრის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასჯელალსრულების ადმინისტრაციამ დაარღვია კანონის მოთხოვნა და ვერ უზრუნველყო პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლება.

რეკომენდაცია: საჭიროა, მოგვარდეს პატიმართა პირადობის მონმობებთან დაკავშირებული პრობლემები, რათა ყველა პატიმარს შემდგომში მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.



წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელია პატიმართა ინფორმირება საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.

საკანონმდებლო ცვლილებები:

- 1) „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 29 ივნისს განხორციელდა ცვლილება და 30¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „მსჯავრდებულის მიერ სასჯელალსრულების დაწესებულების შინაგანანგის უხეში დარღვევა, ან სამსახურბრივი მოვალეობის შესრულების დროს სასჯელალსრულების დაწესებულების მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, – გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას არა უმეტეს 60 დღე-ღამის ვადით. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა, – გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას არანაკლებ 15 და არა უმეტეს 60 დღე-ღამის ვადით“.

სრულიად გაუგებარია ამ ცვლილების მიღების მიზანი და საჭიროება. ცვლილების მიღებამდე მოქმედი ნორმატიული აქტები იძლეოდა შესაძლებლობას, რომ დაწესებულების შინაგანანგის დარღვევისათვის პატიმარს დაკისრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი, იუსტიციის მინისტრის ბრძანებები: №365, 366, 367), ხოლო სამსახურბრივი მოვალეობის შესრულების დროს სასჯელალსრულების დაწესებულების მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში – სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი პუნქტი).

2) მართალია, იუსტიციის მინისტრის №365 (საერთო რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანანგის დამტკიცების თაობაზე) და №367 („საპყრობილის რეჟიმის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“) ბრძანებებით განმარტებულია ტერმინის „შინაგანანგის უხეში დარღვევა“ მნიშვნელობა, მაგრამ სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნულის დეფინიცია კანონშიც იყოს მოცემული.

3) კანონის 30⁵ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ ჩაითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში“. სახალხო დამცველს აღნიშნული ცვლილება მიუღებლად მიაჩნია. აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახით სასჯელის დამატებას.

ეს მოდელი საზღვარგარეთის არც ერთ ქვეყანაში არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ შვედეთი, ჰონგკონგი და დიდი ბრიტანეთი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას სასჯელის საერთო ვადაზე დამატებით, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული პირობებით. კერძოდ: შვედეთში მხოლოდ – 10 დღე, ჰონგკონგში – 30 დღე და დიდ ბრიტანეთში – არა უმეტეს 42 დღისა.

4) კანონის 30¹ მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს, სასჯელალსრულების დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით“. ამავე მუხლის მე-13 პუნქტში მითითებულია: „განკარგულებას ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად ღია სასამართლო სხდომაზე განკარგულების წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. დაუშვებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისათვის გადადება“.

აღნიშნული ცვლილებით პატიმარს ეზღუდება სასამართლოში დაცვისათვის სათანადოდ მომზადების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს ადვოკატი, დამცველის ასაყვანად მისთვის მიცემული დრო საკმაოდ შეზღუდულია.

სახალხო დამცველი კანონის ამ ცვლილებას უარყოფითად აფასებს და მიაჩნია, რომ ეს არ არის მისაღები ფორმა სასჯელალსრულების სისტემაში წესრიგის დასამყარებლად. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს სხვა სახის ღონისძიებებითაც. მაგალითად, ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის რეორგანიზაციით, რაც სერიოზულ ბერკეტებს შეუქმნის ადმინისტრაციას უწესრიგობის პრევენციის თვალსაზრისით (აღნიშნული მოდელი განხილულია მოხსენების სასჯელალსრულების სისტემის თავის პირველ ნაწილში).

2. 2007 წლის 25 მაისს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია: „არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელსაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ათავსებენ:

ა) თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვანთა აღმზრდელით დანესებულებაში;..“

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თორმეტი წლის მცირეწლოვანი, რომლის ფსიქიკა ჩამოყალიბების პროცესშია, სასჯელალსრულების სისტემაში არ უნდა მოხვდეს. მიზანშეწონილია მისი მოთავსება განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ საგანმანათლებლო ზედამხედველობის დანესებულებაში. აღნიშნული მოდელი კარგადაა აპრობირებული არაერთ ევროპული ქვეყანაში.

3. უკვე წელიწადნახევარზე მეტია, მომზადებულია პატიმრობის კოდექსის პროექტი, რომელშიც ბევრი ჰუმანური ასპექტია გათვალისწინებული (გრძელვადიანი პაემნები, შვებულებები და ა. შ.), რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს სასჯელალსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას. კოდექსის პროექტზე თავისი შენიშვნები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებმა წარადგინეს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კანონპროექტი ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ განიხილეს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტისთვის კოდექსის პროექტი ნაკლებად პრიორიტეტულია.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში მიიღოს პატიმრობის კოდექსი.

თუმცა, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია როგორც ახალ კოდექსში, ისე მოქმედ კანონმდებლობაში გაიზარდოს არასრულწლოვანთა შეხვედრების რაოდენობა.

რეკომენდაციები:

1. სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მეტი ყურადღება გამახვილდეს კომისიების ანგარიშებზე. ამასთან, პერმანენტულად მოხდეს კომისიის წევრების გადამზადება და მათი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყოს საჭირო მინიმალური რესურსი (სანვაჯი, საკანცელარიო ნივთები, ტელეფონი და ა.შ).
2. საჭიროა, მოგვარდეს პატიმართა პირადობის მონმობებთან დაკავშირებული პრობლემები, რათა ყველა პატიმარს შემდგომში მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელია პატიმართა ინფორმირება საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.



13

სიკვდილობის დონე, მასზე მოქმედი ფაქტორები და მიზეზები საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში

სიკვდილობის დონე არის სიდიდე, რომელიც მოიცავს სიკვდილობის რაოდენობას (ზოგადად ან რაიმე სპეციფიკური მიზეზით) გარკვეულ სამიზნე მოსახლეობაში და გათვლილია მოსახლეობის რაოდენობასა და დროის გარკვეულ მონაკვეთზე. სიკვდილობის დონე, როგორც წესი, გამოითვლება ერთეულებში, რომლებიც ასახავს სიკვდილის ერთ შემთხვევას ყოველ 1.000 ინდივიდზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. სიკვდილობის დონე განსხვავებული მაჩვენებელია **ავადობის დონისაგან**, რომელიც ასახავს ინდივიდთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებსაც აღენიშნებათ ესა თუ ის კონკრეტული დაავადება დროის გარკვეულ პერიოდში ან მოსახლეობის სიდიდიდან გამოთვლილი იმ ინდივიდთა რაოდენობა, რომლებიც მოცემულ მომენტში არიან დაავადებულნი რომელიმე კონკრეტული დაავადებით.

განირჩევა ასევე **სიკვდილობის დაახლოებითი დონე**, რომე-

ლიც ასახავს სიკვდილის საერთო რაოდენობას ყოველ 1.000 ინდივიდზე და **სიკვდილობის სტანდარტიზებული დონე** ანუ ასაკ-სპეციფიკური სიკვდილობის დონე, რომელიც ასახავს მოცემულ ასაკობრივ ზღვარში (მაგ.: 21-30 ან 65+) სიკვდილის შემთხვევების საერთო რაოდენობას ყოველ 1.000 ინდივიდზე. სტანდარტიზებული სიკვდილობის დონის შესწავლა გამოიყენება სიკვდილობის საერთო დონის შესწავლისას და იგი მოიცავს ინდივიდთა იმ ჯგუფებს, რომლებიც განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.

მკურნალობის ან სხვა სამედიცინო პროცედურების წარუმატებლობასთან დაკავშირებით განარჩევენ ასევე: **ადრეული სიკვდილობის დონეს**, რომელიც გულისხმობს სიკვდილის შემთხვევების საერთო რაოდენობას წარმართული მკურნალობის ადრეულ ეტაპზე ან ჩატარებული მწვავე მკურნალობის უშუალოდ დასრულების შემდგომ და **მოგვიანებითი სიკვდილობის დონეს**, რომელიც მოიცავს სიკვდილის შემთხვევების საერთო რაოდენობას მიმდინარე მკურნალობის მოგვიანებით ეტაპზე ან მწვავე მკურნალობის დასრულებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ (უკავშირდება მკურნალობას).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილობის დაახლოებითი დონე (იმგვარად, როგორც ზემოთ იყო განმარტებული), იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოყენებულია მოსახლეობის სრული რაოდენობის მიმართ, შეიძლება ქმნიდეს გარკვეულ გაურკვეველობებსა და ცდომილებებს. მაგალითად, ყოველ 1.000 ინდივიდ-

ზე სიკვდილის საერთო რაოდენობა შესაძლებელია, უფრო მაღალი იყოს განვითარებული ქვეყნებისათვის განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, მიუხედავად უკეთესი ჯანმრთელობის არსებული სტანდარტებისა განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული აიხსნება იმ ტენდენციით, რომ განვითარებულ ქვეყნებში უფრო მრავალრიცხოვანია მოსახლეობის მაღალი ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც ბუნებრივი მოსალოდნელი სიკვდილობა, მოცემულ დროის პერიოდში, უფრო მეტადაა მოსალოდნელი; ამგვარად, სიკვდილობის საერთო დონე შეიძლება იყოს უფრო მაღალი მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სხვა ჯგუფისათვის ანალოგიური მაჩვენებელი მინიმალურია.

სამეცნიერო დონეზე ასევე განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ სიკვდილობის დონეზე. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს:

- ინდივიდთა ასაკობრივ ფაქტორს;
- ნაკვებობის დონეს;
- კვების თავისებურებებსა და საცხოვრებელ პირობებს;
- უსაფრთხო სასმელი წყლისადმი ხელმისაწვდომობას;
- სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს;
- ინფექციური დაავადებების დონეს;
- ძალადობრივი დანაშაულის დონეს;
- კონფლიქტებს;
- ექიმთა რაოდენობასა და სამედიცინო მომსახურების დონეს.

სამედიცინო თვალსაზრისით, სიკვდილობისა და ავადობის დონის შესაფასებლად მიღებულია სპეციალური შეხვედრების (კონფერენციების) მონაწილეობა, სადაც განიხილავენ ყველა იმ ფაქტორს, რომელიც მოქმედებს აღნიშნულ პარამეტრებზე; ასევე განიხილავენ არსებულ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია მკურნალობის ან სხვა სამედიცინო ინტერვენციების დროს და მსჯელობენ გამოსწორების გზების შემუშავებასა და დანერგვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები „პატიმართა სიკვდილიანობის დინამიკის“ შესახებ მეტად არაპროფესიულ დოკუმენტად უნდა შეფასდეს.

უპირველეს ყოვლისა, გამოქვეყნებულ ცხრილში საუბარია „პატიმართა სიკვდილიანობის პროცენტულ მაჩვენებელზე“, რაც სამეცნიერო თვალსაზრისით გაუმართლებელია, ვინაიდან სიკვდილობის დონე პროცენტებში კი არ ისაზღვრება, არამედ გამოითვლება რიცხვობრივი მაჩვენებლით ყოველ 1.000 ინდივიდზე.

გარდა ამისა, გამოქვეყნებული სიდიდე (თუნდაც პროცენტული) არაშეადარებადია წინა წლების ან სხვა ანალოგიური სახის მაჩვენებლებთან, ვინაიდან ერთწლიანი პერიოდი ამ შემთხვევაში საკმაოდ პირობით და საკამათო მნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული მოსაზრება შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ გაურკვეველია, თუ რამდენია პატიმართა საერთო რაოდენობა 1 წლის (ჩვენს შემთხვევაში 2007 წლის) განმავლობაში. მონაცემი, რომელიც მოცემულია ცხრილში (19.244), შეესაბამება პატიმართა საერთო რაოდენობას 30 ნოემბრისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ პატიმართა რაოდენობა იანვარში დაახლოებით 15.432 იყო (ასევე ცხრილიდან მიღებული ინფორმაცია) მაშინ ცხადია, რომ 10-11 თვეში რაოდენობა გაიზარდა 3.821, ანუ პატიმართა საერთო რაოდენობის მერყეობა დაახლოებით 20%-ის ფარგლებშია, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა 2007 წლის განმავლობაში არ იყო სტაბილური თვეების განმავლობაში (აღინიშნებოდა ორი პიკი თებერვალსა და ივლისში), მაშინ ცხადია, რომ ამგვარად გამოთვლილი მაჩვენებელი არ არის არც სტატისტიკურად სანდო, არც სარწმუნო და არც დამაჯერებელი.

განხილული მაგალითის ფონზე ალბათ აბსურდულად უნდა მივიჩნიოთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სიკვდილობის დონე ციხეებში



არ გაზრდილა. ამ მოსაზრებას კი ასაბუთებენ იმით, რომ მიუხედავად სიკვდილის ცალკეულ შემთხვევათა მომატებისა, საერთო სიკვდილობა არ იცვლება, ვინაიდან წინა წლებში პატმართა უფრო ნაკლები რაოდენობა იხდიდა სასჯელს.

ასეთ სიტუაციაში, როდესაც იუსტიციის სამინისტროს მიერ მონოდეზული მონაცემები მხოლოდ მარტივი რიცხვების კრებულია და მას არანაირი საერთო არ გააჩნია სამეცნიერო პრინციპებთან, ძნელია იმის თქმა, მოიმატა თუ მოიკლო სიკვდილობის დონემ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული უწყების მიერ არ არის შესწავლილი იმ ფაქტორთა მნიშვნელობა, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ სიკვდილობის დონეზე (მოყვანილია მოხსენების დასაწყისში). ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევის ჩატარება და სარწმუნო სტატისტიკური მონაცემების მოპოვება წარმოადგენს ერთადერთ გამართლებულ ნაბიჯს პენიტენციური სისტემის სამომავლო პოლიტიკის განსაზღვრისა და ამ სფეროში გადანყვეტილებების მიღებისათვის.


იმისათვის, რომ რეალურად შეფასდეს არსებული კრიზისული სიტუაცია და გამონახოს მისგან გამოსავალი, საჭიროა, გაერთიანდეს ყველა შესაბამისი უწყების ძალისხმევა და ჩატარდეს რამდენიმე მულტიცენტრული კვლევა. სიკვდილობის დონისა და მისი მიზეზების შესაფასებლად პენიტენციურ სისტემაში აუცილებლად მიგვაჩნია, მოხდეს დასაბუთებული სამეცნიერო მიდგომით მოპოვებული ინფორმაციის შედარება ქვეყნის ზოგად მაჩვენებლებთან. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ერთადერთ გზას რეალური სურათის დასანახად და გაუმჯობესების გზების დასასახად.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საკმაოდ მოკრძალებულ მცდელობას, გამოვლინდეს ის ძირითადი ტენდენციები, რაც დღესდღეობით არსებობს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. აღნიშნული ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ისიც, რომ ჩვენს მიერ წინა პერიოდებში შემუშავებული არცერთი რეკომენდაცია არ ყოფილა გათვალისწინებული და არანაირი ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია ჩვენს მიერ გამოვლენილ ფაქტებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამოწვევებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის მიყვანილი.

აღნიშნულის მიუხედავად, მიზანშეწონილად მივიჩნით, არ გავიმეოროთ იმ ფაქტებისა და ტენდენციების აღწერა წინამდებარე მოხსენებაში, რომლებიც ჩვენს მიერ არაერთხელ იქნა იდენტიფიცირებული გასულ წლებში და სამწუხაროდ, დღესაც ფართო მასშტაბებით გვხვდება. უფრო მეტიც, კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩვენს მიერ გაგზავნილი რეკომენდაციების სრული იგნორირება ხდება. შედეგი კი ის არის, რომ წელს, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში და ასევე გასულ პერიოდებში, პატიმრები კვდებიან იმავე მიზეზებით. სიკვდილობის შემთხვევები არ იკლებს; არ შეცვლილა არცერთი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად განაპირობებს ამ მდგომარეობას; არ მოჰყოლია კონკრეტული რეაგირება ჩვენს მიერ გამოვლენილ აშკარა კანონდარღვევებს, მათ შორის იმ ფაქტებს, რომლებსაც უმწვავესი შეფასება მიეცა.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2007 წლის განმავლობაში სულ გარდაცვლილია 101 პატიმარი. წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილთა რაოდენობა (55) დაახლოებით 10%-ით მეტია მეორე ნახევარში გარდაცვლილთა რაოდენობაზე (46). თვეების მიხედვით კი სიკვდილობის მაჩვენებლის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება.

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
10	12	10	9	7	7	11	6	6	8	8	7
9.9%	11.9%	9.9%	8.9%	6.9%	6.9%	10.9%	5.9%	5.9%	7.9%	7.9%	6.9%



როგორც გრაფიკული გადოსახულებიდან ჩანს, ხლის გახიზვლობის აღიზიანება ორი კვირა – თებერვალსა და ივლისში, ხოლო მინიმალურ ნიშნულს, განსხვავებით გასული წლისაგან, ვხვდებით აგვისტოსექტემბრის პერიოდში. აღნიშნული ფაქტორის სპეციფიკა და თავისებურებები ქვემოთ იქნება განხილული.


გარდაცვლილ პაციმართაგან ქალი იყო – 2 (1.98%), ხოლო კაცი 99 (98.02%). ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში, გარდაცვლილთა ასაკი დაფიქსირებული იყო დაახლოებით 75% შემთხვევაში. ამ მონაცემების მიხედვით, გარდაცვლილ პაციმართა ასაკი მერყეობდა 16-დან 85 წლამდე, ხოლო სიკვდილობის საშუალო ასაკმა შეადგინა 43,6 წელი.

ყველაზე მაღალი სიკვდილობის მაჩვენებელი მოდის 21-30 წლის ასაკის პაციმრებზე, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი მინიმალურია 20 წლამდე ასაკის გარდაცვლილ პირთა შორის.


საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, სიკვდილობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილსა და გრაფიკზე.

20 წლამდე ასაკის	2	1.98 %
21-30 ასაკის	21	20.79 %
31-40 ასაკის	6	5.95 %
41-50 ასაკის	18	17.82 %
51-60 ასაკის	10	9.90 %
61-70 ასაკის	8	7.92 %
71 წელზე ზევით	6	5.94 %
ასაკი არ არის მითითებული	30	29.70 %





2006 წლის მსგავსად, გარდაცვალების ფაქტების 2/3 მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაზე (64 შემთხვევა – 63.4 %). 4 შემთხვევაში (3.96 %) სიკვდილი დადგა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. შემთხვევათა დაახლოებით 1/5 დაფიქსირდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებაში და საპრობილეში (21 შემთხვევა – 20.8 %), ხოლო დაახლოებით 12% შემთხვევაში სიკვდილი დადგა საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში (12 შემთხვევა – 11.9 %).



გარდაცვლილ პაციმართა უმრავლესობა, მიუხედავად გარდაცვალების ადგილისა, რიცხული იყო სად №5 საპრობილეზე, ხოლო 42 შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია დროის ამ მონაკვეთში ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. ამ მიმართებით, არსებული სურათი მოცემულია ცხრილში:

№5 საპრობილე	თბილისი	12	11.88 %
№1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება	რუსთავი	6	5.94 %
მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულება	თბილისი	6	5.94 %
ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება	ქსანი	5	4.95 %
№6 საპრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	რუსთავი	5	4.95 %
№3 საპრობილე	ბათუმი	5	4.95 %
№7 საერთო მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულება	ქსანი	4	3.96 %
№1 საპრობილე	თბილისი	4	3.96 %
№2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	ქუთაისი	3	2.97 %
ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო საპრობილის რეჟიმის დაწესებულება	თბილისი	3	2.97 %
№4 საპრობილე	ზუგდიდი	2	1.98 %
№8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	გეგუთი	2	1.98 %
№7 საპრობილე	თბილისი	1	0.99 %
№2 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულება	რუსთავი	1	0.99 %
დაწესებულება მითითებული არ არის	-	42	41.59 %

გარდაცვლილი პაციმრების შემთხვევების ანალიზმა გამოავლინდა სიკვდილის მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, შემთხვევათა 90%-ზე მეტში სიკვდილის მიზეზად სახელდება გულ-სისხლძარღვთა ან ფილტვ-გულის უკმარისობა. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტერმინები საერთოდ ვერ ასახავს რეალობას და აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას.

„გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა“, სამედიცინო თვალსაზრისით, წარმოადგენს სინდრომს და არა ნოზოლოგიურ ერთეულს (დაავადებას). იგი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გულის და სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადებებით, ასევე ნებისმიერი სხვა ორგანოს ან სისტემის დაავადებებით. საბოლოო ჯამში, იგი არ შეიძლება განხილულ იყოს მიზეზად, არამედ უნდა მივიჩნიოთ რომელიმე სხვა დაავადების ან მდგომარეობის შედეგად. აქედან გამომდინარე, სიკვდილის მიზეზად „გულ-სისხლძარღვთა“ უკმარისობის გამოცხადება არაფერზე მეტყველებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში და გარემოებებში სიკვდილის შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა ამ სინდრომის ფონზე მიმდინარეობს, პაციმართა გარდაცვალების რეალური მიზეზები



აუხსნელი რჩება. შესწავლის შედეგებით გამოვლინდა კიდევ უფრო ღრმა შეუსაბამობებიც. მაგალითად, ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზად „ასისტოლია“ სახელდება. ასისტოლია წარმოადგენს სამედიცინო-კლინიკურ ტერმინს და გულის გაჩერებას ნიშნავს. ანუ, კონკრეტულ შემთხვევაში, სამედიცინო დასკვნა გვეუბნება, რომ პაციენტის გარდაცვალების მიზეზია გულის გაჩერება. რაც შეეხება იმ მიზეზს თუ რამ გამოიწვია გულის გაჩერება, არაფერია ნათქვამი.


ჩვენი შესწავლის შედეგად გამოვლენილი სიკვდილის მიზეზები მოცემულია ცხრილში:

ფილტვების ანთება	14
მიოკარდიუმის ინფარქტი	8
გულის მანკი	1
ეპილეფსიური სტატუსი	1
მენინგიტი	1
ინსულტი	5
ღვიძლის ციროზი	1
ზედა გასტროინტესტინ. სისხლდენა	5
სისხლდენა ქროილობიდან	1
პერიტონიტი	4
ონკოდაავადებები	5
შიდსი	4
მარყუჟზე ჩამოხრჩობა	6
ტუბერკულოზი	37
თრომბოემბოლია	2
უცნობი ეტიოლოგიის კომა	1
უცნობი ეტიოლოგიის ინტოქსიკაცია	1
მიზეზი გაურკვეველია	4
სულ:	101

როგორც ცხრილიდან ჩანს, სიკვდილობის ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზების პირველ ოთხეულს ქმნის ფილტვების ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება, მიოკარდიუმის ინფარქტი და მექანიკური ასფიქსია მარყუჟზე ჩამოკიდებით. აღნიშნულის შემდეგ, სიხშირით თანაბარი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, სისხლდენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზედა ნაწილებიდან (საყლაპავი და კუჭი) და სხვადასხვა ორგანოთა სიმ-სივნური დაავადება. ოთხ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი იყო პერიტონიტი, რაც სასამართლო ექს-პერტიზის დასკვნების და ავადმყოფობის ისტორიების შესწავლის მიხედვით უშუალო კავშირშია არასწორ მკურნალობასა და გაუმართლებელ ქირურგიულ ტაქტიკასთან. იმავე რაოდენობით სიკვ-დილობა გამოიწვია შექენილი იმუნო დეფიციტის სინდრომმა (შიდსი). ორ შემთხვევაში სიკვდილი დადგა მაგისტრალური სისხლძარღვების თრომბოზისა და ემბოლიის შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოთხ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზის ამსახველი დოკუმენტაცია ჩვენს მიერ ვერ იქნა მოპოვებ-ული, ხოლო ორ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზად პასუხისმგებელი სტრუქტურის მიერ დასახელდა უცნობი ეტიოლოგიის კომა და ინტოქსიკაცია. ეს ორი შემთხვევა, ნოზოლოგიური კუთვნილების დაუდგენლობის გამო, ვერ კლასიფიცირდა სისტემურ ჯგუფებში და ცხრილში ცალკეა გამოყოფილი.


ამგვარად, შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რომ 2007 წლის განმავლობაში, საქართველოს ციხეებში დაფიქსირდა ნაძალადევი სიკვდილის 8 შემთხვევა, არანაძალადევი სიკვდილის 88 შემთხვევა; ხოლო 5 შემთხვევაში ჩვენს მიერ სიკვდილის ტიპი დადგენილი ვერ იქნა, ვინაიდან სიკვდილის შემთხვევები

განეკუთვნებოდა წლის ბოლო თვეს, შესაბამისად სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღება ვერ მოესწრო.




როგორც უკვე აღინიშნა, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, პატიმართა სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია ტუბერკულოზი, რომლის წილად მოდის საერთო სიკვდილობის 36.6%. აღსანიშნავია, რომ ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობა სტაბილურად 4 შემთხვევას მოიცავს თვეების უმრავლესობაში, თუმცა გაცილებით მაღალია წლის პირველ ნახევარში. წლის თვეების მიხედვით, ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობა შემდეგნაირად გამოიყურება:

2007 წელი



რაც შეეხება ფილვების ანთებით (გრაფიკზე გამოსახულია ლურჯი შეფერილობით) და მიოკარდიუმის ინფარქტით (გრაფიკზე გამოსახულია წითელი შეფერილობით) გამოწვეულ სიკვდილობას, თვეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:






მიუხედავად სიკვდილობის განხილული მიზეზებისა, გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების განხილვამ გამოავლინა, რომ გარდაცვლილ პაციენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დაავადებული იყო სხვა თანმხლები დაავადებებით, რომელთა ფონზე ძირითადი დაავადების პროგრესირება მეტად საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. გარდა ამისა, ხსენებული თანმხლები დაავადებები, უმრავლეს შემთხვევაში, დამოუკიდებლადც წარმოადგენს სიკვდილისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მყარი მოშლის გარდაუვალ მიზეზს. ჩვენს მიერ შესწავლილ მასალაში მოხდა ამ დაავადებათა დაჯგუფება სისტემებისა და ჯგუფების მიხედვით. სასუნთქი სისტემის დაავადებათა შორის სიხშირითა და მიმდინარეობის სიმძიმით პირველ ადგილზე გამოდის ფილტვების ანთება. ამ ჯგუფში არ შესულა პნევმონიების ის ფორმები, რომლებიც ტუბერკულოზური გენეზისაა. ფილტვების ანთება ხშირად გვხვდება ორმხრივად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ჩართული მორფოლოგიური ვერიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა უდიდეს ნაწილში ფილტვების ანთება ვერ იქნა პაციენტის სიცოცხლეში ამოცნობილი კლინიკურად, შესაბამისად, არც მკურნალობა ჩატარებულა, რის გამოც აღნიშნული ნოზოლოგია სიკვდილის მიზეზთა შორის მეორე ადგილს იკავებს.


ჩვენ შევისწავლეთ იანვარი-ივლისის პერიოდში გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. ამ პერიოდში გამოვლენილ იქნა პნევმონიის (როგორც ძირითადი, ისე თანმხლები დაავადების სახით) 32 შემთხვევა. ავადობის სტრუქტურა თვეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

პნევმონია



პნევმონიის შემდეგ სასუნთქი სისტემის დაავადებებს შორის მეორე ადგილზეა პლევრიტი. სტატისტიკური სურათის შექმნის მომენტში ჩვენ ერთად მოვაქციეთ მორფოლოგიურად დადასტურებული პლევრიტის ყველა ფორმა, მათ შორის ექსუდაციური პლევრიტი და ასევე პლევრის ემპიემა. თვეების მიხედვით, გარდაცვლილ პაციენტთა პლევრიტით ავადობა წარმოდგენილია გრაფიკულად:


პლევრიტი



როგორც კლინიკური მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, პლევრიტი ხშირად წარმოადგენს პნევმონიის გართულებას და მკვეთრად ამძიმებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მის ფონზე ხშირად ვხვდებით გამოხატულ სუნთქვის უკმარისობას, მაღალ ცხელებას და სხვა სისტემურ გართულებებს.

სასუნთქი სისტემის დაავადებების მხრივ ასევე შეგვხვდა ფილტვის შეშუპების 6 შემთხვევა, პნევმოთორაქსის 3 შემთხვევა, ექსუდაციური ბრონქიტის (მორფოლოგიურად დადასტურებული) 8 შემთხვევა, და ასევე ტრაქეიტის, ტრაქეის ტრავმული დივერტიკულის, პნევმოციროზის, ბრონქოექტაზიისა და ფილტვების ემფიზემის თითო-თითო შემთხვევები.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე გამოდის გულის იშემიური დაავადება. ამ პათოლოგიის მორფოლოგიურად დადასტურებული სხვადასხვა ფორმების 12 შემთხვევიდან 9-ში შეგვხვდა მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიც 8 შემთხვევაში სიკვდილით დამთავრდა. მიოკარდიუმისა და კორონარული სისხლძარღვების ამა თუ იმ ხარისხით გამოხატული სკლეროზი მორფოლოგიურად დადასტურებულია 24 შემთხვევაში. შეგვხვდა პერიკარდიტისა და გულის კომბინირებული მანკის თითო შემთხვევა. ეს უკანასკნელი შემთხვევა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, მაინც სიკვდილით დამთავრდა მანკის სირთულისა და ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის გამო. აღსანიშნავია, რომ პაციენტის გადარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ კარდიოქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, რაც, სამწუხაროდ, არ ჩატარებულა. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისაგან გამოყოფილი ნოზოლოგიების წილი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიხატება:




ნერვული სისტემის დაავადებები ასევე მრავალფეროვნად გამოიყურება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილში (40) მორფოლოგიურად დადგენილია თავის ტვინის შეშუპება, რომელიც დამოუკიდებლად კი წარმოადგენს სიცოცხლისათვის საშიშ გართულებას. ტვინის შეშუპების შედეგად განვითარებული დისლოკაციისა და ღეროს ქალას დიდ ხვრელში ჩაჭედვის შედეგად სიკვდილი დადგა 2 შემთხვევაში, თუმცა სიკვდილობის მაჩვენებლების განხილვის დროს ეს ორი შემთხვევა მიკუთვნებულია იმ ძირითად დაავადებებს, რომლებიც გახდა თავის ტვინის შეშუპების, დისლოკაციის და ჩაჭედვის მიზეზი. 5 შემთხვევაში აღინიშნა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა. მათ შორის 2 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თავის ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმის გასკდომას. სამწუხაროდ, აღნიშნული პათოლოგიები პაციენტთა სიცოცხლის დროს ამოცნობილი ვერ იქნა გამოკვლევების ჩატარებლობის გამო, თუმცა ვერც კლინიკური ნიშნებით იქნა მიტანილი ეჭვი. სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის შედეგად სიკვდილი დადგა ხუთივე შემთხვევაში. სისხლჩაქცევა, გაკვეთის მონაცემებით, მკვეთრად იყო გამომხატული თვით ტვინის ნივთიერებაშიც და ავსებდა პარკუჭებსაც.

დასკვნების შესწავლის დროს გამოვლენილ იქნა ენცეფალიტისა და მენინგიტის 3 შემთხვევა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევებშიც ეჭვი ვერ იქნა მიტანილი დაავადებაზე. უფრო მეტიც, ერთ-ერთ შემთხვევაში მენინგო-ენცეფალიტის გამო განვითარებული მოვლენები შეფასდა, როგორც ფსიქიატრის კომპეტენციაში შემავალი მდგომარეობა და გაუმართლებელი მკურნალობის ფონზე პაციენტი გარდაიცვალა. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად სიმსივნე დასახელდა, თუმცა საეჭვო და გასაკვირია, თუ რა კრიტერიუმებით დაისვა სიმსივნის დიაგნოზი.


ნერვული სისტემის დაავადებებს შორის ეპილეფსია საკმაოდ გავრცელებული ნოზოლოგიური ერთეულია პენიტენციურ სისტემაში. ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესში გამოვლენილია არაერთი პაციენტი, რომელიც ეპილეფსიითა დაავადებული და ხშირ შემთხვევაში არანაირი მკურნალობა ან ნევროლოგის კონსულტაცია არ უტარდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეპილეფსიური გულყრა გადაიზრდება ეპილეფსიურ სტატუსში. ასეთ დროს საპყრობილეთა სამედიცინო ნაწილის მიერ (თუ ეს შემთხვევები მათთვის ცნობილია) ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების „03“-ის გამოძახება. არის შემთხვევები (მათ შორის აღწერილია გაკვეთის ოქმებშიც), როცა ეპილეფსიური გულყრის დროს პაციენტი დაცემის გამო ზიანდება. 2007 წლის განმავლობაში, ეპილეფსიური გულყრის (რომელიც სავარაუდოდ იყო ეპილეფსიური სტატუსი) არაადეკვატური ან არასათანადო დახმარების გამო გარდაცვლილია 1 პაციენტი.

სხვადასხვა სისტემის დაავადების გამო (ძირითადად ღვიძლის პათოლოგიები) ენცეფალოპათია და ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია აღინიშნა რამდენიმე შემთხვევაში. შესწავლის დროს ასევე გამოვლინდა თავის ტვინისა და მისი გარსების ტუბერკულოზური დაზიანებაც, თუმცა აღნიშნული შემთხვევები ჩვენს მიერ შეტანილია ტუბერკულოზის ექსტრაულმონურ ფორმათა სისტემურ ჯგუფში და მოგვიანებით იქნება განხილული.


ამგვარად, ნერვული სისტემის დაავადებთა ცალკეული ფორმები საერთო სპექტრში გამოსახულია გრაფიკზე:



შარდ-სასქესო ორგანოთა სისტემის დაავადებათა შორის აქცენტი გაკეთდა თირკმელების დაზიანებებზე, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით და ფორმით იყო გამოხატული. ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზე გამოდის პიელონეფრიტი, რომელიც მორფოლოგიურად დადასტურებულია 14 შემთხვევაში. 8 შემთხვევაში დაფიქსირებულია ნეფროციროზი, 3 შემთხვევაში – თირკმლის შეშუპება და აუტოლიზი, 2-2 შემთხვევაში – გლომერულონეფრიტი და ნეფროსკლეროზი, ხოლო 1 შემთხვევაში – ნეფროლითიაზი. თირკმლის დაზიანებების სპექტრი და მათი წილი წარმოდგენილია გრაფიკულად:




ღვიძლისა და სანაღვე გზების დაზიანებებს შორის პირველ ადგილზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოდის ჰეპატიტი. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა პაციენტთა სიცოცხლეში ლაბორატორიული და კლინიკური კვლევებით არ ყოფილა დადასტურებული, ხოლო გაკვეთის შემდგომ მათი დიაგნოსტიკა მოხდა მხოლოდ მორფოლოგიურად (ჰისტოლოგიური რუტინული კვლევა). ამდენად, ვარაუდის დონეზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჰეპატიტების ეტიოლოგია ვირუსულია. საფიქრებელია, რომ ვირუსული ჰეპატიტებიდან პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ყველაზე ხშირად ვხვდებით „C“, ხოლო შემდეგ – „B“ ჰეპატიტებს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა ღვიძლის ტუბერკულოზური დაზიანების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც შეტანილია ექსტრაპულმონური ტუბერკულოზის ჯგუფში. სამწუხაროა, რომ ტუბერკულოზის არაადეკვატური მკურნალობის შედეგად მკვეთრადაა მომატებული არაფილტვისმიერი ფორმები, რომლებიც ხშირად იწვევს სიკვდილს ან პოტენცირებას უკეთეს სხვა მიმე, სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებას. გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილს, ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, აღენიშნებოდა სხვადასხვა ეტიოლოგიის ჰეპატიტი და სავარაუდოდ მათ ფონზე განვითარებული ღვიძლის ციროზი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ციროზის გამო, საყლაპავის ვარიკოზულად დაზიანებული ვენებიდან გამომწვეული სისხლდენის გამო 2007 წელს დაფიქსირებულია არაერთი სიკვდილის ფაქტი, ხოლო შედარებით უფრო ადრეულ სტადიაში, ციროზის ფონზე განვითარებული გართულებით გარდაიცვალა 1 პაციენტი. 7 პაციენტს აღენიშნებოდა ციროზის გამო განვითარებული ასციტი. სითხის დიდი რაოდენობით დაგროვების გამო მათ გამოხატული ჰქონდათ სუნთქვის უკმარისობა და გართულებები სხვადასხვა სისტემების მხრივ. ჰეპატიტებისა და ციროზების გადანაწილება თვეების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკზე:




გრაფიკზე ლურჯი ფერით აღნიშნულია ჰეპატიტების დინამიკა, ხოლო წითელი ფერით ციროზის დინამიკა თვეების მიხედვით.

გარდა განხილული დაავადებებისა, სანაღვლე გზების ანთებითი დაზიანება მორფოლოგიურად დადასტურდა 8 შემთხვევაში, 1 შემთხვევაში დადგინდა იქნა პორტული ჰიპერტენზია, ხოლო 6 შემთხვევაში – ჰეპატოციტების ტოქსიკური დისტროფია და ღვიძლის ნეკროზი. ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაზიანებათა სპექტრი წარმოდგენილია გრაფიკულად:



რაც შეეხება ტუბერკულოზის არაფილტვისმიერ ფორმებს, 2007 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ მოპოვებულ წყაროებში მოპოვებულია ინფორმაცია, რომ ასეთი დაავადება აღენიშნებოდა 12 გარდაცვლილს. არაფილტვისმიერი ფორმებიდან დაფიქსირებულია ნეიროტუბერკულოზის 2, ღვიძლის ტუბერკულოზური დაზიანების – 3, თირკმლის – 3, პლევრის – 1, ელენთის დაზიანების 1 შემთხვევა და ტუბერკულოზური მეზოადენიტის 3 შემთხვევა. აღნიშნული სტრუქტურა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



სამწუხაროდ, დაფიქსირებული შემთხვევები მიუთითებს ტუბერკულოზით დაავადებულ პაციმართა მკურნალობისა და მოვლის ნაკლოვანებაზე.

2007 წლის განმავლობაში, გარდაცვლილი 101 ავადმყოფიდან, ონკოლოგიური დაავადება დადასტურდა 7 (6.9%) შემთხვევაში. სიმსივნე გარდაცვალების მიზეზი გახდა 5 შემთხვევაში (4.95%), ხოლო 2 შემთხვევაში სიმსივნე აღმოჩენილ იქნა გაკვეთის დროს, ხოლო პაციენტის სიკვდილი სხვა პათოლოგიამ გამოიწვია. ონკოდაავადებათა სპექტრიდან აღინიშნებოდა ღვიძლის (4 შემთხვევა), ფილტვის (2 შემთხვევა) და კუჭის (1 შემთხვევა) კიბოები.

გარდაცვლილ პაციენტთაგან 1 შემთხვევაში პაციმარი გარდაიცვალა მწვავე ჰემორაგიული ანემიით. როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული პრეს-რელიზიდან ირკვევა, ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში პაციმარი მოათავსეს მარცხენა წინამხრის არეში მიყენებული ნაკვეთი ქრილობის გამო. სიკვდილის მიზეზად დასახელდა სისხლის დიდი რაოდენობით დანაკარგის გამო განვითარებული ჰემორაგიული შოკი. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფს პირველადი დახმარება გაენიასასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, რომელმაც იგი გადაიყვანა კლინიკაში, პაციენტი მაინც დაიღუპა. აღნიშნული შემთხვევა შემდგომ შესწავლას მოითხოვს, ვინაიდან სიკვდილი დეკემბრის ბოლო ნახევარში დადგა, ხოლო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჯერ მოპოვებული არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, კიდურის ტრავმული ამპუტაცია ცი, პირველადი სამედიცინო დახმარების პირობებში, თუ ეს უკანასკნელი დაგვიანებული არ არის, არ უნდა იწვევდეს პაციენტის დაღუპვას.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, 2 ტიპის შაქრიანი დიაბეტი დადგენილი ჰქონდა 2 გარდაცვლილ პაციმარს; ჩირქოვანი კოქსიტი – 1 პაციმარს; ბარძაყის არტერიის ცრუ ანევრიზმა – 1 პაციენტს.

2007 წელს, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გარდაიცვალა შიდასით დაავადებული 6 პაციენტი, რომელთაგანაც 4 შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი იყო უშუალოდ შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი. დანარჩენ 2 შემთხვევაში სიკვდილი გამოიწვია სხვა ნოზოლოგიამ. მიუხედავად აღნიშნულისა, უკვე მე-2 წელია გრძელდება ტენდენცია, რომლის შესაბამისადაც, შიდასით დაავადებული გარდაცვლილი პაციმარების გაკვეთა და სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზის დასმა არ ხდება. აღნიშნულის მიზეზად ექსპერტები მიუთითებენ უსაფრთხოების წესების არარსებობას. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით.

ექსპერტის დასკვნა №66/34

ზედაპირზე, თითის დაჭეოთ ყუუს სცილს სისხლდარღვის საპოქციო არეში მარჯვენა იდაყვის სახსრის წინა ზედაპირზე სისხლდარღვის საპოქციო არეში აღნიშნება წერტილოვანი ნახვლეტი ჭრილობა (ინექციის კვალი) ირგვლივ სისლხაქცევით. გარეწულად გვამზე რაიმე მექანიკური დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. გვამის გამოკვლევა ვერ ჩატარდა შიდასით დაავადებულთა გვამების მეთოდიკის და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო.

შ ე დ ე ბ ე ბ ი: [redacted] სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის-გარეგნული დათვალიერებისას სხეულზე გარდა ზ/აღნიშნული ინექციის კვალისა რაიმე მექანიკური დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. შიდასით დაავადებულთა გვამების მეთოდიკის და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო გვამის გამოკვლევა (გაკვეთა) არ ჩატარებულა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი: *კ. ყუა*

გ. ალაგიძე



ექსპერტის დასკვნა №182/33/34

საშუალო სიმაღლის, გულმკერდი კასრისებური, მუცელი ოვალური მდებარეობს ნეკნთა რკალის დონეზე, გარეთა სასქესო ორგანოები ჩვეულებრივი განვითარების. გარეწულად გვამზე რაიმე მექანიკური დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. გვამის გამოკვლევა ვერ ჩატარდა შიდასით დაავადებულთა გვამების მეთოდის და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო.

შ ე დ ე გ ე ბ ი: მოქ. [redacted] (პატიმარი) სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის-გარეგნული დათვალიერებისას სხეულზე რაიმე მექანიკური დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. შიდასით დაავადებულთა გვამების მეთოდის და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო გვამის გამოკვლევა (გაკვეთა) არ ჩატარებულა.

სასამართლო-სამედიცინო
ექსპერტი:

გ. მარდაძე

ექსპერტის დასკვნა №725/33/34

ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ [redacted] დადგენილი აქვს დიაგნოზი: აივ ინფექცია, შიდასით, „ც“ კატეგორია, მარჯვენა ფილტვის კეროვანი ტუბერკულოზი მგბ(+) ცერებრალური კომა, ეპილეფსია.

ექსპერტიზის შედეგები: 1-2-3-4-5/ შიდასით დაავადებულთა გვამების გამოკვლევის მეთოდის და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო გვამის გამოკვლევა არ ჩატარებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა. [redacted] გვამს გარეგნულად მექანიკური დაზიანების კვალი არ აღინიშნება.

სასამართლო-სამედიცინო
ექსპერტი-

პ. ჯიბლაძე



როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ექსპერტები პირდაპირ მიუთითებენ, რომ „სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი ხასიათის ფაქტები ჩვენს მიერ გასულ წელსაც იქნა აღწერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა, რატომ არ რეაგირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ექსპერტთა მოთხოვნაზე, შეიქმნას შიდასით დაავადებული გვამების გამოკვლევის მეთოდიკა და უსაფრთხოების გარანტიები.

პაციენტთათვის მკურნალობაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ისინი დაავადებულნი არიან შიდასით, ჩვენს მიერ ჯერ დაფიქსირებული არ ყოფილა. პაციენტები მკურნალობენ ჩვეულებრივ, როგორც სპეციალიზებულ დაწესებულებებში, ისე ქვეყნის ნებისმიერ სხვა საავადმყოფოებსა და კლინიკებში. მათ უკეთდებათ ქირურგიული ოპერაციები, სხვადასხვა სახის ინტერვენციები და ჩარევები. თუ შიდასით დაავადებული ცოცხალი პაციენტისათვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება სრულიად შესაძლებელი და დასაშვებია, საინტერესოა, რატომ წარმოადგენს გარდაცვლილი პაციენტის (რომელიც დაავადებული იყო შიდასით) აუტოფსია მომავალ რისკს. აღნიშნული საკითხი მოითხოვს უფრო დეტალურ საკანონმდებლო, ეთიკურ და პროფესიულ რეგულირებას!

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 147-ე მუხლის შესაბამისად, „გარდაცვლილის მოვლა ხორციელდება პატივისცემითა და მისი ღირსების დაცვით“. წარმოდგენილ კონკრეტულ შემთხვევებში, გვამის გაკვეთაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ იგი დაავადებული იყო შიდასით, წარმოადგენს გარდაცვლილის ღირსების შელახვას და დისკრიმინაციას!

2007 წლის განმავლობაში პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დანესებულებებში დაფიქსირდა სუიციდის 6 შემთხვევა. ექვსივე შემთხვევაში დადგენილია მექანიკური ასფიქსია მარყუჟზე ჩამოკიდებით, რაც სასამართლო-სამედიცინო თვალსაზრისით წარმოადგენს ნაძალადევი სიკვდილის სახეს. ექვსი შემთხვევიდან ორი დაფიქსირებულია ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში; ერთი შემთხვევა – რუსთავის №6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში; ერთი შემთხვევა – ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დანესებულებაში, 1 შემთხვევა – №5 საპყრობილეში და 1 შემთხვევა – №7 საპყრობილეში. ამ შემთხვევებში მარყუჟად გამოყენებულ იქნა ზენარი, თეთრეული, ქამარი, პირსახოცი და თოკი. ყველა პატიმარი განმარტოებული იყო საკანში. რუსთავის №6 და №5 საპყრობილეში აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა სამედიცინო ნაწილში; ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დანესებულებაში არასრულწლოვანმა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო სამარტოო საკანში, სადაც იგი გადაიყვანეს დასჯის მიზნით. №7 საპყრობილეში კი პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო მიუხედავად უწყვეტი ვიდეო კონტროლისა, რომელიც საკანში ხორციელდებოდა. გარდა ამისა, ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს ცნობილი გახდა არაერთი შემთხვევა, როცა თვითმკვლელობის მცდელობა პატიმართა მხრიდან უშედეგოდ დასრულდა და საბედნიეროდ, აღნიშნული პირები სიკვდილს გადაურჩნენ.

2006 წლის ანგარიშში ჩვენს მიერ მოყვანილ იქნა შემთხვევა, რომელიც ასევე შეეხებოდა გამოძიების მიერ თვითმკვლელობად შეფასებულ ფაქტს (ექსპერტის დასკვნა №749). როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვეოდა, თბილისის პირველ საპყრობილეში კარცერში კონტროლიორის მიერ აღმოჩენილ იქნა მსჯავრდებული ზ. ი.-ს გვამი, რომელიც ჩამოკიდებული იყო გისოსზე. გარეგანი გამოკვლევით გვამს აღნიშნებოდა ორივე წინამხარზე მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები; თვალბუდის მოდამოებში მონიტორინგ-მოლურჯო ფერის უსწორო ფორმის სიხლნაჟლენთები. წელის მიდამოში მარცხნივ აღინიშნებოდა ნაჭდევი. „კისრის წინა ზედაპირზე ფარისებრი ხრტილის დონეზე“ – სტრანგულაციური ღარი კვანძის ტიპური მდებარეობით. ექსპერტის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია ზემო სასუნთქი გზების მარყუჟით გადაკეტვით. მიუხედავად ამისა, შეუსაბამობაა მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ აღწერილობებს შორის: სტრანგულაციური ღარიდან (სავარაუდოდ!) აღებულ კანის ნაჭერში მიკროსკოპული გამოკვლევით სისხლჩაქცევები ან სიცოცხლისდროინდელი დაზიანებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სურათი აღწერილი არ არის. სხეულზე არსებული დაზიანებების ხანდაზმულობა დასკვნაში მითითებული არ არის. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება პატიმრის გარდაცვალების რეალური მიზეზი.

ნებისმიერ შემთხვევაში, სუიციდზე პასუხისმგებლობა აკისრია როგორც საპატიმროს ადმინისტრაციას, ისე სამედიცინო პერსონალს. საერთაშორისო სტანდარტებით, ციხის ექიმი ადმინისტრაციასთან ერთად უნდა ახდენდეს სუიციდის პრევენციას და ამ მიზნით ატარებდეს შესაბამის ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას; განსაკუთრებით, თუ პატიმარი იმყოფება განმარტოებულად. გარდა ამისა, საპყრობილის ადმინისტრაცია უნდა იჩენდეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს სუიციდის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა მოხდა სამედიცინო ნაწილში და სამარტოო საკანებში (ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეო კონტროლის პირობებშიც კი) ალბათ რაიმე პროფილაქტიკური ღონისძიების არსებობაზე ან ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე ძალისხმევაზე საუბარი სრულიად ზედმეტია.

გარდაცვლილ პაციენტთა შემთხვევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1 შემთხვევაში აღინიშნებოდა რბილი ქსოვილების ნეკროზი, 2 შემთხვევაში – სხეულის სხვადასხვა მიდამოს ფლეგმონა, ხოლო 1 შემთხვევაში ფორმირებული იყო ჩირქოვანი ხვრელმილი. მიუხედავად ამისა, გვამებს სიცოცხლისდროინდელი რაიმე სამედიცინო მკურნალობის ან მოვლის კვალი არ ეტყობოდათ. როგორც ჩანს, პენიტენ-



ციური სისტემის სამედიცინო სფეროში საკმაოდ უცხო გაგებას წარმოადგენს თანამედროვე ანტიბიოტიკოთერაპიის პრინციპები. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ავადმყოფობის ისტორიების ზოგადი ანალიზი. ამკარაა, რომ აღნიშნულის მიზეზად მხოლოდ მატერიალური რესურსების სიმწირე ვერ დასახელდება. ექიმების მიერ ადეკვატური ანტიბაქტერიული პრეპარატები მოთხოვნილი ან დანიშნული ხშირ შემთხვევაში არ არის. ალბათ სწორედ ამით უნდა აიხსნას ენდოტოქსიური შოკის სამი შემთხვევა, რომლებიც ჩვენს მიერ შესწავლილ მასალაში 3-ჯერ დაფიქსირდა; პერიტონიტის შემთხვევები, რომლებიც 4-ჯერ დამთავრდა სიკვდილით, მათ შორის, ერთი – თორმეტგოჯა ნანლავის პერფორაციის გამო. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავადმყოფობის ისტორიაში ხშირად ვხვდებით ჩანაწერებს, რომელთა მიხედვითაც ავადმყოფს აღენიშნება მუცლის ვენტრალური თიაქარი, ორმხრივი საზარდულის თიაქარი, ევენტრაცია. მიუხედავად ამისა, მსგავსი ფაქტები ან რაიმე არაპირდაპირი ნიშანიც კი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში არ ფიგურირებს. აღნიშნული მიუთითებს ან ექსპერტის, ან მკურნალი ექიმის დაბალ კვალიფიკაციაზე, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გამოძიებისთვის საინტერესო საკითხს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ჯერ აღნიშნულ შემთხვევაზე სამართალდამცავები ყურადღებას არ ამახვილებენ.

გარდაცვლილთა დოკუმენტაციის განხილვისას, განსაკუთრებით იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ პრეს-რელიზებში, საკმაოდ ხშირია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პაციენტის გარდაცვალების მიზეზად სახელდება, მაგალითად, „ტოქსიკოზი“, „უცნობი ეტიოლოგიის კომა“ და ა.შ., რომელთა მიზეზი აუხსნელია და არანაირ სამედიცინო ლოგიკას არ ექვემდებარება.

გარდაცვლილთა სასამართლო-სამედიცინო დასკვნების განხილვით ირკვევა, რომ გარდაცვლილის სისხლში ალკოჰოლის კვალი აღმოჩნდა 4 შემთხვევაში, ხოლო შინაგან ორგანოებსა და შარდში ნარკოტიკის (ძირითადად ჰეროინი) კვალი დადგინდა 3 შემთხვევაში.

ჩვენს მიერ ყურადღება გამახვილდა გარდაცვლილთა ნაკვებობაზე. როგორც აღმოჩნდა, 101 გვამიდან 40 გვამი თითქმის განლეული იყო და აღენიშნებოდა კახექსია (39.6%). ასევე 7 გვამის შემთხვევაში გამოხატული იყო ნაწოლები და სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც დამახასიათებელია ქრონიკული დაავადებებისათვის და მოითხოვს სპეციფიკურ მოვლას (რეალურად საფიქრებელია, რომ აღნიშნული მდგომარეობა გაცილებით მეტ ავადმყოფს აღენიშნებოდა სიცოცხლის პერიოდში). ამ მონაცემების გათვალისწინებით ნათელი წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ, თუ როგორ ხორციელდება მძიმე, ქრონიკულ პაციენტთა მოვლა პენიტენციური სისტემის სამედიცინო ქვედანაყოფებსა და ე.წ. სამკურნალო დაწესებულებებში.

ყურადღება გავამახვილეთ ასევე ექსპერტის დასკვნის იმ ნაწილებზე, სადაც საუბარია საქმის გარემოებაზე. შესწავლამ აჩვენა, რომ პაციენტის საპრობილიდან კლინიკაში გადაყვანასა და სიკვდილს შორის საშუალოდ 32 საათიანი (1,33 დღე) შუალედია, ანუ გარდაცვლილ პაციენტთა დაახლოებით მესამედი გარდაიცვალა კლინიკაში გადაყვანიდან მე-2 ან მე-3 დღეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა არ ხდება მანამ, სანამ მისი მდგომარეობა კრიტიკული არ ხდება. აღნიშნული ორგანიზაციული ნაკლოვანება შესაძლებელია მიჩნეულ იქნას სიკვდილობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითადად მიზეზად!

სიკვდილობის სპექტრის შესწავლა საქართველოს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ხორციელდება პატიმართა სამედიცინო მომსახურება. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ითქვას, რომ სამედიცინო მომსახურება ციხეებში ან საერთოდ არ არსებობს, ან ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ყველა შემთხვევაში, მათი ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ სამედიცინო თვალსაზრისით სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა. კონკრეტულ სფეროებში გვაქვს გაუარესების ნიშნებიც კი წინა შესწავლილ პერიოდებთან შედარებით. სამედიცინო მომსახურება არ არის ეკვივალენტური,

ექიმის ხელმისაწვდომობა მინიმალურია, ხოლო ჩატარებული მკურნალობისა და მოვლის ხარისხი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აბსოლუტურად შეუსაბამოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მისი ღირსებისათვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანალიზის და ფაქტების უკეთ გასაცნობიერებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მოვიყვანოთ რამდენიმე შემთხვევა/მაგალითი, რომლებიც წარმოადგენს მოკლე ამონარიდებს გარდაცვლილთა გვამების სასამართლო-სამედიცინო გაკვეთის დასკვნებიდან და რომლებიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის არსებულ რეალობაზე.

ექსპერტის დასკვნა №71/33
გარდაცვლილი პაციმარი გ.ლ. 40 წლის

ექსპერტიზის დასკვნით, გ.ლ.-ის სიკვდილის უშუალო მიზეზია ფილტვების ორმხრივი ანთება (პნევმონია). დასკვნიდან ირკვევა, რომ გამოძიების მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილია ავადმყოფობის ისტორიის (№84) ქსეროასლი, რომლის შესაბამისადაც პაციენტი მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში შესვლიდან 1 დღის შემდეგ გარდაიცვალა. შემოსვლისას პაციენტის მდგომარეობა უმძიმესია, რის გამოც იგი მოთავსდა რეანიმაციაში. ექიმმა გასინჯა პაციენტი. ოფიციალური ინფორმაციით (იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული პრეს-რელიზი) პაციენტის სიკვდილის მიზეზია „ანემიის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა“. არსად ფილტვების ანთების შესახებ ინფორმაცია არ ფიგურირებს! უფრო მეტიც, თუ პაციენტს მკვეთრად გამოხატული ანემია აღენიშნებოდა, ამ შემთხვევაში მკურნალობის ერთადერთი გამართლებული ტაქტიკა უნდა ყოფილიყო ტრანსფუზია, თუმცა ავადმყოფობის ისტორიაში არსებული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ „...ჩატარება ცენტრალური ვენების კათეტერიზაციისა „ვერ ხერხდება კათეტერის უქონლობის გამო...“. **საინტერესოა, რომ ვენის კათეტერის ღირებულება აფთიაქში 1.50 ლარია, ხოლო ე.წ. რეანიმაციულ განყოფილებას არ აღმოაჩნდა აღნიშნული კათეტერი ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისათვის! საინტერესოა, სხვა რა რეანიმაციულ ღონისძიებებს იყენებს საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილება, როდესაც იგი ცენტრალური ვენის კათეტერიზაციასაც კი ვერ ახდენს?**

ექსპერტის დასკვნა №82/33
გარდაცვლილი პაციმარი ა.შ. 21 წლის

ექსპერტიზის დასკვნით, ა.შ.-ის სიკვდილის უშუალო მიზეზია „კაზეოზური ტუბერკულოზის ფონზე განვითარებული ჩირქოვან-განავლოვანი პერიტონიტი“. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზის ფონზე ამგვარი პერიტონიტის განვითარების მტკიცებულება აბსურდულია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ შემთხვევაში, ტუბერკულოზსა და პერიტონიტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცების გამო ერთადერთ გამართლებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ამის დამწერი ექსპერტის დაუყოვნებლივი გათავისუფლება სამსახურიდან არაკომპეტენტურობის გამო და მისი პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის დაწყება! რეალურად კი პაციენტი უმძიმეს მდგომარეობაში იქნა გადაყვანილი ქალაქის კლინიკაში, სადაც იგი გადაყვანიდან ერთ დღეში გარდაიცვალა პერიტონიტის ფონზე განვითარებული უმძიმესი ინტოქსიკაციის გამო. ტუბერკულოზი ამ შემთხვევაში დამარტებითი, სრულიად დამოუკიდებელი თანმხლები დაავადებაა, რომელსაც, რა თქმა უნდა, შეეძლო, მოეხდინა მდგომარეობის სიმძიმის პოტენცირება. იმის გასარკვევად, თუ რატომ ჩავარდა ა.შ. ასეთ მძიმე მდგომარეობაში, პასუხი შეიძლება მოიძებნოს გარდაცვლილის ავადმყოფობის ისტორიაში, რომლის მიხედვითაც პაციენტს აღენიშნებოდა ასციტი. მუცლის ღრუდან ერთ ჯერზე ამოღებულ იქნა **6 ლ!** სითხე. საინტერესოა, რომ ისტორიის მიხედვით ირკვევა შემდეგი: „...რენტგენოლოგიურად ფილტვებში – ფილტვის ქსოვილზე პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნება...“. გარდა ამისა, ვერ ხერხდება „ასციტური სითხის ციტოლოგიური გამოკვლევა“, რის შემდეგაც „დიაგ-



ნოზის დადგენისა და შემდგომი მკურნალობის მიზნით“ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „სადიაგნოსტიკო ლაპარატომიის გაკეთება“. როგორც ჩანს, პაციენტის თანხმობის შემდეგ გაკეთდა ოპერაცია ზოგადი ნარკოზის ქვეშ. ოპერაციის ოქმის მიხედვით „ქსოვილები გადაგვარებულია, მოხარშული თევზის მსგავსი, სისხლმდენი, მოფენილია ტუბერკულოზებით, მუცლის ღრუს პარიეტულ და ვისცერალურ პერიტონიუმზე აღინიშნება მარცვლოვანი ტუბერკულოზები, გლორიონის გარსზეც აღინიშნება ტუბერკულოზების დისემინაცია, ვინაიდან ქსოვილები ზედმინევით სისხლმდენია, რევიზიის ფართი შეზღუდულია, რეზეცირებული იქნა გადაგვარებული ბადექონი დაფარული ტუბერკულოზებით, მუცლის ღრუ დაიხურა ყრუდ...“. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი სამარცხვინოა (გაუგებარია რას გულისხმობენ „ტუბერკულოზებში“???), აბსოლუტურად შეუსაბამოა ის ტაქტიკა, რაც პაციენტის მიმართ იქნა გამოყენებული. **საფიქრებელია, რომ განავლოვანი ფისტულები და უმძიმესი პერიტონიტი პირდაპირ კავშირშია ჩატარებულ გაუმართლებელ ჩარევასთან.** კონსულტანტის სახით მონეული ფთიზიოქირურგი სვამს პაციენტის კვალიფიცირებულ პროფილურ სამედიცინო დანესებულებაში გადაყვანის საკითხს. აქვე მოიპოვება ჩანაწერი, რომ „გამოკვლევა ვერ ხერხდება ტექნიკური მიზეზების გამო“. საბოლოო ჯამში, ნამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედებების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ დახმარებით პაციენტი მოხვდა შესაბამის კლინიკაში, თუმცა ამ ეტაპზე მდგომარეობის შემობრუნება თეორიულადაც კი ძნელად წარმოსადგენი იყო. რამდენიმე საათში ისტორიაში ჩნდება ჩანაწერი, რომ პაციენტის „უკიდურესად მძიმე ზოგადი მდგომარეობის გამო რაიმე ქირურგიული ჩარევა შეუძლებელია“.

საინტერესო ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში პაციენტის სიკვდილის შემდეგ ისტორიაში დაფიქსირდა დიაგნოზი „ტუბერკულოზური მეზადენიტი, ლაპარატომიის შემდგომი ნაწლავთა ევენტერაცია, მსხვილნაწლავური ფისტულა, დიფუზური განავლოვანი პერიტონიტი...“. **ნათელია, რომ სიკვდილი გამოიწვია გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი ლაპარატომიის შემდეგ დამდგარმა მოვლენებმა, რომელიც რატომღაც ექსპერტიზის დასკვნაში ბუნდოვანია!**

ექსპერტი მიუთითებს, რომ „მუცლის წინა კედელზე, თეთრ ხაზზე აღინიშნება ზედა შუა ლაპარატომიის შემდგომი ჭრილობა ზომით 20X10 სმ. ჭრილობა გახსნილია და მასში მოჩანს შებერილი მოყვითალო-მორუხო ნადებით დაფარული ნაწლავების მარყუჟები...“ ექსპერტი ასევე მიუთითებს, რომ „გულმკერდის ღრუში აღინიშნება მორუხო ფერის სუნინანი სითხე 150 მლ-მდე“. საინტერესოა, თუ რას გულისხმობს გულმკერდის ღრუში ექსპერტი? ცნობისათვის, გულმკერდის ნაცვლად მას უნდა ეხსენებინა ან რომელიმე პლევრის ღრუ, ან პერიკარდიუმის ღრუ ან შუასაყარი! მუცლის ღრუს აღწერის დროს ექსპერტი დამატებით მიუთითებს, რომ ჭრილობა გახსნილია (10სმ-ზე) და „ჭრილობაში ნაწილობრივ ამოსული ნაწლავების მარყუჟები შებერილი, დაფარული მოყვითალო-მორუხო მყრალი სუნის მქონე თხელი ფენით. ნაწლავების მარყუჟები მოძრავი, ზოგან ხელის შეხებისას მთლიანობა ირღვევა. ბადექონი და ჯორჯალი მოყავისფრო ელფერით...“.

საინტერესოა, რომ ოპერაციის ოქმის მიხედვით ბადექონი რეზეცირებულ იქნა და ძნელი დასაჯერებელია, რომ ოპერაციის მერე გასულ პერიოდში პაციენტს ახალი ბადექონი ამოუვიდა, რაც ექსპერტმა გაკვეთის დროს აღწერა (???). გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ პრეს-რელიზში მითითებულია, რომ ა.შ.-ს „ქრონიკული განავლოვანი პერიტონიტი აღინიშნებოდა“. აღსანიშნავია, რომ მედიცინის დარგი „ქირურგია“, მთელი თავისი ათასწლოვანი განვითარების მანძილზე, ცნებას „ქრონიკული განავლოვანი პერიტონიტი“ არ იცნობს! საინტერესოა, ვინ ადგენს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურად გასავრცელებელ ინფორმაციას და რითი ხელმძღვანელობს იგი ამგვარი დიაგნოზების ჩამოყალიბების დროს?!

ამ შემთხვევაში ერთადერთი პოზიტიური მომენტი ის არის, რომ გამოძიება შეკითხვას უსვამს ექსპერტიზას, „რამდენად სწორად იყო ჩატარებული ა.შ.-ს მკურნალობა“, თუმცა ამ შეკითხვაზე ექსპერტი ასევე დასაბუთებულად პასუხობს, რომ „მსჯელობა იმაზე, რამდენად სწორად იყო ჩატარებული ა.შ.-ს მკურნალობა, შედის სასამართლო სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის კომპეტენციაში“. ჩვენთვის უცნობია, დაინიშნა თუ არა საერთოდ ასეთი სახის ექსპერტიზა ან რა შედეგით დასრულდა

იგი, თუმცა ცალსახაა ის ფაქტი, რომ ყველა ის ექიმი, რომელიც მონაწილეობდა პაციენტის მკურნალობაში მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და რომელთა მოქმედებამ ან უმოქმედობამ გამოიწვია აღნიშნული მდგომარეობა, არ შეიძლება, „მკურნალობდეს“ რომელიმე სხვა ავადმყოფს! ეს უკვე ნამდვილად დანაშაულია. შესაბამისმა უწყებამ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სასამართლოს ამ პირებისათვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაუქმების შუამდგომლობით (რა თქმა უნდა, თუ მათ ეს უკანასკნელი აქვთ)!

ექსპერტიზის დასკვნა №162/33
გარდაცვლილი პატიმარი უ.გ. 66 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, გარდაცვლილს „საყლაპავის სიმსივნე“ აღენიშნებოდა. მაშინ, როდესაც ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტს აღენიშნებოდა „ღვიძლის კიბო – ადენოკარცინომა“. ექსპერტიზის დასკვნაში საყლაპავის სიმსივნური დაზიანების რაიმე პირდაპირი ან თუნდაც საექვო ნიშანი არ არის აღწერილი. ასეთ შემთხვევაში საინტერესოა, ვინ დაუსვა პაციენტს საყლაპავის სიმსივნის დიაგნოზი? საყლაპავის და ღვიძლის სიმსივნეები იმდენად განსხვავებულ კლინიკურ სურათს იძლევიან და განსხვავებულ მკურნალობასა და მოვლას საჭიროებენ, რომ მათ დიფერენცირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პაციენტის მართვისათვის. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ როგორი წარმატებით მკურნალობდნენ უ.გ.-ს.

ექსპერტიზის დასკვნა №198/33
გარდაცვლილი პატიმარი ა.გ. 30 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია გახდა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ადასტურებს ფილტვების ორმხრივ ტუბერკულოზს და გარდაცვალების მიზეზს. მიუხედავად ამისა, საინტერესოა დასკვნაში მოყვანილი გარემოება, კერძოდ ის ნაწილი, რომელიც აღწერს გარდაცვლილის ავადმყოფობის ისტორიას. ისტორიის მიხედვით, ა.გ.-ს აღენიშნებოდა პიოპნევმოთორაქსი და გასაკვირი არ არის ამ ფონზე სუნთქვის უკმარისობის არსებობა. ამას ადასტურებს ისტორიაში ჩანანერიც, რომლის მიხედვითაც, „მარჯვნივ, მთელს სიგრძეზე სუნთქვა არ ტარდება“.

ტუბერკულოზი გართულებულია სპონტანური პნევმოთორაქსით (დადასტურებულია რენტგენოლოგიურად). მდგომარეობა მძიმდება, სუნთქვის უკმარისობა სულ უფრო დომინანტური ხდება, კანკემა ემფიზემა იმატებს. მოგვიანებით, როდესაც უკვე საჭირო ხდება რეანიმაციული ღონისძიებები, არსად არის მითითებული, რომ პაციენტი ინტუბირებულია ან გადაყვანილია ხელოვნური სუნთქვის აპარატზე (მას უკვე დასმული აქვს დიაგნოზი – ღია პნევმოთორაქსი ???). აქ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ე.წ. რეანიმაციული განყოფილების შესაძლებლობები და მიღწევები კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მკურნალობის მიმართულებით. თუ მართლაც პაციენტი არ იყო ინტუბირებული და გადაყვანილი ხელოვნურ სუნთქვაზე, მაშინ ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი „დაიხრჩო“ პროგრესირებადი პნევმოთორაქსის ფონზე ან შესაძლებელია, გარკვეული როლი ითამაშა შუასაყრის ცდომის გამო განვითარებულმა ტკივილმა.

ექსპერტიზის დასკვნა №204/33
გარდაცვლილი პატიმარი თ.კ. 29 წლის

როგორც აღნიშნული შემთხვევის შესწავლიდან ირკვევა, პაციენტი №5 საპრობილიდან გადაყვანილი იქნა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაგვიანებით. მას დაესვა თორ-



მეტგოჯა ნანლავის წყლულის პერფორაციისა და პერიტონიტის დიაგნოზი. პერიტონიტი წარმოადგენს სიცოცხლისათვის საშიშ გართულებას და ამ მდგომარეობის დროს უნდა გაკეთდეს სასწრაფო ოპერაცია. გარდა ამისა, პერფორაციის დროს დაახლოებით 95% შემთხვევაში აღინიშნება უძლიერესი ტკივილი (ხანჯლის ჩაცემის მსგავსი), რომელსაც პაციენტი შოკურ მდგომარეობამდე მიჰყავს და დახმარების გაუწევლობის შემთხვევაში თითქმის გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მეტი დროა გასული პერფორაციიდან, მით უფრო ნაკლებია პაციენტის გადარჩენის შანსი.

კონკრეტულ შემთხვევაში, პაციენტის დაგვიანებულ მკურნალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოპერაციის დროს ნანახი იქნა პერფორირებული ხვრელი, რომელიც „გარშემორტყმულია ანთებითი ჩირქოვანი ნადებით“, რომელიც ასევე აღინიშნება ღვიძლზე. როგორც ოპერაციის ოქმიდან ირკვევა, მკურნალობის დროს დაშვებულია უხეში ტაქტიკური შეცდომები. კერძოდ, პერფორირებული ხვრელი გაიკერა კეტგუთით (განოვადი ძაფი). ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტით გაურკვეველია, რა სახის ანტიბიოტიკოთერაპია უტარდებოდა პაციენტს, ხდებოდა თუ არა ნაზოგასტრული ზონდიდან შიგთავსის ასპირაცია და ა.შ. ლოგიკურია, რომ მოხდა სუბდიაფრაგმული აბსცესის ფორმირება და ნაკერების უკმარისობა. აღნიშნულის გამო გაკეთდა განმეორებითი ოპერაცია. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზმი განიცდიდა ინტოქსიკაციას პერიტონიტის გამო.

გაცილებით უფრო უხეში და გაუმართლებელი ჩარევა განხორციელდა რეოპერაციის დროს. არ იქნა გამოყენებული სხვა სახის ოპერაციები, მაგალითად, ლაპაროსტომის დადება ელვის ჩაკერებით. სამაგიეროდ, გაკეთდა განმეორებითი ულცერორაფია (წყლულის შედეგად გაჩენილი ხვრელის გაკერვა). ასევე აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წინა შერთულის დადებაზე (აბსოლუტურად გაურკვეველია, რატომ!!!!). ამ დროს, როგორც წესი, თუ არსებობდა სტენოზი, უნდა მომხდარიყო ნაზონტერული ზონდის გატარება, ვინაიდან ნებისმიერი შერთულის დადება დაკავშირებული იყო გარდაუვალ გახსნასთან. ანუ ამ შემთხვევაში არსებობს აბსოლუტური რისკი ნაკერების უკმარისობისა. ამ ყოველად გაუმართლებელი და უპასუხისმგებლო ტაქტიკის შედეგად, რა თქმა უნდა, მოხდა ნაკერების გახსნა და უნივერსალური ჩირქოვანი პერიტონიტის კიდევ უფრო პროგრესირება, რამაც გარდაუვლად გამოიწვია პაციენტის სიკვდილი!

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ექიმები ყურადღებას ამახვილებენ (იმის ნაცვლად, რომ ადეკვატური ღონისძიებები გაატარონ) პაციენტის აგზნებაზე („იმუქრება ზონდის ამოგდებათ... გაიგლიჯა თასმები და ნაზოგასტრალური ზონდი...“ და ა.შ.). ეს მდგომარეობა ბუნებრივია ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული ენცეფალოპათიის გამო, რაც მდგომარეობის უკიდურეს სიმძიმეზე მიუთითებს. თანამედროვე მიდგომით, ასეთ მძიმე მდგომარეობაში, როდესაც გამოხატულია უნივერსალური პერიტონიტი და ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მიზანშეწონილია ტილორის ტაქტიკის გამოყენება.

წარმოებულმა არასწორმა ჩარევამ უფრო დააჩქარა შეუქცევადი პროცესები და გამოიწვია პაციენტის დაღუპვა. ალბათ ძნელია იმაზე ლაპარაკი, შესაძლებელი იყო თუ არა პაციენტის გადარჩენა თუნდაც ალტერნატიული მკურნალობის ჩატარებისას, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, პაციენტის სიკვდილი და წარმოებული ჩარევა პრაქტიკულად მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტი დეტალურად ვერ ახერხებს ჩატარებული ქირურგიული ჩარევისა და შეცვლილი ანატომიური სურათის აღწერას. ვერ აკონკრეტებს, რა სახის შერთულია დადებული, რა მდგომარეობაშია ირგვლივ მყოფი ორგანოები, როგორია გამტარობა და ასე შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ პერფორირებული წყლულის ამოკვეთა ან გაკერვა ტექნიკურად ხელმისაწვდომია ყველა ქირურგისათვის და წარმოადგენს მარტივ ჩარევას, იგი მოითხოვს მეტად საპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. პოსტოპერაციული სიკვდილობა წყლულის გაკერვის შემდეგ ლიტერატურული მონაცემებით შეადგენს 2-4,4%. ანუ აღინიშნული იმას მიუთითებს, რომ პაციენტის გადარ-

ჩენის შანსი, ადეკვატური მართვის შემთხვევაში, თითქმის 96%-ს უტოლდება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში ვერ იქნა გამოყენებული!

ექსპერტიზის დასკვნა №217/33
გარდაცვლილი პატიმარი რომეო მარგველიანი 29 წლის

აღნიშნული შემთხვევა არაერთხელ იქნა გამოქვეყნებული და გაანალიზებული. იგი განხილულ იქნა სახალხო დამცველის 2006 წლის ანგარიშის პარალელურად, როგორც დამატებითი შემთხვევა. ამდენად, მის დეტალებზე აღარ შეეჩერდებით.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, შეესწავლა გარდაცვლილი პაციენტის საქმე და ემსჯელა ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხზე. როგორც სააგენტოს შესწავლის შუალედური მასალებიდან ირკვევა, შემთხვევა შესწავლილ იქნა 5 ექსპერტისაგან შექმნილი სამედიცინო კომისიის მიერ. მოგვყავს ამონაწერი კომისიის დასკვნიდან:

- 1. პაციენტ რომეო მარგველიანისათვის განეული სამედიცინო დახმარების ხარისხი შეფასდეს არაადამაკმაყოფილებლად!
- 2. პაციენტ რომეო მარგველიანის მიმართ სამედიცინო სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებები შეფასდეს არაადეკვატურად;
- 3. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება შეფასდეს არაადამაკმაყოფილებლად;
- 4. პაციენტ რომეო მარგველიანის მოვლის პირობები მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შეფასდეს არაჰუმანურ მოპყრობად;
- 5. უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე აღიძრას შუამდგომლობის საკითხი, ავადმყოფ მარგველიანის მკურნალობასა და მოვლაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის და სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის პროფესიული პასუხისმგებლობის უმკაცრესი ზომების გასატარებლად;
- 6. გარდა აღწერილი სამედიცინო ხასიათის უხეში დარღვევებისა, აშკარაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რის გამოც საკითხი შემდგომი შესწავლისათვის უნდა გადაეგზავნოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას!

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით საკითხის შესწავლა დასრულებული არ არის. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რათა გარკვეულიყო, რა ეტაპზეა საქმის შესწავლა, თუმცა სააგენტოდან მიღებული მრავალჯერადი პასუხები თითქმის ერთი და იმავე შინაარსისაა და განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ჯერ არ გაუცია (მიუხედავად არაერთი მიმართვისა) ნებართვა სააგენტოს თანამშრომელთა ციხის საავადმყოფოს ტერიტორიაზე დაშვების შესახებ. თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის წერილზე სასჯელაღსრულების დაპარამენტისადმი, თუ რატომ ფერხდებოდა სააგენტოს თანამშრომელთა ტერიტორიაზე დაშვება, აღნიშნულმა ორგანომ უპასუხა, რომ სააგენტოს თანამშრომლებს არ ესაჭიროებათ რაიმე სპეციფიკური ნებართვა და მათ შეუძლიათ შევიდნენ ციხის საავადმყოფოს ტერიტორიაზე შესწავლის ჩატარების მიზნით. **ეს ის შემთხვევაა, როდესაც როგორც ერთი, ისე მეორე სახელმწიფო სტრუქტურა აშკარად ავლენს უპასუხისმგებლობას, უხეშად აღვეს საქართველოს კანონმდებლობას და უფრო მეტიც – ავლენს ცინიზმს!**

ბოლო წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთე-



ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში გაიგზავნა 2007 წლის 26 სექტემბერს (№1760/11), თუმცა პასუხი დღემდე მიღებული არ არის. პარალელურად დუმს საქართველოს გენერალური პროკურატურაც, რომელსაც ასევე გადაეგზავნა საქმე შესასწავლად. კონკრეტული შემთხვევა გვაფიქრებინებს, რომ არცერთი პაციენტის სიკვდილის მიზეზის დადგენა ამ კონკრეტულ უწყებათა ინტერესებში არ შედის.

ქსპერტიზის დასკვნა №207/33 გარდაცვლილი პაციმარი ბ.ე. 73 წლის

აღნიშნული შემთხვევაშიც, პაციენტის სიკვდილი მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულების სამედიცინო პერსონალის უგულისყურობამ და უპასუხისმგებლობამ გამოიწვია. ინფორმაცია მოპოვებულ იქნა ჩვენი მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე უწყებიდან. პაციენტი დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით. მას უტარდებოდა აშკარად არაადეკვატური მკურნალობა. ბოლო პერიოდში მან უარი თქვა საკვების მიღებაზე. იმის ნაცვლად, რომ მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილების პერსონალს გამოეჩინა პროფესიონალიზმი და კვების მიზნით ჩაედგა პაციენტისათვის ნაზოგასტრული ზონდი, მან ყურადღება არ მიაქცია ბ.ე.-ს, რის გამოც პაციენტი პრაქტიკულად შიმშილით მოკვდა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში მისი გარდაცვალების მიზეზად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა სახელდება.

ქსპერტიზის დასკვნა №223/33 გარდაცვლილი პაციმარი ლ.ა. 23 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, პაციმრის გარდაცვალების მიზეზია ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობა. იმავეს ადასტურებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით ექსპერტიზის აღწერილობითი ნაწილი არ შეესაბამება გამოტანილ დასკვნას. აღნიშნულზე აშკარად მეტყველებს ასევე გარდაცვლილი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია. როგორც ირკვევა, პაციენტს ნამდვილად აღენიშნებოდა ფილტვის ტუბერკულოზი, თუმცა საეჭვოა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში და კონკრეტულ ეტაპზე, ტუბერკულოზი 23 წლის პაციენტის სიკვდილის მიზეზი გამხდარიყო.

მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში წარმოებული სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათი №247-ის მიხედვით ირკვევა, რომ ავადმყოფი სამკურნალო დაწესებულებაში შეყვანამდე 5 დღის განმავლობაში უჩიოდა ტკივილს მუცლის მარჯვენა მიდამოში, გულისრევას, პირღებინებას. ტკივილი თანდათან ძლიერდებოდა. საბოლოო ჯამში დაისვა (სავარაუდოდ, 5 დღის დაგვიანებით) მწვავე მუცლის დიაგნოზი და გაკეთდა ოპერაცია. როგორც ოპერაციის ოქმი №79-დან ირკვევა, მუცლის ღრუში აღინიშნა 400-მლ-მდე სეროზული გამონადენი. ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ დაავადების დაწყებიდან 5 დღის შემდეგ გამონადენი კვლავ სეროზული იყო. ოპერაციის დროს აღმოჩნდა აპენდიციტი. წარმოებულ იქნა აპენდექტომია და „ტყვია ჩაბრუნდა ქისისებრ ნაკერში“. გაურკვეველია, რას ნიშნავს ტყვია? აქ, სავარაუდოდ, ტაკვი უნდა იგულისხმებოდეს. ასევე გაურკვეველია, თუ როგორ მოხერხდა ქისისებურ ნაკერზე ზემოდან კიდევ 7 ნაკერის დადება. ეს ტექნიკურად ძნელად წარმოსადგენია. ოქმის მიხედვით, აპენდიქსზე არის ფიბრინული ნადები, ალაგ ნეკროზული უბნები. „გამოყოფის დროს აპენდიქსის მწვერვალი მოიჭრა, გადმოიღვარა ჩირქი კოლიბაციური სუნით (100,0). აპენდიქსის მწვერვალი მოიჭრა და მოცილებულ იქნა. მუცლის ღრუ ამომშრალდა, ამოირეცხა...“. აღნიშნული ამონარიდი ოქმიდან მიუთითებს, რომ რეალურად იყო განგრებული აპენდიციტი ან სულაც ჭიანჭლის ემპიემა, რაც არც ქირურგს და არც ექსპერტს არ დაუფიქსირებია. აღნიშნულთან ერთად მინიმუმ უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პერიტონიტიც. საკვირველია

ასევე, თუ რა კრიტერიუმით მიიჩნევს ექიმი სუნს კოლიბაციურად ან საერთოდ რას გულისხმობს ამ ფრაზაში. როგორც ირკვევა, აპენდექტომია წარიმართა ტექნიკური სირთულით, რაც გამოიხატება ჭიანჭლის მწვერვალის მოწყვეტაში. სწორედ ამ დროს მოხდა მუცლის ღრუში „100.0“ (ალბათ მილილიტრი ?) ჩირქის ჩაღვრა. ასეთ დროს მუცლის ღრუს ამორეცხვის ჩატარება, მით უფრო, თუ თავდაპირველი გამონადენი მხოლოდ სეროზული იყო, აბსოლუტურად გაუმართლებელია და ხელს უწყობს ინფექციის მოთევას მთელს მუცლის ღრუში. გარდა ამისა, გაურკვეველია, თუ ოპერაციის დროს ჭიანჭლი ადეკვატურად იყო შემოფარგლული, რატომ ჩაიღვრა ამ მოცულობის ჩირქი მუცლის ღრუში. ოპერაციიდან მე-11 დღეს ავადმყოფის მდგომარეობის დამძიმებას მოჰყვა მისი სიკვდილი. გაკვეთის დროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ „მუცლის ღრუში, უპირატესად მარჯვენა ნახევარში მორუხო-მოყავისფრო ფერის სითხე 100 მლ რაოდენობით“. ექსპერტი არ აღწერს, თუ რა მდგომარეობაშია ნაოპერაციები ტაკვი, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ექსპერტი ასევე არ აღწერს აღმოჩენილი 100 მლ სითხის ხასიათს. რა თქმა უნდა, მის ბაქტერიოლოგიურ კვლევაზე გაგზავნა არ მომხდარა! ყოველივე ზემოაღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ პაციენტს ასევე აღენიშნებოდა პერიტონიტი, რაც შესაძლებელია, გამხდარიყო მისი სიკვდილის მიზეზი! **მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული შემთხვევა განმეორებით იქნას შესწავლილი საქმის მასალების მიხედვით და მოხდეს პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის დეტალური ანალიზი, რაც, სავარაუდოდ, გარდაცვალების ჭეშმარიტ მიზეზებს გამოავლენს.**

ექსპერტიზის დასკვნა №304/33
გარდაცვლილი პაციმარი ი.ს. 51 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, პაციმრის გარდაცვალების მიზეზია „...გულის უკმარისობის ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა“. აღნიშნული განცხადება სხვა უკვე არაფერია, თუ არა მარაზმი! იუსტიციის სამინისტროს „სამედიცინო ფანტაზიები“ უკვე ისე შორის წავიდა, რომ გულის უკმარისობას ისინი გულის უკმარისობისავე ფონზე ავითარებენ! ჩვენს წინა მოხსენებებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ გულის უკმარისობის სიკვდილის მიზეზად გამოცხადება არამართებულია და საერთოდ არ ასახავს რეალობას! გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ პრეს—რელიზში გაცხადებული დიაგნოზი, „ჭიპის დიდი ზომის თიაქარი და საზარდულის ორმხრივი თიაქარი“, საკმაოდ სერიოზულ დიაგნოზს წარმოადგენს, თუმცა თითქმის არ არის ასახული ექსპერტის დასკვნაში, თუ არ ჩავთვლით ჩანაწერს: „მუცლის წინა ზედაპირზე ჭიპის ირგვლივ დაახლოებით 10X12 სმ-ის ჭიპის თიაქარი“. საზარდულის ორმხრივი თიაქრის შესახებ არაფერია ნათქვამი.

გარდა ამისა, დასკვნაში მითითებულია, რომ „აღებულ იქნა შინაგანი ორგანოების ამონაჭრები ჰისტოლოგიურ გამოკვლევაზე“, თუმცა დამატებითი გამოკვლევების მონაცემებში არ არის აღწერილი ის შედეგები, რომლებიც დადგენილ იქნა ჰისტოლოგიური კვლევის შედეგად. მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე ის ფაქტი, რომ გვამის გულში, პარაკუჭთაშუა ძგიდეზე, აღინიშნება „მორუხო ფერის მომკვრივო ნაწიბუროვანი ქსოვილი“, თუმცა არაფერია ნათქვამი ამ ნაწიბურის ხანდაზმულობაზე. როგორც ცნობილია, ნაწიბური შეიძლება გამოიწვიოს მიოკარდიუმის ინფარქტმა, რაც აღწერილი სურათის ფონზე შესაძლებელია განვითარებული იყო, თუმცა ნაწიბურის ხანდაზმულობის აღუწერლობა საშუალებას არ გვაძლევს ვიმსჯელოთ, იყო თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტი.

ექსპერტიზის დასკვნა №315/33
გარდაცვლილი პაციმარი დ.ი. 48 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, პაციმრი გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში შესვლიდან 2 დღეში



თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის გამო. აღნიშნული დიაგნოზი დადასტურებულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ავადმყოფობის ისტორიაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ექიმი ნევროლოგი სრულიად დასაბუთებულად ითხოვს, რომ „დიაგნოზის დასაზუსტებლად აუცილებელია კომპიუტერული კვლევა. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სპეციალიზებულ დიაგნოსტიკას, საჭიროა მკურნალობის გაგრძელება ნევროლოგიურ სტაციონარში“. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ კლინიკური დიაგნოზი საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული და ბუნებრივია, პაციენტი ვერ იღებდა ადეკვატურ მკურნალობასა და მოვლას. მისი მკურნალობა იყო მხოლოდ სიმპტომური. ასევე არ შესრულდა ექიმის რეკომენდაცია პაციენტის კვალიფიციურ ნევროლოგიურ სტაციონარში გადაყვანის შესახებ. ყოველივე ამან კი საბოლოოდ გამოიწვია პაციენტის სიკვდილი!

ექსპერტიზის დასკვნა №323/33
გარდაცვლილი პატიმარი ლ.ტ. 30 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ლ.ტ.-ს დასმული ჰქონდა დიაგნოზი: „ნაჩხვლეტი ჭრილობა ეპიგასტრიუმის არეში, შემავალი მუცლის ღრუში“; ხოლო მისი სიკვდილის მიზეზია – „ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის ფონზე განვითარებული ფილტვ-გულის მწვავე უკმარი-სობა“. იმავეს ადასტურებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. მიუხედავად ამისა, ექსპერტიზის დასკვნაში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე გარემოება: საინტერესოა, რა სახის დაზიანება შეიძლება მიეყენებინა ლითონის მავთულს ბადექონისათვის, რაც გახდა ამ უკანასკნელის ამოკვეთის საფუძველი? სისხლდენის არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო სისხლდენი უბნის ლიგირება. ასევე ტაქტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს მუცლის ღრუს ამორეცხვა ხსნარით იმ დროს, როდესაც არ არსებობს ბადექონის ნაწილის გარდა სხვა რაიმე ორგანოს დაზიანების ნიშანი ან ინფექციური გართულების კვალი.

საფიქრებელია, რომ მუცლის ღრუში გაუმართლებელი, ზედმეტი მანიპულაციების ჩატარებამ, მით უფრო ადრე გადატანილი ლაპაროტომიისა და არსებული შეხორცებების ფონზე, ოპერაცია გახდა უფრო მეტად ტრავმული, რაც მკვეთრად ზრდის ოპერაციის რისკს. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუ აღწერილის გარდა არ არსებობდა სხვა სახის დაზიანება, რატომ ჩაითვალა აუცილებლად მუცლის ღრუში რამდენიმე დრენაჟის ჩადგმა? ასევე საყურადღებოა, რომ ავადმყოფის მდგომარეობის სიმძიმის შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი: „...აღნიშნება ზედა ნაწილის გამოუქება..., გაშავდა სხეულის ზედა ნაწილი...“. ეპიკრიზში ასევე აღნიშნულია, რომ ავადმყოფმა ოპერაციის დროს გააჩერა გული, თუმცა არ არის აღწერილი, რა პროფილაქტიკური ღონისძიებები დაგეგმა და გაატარა ანესთეზიოლოგმა ამ გართულების ხელახლა განვითარების საწინააღმდეგოდ. ექსპერტის დასკვნის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ არის აღწერილი ნაოპეაციები ბადექონი (რაც მითითებულია ოპერაციის ოქმში).

ექსპერტიზის დასკვნა №371/33
გარდაცვლილი პატიმარი კ.ა. 55 წლის

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პატიმარს, რომელიც გარდაიცვალა №5 საპყრობილის სამედიცინო ნაწილის საკანში, სხეულზე აღნიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები, რომლებიც, ექსპერტის აზრით, მიყენებულია სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაზიანებები არ არის მიზეზობრივ კავშირში სიკვდილთან, გამოძიება უნდა დაინტერესდეს, რა დაზიანებებზეა საუბარი ექსპერტის დასკვნაში და რა ვითარებაში მიიღო გარდაცვლილმა აღწერილი დაზიანებები.

ექსპერტიზის დასკვნა №442/33
გარდაცვლილი პაციმარი გ.შ. 42 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, პაციმარის გარდაცვალების მიზეზად სახელდება ფილტვების პროგრესული ტუბერკულოზის შედეგად განვითარებული ძლიერი სისხლდენა. აღნიშნული დასტურდება ასევე პაციენტის ავადმყოფობის ისტორიით. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ტუბერკულოზი დადასტურებულია. აქვე აღნიშნულია, რომ მარცხენა პლევრის ღრუში აღინიშნება 1000 მლ მოყვითალო შემღვრეული სითხე მყრალი სუნით. იქვე კვლავ არის დაფიქსირებული, რომ მარცხენა პლევრის ღრუში აღინიშნება მოყვითალო შემღვრეული სითხე 150 მლ-მდე, მყრალი სუნით. საბოლოო ჯამში გაურკვეველია, რომელ პლევრის ღრუშია სითხე და რამდენია მისი მოცულობა. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული სითხე არ არის სისხლი; არც სისხლის მინარევია აღწერილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰაერგამტარი გზები, ასევე ხორხის ზემოთ მდებარე ორგანოები სისხლისაგან თავისუფალია, მაშინ გაურკვეველია, სად გაქრა ის სისხლი, რომლის დენითაც დაიღუპა პაციენტი. არც სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზში და არც დასკვნით ნაწილში სისხლდენა არ ფიგურირებს, რაც წარმოადგენს აშკარა შეუსაბამობას კლინიკურ და სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზს შორის.

ექსპერტიზის დასკვნა №450/33
გარდაცვლილი პაციმარი ნ.კ. 45 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, „ავადმყოფს დასმული აქვს დიაგნოზი „მწვავე ნაწლავური ინფექცია, ინფექციურ-ტოქსიკური შოკი 2 ხ. აივ ინფექცია/შიდსი, ფარინგომიკოზი“, ხოლო სიკვდილის მიზეზად სახელდება „ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვათა მწვავე უკმარისობა“. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია დისიმინირებული ტუბერკულოზი, რომელიც მრავალი ორგანოს დაზიანებას მოიცავს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ პაციენტს დასმული ჰქონდა მცდარი დიაგნოზი და, შესაბამისად, მკურნალობა არაადეკვატურად მიმდინარეობდა. ასევე გაურკვეველია, ვინ დასვა შიდსის დიაგნოზი და რატომ არაფერია ნათქვამი მის შესახებ ექსპერტის დასკვნაში.

ექსპერტიზის დასკვნა №598/33
გარდაცვლილი პაციმარი კ.ს. 30 წლის

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, „თხემ-კეფის მიდამოში მრავლობითი ძველი ნაწიბურები. ასევე კეფის მარჯვენა მიდამოში ორი დაჟეჟილი ქრილობა, ირგვლივ შეშუპებით და სისხლნაჟღენით, რომელიც განვითარებულია რაიმე მკვრივი ბლავგი საგნის მოქმედების შედეგად...“. თუ გავითვალისწინებთ ავადმყოფობის ისტორიის მონაცემებს, პაციენტს განუვითარდა ეპილეფსიური გულყრა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სამედიცინო ნაწილში იმყოფებოდა, მან გულყრის დროს, სავარაუდოდ, ტონურ-კლონური კრუნჩხვებისას, მიიღო აღწერილი დაზიანება. სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებობის გამო ტრავმების თავიდან აცილება ვერ მოხდა. თუ გავითვალისწინებთ ასევე იმასაც, რომ გვამს თავის მიდამოში ძველი ნაწიბურებიც აქვს, ნათელი წარმოადგენა შეგვექმნება პაციენტთა მოვლისა და მკურნალობის შესახებ. საფიქრებელია, რომ სწორედ ერთ-ერთი ასეთი გულყრის დროს მოხდა ანევრიზმის გასკდომა, თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა, ტვინის შეშუპება, დისლოკაცია და ჩაჭედვა, რაც გახდა პაციენტის სიკვდილის მიზეზი. მედპერსონალმა გარდაცვლილი პაციენტი მხოლოდ მეორე დღეს აღმოაჩინა ლოგინში!



ექსპერტიზის დასკვნა №735/33
გარდაცვლილი პატიმარი გ.ა. 76 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გ.ა. გარდაიცვალა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. მას დასმული ჰქონდა სწორი ნაწლავის კიბოს და აროზიული სისხლდენის დიაგნოზი. სწორედ სისხლდენა გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. სწორი ნაწლავის კიბოს დიაგნოზს ადასტურებს ისტორიაში არსებული ჩანაწერებიც, რომელთა მიხედვით, დიგიტალური გასინჯვით ფიქსირდება მკვრივი, ხორკლიანი წარმონაქმნი. ამასვე ადასტურებს პროქტოლოგის კონსულტაციაც. საუბარია ასევე აროზიულ სისხლდენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სწორი ნაწლავის დაზიანება მაკრომორფოლოგიურად აღწერილია ექსპერტის მიერ, ჰისტოლოგიურად სწორი ნაწლავის კიბო არ არის დადასტურებული. კიბოს დიაგნოზი არ არის გამოტანილი ასევე საბოლოო დასკვნაში (საერთოდ არაფერია ამაზე ნათქვამი). სიკვდილის მიზეზად კი სახელდება ტუბერკულოზი. აღნიშნული წარმოადგენს კლინიკურ და სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზებს შორის შეუსაბამობის ნათელ მაგალითს. გარდაცვლილის სისხლში ასევე აღმოჩენილია ალკოჰოლი.

ექსპერტიზის დასკვნა №795/33
გარდაცვლილი პატიმარი გ.რ. 19 წლის

ექსპერტიზის დასკვნაში (გვამის გარეგანი გამოკვლევა) ფიგურირებს, რომ სათესლე პარკი შესიებული და ზომამი მომატებულია, თუმცა არც ჰისტოლოგიურად და არც შემდგომ დასკვნაში აღნიშნულზე საუბარი აღარ არის. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი არასრულყოფილია.

ექსპერტიზის დასკვნა №894/33
გარდაცვლილი პატიმარი ი.ს. 43 წლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ავადმყოფი ი.ს.-ს დასმული ჰქონდა დიაგნოზი „პოსტოპერაციული თავისუფალი ვენტრალური თიაქარი ნაწიბურების ლიგატურული ფისტულით გართულების გარეშე და ქრონიკული ბრონქიტი“. აღსანიშნავია, რომ ლიგატურული ფისტულა თავისთავად უკვე წარმოადგენს გართულებას. აქედან გამომდინარე, დიაგნოზში ჩამოყალიბებული დებულება ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული. ყოველივე ამასთან ერთად, სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით ირკვევა, რომ პაციენტის გარდაცვალების მიზეზია მიოკარდიუმის ინფარქტი და მის ორგანიზმში აღმოჩენილია **ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი**. რაც შეეხება მუცლის წინა კედლის პოსტოპერაციულ თავისუფალ თიაქარსა და ნაწიბურებს, ლიგატურული ფისტულით ისინი ექსპერტიზის აღწერილობით ან დასკვნით ნაწილში საერთოდ არ არის ნახსენები, რაც ქმნის სერიოზულ შეუსაბამობას და მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული.

ექსპერტიზის დასკვნა №899/33
გარდაცვლილი პატიმარი ე.გ. 43 წლის

როგორც ირკვევა, პაციენტი ე.გ. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანიდან ერთ დღეში გარდაიცვალა. ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი „შენორცებითი დაავადება, ნვრილნაწლავოვანი მწვავე სტრანგულაციური გაუვალობა, ეროზიული გასტრიტი, გასტრო-დუოდენური სისხლდენა, ფილტვების ტუბერკულოზი“. გარდაცვალების მიზეზად კი დასახელებულია „მწვავე სტრანგულაციური გაუვალობით გამოწვეული ზოგადი ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა“.

როგორც ექსპერტის დასკვნაში მოცემული სამედიცინო საბუთების მონაცემებიდან ირკვევა, დაავადება დაიწყო სამკურნალო დაწესებულებაში შემოყვანამდე 8-10 დღით ადრე, რაც გამოიხატებოდა ტკივილით მუცლის არეში, რომელსაც მოგვიანებით თან დაერთო პირღებინება ყავისფერი შიგთავსით. პაციენტს კუჭის მოქმედება არ ჰქონდა 8 დღის განმავლობაში. როგორც ჩანს, ეჭვი იქნა მიტანილი კუჭიდან სისხლდენაზე, ქირურგის მიერ ჩაიდგა ზონდი, ამოიქაჩა კუჭის შიგთავსი, დაეწყო ჰემოსტაზური მკურნალობა. ტექნიკური მიზეზების გამო „ფიბროგასტროსკოპიის ჩატარება ვერ ხერხდება“.

მომდევნო დღეს ჩატარებულმა ეზოფაგოგასტროსკოპიამ სისხლდენის ნიშნები არ დაადასტურა და ეჭვი იქნა მიტანილი მაღალ გაუფალობაზე. მიუხედავად ავადმყოფის მიძიმე მდგომარეობისა, გაკეთდა ოპერაცია. როგორც ოპერაციის ოქმიდან №102 ირკვევა, გაკეთდა „ლაპარატომია, ნაწლავთა დეკომპრესია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება, სფინქტერის დევოლიზი (?)“. ოპერაციის ოქმში არ არის დასაბუთებული, რატომ იქნა ქირურგების მიერ დეკომპრესიის მეთოდად არჩეული ნაწლავის გახსნა და მისი ამ მეთოდით დაცლა. ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში პაციენტის უმძიმესი მდგომარეობა პროგრესირდა, რაც საბოლოოდ სიკვდილით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტი კუჭში აფიქსირებს „ბლანტი, მოყვითალო ფერის განავლოვან მასებს“. ეს იმ ფონზე, როდესაც ნაზოგასტრული ზონდი ჩადგმული უნდა იყოს და მიმდინარეობდეს შიგთავსის აქტიური ასპირაცია და დეკომპრესია.

როგორც დიაგნოსტიკის, ისე მკურნალობის დროს, დაშვებულ იქნა უხეში ტაქტიკური შეცდომები. რაც შეეხება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, იგი არაკვალიფიციურია. როგორც ირკვევა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ვერ არკვევს ორგანოთა შეცვლილ ანატომიას, ამავე დროს მას ელემენტარული წარმოდგენა არ აქვს ოპერაციული ქირურგიის ძირითადი საკითხების შესახებ. ნაოპერაციები ორგანოების აღწერა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს! რაც შეეხება გამოძიების შეკითხვას ექსპერტისადმი – „აღმოუჩინეს თუ არა ე.გ.-ს დროული სამედიცინო დახმარება? ხომ არ არის მისი გარდაცვალება არასწორი მკურნალობის შედეგი?“ ექსპერტი პასუხობს, რომ „საკითხის გადასაწყვეტად ... საჭიროა დაინიშნოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კომისიური წესით“. ამ შემთხვევაშიც კვლავ უცნობია, ჩატარდა თუ არა ამგვარი ექსპერტიზა და რა შედეგი მოიტანა მან.

ჩვენს ხელთ არსებული ექსპერტიზის დასკვნებიდან ირკვევა, რომ გამოძიების მხარე სასამართლო ექსპერტიზის წინაშე მკურნალობის ადეკვატურობის შეფასების საკითხს აყენებს მხოლოდ 4 შემთხვევაში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ალბათ კითხვის დასმა განპირობებულია გარდაცვლილთა დაცვის მხარის აქტიური მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში ექსპერტი ითხოვს საკითხის კომისიური წესით შესწავლას. აღნიშნული თავისთავად უკანონოა არ არის, თუმცა ჩვენთვის უცნობია გამოძიების მხარის შემდგომი ქმედებები.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ისევე, როგორც წინა პერიოდში, გამოირჩევა მთელი რიგი ხარვეზებით. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული გამოწვეულია ამ სპეციალობის ექიმთა კვალიფიკაციის დაბალი დონით.

ხშირად არ არის მითითებული დადგენილების ნომრები, გარდაცვლილის ასაკი, არ არის აღნიშნული ექსპერტიზის დაწყების და დასრულების საათი (გვამის გაკვეთის დრო). ზოგიერთ დასკვნაში ორგანოთა ზომები საერთოდ არ არის მითითებული, ხოლო წყვილი შინაგანი ორგანოების ზომები კვლავ თითქმის ყველა დასკვნაში მითითებულია ერთად, რაც არ ასახავს სინამდვილეს. როგორც წესი, არ იწონება შინაგანი ორგანოები და დასკვნათა უმრავლესობაში არ არის მოყვანილი შინაგანი ორგანოების წონა. ხშირად, ორგანოების ფერი ან მათი განაკვეთის ზედაპირების ფერი არ ასახავს ორგანოში არსებულ პათოლოგიას; ორგანოს ფერის აღწერას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც შესავალ ნაწილში მითითებულია, როგორი განათების – ბუნებრივი თუ ხელოვნური – პირობებში გაიკვეთა



გვამი. არცერთ დასკვნაში განათების სახეობის შესახებ მითითებული არ არის. ამასთან, თუ გვამის გაკვეთის საათიც არ არის მითითებული, გაუგებარია დღე გაიკვეთა თუ ღამის განათების პირობებში, რაც საერთოდ შეუძლებელს ხდის ორგანოების ფერის მიხედვით პათოლოგიის შეფასებას.

ზოგიერთ დასკვნაში შინაგანი ორგანოების აღწერისას დაშვებულია უხეში შეცდომები. ხშირად ეს შეცდომები იმდენად აბსურდული შინაარსისაა, რომ საერთოდ არ ჰგავს ექიმის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს. უმრავლეს შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ექცევა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აღწერას. სასამართლო სამედიცინო დიაგნოზები შედგენილია დაბალკვალიფიციურად. დიაგნოზი უნდა იწყებოდეს სიკვდილის უშუალო მიზეზით, ძირითადი ავადმყოფობით, შემდეგ უნდა მოსდევდეს თანმხლები ავადმყოფობა და ფონური ავადმყოფობა. უხშირესად ეს თანმიმდევრობა არ არის გათვალისწინებული; ზოგიერთ შემთხვევაში კი დიაგნოზები კრიტიკას ვერ უძლებს. ზოგჯერ დამატებითი გამოკვლევები არ არის ჩატარებული და არ არის დასაბუთებული, რატომ არ ჩატარდა; ზოგჯერ კი დამატებითი გამოკვლევის მონაცემები არ არის გათვალისწინებული და არც მიზეზია ახსნილი, რატომ არ გაითვალისწინეს.

ხშირ შემთხვევაში კიბოს დიაგნოზის დასადასტურებლად არ ტარდება ჰისტოლოგიური კვლევა. ჰისტოლოგიურ კვლევაში არის შემთხვევა, როდესაც ლაპარაკია ნაწლავზე, თუმცა რომელ ნაწლავზე, არ ჩანს; იგივე გადადის დიაგნოზშიც! არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი არ გამომდინარეობს აქტის აღწერილობითი ნაწილიდან და ჰისტოლოგიური დიაგნოზიდან, დოკუმენტის სამედიცინო ტერმინოლოგიაში და დიაგნოზში არის უხეში შეცდომები, დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი აბსოლუტურად გაუგებარია.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან და სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურებში სახეზეა ღრმა სისტემური კრიზისი, რომელსაც ყოველწლიურად ასეულობით პატიმრის სიცოცხლე ეწირება. აღნიშნული კრიზისი ასევე წარუშლელ დაღს ასვამს ათასობით პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სახალხო დამცველის მიერ შემუშავებულ არაერთ რეკომენდაციასა და წინადადებას, რომლებშიც, კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირებასთან ერთად, აქცენტი ზოგადად ამ სფეროში არსებულ პრობლემებზეც იყო გაკეთებული, რეაგირება არ მოჰყოლია.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის 29 სექტემბერს წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებების მოთხოვნით:

1. რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას?

– იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბატონ გ. მიქანაძის პასუხის მიხედვით, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის შესაბამისად და „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 22 ოქტომბრის №591 ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 11 იანვრის №10 ბრძანებით განისაზღვრა, რომ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის შემდეგი სამკურნალო დაწესებულებები: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება – ქ. თბილისი. – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება – დაბა ქსანი“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 11 იანვრის №10 ბრძანების

1-ლი პუნქტის „თ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით, „დაბა ქსნის N9 დანესებულება – კოლონია“ – (ტუბერკულოზით დაავადებულთა)“ – „ჩაითვალა სასჯელალსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებად (მცხეთის რაიონი)“; ხოლო „ქ. თბილისის N15 დანესებულება – რესპუბლიკური საავადმყოფო“ ჩაითვალა „სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებად (ქ. თბილისი)“.

ზემოთ აღნიშნული ე.წ. „ჩათვლილი“ დანესებულებები რეალურად არ აკმაყოფილებენ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მათზე ფაქტობრივად არ ვრცელდება ჯანდაცვის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. იუსტიციის მინისტრის მოადგილე რატომღაც აღნიშნულ მომენტზე თვალს ხუჭავს და ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე პირდაპირ პასუხის გაცემას თავს არიდებს. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად, „სამედიცინო დანესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. სამედიცინო დანესებულების ფინანსურ რესურსებში სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ნაწილი შეადგენს არანაკლებ 75%-ისა, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა დაკავებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ფუნქციების განსახორციელებლად“. კონკრეტულ შემთხვევაში კი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ე.წ. ციხის საავადმყოფო წარმოადგენს ერთ-ერთი მინისტრის კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე „ჩათვლილი“ სამედიცინო დანესებულებას და იგი არ ექვემდებარება საქართველოს კანონს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ვინაიდან მას არანაირი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რაც კანონის 53-ე მუხლის მოთხოვნითაა გათვალისწინებული, არ გააჩნია!

იმავე კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად:

1. სამედიცინო დანესებულების სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ ლიცენზიას გაცემს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.
2. სამედიცინო დანესებულების სამედიცინო საქმიანობის სფერო განისაზღვრება ლიცენზიაში მითითებული ჩამონათვალით.
3. სამედიცინო დანესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.”

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეორე მნიშვნელოვან სამართალდარღვევასთან. კონკრეტულ ე.წ. სამკურნალო დანესებულებას არ გააჩნია კანონით მოთხოვნილი სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ ლიცენზია! ხოლო საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, კერძოდ მისი 56-ე მუხლი, პირდაპირ განსაზღვრავს, რომ „სამედიცინო დანესებულებას ეკრძალება სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე“.

ამ საკითხზე ჩვენ არაერთხელ მივმართეთ სხვადასხვა უწყებას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან მიღებული არაერთი საპასუხო წერილის მიხედვით (№რს-017/32-540 15.03.2007) „იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურები არ ექვემდებარებიან ლიცენზირებას“. იმავე უწყების 2007 წლის 21 მაისის №რს-017/32-960 საპასუხო წერილით გვაცნობებენ, რომ სასჯელალსრულების დანესებულებების ტერიტორიაზე სალიცენზიო პირობების შემოწმების საკითხი ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, რადგან „იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურები არ ექვემდებარებიან ლიცენზირებას, საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად“.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შევახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას...“!!! ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი, მართვა და რეგულირება, ეს საკითხი საკმაოდ კარგადაა ჩამოყალიბებული საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ:

მუხლი 15.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ევალება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

მუხლი 16.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმებია:

- ა) სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირება და სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება;
- ბ) სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი;
- გ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა და ჰიგიენური ნორმირება;
- ვ) პაციენტსა და სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს შორის ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- კ) ქვეყნის ტერიტორიაზე ეპიდემიოლოგიური კონტროლის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავს არიდებს შეასრულოს კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრული მოვალეობა. აღნიშნულის შედეგად კი მივიღეთ ასობით გარდაცვლილი და ათასობით დაავადებული ადამიანი.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იუსტიციის სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილის მე-2 კითხვა ფორმულირებული იყო შემდეგი სახით:

2. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: ე) წინასწარ პატიმრობაში და სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მყოფ პაციენტთა, აგრეთვე, ამა თუ იმ დაავადებით შეპყრობილთა დისკრიმინაციისგან დაცვა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას“. გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის გატარებას; მით უფრო, რომ იმავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას“.

აღნიშნულ კითხვაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ბატონი გ. მიქანაძე გვპასუხობს, რომ „კანონი „პატიმრობის შესახებ“ და იუსტიციის მინისტრის 2002 წლის ბრძანებები“ (აქ იგულისხმება 1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 16 მაისის ბრძანება „N353 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“; 2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 2 ივლისის ბრძანება N532 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“; 3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 12 ივლისის ბრძანება N593 „საპყრობილეს სამედიცინო სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“; 4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 12 ივლისის ბრძანება N594 „საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“) „გამოორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას პატიმართა სამედიცინო მომსახურების სფეროში. ყველა პატიმარს აქვს უფლება და შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს სამედიცინო პერსონალს დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში.

ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2007 წლის 6 თვეში სასჯელალსრულების დაწესებულებებში ამბულატორულად მომსახურებულ (პატიმართა შემონმებები, ვიზიტები) პატიმართა რაოდენობამ 109799 შეადგინა. სამედიცინო ნაწილებისა და ექიმ-კონსულტანტთა დასკვნით 1328 ავადმყოფს ადგილზე ჩაუტარდა სტაციონარული მკურნალობა, სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და სპეციალიზირებული მკურნალობის ჩატარების მიზნით, სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანილ იქნა 1546 პატიმარი, სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანილ იქნა 41 ავადმყოფი“.

თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ და ასევე გავითვალისწინებთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსავე მონაცემებს, რომლის მიხედვით 2007 წლის 13 ოქტომბრისათვის (წერილის გამოგზავნის თარიღი) საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 18 დაწესებულება და დაახლოებით 18300 პატიმარია, ასევე საშუალოდ გამოვთვლით სისტემაში მომუშავე ექიმებს (დაახლოებით 90-მდე) მივიღებთ, რომ ამ პერიოდისათვის ერთმა ექიმმა ამბულატორული დახმარება გაუწია დაახლოებით 1220 პაციენტ პატიმარს და ერთ ექიმზე დაახლოებით 203 პატიმარი მოდის; რაც ალბათ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ნებისმიერ წევრ ქვეყანას შემურდებოდა!

თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ციფრი არარეალურია. ჩვენი მონიტორინგის შედეგად მიღებული გამოცდილების მიხედვით, საპრობლემაში პაციენტისათვის ტკივილგამაყუჩებელი ერთი ტაბლეტის გადაცემაც კი რეგისტრირდება ჟურნალში. ალბათ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ამბულატორულ დახმარებაში ამგვარ ფაქტებსაც გულისხმობს (???). თუმცა იგივე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ამბულატორული დახმარება და პირველადი ჯანდაცვა აბსოლუტურად განსხვავებული და კომპლექსური ცნებებია.

იუსტიციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო დოკუმენტებით პატიმარი „**უზრუნველყოფილი უნდა იქნეს**“ ჯანდაცვის მომსახურებით, თუმცა აღნიშნული პასუხი არ ასახავს, არიან თუ არა რეალურად უზრუნველყოფილი პატიმრები ამ მომსახურებით. სხვა საკითხია სამედიცინო მომსახურების ხარისხი, რაც პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს!

გარდა ამისა, მხოლოდ მითითებული აქტები ჯანდაცვის მომსახურებების მიღების პროცესში დისკრიმინაციის შესაძლებლობას თეორიულადაც კი ვერ გამორიცხავს. **თავად ის ფაქტი, რომ პატიმრებს მკურნალობენ არალიცენზირებულ დაწესებულებებში და ხშირად არალიცენზირებული პერსონალი, უკვე წარმოადგენს დისკრიმინაციის აშკარა ფორმას, ვინაიდან სალიცენზიო პირობებში გათვალისწინებული მოთხოვნები არის ის მინიმუმი, რაც შეუძლია საქართველოს სახელმწიფომ შესთავაზოს საკუთარ მოქალაქეებს და თუ ეს პირობები შესრულებული არ არის, ალბათ ადვილია იმის წარმოდგენა, თუ რას სთავაზობს საქართველოს პენიტენციური სისტემა პატიმრებს.**

საქართველოს სახალხო დამცველის მომდევნო შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში:

3. საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“, 45-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით“. გთხოვთ, მოგვანოდოთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ;

პასუხად იუსტიციის მინისტრი საუბრობს მხოლოდ და მხოლოდ ტუბერკულოზის პროგრამაზე, რომელიც DOTS-ფარგლებში მიმდინარეობს და შიდსზე. იმაზე, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული პროგრამა და რა შედეგებია დამდგარი, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სიკვდილობის სპექტრიც მეტყველებს (გარ-



დაცვლილ პატიმართა 39.9 %-ის სიკვდილის უშუალო მიზეზია ტუბერკულოზი, მათ შორის ექსტრა პულმონური ფორმებიც, ხოლო შიდსით დაავადებული 6 პატიმრიდან 4 უკვე გარდაიცვალა.

ცნობისათვის, იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ამ პროგრამებით ციხის მოსახლეობის მოცვა შემდეგნაირად გამოიყურება: 2007 წლის 8 თვეში აივ/შიდსზე გამოკვლეულ იქნა 225 პატიმარი (სავარაუდოდ დაახლოებით 1.25%), ხოლო 2006 წელს 363 პატიმარი (სავარაუდოდ დაახლოებით 2.13%) იქნა ჩართული DOTS-პროგრამაში ტუბერკულოზის სამკურნალოდ. ამას, რა თქმა უნდა, ემატება გასულ წლებში პროგრამაში ჩართული პირები, თუმცა ეს სტატისტიკას არსებითად არ ცვლის. თუ გავითვალისწინებთ სამედიცინო მომსახურების არსებობის ძირითად 3 პრინციპს: მომსახურების არსებობას, მისდამი ხელმისაწვდომობას და მომსახურების ხარისხს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია), მაშინ ალბათ უკვე ნათელი ხდება, რომ არც ერთი კომპონენტი ამ სამთაგან არ არის რეალიზებული მინიმალურ დონეზეც კი! გასათვალისწინებელია, რომ შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამებით არ შემოიფარგლება ჯანდაცვის სისტემა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალბათ შეგნებულად არიდებს თავს პასუხის გაცემას. ჩვენ მას შევეკითხეთ, არის თუ არა საქართველოს კანონში „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ დაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობა პენიტენციური სისტემისათვის. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით. რეალურად კი პენიტენციური სისტემის ჯანდაცვა ფინანსირდება არა ჯანდაცვის სისტემისათვის განკუთვნილი ბიუჯეტით, არამედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის გამოყოფილი ბიუჯეტით, რაც პატიმართა დისკრიმინაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. მეორე საკითხია, საკმარისია თუ არა ეს თანხა პატიმართა ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მაინც? კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია.

საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნაზე:

4. საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“, მე-40 და 41-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ მოგვანოლოთ იმ სასჯელალსრულებით დაწესებულებათა ნუსხა, რომლებსაც კანონის შესაბამისად გაფორმებული აქვს კონტრაქტი ადგილობრივ ან სხვა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებასთან, და ასევე ასეთი ჯანდაცვის დაწესებულებების ნუსხა კონტრაქტების მითითებით; ასევე ამ კონტრაქტების ფარგლებში 2007 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული მომსახურების აღწერა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო პასუხობს, რომ 2007 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების განვითარების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 7 სამკურნალო დაწესებულებასთან (თერაპიის ეროვნული ცენტრი, ო. ჩხოპაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო რეგიონული კლინიკური ცენტრი, თსუ კლინიკური საავადმყოფო, ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი, რუსთავის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სადგური „03“, №5 ბავშვთა პოლიკლინიკა, ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტრომ არ უპასუხა კითხვის მეორე ნაწილს, ანუ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობის სამუშაო ჩატარდა ამ შვიდი კონტრაქტის ფარგლებში.

2007 წლის განმავლობაში, ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგების დროს გამოვლინდა არაერთი ფაქტი, როდესაც სასჯელალსრულების დეპარტამენტს ექმნებოდა პრობლემები მძიმე ავადმყოფთა გადაყვანისას ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში. სამკურნალო დაწესებულებათა ადმინისტრაციებთან მოლაპარაკებაში ჩვენ არა ერთხელ პირადად ჩავრეულვართ და საკითხი მოგვიგვარებია პირადი კონტაქტების ან უბრალოდ ადმინისტრაციების მხრიდან ჩვენდამი ნდობის საფუძველზე. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია ფინანსური საკითხები. გარდა ამისა, არ არსებობდა დეპარტამენტის მხრიდან სამედიცინო ეთიკის პატივისცემისა და სამკურნალო დაწესებულებათა შინაგანანგის დაცვის ელემენტარული გარანტიებიც კი. რამდენიმე შემთხვევაში, ძვირადღირებული გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯების სრული დაფარვა ხდებოდა არასამთავრობო სექტორში-

დან. ამ მხრივ აღსანიშნავია წამების, ძალადობისა და გამონატული სტრესული ზემოქმედებების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეკითხვით მიმართა იუსტიციის სამინისტროს:

6. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესს ამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“, ხოლო იმავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში“. გარდა ამისა, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების კონტროლი წარმოადგენს საექიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ერთ-ერთ სახეს. კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმები, მათი შევსების, შენახვის და მათდამი ხელმისაწვდომობის წესები, რომლებიც სავალდებულოა ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის №486 ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების დოკუმენტაციის დროებითი ფორმების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო დოკუმენტაციისაგან განსხვავებული ფორმები.

არსებული შეუსაბამობა ნეგატიურად აისახება პენიტენციური სისტემის ფარგლებში ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხზე და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, არსებული რეალობა სამედიცინო დოკუმენტაციის სფეროში შეუძლებელს ხდის სახელმწიფოს მიერ სამედიცინო რეგულირების განხორციელებას, რაც პატიმრებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მათი ჯანმრთელობის უფლების დაცვის მხრივ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ღონისძიებებია დაგეგმილი შექმნილი ვითარების დარეგულირების მიმართულებით.

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“, მუხლი 37 განმარტავს, რომ „სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილს“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმი უნდა მოქმედებდეს იმავე პრინციპებით, რაც მოთხოვნილია ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. შესაბამისად, აბსოლუტურად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია ის ფაქტი, რომ პენიტენციური სისტემის პაციენტების მიმართ გამოიყენებოდა განსხვავებული ფორმის სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც, ამავდროულად, სამედიცინო თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და მიუღებელია.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბატონ გივი მიქანაძის აზრით, იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის №486 ბრძანებით „არ შეცვლილა ის ძირითადი სამედიცინო დოკუმენტაცია, რომლებიც სრულყოფილად ასახავს ავადმყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, მკურნალობის მეთოდებს, დაავადების გამოსავალს, რეკომენდაციებს და ა.შ.“.

შეუძლებელია, დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. საკმარისია შევადაროთ თუნდაც სტაციონარის ავადმყოფის ბარათები. განსხვავებულია თავად სახელწოდებაც! როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრის მოადგილეს წარმოადგენა არ აქვს სამედიცინო დოკუმენტაციის დანიშნულებასა და გამოყენების წესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია სამედიცინო დოკუმენტაცია გარკვეულწილად წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოთა ინტერესის ობიექტს (საჭიროების შემთხვევაში), თუმცა იგი, უპირველეს ყოვლისა, გამიზნული უნდა იყოს პაციენტის ინტერესების დაცვისათვის. პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციების ფორმების უმრავლესობა აშკარად განსხვავებულია ან, სხვა შემთხვევებში, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმების გარკვეული ნაწილის შესაბამისი დოკუმენტაცია საერთოდ არ იწარმოება.



საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დასმული ბოლო შეკითხვა შემდეგი იყო:

8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №717 ბრძანება „სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“ 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულია „მსჯავრდებულთა და პატიმართა გადაუდებელი სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და მკურნალობის მიზნით, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გეგმიური წესით გადაყვანა“ და „მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებიდან და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებიდან, მსჯავრდებულთა და პატიმართა გადაუდებელი სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და მკურნალობის მიზნით, საერთო პროფილის საავადმყოფოებში გეგმიური წესით გადაყვანა“. სამედიცინო თვალსაზრისით, დროის მიხედვით, მდგომარეობა შეიძლება იყოს გადაუდებელი, სასწრაფო და გეგმიური. თითოეულ ამ შემთხვევას აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა და მართვა ესაჭიროება, რაც ნებისმიერი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტისათვის კარგად არის ცნობილი. გთხოვთ გავვიმარტოთ, როგორ ახერხებს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის გეგმიური წესით გადაწყვეტას? მოჰყვა თუ არა ბრძანების ამგვარ გაუმართაობას როდესმე პაციენტის სიკვდილი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება?

ამ კითხვას იუსტიციის მინისტრის მოადგილემ შემდეგი ფორმით უპასუხა: „რაც შეეხება გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის გადაწყვეტას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №717 ბრძანების შესაბამისად, მწვავე დაავადებების შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობისას ავადმყოფის გადაყვანა საერთო პროფილის საავადმყოფოში ან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ხდება დაუყოვნებლივ, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, დაწესებულების დირექტორისა და მთავარი (უფროსი) ექიმის პატაკის საფუძველზე“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა პრაქტიკულად პასუხგაუცემელია და წარმოდგენილი „პასუხი“ ლოგიკურად საერთოდ არ უკავშირდება დასმულ შეკითხვას. რაც შეეხება რეალურ პასუხს, იგი ფართოდაა ასახული აღნიშნულ მოხსენებაში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, **გარდაცვლილ პატიმართა სიკვდილობის განმპირობებელი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის და ხშირად შეუძლებელს ხდის დახმარების აღმოჩენას; ან, უკეთეს შემთხვევაში, პაციენტი სამკურნალო დაწესებულებაში ხვდება დიდი დაგვიანებით (ზოგჯერ პერიტონიტის დაწყებიდან მე-3, მე-4 დღეს და ა.შ.). ასეთ ავადმყოფთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, კვდება, რასაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი არაერთი ფაქტი ადასტურებს. ჩვენი გამოთვლებით, გარდაცვლილი პაციენტები, რომლებიც გარდაიცვალნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ამ უკანასკნელში იმყოფებოდნენ მხოლოდ 1-2 დღე. ანუ სიკვდილი დადგა მიღებიდან 36-48 საათის განმავლობაში.**

ჩვენს მიერ მომზადებულ მოხსენებას პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილის სამედიცინო ასპექტების მომზადების შესახებ საფუძვლად დაედო რამდენიმე წყარო. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვისარგებლეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სასჯელალსრულების დეპარტამენტის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით. ჩვენს მიერ ასევე გამოყენებულ იქნა ინფორმაცია, რომელიც ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად მივიღეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან (10/11-13491) და რომელიც შეეხებოდა გარდაცვლილ პატიმრებს დიაგნოზების და გარდაცვალების მიზეზების მითითებით; გარდა ამისა, შესწავლის ძირითადი ნაწილი დაეფუძნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილ (№20/

01/13-7642) გარდაცვლილი მსჯავრდებულების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დასკვნებში გარკვეული კომპონენტები არასრული იყო (აკლდა ფურცლები, ზოგან ქსეროკოპირების ხარისხის გამო შეუძლებელი იყო ამოკითხვა), აღნიშნული ხარვეზი შევავსეთ 2007 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებული არაერთი მონიტორინგის ოქმით და სხვადასხვა დაწესებულებებიდან (მათ შორის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება) გამოთხოვილი სამედიცინო დოკუმენტით თუ სხვა სახის ინფორმაციით.

რეკომენდაციები:

- 1. პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაუბრუნდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულირების სფეროს;
- 2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზა დაუბრუნდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობის და რეგულირების სფეროს;

(განმარტება)

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 4) განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს საექიმო სპეციალობათა ნუსხას. მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით, კი „სასამართლო მედიცინა“ წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი 21 საექიმო სპეციალობიდან ერთ-ერთ ძირითად სპეციალობას. გარდა ამისა, საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კი განმარტებულია (მუხლი 53, პუნქტი 2) რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს „სამედიცინო დაწესებულების ფუნქციას“. იმავე კანონის 1532 მუხლის შესაბამისად: „1. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება სათანადო ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლია მხოლოდ შესაბამისი სპეციალობის მქონე ექიმს.; 2. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა და სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესს განსაზღვრავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი - ეს არის ექიმი ანუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, ხოლო დაწესებულება (ანუ როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს – „საექსპერტო დაწესებულება“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ „სამედიცინო დაწესებულებას“. (მუხლი 53. – „1. სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. სამედიცინო დაწესებულების ფინანსურ რესურსებში სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ნაწილი შეადგენს არანაკლებ 75% -ისა, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა დაკავებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ფუნქციების განსახორციელებლად.)

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არის კანონით განსაზღვრული და ექიმის მიერ ჩატარებული გამოკვლევები ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ წარმოშობილი კონკრეტული სამედიცინო საკითხების გადასაწყვეტად. ე.ი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სასამართლო მედიცინის პრაქტიკული ნაწილია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 8 დეკემბრის №1549 ბრძანების შესაბამისად ჩამოყალიბდა სისპ – სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, რომელშიც სტრუქტურული ერთეულების სახით შევიდა სამედიცინო, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის სამსახურები. ამ ნორმატიული აქტის ძალაში შესვლით, პრაქტიკულად განყდა სასამართლო მედიცინოს კავშირი



ჯანდაცვის სფეროსთან, რამაც შედეგად მოიტანა ექიმ ექსპერტთა პროფესიული დონის კრიზისი და დარგში კადრების დეფიციტი. სასამართლო ექსპერტიზის ჯანდაცვის სისტემისაგან მოწყვეტამ სისტემა გადააქცია ე.წ. „ძალოვან სტრუქტურად“, რომელში მომუშავე ექიმები პრაქტიკულად მოკლებული აღმოჩნდნენ სამედიცინო პროფესიულ და ეთიკურ სანდარტებს.

განხილული საკითხების ფონზე გაურკვეველია თუ რატომ უნდა წარმოადგენდეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფს, მაშინ როცა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის, როგორც უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირის, კომპეტენცია მოიცავს მხოლოდ სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებს, რომლებიც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების ან სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

გარდა ამისა იქმნება აშკარა კანონშეუსაბამოები პრაქტიკული საქმიანობის დროს. მაგალითისათვის შესაძლებელია მოვიყვანოთ ფაქტიურად „შებოჭილი“ და სამედიცინო სფეროდან მკვეთრად გამოსული სასამართლო ფსიქიატრია. საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 14 ივლისის საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მუხლი 24-ის მიხედვით „აკრძალულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება წინასწარი გამოძიების განმახორციელებელი ორგანოების ან მათ დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულების მიერ“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით კი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიების მწარმოებელ ორგანოს.

მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არსებულ სიტუაციაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დაბრუნებას ჯანდაცვის სისტემაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით დარგისათვის ასევე მართლმსაჯულებისათვის. უპრველეს ყოვლისა გასავალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ეს არის უპირველეს ყოვლისა - ექიმი. ექიმის რომელიმე უწყებისადმი, და განსაკუთრებით იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარება საფრთხეს უქმნის სამედიცინო პროფესიის დამოუკიდებლობას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი განმარტავს, რომ სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას სამედიცინო პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივის და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით, აგრეთვე, პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის „პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი“. აღნიშნული დებულება იმავე კანონში კვლავაც განმტკიცებულია 34-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც „ექიმის პროფესია თავისი არსით თავისუფალი პროფესიაა. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია, ხელისუფლების წარმომადგენელმა ან კერძო პირმა მოსთხოვოს ექიმს ამ კანონში მოცემული პრინციპების, საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების სანაღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნე პირის თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ყოველგვარი ქმედება, რაც ხელს უშლის სამედიცინო პერსონალს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ დასახოს გეგმა სასამართლო მედიცინის დიპლომის შემდგომი პროგრამების ასამოქმედებლად და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს რეზიდენტთა მომზადება აღნიშნულ დარგში;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ დაიწყო აქტიური საქმიანობა სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით;
5. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ ყველა პაციენტთა მიმართ, რომლებიც გადიოდნენ რაიმე სახის მკურნალობას ან იღებდნენ სამედიცინო მომსახურებას, ჩატარდეს კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები, რათა შეფასდეს ჩატარებული მკურნალობის

ხარისხი და გამოვლინდეს ის სამედიცინო შეცდომები, რომლებიც სავარაუდოდ ხდება სიკვდილის მიზეზი;

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, საქართველოს პროფესიულ სამედიცინო ასოციაციებთან და სამედიცინო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის კომპლექსური შესწავლა;
7. პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემის შესახებ პერიოდულად გამოქვეყნდეს ეპიდემიოლოგიური ცნობები (შესაბამისად უნდა ჩატარდეს შესწავლა და ყველა სათანადო ღონისძიება);
8. გადაიხედოს, გაუქმდეს ან შეიცვალოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N717 ბრძანება – „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისი №486 ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების დოკუმენტაციის დროებითი ფორმების დამტკიცების შესახებ“;
9. განისაზღვროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (დაუყოვნებლივ);
10. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო შესწავლა და რეაგირება იმ ფაქტებზე, რომლებშიც იკვეთება დანაშაულის კვალი (ასეთი არაერთი იქნა ჩვენს მიერ გადაგზავნილი პროკურატურაში);
11. საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციას ეთხოვოს წარმოადგინოს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს შიდასა და დაავადებულ გარდაცვლილთა სასამართლო-სამედიცინო გაკვეთა უსაფრთხოების კომპონენტის გათვალისწინებით.
12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო მაკონტროლებელს შეექმნას ადეკვატური სამუშაო პირობები პენიტენციური სისტემის სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში და უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის მოხელე და თანამდებობის პირი, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს ზემოთ აღნიშნულ სააგენტოს კონსტიტუციურ ფუნქციის განხორციელებაში – გააკონტროლოს საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი ჯანდაცვის დაწესებულება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, პუნქტი 2).





კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ

2007 წლის II ნახევრის მონაცემებით, კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. აღნიშნულ საკითხში გარკვეული პროგრესის მიღწევა, რასაკვირველია, დამოკიდებულია საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წარმატებებზე სამშვიდობო პროცესში და მის მიერ იურისდიქციის თანდათანობით აღდგენაზე.

პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის სრული განხორციელებისათვის და, შესაბამისად, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები კვლავ ეფექტური კონტროლის მიღმა რჩება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს

აზრით, ასეთ სიტუაციებში მყოფ სახელმწიფოებს დე ფაქტო ტერიტორიებთან მიმართებაში გარკვეული ვალდებულებები მაინც ეკისრებათ. საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა, რომ „თუ ხელშემკვრელი მხარე ვერ ახორციელებს საკუთარ ხელისუფლებას მის ტერიტორიაზე არსებული დე ფაქტო სიტუაციის გამო, როგორცაა სეპარატისტული რეჟიმის დაფუძნება, როდესაც ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაციას, კონვენციის პირველი მუხლის აზრით ტერიტორიის ამ ნაწილზე მისი იურისდიქცია არ წყდება. იმის მიუხედავად, რომ ასეთი ფაქტობრივი სიტუაცია ამცირებს აღნიშნული იურისდიქციის მასშტაბებს, მის ტერიტორიაზე მყოფ პირებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოვალეობებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების კრიტერიუმში. სახელმწიფომ უცხო სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში უნდა გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება, რათა გააგრძელოს კონვენციაში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირება.“

თავისი 2007 წლის 18 აპრილის რეზოლუციებში (1547 (2007), 1548 (2007)) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აღნიშნავს, რომ უფრო მეტიც, არსებობას განაგრძობენ გეოგრაფიული „შავი ხვრელები“, სადაც შეუძლებელია განხორცი-

ელდეს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა მექანიზმების იმპლემენტაცია. მათ შორისაა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, სრულყოფილად შეისწავლოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები კონფლიქტის ზონებში. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, არაერთხელ მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, რათა მომხდარიყო სახალხო დამცველის უშუალო ჩართვა სამშვიდობო პროცესებში, ასევე, თამარაშენში სახალხო დამცველის რეგიონული ოფისის გახსნის თაობაზე. ჯერჯერობით ეს საკითხები გადანყვეტილი არ არის.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთში

სიცოცხლის უფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა

სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტების მომრავლება აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იმ განუკითხაობის შედეგია, რაც წლების მანძილზეა დამკვიდრებული. ძირითადად ამ უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან დსთ-ს ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები.

2 აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ სიდაში ოთხი შეიარაღებული პირი ნუგზარ ლეჟავას ოჯახში შეიჭრა. მათ სასტიკად სცემეს ოჯახის ყველა წევრი, გაიტაცეს ოქროსულობა და 1500 რუსული რუბლი.

14 ოქტომბერს, გალის რაიონის სოფელ ბედიში ადგილობრივი მაცხოვრებლის რაჟიკო შელიას ოჯახს დაყარალების მიზნით თავს დაესხა ოთხი წევრისაგან შემდგარი ავტომატური იარაღით შეიარაღებული ჯგუფი. რაჟიკო შელია წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ადგილზე იქნა მოკლული.

ადამიანების გატაცება, გაუჩინარება

ადამიანის გატაცების ფაქტები ძირითადად ფულის გამოძალვის მიზნით ხდება. მაგალითად, 3 ივლისს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მკვიდრი დემურ ძაძუა გატაცებულ იქნა უცნობი შეიარაღებული პირების მიერ. გატაცებულმა მის ოჯახს გამოსასყიდი მოსთხოვეს.

9 აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში 5-6 შეიარაღებული პირი თავს დაესხა შენგელიების ოჯახს და სახლიდან გაიტაცა ოჯახის უფროსი ჯამბულ შენგელია. გამტაცებლები ოჯახისგან ითხოვეს 50 000 აშშ დოლარს.

22 აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ თავილონიდან მძევლად იქნა აყვანილი ადგილობრივი მკვიდრი შაკერ ოყუჯავა. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

23 აგვისტოს, სოფელ ჭუბურხინჯიდან გაიტაცეს ადგილობრივი მკვიდრი ლივტერ არქანია. ფაქტზე აღძირა სისხლის სამართლის საქმე.

23 აგვისტოს აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან გორა წულაიას გატაცების ფაქტზე.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და თვითნებური დაკავება

4 ივნისს, სეპარატისტთა „უმიშროების“ თანამშრომელების მიერ, გალის რაიონის სოფელ ჩეღალში



სოფელ კვიციანის მკვიდრნი – ძმები არქანიები იქნენ დაკავებულნი, რომლებიც ქ. სოხუმის იზოლატორში გადაიყვანეს.

არაოფიციალური გადასახადები და ტრეფიკინგი

გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაცია და სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აიძულებენ ადგილობრივ მოსახლეობას გადაიხადონ არაოფიციალური გადასახადები. თხილის სეზონისათვის გალის რაიონის თითოეულ მოსახლეზე დაწესებულია გადასახადი სოფლების მიხედვით 60-დან 100 კილოგრამამდე თხილის ოდენობით. შეზღუდულია გალის რაიონიდან თხილის საქართველოს სხვა რეგიონებში გადატანა და მოსახლეობა იძულებულია დაბალ ფასში მიჰყიდოს თხილი ადგილობრივ თხილის გადამამუშავებელ მინი-ქარხნებს.

აფხაზეთში გახშირდა ტრეფიკინგის ფაქტები, როდესაც დე ფაქტო აფხაზეთის სხვადასხვა დონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები უშუალოდ, ან მათივე სანქციონირებით სამოქალაქო პირები ეწვევიან ადამიანთა შრომის ექსპლუატაციას მათივე ნების საწინააღმდეგოდ. ამგვარი დანაშაულის მსხვერპლნი ძირითადად ხდებიან ეთნიკურად ქართველები ან ტურისტები, რომლებიც დასვენების მიზნით ჩადიან აფხაზეთში.

წლების განმავლობაში გალის მილიციის უფროსის მოადგილე ოთარ ტურნანბა საკუთარ თხილის პლანტაციებში დაშინებთა და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამუშავებდა სოფელ აჩიგვარას და სოფელ შეშელეთის მაცხოვრებლებს.

ტურნანბას გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ ბიზნესს მისი ძმა, ერიკ ტურნანბა განაგებს, რომელიც ასევე აიძულებს მოსახლეობას უსასყიდლოდ იმუშაონ მის კუთვნილ პლანტაციებში.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში

ქონებრივი რესტიტუცია და კომპენსაცია

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“.

ზემოთ მითითებულმა საკანონმდებლო აქტმა თავის გარდამავალ დებულებებში მკაფიოდ განსაზღვრა კონკრეტული ვადები მისი აღსრულების ცალკეული ეტაპებისათვის. 36-ე მუხლის თანახმად, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია იქმნება კანონის ამოქმედებიდან 5 თვის ვადაში, კომისია თავის წესდებას იღებს შექმნიდან არა უგვიანეს 2 თვისა, კომისია განცხადებების მიღებას იწყებს ამ კანონის ამოქმედებიდან 9 თვის შემდეგ. კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ის ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვრიდან.

„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი, ასევე კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კომისიის შექმნის პროცესში მონაწილე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთან (სუბიექტებთან) დადებული მემორანდუმის შესაბამისად.“

სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მიმართა (№2200/05-3) საქართველოს პრემიერ-მინისტრს და გამოითხოვა ინფორმაცია კანონის აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შესახებ. კერძოდ, კონკრეტულად რა ეტაპზეა კანონის იმპლემენტაციის პროცესი, რა ღონისძიებებია გატარებული საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების ასლი, ასევე ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2007 წლის 13 ნოემბერს მივიღეთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის, ლევან ერიქაშვილის წერილი (№19/512), რომლითაც გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის წერილზე პასუხის მომზადება დაევალა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ბატონ დავით ბაქრაძეს.

2007 წლის 28 ნოემბერს მივიღეთ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პასუხი (№02/31-638), რომლითაც გვეცნობა, რომ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება დავალებული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის შექმნასა და მის ფუნქციონირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო იმპლემენტაციისათვის.

ამ დროისათვის სახალხო დამცველი განიხილავს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა კოლექტიურ განცხადებას (№1418-07) ქონებრივი რესტიტუციის თაობაზე, თუმცა იმის გამო, რომ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ამ დრომდე შექმნილი არ არის, შეუძლებელი ხდება მოქალაქეთა უფლებების დაცვა. აღნიშნული საქმის წარმოება სახალხო დამცველის აპარატში შეჩერებულია.

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს მთავრობას, უმოკლეს ვადაში მიიღოს დადგენილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის, ასევე კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ. აღნიშნული ნორმატიული აქტი თავის მხრივ ხელს შეუწყობს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის შექმნას და მუშაობას ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის საკითხებზე.

სიცოცხლის უფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა

28 აგვისტოს, ცხინვალის რაიონის სოფელ კვერნეთთან ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების წევრებმა სასტიკად სცემეს სამი ქართველი მწყემსი.

15 სექტემბერს, ფრონეს ხეობის სოფელ კნოლევთან ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების ოთხმა წევრმა ცეცხლი გაუხსნა სოფელ ოქონის მიმართულებით მიმავალ ავტომანქანას, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა სოფელ ტკოცას მკვიდრი 34 წლის პაატა ხაჭაპურიძე.

25 ნოემბერს, საღამოს, ქ. ცხინვალში მილიციის თანამშრომლებმა შემონების მიზნით გააჩერეს ავტომანქანა, რომელსაც მართავდა გია ხაბალოვი. მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომლის დროსაც ხაბალოვს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მოგვიანებით გადაიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში. მასზე ხელმეორედ მოხდა ფიზიკური ზემოქმედება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მიყენებული ტრამეების შედეგად გარდაიცვალა.



თავისუფლების უკანონო აღკვეთა და თვითნებური დაკავება

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ხშირია როგორც ეთნიკური ქართველების, ასევე ეთნიკური ოსების უკანონოდ დაკავებისა და გატაცების ფაქტები. მათ ზენოლისა და ფიზიკური ზემოქმედების შედეგად აიძულებენ სეპარატისტული რეჟიმის სასარგებლო ჩვენებების მოცემას.

26 აგვისტოს, ახალგორის რაიონის სოფელ მონასტერთან ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების წევრებმა დააკავეს საქართველოს სამი მოქალაქე: „ტაო ბანკის“ დეპარტამენტის დირექტორი დავით გალგაშვილი, დავით (მაცი) კვარაცხელია და 13 წლის ცოტნე ბროლაძე, რომლებიც საქართველოს შს-ს ჩარევის შედეგად მეორე დღეს გაათავისუფლეს.

27 აგვისტოს, ახალგორის რაიონის სოფელ მონასტერთან ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების წევრებმა დააკავეს ტელეკომპანია „მზისა“ და „რუსთავი2“-ის გადამღები ჯგუფები.

29 აგვისტოს, დილის 8 საათზე საქართველოს შს-ს წარმომადგენლებმა, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთის მახლობლად, დააკავეს შერეული სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის ასეულის მეთაურის მოადგილე, მურატ ბიჩენოვი, პროპორშიკი ვიტალი ვალიევი და სერჟანტი არონ (ტარიელ) ხაჩიროვი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან 25 და 27 აგვისტოს 3 მოქალაქისა და „რუსთავი-2“-ისა და „მზის“ გადამღები ჯგუფების გატაცებაში. მოგვიანებით ბიჩენოვი გაათავისუფლეს.

11 სექტემბერს, გორის რაიონის სოფელ მელვრეკისთან განლაგებულ რუსული სამშვიდობო ძალების საგუშაგოზე, რუსმა მშვიდობისმყოფელებმა დააკავეს გორის რაიონის სოფელ ტირძნისის მკვიდრი, ტაქსის მძღოლი გია ხმიადაშვილი და მისი მგზავრი მინდოდაშვილი, რომლებიც ჯავშანმანქანით შემოვლითი გზით გადაიყვანეს ქ.ცხინვალში.

რეკომენდაციები

1. რეკომენდაციით მიემართავ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რათა ქურთის თემის სოფელ თამარაშენში გაიხსნას სახალხო დამცველის რეგიონული ოფისი, კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური დაცვის მიზნით.
2. რეკომენდაციით მიემართავ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რათა განხორციელდეს სახალხო დამცველის უშუალო ჩართვა სამშვიდობო პროცესებში, ადამიანის უფლებათა საკითხების პოპულარიზაციის მიზნით.
3. რეკომენდაციით მიემართავ საქართველოს მთავრობას, რათა უმოკლეს ვადაში გამოსცეს დადგენილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის, ასევე კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ, რათა დაიწყოს „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კომისიის შექმნისა და კანონის სათანადო იმპლემენტაციის პროცესი.

ზოგადი შიფასაგები

2007 წლის II ნახევრის მანძილზე ყურადღების ცენტრში მოექცა დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი, მისი უდავო მნიშვნელოვნობის გამო. პრობლემური სფეროებიდან კვლავ აქტუალური იყო დევნილთა დროებითი საცხოვრებელი დაკმაყოფილებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემების თანახმად, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დევნილთა კოლექტიური ცენტრების გაზიფიცირებისა და მათი მადუბლირებელი და მეორადი მრიცხველების აღჭურვის კუთხით. რასაკვირველია, სახალხო დამცველი მიესალმება ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია დევნილთა სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისაკენ. თუმცა, არსებული რეალობა არ იძლევა საკმარის საფუძველს, ვისაუბროთ შესამჩნევ პროგრესზე დევნილთა უფლებების დაცვის სფეროში. ამასთანავე, სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, მაქსიმალურად ითანამშრომლოს როგორც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, ასევე ნებისმიერ სხვა სამთავრობო დაწესებულებასთან, რათა შეიტანოს პოზიტიური წვლილი დევნილების, როგორც ყველაზე მონყვლადი სოციალური ჯგუფის მდგომარეობის გამოსწორების საქმეში.

პრობლემათა სიმრავლისა და დევნილთა უფლებების მასობრივი დარღვევების გამო, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

2007 წლის 30 აპრილს წერილობით მიემართე საქართველოს პრეზიდენტს, რადგან ჩემს ხელთ არსებული რეაგირების საშუალებები არ აღმოჩნდა საკმარისი.

2007 წლის 8 ოქტომბერს მივიღე საქართველოს მთავრობის კანცელარიის პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის, ე. ბადრიძის წერილი (№17/41), რომლითაც გადმოგვეზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, გ. ხევიაშვილის პასუხი (№01/01-17/6513) საქართველოს პრეზიდენტისადმი 2007 წლის 30 აპრილს ჩემს მიერ გაგზავნილ მიმართვაზე.

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგების მიხედვით საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია „წერილობით მიმართოს საქართვე-

15

დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

2007

ლოს პრეზიდენტს ან მოხსენებით წარსდგეს საქართველოს პარლამენტის წინაშე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხემ – ან მასობრივ დარღვევათა შემთხვევაში, თუკი მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისი იქნება“. დეკონილთა მიერ შემოტანილი განცხადებების ოდენობის, საკითხთა სიმწვავის გათვალისწინებით, ასევე იმის გამო, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი შესაბამისი დასაბუთებული რეკომენდაციითა თუ წინადადებით მიმართვა არ იწვევდა მოქალაქის დარღვეული უფლების აღდგენას ან სათანადოდ არგუმენტირებულ უარყოფით პასუხს აღნიშნული სამინისტროს მხრიდან, მივიჩნიე, რომ ამოიწურა რა ჩემს ხელთ არსებული რეაგირების საშუალებები, უნდა მეხელმძღვანელა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობით. საქართველოს პრეზიდენტმა ჩემს წერილობით მიმართვაში მოყვანილი ფაქტების შესწავლა დაავალა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ზურაბ ნოლაიდელს, რომელმაც, თავის მხრივ, მითითებული მასალები შესწავლის მიზნით გადაუგზავნა იმავე უწყებას, რომელსაც არაჯეროვანი მიმართველობის გამო ვაკრიტიკებდი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან აღნიშნულს მოჰყვა მხოლოდ წერილობითი რეაგირება თავის მართლების სახით, თუმცა სიტუაცია არ გამოსწორებულა და დეკონილების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები ისევ განაგრძობს არსებობას. ჩემი მოსაზრებები გ. ხევიაშვილის წერილში მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტს წერილობით (№2399/01) გაეუგზავნე 2007 წლის 22 ნოემბერს.

დეკონილთა რეგისტრაცია

დეკონილთა სავალდებულო რეგისტრაცია 2007 წლის II ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ პროცესმა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაიარა. სახალხო დამცველს არაერთმა მოქალაქემ მიმართა რეგისტრაციის პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით. მთავარ პრობლემას დეკონილის მოწმობაში შეტანილი საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტე წარმოადგენდა. მაგალითად, დეკონილ ციური ნოდის დროებით საცხოვრებელ ადგილად დაუფიქსირეს თბილისი, სასტუმრო „ივერია“. თავის დროზე მას კომპენსაცია არ აუღია და დღეს თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. ამავე დროს, ყველასათვის ცნობილია, რომ ყოფილ სასტუმრო „ივერიაში“ დღეს არავინ ცხოვრობს, შენობაში კი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ლარისა დოჩიას დეკონილის მოწმობაში ისევ ძველი მისამართი დაუფიქსირეს, თუმცა ჯერ კიდევ 2000 წელს მან იქორწინა და ამჟამად მეუღლის ბინაში ცხოვრობს. 2007 წლის მანძილზე მიმდინარე დეკონილთა რეგისტრაციის პროცესში დაფიქსირდა მრავალი მსგავსი ფაქტი და მაგალითები ამით არ ამოიწურება.

დეკონილის მოწმობაში დროებითი საცხოვრებელი ადგილის ზუსტ განსაზღვრას სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მონაცემები მცდარადაა დაფიქსირებული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ეფექტურად უნდა გამოიყენოს კანონის შესაბამისი დებულებები რეგისტრაციის მონაცემების გასწორებისა და მათი რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დეკონილის მოწმობა წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან ის გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აწესებს და ადასტურებს პირის უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ დეკონილის მოწმობაა ის დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს თითოეული იძულებით გადაადგილებული პირისათვის და, ამავე დროს, ადასტურებს მათთვის დეკონილის სტატუსის მინიჭების ფაქტს. დეკონილის მოწმობას დეკონილის სტატუსისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ყოველი რეგისტრაციის შემდეგ ის ხელახლა გაიცემა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის მოწმობის ერთ-ერთი რეკვიზიტია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი. მოწმობის ეს ჩანაწერი მნიშვნელოვან შედეგებს წარმოშობს დევნილისათვის – მის მფლობელობას კონკრეტულ საცხოვრებელ ფართზე აქცევს მართლზომიერად და ქმნის ლეგალურ საფუძველს მითითებულ ადგილას ცხოვრებისათვის. ასეთ შემთხვევებში დევნილი დაცულია გამოსახლების პროცესებში, ასევე სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას. დევნილის მოწმობას მნიშვნელოვან აქვს საარჩევნო სამართალშიც და, შესაბამისად, მას უკავშირდება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომა. თავის მხრივ, სახელმწიფო ამგვარად უზრუნველყოფს მასზე შიდა კანონმდებლობით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს და დევნილებს უქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრებისათვის, ასევე აძლევს მათ შესაძლებლობას, დავის შემთხვევაში წარადგინონ მტკიცებულებები სათანადო სახელმწიფო ორგანოებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები არის „საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებული პირის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების შემადგენელი ნაწილია. ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია „პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოინურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას.“ აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცესში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დევნილთა უშუალო მონაწილეობა მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეგროვებისას.

2007 წლის 3 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა (№1865/05-3) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ი.გორგაძეს და გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია დევნილთა რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. კერძოდ: რეალურად რა ხარჯები გასწია სახელმწიფო 1 ცალი დევნილის მოწმობის დასამზადებლად, რომელი კომპანია ასრულებდა სახელმწიფო დაკვეთას და სულ რამდენი ცალი დევნილის მოწმობა იქნა დამზადებული. ასევე, გამოითხოვა შესაბამის იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულებების ასლები და დეტალური ხარჯთაღრიცხვა. 2007 წლის 19 ოქტომბერს მივიღეთ ი.გორგაძის სრულიად არაადეკვატური პასუხი (№01/01-17/6747). სამინისტრომ არ მოგვანოდა ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია. წერილში ნათქვამია: „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 29 მაისის №43 დადგენილებით და „იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2006 წლის 2 ოქტომბრის №127 ბრძანებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების



სამინისტროს დევენილთა საკითხების დეპარტამენტი ანარმოებს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა რეგისტრაციას და მათთვის დევენილის მონმობის გაცემას.“

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ბატონ კობა სუბელიანს, რათა პირად კონტროლზე აიყვანოს დევენილთა რეგისტრაციის პროცესი, უშუალოდ ჩაერთოს ყველა იმ განცხადების განხილვაში, რომელიც დაკავშირებული აღნიშნულ პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან.

გალის რაიონში მცხოვრავ დევენილთა უფლებების დაცვა

ჩემს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშებში რეგულარულად მიმოვიხილავ კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას. ზოგადად, მიმაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დაცვაში მდგომარეობს. გალის შემთხვევაში, ამ რაიონში მცხოვრებთა უფლებების სანიმუშო დაცვა, ვფიქრობ, იქნებოდა საუკეთესო მაგალითი სრულიად აფხაზეთის მოსახლეობისათვის, რათა ნდობით განმსჭვალულიყვნენ საქართველოს დემოკრატიული და დასავლური პოლიტიკური კურსისა და ფასეულობების მიმართ. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა და, ეთნიკური განსხვავებულობის მიუხედავად, თითოეული ადამიანის უფლებისა და ღირსების ჯეროვანი დაცვის საქმეში საქართველოს სახელმწიფოს ნებისა და უნარის მიმართ მტკიცე ნდობის მოპოვება.

2007 წლის 2 თებერვალს საქართველოს მთავრობამ №47 განკარგულებით დაამტკიცა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია.“ მითითებული დოკუმენტის I თავში (ზოგადი მიმოხილვა) აღნიშნულია: „განსაკუთრებული შემთხვევაა აფხაზეთი, სადაც ათასობით დევენილი სტიქიურად დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს ან სეზონურად (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად) ცხოვრობს. მათ დაუცველობისა და გაურკვეველი მომავლის გამო უნარჩუნდებთ დევენილის სტატუსი. ასევე, დევენილთა გარკვეული რაოდენობა სტიქიურად დაბრუნდა ცხინვალის რეგიონის ზოგიერთ სოფელში. ასევე განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს ზემო აფხაზეთის მოსახლეობაც, რომელსაც არ მიუტოვებია საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და სიცოცხლის რისკით აგრძელებს ცხოვრებასა და შრომით საქმიანობას.“

გარდა ამისა, IV თავის მე-2 მუხლში დაკონკრეტებულია, რომ „სახელმწიფო უწყებები მიზანდასახულად მუშაობენ, რათა უზრუნველყონ კონფლიქტის ზონებში სტიქიურად დაბრუნებულ დევენილთა უსაფრთხოება. ამისათვის ისინი იყენებენ როგორც უშუალო მოლაპარაკებას კონფლიქტის მხარეებთან, ისე საერთაშორისო გაერთიანების დახმარებას, რათა მოხდეს სიტუაციის მონიტორინგი ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების სფეროებში.“

გალის რაიონში დაბრუნებული დევენილებისათვის ამ სტატუსის მინიჭება და მათი უფლებების მაქსიმალური გარანტირება დევენილებთან დაკავშირებით შემუშავებული მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ინტერესია. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, ამავე უწყების ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 77 654 გალის რაიონიდან დევენილი.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული. თავის დროზე სახალხო დამცველმა საკმაოდ პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა სტრატეგიის შემუშავება და მიესალმა დევენილთა უფლებების სფეროში პრობლემების მოგვარების სტრატეგიული ხედვის გამოკვეთას. თუმცა უდავოა, რომ სამოქმედო გეგმის გარეშე სტრატეგიას მხოლოდ დეკლარაციული ღირებულება აქვს და ის ვერ იქცევა ეფექტურ მექანიზმად დევენილთა უფლებების დაცვისათვის.

სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე ჯუმბერ მეფორიამ. ის დევენილია აფხაზეთიდან და გალის რაიონში, სოფელ საბერიოში ცხოვრობს. განმცხადებლის განმარტებით, სიღარიბის

ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების მიზნით, მან მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა მისი განცხადება არ იქნა დარეგისტრირებული. ამავე დროს, აღნიშნული დანესებულების თანამშრომელთა მხრიდან მას ზეპირად განემარტა, რომ სახელმწიფო სოციალური პროგრამები არ ვრცელდება გალის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

2007 წლის 15 ნოემბერს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, სახალხო დამცველმა წერილობით (№3477/05-3/1619-07) მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, დავით ლომიძეს და გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია: გალის რაიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობენ თუ არა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სოციალურ პროგრამებში, აგრეთვე, გალის რაიონში მცხოვრები რამდენი ოჯახია დღეისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული. ხომ არ აწყდებიან ისინი რაიმე სახის სირთულეებს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისას, ან სოციალური დახმარებების მიღებისას.

2007 წლის 17 დეკემბერს მივიღეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ლომიძის პასუხი (№01-11/07/10946), რომლითაც გვეცნობა შემდეგი: „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილების თანახმად, მონაცემთა ბაზის ფორმირება ერთიანი სამართლებრივი პროცესია, რომელიც მოიცავს მაძიებელი ოჯახის განაცხადის მიღებას, მის დამუშავებას, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებასა და სარეიტინგო ქულის მინიჭებას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ პროცედურების დასრულების შემდეგ ხდება ოჯახის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და შესაბამისად, ოჯახის სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის საკითხის გადწყვეტა.

ვინაიდან ჯუშუბერ მეფორიას ოჯახი ცხოვრობს გალის რაიონის სოფელ საბერიოში, სააგენტოს წარმომადგენელი (სოციალური აგენტი) ვერ ახერხებს გადასვლას აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით.

ამ მიზეზით ვერ ხორციელდება ჯუშუბერ მეფორიას ოჯახის რეგისტრაცია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.“

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გაზარდოს სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობა გალის რაიონში მცხოვრები დევნილებისათვის. მათი ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური პოლიტიკის გატარებისას. მხოლოდ ფორმალური ბარიერები არ უნდა გახდეს გალის რაიონში მცხოვრებ დევნილთა იზოლაციისა და მონყვეტის მიზეზი. სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით ისინი უნდა ინტეგრირდნენ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში.

შესაბამისად, რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა გამოიძებნოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება გალის რაიონში მცხოვრები დევნილების განცხადებების განხილვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

დევნილთა სოციალური უზღავების დაცვა

ყოველთვიური შემწეობები

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „დევნილი იღებს ყოველთვიურ შემწეობას.“

„საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, 2007 წლისათვის ორგანიზებულად ჩასახლებულ ერთ დევნილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრა 11 ლარის, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილზე – 14 ლარის ოდენობით.



„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 8 აგვისტოს სახალხო დამცველმა წერილობით (№1429/05-3) მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გრიგოლ ფანცულაიას და გამოითხოვა ინფორმაცია, 2007 წლის I ნახევრის (ან სხვა უახლესი) მონაცემებით, როგორია საარსებო მინიმუმის ღირებულება საქართველოში.

ამავე უწყებიდან 2007 წლის 21 აგვისტოს მიღებული პასუხით (№7/1-06/46) გვეცნობა საქართველოში საარსებო მინიმუმის შესახებ 2007 წლის ივლისის თვის მდგომარეობით. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ხელთ არსებული მონაცემების შესაბამისად, 2007 წლის ივლისის თვისათვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა შეადგინა 112,9 ლარი, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა – 100 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა – 189,4 ლარი.

„საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი საარსებო მინიმუმის დანიშნულებას განსაზღვრავს. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საარსებო მინიმუმი არის სოციალური ორიენტირი, რომელიც გამოიყენება „ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისათვის.“

დისპროპორცია დევნილის ყოველთვიურ 14 ლარიან შემწეობასა და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს – 100 ლარს შორის საკმაოდ თვალშისაცემია. მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებები უნდა აისახოს დევნილთა ყოველთვიურ შემწეობაზე და მისი ოდენობა მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს საარსებო მინიმუმს. **შესაბამისად, რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა გადასინჯოს დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა, ხოლო საარსებო მინიმუმს მიახლოებული ახალი მონაცემი აისახოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში.**

ერთჯერადი შემწეობები

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთჯერადი ფულადი შემწეობა არის „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მიეცემა უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილს მისი განცხადების საფუძველზე“. თუმცა, ამ ტიპის შემწეობის გაცემის წესი და საფუძვლები, ასევე მის მიღებაზე უფლებამოსილი პირები არ არის განსაზღვრული არც ერთი ნორმატიული აქტით, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შემწეობის გაცემისას თვითნებობის საფრთხეს ქმნის. ასეთ შემთხვევებში, რეალურად შეუძლებელია იმის გამოვლენა, თუ ვის მიეცა ერთჯერადი ფულადი შემწეობა კანონიერად და ვის არა. მშრალი სტატისტიკა და ციფრები აღნიშნულ საკითხზე არაფერს ამბობენ. არ არსებობს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმების მექანიზმი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დევნილთა სოციალური დახმარებისათვის გათვალისწინებული იყო ნახევარი მილიონი ლარი, რომელიც სრულად გაიცა 5 000 განსაკუთრებით მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ დევნილზე. გაურკვეველია, რა კრიტერიუმების გამოყენებით ადგენს სამინისტრო „განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების“ არსებობის ფაქტს. რეალურად, სამინისტროს საქმიანობის ამ ნაწილში სერიოზულ პრობლემას ქმნის გამჭვირვალობის საკითხი, რაც ბადაებს ეჭვს იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს შერჩევით მოპყრობას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რათა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ერთჯერადი ფულადი შემწეობის გაცემის წესი, საფუძვლები და მის მიღებაზე უფლებამოსილი პირები.

დევნილთა საპენსიო უზრუნველყოფა

„შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილებით განისაზღვრა სახელმწიფო პენსიის დანამატის კატეგორიები. აღნიშნულმა რეგულაციამ დევნილებთან მიმართებაში თავიდანვე გაუგებრობა გამოიწვია იმის გამო, რომ მათი უმეტესობა ვერ ახერხებდა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენას.

2007 წლის 10 ოქტომბერს მთავრობის აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება, რომელმაც მოაწესრიგა დევნილებისათვის საპენსიო დანამატის განსაზღვრის საკითხი. დევნილს, რომელიც დოკუმენტურად ვერ ადასტურებს, რომ მისი შრომითი საქმიანობის შეწყვეტა დაკავშირებულია დევნილობასთან, დანამატი განესაზღვრება არა სამუშაო სტაჟის, არამედ ასაკის მიხედვით. მთავრობის №181 დადგენილების 1-ლ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 11 ქვეპუნქტი: „იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, რომელიც დოკუმენტურად ვერ ადასტურებს, რომ მისი შრომითი საქმიანობის შეწყვეტა დაკავშირებულია დევნილობასთან, 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დანიშნულ ასაკის გამო მინიმალურ სახელმწიფო პენსიაზე ამავე პერიოდიდან დანამატი განესაზღვრება შემდეგი წესით:

ა) დევნილი მამაკაცებისათვის:

ა.ა. 65-დან 67 წლამდე — 2 ლარი;

ა.ბ. 67-დან 69 წლამდე — 4 ლარი;

ა.გ. 69-დან 71 წლამდე — 7 ლარი;

ა.დ. 71 წლიდან ზემოთ — 10 ლარი.

ბ) დევნილი ქალებისათვის:

ბ.ა. 60-დან 62 წლამდე — 2 ლარი;

ბ.ბ. 62-დან 64 წლამდე — 4 ლარი;

ბ.გ. 64-დან 66 წლამდე — 7 ლარი;

ბ.დ. 66 წლიდან ზემოთ — 10 ლარი.“

აღნიშნული დამატებები უნდა შეფასდეს დადებითად.

საყოფაცხოვრებო საკითხები

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის დაწესებულებებთან ერთად, რომლებიც „ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში.“

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახების ზამთრის სეზონისათვის შეშით მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 16 აგვისტოს №415 დადგენილების ძალით, 2007-2008 წლის ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „დევნილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე“ ასიგნებიდან 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი მიმართოს იულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახების შეშით უზრუნველსაყოფად.



2007 წლის ოქტომბერში სახალხო დამცველს ზეპირი განცხადებით მიმართეს ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზ. №64-ში მდებარე ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრებმა დევენილებმა. მათი განმარტებით, პიროვნებამ, რომელიც მათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლად გაეცნო, დაუტოვა დევენილებს ბლანკები თითოეული მათგანის პერსონალური მონაცემების შესავსებად. განმცხადებლებს უნდა მიეთითებინათ სახელი, გვარი და დევენილის მონუმობის ნომერი. აღნიშნული ბლანკები აღმოჩნდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ადასტურებდა დევენილების მიერ შეშის მიღების ფაქტს. „მიღებული“ შეშის მოცულობის გრაფა და იმ ავტომობილების სახელმწიფო ნომრები, რომლითაც მათ „შემა დაურიგდათ“, იყო ცარიელი. დევენილებს მეორე დღეს შევსებული ბლანკები სამინისტროში უნდა მიეტანათ, თუმცა მათ აღნიშნული უკანონო მოთხოვნა არ შეუსრულებიათ. აღნიშნული ინციდენტი ეჭვებს აღძრავს სამინისტროს მიერ თანხების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით. საქმე წარმოებაშია.

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რათა გამოიკვლიოს აღნიშნული ფაქტი და გაატაროს შესაბამისი ზომები.

რეკომენდაციები და წინადადებები

1. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, პირად კონტროლზე აიყვანოს დევენილთა რეგისტრაციის პროცესი, უშუალოდ ჩაერთოს ყველა იმ განცხადების განხილვაში, რომელიც დაკავშირებული აღნიშნულ პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან.
2. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა გამოიძებნოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება გალის რაიონში მცხოვრები დევენილების განცხადებების განხილვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.
3. წინადადებით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა გადასინჯოს დევენილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა, ხოლო საარსებო მინიმუმს მიახლოებული ახალი მონაცემი ასახოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში.
4. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რათა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ერთჯერადი ფულადი შემწეობის გაცემის წესი, საფუძვლები და მის მიღებაზე უფლებამოსილი პირები.

2007 წლის II ნახევრის განმავლობაში ლტოლვილთა უფლებების დაცვის სფეროში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. სახალხო დამცველმა წინა საპარლამენტო მოხსენებაში უკვე შეაფასა ყველა ის საკანონმდებლო სიახლე, რომელიც განხორციელდა 2007 წლის I ნახევარში და ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციის მნიშვნელობას.

თბილისის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკის) შეფასებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ლტოლვილთა დაცვის საქმე მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ქვეყანაში ლტოლვილებისათვის დროებითი ბინადრობის მონმობების გაცემამ და მათი სამართლებრივი სტატუსის გაძლიერებამ ადგილობრივი ინტეგრაციისათვის სამართლებრივი გარემო გააუმჯობესა. ეს ცვლილებები შეუმჩნეველი არ დარჩენილა ტრადიციულად მიმღები ქვეყნებისათვის და ამ დასხვა ფაქტორებმა საქართველოში მცხოვრები ჩრენი ლტოლვილების მიმღებ ქვეყნებში გადასახლების პოლიტიკა გაამკაცრა. ამ მოვლენებმა გამოიწვია გლუკის დამოკიდებულების შეცვლა.

გლუკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პოტენციურ მიმღებ ქვეყნებში მომავალში მხოლოდ იმ ადამიანების საქმეები განიხილება და გაიგზავნება, რომლებსაც გადასახლებისათვის უტყუარი საფუძველი ექნებათ. საქართველოში ინტეგრაციის პერსპექტივის არარსებობა აღარ წარმოადგენს გადა-

სახლების საფუძველს და პანკისის ხეობაში უსაფრთხოების მდგომარეობის გამოსწორებიდან გამომდინარე, გადასახლებისათვის მხოლოდ სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საქმეები იქნება განსაზღვრული.

მიუხედავად პროგრესისა, მაინც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შემწეობები და შეღავათები არაა საკმარისი ლტოლვილთათვის, რათა შეიქმნან ცხოვრების სათანადო პირობები. ქვეყანაში არსებული ინფლაციისა და სამომხმარებლო კალათის გაძვირების გათვალისწინებით, მათი სოციალური მდგომარეობა სავალალოა.

საქართველოს კანონმდებლობით, ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირები ძალიან სუსტად არიან დაცულნი. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში განსაზღვრულია ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის უფლება-მოვალეობანი. ამავე მუხლის 1-ლი

16

ლტოლვილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

2007

და მე-2 პუნქტებით მათთვის დადგენილია გარკვეული სოციალური გარანტიები. კერძოდ:

- „1. პირს, რომელიც ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად გაივლის რეგისტრაციას სამინისტროში, რეგისტრაციიდან ხუთ დღეში ეძლევა მიმართვა დროებითი ჩასახლების თაობაზე და მითითებულ ადგილამდე ერთჯერადი უფასო მგზავრობისა და ბარგის გადატანის ნებართვა.
2. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს: (08.04.2005 N1299)
 - ა) ისარგებლოს გადაადგილების თავისუფლებით, იცხოვროს დროებითი ჩასახლების ადგილას და ისარგებლოს კომუნალური მომსახურებით;
 - ბ) მიიღოს სურსათ-სანოვავის დადგენილი ნორმა;
 - გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღოს ერთჯერადი ფულადი ან სხვა სახის დახმარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით;
 - დ) შეიყვანოს შვილი სახელმწიფო სკოლამდელ ან ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებაში.“

პრობლემა ისაა, რომ კანონში ჩადებული აღნიშნულ სოციალური გარანტიები არ არის მხარდაჭერილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის კანონის აღსრულებას და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებას. „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა მომსახურებისა და რეპატრიაციის რეგულირების ხარჯებისათვის თანხა გამოყოფილი არ არის, მაშინ როდესაც 2006 წელს აღნიშნული მიზნისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 723,9 ათასი ლარი. შესაბამისად, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტები მკვედარ ნორმებს წარმოადგენს. ამ გზით საფრთხე ექმნება ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა უფლებებს და კანონის უზენაესობას სახელმწიფოში.

აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის ტერიტორია ჩეჩენი ლტოლვილების ძირითადი საცხოვრებელი ადგილია. ხეობაში მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, ლტოლვილებს მეტად არასასიამოვნო პირობებში უწევთ ცხოვრება. სანიტარული პირობები ძალიან ცუდია, განსაკუთრებით კომუნალურ თავშესაფრებში, რომლებსაც სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები ზედამხედველობენ პანკისის ხეობაში. ის მცირერიცხოვანი ნაწილი მოსახლეობისა, რომლებიც მიწას ფლობს პანკისში, საკმაოდ მწირ დამატებით შემოსავალს იღებს დაბალნაყოფიერი მიწებიდან. მაგრამ ლტოლვილების უმეტესი ნაწილი ამასაც მოკლებულია და შესაბამისად, იძულებული ხდება, სხვა გზა ეძებოს თავის სარჩენად.

ბევრი ლტოლვილი მზადაა, იმუშაოს სანარმოებსა თუ სამომსახურეო სექტორში. მხოლოდ რამდენიმე ადამიანია დასაქმებული საერთაშორისო ორგანიზაციაში, რაც ფულადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. რამდენიმე ლტოლვილი სკოლებსა თუ ბაღებშია დასაქმებული მასწავლებლის, ძიძის სტატუსით. თუმცა, ამ შემთხვევებში მათ არ ეძლევათ ფულადი ანაზღაურება. მათი შრომა ჰუმანიტარული პროდუქტების დამატებითი ნორმების მიღებით ანაზღაურდება. ჩეჩენები აცხადებენ, რომ სამუშაო ადგილების განაწილებისას ადგილობრივი მოსახლეობა ახლობლებსა და ნათესავებს ასაქმებს და ისინი სამსახურის ძებნისას დისკრიმინაციას განიცდიან.

ლტოლვილთა დასაქმება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, „მოცემულ რეგიონში მოსახლეობის დასაქმების დონის გათვალისწინებით, ლტოლვილს მისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით დახმარება გაუწიონ შრომით მოწყობაში“. ამავდროულად კანონის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, „ბინათმონყობის, დასაქმების, განათლების, უსაფრთხოების“ მინიმალური სტანდარტები გარანტირებულია არა მხოლოდ ლტოლვილისთვის, არამედ ჯერ კიდევ

ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრირებული პირისათვის. ხოლო ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის მე-17 მუხლი განმარტავს: „ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები“.

აზერ სამედიცინის საქმი

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას“. თუმცა მოქალაქეობის მინიჭების გაადვილებული პროცედურა საქართველოს კანონმდებლობით გთვალისწინებული არ არის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულ დებულებასთან. საქართველოს მოქალაქეობის მიღება შედარებით მისაღებია წარმოშობით ქისტი ლტოლვილებისათვის, რომელთა რამდენიმე თაობა დაიბადა და დღემდე ცხოვრობს პანკისში.

2008 წლის 10 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით (№0051-08) მომმართა აზერბაიჯანის მოქალაქემ, აზერ სამედოვმა. 1988 წლიდან იგი აზერბაიჯანში ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, „ჯუმა მეჩეთი“, „ისლამ იტახიდი“ და „სინდისისა და რწმენის თავისუფლების ცენტრი“. განმცხადებლის მოღვაწეობა დაკავშირებული იყო აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან, ადამიანის უფლებათა დაცვასთან. აზერ სამედოვის განმარტებით, აზერბაიჯანში 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის განხორციელებისა და ხელისუფლების მიერ დაშვებული დარღვევების ღიად დაფიქსირების ნიადაგზე, მის მიმართ დევნამ აშკარა ფორმები მიიღო, რის შედეგადაც იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო. 2005 წლიდან აზერ სამედოვი იმყოფება საქართველოში. მან დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „სინდისისა და რწმენის თავისუფლების დაცვის კავკასიური ცენტრი“ და ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. 2006 წლის 31 მარტს აზერ სამედოვი საქართველოს შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა დააკავეს აზერბაიჯანში ექსტრადიციის მიზნით. ჩხრეკისას მას ფული და პირადი ნივთები ჩამოერთვა, რომლებიც დღემდე არ დაუბრუნებიათ. აზერ სამედოვი 2006 წლის 14 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 10 ათასი ლარის ოდენობით გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

2006 წლის 17 აგვისტოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უარი განუცხადა აზერ სამედოვს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. თუმცა, 2007 წლის 6 ნოემბერს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა აზერ სამედოვი ლტოლვილად აღიარა, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი მოწმობით.

2007 წლის 25 დეკემბერს, აზერ სამედოვის ადვოკატმა, ლაშა ჭინჭარაულმა, საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა შუამდგომლობით, შემწყდარიყო მისი დაცვის ქვეშ მყოფის ექსტრადიციის პროცესი, რადგან არსებობს რეალური საფრთხე, რომ სამედოვის მიმართ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა.“ მიუხედავად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნისა, განმცხადებლის დამცველს დაყენებულ შუამდგომლობაზე პასუხი დღემდე არ მიუღია.

აზერ სამედოვის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 (3) მუხლით, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი,



რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის,“ ამავე მოთხოვნას აყალიბებს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლიც.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე, ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ აზერ სამედოვს პოლიტიკური მრწამსისთვის დევნიან აზერბაიჯანში, რასაც ადასტურებს აზერბაიჯანში ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენები და აზერ სამედოვის პოლიტიკური ორიენტაცია.

ცნობილი უფლებადაცვითი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, **Amnesty International** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიცია, რადგან იგი შესაძლოა აზერბაიჯანში გახდეს წამების მსხვერპლი და ეს იქნება საქართველოს მიერ წამების სანინაალმდეგო კონვენციით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. **Amnesty International** განმარტავს:

„აზერ სამედოვი აზერბაიჯანში ახორციელებდა მონიტორინგს 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომლებზეც დაფიქსირდა რიგი დარღვევებისა. მეორე დღეს ბაქოში ჩატარდა მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც სამართალდამცავებმა ძალადობით დაშალეს. აზერ სამედოვი მონაწილეობდა აღნიშნულ მანიფესტაციებშიც, რის გამოც დაადანაშაულეს მასობრივ არეულობებში მონაწილეობასა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის განევაში. ამის შემდეგ, აზერ სამედომს საქართველოს შეაფარა თავი... მისი ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლოა მას იგივე ბედი ეწიოს, რაც მის თანამოაზრეებს, რომლებიც დაექვემდებარნენ არაადამიანურ მოპყრობას და წამებას აზერბაიჯანის ციხეებში.“

ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ითხოვს აზერ სამედოვის ექსტრადიციას ადასტურებს **Amnesty International**-ის მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები აზერბაიჯანში დაექვემდებარებიან დაპატიმრებას და დაშინებას თუ ისინი ეცდებიან გამოავლინონ საარჩევნო დარღვევები და გადამეტებული ძალის გამოყენება მშვიდობიანი დემონსტრაციების დაშლისას.“

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ანგარიშში აკრიტიკებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნების თანმდევი ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გამო:

„2003 წლის არჩევნების შედეგად 600-მდე ადამიანი იქნა დაპატიმრებული. არჩევნების დღეს მოჰყვა შეკრება-მანიფესტაციები ქალაქ ბაქოში. დემონსტრაციების დაშლას სამართალდამცავთა მხრიდან დაფიქსირდა ძალის გადამეტებული გამოყენება. შედეგად გარდაიცვალა ოთხი და დაზარალდა ასობით მოქალაქე. დაპატიმრებული დემონსტრანტებისთვის არ იქნა უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლო და ზოგიერთი მათგანი გახდა წამების მსხვერპლი. მსგავსი მოვლენები განვითარდა აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნების შედეგადაც.“

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (**FIDH**) და წამების სანინაალმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (**OMCT**) ერთობლივი პროგრამის „**Observatory for the Protection of Human Rights Defenders**“-ის ფარგლებში გამოქვეყნებულ ანგარიშში მოუწოდებენ საქართველოს, არ მოხდეს ადამიანის უფლებათა დამცველი, აზერ სამედოვის ექსტრადიცია აზერბაიჯანში, რადგან იგი შესაძლოა დაექვემდებაროს წამებას.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დამცველები, კონკრეტულად კი ის აქტივისტები, ვინც არჩევნების მონიტორინგსა და მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობდა, დაექვემდებარნენ წამებას და არაადამიანურ მოპყრობას. საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ გარემოებათა გამო დაუშვებელია აზერ სამედოვის ექსტრადიცია აზერბაიჯანში. საერთაშორისო საზოგადოება აპელირებს, რომ საქართველო დაარღვევს მის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ექსტრადიციის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ შიდა კანონმდებლობის გარდა საქართველოს ექსტრადიციასთან დაკავშირებით აქვს ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებების სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით:

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, არ გაასახლოს ან დააბრუნოს ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო.

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლიდან. მისი მე-3 მუხლის თანახმად:

- „1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, თხოვნის მიმღები მხარის მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან.
- 2. იგივე წესი გამოიყენება, თუ თხოვნის მიმღებ მხარეს გააჩნია საკმარისი საფუძველი, იგარაუდოს, რომ ექსტრადიციის მოთხოვნა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გაკეთებულია პირის დევნისა და დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, **ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო** ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიადგეს რაიმე ზიანი რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო.“

საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს **წამების საწინააღმდეგო კონვენცია**, რომლის მესამე მუხლის თანახმად:

- 1. არც ერთმა მონაწილემ სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისთვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.
- 2. ასეთი საფუძველის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმასვითებული და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში იკრძალება, თუ ექსტრადიციის შედეგად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“. 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „Soering v. the United Kingdom“, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოს) ეკრძალებათ პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. მსგავსი პრაქტიკაა დამკვიდრებული ასევე საქმეებში **Cruz-Varas v. Sweden, Chahal v. the United Kingdom**.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, 2005 წელს აზერბაიჯანში სიცოცხლისთვის საშიში პატიმრობის პირობებისა და წამების შედეგად 107 ადამიანი დაიღუპა.

2007 წლის 11 იანვარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის სამართალდამცავთა მხრიდან განმცხადებლის წამებას. მამადოვი იყო აზერ სამედოვის თანამოაზრე, იგი არის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც 2003 წლის აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევდა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში აზერ სამედოვიც, სარდარ მამადოვის მსგავსად, შეიძლება გახდეს წამების მსხვერპლი.



გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წერილიდან ირკვევა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიაც აქვს მყარი საფუძველი იმისა, სჯეროდეს, რომ ბატონი აზერ სამედოვი თავის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შესაძლოა გახდეს წამების მსხვერპლი მისი რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 15 თებერვალს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს გენერალურ პროკურორს გადაუგზავნა და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმართა რეკომენდაციით (№710/05-5/0051-08), შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიციის პროცესი. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებამა.

რეკომენდაციები

1. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონით ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთათვის განკუთვნილი სოციალური გარანტიების იმპლემენტაციის მიზნით, შესაბამისი ხარჯები ასახოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში.
2. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიციის პროცესი.
3. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების სახით აზერ სამედოვისათვის შერჩეული გირაოს გაუქმება.
4. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა აზერ სამედოვს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი პირადი ნივთები და ფული, რომელიც მას ჩხრეკისას ჩამოერთვა.

სახალხო დამცველი მუდმივად ადევნებს თვალყურს ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის დაუბრკოლებელი და დროული გაცემის საკითხს. დღეისათვის შეიძლება უკვე ითქვას, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით დაბეჭდილი საინფორმაციო პლაკატები თითქმის მთელ საქართველოშია გამოკრული ადმინისტრაციულ ორგანოებში. პლაკატი შეიცავს მოკლე და საჭირო ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მიღების წესებსა და ვადებზე და მოქალაქეებს ამცნობს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას. ინფორმაციის ღიაობის თაობაზე აღსანიშნავია სახალხო დამცველის აპარატის სხვა საგანმანათლებლო აქტივობებიც.

28 სექტემბერს აღინიშნება ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე. 2007 წლის 28 სექტემბერს სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა გურჯაანის №2 საჯარო სკოლაში ჩაატარეს ღია გაკვეთილი უფროს კლასელთათვის საჯარო ინფორმაციის შესახებ, ასევე შეხვდნენ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებს, შედგა მრგვალი მაგიდა სახალხო დამცველის ოფისში, რომელსაც ესწრებოდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან. შეხვედრაზე განხილული იყო ის ძირითადი პრობლემები, რის თაობაზეც განმცხადებლები ყველაზე ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს.

ერთ-ერთი პრობლემა ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევაა. როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, ამის მიზეზი საჯარო დაწესებულებებში ორგანიზაციული მოუწესრიგებლობაა. აღმოჩნდა, რომ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში დანიშნულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა ისინი არ არიან დამოუკიდებელი თავიანთ გადანყვებილებაში. ისინი ვერ გასცემენ ინფორმაციას ზემდგომთან შეთანხმების გარეშე, რაც ხშირად იწვევს დროში.

ამდენი ბიუროკრატია, ბუნებრივია, იწვევს კანონით დადგენილი ვადის დარღვევას, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს. სწორედ ამის გამოა, რომ საჯარო ინფორმაციის მიღებას მოქალაქე ხშირად თვეობით ელოდება. ამის თაობაზე არაერთი რეკომენდაცია არის გაგზავნილი სხვადასხვა უწყებებში, თუმცა სიტუაცია თითქმის უცვლელი რჩება (იხ. დანართი №10).

განსაკუთრებით ძნელია ინფორმაციის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან და საქართველოს პროკურატურის ორგანოებიდან.

საქართველოს შს სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ დადგენილი შიდა წესის თანახმად, მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანოებიდან ინფორმაციის გაცემა დასაშვებია მხოლოდ ცენტრალიზებული წესით. მაგალითად, თუ ინფორმაციის მიღების მიზნით მოქალაქე ან ორგანიზაცია (მათ შორის სახალხო დამცველიც) მიმართავს რომელიმე რაიონულ პროკურატურას ან პოლიციის სამმართველოს, პასუხი შეიძლება მივიღოთ შსს-ს ადმინისტრაციისგან ან გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან, ვინაიდან წერილები ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე მომზადებულ პასუხებთან ერთად ეგზავნება არა ადრესატებს, არამედ ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც ამ ინფორმაციების გაცემას უზრუნველყოფენ. თუმცა, ძნელი მისახვედრი არა არის, რომ ასეთი წესის შემოღება ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სულისკვეთებას, ირღვევა კანონით დადგენილი ვადები და ინფორმაციის მიღება ყოველთვის ჭიანჭურდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა სწორედ ასეთივე პრაქტიკას იყენებს სახალხო დამცველთან ურთიერთობაშიც, რის გამოც ინფორმაციის მონოდება არასოდეს ხდება „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლით დადგენილ 15 დღის ვადაში. უფრო მეტიც, თანამდებობის პირები, რომლებიც დასახელებული კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ვალდებული არაიან, პირადად მისცენ ახსნა-განმარტება, საბუთები, მასალები, დოკუმენტები თუ სხვა ინფორმაცია სახალხო დამცველს, უგულვებელყოფენ კანონის ნორმებს და განუხრელად იცავენ ზემდგომის მიერ დადგენილ წესებს.

ვინაიდან ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ძალიან ხშირია და არ სრულდება სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა დადგენილ ვადაში, სახალხო დამცველი მიმართავს ადმინისტრაციულ ბერკეტებს და ხშირად თანამდებობის პირების მიმართ ადგენს სამართალდარღვევის ოქმს, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 173¹ მუხლით.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოში ინტერპოლის ბიუროს უფროსის, ლაშა გიორგიძისა და ისან-სამგორის რაიონული პროკურორის, დავით გაგნიძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები. ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის დარღვევას, სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შსს და გენერალური პროკურატურა მოქმედებენ დადგენილი წესით ინფორმაციის გაცემის დროს, სწორედ ამ წესზე აპელირებდნენ ისინი სასამართლო პროცესებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას. პირველ შემთხვევაში მოსამართლე თეა თადაშვილმა სრულიად კანონიერად არ გაიზიარა ინტერპოლის ბიუროს არგუმენტები ინფორმაციის ცენტრალიზებული წესით გაცემის თაობაზე, სამსახურის უფროსი, ლაშა გიორგიძე ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ჯარიმის სახით დაუდგინა 800 ლარის გადახდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოსამართლე ილონა თოდუამ რატომღაც პროკურატურის შინაგანწესით დადგენილი წესი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი და საქმე შეწყვიტა სამართალდარღვევის არარსებობის მოტივით.

უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკადან, რომელიც სახალხო დამცველის მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების განხილვისას ჩამოყალიბდა, მკაფიოდ ჩანს ერთი ტენდენცია: მოსამართლეები არასდროს ცნობენ სამართალდარღვევებად პროკურორებს ისეთ საქმეებზე, სადაც ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირს ცნობენ სამართალდარღვევად. ამ მხრივ სასამართლოებში ყალიბდება არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც ეწინააღმდეგება სასამართლო რეფორმის სულისკვეთებას, ერთნაირ საქმეებზე ჩამოყალიბდეს ერთნაირი პრაქტიკა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროკურატურის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღება დღემდე უდიდეს პრობლემად რჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მოახსრავოს ამ კუთხით არსებული პრობლემები თავისი დაწესებულების შიგნით, რათა დაცული იქნას ადამიანის კონსტიტუციით დადგენილი უფლება ინფორმაციის თავისუფალი მიღების თაობაზე.

რეკომენდაცია

წინადადებით მივმართავ საქართველოს პარლამენტს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და დამრღვევ ორგანიზაციას სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაცემის ვალდებულებასთან ერთად დაეკისრება ფინანსური სანქციებიც.



საკუთრების უფლება კონსტიტუციით არის აღიარებული და დაცული, მაგრამ პრაქტიკაში ეს უფლება ხშირად ირღვევა. ცივილისტიკაში საკუთრებას აბსოლუტურ უფლებასაც უწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ ყველა ვალდებულია, თავი შეიკავოს სხვისი საკუთრების ხელყოფისაგან.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საკუთრების უფლება მრავალი სხვადასხვა ფორმით ირღვეოდა. უმრავლეს შემთხვევაში საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები გაუზიარებელი რჩება, რადგან მესაკუთრეებს (ან, უფრო ზუსტად, ყოფილ მესაკუთრეებს) ეშინიათ განაცხადონ მათი უფლების დარღვევის შესახებ, რადგან ამ შემთხვევაში უარესს მოელიან. თანაც, მესაკუთრეებს აბრკოლებს ისიც, რომ იმ მესაკუთრეთა უმრავლესობამ, ვინც დაიწყო ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის, შედეგს ვერ მიიღწია, ხოლო ზოგიერთი მათგანი კიდევაც შეეწირა ამ ბრძო-

ლას (მაგ. შურმან მაისურაძე, იხ. სახალხო დამცველის 2004-2007 წლების მოხსენებებში ნოდარ მაისურაძის საქმე).

დაგროვდა ძალიან ბევრი ფაქტი, როცა მესაკუთრეები დააპატიმრეს მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ჰქონდათ საკუთრება და გაათავისუფლებს მას შემდეგ, რაც ეს საკუთრება „აჩუქეს“ სახელმწიფოს;

არაერთი ფაქტია, როცა მესაკუთრეები დაიბარეს პროკურატურაში და იქ დაანერინეს თავისი ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქების ხელშეკრულებები. მესაკუთრეები დააშინეს, რომ თუ ამას არ გააკეთებდნენ, მათ ან მათი ოჯახის წევრებს დააპატიმრებდნენ რაიმე საბაბით – მაგ. თითქოს მათ აღმოაჩნდათ ნარკოტიკი, ან მათ ბიზნესს შეამონმებდა საგადასახადო სამსახური ან ფინანსური პოლიცია, რომელიც აუცილებლად ნახავდა დაპატიმრებისთვის საკმარის რაიმე საბაბს;

არაერთი ფაქტია, როდესაც სახელმწიფო კერძო მესაკუთრეთა კუთვნილ ტერიტორიაზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აშენებს სახელმწიფო ობიექტებს, როგორცაა, მაგალითად, საბავშვო სტადიონი ან წყლის რეზერვუარები;

არაერთი ფაქტია, როდესაც თვითმმართველობის წარმომადგენლები ყოველგვარი ლეგალური საფუძვლისა და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ანადგურებენ კერძო საკუთრებას – ანგრევენ რესტორნებს, სავაჭრო ობიექტებს, ჯიხურებს, ავტოფარეხებს. ამ ნაგებობათაგან ნაწილი სრულიად კანონიერი იყო და მათი

დანგრევის რაიმე ლეგალური საფუძველი არ არსებობდა. მეორე ნაწილი უკანონო ნაგებობა იყო და მათი დემონტაჟი კანონით გათვალისწინებული წესების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, მაგრამ თვითმმართველობები ამ შემთხვევაშიც არღვევდნენ ადმინისტრაციული წარმოების წესს. ამ მხრივ განსაკუთრებით თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური გამოირჩევა.

რაც მთავარია, იმ საქმეთა უმრავლესობაზე, სადაც ნათლად ჩანდა კანონის უხეში დარღვევა, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არ მოჰყვა სათანადო რაეგირება არც ერთი კუთხით - არც დამნაშავეები დაისაჯნენ და არც მესაკუთრეთა უფლებები იქნა აღდგენილი. დღემდე არ არის გამოძიებული საკუთრების უფლების დარღვევის ისეთი სერიოზული ფაქტები, როგორცაა ჰუსენინ ალის საქმე (იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი,) შირნაშვილისა და ბადაგონის საქმეები (იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი) და მრავალი სხვა. ასეთი ფაქტების არსებობა, მათი გამოუძიებლობა და დამნაშავეთა დაუსჯელობა არა მხოლოდ კონკრეტული პირების უფლებებს არღვევს, არამედ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და ხელს უშლის ქვეყანაში დასავლური ინვესტიციების მოზიდვას.

თაბუკაშვილის ქუჩა

თაბუკაშვილის ქ. №50-52-ში მცხოვრებმა მოქალაქეებმა სახალხო დამცველს ჯერ კიდევ 2006 წლის მარტში მიმართეს მათი შენობის უკანონო დემონტაჟისა და საკუთრების ხელყოფის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ქ. თბილისის მერიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შეწყვიტა ზედამხედველობის სამსახურის ის უკანონო ქმედებები, რომლებიც მიმდინარეობდა კანონის მოთხოვნათა დაუცველად და მიმართული იყო ამ შენობის დემონტაჟისკენ. უნდა ითქვას, რომ 2006 წლის გაზაფხულზე თაბუკაშვილის ქუჩაზე აღმართული მაღალსართულიანი სახლი გადარჩა, თუმცა 2007 წლის 20 ივლისს დასახელებული სახლის დემონტაჟი მაინც განხორციელდა და 24 ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

2007 წლის 20 ივლისს ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოიცა დადგენილება შენობის დაუყოვნებელი დემონტაჟის შესახებ. დადგენილება იმავე დღეს ჩაბარდათ მესაკუთრეებს და სწორედ იმავე დღეს დაიწყო შენობის ნგრევა. ბინის მესაკუთრეებს არ მიეცათ გონივრული ვადა იმისათვის, რომ თუნდაც გაეაზრებინათ, სად წავიდოდნენ ღია ცის ქვეშ დარჩენილები, არ აცალეს დაფიქრება, როგორ დაეცვათ საკუთარი უფლებები. ისინი შეურაცხყვეს, გამოყარეს სახლებიდან, დაუზიანეს ავეჯი და სხვა ქონება, დაუნგრეს საკუთარი სახლები და მიაყენეს უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანი. უდიდეს ეჭვს იწვევს საფუძველი იმ დადგენილებისა, რომელიც ასე სწრაფად გამოიცა და იმავე დღეს აღსრულდა კიდევ. მართალია, სასამართლოს არ უმსჯელია და არ განუმარტავს, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობები, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის დანგრეული შენობა უფრო ნაკლები საფრთხის მატარებელი იყო, ვიდრე თაბუკაშვილის ქუჩასა თუ სხვა ძველ უბნებში მდგარი საუკუნის სახლები, რომლებიც ყოველდღე იშლება და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. თაბუკაშვილის ქუჩაზე მდგარი მრავალსართულიანი სახლის ნგრევა გამიზნული იყო კონკრეტული შედეგის მისაღწევად და არა კანონისმიერი საფუძვლის არსებობით.

ჩუქება, ერთი შეხედვით, უწყინარი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებაა. ლოგიკურია, რომ ძვირფასი ქონების გამჩუქებელს განსაკუთრებული ზრახვები უნდა ამოძრავებდეს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკუთრების განკარგვის უამრავი გზა არსებობს, თუმცა როდესაც პირი (მისი ოჯახი) ნების ასეთი გამოვლენის შემდეგ შემოსავლის წყაროს გარეშე რჩება, ბუნებრივია, ასეთი გულუხვობა ეჭვის საფუძველს ქმნის.

მოქალაქეები მიუთითებენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან იძულების (ძირითადად



ფსიქიკური იძულების) ფაქტის შესახებ. მოქალაქეები მიუთითებენ, მაგალითად, პროკურატურის თანამშრომლებზე, პრეზიდენტის რწმუნებულებზე, ქალაქის მერსა თუ გამგებლებზე. ასეთი პრობლემის კლასიკური მაგალითია **გელა ბეჟაშვილის** საქმე, რომელიც დაშინებით აიძულეს სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა მის საკურებაში არსებული მინა ქ.სილნალში (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის პირველი ნახევარი). სახალხო დამცველის არაერთი მცდელობისა და მიმართვების მიუხედავად, გელა ბეჟაშვილის საქმე დღემდე მოუგვარებელია და დარღვეულია მისი საკუთრების უფლება. ანალოგიურია **ბადურ მილაშვილის** საქმე (ვრცლად იხ. დანართი №11).

იკულავით ნაჩუქრობას ეხება მოქალაქე ღვაწლი ციბირაშვილის საქმე

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ განმცხადებელი არის შპს „გოგირდის აბანოს“ დამფუძნებელი და დირექტორი. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო აბანოს ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება. კერძოდ, მიწის ფართობი 233 კვ.მ. და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (აბანო).

განმცხადებელი განმარტავს, რომ მას, როგორც დამფუძნებელს და საწარმოს დირექტორს, მოსთხოვეს საკუთრება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის. იმის გამო, რომ მას არ სურდა ქონების გაჩუქება, დ. ციბირაშვილზე და მის ოჯახზე ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომლების – ვალერი ლაცუზბაიასა და გიორგი ხვედელიძის მხრიდან სისტემატურად ხორციელდებოდა მუქარა. ემუქრებოდნენ, რომ ბრალს დასდებდნენ სხვადასხვა საფუძვლით და ციხეში ჩასვამდნენ. მოლაპარაკებები სპორტის, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროშიც მიმდინარეობდა, რის შემდეგაც, განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები, პროკურატურის თანამშრომლის თანხლებით, ნოტარიუს ნინო გინტურთან მივიდნენ და 2006 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას.

ანალოგიურია მოქალაქე გრიგოლ ხიზანიშვილის საქმე, რომელიც არის შპს „გოგიტას“ დამფუძნებელი და დირექტორი. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 20 ნოემბრამდე იყო აბანოს ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება. კერძოდ, მიწის ფართობი 708 კვ.მ. და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (ე.წ. ჭრელი აბანო). გ. ხიზანიშვილის საქმეშიც ნოტარიუსი იყო ნინო გინტური, რომლის სახელიც ფიგურირებს სხვა არაერთ საქმეში, როდესაც გარჩევა ეხება კერძო პირთა მიერ სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემას (მაგალითად, რიყზე მდებარე რესტორნების ჩუქების გარჩევაანი).

დღემდე არ აღდგენილა **მოქალაქე ჯემალ ნიკლაურის უფლებები**, რომლის შესახებ აღნიშნულია სახალხო დამცველის ყველა პერიოდის მოხსენებაში (იხ. დანართი №11).

იძულებითი ჩუქების გარდა, სახალხო დამცველის აპარატში განხილულია ისეთი საქმეებიც, როცა მესაკუთრეებს მათი ნების საწინააღმდეგოდ გასხვისებინეს (გააყიდინეს) ქონება. მაგალითად, ქ. სილნალში მოქალაქეების **მანანა მაჭარაშვილის და თამარ თარაშვილის** უძრავი ქონება მუქარისა და დაშინების შედეგად გაიყიდა მათ მიერ. მოცემულ შემთხვევაში, მყიდველი ერთიდაიგივე პიროვნებაა.

მოქალაქეები მანანა მაჭარაშვილი და თამარ თარაშვილი 1995 წლიდან საკუთრებაში ფლობდნენ ქ. სილნალში დავით აღმაშენებლის ქ. №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთს მასზე არსებული სავაჭრო ობიექტით (მაღაზიით), რაც იძულებით გაყიდეს.

მ. მაჭარაშვილი მიუთითებს, რომ უშუალოდ ფინანსური პოლიციის მხრიდან მიიღეს მუქარანარევი რჩევა სავაჭრო ობიექტის გაყიდვასთან დაკავშირებით. მუქარის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში მისი მეუღლე ციხეში აღმოჩნდებოდა, ხოლო თ.თარაშვილი დაჯარიმდებოდა სოლიდური თანხით და ველარ შეძლებდა სამენარმეო საქმიანობის გაგრძელებას (იხ. დანართი №11).

ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევა

სახალხო დამცველისთვის არაერთხელ მიუმართავთ განმცხადებლებს, რომლებიც სადავოდ ხდიან არა საკუთრების უფლების, არამედ მათი სახელმწიფო უფლებების დარღვევას ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო არ ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, თუმცა სახალხო დამცველი მოვალეა, ამ შემთხვევაშიც მოახდინოს რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებზე, თუ ამას შესაბამისი სამართალურთიერთობის მხარე სადავოდ ხდის.

უმრავლეს შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვის პარალელურად, მიმდინარეობს საქმისწარმოება, თუმცა ეს არ გამოორიცხავს სახალხო დამცველის რეაგირებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვალდებულების დარღვევა ცალსახაა და ამ დარღვევის უარყოფა – შეუძლებელი, სახალხო დამცველი არ ელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას და თავის შეფასებით და რეკომენდაციებით მხარეებს შორის გარკვეულწილად მედიატორის როლს ასრულებს. უფრო ზუსტად რომ ითქვას, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ამის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ჯერ არ დაფიქსირებულა მსგავსი რეკომენდაციის გაზიარების არცერთი ფაქტი, მაშინ, როცა სარჩელის ცნობის საპროცესო მექანიზმის გამოყენებით, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რეკომენდაციების პრაქტიკული გაზიარება შესაძლებელია.

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, ვრცლად მოთხრობილია დანართში შპს „სონიცენტრი თბილისის“, შპს „კაფე რუსთაველის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“, შპს „ლინქის“ საქმეების შესახებ.

გამოსახლება

სახალხო დამცველის აპარატში შემოდის უამრავი განცხადება, რომლებიც ეხება უკანონო გამოსახლებას. საუბარია სამართალდამცავთა მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747-ე ბრძანების არასწორ გაგებაზე და ამ ბრძანებით დადგენილი პროცედურული წესების უხეშ დარღვევაზე.

2006 წლის 12 დეკემბერის ცვლილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“ (8.12.2006 N3885)

ამ ცვლილების საფუძველზე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (პოლიციის უფლებები) დაემატა „ფ“ ქვეპუნქტი და განისაზღვრა, რომ პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს „პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმყოფისთვის მიცემული წერილობითი



გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებასა და წერილობითი გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას.“ (4.07.2007 N5211)

სწორედ ამ ცვლილებებს მოჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის №747-ე ბრძანების გამოცემა, სადაც კონკრეტულად არის განერილი პოლიციის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესები. ხოლო ამ ღონისძიებები გატარება ევალება კრიმინალურ პოლიციას.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი განცხადებებიდან გაირკვა, რომ პოლიცია ხშირ შემთხვევაში მოქმედებს კანონდარღვევით, ვინაიდან არ აკეთებს სწორ სამართლებრივ შეფასებას, რა არის საკუთრების მონაწილეობა, მართლზომიერი მფლობელობის თუ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოები ახდენენ უსწრაფეს და ხშირად უკანონო რეაგირებას ან, პირიქით, დიდი ხნით აჭიანურებენ და საერთოდ არ ახორციელებენ გამოსახლებას, როცა ამას კერძო პირის/პირთა ინტერესი მოითხოვს (იხ. დანართი № 11: მოქალაქე ნადია ქორდელის საქმე).

მოქალაქეთა საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ სახალხო დამცველმა ერთხელ უკვე სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტს, თუმცა ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და გენერალურ პროკურატურას, გადაიხედოს ყველა ზემოაღნიშნული საქმე და მიეცეს მათ სათანადო რეაგირება ადამიანთა საკუთრების უფლების აღდგენის მიზნით. სრულყოფილად იქნეს გამოძიებული ყველა შემთხვევა (შირნჰოფერის, ბადაგონის, ჰუსეინ ალის, ჯემალ ნიკლაურის, გელა ბეჟაშვილის და სხვა მესაკუთრეთა საქმეები) და დაისაჯონ დამნაშავეები. აგრეთვე, რეკომენდაციით მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველყოს მის მიერ გამოცემული №747-ე ბრძანების პრაქტიკაში გამოყენების დახვეწა, რათა არ დაეშვათ გამოსახლების დროს მესაკუთრეთა უფლებების შელახვა.

სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ მოქალაქეთა განცხადებებს, რომელთა საჩივრებიც სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და სიღარიბის დაძლევის პროგრამას ეხებოდა. ეს პრობლემა 2007 წლის მე-2 ნახევარშიც აქტუალური იყო, რაც აღნიშნული პროგრამის ნაკლოვანებებით არის განპირობებული (იხ. ვრცლად 2007 წ. პირველი ნახევრის მოხსენებაში). პრაქტიკამ თვალნათლივ აჩვენა, რომ უმთავრესი ნაკლი არის ის სტანდარტები, რომლებითაც ოჯახის მატერიალური მდგომარეობა იზომება, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში ოჯახი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ვერ ხვდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2003 წლის დასაწყისში, მსოფლიო ბანკის მისიის მხარდაჭერით, საქართველომ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საკუთარი პროგრამა შეიმუშავა, თუმცა მთავრობამ ვერ შეძლო პროგრამის ეფექტურად განხორციელება. დასახელებულ დასკვნაში აგრეთვე მითითებულია, რომ საქართველოს მოსახლეობის 50-55% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო 15% უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს (მითითებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2004 წლის მონაცემები). სწორედ ასეთივე მონაცემებია დაფიქსირებული ფონდი „ღია სა-

ზოგადოება საქართველოს“ 2007 წლის პუბლიკაციაში („სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის შედეგები“) და სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზეზად დასახელებულია უმუშევრობა.

სახალხო დამცველის აპარატში თავმოყრილი საჩივრების უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ გამცხადებლის ოჯახი განიცდის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას, მაგრამ ვერ მოხვდა სიღარიბის დაძლევის ერთიან პროგრამაში. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა არაერთი ასეთი საქმე, მაგალითად, **მოქალაქე ნიკოლოზ რ-ს საქმე**.

ნიკოლოზ რ. არის 79 წლის მოხუცი, ხოლო მისი მეუღლე – 75 წლის. ისინი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (მე-2 ჯგუფის ინვალიდები) და ავადმყოფობის გამო საჭიროებენ ძვირადღირებული

მედიკამენტებით მკურნალობას. ერთ-ერთ მათგანს ესაჭიროება ნაღვლის ბუშტის ოპერაცია. მათთან ერთად ოჯახში ცხოვრობს ნიკოლოზ რ-ს ღრმად მოხუცებული 86 წლის და, რომელსაც ქვედა კიდურის მოტეხილობის გამო უკვე გადაადგილება აღარ შეუძლია. მათ გარდა ოჯახში ცხოვრობს ნ.რ-ს შვილიშვილი, რომელიც განაკვეთების შემცირების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის გამო ოჯახი განიცდის მძიმე მატერიალურ გაჭირვებას. მათ ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს მოხუცებულთა პენსია. ყველაფრის მიუხედავად, ნიკოლოზ რ-ს ოჯახი ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. აღნიშნულის თაობაზე მიემართეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. №01/08-1866 პასუხით გვაცნობეს, რომ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა ნიკოლოზ რ-ს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი შესწავლა, რა დროსაც განმეორებით შეივსო ოჯახის დეკლარაცია.

აქვე მითითებულია, რომ ამჟამად სააგენტოში მიმდინარეობს ახლად მოპოვებული მონაცემების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით დამუშავება, რის შემდეგაც საბოლოო შედეგების შესახებ ეცნობება გამცხადებელს.

მსგავსი ვითარებაა მოქალაქე მარინა ჩ-ს საქმეშიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ცხოვრობს ერთთახიან ბინაში ავადმყოფ დედასთან და 4 წლის შვილთან ერთად. არის მარტოხელა დედა, რისთვისაც გასულ წლებში სარგებლობდა გარკვეული შეღავათებით. მიმდინარე წლიდან ყოველგვარი შეღავათები მოეხსნა. მისი ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. გარდა ამისა, იგი დაავადებულია ეპილეფსიით, რის გამოც არ აქვს მუდმივი სამუშაო, ამასთანავე უჭირს გადაადგილება ტრანსპორტის გაძვირების გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით მარინა ჩ-მ მიმართა სოციალური დახმარების სააგენტოს, თუმცა მას მალალი სარეიტინგო ქულა მიანიჭეს. მიუხედავად სააგენტოსადმი ჩვენი მიმართვისა, მ. ჩაჩუა დღემდე რჩება სოციალური დახმარების გარეშე.

იგივე პრობლემები აქვს მოქალაქე ვალია ბ-ს. მის საქმეში გამოირკვა ერთი სავალალო ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედო მისი ოჯახისათვის საარსებო შემწეობის შეწყვეტას.

2007 წლის 29 აგვისტოს განცხადებაში ვალია ბ. აღნიშნავდა, რომ 2006 წელს მისი ოჯახი შედგებოდა სამი წევრისაგან: მეუღლე ჯემალ დ., შშმპ (პირველი ჯგუფის ინვალიდი), შვილი ეკატერინე დ., რომელიც დაავადებულია ცერებრალური დამბლით და თვითონ. ოჯახის მძიმე ეკონომიური გაჭირვების გამო ვალია ბ-მ განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. 2006 წელს სარეიტინგო ქულის მიხედვით (51280) მის ოჯახს დაენიშნა საარსებო შემწეობა 42 ლარის ოდენობით. ამის შემდეგ მას გარდაეცვალა მეუღლე, რის შესახებაც აცნობა დასახელებულ სამსახურს. 2007 წლის მაისში განმეორებით მივიდა სოციალური აგენტი და შეავსო ოჯახის დეკლარაცია, რის შემდეგაც ოჯახს მოუხსნეს საარსებო შემწეობა. როგორც გამცხადებელი მიუთითებს, მის ოჯახში არაფერი შეცვლილა გარდა მეუღლის გარდაცვალებისა. ოჯახის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს ავადმყოფი შვილის პენსია, რადგან თავად ვალია ბ. უმუშევარია და ჯერ საპენსიო ასაკისთვისაც არ მუღწევა. დახმარების მოხსნის შემდეგ მან არაერთხელ მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილებას, თუმცა, მისივე განმარტებით, პასუხი არცერთხელ არ მიუღია.

ვალია ბ-ის განცხადების საფუძველზე მიემართეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ვ.ბ-ის ოჯახში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილების გამო (ოჯახის წევრის გარდაცვალება), 2007 მაისში, მოქმედი კანონმდებლობით, განმეორებით იქნა შესწავლილი ვალია ბ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და შეივსო ოჯახის ახალი დეკლარაცია, რომელიც განთავსდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მოქმედი კანონმდებლობით მიენიჭა სარეიტინგო ქულა 75 280. მითითებული ქულა ვერ აკმაყოფილებს საარსებო შემწეობის მიღებისათვის საჭირო ზღვრულ ოდენობას, რის გამოც ვალია ბ-ის ოჯახზე აღარ გაიცემა სოციალური დახმარება.

სააგენტოს პასუხის მიხედვით, ერთადერთი მოტივი, რისთვისაც ვალია ბ-ის ოჯახს დახმარება შეუწყდა, გამცხადებლის მეუღლის გარდაცვალებაა, თუმცა მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა

არ შეცვლილა. გაუგებარია, აღნიშნულმა „დემოგრაფიულმა ცვლილებამ“ როგორ გაზარდა 51280 ქულა 75280-მდე, რითაც აღნიშნული ოჯახისთვის გამორიცხა დახმარების მიღების შესაძლებლობა.

განხილული შემთხვევა კიდევ ერთხელ მონიშნავს, რომ თავად ქულების მინიჭების სისტემა, ანუ ის ფორმულა, რომელიც ქულის გამოსათვლელად გამოიყენება, ხარვეზებითაა სავსე და არ ასახავს ადამიანების რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას; შესაბამისად, არ პასუხობს მათ საჭიროებებს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ პირადად იქნა შემოწმებული **მოქალაქე ეთერ ყ-ის საჩივარში** მითითებული ინფორმაცია.

ე.ყ. განმარტავდა, რომ არის მარტოხელა დედა, ჰყავს მცირეწლოვანი (ორი წლის) შვილი, ძმა და შშმ მშობლები. ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია. შესაბამისად, ოჯახს არ გააჩნია შემოსავალი.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ე.ყ.-მ განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დუშეთის რაიონულ განყოფილებას, თუმცა, მიუხედავად მძიმე ოჯახური პირობებისა, არ მიანიჭეს საარსებო შემწეობის მიღებისათვის საჭირო სარეიტინგო ქულა.

როგორც აღნიშნეთ, ეთერ ყ-ის ოჯახი პირადად გადაამოწმეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა. შეიძლება ითქვას, რომ ვიზუალური დაკვირვებით სახლი არ არის სავალალო მდგომარეობაში, დაცულია ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ოჯახის ერთ-ერთ წევრს, გამცხადებლის ძმას, აქვს დაახლოებით 300-400 ლარამდე შემოსავალი, მუშაობს მათი მამაც, თუმცა არ აქვს შემოსავალი, ვინაიდან მის სამუშაო ადგილზე ხელფასებს არ გასცემენ. ვერ დადასტურდა, რომ ე. ყ-ის მშობლები არინ შშმ პირები, ვინაიდან ისინი არ იყვნენ სახლში.

ანალოგიური საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს **მოქალაქე კახაბერ ჯ-მა**, რომელიც მიუთითებს, რომ ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, ოჯახში ჰყავს ავადმყოფი დედა, მეუღლე და ერთი არასრულწლოვანი შვილი. ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია. კახაბერ ჯ. აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი ხშირად ვერ ახერხებს ბინის ქირის გადახდას. თავად პრობლემები აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, საჭიროებს ოპერაციას და ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას. ოჯახის უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების გამო კახაბერ ჯ-მა განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, თუმცა მისი ოჯახი ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

კახაბერ ჯ-ის ოჯახი შემოწმებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ. მისი ოჯახი ცხოვრობს ერთოთახიან ბინაში მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილთან ერთად. ვიზუალური დაკვირვებით, საცხოვრებელი ადგილი მართლაც სავალალო მდგომარეობაშია, ოთახში განთავსებულია ძველი ნივთები (ხის ტახტი, რკინის საწოლი და დივანი), აგრეთვე ტელევიზორი, რაც, კ.ჯ-ის განმარტებით, წარმოადგენს ბინის მესაკუთრის ქონებას. კ.ჯ. და მისი მეუღლე არიან უმუშევრები, ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ კახაბერ ჯ-ის ოჯახი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ეკუთვნის საარსებო შემწეობა.

შემოწმებისა და კ.ჯ-ის განცხადების საფუძველზე მივმართეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაკმაყოფილდა და ოჯახი დარეგისტრირდა ერთიან მონაცემთა ბაზაში, როგორც დახმარების მიმღები.

განსხვავებული შინაარსის პრობლემა დაფიქსირდა **მოქალაქე ნანული ბ-ის საქმეში**. იგი არის მარტოხელა პენსიონერი. ცხოვრობს ე.წ. „კარკასის“ ტიპის ბინაში. არის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. ნ. ბასიაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მისი 2006 წლის 29 აგვისტოს განცხადების საფუძველზე სოციალური აგენტმა შეავსო ოჯახის დეკლარაცია და 2007 წლის 16 მაისს გამცხადებელს მიანიჭეს სარეიტინგო ქულა 35240. აღნიშნული სარეიტინგო ქულის დამადასტურე-



ბელი მონმობა გასცეს 2007 წლის 22 მაისს. ნაწული ბ-ის ოჯახის დეკლარაცია ხელმეორედ შეივსო და 2007 წლის 19 სექტემბერს მას მიანიჭეს სარეიტინგო ქულა 44450. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა დადგენილ ზღვარს, ნაწული ბ-ს არ მიეცა საარსებო შემწეობა, რის გამოც მივმართეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს.

2007 წლის 26 დეკემბრის პასუხით გვაცნობეს, რომ რამდენჯერმე იქნა გადამონმებული ნაწული ბ-ის სოციალური მდგომარეობა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ გამცხადებელი მუდმივად არ ცხოვრობს ქერჩის ქ. №22-ში, ვინაიდან აღნიშნული ბინა საცხოვრებლად უფარგისია. კერძოდ, წარმოადგენს კარკასს, ფანჯრებს არ აქვს მინები, არ არის სველი წერტილები. ბინაში მხოლოდ სიმბოლურად აწყვია მცირე რაოდენობის ყოფითი მოხმარების საგნები. აქვე მითითებულია, რომ იგი ცხოვრობს ამავე შენობაში პირველ სართულზე თავის დასთან ერთად, რის გამოც მასზე არ გაიცემა საარსებო დახმარება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **მოქალაქე შუქური ლ.** ცხოვრობს ქ. ფოთში, 1975 წლიდან არის მარტოხელა, ხანდაზმული. სახლის დანგრევის შემდეგ ცხოვრობს მის მიერ აგებულ პატარა ფიცრულში, სადაც დგას ერთი რკინის საწოლი. უკიდურესად მძიმე პირობებისა და მატერიალური გაჭირვების გამო 2006 წლის 28 აპრილს განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. მას დაენიშნა უმწეოთა დახმარება, თუმცა იმავე წლის აგვისტოში შეუწყდა იმ მოტივით, რომ ოჯახი არის ხელოვნურად გაყოფილი და რეალურად იგი ცხოვრობს ძმასთან და ძმისშვილთან ერთად. აღნიშნულს არ ეთანხმება გამცხადებელი და აღნიშნავს, რომ ძმის ოჯახი ხანდახან საკვებით ეხმარება მხოლოდ, ვინაიდან ისინი ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ.

ნაწული ბ-ისა და შუქური ლ-ის საქმეები საერთო ტენდენციაზე მეტყველებს – ხშირად ერთი ხელის მოსმით აერთიანებენ ოჯახებს, რის შედეგადაც რეალურად მარტოხელა და გაჭირვებული ადამიანები ვერ იღებენ სოციალურ დახმარებას.

არსებობს პრობლემები, რომლებიც სოციალური სუბსიდიების სააგენტოს არაჯეროვან მმართველობაზე მიუთითებს. მაგალითად, **მოქალაქე მარინა ლ-ის საქმე**, რომელიც 2007 წლის 24 სექტემბრის შემდეგ მოითხოვს მისი ოჯახის განმეორებით შემოწმებას, თუმცა მასთან დღემდე არ მისულა სოციალური აგენტი. სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ მარინა ლ. შემოწმებული იქნა განმეორებით, რის საფუძველზეც მას დაენიშნა სოციალური დახმარება.

მოქალაქე სვეტლანა ფ. მიუთითებს, რომ იგი დიდი ხნის მანძილზე თავს ირჩენდა ოჯახში არსებული ძველი ნივთების გაყიდვით, ხოლო დღეისათვის მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო ნაგვის ბუნკერებიდან შეგროვილი ბოთლების ჩაბარებით აღებული თანხაა. ს.ფ. არის ხანდაზმული და ცხოვრობს მარტო. მას ჰყავს ორი შვილი, რომელთაგან ერთი ქმედუუნაროა, ხოლო მეორე განიცდის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას. აღნიშნულის გამო სვეტლანა ფ-ამ განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. სოციალურმა აგენტმა ორჯერ შეავსო ოჯახის დეკლარაცია, თუმცა სარეიტინგო ქულა ორჯერვე დადგენილ ზღვარზე მაღალია. **როგორც გამცხადებელი მიუთითებს, ამის მიზეზად სოციალურმა აგენტმა მის ბინაში ტელეფონის არსებობა დაასახელა, რომელიც დიდი ხანია არ მუშაობს თანხის გადაუხდელობის გამო.**

ხშირად ხდებოდა, რომ მობილურის ქონის გამო ოჯახს ავტომატურად ეთქმოდა უარი დახმარებაზე. სუბსიდიების სააგენტოს თქმით, ეს პრობლემა მოგვარდა, თუმცა, როგორც ჩანს, იგი კვლავ არსებობს. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა მობილურ, არამედ ჩვეულებრივ ტელეფონს. ბოლო დროს ამგვარი ავტომატური გამორიცხვის ფაქტორს კომპიუტერის ქონა წარმოადგენდა, თუნდაც ნაჩუქრის, თუმცა სააგენტო ირწმუნება, რომ ამ პრობლემასაც მოაგვარებს.

საბინაო საკითხები

საბინაო საკითხები სახალხო დამცველის ყველა პერიოდის მოხსენებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ვინაიდან სახალხო დამცველს ამ პრობლემით ხშირად მიმართავენ მოქალაქეები. მათი თავშესაფრის პრობლემა გამონევეულია სხვადასხვა მიზეზებით. მაგალითად, სტიქიური უბედურებით, უბედური შემთხვევით, მატერიალური გაჭირვების გამო და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი თავშესაფრის გარეშე რჩებიან და სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნაზე.

განსახილველ პერიოდში ძირითადად თავი მოიყარა იმ მოქალაქეთა განცხადებებმა, რომლებიც თავშესაფრის გარეშე დარჩნენ სტიქიური უბედურების შედეგად, მაგალითად, ზვავის, მეწყერისა და მიწისძვრის გამო. მოქალაქე ოთარ გელაძის ოჯახი 1971 წლის 11 თებერვალს ხულოს რაიონში ჩამონოლილი ზვავის შედეგად დაზარალდა. დაიღუპა ოჯახის რვა წევრი. გადარჩნენ თვითონ ოთარ გელაძე და მისი მშობლები, რომლებიც ზვავში მოხვედრის გამო დაინვალიდნენ. 1971 წლიდან დღემდე სახელმწიფოს გელაძეებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ისინი ნათესავეებთან არიან შეფარებული. ამ დრომდე მოუგვარებელია მათი საბინაო პრობლემა (იხ. დანართი №12).

ასევე დღემდე არ არის მოგვარებული სხვადასხვა წელს მიწისძვრით დაზარალებულების საბინაო საკითხები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მოქალაქე ელენა ბარათაშვილის საქმე, რომელიც 1991 წელს ჭიათურის რაიონში მომხდარი მიწისძვრისგან არის დაზარალებული. **მოქალაქე თამარ სვანიძე**, რომელსაც 1991 წელს ონის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაეწერა საცხოვრებელი სახლი. **მოქალაქეები ოდიშარია-თამლიანი და სხვები**, ვინც ქ. თბილისში 2005 წლის აპრილში მომხდარი მიწისძვრის გამო დროებითი ორდერებით შეასახლეს ქერჩის 22-ში და დღეს მათი საბინაო პრობლემა ძალიან აქტუალურია, ვინაიდან ემუქრებათ გამოსახლება (იხ. ვრცლად დანართში).

საბინაო პრობლემებით მოგვმართავენ, აგრეთვე, განცხადებლები, რომლებმაც თავშესაფარი დაკარგეს მატერიალური გაჭირვების გამო (იხ. დანართი №12: მოქალაქე კახაბერ ჯ-ის საქმე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებით მივმართავ რეკომენდაციით ადგილობრივ თვითმმართველობებს, იზრუნონ საბინაო ფონდის შექმნაზე, მთავარ პრიორიტეტად დაისახონ თავშესაფრების გახსნის საკითხი, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანის სათანადო საცხოვრებლის უფლება.

სახელფასო დავალიანება

დაურიგებელი ხელფასები საქართველოში ჯერ კიდევ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრობლემად, უმთავრესად ისეთ დიდბიუჯეტურ ორგანიზაციებში, როგორებიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი მიმართვისა და რეკომენდაციისა, ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ ითვლება პრიორიტეტულად. როგორც წესი, ყველა რეკომენდაციის პასუხი არის სტანდარტული: „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის თანხები, რის გამოც სამინისტრო ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს“ (იხ. დანართი №12: ზაურ ვიბლიანის და გიორგი ლომაიას საქმეები).

ასეთივე პრობლემები აქვს მოქალაქე **ცისანა ხეცურიანს** სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიასთან“, რომელსაც სრულად არ აქვს დაფარული მისი ან გარდაცვლილი მეუღლის ვახტანგ ცომაიას სახელფასო დავალიანება.

მოქალაქე **თეიმურაზ მეცხოვრიშვილის** სახელფასო დავალიანება ერიცხება ფინანსთა სამინისტროს. აღნიშნული მოქალაქე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ქ. ჭიათურის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში.



შრომითი უფლებების დარღვევა

შრომის უფლება ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს. სოციალურ უფლებათაგან უმნიშვნელოვანესია, დაცული იქნას ადამიანის თავისუფალი შრომის უფლება. შრომის ცნებასთან კი განუყოფელია დასაქმების ცნება, რაც აღიქმება, როგორც საარსებო წყაროს მოპოვების, ეკონომიკური გადარჩენის საშუალება.

ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში შრომის უფლება მაქსიმალურად არის დაცული მთელი რიგი ნორმატიული აქტებით და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია სტაბილური სამუშაო ადგილების არსებობაზე.

დღეს საქართველოში უმთავრეს პრობლემად მიჩნეულია უმუშევრობა, სწორედ ამიტომ თითქმის ყველა სათანადო კვლევაში აღნიშნულია, რომ სიღარიბის გამომწვევი მთავარი მიზეზი არის მოქალაქეთა დაუსაქმებლობა.

გარდა აღნიშნული პრობლემისა, სახალხო დამცველის აპარატში განხილულია არაერთი საქმე, რომელიც ეხება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ თანამშრომელთა უკანონო დათხოვნას.

(შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები იხ. დანართში №12. მაგ, ნანა ლომთაძის საქმე, ქ. გორის ბაგა-ბაღების დირექტორების საქმე, მესხეთის ფილიალის თანამშრომელთა საქმე, ნანი მღებრიშვილის საქმე).

სახალხო დამცველის 2006 წლის ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში ფართოდ იყო მიმოხილული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. უამრავი პრობლემა აღნიშნულ სფეროში ისევ პრობლემად რჩება. 2007 წლის II ნახევარშიც შშმ პირთა უფლებები ნშირად იგნორირებულია, რაც საგრძნობლად აფერხებს მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოების ყველაზე მგრძობიარე ფენას მიეკუთვნებიან.

2007 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში 229410 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აღირიცხებოდა, 2008 წლის 1 თებერვლის მონაცემით კი მხოლოდ 157047. ავადმყოფობების ნუსხის შეზღუდვის შედეგად შშმ პირთა რაოდენობა 72 363 პირით შემცირდა.

ძალიან დაბალია თავად შშმ პირთა აქტივობის დონე. ისინი საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობენ. შემოფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ მათი უფლებების მასობრივი დარღვევის მიუხედავად, ძალიან დაბალია სახალხო დამცველისადმი მიმართვის სიხშირე. აღნიშნული პირები დღესდღეობით სრულ იზოლაციაში იმყოფებიან და საზოგადოებისაგან გარიყულ წრეს წარმოადგენს. მათი დიდი უმრავლესობა მოკლებულია პიროვნული რეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. ისინი თავს არ თვლიან საზოგადოების სრულფასოვან და

საჭირო ნევრებად. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ერთიანი სახლმწიფო პოლიტიკის არარსებობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, ასევე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არარსებობა.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა

შშმ პირებთან მიმართებაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს კოორდინირებული და გრძელვადიანი პოლიტიკის არარსებობა. არ არსებობს ერთიანი სტრატეგიული ხედვა, სუსტია უწყებათაშორისი კოორდინაცია. ყოველივე ამის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ვერ ახერხებ-

ბენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯეროვანი მონაწილეობის მიღებას. იშვიათი გამონაკლისის გარდა, შშმ პირები მიჯაჭვულნი არიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს და არ აქვთ თავისუფლად გადაადგილებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის საშუალება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 26 მარტის №102/ნ ბრძანებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამები ორიენტირებული იყო უკვე არსებული ვითარების შენარჩუნებასა და არა გაუმჯობესებაზე. ამჟამად სახელმწიფოში არ არსებობს შშმ პირთა შესახებ ინფორმაცია, სტატისტიკის შეგროვება-დამუშავების სისტემა. არ არსებობს მონაცემთა ბაზა, რის გამოც აღნიშნული სფეროს რეალური სურათი დღესდღეობით უცნობია. პროგრამებიც შესაბამისად ვერ ასახავს და ვერ ახდენს იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომლებიც მის სავარაუდო ბენეფიციარებს გააჩნიათ.

პროგრამების დაწყების ვადად, ზემოაღნიშნული ბრძანებით, განისაზღვრა 2007 წლის 1 აპრილიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე. თუმცა პროგრამათა უმრავლესობა დაიწყო ზაფხულსა და შემოდგომაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს ის ფაქტი, რომ პროგრამების უმრავლესობაზე ტენდერი მხოლოდ 2007 წლის დეკემბრის თვის დასაწყისში ჩატარდა. ამის გამო 2007 წლის პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება ვერ მოხერხდა და ეს თანხა უკან, ბიუჯეტში დაბრუნდა.

ამგვარი ორგანიზაციული გაუმართაობით შექმნილი მდგომარობა სრულიად მიუღებელია. აღნიშნული სოციალური ჯგუფი ისედაც მოკლებულია მომსახურებას და დაუშვებელია ისინი ვერ იღებდნენ იმ თანხასაც კი, რაც მათთვის იყო გამოყოფილი.

ამგვარ პროგრამებისათვის საჭიროა ასევე მეტი საჯაროობა. მაღალი უნდა იყოს იმ პირთა ინფორმირებულობის ხარისხი, ვინც პროგრამების სავარაუდო ბენეფიციარებს წარმოადგენენ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც ჩვენთან საუბარში შშმ პირები აღნიშნავენ, ისინი ამა თუ იმ მომსახურებასა და პროგრამაზე ინფორმაციას ყველაზე ხშირად არა ოფიციალური წყაროებიდან ან სახელმწიფო უწყებებიდან, არამედ ერთმანეთისგან იღებენ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია შეიმუშავა. აღნიშნული კონცეფცია აყალიბებს ერთიან მიდგომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის მიმართ, ანალიზებს არსებულ პრობლემას და სახავს სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტებს ინვალიდობის სფეროში. მოცემული დოკუმენტის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სტრატეგია და მის ფარგლებში გასახორციელებელი ღონისძიებები. კონცეფციის თანახმად, სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით), მოხდება უწყებათაშორისი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება. ამჟამად აღნიშნული კონცეფცია განხილულ იქნა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე, სადაც იგი საკმაოდ დადებითად შეფასდა.

აღნიშნულმა კონცეფციამ ასახა ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:

1. განათლება;
2. დასაქმება;
3. ინკლუზიური გარემოს შექმნა;
4. ინვალიდთა თვითრეალიზაცია (შემოქმედება, სპორტი).

მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა განისაზღვროს ასევე ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. თავად დოკუმენტიც შშმ პირებთან დაკავშირებული

კონკრეტული პრობლემების ანალიზისას საუბრობს კანონმდებლობის არაეფექტურობაზე და მას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს.

2007 წლის I ნახევარში საუბარი გვექონდა 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის რატიფიკაციაზე. სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა კონვენციის ქართული თარგმანი, რომელიც გადაეცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროებს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, დაწყებული კონვენციის რატიფიკაციის პროცედურა და ამჟამად სამინისტრო ელოდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომენტარებს აღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებით.

2. დასაქმება

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, სახელმწიფოში შუამდგომლობის უნდა შეუქმნას მათი შემოქმედებითი და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის საჭირო პირობები. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოსთვის ფინანსურადაც უფრო მომგებიანია, იზრუნოს შუამდგომლობის დასაქმებაზე, და შესაბამისად, მათ ჩაბმავს აქტიურ ცხოვრებაში, ვიდრე მათთვის სოციალური დახმარებების გაცემაზე. თუმცა თავისთავად ცხადია, რომ უმთავრესი კრიტერიუმი და განმსაზღვრელი არის არა ფინანსური, არამედ სოციალური ინტეგრაცია, შუამდგომლობის მიერ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

შუამდგომლობის სხვებთან შედარებით მეტ სიძნელეებს აწყდებიან დასაქმებასთან დაკავშირებით. მათი უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია. ამჟამად დასაქმებულ შუამდგომლობის პირთა უმრავლესობა დასაქმებულია თავად იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში და კავშირებში, რომლებიც აღნიშნულ ფოკუს-ჯგუფებზე მუშაობენ. მაგალითად, უსინათლოთა კავშირში 4000 შუამდგომლობის პირია განვერვიანებული. აქედან დასაქმებულია მხოლოდ 250, მათ შორის 135 – თავად აღნიშნულ კავშირში. ამის უპირველესი მიზეზი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ხელშეწყობის პირობებში ამ ადამიანების ნაწილის დასაქმება მაინც შესაძლებელი იქნება. სამწუხაროდ, 2007 წლისთვის შუამდგომლობის დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარებას შუამდგომლობის პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა, თუმცა როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გვაცნობეს დასაქმების კომპონენტს არ უმუშავია.

აუცილებელია, უმოკლეს დროში ზუსტად განისაზღვროს დასაქმების სფეროში კომპეტენტური ორგანო და შემუშავდეს შუამდგომლობის დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების სქემა.

3. გარემო პირობებისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმთავრეს ხელისშემშლელ გარემოებას მათ საჭიროებებზე მოურგებელი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, აღნიშნულ სფეროში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შუამდგომლობის პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაადგილდნენ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათ გარიყულობას.

ტროტუარებისა და შენობა-ნაგებობების უმრავლესობა კვლავ არაა ადაპტირებული შუამდგომლობის პირებისთვის. არ არსებობს სპეციალური პანდუსები, ბრაილის შრიფტით ან შუამდგომლობის პირთათვის სხვა ადვილად გასაგები ფორმით შესრულებული აბრები დაწესებულებების შესასვლელებთან.



მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა იმ შშმ პირთათვის, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან, ფაქტობრივად შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტში არსებობს სპეციალური ადგილები შშმ პირთათვის, აღნიშნული ტრანსპორტი არაა ეკვიპირებული სპეციალური ასასვლელიებით.

ბოლო ხანებში აგებული შენობა-ნაგებობების უმრავლესობა არ არის აღჭურვილი შშმ პირების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ამის უმთავრეს მიზეზს კი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების მექანიზმის არაეფექტურობაა.

საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ მე-8 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონის ფორმირება, საპროექტო გადანაცვლებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.“

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178¹-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება ისჯება 300-დან 500 ლარამდე ჯარიმით. იმავე კოდექსის 178²-ე მუხლი ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლობისთვის 500-დან 800 ლარამდე ჯარიმას ანესებს. კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის მიხედვით კი 178¹-178² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

კანონის კონკრეტული მითითებების მიუხედავად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში დღემდე არ არსებობს ასეთი სამსახური. შესაბამისად აღნიშნული მუხლები ფაქტობრივად „მკვდარ“ მუხლებს წარმოადგენს კანონმდებლობაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანქციები, რომელსაც ეს მუხლები ითვალისწინებს ძალიან დაბალია.

4. ინკლუზიური განათლება

განათლების სამინისტროს მიერ 2006 წლის დეკემბრიდან დედაქალაქის 10 საჯარო სკოლაში ხორციელდებოდა 18-თვიანი საპილოტო პროგრამა განათლების სამინისტროსა და ნორვეგიის მთავრობის ერთობლივი დაფინანსებით. მისი მიზანი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების უფლების ხელშეწყობაა. დღესდღეობით აღნიშნული პროექტი №67-ე, 24-ე, მე-10, 180-ე, 87-ე, მე-60, 181-ე, 21-ე და 160-ე საჯარო სკოლებში წარმატებულად ხორციელდება. მის ფარგლებში განხორციელდა:

- სკოლების ფიზიკური ადაპტაცია – პანდუსების დამონტაჟება, სველი ნერტილების მოწყობა, სპეციალური სასკოლო ავტობუსებით მომსახურების დანერგვა;
- პედაგოგების გადამზადება;
- ტრენინგები მშობლებთან – საგულისხმოა, რომ ტრენინგებს საჭიროებენ შშმ ბავშვების მშობლებიც, რომლებიც ხშირად არასწორად აღიქვამენ საკუთარი ბავშვის მდგომარეობას, რითაც თავისდა უნებურად ხელს უშლიან მათ ინკლუზიას.

ეს პროგრამა ნინგადადგმული ნაბიჯია ინკლუზიის სფეროში, თუმცა იგი მხოლოდ თბილისის 10 სკოლას შეეხო. იმედს ვიტოვებთ, რომ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგია

ტეგია გაითვალისწინებს უფრო ფართო და გრძელვადიან ღონისძიებებს ინკლუზიური განათლების თვალსაზრისით, რომლებიც მოიცავს მთელი საქართველოს ტერიტორიას. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლება გვაცნობს, იგეგმება მსგავსი პროექტების განხორციელება რეგიონებშიც. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებდა სმენა და მხედველობადაქვეითებული ბავშვების ინკლუზიური განათლების სისტემის დაწესებას. დღემდე ამ კუთხით არაფერი კეთდება. ამის მიზეზად სახელდება თანხები, რომლებიც აუცილებელია სპეციალისტთა მოსამზადებლად. განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გარკვეულვადიანი პროგრამებით, არამედ შესაბამისი სამინისტროს მიერ უნდა მოხდეს ინკლუზიური განათლების დანერგვა ეტაპობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით. აუცილებელია ინკლუზიური განათლების სისტემის გეგმაზომიერი განვითარება და აღნიშნულ პროცესში ჩართულ ბავშვთა რიცხოვნობის ზრდა.

ინკლუზიური განათლების პროცესში არ მოიაზრება ასევე პროფესიული განათლება. პროფესიული განათლება კი შშმ პირთა შემდგომ ცხოვრებაში რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს გარკვეული სისტემა აღნიშნული მიმართულებით.

ინკლუზიური განათლების კუთხით სიახლეს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის მიერ დაწყებული პროგრამა, რომელიც 2008 წლიდან ყველა საბავშვო ბაღის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებების მიხედვით რეორგანიზაციას ითვალისწინებს.

5. მედიის როლი

საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არაერთგვაროვანია. როგორც თავად შშმ პირები აღნიშნავენ, საზოგადოება ძირითადად კეთილგანწყობილია მათ მიმართ, თუმცა მოქალაქეების არაინფორმირებულობას და შშმ პირების პრობლემების გაუთვითცნობიერებას უნდა დავაბრალოთ ამ თანაგრძნობის ხშირად შემანუხებელ და შეურაცხყოფელ ფორმებში გამოხატვა, რაც შშმ პირს საზოგადოებისგან გარიყულად აგრძნობინებს თავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც, ერთი მხრივ, დაეხმარება შშმ პირებს, საზოგადოების სრულყოფილ წევრებად იგრძნონ თავი და მეორე მხრივ, მიაჩვენებს დანარჩენ მოქალაქეებს მათთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ურთიერთობას.

დიდია ამ კუთხით მედიის როლი. პრესა და ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სერიოზულ იარაღს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, მას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოების ფართო მასების მენტალურ ადაპტაციაში. მას აქვს საშუალება და შესაძლებლობაც შშმ პირთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაუცველობიდან საზოგადოების ინტერესი მათ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე გადაიტანოს. ინფორმაცია, რომელსაც მასმედია წარმოადგენს, ხშირად ასახავს ე.წ. „ჩარჩოს“, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება ურთიერთობს შშმ პირებთან. მათი პრობლემათა სწორი წარმოჩენა კი შეძლებდა ე.წ. „სტერეოტიპების“ მსხვრევას. ყურადღება უნდა მიექცეს მედიაში ინვალიდობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებასაც, ასევე ისეთ ასპექტებს, როგორცაა, მაგალითად, მასალის წარდგენის სტილი და ა.შ.

რეკომენდაციები:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამების შემუშავებამდე მოხდეს შშმ პირთა საჭიროებების კვლევა და მხოლოდ შემდგომ განისაზღვროს ის სფეროები და მომსახურებები, სერვისის ტიპები რომელსაც პროგრამები გაითვალისწინებს.



- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამების შესახებ სამიზნე ჯგუფების ინფორმირება.
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური სამსახური ან დაევალოს რომელიმე უკვე არსებულ ორგანოს იმავე კოდექსის 178¹ და 178² მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესრულება.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდეს გარკვეული სისტემა და პროგრამები, რომელიც გაითვალისწინებს შშმ პირთა პროფესიული განათლებას.
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უმოკლეს დროში ზუსტად განსაზღვროს დასაქმების სფეროში კომპეტენტური ორგანო და შეიმუშავოს შშმ პირების დასაქმების ხელშესაწყობი ღონისძიებების სქემა.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები შშმ პირთა პრობლემების აქტიურად და სწორად გაშუქების მიზნით.

სოციალური დახმარებები

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი განცხადება შეისწავლა, რომლებიც ბავშვებისა და მათი ოჯახების სოციალური დახმარების საკითხებს ეხებოდა. ნათელი გახდა, რომ დღეს საქართველოში სერიოზულ პრობლემას სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ჯანმრთელობის დაცვის, საცხოვრებელი პირობებისა და დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ქვეყანაში შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფის ახალი სისტემა, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ოჯახების დახმარებას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა იმ ოჯახების საკითხი, რომელთა ჩართვაც აღნიშნულ პროგრამაში, რიგი მიზეზების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა. ცხადია, რომ ასეთი ოჯახები სიღარიბის უკიდურეს პირობებში მყოფ ოჯახებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა დღეს მათი უზრუნველყოფა ელემენტარული დახმარებითაც ვერ ხერხდება.

ადგილობრივი და სახელმწიფო სტრუქტურები ამ ოჯახების ბავშვებისთვის ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ მათი ბავშვთა სახლებში გადაყვანა შემოგვთავაზონ. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამას და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სრულ მობილიზაციასა და ძალისხმევას ამ მიმართულებით, ერთგვარ კაზუსს წარმოადგენს.

დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა სახელმწიფო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას გულისხმობს. სწორედ ოჯახების მატერიალური სიდუხჭირე წარმოადგენს ბავშვების ბავშვთა სახლებში მოთავსების აღიარებული მიზეზს.

სახელმწიფოს მიზანია ბავშვების სახელმწიფო დაწესებულებებიდან სახლებში დაბრუნება. პროგრამის ძირითადი მოტივია, დაარწმუნოს მშობლები, იზრუნონ თავიანთ მიტოვებულ შვილებზე. პროგრამაში ასევე ჩართულია ე.წ. „ფოსტერები“, მიმღები ოჯახები, რომლებიც მზად არიან, ბავშვები ოჯახურ გარემოში აღზარდონ გარკვეული ფინანსური ანაზღაურების სანაცვლოდ. ამ პროგრამისთვის გადამზადდა 92 სოციალური. პროგრამის ფარგლებში უკვე 2400-ზე მეტ ბავშვს გაენიშა დახმარება.



ბავშვის უფლებები



2005 წლის შემდეგ ბავშვების შედინება ბავშვთა სახლებში 30%-ით შემცირდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, დღეისათვის სადღეღამისო სამზრუნველო დაწესებულებებში 3800 -მდე ბავშვია განთავსებული; აქედან 1287 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვია.

აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში დიდი სამუშაოა განუვლი. საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ყაზარმული ტიპის ბავშვთა სახლების არსებობა რეფორმას განიცდის, რაც დადებითად აისახება მზრუნველობამოკლებული ბავშვების განვითარებაზე.

სახალხო დამცველის წინა საპარლამენტო მოხსენებებში (2005, 2006) არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ ასეთი ტიპის სამზრუნველო დაწესებულებებში უმძიმესი პირობებია. აღნიშნულ დაწესებულებებში პირობები დღემდე არ გაუმჯობესებულა. გასული წლების მოხსენებებში დანვრილებით იყო განხილული ბავშვთა ინსტიტუციებში არსებული დარღვევები და საცხოვრებელი პირობების სირთულეები. ერთადერთ დადებით ფაქტად შეიძლება დასახელდეს ამ ინსტიტუციების დირექტორების შესარჩევი კონკურსის ჩატარება, რამაც ამ ადგილებზე უფრო კვალიფიციური კადრები მოიზიდა.

დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამაში ჩართული ოჯახები დახმარებას 6 თვის განმავლობაში იღებენ. ამდენად, არსებობს იმის საფრთხე, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დახმარება შეწყდება, ოჯახმა ბავშვი ისევ ბავშვთა სახლში ჩააბაროს. ნათელია, რომ პრობლემასთან ამგვარი მიდგომა არ არის საკმარისი მისი დაძლევისთვის – დროებითი დახმარება ძალიან მცირეა იმ სიღუბნის შესამსუბუქებლად, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანაში არაერთი ოჯახი აღმოჩნდა.

სწორედ ასეთი პრობლემის წინაშე მდგარი ოჯახები მიმართავდნენ სახალხო დამცველს. ბევრია უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების განცხადებები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვას. მათთვის ხელმიუწოდებელია სახელმძღვანელოები, სასკოლო ნივთები. ისინი ვერ ახერხებენ ბავშვისათვის ტანსაცმლის შეძენას. უმწვავეს პრობლემას კი, უსახლკარობა წარმოადგენს. სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურები ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად ჯერჯერობით ვერაფერს გვთავაზობენ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ბავშვის უფლებებს იცავს. კონვენციასთან მიერთებული სახელმწიფოები კი იღებენ ვალდებულებას, მის მიერ დეკლარირებული პრინციპები და მოთხოვნები ქვეყნის კანონმდებლობას შეუსაბამონ.

„საქართველოს კანონი სოციალური დახმარების“ შესახებ შეიძლება სრულად არ ითვალისწინებს ბავშვის, როგორც ცალკე სუბიექტის დახმარებას. იგი არ არის მორგებული იმ მოთხოვნებზე, რომელსაც ბავშვის უფლებათა კონვენცია გვთავაზობს.

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის სოციალური დაცვა. ბავშვის ადგილსამყოფელის მიუხედავად, აუცილებელია ღირსეული ცხოვრების პირობების შეფასების კრიტერიუმების არსებობა. ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც მოხდება ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა, რომელთა არსებობამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას, განათლებას და ზოგადად მის კეთილდღეობას.

კონვენციის 26-ე მუხლი განმარტავს ბავშვის უფლებას სოციალურ დაცვაზე:

მუხლი 26-ე

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და აუცილებელ ზომებს იღებენ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს შეღავათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

კანონმდებლობაში ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საქართველოში ბავშვის სოციალური უზრუნველყოფის პარამეტრები; მითითებული უნდა იყოს ყველა აუცილებელი ზომა, რომელიც უნდა განხორციელდეს ზემოთაღნიშნული საჭიროების შემთხვევებში. სოციალური უზრუნველყოფის მხრივ, ბავშვი პირდაპირ უნდა იყოს გამოყოფილი, როგორც ერთერთი ბენეფიციარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

სიღარიბის დაძლევის პროგრამა შეეხება ისეთ ოჯახებს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდნენ და ითვალისწინებს მათთვის ფულად ან სხვა სახის (მაგ: კომუნალური ხარჯების დაფარვა) გადახდას. თუმცა რიგი ბავშვებიანი ოჯახებისა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფებიან, ვერ მოხვდა ამ პროგრამაში. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ პროგრამაში მოხვედრის კრიტერიუმები ძალიან მკაცრია. მეორე მხრივ, ოჯახებს არ აღმოაჩნდათ საჭირო დოკუმენტების ნუსხა, რომლის წარდგენაც აუცილებელია იმისათვის, რომ ოჯახი განხილულ იქნას აღნიშნული დახმარების მიმღებ ბენეფიციარად. ზოგიერთი ოჯახი კი აღნიშნული პროგრამის არსებობის შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული.

პროგრამა ვერ უზრუნველყოფს უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვებისა და მათი ოჯახების დახმარებას; დახმარების მისაღებად აუცილებელია, ოჯახს გააჩნდეს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი. ეს შეუსაბამობა ცუდად აისახება ბავშვების ცხოვრების პირობებზე. სწორედ უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ დარჩენილი ბავშვი იმყოფება სიღარიბის უკიდურეს ზღვარზე. სწორედ მან უნდა მიიღოს დახმარება სახელმწიფოსგან. ამ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს ბავშვის უფლებათა კონვენციაც.

ნათელია, რომ პროგრამა ვერ ეხმარება ოჯახებს, სადაც ბავშვები სოციალური სიდუხჭირის გამო, მოკლებულნი არიან ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნული სისტემა არ არის გამართული; იგი ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ძირითადი უფლების დაცვასაც კი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-მუხლში მითითებულია, რომ: „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

1. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.
2. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას. “

აღნიშნული გულისხმობს, რომ როდესაც მშობლებს არ შესწევთ უნარი, უზრუნველყონ ბავშვის ცხოვრების სათანადო დონე, სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.



ჩვენს ქვეყანაში კი, ასეთ შემთხვევებში, არ არსებობს შეფასების კრიტერიუმები და არ არის განსაზღვრული რაიმე სახის დახმარება.

უნარშეზღუდული ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარებები

წინა თავში აღნიშნული პროგრამა მცირედ, მაგრამ მაინც მოიცავს სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, 0-დან 18 წლამდე ენიშნებათ ფულადი დახმარება, რომლის ოდენობაც ძალიან მცირეა (22ლ). 2008 წლიდან უქმდება ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის განკუთვნილი დახმარებები და ფულადი ანაზღაურების მიღებისთვის მხოლოდ ერთი ინდიკატორი იქნება მხედველობაში მიღებული – სიღარიბის დონის ზღვარს ქვევით მოხვედრა. ეს ცვლილება მისასალმებელია, რადგან ხარჯების სწორად განაწილებას უკავშირდება.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამაში მოხვედრის შეფასების კრიტერიუმები უკიდურესად მკაცრია, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალი შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი ვერ მოხვდება სიღარიბის დაძლევის პროგრამაში. რეალურად კი საქმე ეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მატერიალურ სიდუხჭირეში მყოფ ბავშვებს. ეს კიდევ ერთი შეუსაბამობაა სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში; ერთი მხრივ, არის მცდელობა, რომ შშმ ბავშვები ჩაერთონ დეინტიტუციონალიზაციის პროგრამაში. ეს ძალიან რთულია და ძალიან ძვირიც უჯდება სახელმწიფოს. მეორე მხრივ კი, მშობლებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი მწირი რესურსებით აღზარდონ ბავშვი, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს, სახელმწიფო უზღუდავს იმ ელემენტარულ დახმარებასაც კი, რომელიც აქამდე იყო ხელმისაწვდომი.



ზემოთ განხილული საკითხები მიუთითებს, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ბავშვთა სოციალურ პრობლემებს. ბავშვის კეთილდღეობის საკითხები დამოუკიდებლად უნდა იქნას განხილული; მხოლოდ ასე შეიძლება ბავშვზე ზრუნვის სრულფასოვანი სისტემის ჩამოყალიბება; აუცილებელია, განისაზღვროს მიმართულებები, რომელთაც ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ერთობლივად და მიზანმიმართულად განახორციელებს ბავშვთა დაცვის საკითხებში; გასაუმჯობესებელია, აგრეთვე, ბავშვთან დაკავშირებული სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა, რათა აღმოიფხვრას სისტემური ხარვეზები.

დისკრიმინაცია

საქართველოში გადაუჭრელ პრობლემად რჩება ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ პრობლემა, როგორც მათი სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით.

სახალხო დამცველის ყველა ანგარიშში ადგილი ეთმობა ამ ბავშვების უფლებების დარღვევის პრობლემას. აღინიშნება ისიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ქუჩის ბავშვები უგულვებელყოფილი არიან.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროგრამების განხორციელება დაიწყო; აღსანიშნავია დეინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციის პროგრამა; თუმცა, ის არ მოიცავს ისეთი კატეგორიის ბავშვებს, რომლებიც სიღარიბის და ეკონომიკური პრობლემების გამო ქუჩაში აღმოჩნდნენ.

სახელმწიფოს უჭირს, თვალი გაუსწოროს იმ რეალობას, რომ ქუჩებში ვხვდებით მათხოვარ და მანან-ნალა მცირეწლოვან ბავშვებს. ამ ბავშვებთან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს;

მათ „ქუჩის ბავშვების“ ნდობის მოპოვებისათვის, განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ. რთულია ქუჩის ბავშვების ჩართვა სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობებში, რაც ხელსუწყობს ამ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას.

ძნელად წარმოსადგენია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არათუ ხელს უწყობენ „ქუჩის ბავშვების“ პრობლემების მოგვარებას, არამედ თავიანთი ქმედებით შეურაცხყოფას აყენებენ მათ, ამცირებენ და დევნიან, იმ მიზეზით, რომ ქუჩის ბავშვები განსხვავდებიან სხვა ბავშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში არიან ადამიანები, ვინც ძნელად ეგუება განსხვავებული ადამიანების არსებობას.

2006 წელს მცხეთის რაიონში მდებარე რესტორან „ხიდაშლების“ მეპატრონემ უარი განაცხადა უნარშეზღუდული ბავშვების რესტორანში შეშვებაზე მათი უნარშეზღუდულობის გამო. მსგავსი ფაქტი 2007 წლის ბოლოს განმეორდა.

ჩაგვრისა და დისკრიმინაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომელიც კინოთეატრ „რუსთაველში“ წინასახალწლოდ, 28 დეკემბერს მოხდა: ადმინისტრაციამ ბავშვები, რომელთაც კინოსეანსზე დასასწრები ბილეთები შეიძინეს, კინოთეატრის ჰოლიდან გამოაგდო. არგუმენტები, რომლებიც ადმინისტრაციის მხრიდან გაჟღერდა, პატივისა და ღირსების შემლახველ ფრაზებს შეიცავდა – „ისინი არიან ბოშები, ქურდები, მანანნალები, სუნიანები“.

კინოთეატრის აღმასრულებელი დირექტორი სახალხო დამცველთან საუბრის დროსაც ვერ მალავდა „ქუჩის ბავშვები“ მიმართ აგრესიას. მან ყველა ღონე იხმარა, რათა ბავშვებს თავი გარიყულად ეგრძნოთ. საქმის ვითარება კი ასეთი იყო:

2007 წლის 28 დეკემბერს სახალხო დამცველს დაუკავშირდა ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტი, ნანა იაშვილი. მან განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის თანამშრომლები აპირებდნენ 14 მზრუნველობამოკლებული ბავშვის წაყვანას კინოთეატრ „რუსთაველში“ საბავშვო ანიმაციური ფილმის სანახავად. მათ შეიძინეს ბილეთები, მაგრამ კინოდარბაზში შესვლა ვერ მოახერხეს – ადმინისტრაციამ მათ ამის საშუალება არ მისცა. ადმინისტრაციის დაცვის თანამშრომელმა, შემდგომში კი კინოთეატრის აღმასრულებელმა დირექტორმა, დავით ბეჟიტაშვილმა განუმარტა „ბავშვი და გარემოს“ თანამშრომლებს, ასეთ ბავშვებს კინოში ვერ შევუშვებთ, ისინი სხვებს შეაწუხებენო.

დავით ბეჟიტაშვილმა პედაგოგებს კატეგორიულად მოსთხოვა კინოთეატრის ტერიტორიის დატოვება და განუცხადა, რომ კინოთეატრი მისი საკუთრებაა და ფილმზე დასასწრებად საკუთარი გადანყვეტილებით შეუშვებდა იმათ, ვისაც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ.

სახალხო დამცველის და მისი აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლების მისვლის შემდეგაც კინოთეატრის აღმასრულებელი კვლავ რჩებოდა თავის პოზიციაზე; თუმცა ახსნა-განმარტების მიცემაზე მან უარი განაცხადა. შედგა ოქმი, სადაც დაფიქსირდა დავით ბეჟიტაშვილის პოზიცია, (ამ კატეგორიის ბავშვების შეშვება მათ კინოთეატრში დაუშვებელია, ისინი არიან სუნიანები, ბოშები, მათ შეუძლიათ სხვა მაცურებლების შეწუხება და სხვა). დ. ბეჟიტაშვილმა ისიც დაამატა, რომ კინოთეატრის ადმინისტრაცია წინასწარ უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ამის შესახებ; მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებდნენ ისინი „ასეთი ბავშვებისათვის“ სპეციალური ჩვენების უზრუნველყოფას; ასეთ ჩვენებას სხვა მაცურებელი არ ეყოლებოდა.

ზემოხსენებული ფაქტი წარმოადგენს ბავშვის დისკრიმინაციის ნათელ მაგალითს. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ეს ბავშვები უკიდურესი სიდუხჭირის გამო მოკლებული არიან ოჯახურ სითბოსა და ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს. ყოველი მათგანისათვის კინოში წასვლა განსაკუთრებულ მოვლენად აღიქმება. აღწერილ შემთხვევაში კი ბავშვები პირველად მიდიოდნენ კინოთეატრში. ეს იყო დისკრიმინაცია ეთნიკური და სოციალური ნიშნით; ბავშვები კინოთეატრის ადმინისტრაციის მხრიდან გახდნენ არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი **მოპყრობის** მსხვერპლნი.



გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც 1948 წელს მიიღეს, შემდგომ კი ადამიანის უფლებათა ყველა საბაზისო საერთაშორისო დოკუმენტში, ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ყოველი ადამიანის თანასწორობისა და ღირსების პატივისცემა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობის განურჩევლად. ბავშვებს აქვთ საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება

13 აგვისტოს, დაახლოებით 10 საათზე სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის უფროსს შეატყობინეს, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტის ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში არეულობა იყო. ადგილზე მისვლის მომენტისათვის მიმდინარეობდა დაშავებულების სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანა. სპეციალური დანიშნულების რაზმი განთავსებული იყო დაწესებულების ეზოს გარეთ. დაწესებულების წინ არასრულწლოვანთა მშობლები ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ სიტუაციაში და პასუხისმგებელი პირებისგან მიეღოთ ინფორმაცია მათი შვილების მდგომარეობის შესახებ. სასწრაფო დახმარების მანქანებმა დაიწყეს ბავშვების გადაყვანა ლუდუშაურის სახელობის კლინიკასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. ამან გარეთ მყოფი მშობლების მღელვარება უფრო გაამწვავა.

მსჯავრდებულთა ჩვენებით, 14 აგვისტოს, დილით, ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მივიდნენ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და ამავე დეპარტამენტის სხვა პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც მწკრივში დაყენებული არასრულწლოვანი პატიმრები შეარჩიეს ქ. რუსთავის საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში გადასაყვანად. მსჯავრდებულების თქმით, ბავშვების ნაწილი შეარჩიეს გაურკვეველი პრინციპით შედგენილი სიის საფუძველზე, ნაწილი კი, „გარეგნული ნიშნების“ მიხედვით. საერთო ჯამში 107 არასრულწლოვანი ზემოთ ხსენებულ დაწესებულებაში გადაიყვანეს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ ქ. რუსთავში გადაყვანილ მსჯავრდებულებს, რომელთაგან 9 მსჯავრდებული არ იყო 16 წლის:

1. დ. ბექა - 14 წლის;
2. გ. თამაზი - 15 წლის;
3. ჩ. ზურა - 15 წლის;
4. ხ. ვანო - 15 წლის;
5. დ. გაგი - 15 წლის;
6. ა. ალექო - 15 წლის;
7. ო. დათო - 15 წლის;
8. კ. ლაშა - 15 წლის;
9. წ. რეზო - 15 წლის.

ჩამოთვლილ არასრულწლოვანთაგან ოთხი, გ. თამაზი, ჩ. ზურა, ო. დათო და კ. ლაშა, მეორე დღესვე დააბრუნეს ავჭალის აღმზრდელობით დაწესებულებაში. დანარჩენი 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირები ეტაპობრივად გადაიყვანეს ავჭალაში. სახალხო დამცველის რწმუნებულები 27 აგვისტოს რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში შეხვდნენ არასრულწლოვან მსჯავრდებულს რეზო წ.-ს, რომელსაც 16 წელი ჯერ არ შესრულებია.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №358 ბრძანების 26-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, აკრძალულია საკნის ტიპის სადგომში 16 წლის ასაკს მიუღწეველი მსჯავრდებულის გადაყვანა. აღნიშნულ ყოველ კონკრეტულ პატიმართან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდა-

ციით მიმართა სასჯელსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რათა მას შეესწავლა ზემოხსენებული საკითხი და მოეხდინა კანონშესაბამისი რეაგირება.

14 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ პრეზიდენტი მაკა ჯიშკარიანი შეხვედნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანილ 12 არასრულწლოვან მსჯავრდებულს და გაესაუბრენ მათ. ორგანიზაციის ექიმებმა ბავშვებს სხეულის დაზიანებები დაუთვალიერეს.

13 აგვისტოს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით 12-ვე არასრულწლოვანს თითქმის ერთნაირი ვერსია ჰქონდა; მსჯავრდებულები ყვებოდნენ, რომ არეულობა სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოჩენის შემდეგ დაიწყო. ბავშვებმა სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენეს; ბავშვები აღნიშნავენ, რომ სპეცდანიშნულების რაზმის გამოჩენის მიზეზი მათთვის უცნობი იყო; თვითდაზიანებების მიყენების მიზეზად კი, ყველა შიშის ფაქტორს მიუთითებდა – მხოლოდ ასე შეეძლოთ მათ ძალადობისგან თავდაცვა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრისას, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში მყოფი არასრულწლოვნები უარყოფდნენ რაიმე შელაპარაკების ფაქტს სპეცრაზმის გამოჩენამდე. მათ აღნიშნეს, რომ ავჭალაში პატიმართა სალამოს შემონმება-დათვალიერების შემდეგ, ისინი ავიდნენ თავიანთ ოთახებში, მალევე ჩაქრა შუქი; მათ დაინახეს დანესებულების ეზოში მდგომი მანქანები; რამდენიმე მანქანა, როგორც ბავშვებმა აღიქვეს, ეკუთვნოდა სასჯელსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს და დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებს, ხოლო საგუშაგოსთან სპეციალური დანიშნულების რაზმი იყო განთავსებული.

ნიღბიანი პირების დანახვაზე ბავშვები პანიკამ შეიპყრო; სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბარში უმრავლესობამ გაიხსენა სხვადასხვა საპატიმრო დანესებულებაში ყოფნის პერიოდში რეჟიმის თანამშრომლებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმელების მხრიდან მათ მიმართ ძალადობისა და სასტიკი ცემის არაერთი ფაქტი. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში თავდაცვის ერთადერთი საშუალება თვითდაზიანების მიყენებაა. არასრულწლოვნებმა თვითდაზიანებები მიიყენეს ძირს დაყრილი ჩამსხვრეული მინის ნატეხებით. ერთ-ერთმა კი განაცხადა, რომ მან თავად ჩაამსხვრია მინა; ორმა მსჯავრდებულმა კი სხეული სამართებლით დაიზიანა.

მსჯავრდებული გოჩა ა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან და მაკა ჯიშკარიანთან შეხვედრის დროს საუბრობდა, რომ რუსთავის №6-ე დანესებულებაში იგი არაერთხელ უცემიათ. ხვიჩა ხ.-მ განაცხადა, რომ თვითდაზიანება შიშის გამო მიიყენა, რადგან სპეცრაზმის მხრიდან ძალის გამოყენებას მოელოდა. ტარიელ ვ.-ს თქმით, ავჭალაში გადმოყვანამდე, იგი იმყოფებოდა ქუთაისის №2 საპყრობილეში, სადაც ის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებს არაერთხელ უცემიათ; ამიტომ, სპეცრაზმის გამოჩენის შემდეგ, მას შეეშინდა და თავდაცვის მიზნით, ხელები მინის ნატეხით დაისერა.

რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დანესებულებაში გადაყვანილმა არასრულწლოვანმა ლაშა გ.-მ გაიხსენა, რომ 13 აგვისტოს მომხდარი არეულობის დროს, მის ოთახში მყოფ მსჯავრდებულ ედგარ ვ.-ს შიშის და პანიკის ნიადაგზე დაეწყო ეპილეფსიური გულყრა; იგივეს ადასტურებს თავად ედგარ ვ.-ც და დასძენს, რომ ქალთა და არასრულწლოვანთა №5-ე საპყრობილეში ყოფნის დროს იგი სპეციალური დანიშნულების რაზმელებმა სცემეს; 2006 წლის ოქტომბერში კი, ცემის დროს, როგორც თვითონ აცხადებს, მან გონებაც კი დაკარგა.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მათთვის საუკეთესო გამოსავალი, ასეთ დროს, სწორედ თვითდაზიანების მიყენებაა; ეს უფრო იოლი ასატანია, ვიდრე სპეცრაზმის მხრიდან განხორციელებული ძალადობის მოთმენა.



სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოჩენამდე განვითარებული მოვლენების შესახებ განსხვავებული ვერსიები აქვთ ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორს და აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე პატიმრებს. 17 წლის მსჯავრდებული, ოთარ ხ. სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ 13 აგვისტოს მას შელაპარაკება მოუვიდა დაწესებულების თანამშრომელთან, ლაშა ტყემალაძესთან. ოთარ ხ.-ს თქმით, ტყემალაძე უხეშობით გამოირჩევა. ოთარ ხ.-მ დეტალურად გაიხსენა 13 აგვისტოს მომხდარი ფაქტები: მან აღნიშნა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ავჭალის დაწესებულებაში იყო წყლის პრობლემა, ხოლო 13 აგვისტომდე 2 დღის განმავლობაში საერთოდ არ მოდიოდა წყალი. იმ დღეს, დღისით მოვიდა წყლის მანქანა, აავსეს ეზოში არსებული აუზი. ბევრი მსჯავრდებული ამ დროისათვის ეზოში იმყოფებოდა.

ლაშა ტყემალაძემ ბავშვებს უხეშად დაუყვირა, დროზე აახვიათ შლანგიო; ბავშვებს ამის გაკეთება გაუჭირდათ, ტყემალაძემ კი განაგრძო ყვირილი. როგორც ოთარ ხ. მიუთითებს, მან ეს ფაქტი ბავშვების დაჩაგრად აღიქვა და გააპროტესტა. მან ტყემალაძეს აუხსნა, რომ ბავშვებმა არ იცოდნენ, როგორ აეხვიათ შლანგი. მას შემდეგ რაც ოთარ ხ. მას შეეპასუხა, ტყემალაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაზეც ოთარ ხ.-მ საპასუხოდ შეაგინა. ზემოხსენებული ინციდენტიდან დაახლოებით 1 საათში, ოთარ ხ. მივიდა ტყემალაძესთან, რომელიც ეზოში იჯდა და სურდა მასთან დალაპარაკება, თუ რატომ იქცევა ასე, ანუ სურს მსჯავრდებულების დაჩაგრვა და მათთვის შეურაცხყოფის მიყენება. მსჯავრდებული კატეგორიულად უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, რომ თითქოს მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ტყემალაძეს და შემდეგ ბავშვებს მოუწოდა, არეულობა მოეხდინათ თავიანთ ოთახებში.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორი რამაზ კაკუშაძე სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ 13 აგვისტოს დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე დაწესებულებაში მიმდინარე პატიმართა შემონგება-დათვლიერებისას მსჯავრდებულმა ოთარ ხ.-მ ამავე დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროს ინსპექტორს ლაშა ტყემალაძეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (ხელი დაარტყა თავისა და სახის არეში). დირექტორი აღნიშნავს, რომ ოთარ ხ.-თან ერთად ამ დროს იმყოფებოდნენ მსჯავრდებულები ავთანდილ გ. და ნოდარ კ. მისი თქმით, მსჯავრდებულებმა გააფრთხილეს ლაშა ტყემალაძე იმის შესახებ, რომ თუ იგი მომხდართან დაკავშირებით შეატყობინებდა ადმინისტრაციას, ისინი მას „დასჯიდნენ“. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებულები ავიდნენ საცხოვრებელ კორპუსში და მოუწოდეს დანარჩენ მსჯავრდებულებს – ეხმაურათ და არ დამორჩილებოდნენ სარეჟიმო მოთხოვნებს.

დირექტორი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ ოფიცერმა ლაშა ტყემალაძემ, იმოქმედა საჯარო მოხელისათვის აუცილებელი თემნის ვალდებულებით, მან გამოიჩინა მაქსიმალური თავშეკავებულობა მსჯავრდებულებთან ურთიერთობაში, ხოლო ფაქტის შესახებ მოახსენა დაწესებულების დირექტორის მოადგილეს დ.ხარაბაძეს. ამის შემდეგ კი ხარაბაძე დაუკავშირდა დირექტორს, რომელმაც მომხდარის შესახებ მოახსენა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად მივიდა ავჭალის აღმზრდელობით დაწესებულებაში, შექმნილ სიტუაციაში გარკვევის მიზნით.

ახსნა-განმარტებაში დირექტორი არ მიუთითებს სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოჩენის შესახებ. მისი და დეპარტამენტის წარმომადგენლების მისვლის მომენტისათვის პატიმრებისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ კორპუსში იყო ხმაური, ხმამაღალი, შეურაცხმყოფელი შეძახილები, არასრულწლოვანები ამსხვრევდნენ ფანჯრის მინებს. ჩამსხვრეული მინებით რამდენიმე მსჯავრდებულმა მიიყენა თვითდაზიანება, ხოლო რამდენიმე გაუფრთხილებლობით დაზიანდა.

ტელევიზიის საშუალებით გადაიკა 2 არასრულწლოვანის ლაშა ჯ.-ის და მინდია მ.-ის ინტერვიუები, რომლებმაც განაცხადეს, რომ არეულობის დაწყების მიზეზი მსჯავრდებულებს შორის მომხდარი

კონფლიქტი იყო, რასაც მოყვა რეჟიმის თანამშრომლისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა. ორივე მსჯავრდებული საუბრობს იმაზე, რომ ჟურნალისტთან შეხვედრის წინ მათ გაესაუბრა სასჯელალ-სრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია და დაინტერესდა მათი ვინაობით, ჩაწერა ხორციელდებოდა ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელი დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ოთახში. ახსნა-განმარტებაში ლაშა ჯ. აღნიშნავს, რომ თავად არც შელაპარაკება დაუნახავს და არც ჩხუბის ხმა გაუგონია, მომხდარის შესახებ ინფორმაციას ფლობს სხვა მსჯავრ-დებულების მონათხრობიდან, თუმცა კონკრეტულად ვერ იხსენებს მათ ვინაობას. მინდია მ. კი ყველა, რომ შეესწრო ოთარ ხ.-სა და ტყემალაძის ჩხუბს, როდესაც ოთარ ხ.-მ შეაგინა ტყემალაძეს, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შესახებ ვერაფერს ამბობს.

ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქარ-თველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურში დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით გათ-ვალისწინებულ დანაშაულზე. ჯერ კიდევ 22 აგვისტოს მონაცემებით, საქმეში არ ფიგურირებენ სისხ-ლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული კონკრეტული მსჯავრდებულები.

შეუძლებელი აღმოჩნდა ორი დღის განმავლობაში რუსთავის №2 დაწესებულებაში გადაყვანილი პატიმრების პირადი საქმეების გაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ რამაზ კაკუშაძის ინფორმაციით მსჯავრდებულთა პირადი საქმეები მან 15 აგვისტოს გადააგზავნა რუსთავის №2 დაწესებულებაში, 15 და 16 აგვისტოს რუსთავში მისულ სახალხო დამცველის რწმუნებულებს, დაწესებულების დირექ-ტორმა განუცხადა, რომ მასთან ჯერ-ჯერობით არ მოუტანიათ მსჯავრდებულთა პირადი საქმეები.

მარტყოფის სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების წამება

სახალხო დამცველმა შეისწავლა მარტყოფის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სააღმზრ-დელობო დაწესებულებაში მომხდარი არასრულწლოვანთა წამების ფაქტი. კერძოდ:

2007 წლის 17 ოქტომბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მარტყოფის ობოლ და მზრუნვე-ლობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულების დირექტორმა, თეკლე ფერაძემ განცხა-დებით მიმართა სახალხო დამცველს რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ბავშვთა სახ-ლის აღსაზრდელების უფლებების დარღვევის ფაქტზე.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე, 2007 წლის 18 და 19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს.

2007 წლის 16 ოქტომბერს მარტყოფის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში ავტომანქანა „ოპელით“ გამოცხადდა ორი ახალგაზრდა გოგონა და მამაკაცი. მათ იკითხეს ა.კ. მისი ვინაობის დადგენის შემდეგ კი იძულებით ჩააგდეს იქვე გაჩერებული მანქანის საბარგულში. იმავდროულად, ხსენებული გოგონები (რომელთაგან ერთი იყო მაღალი ხუჭუჭი თმით, ხოლო მეორე დაბალი, უკან შეკრული თმით) ავიდნენ ბავშვთა სახლის მე-2 სართულზე და მოიკითხეს ხ.კ. ხ.კ.-თან შეხვედრის შემდეგ, მას გაეცნენ სოციალურ მუშაკებად, იძულებით გაიყვანეს შენობი-დან, ჩასვეს იმავე ავტომანქანაში და გაემართნენ სოფლის სკოლისკენ. ამ დროისთვის აღსაზრდელები თ.ხ., გ.კ., თ.უ. და თ.მ. ბრუნდებოდნენ სკოლიდან ბავშვთა სახლში. სოფელში მდებარე მონასტერთან მათ დაენია ზემოაღნიშნული ოპელის მარკის ავტომანქანა, საიდან გადმოსულმა პირებმაც, ასევე იძულებით, თეონა ხ., გოჩა კ.-სთან ერთად ჩასვეს მანქანაში და გზა განაგრძეს მარტყოფის გასას-ვლელისკენ. დაკავებული ბავშვები ოთხ ავტომანქანაში გადაანაწილეს. ამის შემდეგ, იმავე ავტო-მანქანა „ოპელით“ უცნობები დაბრუნდნენ მზრუნველობას მოკლებულთა დაწესებულებაში, ინტერ-ნატის სასაფლაოდან მისი ნების საწინააღმდეგოდ გამოიყვანეს თ. უ. და დატოვეს იქაურობა.



სოფლის გასასვლელთან, ავტომანქანებში გადანანილებულ არასრულწლოვანთა შორის, საბარგულში მოთავსებული ა.კ. გადასვეს ტოიოტა ჰაილუქსში და გზა გააგრძელეს რუსთავის მიმართულებით, ხოლო თ.უ., თ.ხ.-თან ერთად წაიყვანეს თბილისის მიმართულებით. გზაში თ.ხ.-ს მოსთხოვეს, დაერეკა ბავშვთა სახლის ყოფილ აღსაზრდელთან ლ.ნ.-თან და ეთხოვა შეხვედრა მეტროსადგურ დიდუბესთან. აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოცხადებულ ნაზარაევს, პოლიციელებმა აღუკვეთეს თავისუფლება და ამჯერად მას მოსთხოვეს, შეხვედრა დაეთქვა რ. ხ.-სთან. ეს უკანასკნელი გამოცხადდა რა, დათქმულ ადგილზე, სამართალდამცავებმა ისიც შეიპყრეს და გადაიყვანეს რუსთავის შს სამმართველოს შენობაში. მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულების აღსაზრდელები გ.კ., ხ.კ. და ა.კ. მათზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის შემდეგ, რაც გამოიხატა მათ დაშინებაში, მუქარასა და ცემაში, შუალამისას დაკითხეს და დააბრუნეს მარტყოფის ბავშვთა სახლში. ასევე გვიან ღამით, ინტერნატში დააბრუნეს თ.ხ. და თ.უ., რომლებიც მოწმის სახითაც კი არ დაუკითხავთ.

17 ოქტომბერს, 02:50 საათზე, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა გამომძიებელმა, გ.უსტარაშვილმა, საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნათა უბეში დარღვევით, ეჭვმიტანილებად დააკავა ლ.ნ., ხოლო 03:20 საათზე რუსლან ხაჯიმურატოვი, რომლებიც დაკითხეს და მოათავსეს გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში. 2007 წლის 18 ოქტომბერს, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ზ.მატკავამ გამოიტანა დადგენილება ეჭვმიტანილების დაკავების ადგილიდან გათავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, **„გამოძიებით არ დადასტურდა ეჭვი, რომ ლ.ნ.-მა და რ.ხ.-მა ჩაიდინეს მკვლელობა და საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მათ ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაული.“** 18 ოქტომბერს, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ეჭვმიტანილები გათავისუფლდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორიდან.

მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების იძულებითა და დამამცირებელი მოპყრობით დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თვითმხილველები გახდნენ ამავე დაწესებულების აღმზრდელები, რომლებსაც, მანქანიდან გადმოსულმა უცნობმა ორმა გოგონამ და ერთმა მამაკაცმა, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბავშვების ნაყვანის მიზეზად დაასახელეს წინა დღეს, სოფელ მარტყოფში ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობის შემთხვევა. ამასთან აღმზრდელები გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგობის განწევსა და გახმაურების შემთხვევაში, ისინიც მოხვდებოდნენ „იქ, სადაც მათი აღსაზრდელები“.

აღსაზრდელების თ.უ.-ის, თ.ხ.-ის, ა.კ.-ის, ხ. და გ. კ.-ის მარტყოფიდან იძულებით ნაყვანის ფაქტს ადასტურებენ თ.მ., ა.ც. და თ.უ.. ასევე აღმზრდელები: ნინო გუგუნაშვილი, შორენა ბოჭორიშვილი, ნინო ადიკაშვილი, გულჩინა გორდაშვილი და დაწესებულების მზარეული ნინო ცოფურაშვილი. რაც შეეხება ლ.ნ.-ისა და რ.ხ.-ის დაკავებას თბილისში, ის დასტურდება თავად დაკავებულების, ასევე თ.უ.-ის და თ.ხ.-ის მიერ მოცემული ახსნა-განმარტებებით.

ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, რომ მარტყოფის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის ყოფილი და ამჟამინდელი აღსაზრდელები, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის უბეში დარღვევით, კანონიერი საფუძვლისა და წესის გარეშე, მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებით იყვნენ თავისუფლება შეზღუდულები. ამის გარდა, სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული მასალები ცხადყოფდა, რომ მითითებული პირები რუსთავის პოლიციის განყოფილებაში დაექვემდებარენ ცემასა და ღირსებისშემლახავ მოპყრობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ქმედებები ლ.ნ.-ისა და რ.ხ.-ის მიმართ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, და 144^ა-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიციის თანამშრომლებს გააჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ა.კ.-ის, ბ.კ.-ის, გ.კ.-ის, თ.ბ.-ისა და თ.უ.-ისაგან შესაძლებელი იყო მიეღოთ სოფელ მარტყოფში მომხდარი დანაშაულის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები, სამართალდამცავები ვალდებული იყვნენ ეხელმძღვანელათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანი მოწმის შესაბამის უწყებაში გამოძახებასა და მათ უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 646-ე მუხლის შესაბამისად: „გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში არასრულწლოვანის გამოძახება ხდება მისი მშობლების, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების, ანდა იმ დანესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც იზრდება ან სწავლობს არასრულწლოვანი.“

იმის ნაცვლად, რომ ქვემო ქართლის შსს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს მიემართათ ბავშვთა სახლის ადმინისტრაციისათვის აღსაზრდელების მოსალოდნელი დაკითხვის თაობაზე, შეურაცხყოფა მიაყენეს აღმზრდელებს და თვითნებურად, კანონმდებლობის უგულველყოფით, წაიყვანეს აღსაზრდელები პოლიციის განყოფილებაში, სადაც ა.კ.-ის დაკითხვას დაასწრეს ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი მ. ხიდაშელი. მოგვიანებით კი, ამ უკანასკნელის თანდასწრებით ა.კ.-სათვის ჩამორთმეული ჩვენება გაანადგურეს, **რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.**

სამართალდამცავთა ქმედებით დაირღვა სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისად: **„არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება არასრულწლოვანი მოწმის პედაგოგის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით...“**

უკანონო თავისუფლების აღკვეთის გარდა, ა.კ. და ბ.კ. რუსთავის მთავარი სამმართველოს განყოფილებაში მიყვანიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დაექვემდებარენ წამებას, ღირსებისშემლახვა და დამამცირებელ მოპყრობას, რაც გამოიხატა მათ ცემაში, გინებასა და დაშინებაში, რათა მათგან მიღებული ყოფილიყო ბ.შ.-ის მკვლელობის ფაქტის აღიარება, ან რაიმე სახის ინფორმაცია ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც შეიცავს **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 144' და 144³-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.**

საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს. რაც შეეხება ა.კ.-სა და ლ.ნ.-ს, რომლებიც გახდნენ არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, მათ ჩაუტარდათ ფსიქიატრიული გამოკვლევა ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტის მარიამ ჯიშკარიანის მიერ.



2007 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №539 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, საზოგადოებაში გენდერული საკითხების პოპულარიზაციასა და აღნიშნულ სფეროში საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ასევე, 2007 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№211) შეიქმნა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებელი უწყებათაშორისი კომისია, რაც სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. დადგენილების თანახმად, კომისია ვალდებულია, უზრუნველყოს:

„ა) ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, სამინისტროების პოლიტიკისა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება; ბ) გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების (როგორცაა ტრეფიკინგი და ოჯახური ძალადობა) განხილვა, არსებული მდგომარეობის შესწავლა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და აღნიშნულ სფეროში მთავრობის მიერ განხორციელებული სამოქმედო გეგმების მონიტორინგი.“

სამოქმედო გეგმის მიღება და კომისიის შექმნა, რასაკვირველია, მთავრობის მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ბევრი რამ არის დამაფიქრებელი და დასახვეწი. პირველ ყოვლისა, არაა გათვალისწინებული ცვლილებები ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა და პოლიტიკა. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ უნდა მოხდეს კანონმდებლობაში არსებული გენდერული „ასიმეტრიის აღმოფხვრა“. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა ფორმულირება „თანასწორობის უზრუნველყოფა“, რაც უკვე ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული კანონების შემოტანას გულისხმობს და არა არსებული კანონების ჩასწორებას.

სახალხო დამცველმა 2008 წლის 18 იანვარს მიმართა სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კო-

ორდინაციის საკითხში კახა ბენდუქიძეს, რომელიც საქართველოს მთავრობაში გენდერულ საკითხებს კურირებდა, ხოლო საკადრო ცვლილებების შემდგომ, 2008 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს მოთხოვნით, მოენოლებინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების, უწყებათაშორისი კომისიის მიერ ამ საკითხთან მიმართებით გატარებული ღონისძიებებისა და უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის მაკოორდინირებელი ორგანოს შესახებ. პირველ შემთხვევაში დღემდე პასუხი არ მიგვიღია, ხოლო პრემიერ მინისტრისათვის გაგზავნილი წერილის პასუხად 2008 წლის 15 თებერვალს გვეცნობა, რომ ჩვენი მოთხოვნის განხილვა დავალა კახა ბენდუქიძეს.

უნდა ითქვას, რომ არაფერია ნათქვამი ზემოაღნიშნულ გეგმაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს და შემდგომ პერიოდში მთავარ დარტყმას ქალები იღებენ, ისინი, მათი გამოცდილების, უნარებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, არასაკმარისად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით მოგვარებისას მამინ, როდესაც, სახალხო დიპლომატიის კუთხით, ქალები აქტიურად მონაწილეობენ ნდობის აღდგენისა და სამშვიდობო პროცესებში და მათ დაუგროვდათ საკმარისი გამოცდილება იმისათვის, რომ დაიმკვიდრონ ადგილი სხვადასხვა ფორმატით მიმდინარე სამშვიდობო ინიციატივებში.

მშვიდობის დამყარება არ არის ერთი ან რამდენიმე ჯგუფის პრივილეგია. მშვიდობა კოლექტიურ უსაფრთხოებას უკავშირდება და, შესაბამისად, დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების ფართო ფენებს, მათ შორის ქალებს, უნდა ჰქონდეთ ბერკეტები იმისათვის, რომ ეფექტურად მოახდინონ ზეგავლენა ამ პროცესებზე.

ამ მიდგომის გამოყენებისას ქალებს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეკისრებოდეთ და ქალის შესაძლებლობები სრულად უნდა იყოს გამოყენებული მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტების მოგვარებაში, რასაც მოითხოვს სოციალური სამართლიანობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ დათქმის გარეშე ნაკისრი ვალდებულებები - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

სწორედ გაეროს უშიშროების რეზოლუცია 1325 არის უდიდესი გამოძახილი იმისა, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება ქალის მონაწილეობას მშვიდობის დამყარებასა და უსაფრთხოებაში, რაც პროგრესული ნაბიჯია ქალის როლის ამაღლების, კონფლიქტის დარეგულირების, მშვიდობის შენარჩუნების და მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

ყველა ამ ღონისძიების მნიშვნელობა ისაა, რომ დაინყოს დისკუსია და მოხდეს ყურადღების კონცენტრირება მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებზე, დაისახოს გადაჭრის გზები და მოხდეს ქალის როლის მნიშვნელობაზე ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დისკუსიების გამართვა. ამ საკითხების გადაჭრისას უნდა განისაზღვროს, როგორ და რა სახით უნდა მოხდეს ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში.

ოფიციალურ დონეზე მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობას ხელს უშლის სტრუქტურული პრობლემები. კერძოდ ის, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, რაც მოლაპარაკებებში ქალთა ჩართვის ერთადერთი გზაა. საჭიროა სამშვიდობო პროცესებში ოფიციალური მოლაპარაკებების დროს გაითვალისწინონ ქალთა, როგორც ერთ-ერთი პრობლემის მატარებელი დაზარალებული ჯგუფისა და დაინტერესებული მხარის, ხედვა.

ეროვნული სამშვიდობო ქსელი „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის“, რომელიც შექმნილია გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპა-



რატომ და აერთიანებს ლიდერ ქალებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თემთა ლიდერები, პედაგოგები, დევნილთა თემების წარმომადგენლები და სხვა. ყველა ამ ქალს ერთი იდეა აერთიანებს – ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, არაძალადობრივი ცნობიერებისა და პოზიტიური მშვიდობის ჩამოყალიბება და სამშვიდობო პროცესში ქალთა როლის ამაღლება.

2007 წლის ნოემბერში სწორედ ამ ქსელის მიერ შემუშავდა საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ქალთა მონაწილეობის კონცეფცია და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ რეკომენდაციათა პაკეტი. აღნიშნული დოკუმენტები წარედგინა სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების თანახმად,

- აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური ღონისძიებები, საკანონმდებლო ღონისძიებების ჩათვლით, რომელთა მიზანია ქალთა ჩართვა სამშვიდობო პროცესებში;
- შესასწავლია ოფიციალურ დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფორმატი სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- სამშვიდობო პროცესის თანამიმდევრულობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას ერთიანი მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობაზე. ეს სინქრონულს და თანამიმდევრულს გახდის როგორც ქვეყნის პოლიტიკას ამ სფეროში, ასევე გააადვილებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობას და ამ პროცესების მონიტორინგს;
- აუცილებელია იმ ქალთა რესურსის განვითარება და გამოყენება, ვინც უკვე მუშაობს კონფლიქტების მოგვარებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებში;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და გამოცდილება, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ ქალთა აქტიურ მონაწილეობას კონფლიქტების მართვის, პრევენციისა და მშვიდობის პროცესებში და სხვა.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ძალადობა ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები ხდებიან. ქალთა მიმართ ძალადობა ქალთა და კაცთა შორის უთანასწორობის გამოვლენაა. ძალადობის სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, ილახება მისი ღირსება და თავისუფლება, საფრთხე ემუქრება მის უსაფრთხოებას.

მსოფლიოში არსებული გენდერული დისბალანსი და, ამასთან, გენდერული ძალადობა, რომლის ობიექტი, როგორც წესი, ქალია, მოიაზრება ტრივიალურ მოვლენად. ძალადობას ვხვდებით ნებისმიერ საზოგადოებაში, საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, ეთნიკური და კლასობრივი კუთვნილებისა, ასაკის, განათლებისა და კულტურული დონისა.

საქართველოში არსებული სიღარიბე, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის მექანიზმების მოშლა და სხვა მრავალი თანმდევი ფაქტორის არსებობა ხელს უწყობს ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოვლენას.

პიროვნების მიმართ გამოვლენილ ძალადობათა შორის გაუპატიურება ყველაზე საშიში და ცინიკური ხასიათის დანაშაულია. აღნიშნული უფლებების ხელყოფის ობიექტი, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის პატივი და ღირსებაა, მისი სქესობრივი თავისუფლების ხელშეუხებლობა.

გაუპატიურება ტაბუირებული თემაა საქართველოში, განსაკუთრებით კი, როდესაც საკითხი ეხება არასრულწლოვნებს. რადგან საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ქართული მენტალიტეტისათვის წარმოუდგენელია ამგვარი შემთხვევები და მოზარდს სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ვერ მოიაზრებს. ამასთან, როგორც წესი, მსხვერპლი იშვიათად მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია პრობლემაზე რეალური სურათის შექმნა.

პრობლემას ართულებს შესაბამისი სარეაბილიტაციო ცენტრების არარსებობა, პოლიციელებსა და გამომძიებლებს არ გააჩნიათ გაუპატიურების შემთხვევების დაფიქსირების აუცილებელი ცოდნა და მსხვერპლთან ნორმალური მოპყრობის გამოუმუშავებული უნარ-ჩვევები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტა-



ტისტიკური მონაცემების თანახმად, 2006 წელს დაფიქსირებულია 180 (მათ შორის – 15 არასრულწლოვნის მიმართ), ხოლო 2007 წელს 258 (მათ შორის – 29 არასრულწლოვნის მიმართ) გაუპატიურებისა და გაუპატიურების მცდელობის შემთხვევა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2006 და 2007 წლებში რეგისტრირებული ქალების და არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულის (გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა) ცალკეული სტატისტიკური მონაცემები:

გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა

რეგიონები	2006 წ.		2007 წ. I ნახევარი		2007 წ. II ნახევარი	
	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ
თბილისი	64	12	36	4	49	11
ქვემო ქართლი	10	-	5	1	12	2
შიდა ქართლი	9	-	4	-	15	-
მცხეთა-მთიანეთი	11	-	-	-	1	-
კახეთი	17	1	8	1	13	-
სამცხე-ჯავახეთი	5	-	4	-	8	-
იმერეთი	18	-	10	2	15	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	18	1	6	1	13	3
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-
გურია	1	-	-	-	-	-
აჭარა	10	1	8	-	20	1
აფხაზეთი	2	-	1	-	-	-
სულ	165	15	83	9	146	20

მიუხედავად იმისა, რომ ქალს ხშირად უფრო მეტად ეშინია „უცხო მოძალადის“, შესწავლილი საქმეების მიხედვით, ხშირად მოძალადეს მსხვერპლი იცნობდა, ან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ხშირია გაუპატიურების შემთხვევები ცოლად შერთვის მიზნით.

საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ქალის მოტაცების ტრადიცია, რაც თავისთავად ზღუდავს ქალის უფლებას, აირჩიოს, თუ ვის გაჰყვეს ცოლად. ადამიანის მოტაცება მძიმე დანაშაულია, მაგრამ როდესაც საქმე ვაჟის მიერ გოგონას მოტაცებას ეხება, ყოფით დონეზე ზოგჯერ ეს დანაშაულადაც არ ითვლება. ოჯახებს შორის ხდება მოლაპარაკება, რასაც მოყვება საქმის მიჩქმალვა ან ძალადობის საფუძველზე ოჯახის შექმნა. არადა, ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მრავალ ძალადობას, რაც გამოიხატება მოტაცებაში, გაუპატიურებასა და ძალით დაქორწინებაში. ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ზედმეტად მომთმენია ამ ძალადობის მიმართ. ამიტომ ვაჟები თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ მათ არავინ დასჯის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად:

2004 წელს თავისუფლების აღკვეთა ცოლად შერთვის მიზნით	-	59
2005 წლის განმავლობაში	-	283

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2006 და 2007 წლებში რეგისტრირებული ქალების და არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულის (თავისუფლების უკანონო აღკვეთა ცოლად მოყვანის მიზნით) ცალკეული სტატისტიკური მონაცემები:

თავისუფლების უკანონო აღკვეთა (ცოლად შერთვის მიზნით)

რეგიონები	2006 წ.		2007 წ. I ნახევარი		2007 წ. II ნახევარი	
	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ	ქალების მიმართ	არასრულწ. მიმართ
თბილისი	143	22	85	20	42	22
ქვემო ქართლი	33	20	3	1	11	3
შიდა ქართლი	13	1	4	-	10	2
მცხეთა-მთიანეთი	15	5	1	-	7	2
კახეთი	6	2	5	1	9	4
სამცხე-ჯავახეთი	16	4	2	-	8	-
იმერეთი	33	11	5	1	11	4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	31	11	4	-	11	2
რაჭა	1	-	-	-	-	-
გურია	7	-	2	-	3	2
აჭარა	28	1	7	-	8	8
აფხაზეთი	-	-	-	-	-	-
სულ	326	77	118	23	120	43

აქვე გვინდა მოვიყვანოთ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მონოდეზუმი მონაცემები.

№	თავისუფლების აღკვეთა ცოლად მოყვანის მიზნით (მოტაცება) სსკ-ის 143-ე მუხლი	2006 წელი	2007 წ. იანვარი-ოქტომბ.
1	სულ საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაინიშნა წინასწარი გამოძიება	609	537
2	სულ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ დაინიშნა სისხლის სამართლის საქმე	200	148
3	წინასწარი გამოძიების დამთავრება და საქმის სასამართლოში წარმართვა	77	89
4	რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით	30	23
5	რამდენ საქმეზე გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი	69	35
6	რამდენ საქმეზე გამოვიდა გამამართლებელი განაჩენი	0	1
7	არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დაზარალებულთან შერიგების გამო	0	0

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების შესწავლამ დაგვანახა, რომ გამტაცებელისთვის, როგორც წესი, ხშირად გამოაქვთ პირობითი სასჯელი ან/და ჯარიმა. ამის მიზეზია, პირველ რიგში, როგორც საზოგადოების, ისე სამართალდამცავი სისტემისა და მართლმსაჯულების მხრიდან შემწყნარებლური დამოკიდებულება მოტაცების ინსტიტუტის მიმართ. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, სერიოზულ დანაშაულად არ მიიჩნევა.

საქართველოში ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესწავლამ აჩვენა, რომ ოჯახია ურთიერთობის ის სფერო, სადაც ქალს მსხვერპლად გახდომის ყველაზე მეტი საფრთხე ელის, თუმცა არსებული სოციალური აკრძალვების გამო იშვიათად ხდება პრობლემის ოჯახის გარეთ გატანა. სწორედ ოჯახში გამოვლენილ ძალადობას აქვს ფსიქოლოგიურად დამანგრეველი ძალა და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

2006 წელს მიღებული „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. გაცილებით რთული აღმოჩნდა კანონის ცხოვრებაში გატარება და სრულყოფილი ამოქმედება. რაც ითხოვს მთავრობის მხრიდან ქმედითი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას.



საქართველოს მთავრობის მიერ 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება მხოლოდ 2007 წლის 30 ივლისს მოხერხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა საჭიროებს დამუშავებას, რადგან ზოგ შემთხვევაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არის ზოგადი და არ ითვალისწინებს კონკრეტულ საქმიანობებს. ამასთან, გეგმა არ ითვალისწინებს 2008 წლის 1 იანვრიდან თავშესაფრის და სარეაბილიტაციო ცენტრის ამოქმედებას, რაც ნიშნავს, რომ არამართო არ სრულდება კანონი, არამედ არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების პოლიტიკური ნება.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში მიმართა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყო, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონით დადგენილ ვადებში – 2008 წლის 1 იანვრისთვის – ამ კანონის მე-8 მუხლის და VI თავის ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. კერძოდ, შეექმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები და ჩაეტარებინა მოძალადეთა რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობას უნდა დაემუშავებინა მიღებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულებისთვის მკაფიოდ გაემიჯნა გეგმით გათვალისწინებული ფუნქციები სამინისტროებს შორის, რაც დღემდე არ არის შესრულებული.

დღემდე არ არის შესრულებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია და არ არის შესული ცვლილებები „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისგან გამომდინარე რიგ საკანონმდებლო აქტში, რომელიც შემაკავებელი ორდერის შეუსრულებლობისთვის გაითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ხელს უშლის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების ზედამხედველობას გულისხმობს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2007 წლის 9 თებერვალს №43/ო ბრძანებით შექმნილი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ გაზაფხულზე მომზადდა სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი სოციალური მუშაკის მომზადების კონცეფცია. სწორედ კონცეფცია ითვალისწინებს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ფორმირებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებას. კერძოდ, სოციალური სამსახურის სტატუსის განსაზღვრას, აღნიშნული სამსახურის შექმნისათვის აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარებას, მონაცემთა ბაზის შექმნას, ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების პოლიტიკის შემუშავებას და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონცეფცია დღემდე არ არის მიღებული.

ასევე, სამინისტროს ინფორმაციით უკვე მომზადდა და შესაბამის სამინისტროებს შესათანხმებლად წარედგინათ „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების პროექტი, რომელმაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივი ექსპერტიზის გავლის შემდეგ უნდა გამოიცეს და ამოქმედდეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით 2005 წელს დაფიქსირებულია ოჯახური კონფლიქტის 3254 ფაქტი, 2006 წელს – 3665 ფაქტი, 2007 წლის პირველი ნახევარი – 1103 ფაქტი, დამტკიცდა – 274 შემაკავებელი ორდერი, 2007 მეორე ნახევრის მონაცემებით – 1285 ფაქტი, დამტკიცდა – 219 შემაკავებელი ორდერი.

2007 წლის პირველ ნახევრის საპარტულო პოლიციის მონაცემები

	VII		VIII		IX		X		XI		XII		სულ	
	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი	ოჯახ. კონფ-ლიქტი	შემაკ. ორ-დერი
თბილისი	57	45	86	24	87	20	144	25	128	22	149	19	651	155
იმერეთი	11	-	8	1	14	-	10	-	10	-	12	-	65	1
კახეთი	1	-	-	-	12	-	2	-	-	-	10	2	30	2
შიდა ქართლი	-	3	-	7	-	12	3	6	2	3	2	-	7	31
ქვემო ქართლი	50	2	55	-	65	-	48	-	64	-	63	-	345	2
აჭარა	13	5	41	7	28	7	3	1	24	-	23	3	132	23
სამეგრელო - ზემო სვანეთი	7	-	2	4	14	1	8	-	3	-	21	-	55	5
სულ	139	55	192	43	220	40	218	32	236	25	280	24	1285	219

2007 წლის მეორე ნახევარში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შევიდა 18 განცხადება, აქედან 12 შემთხვევაში გამოიცა დამცავი ორდერი, მათ შორის ერთი დამცავი ორდერის გამოცემაზე განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ორ შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა კაცი, დანარჩენ შემთხვევებში – ქალი, ორ საქმეში მსხვერპლი იყო არასრულწლოვანი, 8 დამცავი ორდერი გამოიცა ფიზიკური-ფსიქოლოგიური ძალადობის, ხოლო 4 ფსიქოლოგიური ძალადობის აღკვეთის მიზნით.

რაც შეეხება დანარჩენ 6 განცხადებას, მათგან სასამართლოს მიერ 2 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა დამცავი ორდერის გამოცემაზე, მსხვერპლის მიერ უარის თქმის გამო, 3 განცხადებას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე, 2 – შეწყდა, რადგან 1 საქმეზე მსხვერპლმა უარი თქვა დამცავი ორდერის გამოცემაზე, მე-2 შემთხვევაში გარდაიცვალა მოძალადე. გასაჩივრდა 1 დამცავი ორდერი მსხვერპლის მიერ, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

გამოცემული 12 დამცავი ორდერიდან 6 შემთხვევაში სასამართლომ დაამტკიცა 6 შემაკავებელი ორდერი.

2007 წლის მეორე ნახევარში შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით, სასამართლოში შევიდა 156 შუამდგომლობა. აღნიშნული კანონის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, სრულად დაკმაყოფილდა 148 შუამდგომლობა, საქმის მასალების განხილვის შედეგად 4 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რათა არ მომხდარიყო მოძალადე პირის ზედმეტად შეზღუდვა მის მიერ რეალურად განხორციელებული ძალადობიდან გამომდინარე, უარი ეთქვა შუამდგომლობას 13 შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე, 1 საქმე შეწყდა. გასაჩივრდა 3 შემაკავებელი ორდერი მოძალადის მიერ გაუქმების მოთხოვნით, რომელთაგან 2 საქმეზე საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მესამეზე კი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სასამართლოში არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დამტკიცებული შემაკავებელი ორდერები ოჯახის წევრის (მოძალადის) მიერ ოჯახში სხვადასხვა ფორმით განხორციელებული ძალადობის აღკვეთის მიზნით, 151 შემთხვევაში მიიღეს ოჯახის მეორე წევრის (მსხვერპლის) ქალის მიმართ, 5 შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა მსხვერპლი მამაკაცის მიმართ, გარდა ამისა, 3 შემაკავებელი ორდერი სასამართლომ დაამტკიცა ქალისა და არასრულწლოვნის მიმართ ოჯახის წევრის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე.



ამასთან, ზემოთ აღნიშნული შემთხვევები და დამცავი ორდერების დამტკიცება გამონეულია მსხვერპლის მიმართ ყველა იმ სახის ძალადობის აღკვეთის მიზნით, რაც გათვალისწინებულია კანონით.

რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სახის იძულების ფაქტს. დღეის მდგომარეობით დომინირებს ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ძალადობა, რაც გამოხატულია ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი სხვადასხვა სახის მოქმედებებით, რასაც თან ახლავს მოძალადის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელება.

განხორციელებულ ძალადობათა სახეობის რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა აღკვეთის მიზნით სასამართლომ გამოიყენა შემთხვევები/დამცავი ორდერი:

ფიზიკური	12
ფსიქოლოგიური	66
ფიზიკური-ფსიქოლოგიური	75
ეკონომიკური-ფიზიკური-ფსიქოლოგიური	4
ფსიქოლოგიური-ეკონომიკური	3
ფიზიკური-ფსიქოლოგიური იძულების	3
ფიზიკური-ფსიქოლოგიური-ეკონომიკური იძულების	1
ფსიქოლოგიური იძულების	2
ფიზიკური-ფსიქოლოგიური-სექსუალური	1

2007 წლის 25 იანვარს საქართველოს მიერ დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა სამი ძირითადი ამოცანისგან შედგება. მასში თანაბარი ყურადღება ეთმობა როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციას, ისე ამ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვასა და დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებულია და საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულია გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები.

ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული თანამშრომლობის კოორდინაციისა და სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის კოორდინაციით, 2007 წლის მეორე ნახევარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა სამივე ზემოაღნიშნული მიმართულებით განხორციელდა.

უწყებათა და ორგანიზაციათა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწასა და შესაბამისი თანამშრომლობის განვითარებას.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მომზადდა ცვლილებები და დამატებები, რომელთა მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრე-

ფიკინგის) მცირეწლოვან და არასრულწლოვან მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის ზომების საკანონმდებლო სრულყოფა.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, კანონს უნდა დაემატოს თავი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია“. საკანონმდებლო ცვლილების პროექტი საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილია პარლამენტში და ამჟამად დაგზავნილია შესაბამის უწყებებში დასკვნების მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოში ბავშვთა პრონოგრაფიის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის ექსპერტიზა და მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის პირველადი განხილვა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2007 წლის ოქტომბერში შედგა.

საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთობლივად მიმდინარეობს ბავშვის ტრეფიკინგისა და ონლაინ პორნოგრაფიის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სამშობლოში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაწილეობით, 2007 წლის დეკემბერში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგად დაზარალებულთაგან ორის უსაფრთხო დაბრუნება მოხდა წარმოშობის ქვეყნებში. მათგან ერთი ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, ხოლო მეორე – რუსეთის ფედერაციის. პროკურატურამ გამოიძია მათი ტრეფიკინგის ფაქტები, დააკავა მათი ტრეფიკერები და დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა მათ წინააღმდეგ. წარმოშობის ქვეყნებში ამ ადამიანების უსაფრთხო დაბრუნების პროცესში ჩართული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. უსაფრთხო დაბრუნების ორგანიზება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა.

შემუშავდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სტრატეგია, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს 2007 წლის 19 ივლისის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა.

ამ დოკუმენტის ეფექტურად განხორციელებაში თანამშრომლობის მონოდებით საკოორდინაციო საბჭომ მიიღო სპეციალური მიმართვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი.

ამასთან, რეინტეგრაციის სტრატეგიის საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს დანართის სახით ერთვის რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის ფორმაც, რომელიც სოციალური მუშაკისა და მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ ეტაპობრივად იცვება. რეინტეგრაციის შემადგენელი კომპონენტებისა და მომსახურების შემთავაზებელი სუბიექტების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, ფორმა ითვალისწინებს მსხვერპლის/დაზარალებული პირის კოდური სახელის აღნიშვნას, მისთვის სოციალური მუშაკის გამოყოფის თარიღის დაფიქსირებას და სხვა იმ მონაცემთა შეტანას, რომელთა მითითება და გეგმის მიხედვით განხორციელება მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მსხვერპლის/დაზარალებულის ეფექტური რეინტეგრაციისათვის.

ამასთან ერთად, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის კუთხით საქმიანობის კოორდინაციის გაადვილების მიზნით, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე შეიქმნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისათვის არსებული სერვისების ჩამონათვალის სამუშაო ვერსია, რომლის მუდმივი განახლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერაა უზრუნველყოფილი შემდეგი მიმართულებებით: რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის სერვისის გამწევი ორგანიზაციების ჩამონათვალი, მათ მიერ შემთავაზებული სერვისები, სერვისების შეთავაზების ხანგრძლივობა, და ა. შ.

სტრატეგიის მიზანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, არსებული რესურსების გათვალისწინებით, რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სრულფასოვანი განხორციელებისთვის ხელშეწყობაა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციის ღონისძიებები საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხორციელდება მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებული პირის ინფორმირებული ნებართვით თანხმობის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური

თანამშრომლობითა და მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში უშუალო მონაწილეობით.

რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია ვრცელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლსა და დაზარალებულზე, მიუხედავად იმისა, მოთავსებულია თუ არა იგი თავშესაფარში (იქნება ეს ბათუმის თუ 2007 წლის სექტემბერში გახსნილი თბილისის თავშესაფარი) და თანამშრომლობს თუ არა გამოძიებასთან.

სტრატეგია ეფუძნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონს, რომლის თანახმად: „სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს“ (მუხლი 4.2).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მუშაობას რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმების მიმართულებით, რაც ხშირ შემთხვევაში განიხილება, როგორც წინაპირობა და პირველი ნაბიჯი სხვა ქვეყნებთან შრომითი უფლებებისა და კანონიერი დასაქმების თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების დადების მიმართულებით. კერძოდ, 2007 წლის 6 სექტემბერს ხელი მოეწერა რეადმისიის შეთანხმებას გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის. გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები შემდეგ ქვეყნებთან: ლატვიის რესპუბლიკა, ბენელუქსის ქვეყნები, ავსტრია, საფრანგეთის რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ლიტვის რესპუბლიკასთან, ჩეხეთის რესპუბლიკასთან, შვედეთის სამეფოსთან და ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმებათა გაფორმების მიზნით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ხერხია დანაშაულის არსისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ადამიანთა ცნობიერების ამაღლება.

ამ თვალსაზრისით საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა: მომზადდა ვიდეორგოლი, რადიოგადაცემა, ბეჭდვითი საინფორმაციო მასალა, მოენყო საჯარო დისკუსიები საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ტრენინგები სპეციალური სამიზნე ჯგუფებისათვის, როგორებიცაა სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, სტუდენტები, პროკურორები, შსს გამომძიებლები, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, მოსამართლეები, ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დამატებით მოხდა სპეციალურ სამიზნე ჯგუფად სამხედრო მოსამსახურეების გამოყოფა.

2007 წლის 8 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატება იქნა შეტანილი – ახალი 143^ე მუხლი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას აცხადებს დასჯად ქმედებად. საკანონმდებლო ნოვაციის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც მაყურებელს აწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა კანონმდებლობით დასჯადია. ვიდეორგოლი მოუწოდებს ყველას, ვისაც აქვს ინფორმაცია ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით, მიანოდონ ის სახელმწიფო ფონდის, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზებს.

ფართო საზოგადოებისთვის მომზადებულ ვიდეორგოლში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი იმ ასპექტზე გაკეთდა, რომ არა მხოლოდ უშუალოდ ტრეფიკერი, არამედ ნებისმიერი ის ადამიანი, რომელმაც შეგნებულად, რაიმე ფორმით შეიძლება ისარგებლოს ტრეფიკინგის მსხვერპლის ნებისმიერი მომსახურებით, დანაშაულს ჩადის.



ადამიანის ექსპლუატაციის ყველა ფორმასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნის შემცირების თემის და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნოვაციის – ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის აკრძალვის, მასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხების გაცნობის მიზნით ჩატარდა საჯარო დისკუსიები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ამასთან, გვინდა გამოვყოთ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებული შეხვედრები საჯარო სკოლების მასწავლებლებთან, სტუდენტებსა და უფროსკლასელებთან, სადაც პასუხი გაცეა კითხვებს სახელმწიფოს მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით. გვინდა, ხაზი გავუსვათ ტრეფიკინგის თემაზე ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ უახლესი მეთოდების გაცნობისა და მათი დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური ტრენინგები ჩატარდა ისეთი სამიზნე ჯგუფებისათვის, როგორებიცაა მესაზღვრეები, საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები, საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები, უზნის ინსპექტორები, ჯანდაცვის სამინისტროსა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები.

ამასთან, მომზადდა მცირე ზომის სამახსოვროები ჯარისკაცებისთვის ტრეფიკინგის დანაშაულისა და იმ საკონტაქტო ნომრების ჩამონათვლით, რომელსაც უნდა დაუკავშირდეს ჯარისკაცი საქართველოს ფარგლებს გარეთ სამსახურში ყოფნისას ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ეუთოს მხარდაჭერით 2007 წლის ივნისში შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემასთან დაკავშირებული კვლევების მაკოორდინირებელი ჯგუფი.

ჯგუფის მიზანია, შეასრულოს ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებული კვლევების კოორდინაციის პლატფორმის როლი, სხვადასხვა კვლევითი ინიციატივის ურთიერთშევესება და თავიდან აიცილოს დუბლირება. ეს კი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის შემადგენელი ელემენტია.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის უახლესი მეთოდების გაცნობის მიზნით ჩატარდა სპეციალური ტრენინგები პროკურატურების, შსს სოფ-ის და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის. მიღებულმა ცოდნამ ხელი უნდა შეუწყოს სამათალღამცავ ორგანოებს დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლაში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს მინიმალური საერთაშორისო სტანდარტების დაცვაში.

საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიეცა 2 პირს. ფონდის თავშესაფარში იმყოფება 5 ადამიანი: 2 დაზარალებული, 3 მსხვერპლი; 2 ბავშვი. დეკემბერში წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებულ იქნა თავშესაფრის 2 ბინადარი.

გარდა ამისა, გაიხსნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მეორე თავშესაფარი ქ. თბილისში, სადაც ამჟამად იმყოფება 3 დაზარალებული და 1 მსხვერპლი, 1 ბავშვი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის განმავლობაში ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება 38 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო. მათგან 2007 წლის მეორე ნახევარში გამოძიება 17 საქმეზე დაიწყო. 2007 წლის განმავლობაში სასამართლოში წარიმართა 18 სისხლის სამართლის საქმე, ამათგან 13 – 2007 წლის მეორე ნახევარში. 2007 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენის გამო 18 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენი 15 სისხლის სამართლის საქმეზე დადგა, აქედან 2007 წლის მეორე ნახევარში – 5 განაჩენი. სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი საშუალოდ 13-14 წლით თავისუფლების აღკვეთაა.

2007

საანგარიშო პერიოდში, 2007 წლის პირველ ნახევართან შედარებით, შემცირდა რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტების რიცხვი. სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა სულ 13 განცხადება. ამ ფაქტების უმეტესი ნაწილი იეჰოვას მოწმეებს ეხება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუკი 2007 წლის პირველ ნახევარში იეჰოვას მოწმეთა დევნის ფაქტებზე ოცი განცხადება შემოვიდა, მეორე ნახევარში ეს რიცხვი ცხრამდე შემცირდა. გარდა ამისა, ორი განცხადება მუსლიმთა მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებებს, კერძოდ, მეჩეთით სარგებლობასა და მის აღდგენასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს შეეხება.

აღსანიშნავია, რომ რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით შსს-სა და საქართველოს პროკურატურის საქმიანობა უფრო შედეგიანი გახდა. სამართალდამცავი სტრუქტურები, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით ეფექტურად ახდე-

ნენ რეაგირებას რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ და დისკრიმინაციულ ფაქტებზე. თუმცა, ხშირად ამგვარი რეაგირება ისევე სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად ხდება. სამართალდამცავი ორგანოები ამგვარ ფაქტებზე გამოძიებას ძირითადად სსკ 142-ე მუხლით იწყებენ (ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა). იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული 9 შემთხვევიდან ოთხზე საქმის წარმოება 142-ე (I) მუხლით დაიწყო, მათ შორის ორ შემთხვევაში მოხდა სსკ 118 (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 239-ე (ხულიგნობა) მუხლების გადაკვალიფიცირება 142-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ერთ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა), ხოლო ზაზა ბერიშვილის საქმეზე გამოძიება დაიწყო სსკ 156-ე მუხლით (დევნა).

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში არცერთი განცხადება არ შემოსულა საჯარო სკოლებში დისკრიმინაციულ ფაქტებთან დაკავშირებით. მხოლოდ ერთი განცხადება უკავშირდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის №3 საბავშვო ბაღში რელიგიის სწავლებას, რაც ეწინააღმდეგება აღსაზრდელთა უმრავლესობის რწმენის თავისუფლებას, თუმცა, ეს ფაქტი შესწავლის შედეგად არ დადასტურდა.

აღსანიშნავია ქართულ მედია-საშუალებებში რელიგიური უმცირესობების ნეგატიური და სტერეოტიპული გაშუქებაც.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება „სადავო ეკლესიების“ საკითხი. კერძოდ, საქმე ეხება რამდენიმე ეკლესიას, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ჩამოერთვათ სომხურ სამოციქულო და კათოლიკურ ეკლესიებს და რომელთა კუთვნილების საკითხი დღემდე ვერ გადაწყდა. მართალია, 2007 წელს თითქოს დაიწყო დიალოგი ამ თემაზე, მაგრამ რეალური ცვლილება არ მომხდარა. საჭიროა სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელშიც დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას და რომელიც ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას.

წინა მოხსენებების შემდეგ არ შეცვლილა მდგომარეობა „საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ელკესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების მოგვარებაშიც. კერძოდ, სახელმწიფოს არ განუხორციელებია რაიმე ძალისხმევა შეთანხმების ისეთი პუნქტების მოგვარებაში, როგორცაა მე-19-მე-20 საუკუნეებში ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაცია (მუხლი 11); ასევე, მოლაპარაკება აწარმოოს იმ სახელმწიფოებთან „მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობების, აგრეთვე საეკლესიო ნივთის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე“ (მუხლი 10);

2007

პოლიტიკური დევნა

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რაც შეიძლება სწრაფად და ობიექტურად გამოძიებულ იქნას თითოეული სისხლის სამართლის საქმე და დაისაჯოს ყველა პირი, ვინც აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობდა.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

10. ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ქართულმა სასამართლოებმა თავი შეიკავონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების გამოყენებისაგან თუ უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება საპროტესტო აქციის მონაწილის მხრიდან ძალადობის ფაქტი.

11. რეზინის ტყვიის გამოყენების გამო დადგეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ ივანე მერაბიშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე მოხდეს ამ საქმის გამოძიება და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა იმ პირს, ვინც მიიღო რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, ასევე მათ ვინც შეასრულა აღნიშნული უკანონო ბრძანება.

12. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უზრუნველყოს ეფექტური გამოძიების წარმოება 2-7 ნოემბრის მოვლენებში დაზარალებულ პირთა: რატი მაისურაძის, კობა ჭითანავას, ნიკა მაჭუტაძის, ბიჭიკო მშვიდლობაძის და სხვათა საქმეზე.

13. დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის მიზნით დადგენილ იქნეს იმ სამართალდამცავთა ვინაობა, ვინც დაარღვია პოლიციის ორგანოთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეძახილებით გამოხატავენ თავიანთ მხარდაჭერას ერთი პოლიტიკური ლიდერის მიმართ, ასევე შეურაცხყოფასა და ანტისემიტურ გამონათქვამებს მეორის მიმართ.

14. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეისწავლოს ცრემლსადენი გაზის, რეზინის ხელკეტის, სპეციალურ საღებავის გამოყენების პროპორციულობის საკითხი.

15. დეტალურად იქნეს შესწავლილი საპროტესტო აქციის დაშლის დროს ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. დაუბრუნდეთ მათ ჩამორთმეული აპარატურა და გადაღებული ვიდეომასალა.
16. ავთანდილ ჯორბენაძის, ნინო სოსელიას, დაჩი ბერიძის, თეიმურაზ თოფურია, ოთარ მუჯირიშვილის, ვახტანგ ინასარიძის, გიორგი თევდორაშვილის, ნიკა დიდიშვილის, გიორგი თოფურიას და 7 ნოემბერს დაზარალებულ სხვა პირთა მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნენ მიცემული სამართალდამცავი ორგანოს შესაბამისი წარმომადგენლები.
17. გაირკვეს 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის მონაწილეობის საფუძველი და პასუხისგებაში იქნენ მიცემული შესაბამისი თანამდებობის პირები.
18. 2007 წლის 28 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს გამოვლენილი სამსახურეობრივი გულგრილობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მეგის ქარდავა და ზუგდიდის შს სამმართველოს უფროსი კობა ნარსია.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს პარლამენტს:

- მედიაში სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეფექტური საკანონმდებლო გარანტიების შემუშავება და მიღება;
- საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლში. ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს ის პირი, რომელმაც ეს ქმედება ჩაიდინა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- დისციპლინურ პასუხისგებაში იქნეს მიცემული მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი „ტელევიმედის“ ქონებაზე ყადაღის დადებისა და ლიცენზიით სარგებლობის აკრძალვის შესახებ 2007 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული ბრძანების მიღებისათვის.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- დაიწყო წინასწარი გამოძიება მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურეობრივი სიყალბის ფაქტზე;
- დაიწყო წინასწარი გამოძიება პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ გ. ქაჯაიას მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურეობრივი სიყალბის ფაქტზე;
- გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის კანონიერების საკითხი და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს სპეცოპერაციის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ყველა თანამდებობის პირი;
- გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს ტელეკომპანიების „კავკასიისა“ და „TV-25“-ის, ასევე რადიო „იმედის“ მიერ მაუწყებლობის შეწყვეტის კანონიერების საკითხი და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირი, ვინც გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული მედია საშუალებების სიგნალის გათიშვის თაობაზე;
- გურჯაანის შს სამმართველოში შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტების მიერ ნანა ჯაფარაშვილის ბინის ხელყოფის ფაქტზე;
- დაიწყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ყველა



ის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი, ვინც გამოიყენა გადამეტებული ძალა „ტელეიმედ-ში“ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს;

- რადიო „ჭერეთის“ მიმართ განხორციელებული მუქარისათვის სისხლისამართლებრივ პასუხის-გებაში იქნეს მიცემული მოქალაქე ისაკო ცვიფურიშვილი. მასვე დაეკისროს სისხლისამართ-ლებრივი პასუხისმგებლობა 2008 წლის 5 იანვარს უურნალისტ ხათუნა გოგაშვილის მიმართ გან-ხორციელებული მუქარის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშემ-ლისათვის;
- საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო წინასწარი გამოძიება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 7 ნოემბერის №20 შეგნების აქტის და №66 რიგგარეშე საგან-გებო სხდომის ოქმის გაყალბების ფაქტზე.

კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას:

- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იზრუნოს ერთგვაროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, კერძოდ კი, თავი შეიკავოს ლიცენზიის მფლობელების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობისაგან;
- საკაბელო ტელეკომპანია „მაესტროსათვის“ სანქციების დაკისრების ნაცვლად საჭიროების შემ-თხვევაში უზრუნველყოს მისი ლიცენზიის მოდიფიცირება.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები – ფაქტები და რეკომენდაციები

საარჩევნო პროცესის დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას საქართველოს ამომრჩევლის ურყევი ნება, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელი-სუფლების ფორმირებაში თანასწორი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით. იმისათვის, რომ ამომრჩეველმა შეძლოს არა მხოლოდ ნების გამოვლენა დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბა-მისობაში, არამედ ასევე უზრუნველყოფილ იქნას მის მიერ გამოვლენილი ნების სრულყოფილი ასახვა არჩევნების შედეგებში, აუცილებელია ხელისუფლების მიერ დაუყოვნებლივ იქნას მიღებულ სათა-ნადო ზომები, კერძოდ:

- პირველ რიგში, პროკურატურის მიერ თანმიმდევრულად და კანონის განუხრელი დაცვით იქნას გამოძიებული ყველა ის ფაქტი, რომელიც წინასაარჩევნო, არჩევნების დღის თუ კენჭისყრის შემდგომ პერიოდში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებს უკავშირდება. გამოძიების შედეგე-ბის შესაბამისად, კანონის სრული სიმკაცრით იქნას დასჯილი ყველა სამართალდამრღვევი, რათა შეიქმნას სერიოზული პრეცედენტები აღნიშნულ სფეროში არსებული დაუსჯელობის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ინფორმაცია ამ მიმართულებით გატარებული ზომების შესახებ გახდეს მაქსი-მალურად საჯარო;
- საარჩევნო კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს; გამოირიცხოს საარჩევნო კოდექსში საერთაშორისო სტანდარტებთან და კონსტიტუციასთან შეუსაბამო, ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების, ხარვეზების არსებობა, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას კოდექსის ნორმების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა;
- გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები საპარლამენტო არ-ჩევნებისას მოქმედი საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიისა და ეუთოს ერთობლივი დასკვნის მიხედვით, ისეთი საარჩევნო სისტემის გამოყენება, რომლითაც გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი (ე.წ. “winner takes all”) საპარლამენტო არჩევნე-ბისათვის საკმაოდ უჩვეულოა, შესაბამისად, რეკომენდირებულია საქართველოს პარლამენტმა ყურადღებით განიხილოს აღნიშნული სისტემის მიზანშეწონილობა.¹³⁴ აუცილებელია ასევე საარ-

¹³⁴ Joint Opinion of the Election Code of Georgia by the Venice Commission and the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Adopted by the Council for Democratic Elections at its 19th meeting (Venice, 16 December 2006) and the Venice Commission at its 69th plenary session (Venice, 15-16 December 2006), §44,45.

ჩვენო ბარიერის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სტანდარტი ამ შემთხვევაში 3-დან 5%-მდე მერყეობს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 1477(2006) რეზოლუციის მეშვეობით პირდაპირ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო ბარიერი 5%-მდე შეამციროს;

- დაიხვეწოს და მკაფიოდ გაიმიჯნოს ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილება, განსაკუთრებით მათი კომპეტენცია საჩივრების განხილვასა და შესაბამისი გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; განისაზღვროს საარჩევნო დარღვევების გასაჩივრების, აღნიშნული საჩივრების განხილვის ზუსტი და სრულყოფილი წესები, რაც გასაჩივრებას არა მხოლოდ ფორმალურ მექანიზმად დატოვებს, არამედ რეალურ ბერკეტად აქცევს;
- მკაფიოდ განისაზღვროს საარჩევნო პროცესის მონაწილეთა დაშინების ან მათზე ნებისმიერი ფორმით ზეწოლის მოხდენის, მათ შორის ამომრჩეველთა „მოსყიდვის“ აკრძალვა და დამრღვევთა მიმართ გატარდეს სათანადო ღონისძიებები;
- იმისათვის, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით სარგებლობდეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელმწიფო ორგანოებისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე, რისთვისაც აუცილებელია დეტალურად განისაზღვროს და გამკაცრდეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება. სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები დეტალურად უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობით, ხოლო შესაბამისი მოთხოვნების დამრღვევთათვის პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები უნდა დადგინდეს;
- სახელმწიფო უწყებებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა აღმოიფხვრას ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები და უზუსტობები; კენჭისყრამდე საკმაო ხნით ადრე უნდა მოხდეს საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი მონაცემთა ბაზის გადამოწმების სათანადო შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მომავალ არჩევნებში აღარ უნდა იყოს დამატებითი სიებით ხმის მიცემის შესაძლებლობა;
- მიღებულ იქნას ყველა სათანადო ზომა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყველა იმ ინფორმაციის საჯაროობისა და პროცედურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რისი ცოდნაც აუცილებელია ამომრჩევლისათვის თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად. აღნიშნული ზომები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფორმალური, თუნდაც საკანონმდებლო დებულებებით და მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი ქმედითობა. აუცილებელია მაქსიმალური საჯაროობა იქნას უზრუნველყოფილი თავად საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოში როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი ქვემდგომი კომისიებიდან საარჩევნო დოკუმენტაციის შემოსვლის, შედეგების შეჯამებისა და საჩივრების განხილვის დროს;¹³⁵
- დაიხვეწოს კამპანიის ფონდების სამართლებრივი რეგულირება, კერძოდ ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ დაფინანსების ოდენობისა და წყაროების, არამედ ხარჯვითი ნაწილის შესახებაც, ამავდროულად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთელი საარჩევნო პროცესის მანძილზე, როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდგომ.
- საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს იმ ვადებში, რაც შესაძლებლობას მისცემს საარჩევნო ადმინისტრაციას, შემუშავდეს და განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა წევრის მომზადების სათანადო პროგრამა.

აუცილებელია, სასამართლო ხელისუფლება მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდოს საარჩევნო დავების განხილვის საკითხებს და განუხრელად დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას.

¹³⁵ ვენეციის კომისიის მიერ 2002 წლის 5-6 ივლისს მიღებულ „მართებული პრაქტიკის კოდექსში საარჩევნო სფეროში“ მითითებულია, რომ „ნებისმიერი კომპიუტერული ოთახი, სატელეფონო კაბინა, ფაქსები, სკანერები და ა.შ. უნდა იდოს შემოწმებისათვის ღია“.



საზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების გატარება და შემდგომში მათი ქმედითობის უზრუნველყოფა აუცილებელია იმისათვის, რომ მოქალაქეთა ნდობა საარჩევნო პროცესისადმი აღდგეს, რადგან არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია, პირველ ყოვლისა, ამომრჩევლის მიერ უნდა მოხდეს და იმ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოში ხელისუფლების წყაროს სწორედ ამავე სახელმწიფოს მოქალაქეები წარმოადგენენ.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში – არჩევნებში მონაწილეობის უფლება

ფსიქიატრიულ დაწესებულებებს:

- საჭიროა, გაგრძელდეს პაციენტთა პირადობის მონმობებთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარება, რათა ყველა ქმედუნარიან პაციენტს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.
- წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელია პაციენტთა მეტი ინფორმირება საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.
- საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები სისხლის სამართლის საქმეზე არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღსადგენად.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უკეთ ინფორმირება კენჭისყრის პროცედურის შესახებ, რაც შესაძლოა გაკეთდეს წინასწარ როლური თამაშების ორგანიზებით ან სპეციალური საინფორმაციო კლიპის ჩვენებით.
- აუცილებელია, ცესკომ ჩაატაროს შესაბამისი მუშაობა უნარშეზღუდულ ადამიანთა უფლებების შესახებ, რათა აღმოიფხვრას საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ პაციენტების ღირსების შელახვის ფაქტები.

სასჯელაღსრულების სისტემა

1. სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მეტი ყურადღება გამახვილდეს კომისიების ანგარიშებზე. ამასთან, პერმანენტულად მოხდეს კომისიის წევრების გადამზადება და მათი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყოს საჭირო მინიმალური რესურსი (სანვავი, საკანცელარიო ნივთები, ტელეფონი და ა.შ).
2. რეკომენდაცია: საჭიროა, მოგვარდეს პატიმართა პირადობის მონმობებთან დაკავშირებული პრობლემები, რათა ყველა პატიმარს შემდგომში მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელია პატიმართა ინფორმირება საარჩევნო პროცესის, კანდიდატების, მათი წინასაარჩევნო პროგრამების და ბიულეტენების შინაარსის შესახებ.

სიკვდილობის დონე, მასზე მოქმედი ფაქტორები და მიზეზები საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში

1. პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაუბრუნდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულირების სფეროს;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზა დაუბ-

რუნდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობის და რეგულირების სფეროს;

(განმარტება)

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 4) განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს საექიმო სპეციალობათა ნუსხას. მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით, კი „სასამართლო მედიცინა“ წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი 21 საექიმო სპეციალობიდან ერთ-ერთ ძირითად სპეციალობას. გარდა ამისა, საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კი განმარტებულია (მუხლი 53, პუნქტი 2) რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს „სამედიცინო დაწესებულების ფუნქციას“. იმავე კანონის 153² მუხლის შესაბამისად: „1. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება სათანადო ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლია მხოლოდ შესაბამისი სპეციალობის მქონე ექიმს.; 2. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა და სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესს განსაზღვრავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ეს არის ექიმი ანუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, ხოლო დაწესებულება (ანუ როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს – „საექსპერტო დაწესებულება“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ „სამედიცინო დაწესებულებას“. (მუხლი 53. – „1. სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. სამედიცინო დაწესებულების ფინანსურ რესურსებში სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ნაწილი შეადგენს არანაკლებ 75% -ისა, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა დაკავებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ფუნქციების განსახორციელებლად.)

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არის კანონით განსაზღვრული და ექიმის მიერ ჩატარებული გამოკვლევები ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ წარმოშობილი კონკრეტული სამედიცინო საკითხების გადასაწყვეტად. ე.ი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სასამართლო მედიცინის პრაქტიკული ნაწილია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 8 დეკემბრის №1549 ბრძანების შესაბამისად ჩამოყალიბდა სსიპ – სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, რომელშიც სტრუქტურული ერთეულების სახით შევიდა სამედიცინო, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის სამსახურები. ამ ნორმატიული აქტის ძალაში შესვლით, პრაქტიკულად განყდა სასამართლო მედიცინოს კავშირი ჯანდაცვის სფეროსთან, რამაც შედეგად მოიტანა ექიმ ექსპერტთა პროფესიული დონის კრიზისი და დარგში კადრების დეფიციტი. სასამართლო ექსპერტიზის ჯანდაცვის სისტემისაგან მოწყვეტამ სისტემა გადააქცია ე.წ. „ძალოვან სტრუქტურად“, რომელში მომუშავე ექიმები პრაქტიკულად მოკლებული აღმოჩნდნენ სამედიცინო პროფესიულ და ეთიკურ სანდარტებს.

განხილული საკითხების ფონზე გაურკვეველია თუ რატომ უნდა წარმოადგენდეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფს, მაშინ როცა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის, როგორც უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირის, კომპეტენცია მოიცავს მხოლოდ სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხებს, რომლებიც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების ან სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

გარდა ამისა იქმნება აშკარა კანონშეუსაბამოები პრაქტიკული საქმიანობის დროს. მაგალითისათვის შესაძლებელია მოვიყვანოთ ფაქტიურად „შებოჭილი“ და სამედიცინო სფეროდან მკვეთრად გაშუსული სასამართლო ფსიქიატრია. საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 14 ივლისის



საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მუხლი 24-ის მიხედვით „აკრძალულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება წინასწარი გამოძიების განმახორციელებელი ორგანოების ან მათ დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულების მიერ“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით კი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიების მწარმოებელ ორგანოს.

მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან გამომდინარე ამკარაა, რომ არსებულ სიტუაციაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დაბრუნებას ჯანდაცვის სისტემაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით დარგისათვის ასევე მართლმსაჯულებისათვის. უპრველეს ყოვლისა გასავალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ეს არის უპირველეს ყოვლისა – ექიმი. ექიმის რომელიმე უწყებისადმი, და განსაკუთრებით იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარება საფრთხეს უქმნის სამედიცინო პროფესიის დამოუკიდებლობას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი განმარტავს, რომ სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას სამედიცინო პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივის და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგვრძობის პრინციპებით, აგრეთვე, პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის „პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი“. აღნიშნული დებულება იმავე კანონში კვლავაც განმტკიცებულია 34-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც „ექიმის პროფესია თავისი არსით თავისუფალი პროფესიაა. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია, ხელისუფლების წარმომადგენელმა ან კერძო პირმა მოსთხოვოს ექიმს ამ კანონში მოცემული პრინციპების, საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების სანინაღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ყოველგვარი ქმედება, რაც ხელს უშლის სამედიცინო პერსონალს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ დასახოს გეგმა სასამართლო მედიცინის დიპლომისშემდგომი პროგრამების ასამოქმედებლად და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს რეზიდენტთა მომზადება აღნიშნულ დარგში;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ დაიწყოს აქტიური საქმიანობა სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით;
5. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ ყველა პაციენტთა მიმართ, რომლებიც გადიოდნენ რაიმე სახის მკურნალობას ან იღებდნენ სამედიცინო მომსახურებას, ჩატარდეს კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები, რათა შეფასდეს ჩატარებული მკურნალობის ხარისხი და გამოვლინდეს ის სამედიცინო შეცდომები, რომლებიც სავარაუდოდ ხდება სიკვდილის მიზეზი;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, საქართველოს პროფესიულ სამედიცინო ასოციაციებთან და სამედიცინო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყოს პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის კომპლექსური შესწავლა;
7. პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემის შესახებ პერიოდულად გამოქვეყნდეს ეპიდემიოლოგიური ცნობები (შესაბამისად უნდა ჩატარდეს შესწავლა და ყველა სათანადო ღონისძიება);
8. გადაიხედოს, გაუქმდეს ან შეიცვალოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №717 ბრძანება – „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის №486 ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების დოკუმენტაციის დროებითი ფორმების დამტკიცების შესახებ“;

9. განისაზღვროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (დაუყოვნებლივ);
10. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყოს შესწავლა და რეაგირება იმ ფაქტებზე, რომლებშიც იკვეთება დანაშაულის კვალი (ასეთი არაერთი იქნა ჩვენს მიერ გადაგზავნილი პროკურატურაში);
11. საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციას ეთხოვოს წარმოადგინოს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს შიდა დაავადებულ გარდაცვლილთა სასამართლო-სამედიცინო გაკვეთა უსაფრთხოების კომპონენტის გათვალისწინებით.
12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, როგორც სახელმწიფო მაკონტროლებელს შეექმნას ადეკვატური სამუშაო პირობები პენიტენციური სისტემის სამედიცინო პროფილის დანესებულებებში და უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის მოხელე და თანამდებობის პირი, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს ზემოთ აღნიშნულ სააგენტოს კონსტიტუციურ ფუნქციის განხორციელებაში – გააკონტროლოს საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი ჯანდაცვის დანესებულება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, პუნქტი 2).

კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ

1. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რათა ქურთის თემის სოფელ თამარაშენში გაიხსნას სახალხო დამცველის რეგიონული ოფისი, კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური დაცვის მიზნით.
2. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რათა განხორციელდეს სახალხო დამცველის უშუალო ჩართვა სამშვიდობო პროცესებში, ადამიანის უფლებათა საკითხების პოპულარიზაციის მიზნით.
3. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა უმოკლეს ვადაში გამოსცეს დადგენილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის, ასევე კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ, რათა დაიწყოს „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კომისიის შექმნისა და კანონის სათანადო იმპლემენტაციის პროცესი.

დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

1. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, პირად კონტროლზე აიყვანოს დევნილთა რეგისტრაციის პროცესი, უშუალოდ ჩაერთოს ყველა იმ განცხადების განხილვაში, რომელიც დაკავშირებული აღნიშნულ პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან.
2. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა გამოიძებნოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება გალის რაიონში მცხოვრები დევნილების განცხადებების განხილვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.
3. წინადადებით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა გადასინჯოს დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა, ხოლო საარსებო მინიმუმს მიახლოებული ახალი მონაცემი ასახოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში.
4. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რათა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ერთჯერადი ფულადი შემწეობის გაცემის წესი, საფუძვლები და მის მიღებაზე უფლებამოსილი პირები.



ლტოლვილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

1. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს მთავრობას, რათა „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონით ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთათვის განკუთვნილი სოციალური გარანტიების იმპლემენტაციის მიზნით, შესაბამისი ხარჯები ასახოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში.
2. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიციის პროცესი.
3. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების სახით აზერ სამედოვისათვის შერჩეული გირაოს გაუქმება.
4. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა აზერ სამედოვს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი პირადი ნივთები და ფული, რომელიც მას ჩხრეკისას ჩამოერთვა.

ინფორმაციის თავისუფლება

წინადადებით მივმართავ საქართველოს პარლამენტს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და დამრღვევ ორგანიზაციას სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაცემის ვალდებულებასთან ერთად დაეკისრება ფინანსური სანქციებიც.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამების შემუშავებამდე მოხდეს შშმ პირთა საჭიროებების კვლევა და მხოლოდ შემდგომ განისაზღვროს ის სფეროები და მომსახურებები, სერვისის ტიპები რომელსაც პროგრამები გაითვალისწინებს.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო პროგრამების შესახებ სამიზნე ჯგუფების ინფორმირება.
3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური სამსახური ან დაევალოს რომელიმე უკვე არსებულ ორგანოს იმავე კოდექსის 178¹ და 178² მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესრულება.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდეს გარკვეული სისტემა და პროგრამები, რომელიც გაითვალისწინებს შშმ პირთა პროფესიული განათლებას.
5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უმოკლეს დროში ზუსტად განსაზღვროს დასაქმების სფეროში კომპეტენტური ორგანო და შეიმუშავოს შშმ პირების დასაქმების ხელშესაწყობი ღონისძიებების სქემა.
6. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები შშმ პირთა პრობლემების აქტიურად და სწორად გაშუქების მიზნით.

მურმან კონცელიძის საქმე

2007 წლის 3 დეკემბერს ქ. ბათუმში 12 საათსა და 15 წუთზე პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის შტაბის წევრი მურმან კონცელიძე პოლიციის წარმომადგენლებმა დააკავეს. მისი განმარტებით, დილის 12 საათსა და 15 წუთზე იგი საკუთარი სახლის ეზოში ესაუბრებოდა მეგობარს გორა გელოვანს. ამავე ეზოში მდებარეობს ბათუმის შს სამმართველოს მე-2 განყოფილება, სადაც შეინიშნებოდა ხალხმრავლობა. მურმან კონცელიძის კითხვაზე, თუ რა ხდებოდა, იგი და გორა გელოვანი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პოლიციის 4 თანამშრომელმა დააკავა. მათ იგი გადაიყვანეს ბათუმის შს სამმართველოში, სადაც მათ წინააღმდეგ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევას თვითმხილველები ჰყავდა, არც ერთი მათგანი სასამართლოს სხდომაზე არ დაკითხულა. სასამართლომ მურმან კონცელიძეს სახდელის სახით 100 ლარის გადახდა დაეკისრა.

გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა დაკავება

2007 წლის 3 დეკემბერს 12 საათზე ქ. ბათუმში ხალხის პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მიხდია ჯა-

იანი, გოგიტა თავართქილაძე, კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე რუსლან კონცელიძე და ამავე პარტიის წევრები გელოდი ბერიძე და გარიკ თამარიანი დააკავეს. აღნიშნული პირების ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 3 დეკემბერს, დღის დაახლოებით 12 საათზე გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წევრები ბათუმის საზღვაო აკადემიასთან შეიკრიბნენ და ქ. ბათუმის თეატრის შენობისაკენ გაემართნენ, სადაც 7 და 8 ნოემბრის დარბევებთან დაკავშირებით და იმედის აღდგენის მოთხოვნით, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის ჩატარება იგეგმებოდა.

დაკავებულთა ახსნა-განმარტებით, მათ წინ გაჩერდა შავი ფერის მერსედესი, საიდანაც ოთხი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირი გადმოვიდა. მათ ახალგაზრდებს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, აღნიშნული შემთხვევის

27

დანართი 1: პოლიტიკური დევნა

2007

თვითმხილველია დაახლოებით 18 პირი. ახალგაზრდები გაიქცნენ ბულვარის მიმართულებით, სადაც მათ პოლიციის წარმომადგენლები შეამჩნიეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებმა პოლიციის წარმომადგენლებს განუმარტეს შემქნილი ვითარება, მათ არც უცდიათ სიტუაციაში გარკვევა. პირიქით, ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს საუბნო ქვეგანყოფილების მე-2 განყოფილების წარმომადგენლებმა ახალგაზრდები ადმინისტრაციული წესით დააკავეს და ბათუმის შსII სამმართველოში გადაიყვანეს. თითოეულ მათგანს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის შეეფარდა 100 ლარის ოდენობის ჯარიმა.

მინდია ჯაიანის, გოგიტა თავართქილაძის, რუსლან კონტელიძის, გელოდი ბერიძისა და გარიკ თამარიანის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში მითითებულია, რომ აღნიშნული პირები გადაადგილდებოდნენ ქ. ბათუმში რუსთაველისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაში, იგინებოდნენ და არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დაკავების თვითმხილველი იყო დაახლოებით 18 პირი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სამართალდამრღვევების მხრიდან ამგვარ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, სასამართლოს მიერ არც ერთი მათგანი მოწმის სახით არ დაკითხულა. სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია მხოლოდ უბნის ინსპექტორების ზ. ნულუკიძის და თენგიზ თეთრაშვილის ახსნა-განმარტების საფუძველზე. ეს ჩვენებები არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, უცენზურო სიტყვების წარმოთქმის ფაქტი მოგონილია პატრული-ინსპექტორების მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით. ახალგაზრდები მიუთითებენ, რომ მათ დაკავებას საფუძველად ედო პოლიტიკური შეხედულებები, პოლიციის თანამშრომელთა მიერ მოხდა მათი იდენტიფიკაცია. მათი დაკავებით ფაქტობრივად მოხდა დაგეგმილი საპროტესტო აქციის ჩაშლა.

მერაბ რატიშვილის საქმე

საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის წარმომავალია სისხლის სამართლის საქმე მერაბ რატიშვილის მიმართ. დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით.

მერაბ რატიშვილის განმარტებით, 2007 წლის 28 ოქტომბერს იგი შეხვედრიდან სახლში ბრუნდებოდა. მისი ავტომობილის წინ მოძრაობდა ჯიპის მარკის ავტომობილი, რომელიც ქიაჩელის ქუჩაზე უეცრად გაჩერდა. აღნიშნული ავტომანქანიდან გადმოვიდა რამდენიმე მერაბ რატიშვილისთვის უცნობი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა. მათ რკინის ხელკეტებით დაიწყეს მერაბ რატიშვილის ავტომანქანის საქარე მინების ჩამტვრევა და ითხოვდნენ კარის გაღებას. მერაბ რატიშვილი ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე წააქციეს, ხელები შეუკრეს ხელბორკილით. 5-6 კაცი დააჯდა ზემოდან, გადაუგრიხეს მარჯვენა ხელის ცერა თითი, რა დროსაც მან იგრძნო ჩხვლეტა მარჯვენა ბარძაყში. ცდილობდნენ მისთვის გაეშალათ თითები და მისთვის უცნობი საგნისთვის შეეხათ. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი იწვა ასფალტზე, რის შემდეგაც იგი ჩასვეს ჯიპში. მანქანაში მას ორივე მხრიდან უცნობი ახალგაზრდები ესხდნენ. მერაბ რატიშვილმა სთხოვა მათ ბორკილები შეეხსნათ, ვინაიდან ისინი მჭიდროდ ჰქონდა მოჭერილი, რაც ტკივილს აყენებდა. ერთ—ერთმა ახალგაზრდამ იგი თავისკენ შეატრიალა, რა დროსაც მერაბ რატიშვილმა კიდევ ერთხელ იგრძნო ჩხვლეტა მარჯვენა ბარძაყში. უცნობმა გაალო ავტომანქანის მარჯვენა კარი და სავარაუდოდ იქ მდგარ თავდამსხმელს გადაანოდა შპრიცი.

ამის შემდეგ, იგი მიიყვანეს ავტომანქანასთან, სადაც მერაბ რატიშვილის განმარტებით, იგი დააკავეს უკვე სოდ-ის თანამშრომლებმა. მათ მერაბ რატიშვილს განუცხადეს, რომ ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაში იყო ეჭვმიტანილი. სოდ-ის თანამშრომლები დაკავებისას და მისი მანქანის ჩხრეკისას აწარმოებდნენ ვიდეო გადაღებას. მათ მიერ მერაბ რატიშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა შპრიცი ნარკოტიკული ნივთიერებით. მერაბ რატიშვილი აღნიშნავს, რომ შპრიცი იდო მის კუთვნილ წიგნზე, რომელსაც ადგილმდებარეობა ჰქონდა შეცვლილი. სოდ-ის თანამშრომლებმა მოსთხოვეს მერაბ რატიშვილს აპყლოლოდა სახლში და კარები გაეღო მათთვის. ბინაში ამ დროს იმყოფე-

ბოდა მისი მეუღლე, რომელმაც გახსნა ბინის კარები. დაახლოებით 10 თანამშრომელი შევიდა სახლში მის მეუღლესთან ერთად, ხოლო მერაბ რატიშვილს არ მისცეს საშუალება დასწრებოდა ჩხრეკას, ასევე, არც მეზობლები დაასცრეს ამ პროცესს. მერაბ რატიშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან რამდენჯერმე მოითხოვა ჩხრეკის პროცესს დასწრებოდნენ მონმეები და მისი ადვოკატი, უარი განუცხადეს იმ მოტივით, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობდა. არც შსს-ს შენობაში გადაყვანის შემდეგ მისცეს მას საშუალება, დაკავშირებოდა ადვოკატს. მერაბ რატიშვილი დაკითხვისას შეუძლოდ გახდა, თუმცა, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, უარი განუცხადეს ექიმის მიყვანაზე. სწორედ აქ შეიტყო მან, რომ მისი ბინის ჩხრეკისას მისი კუთვნილი პიჯაკის ჯიბიდან ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება „მეტადონი“. დაკითხვის დასრულების შემდეგ მერაბ რატიშვილი გადაიყვანეს ნარკოლოგიურ დისპანსერში, სადაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

მერაბ რატიშვილი მის დაკავებას უკავშირებს ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჰქონდა ახლო კავშირი ოპოზიციის ლიდერებთან. მერაბ რატიშვილის განმარტებით, დაკავებამდე მასზე მუდმივად ხორციელდებოდა თვალთვალი, ისმინებოდა ტელეფონი. მერაბ რატიშვილი არის საქართველოს გოლფის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი. მან დაკავებამდე რამდენჯერმე შენიშნა, რომ ოფისში მისი კუთვნილი ნივთები გადაადგილებული, ხოლო კომპიუტერი შემონმებული იყო.

დაკავების შემდეგ მერაბ რატიშვილი თბილისის №5 საპრობილემში გადაიყვანეს. გადაყვანიდან ორ დღეში იგი გამოიძახეს ადმინისტრაციაში. დირექტორის კაბინეტში მას შეხვდა ორი უცნობი პირი. მათ სახელები და გვარები და არც თანამდებობა არ დაუსახელებიათ, თუმცა საუბარში აცხადებდნენ, რომ იყვნენ შს სამინისტროს თანამშრომლები. მათ მერაბ რატიშვილს შესთავაზეს თანამშრომლობა და სანაცვლოდ სისხლის სამართლის საქმის დახურვას დაპირდნენ.

მერაბ რატიშვილის განმარტებით, აღნიშნული პირები ძირითადად ინტერესდებოდნენ მერაბ რატიშვილის სამუშაო ოთახსა და კომპიუტერში არსებული ინფორმაციით. იგი, როგორც პოლიტოლოგი, ატარებდა კვლევას საქართველოს შიდა პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. აინტერესებდათ მისი კავშირები და თანამშრომლობა ოპოზიციის ლიდერებთან. დაინტერესდნენ ასევე მისი მოღვაწეობით რუსეთის ფედერაციაში და ოპოზიციის გეგმებით. აღნიშნული პირები მ. რატიშვილთან საუბრებს ინერდნენ დიქტოფონზე და მისგან ითხოვდნენ, არ გაეხმაურებინდა შეხვედრები, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ გაუსაძლისი პირობების შექმნით. საუბრებისას ისინი მიანიშნებდნენ, რომ ოპოზიციის ლიდერების ქმედება შედიოდა რუსეთის ინტერესებში, რაც მერაბ რატიშვილის მიერ უარყოფილი იქნა.

პირველი შეხვედრის შემდეგ მერაბ რატიშვილი გადაიყვანეს №2 საკანში, სადაც შედარებით უკეთესი პირობები და კარგი ჰიგიენური მდგომარეობა იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა ყველა შემოთავაზებაზე, ის კვლავ სხვა საკანში გადაიყვანეს. მერაბ რატიშვილი მიუთითებს ფსიქოლოგიურ ზენოლაზე, ამ პერიოდში, ის ჯერ №5 დანესებულებაში, შემდეგ, №8 დანესებულებაში გადაიყვანეს. ამ დროისათვის მ.რატიშვილი რუსთავის №6 დანესებულებაში იმყოფება.

მერაბ რატიშვილსა და მისთვის უცნობ პირებს შორის სულ 8-9 შეხვედრა შედგა. მათ შორის ბოლო 2007 წლის 20 ნოემბერს, რომელზეც აღნიშნულმა პირებმა მოითხოვეს გარკვეული ჩვენებები მერაბ რატიშვილისგან ოპოზიციური პარტიის ლიდერების წინააღმდეგ. ამ საუბრების დროს მერაბ რატიშვილს მოასმენინეს მისი და ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის საუბრის სატელეფონო ჩანაწერიც. თუმცა, სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ახსნა-განმარტების მიცემისას მან თავი შეიკავა ოპოზიციის ლიდერების დასახელებისაგან. მერაბ რატიშვილის უარის შემდეგ უცნობები დაემუქრნენ, რომ შეუქმნიდნენ გაუსაძლისი პირობებს და აიძულებდნენ მათთვის საჭირო ჩვენების მიცემას. ბოლო შეხვედრა შედგა 2007 წლის 20 ნოემბერს, რის შემდეგაც უცნობები აღარ გამოჩენილან.

ეჭვს, რომ ნარკოტიკები ჩადებულ იქნა პოლიციის მიერ, ადასტურებს შემდეგი გარემოებები: მერაბ რატიშვილის დაკავების შემდეგ, პრაქტიკულად დაარბიეს მისი ოფისი, ხოლო კომპიუტერებში მოთავ-



სებული ინფორმაციული დეტალები შესწავლილი იქნა. ბუნებრივია, თუკი არსებობდა ეჭვი ნარკოტიკულ დანაშაულზე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო მის კომპიუტერში.

მერაბ რატიშვილი ასევე მიუთითებს, რომ მთელი ამ დროის მანძილზე არ ჩატარებულა საგამოძიებო მოქმედებები, გამომძიებლებს მისთვის არ დაუსვამთ შეკითხვები აღმოჩენილ ნარკოტიკების წარმომავლობის ან მათი შექმნის შესახებ.

რევაზ კლდიაშვილის საქმე

2005 წლის 11 აგვისტოდან 2007 წლის 3 აპრილამდე რევაზ კლდიაშვილი მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. მას აქვს პოლკოვნიკის წოდება. რევაზ კლდიაშვილი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარია. ის არის პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი.

რევაზ კლდიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს, დღის 11:00 საათისათვის მისი კუთვნილი ავტომანქანით მეზობელთან, ვალიკო გაგნიძესთან ერთად მოძრაობდა ნაძალადევის რაიონში. ჟიჟიაშვილის ქ. №3-ს რომ მიუახლოვდნენ, მათ თავს დაესხნენ სამხედრო პოლიციის თანამშრომლები. ისინი 4 ავტომანქანით იყვნენ და მათი რაოდენობა 16-ს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი კარლო დოლიძე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი პაატა პაქსაშვილი და ვინმე ჭელიძე, რომელიც მას თავის არეში იარაღს ურტყამდა. რევაზ კლდიაშვილი აცხადებს, რომ მას ავტომანქანის საბარგულში ჩაუდეს AK-74 ტიპის ავტომატური იარაღი ერთი მჭიდით, ხოლო შარვლის უკანა მხარეს ჩაუდეს ვალტერის ტიპის იარაღი. შემდეგ, ის მიიყვანეს შს მთავარი სამმართველოს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში.

15 ნოემბერს ჩატარდა სასამართლო პროცესი რევაზ კლდიაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მას შეეფარდა 2 თვით წინასწარი პატიმრობა. სასამართლო განხილვისას რევაზ კლდიაშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ დაკავების შემდეგ განხორციელდა მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, სადაც ასევე განხორციელდა ფ-1 სისტემის ხელყუმბარის უკანონოდ ჩადება. რევაზ კლდიაშვილი აცხადებს, რომ დაკავებამდე მასზე ხორციელდებოდა თვალთვალი. თავად დაკავებული მის დაკავებასა და მისთვის იარაღის ჩადებას უკავშირებს პოლიტიკურ კუთვნილებას, კერძოდ პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრობასა და 2 ნოემბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით დედაქალაქში გამართულ მიტინგებში მონაწილეობას.

წარმოუდგენელია, რომ მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანი იმ პერიოდში, როცა მისი პარტიის ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილისა და მრავალი მისი თანამებრძოლის მიმართ სისხლის სამართლის დევნა ხორციელდებოდა და საქართველოში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, გადაადგილდებოდა ავტომანქანით, რომლის საბარგულშიც უკანონო იარაღი იდო. მით უმეტეს, სუბარია პოლიციის პოლკოვნიკზე, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს იარაღის ჩადება. თავად რევაზ კლდიაშვილის სახელს ადამიანის უფლებათა დამცველები არაერთ მსგავს უკანონო ქმედებას უკავშირებენ.

თამუნა ტლაშაძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა თეო ტლაშაძემ, მისი განცხადებით, მისი და, თამუნა ტლაშაძე გახდა პოლიტიკური დევნის მსხვერპლი. თამუნა ტლაშაძე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შიდა ქართლის ფილიალში იურისტად მუშაობდა. თამუნა ტლაშაძის განმარტებით, იგი 2007 წლის 12 ნოემბერს ფილიალის დირექტორმა ტარიელ მაზმიშვილმა დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. მიზეზად ადგილობრივი ხელი-

სუფლების წარმომადგენლების მხრიდან მასზე ზეწოლა დაასახელა, თუმცა მათი ვინაობა არ დაუკონკრეტებია. პირად საუბარში ტარიელ მაზმიშვილმა თამუნა ტლაშაძეს განუმარტა, რომ მისი დის, თეო ტლაშაძის პოლიტიკური მოღვაწეობა გალიზიანებას იწვევდა ხელისუფლების წარმომადგენლებში, რის გამოც მას მოსთხოვეს, ეიძულებინა ქ-ნი თამუნა, დაეტოვებინა სამსახური, რადგან „მტრის ოჯახის წევრი ხელფასს არ უნდა იღებდეს“. თამუნა ტლაშაძემ უარი განაცხადა განცხადების დანერაზე.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში თეო ტლაშაძე ერთიანი ეროვნული საბჭოს პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის შიდა ქართლის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა. ამის შემდეგ ზეწოლამ თამუნა ტლაშაძეზე იმატა. იგი იძულებული გახდა, 2007 წლის 19 დეკემბერს სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის ბატონ იარომირ ტესარის სახელზე დაენერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. აღნიშნულ განცხადებაში თამუნა ტლაშაძე საუბრობს მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. იგი მიუთითებს, რომ ტარიელ მაზმიშვილი პირდაპირ ეუბნებოდა მას, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ აიძულებდა თამუნა ტლაშაძეს დაეტოვებინა სამსახური, თავად მას შეექმნებოდა პრობლემები. მუდმივმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ აიძულა თამუნა ტლაშაძე დაენერა განცხადება, რომელიც დაკმაყოფილდა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ბ-ნ ტარიელ მაზმიშვილს, თუმცა დღემდე აღნიშნული საქმის შესახებ ახსნა-განმარტების მოპოვება ვერ მოხერხდა.

ნანი მღებრიშვილის საქმე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მომმართა მოქალაქე ნანი მღებრიშვილი, რომელიც 2006 წლიდან მუშაობდა ქალაქ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში. ბოლოს იყო სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და შიდაკონტროლის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტი. 2007 წლის 7 ნოემბერს განმცხადებლის განმარტებით, ის დაითხოვეს სამსახურიდან ყოფილ თავდაცვის მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან ნათესაური კავშირის გამო.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნანი მღებრიშვილი თბილისის საქალაქო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე 25 წელზე მეტხანს მუშაობდა. ამ პერიოდში მას რაიმე დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. უფრო მეტიც, თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში მუშაობის პერიოდში ის სპეციალისტიდან გახდა წამყვანი სპეციალისტი, რაც სამსახურეობრივ დანიშნულებაზე მეტყველებს.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 7 ნოემბერის N1620 განკარგულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის წერილის საფუძველზე ნანი მღებრიშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამას წინ უძღოდა სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და შიდაკონტროლის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა ნანი მღებრიშვილმა, რომელსაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციათა გადანაწილების შესაბამისად, ევალებოდა წერილების გატარება სათანადო ყურნალში და ადრესატამდე გაგზავნა, დაკარგა 2007 წლის 3 სექტემბერს სამსახურში შემოსული მოქალაქე ინა სარქისოვას განცხადება N1545 მასზე მომზადებულ პასუხთან ერთად. რითაც ნანი მღებრიშვილმა უხეშად დაარღვია სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2007 წლიდან სამი რეორგანიზაცია განხორციელდა. შესაბამისად, სამჯერ მოხდა იმ თანამშრომლების დანიშვნა, ვინც რეორგანიზაციის დასრულების შედეგად დარჩნენ სამსახურებში. სამართლებრივად ამ თანმიმდევრობითვე უნდა მომხდარიყო თანამშრომელთა შორის ფუნქციათა გადანაწილება სამსახურის უფროსის შიდა ბრძანების საფუძველზე. ნანი მღებრიშვილთან მიმართებაში მსგავსი ფუნქციათა გადანაწილება მოხდა მხოლოდ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5



იანვრის N1-ო ბრძანების საფუძველზე, რა დროსაც ის ჯერ კიდევ ითვლებოდა საერთო განყოფილების წამყვან სპეციალისტად. რეორგანიზაციის არცერთ შემდგომ ეტაპზე (2007 წლის 2 ივლისი, 22 ოქტომბერი) სამსახურის უფროსს არ გამოუცია რაიმე სახის აქტი თანამშრომელთა შორის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული თაობაზე.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მოქალაქე ნანი მღებრიშვილს არ უარყვია, რომ ის ნამდვილად მუშაობდა კანცელარიაში და ასრულებდა თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობას (თუმცა არ არსებობს ამ დოკუმენტის გაცნობაზე მისი ხელმოწერა, რაც შინაგანაწესის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტითაა გათვალისწინებული): „უზრუნველყო საკანცელარიო საქმის წარმოება, მოქალაქეთა და ორგანიზაციებიდან შემოსული და გასული კორესპონდენციის წარმოება, სათანადო ჟურნალებში აღრიცხვით. ადმინისტრაციული საქმის წარმოება (ჯარიმა, დადგენილება, შემონგების აქტი, მიწერილობა, უწყება). ექსპლუატაციების ბრძანებების აღრიცხვა. კანცელარიის დოკუმენტბრუნვის კომპიუტერული დამუშავება“. მაგრამ, ნ.მღებრიშვილი ასევე განმარტავს, რომ მისთვის უცნობია ვინ, როდის ან რა ვითარებაში დაკარგა მოქალაქე ინა სარქისოვას განცხადება, მით უფრო, რომ აღნიშნული განცხადება ჟურნალში მას არ გაუტარებია და რეგისტრაციის ჩანაწერი მისი ხელწერა არ არის.

საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ კანცელარიაში დოკუმენტებთან ასევე შეხება ჰქონდა სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და შიდა კონტროლის მთავარ სპეციალისტს თ. ონიანსაც. ქალაქ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა წარდგინება ნანი მღებრიშვილის დაკავებული თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათავისუფლების თაობაზე ისე გაუგზავნა ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციას, რომ არ იყო დადასტურებული სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის უხეში დარღვევის ფაქტი.

მოქალაქე ი.სარქისოვას განცხადების დაკარგვის ფაქტის აღმოჩენისთანავე ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. ხოლო ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ნანი მღებრიშვილი, როგორც დაინტერესებული მხარე, ამ პროცესში უნდა ჩაბმულიყო. „დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში“.

თუკი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდებოდა, რომ მოქალაქე ი.სარქისოვას განცხადება ზედამხედველობის სამსახურში მომზადებულ პასუხთან ერთად დაკარგა სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა ნანი მღებრიშვილმა და დოკუმენტის გაუჩინარებასთან სწორედ მას ჰქონდა უშუალო ან პირდაპირი კავშირი, მას, როგორც დაინტერესებულ მხარეს, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა მისცემოდა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადანყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი“. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა კანონიერი და მართლზომიერი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის განკარგულება N1620 ნანი მღებრიშვილის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას“, შესაბამისად ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს გამოცემული N1620 განკარგულება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, რადგან ამავე

მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“.

საქმის შესწავლის პროცესში ასევე გამოიკვეთა შემდეგი გარემოებაც. რუისპირის ჩიხის N6-ში მცხოვრები მოქალაქე ინა სარქისოვა, რომელმაც 2007 წლის 3 სექტემბერს ზედამხედველობის სამსახურში განცხადება შეიტანა შენობა-ნაგებობის კანონიერებისა და ტერიტორიის გამიჯვნის საკითხზე, მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს ოც წელზე მეტია და საცხოვრებლად უკრაინის რესპუბლიკაშია გადასული.

2007 წლის 27 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულების ზემოაღნიშნულ მისამართზე გამოცხადების შემდეგ, მეზობლებმა რიმა და ვალენაგ არუთინიანებმა ახსნა-განმარტების სახით დაგვიდასტურეს, რომ ინა სარქისოვას არც უცხოვრია არასდროს აღნიშნულ მისამართზე, აქ ცხოვრობდა მისი დედამთილი, რომელიც 25 წელზე მეტია გარდაცვლილია, ხოლო მათი ინფორმაციით ი. სარქისოვა უკრაინაშია წასული საცხოვრებლად. შესაბამისად, ი.სარქისოვა ვერც დაწერდა 2007 წლის 3 სექტემბერს განცხადებას და ვერც შეიტანდა აღნიშნულ სამსახურში.

თუ ვინ დაწერა ინა სარქისოვას სახელით განცხადება, როგორ აღმოჩნდა ის ამავე რეკვიზიტებით გატარებული მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოქალაქეთა მისაღებისა და სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და შიდაკონტროლის განყოფილების საკანცელარიო ყურნალებში, ნანი მღებრიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის, შესაბამის სამსახურებს დადგენილი არ ჰქონიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რადგან 2007 წლის 7 ნოემბრისათვის არ არსებობდა ნანი მღებრიშვილის სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიემართე ქალაქ თბილისის მერს გიგი უგულავას „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-601 მუხლის საფუძველზე ბათილად ეცნო 2007 წლის 7 ნოემბერს გამოცემული განკარგულება N1620 და აღედგინა მოქალაქე ნანი მღებრიშვილის დარღვეული შრომითი უფლება.

რეკომენდაციაზე პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

შალვა ტლაშაძის საქმე

შალვა ტლაშაძე 2007 წლის 2 ნოემბრიდან 5 ნოემბრამდე მონაწილეობდა ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციაში. 5 ნოემბერს შალვა ტლაშაძე დაბრუნდა გორში. 6 ნოემბერს, ღამის 21 საათსა და 10 წუთზე შალვა ტლაშაძე თავის მეგობართან, იოსებ ბორცვაძესთან ერთად მიდიოდა ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე საკვების საყიდლად. ამ დროს მათ მიუახლოვდა თეთრი ფერის „ნივა“, საიდანაც გადმოვიდა ორი ნიღბიანი და შავ ქურთუკში ჩაცმული ადამიანი. ვინაიდან მათი ინტერესის საგანს წარმოადგენდა შალვა ტლაშაძე, ამ უკანასკნელმა დატოვა მეგობარი და თავი შეაფარა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიას, სადაც იმყოფებოდა სამი პიროვნება.

ორი ქალბატონი წარმოადგენდა მაღაზიის პერსონალს, ხოლო მამაკაცი იყო მყიდველი. ეს უკანასკნელი წინ გადაუდგა მაღაზიაში შესულ ნიღბიანს. მან დასძლია უცნობი მამაკაცის წინააღმდეგობა, მიუახლოვდა შალვა ტლაშაძეს, რომელიც ამ დროს მაღაზიის დახლის ქვეშ იმალებოდა. ნიღბიანმა პირადმა შალვა ტლაშაძე ძირს დააგდო და სახისა და თავის არეში მას დაუნყო იარაღის ტარით ცემა. შალვა ტლაშაძე თავზე ხელებს იფარებდა, რის შედეგადაც იარაღის ტარი ხვდებოდა ხელის მაჯასა და მტევანზე. ამის შემდეგ ნიღბიანმა იარაღის ტარი ჩაარტყა კბილებში. შალვა ტლაშაძემ



ხელი პირზე აიფარა. ნიღბიანმა იარაღის ტარით ცემა ამჯერად თავის არეში, გამოთავისუფლებულ ადგილას გააგრძელა. შალვა ტლაშაძის ცემამ გასტანა 30-40 წამს. ამ შემთხვევას თვალყურს ადევნებდა მაღაზიის პერსონალის ორი წარმომადგენელი. მყიდველი მამაკაცი შალვა ტლაშაძის ცემის დაწყებამდე მაღაზიიდან გააძევეს. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

ზაალ ქორჩლადის საქმე

ზაალ ქორჩლადე შს სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა 2007 წლის 8 ნოემბერს. მას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) და 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) | ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ადვოკატის, ლეილა კობერიძის განმარტებით ზაალ ქორჩლადე საკუთარ სახლთან (ქ. თბილისი დიღმის მასივი, მე-6 კვარტლის მე-3 კორპუსი) სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი შს სამინისტროს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების თანამშრომლები: მ.მაჭარაშვილი, დ.ბესიაშვილი და დ.ცოცხალაშვილი იყვნენ. ზაალ ქორჩლადე პოლიციის მიერ ერთხელ უკვე იყო დაკავებული ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაზე და მას ადმინისტრაციული ჯარიმა ჰქონდა შეფარდებული, რომელიც იმ დროსთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადახდილი. მან პოლიციელებს უარი განუცხადა შემონების გავლაზე, რომელსაც უნდა დაედგინა, იმყოფებოდა თუ არა იგი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ამ ფაქტების გამო მას ბრალად წაეყენა 273-ე მუხლის დარღვევა. გარდა ამისა, მას ბრალად წაუყენეს 353-ე მუხლის დარღვევა (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ), თუმცა არსებობენ მოწმეები, რომლებიც აცხადებენ, რომ ზაალ ქორჩლადის მხრიდან დაკავების მომენტში და არც შემდეგ წინააღმდეგობის განცხადება ადგილი არ ჰქონია.

მას შემდეგ რაც ზაალ ქორჩლადე პოლიციელების მოთხოვნის შესაბამისად მათ მანქანაში ჩაჯდა, მას საუბარი გაუმართეს წინა დღეებში მიმდინარე აქციების შესახებ, რომელშიც იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მეუღლის განმარტებით, ზაალ ქორჩლადე გამოჩნდა ზუგდიდის აქციის კადრებში, რის საფუძველზეც დააკავეს კიდევ.

ამჟამად ზაალ ქორჩლადეს შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა და იმყოფება ქ. რუსთავის №6 საპრობილემში.

თეიმურაზ ხუბულურის საქმე

2007 წლის 10 ნოემბერს ქველი თბილისის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა დააკავეს თეიმურაზ ხუბულური, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. თეიმურაზ ხუბულურის განმარტებით, იგი სასტუმრო „ვეროპიდან“ გამოსვლისას დააკავეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, გადაუგრიხეს ხელები, დაანვინეს ძირს, რის შემდეგაც ყოველგვარი ჩხრეკის გარეშე წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ თეიმურაზ ხუბულურს ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება.

სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიებად თეიმურაზ ხუბულურს შეეფარდა პატიმრობა, რის შემდეგაც იგი შეასახლეს №5 საპრობილემში. აქ მისი განმარტებით მასთან იმყოფებოდნენ საქართვე-

ლოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია და რამდენიმე თანამდებობის პირი, რომელთა სახელები და გვარებიც თეიმურაზ ხუბულურმა არ იცის, თუმცა შეუძლია მათი ამოცნობა. თეიმურაზ ხუბულური აცხადებს, რომ მისი დაკავება პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. კერძოდ, მისი მამა, თემურ ხუბულური ირაკლი ოქრაშვილთან დაახლოებული პირია. ბაჩო ახალაია და მისი თანმხლები პირები პატიმრისგან მოითხოვდნენ თანამშრომლობას ირაკლი ოქრაშვილის წინააღმდეგ კომპრომატების მოძიებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კი ციხეში ამოღობით დაემუქრნენ. ისინი ასევე მას შეახსენებდნენ ნოემბრის აქციებში მონაწილეობას.

ბაჩო ახალაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას თემურ ხუბულურის მისამართითაც. თეიმურაზ ხუბულური გადაიყვანეს №6 საპყრობილეში, სადაც, მისი განცხადებით, ასევე რამდენჯერმე მივიდა ბაჩო ახალაია იმავე მოთხოვნით. ამჟამად იგი რუსთავის №6 საპყრობილეში იმყოფება.

2007

ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა საქმე

2007 წლის 16 ოქტომბერს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდა აქტივისტების ბაზაზე დაფუძნდა მოძრაობა ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ. პრეზენტაციის შემდეგ შეკრების მონაწილეებმა მოაწყეს მსვლელობა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან პარლამენტის შენობამდე. მსვლელობის დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა ოთხი მანიფესტანტი: ირაკლი ჯაფარიძე, ირაკლი გაფრინდაშვილი, ირაკლი ჩუხუა და გიორგი მესტუმრიშვილი.

2007 წლის 17 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე ახსნა-განმარტების მიცემისას ირაკლი ჯაფარიძის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა პატრულ-ინსპექტორმა, როლანდ სოსელიამ განაცხადა, რომ 2007 წლის 16 ოქტომბერს

პირთა ჯგუფი რესტორან „მარკო პოლოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეეცადნენ გადაეკეტათ გზის სავალი ნაწილი, გადმოვიდნენ ავტომანქანების სავალ ნაწილზე. მძღოლები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რამაც მიიღო ლანძრვა-გინების ფორმა. (სასამართლო სხდომის ოქმი გვ.№4). როლანდ სოსელიამ ასევე განმარტა, რომ მოძრაობდა 105-ე ეკიპაჟით, როცა ოცმეთაურმა მოუწოდა გამოცხადებულიყო ზემოაღნიშნულ ადგილას. ირაკლი ჯაფარიძე იდგა მის წინ. როლანდ სოსელიამ ჯერ გააფრთხილა ხმოვანი სადახსით ირაკლი ჯაფარიძე, დაეტოვებინა გზის სავალი ნაწილი, ამასვე მოუწოდებდა ქვეითი პატრულიც. მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ, როლანდ სოსელიამ რამდენიმე გაფრთხილება მისცა ირაკლი ჯაფარიძეს, რის შემდეგაც ჩასვა პატრულის ავტომანქანაში.

როლანდ სოსელიამ ასევე აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეები აჩერებდნენ მანქანებს, რის გამოც მძღოლები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ერთ-ერთი მძღოლი ჩამოვიდა მანქანიდან და ითხოვა, მიეცათ გზა, რადგან მის შვილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. აღნიშნულ პატრულ-ინსპექტორისვე თქმით, აქციის მონაწილეები მძღოლებს მონებს და მოლაღატეებს უწოდებდნენ.

ირაკლი გაფრინდაშვილის მიმართ ოქმის შემდგენი პატრულ-ინსპექტორის მამუკა ბლიაძის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ თავის მენყვილე შმაგი ჯაჭვაძესთან ერთად ეკიპაჟით გამოცხადდა რესტორან „მარკო პოლოსთან“. ამის შემდეგ იგი ნაანყდა შემდეგ სურათს:

მსვლელობა მიმდინარეობდა ავტომანქანების სავალი გზის ერთი მიმართულების თითქმის ნახევარზე, სადაც სამი ზოლია. ერთი ზოლი მოცული იყო მთლიანად. მის მისვლამდე იქ იმყოფებოდნენ სხვა ეკიპაჟები, რომლებიც პერიოდულად მიუთითებდნენ დემონსტრანტებს გადასულიყვნენ ქვეითად მოსიარულეთა სავალ გზაზე. იქ მყოფი მძღოლები ითხოვდნენ, მიეცათ გზა, ხოლო აქციის მონაწილეები პასუხად მათ ვირთხებდნენ უწოდებდნენ, მანქანებზე ხელებს ურტყამდნენ და თხოვდნენ, შეერთებოდნენ. აქციის რამდენიმე მონაწილე დაწვა გზის სავალ ნაწილზე. მათ შორის პატრული-ინსპექტორმა შენიშნა უცხო გოგონა.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ არასწორია როლანდ სოსელიას მტკიცება, თითქოს აქციის მონაწილეები „მარკო პოლოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეეცადნენ გადაეკეტათ გზის სავალი ნაწილი. სიუჟეტის დასაწყისში ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ მეცნიერებათა აკადემიის შენობის პირდაპირ, ტრანსპორტის სამოძრაო ერთი მხარე სრულად აქვთ დაკავებული აქციის მონაწილეებს. პატრული-ინსპექტორის მამუკა ბლიაძის ახსნა-განმარტებიდანაც ირკვევა, რომ აქციის მონაწილეებს „მარკო პოლოსთან“ არ უცდიათ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე გადასვლა, არამედ იქ მანამდეც იმყოფებოდნენ. ვიდეომასალიდან არ ჩანს, რომ საპატრულო პოლიცია მეცნიერებათა აკადემიასთან მყოფ აქციის მონაწილეებს მოუწოდებდებოდა, გადასულიყვნენ ქვეითთა სავალ ნაწილზე.

იმავე ვიდეომასალაში ასევე ნათლად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია, რომელიც არის მუხლებში ჩამჯდარი, როგორ გაჰყავთ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ტრანსპორტის სავალი გზიდან. ამ მომენტში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ძალით წამოაყენეს რესტორან „მარკო პოლის“ გზის სავალ ნაწილზე წაქცეული გიორგი მესტუმრიშვილი და ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში. კადრებიდან არ ჩანს, პატრული ინსპექტორის გაფრთხილება სავალ ნაწილზე წოლის შეწყვეტის თაობაზე. საპატრულო პოლიციამ მომენტალურად წამოაყენა გიორგი მესტუმრიშვილი და დააკავა. ვიდეომასალიდან არ ჩანს, წაიქცა თუ თავისი სურვილით დაწვა გიორგი მესტუმრიშვილი. სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში გიორგი მესტუმრიშვილი აცხადებს, რომ წაიქცა; ხოლო პატრული-ინსპექტორი კობა ხოშარაული ამტკიცებს, რომ დაწვა. კობა ხოშარაული იქვე აცხადებს, რომ წინასწარ გაფრთხილების გარეშე მისმა თანამშრომელმა წამოაყენა გ.მესტუმრიშვილი და ჩასვა ავტომანქანაში. სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტს ნინო საყვარელიძეს, რომელიც აცხადებს, რომ აქციის მონაწილეები რესტორან „მარკო პოლოსთან“ პროტესტის ნიშნად დაწვეს. ამ შემთხვევაში, ნათელია ის ფაქტი, რომ გიორგი მესტუმრიშვილის მიმართ პოლიციის მოთხოვნას, ამდგარიყო სავალი გზიდან, ასევე ამ მოთხოვნის შესასრულებლად გონივრული ვადის მიცემას ადგილი არ ჰქონია.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ვიდეომასალიდან ასევე ირკვევა, თუ როგორ ცდილობდნენ ირაკლი ჩუხუა, ირაკლი ჯაფარიძე და ირაკლი გაფრინდაშვილი დაკავებული გიორგი მესტუმრიშვილის ძალით გამოტაცებას. ამ დროს, ირაკლი ჯაფარიძეს ტანისამოსის უკან სახელოზე ხელს ჰკიდებს პოლიციის თანამშრომელი როლანდ სოსელია და აკავებს მას. იმავე მომენტში აკავებენ და მანქანაში სვამენ ირაკლი გაფრინდაშვილსაც. ვიდეომასალიდან არ ჩანს, რომ დაკავების წინ როლანდ სოსელიამ და მამუკა ბლიაძემ წაუყენეს თუ არა დაკავებულებს სავალი გზის დატოვების მოთხოვნა. ირაკლი ჯაფარიძის, ირაკლი გაფრინდაშვილისა და ირაკლი ჩუხუას დაკავების მიზეზს სინამდვილეში წარმოადგენდა არა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, არამედ მისი წინააღმდეგობის დაძლევა, რასაც პოლიცია წააწყდა გიორგი მესტუმრიშვილის დაკავების დროს.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ვიდეომასალით ასევე არ დასტურდება ის გარემოება, რომ აქციის მონაწილეები აჩერებდნენ მათ მხარეს მოძრავ ავტომანქანებს. ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, როგორ ჩაიარა თეთრი ფერის ავტომანქანა „06-მა“ იმ მხარეს, სადაც მუხლებზე იყო ჩამჯდარი



ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია. ამგვარად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ერთ მხარეს აქციის მონაწილეთა ყოფნას არ გამოუწვევია ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება. ის ფაქტი, რომ რესტორან „მარკო პოლომდე“ მისვლამდე, საპატრულო პოლიცია მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს სავალი გზიდან გადასვლას, პატრულ-ინსპექტორთა ახსნა-განმარტებასთან ერთად, დასტურდება ჟურნალისტ ნინო საყვარელიძის მიერაც. თუმცა ეს მოთხოვნა არ იყო მიმართული მხოლოდ სამართალდამრღვევად ცნობილი ოთხი პირის მიმართ და იგი ეხებოდა აქციის ყველა მონაწილეს.

ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტი ნინო საყვარელიძე აქციის მონაწილეთა მსვლელობის დაწყებიდან დასრულებამდე ესწრებოდა და აშუქებდა აღნიშნულ მოვლენებს. მისი განმარტებით, არ დაუნახავს აქციის მონაწილეთა შეურაცხმყოფელი საქციელი ან განცხადებები მძღოლების ან თუნდაც საპატრულო პოლიციის მიმართ. უხამსი, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი გადაკიდება ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა დაკავების მომენტში ასევე ვერ დააფიქსირა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ კამერამ. ამ უკანასკნელის ვიდეომასალაში ჩანს აქციის ახალგაზრდა მონაწილე, რომელიც მისი მეგობრების დაკავების შემდეგ პოლიციის მისამართით ყვირის სიტყვებს: „მკვლელებო.“ ამგვარად, სამართალდამრღვევების მხრიდან **უცენზურო სიტყვების წარმოთქმას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას ადგილი არ ჰქონია**, შესაბამისად, პატრული-ინსპექტორების მამუკა ბლიაძისა და შმაგი ჯაჭვადის ახსნა-განმარტება არის ყალბი. ეს ჩვენებები არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, უცენზურო სიტყვების წარმოთქმის ფაქტი მოგონილია პატრული-ინსპექტორების მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანისა და მოძრაობა „ახალგაზრდობა ძალადობის წინააღმდეგ“ ოთხი წევრისათვის ადმინისტრაციული სახდელის დამძიმების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის დადგენილების თანახმად, ავტომანქანების მოძრაობა შეფერხდა, რამაც მძღოლების უკმაყოფილება გამოიწვია. ოთხი ახალგაზრდა მძღოლების მისამართით წარმოთქვამდა უცენზურო სიტყვებს. მოსამართლემ აღნიშნული გარემოება დაადგინა ორი პატრულ-ინსპექტორის ახსნა-განმარტებების საფუძველზე. აქციის მონაწილეთა მხრიდან უცენზურო სიტყვების წარმოთქმის ფაქტი არ დასტურდება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ვიდეოჩანაწერით. დამრღვევთა ქმედებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის, ლანძღვა-გინების არსებობის ფაქტი მოსამართლეს უნდა დაედგინა მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად. პატრული-ინსპექტორთა ახსნა-განმარტებები არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სრული და ობიექტური მტკიცებულების წყაროდ. მათი განმარტებები შემომწმეული უნდა ყოფილიყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ვიდეომასალით და შემთხვევის თვითმხილველი ჟურნალისტების ჩვენებებით. თუმცა სასამართლოს მიერ არც ვიდეომასალა ყოფილა გამოთხოვილი, არც ჟურნალისტების დაკითხვა მომხდარა.

„რუსთავი-2-ის“ ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, რომ დაკავება მას შემდეგ განხორციელდა, რაც გიორგი მესტუმრიშვილი ძალით იქნა წამოყენებული, ხოლო დანარჩენი ახალგაზრდებს მაშინ აღუკვეთეს თავისუფლება როდესაც პოლიციისაგან გიორგი მესტუმრიშვილის გამოხსნას ცდილობდნენ.

მანუჩარ ფუტკარაძის და სხვათა საქმე

2007 წლის 29 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორმა ზვიად ელარჯიამ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მანუჩარ ფუტკარაძის მიმართ. სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს მანუჩარ ფუტკარაძე ივინებოდა, ილანძღებოდა უცენზუროდ, მოქალაქეებს აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნას აღნიშნულის შეწყვეტის შესახებ არ დაემორჩილა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით მანუჩარ ფუტკარაძის ქმედება დაკავალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

166-ე და 173-ე მუხლებით. სამართალდარღვევის ოქმს თან ახლავს მანუჩარ ფუტკარაძის დაკავების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სავარაუდო დამრღვევის დაკავება მოხდა 2007 წლის 29 ოქტომბერს 11:20 საათზე ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე ჩადენილი სხვადასხვა ქმედების, მათ შორის მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის.

სამართალდარღვევის ოქმს თან ახლავს მანუჩარ ფუტკარაძის შენიშვნები და განმარტება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს ოპოზიციურმა პარტიებმა ქ.ზუგდიდში ჩაატარეს მიტინგი, სადაც მანუჩარ ფუტკარაძე იმყოფებოდა ერთად და მიტინგის მიმართ მშვიდობიანად გამოხატავდა პროტესტს. მისი განმარტებით, მიტინგის დამთავრების შემდეგ პარლამენტის წევრებმა ბიძინა გუჯაბიძემ, ბეჟან გუნავამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა, სოსო რობაქიძემ გამოიყენეს უცენზურო სიტყვები. მანუჩარ ფუტკარაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ მან მეგობრებთან ერთად სიტყვიერთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საპროტესტო აქციის მონაწილეებს.

საქმეში ასევე მოიპოვება ზუგდიდის შს სამმართველოს რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორების მ.ჩანგელიას, ზ.ელარჯიას, ხ.სიხარულიას, ვ.ჩიქოვანის პატაკები. ყველა პოლიციელი, მერაბ ჩანგელიას გარდა, აცხადებს, რომ გიორგი სამუშიას, ირაკლი მიქაიას, ბიქტორ მიქაიას, გიორგი მანიას, მანუჩარ ფუტკარაძის, აკაკი როგავასა და გოგა ლურწკაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. პოლიციის ინსპექტორი მერაბ ჩანგელია მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს ადასტურებს.

ზუგდიდის რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა პაატა გვალამ თავის სამუშაო კაბინეტში გამოკითხა ინდემნარმეები ილონა ეფსია და რუსუდან ყურაშვილი, რომლებიც აცხადებენ, რომ 2007 წლის 28 ოქტომბერს, 20:30 საათზე, მათ მალაზიაში შევარდა დეპუტატი ბეჟან გუნავა, რომელსაც მისდევდა ხუთი ახალგაზრდა, რომლებმაც გუნავას რამდენჯერმე ჩაართყეს მუშტი სახეში. ილონა ეფსიამ და რუსუდან ყურაშვილმა აიძულეს ხუთი ახალგაზრდა, დაეტოვებინათ მათი მალაზია. რუსუდან ყურაშვილის განმარტებით, აღნიშნული გარემოება დააფიქსირა ერთ—ერთმა ტელეკომპანიამ.

მანუჩარ ფუტკარაძის სამართალდარღვევის საქმე განიხილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ირაკლი აბშილავამ. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში, რომელიც სულ ექვს ხაზს შეადგენს, აღნიშნულია, რომ მანუჩარ ფუტკარაძე 2007 წლის 28 ოქტომბერს, 21 საათზე, ზუგდიდში, გამსახურდიას გამზირზე იგინებოდა, ილანძლებოდა უცენზუროდ, აყენებდა მოქალაქეებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, პოლიციის მუშაკის კანონიერ მოთხოვნას აღნიშნულის შეწყვეტის შესახებ არ დაემორჩილა. მანუჩარ ფუტკარაძემ აღიარა სამართალდარღვევა და, როგორც მოსამართლე ირაკლი აბშილავა აღნიშნავს, მოინანია კიდევ ჩადენილი. მანუჩარ ფუტკარაძე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სასკ-ის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის და სახდელის სახით, სასკ-ის 36-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, განესაზღვრა 173-ე მუხლის საწესდევით გათვალისწინებული სახდელის მინიმალური ზომა, ჯარიმა შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით (400 ლარი).

დადგენილებაში არ არის აღნიშნული, თუ რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდა მოსამართლე იმ დასკვნამდე, რომ მანუჩარ ფუტკარაძის ქმედება შეიცავდა სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობას. მოსამართლე არ დაინტერესებულა იმ გარემოებითაც კი, რომ საქმეში წარმოდგენილი ინსპექტორის მერაბ ჩანგელიას პატაკი, რომელიც ადასტურებდა, რომ მანუჩარ ფუტკარაძემ მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ



ყველა სხვა მტკიცებულებას, რომლებიც ცალსახად მიუთითებდნენ მანუჩარ ფუტკარაძის მხრიდან მოქალაქეების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, რაც წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, არამედ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვა „ფიზიკური“, რომელიც ფიგურირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, საერთოდ ამოღებულია სასამართლოს დადგენილებიდან. ამგვარი ქმედებით, მოსამართლე ირაკლი აბშილაშვილმა განზრახ თავი აარიდა დადგენილებაში შეურაცხყოფის ფორმის აღნიშვნას, რათა თავიდან აეცილებინა სამართალდამრღვევებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა.

სასკ-ის 237-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენის საფუძველზე, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში. იბადება კითხვა – მაშინ, როცა მტკიცებულებათა ერთობლიობა მიუთითებდა მანუჩარ ფუტკარაძის და სხვათა მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის ჩადენის თაობაზე, რის საფუძველზე შეამსუბუქა მოსამართლე ირაკლი აბშილაშვილმა ზემოაღნიშნულ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა და მათ მხოლოდ ადმინისტრაციული სანქცია დააკისრა.

ბიქტორ მიქაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი დასტურდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, პოლიციელთა პატაკის, მოქალაქეების ილონა ევსიასა და რუსუდან ყურაშვილის გამოკითხვის ოქმებით. ბიქტორ მიქაიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს დაურთო თავისი შენიშვნები და ახსნა-განმარტება, სადაც მითითებულია, რომ პარლამენტის წევრებს ბეჟან გუნავას, ბიძინა გუჯაბიძეს, ასევე „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრს ლაშა ჩხარტიშვილს და მოქალაქე სოსო რობაქიძეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა მას შემდეგ, რაც მათ უხამსი ფორმით მოიხსენიეს ბიქტორ მიქაიას დედა და ოჯახი, ასევე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ზუგდიდელები.

2007 წლის 29 ოქტომბერს მოქალაქე ბიქტორ მიქაიას მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განიხილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ.კეკელიძემ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ოქმის შემდგენმა ზაურ ელარჯიამ სასამართლო სხდომაზე გაიმეორა იგივე, რაც აღნიშნული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში. ოქმის შემდგენის ახსნა-განმარტებას დაეთანხმა სავარაუდო დამრღვევი. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში არ გვხვდება გარემოებები, რომლებიც დადგენილად მიიჩნია მოსამართლემ. დადგენილებაში უბრალოდ აღნიშნულია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება ბიქტორ მიქაიას მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ამგვარად, მოსამართლე კეკელიძის დადგენილებით არ არის უარყოფილი ბიქტორ მიქაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. ამის მიუხედავად, ბიქტორ მიქაიას ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ზემოხსენებული შინაარსის შემცველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმი იქნა შედგენილი გოგა ლურწკაიას მიმართაც. ოქმში აღწერილია იგივე ქმედებები, რის გამოც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა მანუჩარ ფუტკარაძესა და ბიქტორ მიქაიას. სამართალდარღვევის ოქმს თან ერთვის იგივე გამოკითხვის ოქმები და იმავე პოლიციელთა პატაკები, რაც განხილული იყო ზემოხსენებულ საქმეებში. გოგა ლურწკაიამ დამატებით აღნიშნა, რომ პარლამენტის წევრების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ მიიმალა, რადგანაც გამოჩნდა პოლიცია, რომელიც მანამდე მოუწოდებდა აღნიშნული ქმედების შეწყვეტისაკენ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც სასამართლო სხდომის ოქმში, არც სასამართლოს დადგენილებაში არ გვხვდება გოგა ლურწკაიას მიერ მოქალაქეებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე მითითება. სასამართლომ თავისი დადგენილებით გაითვალისწინა სამართალდარღვევის საშიშროების ხარისხი, სამართალდამრღვევის პიროვნება და წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისათვის მას 20 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სამართალდამცავი ორ-

განოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, ქმედება გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, გოგა ლურწკაიას შეეფარდა ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. საქმის მასალების შემოწმების შედეგად, თვალშისაცემი ხდება შემდეგი გარემოება: სახდელის დამძიმების მიზნით სასამართლოს მიერ არ მომხდარა გოგა ლურწკაიას ქმედების ინდივიდუალიზება. მას ბრალად შეერაცხა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში ლანძღვა-გინება ჩადენილი ჯგუფურად, ანუ იგივე ქმედება, რაც ჩაიდინეს მისმა თანაამსრულებლებმა: მანუჩარ ფუტყარაძემ, ბიქტორ მიქაიამ, ირაკლი მიქაიამ, გიორგი მანიაშვილმა და აკაკი როგავამ, თუმცა მათ, გოგა ლურწკაიასაგან განსხვავებით, მხოლოდ ჯარიმა, შედარებით მსუბუქი სახდელი შეეფარდათ. ეს მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი ის გარემოებები, რაც, თანაამსრულებლებისაგან განსხვავებით, ამძიმებდა გოგა ლურწკაიას ბრალეულობას და ასაბუთებდა მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას.

აქვე აღსანიშნავია ის უხეში დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახდელის დადებისას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე სამართალდარღვევის განხილვისას სახდელის დადების ორ წესს. პირველი არის ზოგადი წესი: „ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე“. მეორე ნაწილში გვხვდება სახდელის დადების სპეციალური წესი იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთი და იმავე ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ხდება ერთზე მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთდროულად განხილვა.

მოსამართლემ გამოიყენა არა 36-ე მუხლის მეორე ნაწილი, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც გამოიყენება შემდეგ შემთხვევაში:

4. სხვადასხვა ორგანო იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სამართალდარღვევას;
5. ერთი და იგივე ორგანო ცალ-ცალკე იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სამართალდარღვევას;
6. ერთი და იგივე ორგანო ერთდროულად იხილავს ერთი პირის მიერ ჩადენილ რამდენიმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მაგრამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებულია თანაბარი სიმკაცრის სანქცია.

კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო 36-ე მუხლის მეორე ნაწილი, ვინაიდან ერთი და იგივე ორგანო (ზუგდიდის რაიონული სასამართლო), ერთი და იგივე თანამდებობის პირი დ.კეკელიძის სახით, ერთდროულად იხილავდა ერთი და იმავე პირის, გოგა ლურწკაიას მიერ ჩადენილ ორ სხვადასხვა სამართალდარღვევას: წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასკ-ის 36-ე მუხლის მეორე ნაწილი ასეთი შემთხვევისათვის ითვალისწინებს შემდეგ წესს: „სამართალდამრღვევს სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.“ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო სერიოზულ სამართალდარღვევას წარმოადგენს სასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ვინაიდან ეს უკანასკნელი, 166-ე მუხლისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ჯარიმას შრომის ანაზღაურების 10 მინიმალური ოდენობით, რაც შეადგენს 400 ლარს. ხოლო 166-ე მუხლი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით. ორივე მუხლი ჯარიმის ალტერნატივის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 30 დღის ვადით.

მოსამართლე ვალდებული იყო, გამოეყენებინა მხოლოდ 173-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია, ჯარიმა 400 ლარის ოდენობით, გამასწორებელი სამუშაოები 6 თვემდე ვადით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე. 36-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებული იყო,



თავი შეეკავებინა დამატებით 166-ე მუხლის სანქციის გამოყენებისაგან. სასკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი მაინც ითვალისწინებს ორი მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, თუ ერთერთი მათგანი მაინც ითვალისწინებს დამატებით ადმინისტრაციულ სახდელს. სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა და ადმინისტრაციული პატიმრობა, რაც ერთდროულად იქნა შეფარდებული გოგა ლურნკაიას მიმართ, შეიძლება გამოყებული იქნას როგორც ძირითადი სახდელი. სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად დამატებით ადმინისტრაციულ სახდელებს წარმოადგენს საგნების სასყიდლით ჩამორთმევა და კონფისკაცია. არც 166-ე და არც 173-ე მუხლები სახდელის ზომად არ ითვალისწინებენ საგნების სასყიდლით ჩამორთმევასა და კონფისკაციას.

სინამდვილეში გოგა ლურნკაია გიორგი სამუშიასთან ერთად გამოირჩეოდა ყველაზე დიდი სისატიკით. გოგა ლურნკაიამ ნიხლები რამდენჯერმე ჩაარტყა ძირს ნაქცეული ბეჟან გუნავას. ბეჟან გუნავა წამოდგა და გაიქცა პირდაპირ მდებარე ილონა ეფსიას სუპერმარკეტისაკენ. გაქცეულ ბეჟან გუნავას უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე აქტივისტი გიორგი ლურნკაია წამოენია. ამ უკანასკნელმა თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი. ბეჟან გუნავა სუპერმარკეტში შევარდა, სადაც შეჰყვა გოგა ლურნკაია და ბეჟან გუნავას მუშტებით ცემა გააგრძელა. გოგა ლურნკაიას მიერ განხორციელებული ქმედებები შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ხულიგნობა ჩადენილი ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ). შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობა, რომელიც ამ უკანასკნელს დაეკისრა იყო მეტისმეტად ლმობიერი და არ იყო მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული. მოსამართლემ სათანადოდ არ ასახა თავის დადგენილებაში გოგა ლურნკაიას მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და ის სისატიკე, რაც მას სხვა სამართალდამრღვევებისაგან განასხვავებდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ გოგა ლურნკაის მიმართ გამოყენებული სახდელი უკანონოა.

ირაკლი მიქაიას მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები მიუთითებდნენ მის მიერ პარლამენტის წევრებისა და სხვა პირების ფიზიკურ შეურაცხყოფას. აღნიშნული გარემოების შესახებ არსებობდა თავად ირაკლი მიქაიას აღიარება, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენის მერაბ ჩანგელაიას ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ ირაკლი მიქაია მხოლოდ ილანძღებოდა უცენზურო სიტყვებით, მაღალი ხმით მიმართავდა მოქალაქეებს. როგორც სასამართლო სხდომაზე საუბნო ქვეგანყოფილების ინსპექტორმა მერაბ ჩანგელაიამ დააკონკრეტა, მოქალაქეების შეურაცხყოფაში მან იგულისხმა გინება. ირაკლი მიქაიას საქმე სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისაგან განსხვავდება იმით, რომ ოქმის შემდგენმა ორგანომ დააკონკრეტა, თუ რას გულისხმობდა ფიზიკურ შეურაცხყოფაში: „ყველა ერთმანეთს ექაჩებოდა, იყო განევ-გამონევა“. ამგვარად, ოქმის შემდგენმა გამორიცხა ისეთი სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების არსებობა, როგორიცაა ადამიანის მიმართ რამდენჯერმე მუშტისა და ნიხლის დარტყმა, რაც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. არადა, რამდენიმე ტელეკომპანიის ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის წევრების მიმართ არა ჯაჯგურს, არამედ სწორედ სასტიკ ცემას ჰქონდა ადგილი და პოლიციის ქვეგანყოფილების ინსპექტორის მიერ მოხდა ფაქტების გაყალბება. მოსამართლის შეკითხვაზე, რას გულისხმობდა ირაკლი მიქაია სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, სამართალდამრღვევი პასუხობს, რომ მას შეაგინეს დედა, რაზედაც თურმე ეჯიკავებოდა, მაგრამ მისი მხრიდან ხელის გარტყმას ადგილი არ ჰქონია.

მოსამართლე ამირიდო გელანტიამ მოისმინა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად არ ჩათვალა საჭიროდ დამატებითი მტკიცებულების გამოკვლევა, ტელეკომპანიების ვიდეოჩანაწერებისა და შემთხვევის თვითმხილველთა ჩვენებების სახით. სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია: 2007 წლის 28 ოქტომბერს, 21 საათსა და 00 წუთზე, ქ.ზუგდიდში, გამსახურდიას გამზირისა და რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ირაკლი მიქაია იგინებოდა, ილანძღებოდა, ხმამაღლა გამოთქვამდა უცენზურო სიტყვებს მოქალაქეთა მისამართით. აღნიშნული ქმედების შეწყვეტის შესახებ ბოროტად არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას.

სასკ-ის 260-ე მუხლის თანახმად, საქმის განმხილველი ორგანო ვალდებულია დაადგინოს, გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალა. იმავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, რაც, როგორც უკვე ითქვა, გულისხმობს საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მტკიცებულებათა ერთობლიობაში (სასკ-ის 237-ე მუხლი). აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, მოსამართლე ამირიდი გელანტია ვალდებული იყო, გამოეკვლია დამატებითი მტკიცებულებები ვიდეომასალის გამოქვეყნებისა და მოწმეთა დაკითხვის სახით, რაც წარმოადგენს სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რომლის შედეგად მოსამართლე, სასკ-ის 264-ე მუხლის შესაბამისად, დაადგინდა, ექვემდებარებოდა თუ არა ირაკლი მიქაია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; ხომ არ არსებობდა 238-ე მუხლით დადგენილი წესით დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმის წინსწარი გამოძიების ორგანოში ან პროკურატურაში გადაგზავნის საფუძველი.

გიორგი სამუშიასათვის ადმინისტრაციულ სახდელის დაკისრების საფუძველი არის გოგა ლუნკაიას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის იდენტიური, მის საქმესთან დაკავშირებით გამოყენებული იქნა იგივე მტკიცებულებები, რაც ყველა დანარჩენი პირის საქმეში. ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა 20 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა წვრილმანი ხულიგნობისათვის, ხოლო ჯარიმა 400 ლარის ოდენობით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. გიორგი სამუშიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ ბეჟან გუნავას ცემაში, არამედ ასევე სხვა პირებთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბიძინა გუჯაბიძეს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის დაზიანება

ზემოთქმულის შესაბამისად წარიმართა გიორგი მანიასა და აკაკი როგავას საქმის განხილვა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ჯ.მორგოშიამ გიორგი მანიას, ხოლო აკაკი როგავას მოსამართლე ი. აბშილავეამ განუსაზღვრეს ჯარიმა 400 ლარის ოდენობით ზემოთხსენებულ გარემოებებში ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის.

ბეჟან გუნავას, ბიძინა გუჯაბიძის, სოსო რობაქიძისა და ლაშა ჩხარტიშვილის ცემის ფაქტს თვალყურს ადევნებდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, მეგის ქარდავა და ზუგდიდის შს რაიონული სამმართველოს უფროსი კობა ნარსია. მათ არანაირი ღონისძიებები არ გაუტარებიათ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მმართველი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად. მეგის ქარდავამ კანონის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როდესაც პარლამენტის წევრის, ბიძინა გუჯაბიძის მეუღლემ ერთერთ თავდამსხმელს სახეში სილა გააწნა. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მამაკაცის ფიზიკური ხელყოფისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მეგის ქარდავამ მკაცრად უმუალოდ დააკავა.

ამგვარად, მეგის ქარდავასა და კობა ნარსიას მხრიდან ადგილი აქვს სამსახურეობრივ გულგრილობას, ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით.

თეიმურაზ კაკაბაძის საქმე

თეიმურაზ კაკაბაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში ცხოვრობს. ის მიკროავტობუსის (სახელმწიფო ნომერი GAL 276) მძღოლია და მიმდინარე წლის 1 ნოემბერს ქ. ზესტაფონიდან ჩამოვიდა თბილისში, მომიტინგეთა კოლონასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად. თ.კაკაბაძის თქმით, გზაში კოლონას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მისი ავტოტრანსპორტიც არავის გაუჩერებია. თბილისში



ჩამოსვლის შემდეგ ის რესპუბლიკის მოედანზე გაჩერდა. ღამის დაახლოებით პირველი საათისათვის ის მარტო იმყოფებოდა მიკროავტობუსში. მისი მგზავრები პარლამენტის წინ, დანარჩენ მომიტინგეებთან ერთად იყვნენ შეკრებილნი. ამ დროისათვის, მას მიუახლოვდა 40-45 წლამდე ასაკისმამაკაცი და სთხოვა დახმარება – გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიიდან დროშების ამოტანა მისი მიკროავტობუსის გამოყენებით. თ.კაკაბაძეს უარი არ უთქვამს უცნობისათვის და გაჰყვა დროშების წამოსაღებად. მგზავრის თხოვნით, მან თამარ მეფის ხიდზე გადასვლამდე პირველივე შესახვევში, ხელმარცხნივ შეუხვია და გააჩერა მანქანა. უცნობმა თვითონვე მიუთითა მანქანის გაჩერების ადგილი.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ბნელოდა, რადგან გარე განათება არ იყო. უცნობმა მანქანის შუქების ჩაქრობაც მოსთხოვა მძღოლს. თ.კაკაბაძე იხსენებს, რომ მანქანის შუქების ჩაქრობისთანავე აღნიშნულმა პიროვნებამ მას დაარტყა. ამავე დროს, მძღოლის კარები გაიღო გარეთა მხრიდან. იქ ოთხი პიროვნება იდგა. მათ მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს, წააქციეს და წიხლებს ურტყამდნენ.

თეიმურაზ კაკაბაძის განმარტებით, სიბნელეში მან ვერ შეძლო მათი სახეებისა და ჩაცმულობის გარჩევა. მას დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ურტყამდნენ და ეკითხებოდნენ: „რატომ ჩამოხვედი? რამდენი კაცი ჩამოიყვანე?“ ერთმანეთს კი ეუბნებოდნენ, გრძელი მარშუტკაა და 15-ზე ნაკლებს არ ჩამოიყვანდაო. ბოლოს მას ხელკეტი ჩაართყეს თავში, მანქანის საქარე მინასაც დაუშინეს ის სამჯერ და გაუზარეს. უცნობებმა მძღოლი გააფრთხილეს, რომ ჯერ არ დაეძრა მანქანა. ამასობაში, თვითონ ჯიპში მოთავსდნენ. სანამ წავიდოდნენ, ერთ-ერთმა დაუბარა, რომ მანქანა ზევით მიეტრიალებინა, რათა ვერ დაენახა, თუ რომელი მიმართულებით წავიდოდნენ ისინი და რა სახელმწიფო ნომრები ჰქონდა მათ ჯიპს.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, თეიმურაზ კაკაბაძე ისევ პირვანდელ ადგილზე, რესპუბლიკის მოედანზე ამოვიდა. როდესაც ნაცნობ ბიჭებს მოუყვა გადახდენილი ამბავი, მათ დარეკეს ტელეკომპანია „იმედში“ და გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. თავდაპირველად ჟურნალისტები მოვიდნენ. მათ გადაიღეს მიკროავტობუსის გაბზარული საქარე მინა, გაესაუბრნენ თ.კაკაბაძესაც. ამის შემდეგ, გამოძახების საფუძველზე მოვიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. საპატრულო ეკიპაჟის ნომრებისათვის თეიმურაზ კაკაბაძეს ყურადღება არ მიუქცევია და არ დაუმახსოვრებია, არც პოლიციელებისათვის უკითხავს სახელი და გვარი. მათ მოსთხოვეს მანქანის საბუთები, თუმცა თეიმურაზ კაკაბაძეს ისინი არ აღმოაჩნდა, ვინაიდან ცემის დროს წაართვეს და თან წაიღეს. ამავე დროს გააფრთხილეს, რომ მეორე დღეს გამოუგზავნიდნენ. ადგილზე მისული იყო სასწრაფო დახმარების მანქანაც, რომელიც პატრულმა გამოიძახა. შესთავაზეს საავადმყოფოში გადაყვანაც, თუმცა მან უარი განაცხადა. პატრულმა დახმარებისათვის გამოიძახა კრიმინალური პოლიცია. აღნიშნული უწყებიდან ოთხი თანამშრომელი მივიდა. ისინი გაესაუბრნენ მიკროავტობუსის მძღოლს და უთხრეს, წაყოლოდა მათ ექსპერტიზისათვის, რათა გაერკვიათ, ნამდვილად ხელკეტით იყო ჩამტვრეული საქარე მინა თუ არა.

თეიმურაზ კაკაბაძის მანქანაში მოთავსდა მისი ორი მგზავრი და ისინი ერთად გაემართნენ კრიმინალური პოლიციის უახლოეს განყოფილებაში, ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

კრიმინალური პოლიციის ეზოში შესვლისას, თეიმურაზ კაკაბაძის მიკროავტობუსს უკანა მხრიდან მიადგა ჯიპი. შიგნით მჯდომმა პიროვნებამ მძღოლს უთხრა, რომ არ შესულიყო ეზოში. თ.კაკაბაძე გავიდა ეზოდან და გააჩერა მანქანა. ჯიპიდან ჩამოსულმა პიროვნებამ მას განუცხადა, რომ საქმის გამოძიება ევალებოდა საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებას და სწორედ აღნიშნული ორგანოსათვის უნდა მიემართა დაზარალებულს, პოლიციის თანამშრომლებს კი უსაყვედურა, დანარჩენები (თ.კაკაბაძის მგზავრები) აქ რას მოგყავდათო.

თეიმურაზ კაკაბაძე გაბრუნდა უკან. დაახლოებით 20 მეტრის გავლის შემდეგ, ქუჩის მხრიდან მის მანქანას სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მამაკაცმა დაუშინა ქვა, რომელიც საქარე მინას მოხვდა. ამავე დროს, მის მიკროავტობუსს წინა მხრიდან ჯიპმა გადაუკეტა გზა. თეიმურაზ კაკაბაძე

შუქებს უნებდა მას გზის გახსნის მიზნით, თუმცა უშედეგოდ. მძღოლმა მანქანის კარები სასწრაფოდ ჩაკეტა შიგნიდან, რათა თავდასხმისაგან თავი დაეცვა. კარებს გარედან ეჯეჯგურებოდნენ გალების მიზნით, ხოლო მას შემდეგ, რაც ვერ გააღეს ის, იარაღის კონდახებით ჩაამტვრიეს მიკროავტობუსის გვერდითა მინა. ამასობაში, თ.კაკაბაძემ სიჩქარეს მოუმატა და გაემართა ჯიპის მიმართულებით, გაქცევის მიზნით. ამ უკანასკნელმა ის გამოატარა, რათა შეჯახება აეცილებინა თავიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ, რესპუბლიკის მოედანზე მდგარ თ.კაკაბაძეს მოუახლოვდა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა მერსედესი (სახელმწიფო ნომრით AKA 640), რომელმაც თავის დროზე წაიყვანა ის პოლიციაში. კრიმინალური პოლიციის იგივე თანამშრომლები მას სთხოვედნენ ახსნა-განმარტებებს და წაყვანაც შესთავაზეს, თუმცა თეიმურაზ კაკაბაძე არ გაყვა მათ, ვინაიდან როგორც ცოტა ხნის წინ განემარტა, საქმე საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილების შესასწავლი იყო.

ბესიკ ჯავახაძის საქმე

ბესიკ ჯავახაძე სამარშრუტო ტაქსის მძღოლია (სახელმწიფო ნომერი: #Ag 721). მისი განმარტებით, 2007 წლის 1 ნოემბერს, დაახლოებით 14:00 საათზე მიკროავტობუსით გადაადგილდებოდა ქ.ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე და მოდიოდა თბილისის მიმართულებით. ქ.ქუთაისის გასასვლელთან იგი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა (სახელმწიფო ნომერი: WKW 511) გააჩერა. პოლიციელებს არ დაუსახელებიათ თავიანთი ვინაობა. მათ მძღოლისაგან სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა მოითხოვეს. მართვის მოწმობისა და მიკროავტობუსის ტექნიკური პასპორტის მიღების შემდეგ პოლიციელებმა მძღოლს განუცხადეს, რომ საჯარიმო დავალიანების გამო მიკროავტობუსი საჯარიმო ავტოსადგომზე უნდა გადაეყვანათ. ბესიკ ჯავახაძე დავალიანების არსებობას უარყოფს და, შესაბამისად, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მტკიცებასაც უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისი განმარტებით, პრესის წარმომადგენლებისა და პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის გამოჩენის შემდეგ, პოლიციელებმა მას საბუთები დაუბრუნეს, თუმცა ჩაინიშნეს მისი საცხოვრებელი ადგილი.

ბადრი უგრეხელიძის საქმე

ბადრი უგრეხელიძე ქალაქ ქუთაისში ცხოვრობს. 2007 წლის 1 ნოემბერს ბესიკ ჯავახაძის კუთვნილი მიკროავტობუსით თბილისში, პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილ მიტინგზე მიდიოდა მონაწილეობის მიღების მიზნით. მისი განმარტებით, ქუთაისის გასასვლელთან მისი მიკროავტობუსი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს. ისინი დაინტერესდნენ, თუ სად მიდიოდნენ მგზავრები. ბადრი უგრეხელიძის მიერ მონოდეული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ ისინი მიემგზავრებოდნენ თბილისში, ეროვნული საბჭოს მხარდასაჭერად, მიკროავტობუსის მძღოლს მათ წაართვეს მართვის მოწმობა და სხვა საბუთები იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა გადახდილი დაკისრებული ჯარიმა. მოგვიანებით, ქუთაისის გასასვლელთან გამოჩნდა თბილისისაკენ მომავალი ავტომანქანების კოლონა, რომელსაც ახლდა დეპუტატი ზვიად ძიძიგური. მისი ჩარევის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლებმა ბესიკ ჯავახაძეს საბუთები დაუბრუნეს.

2008 წლის 29 იანვარს რეკომენდაციით ბესიკ ჯავახაძისა და ბადრი უგრეხელიძისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტზე სახალხო დამცველმა საქმის მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში.

აჭარის ფაქტები

2007 წლის 1 ნოემბერს ბათუმიდან თბილისში 2 ნოემბრის აქციაში მონაწილეობის მიღების მიზნით გამოემართა ავტომანქანების კოლონა. აღნიშნული კოლონის გადაადგილებას აჭარისა და გურიის



ტერიტორიაზე თვალს ადევნებდა სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს თანამშრომელი გიორგი ჩარკვიანი. მის მიერ გამოვლენილ იქნა რამდენიმე ფაქტი. კერძოდ,

1. 2007 წლის 1 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული ესაუბრა მიკროავტობუსის მძღოლებს: გურამ ზოიძეს და ვახტანგ გვიანიძეს. მათი განმარტებით, უცნობმა სამართალდამცავმა პირებმა (ფორმიანებმა) მათ ჩამოართვეს ავტომანქანები. ავტომანქანების ჩამორთმევამდე, მათ ჩამოართვეს მართვის მოწმობები და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობები. მძღოლების განმარტებით, ყოველივე ეს მიზნად ისახავდა მათი გადაადგილების შეზღუდვას. ავტომანქანების ჩამორთმევის დროს მათ განუმარტეს სამართალდამცავებმა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაუბრუნდებოდათ 3 ნოემბერს. აღნიშნულ ფაქტზე შედგა ოქმი.
2. 2007 წლის 1 ნოემბერს აჭარიდან თბილისში მიმავალ ავტომანქანების კოლონას დაბა მახინჯაურთან გზა სამშენებლო მასალებით ჩახერგილი დახვდა. ამან გამოიწვია ავტომანქანების შეჩერება. ამ დროს გამოჩნდნენ ბათუმის შს პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ავტომანქანის მძღოლებს. ზოგიერთ მათგანს წაართვეს ავტომანქანის გასაღები. ინციდენტმა გამოიწვია საცობი. შეფერხდა როგორც აქციის მონაწილეთა, ისე გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრავი მანქანების გადაადგილება. აქციის დარბევის დროს პოლიციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თეთრი 07 მარკის ავტომანქანა ჟიგულით (სანომრე ნიშანი GHG 738), შავი ფერის მიკროავტობუსით (სანომრე ნიშნები LLK 513) და შავი ჯიპით, მანქანის სერიის და სანომრე ნიშნების დაფიქსირება ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ თვითმხილველები: თემურ დავითაძე, ჟუჟუნა სარიძე, მალხაზ ბერიძე, ზაურ ლამბაშიძე, მალხაზ დავითაძე, დავით რობაქიძე და შოთა მუფთიშვილი.
3. თბილისისკენ მომავალ კოლონას ჩაქვის უღელტეხილზე, გზის მონაკვეთზე შედუღებული ენ. დუშელის ლურსმნები დახვდა დაყრილი. ამის გამო დაზიანდა როგორც აქციაზე მიმავალი, ისე სხვა მოქალაქეების ავტომანქანების, მათ შორის ორი საპატრულო პოლიციის ავტომანქანის საბურავები. აღნიშნულ ფაქტზე შედგა ოქმი, რომლსაც ხელს აწერენ თვითმხილველები: თემურ წილოსანი და მალხაზ წილოსანი.
4. ბათუმიდან ჩოლოქამდე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ინტენსიურად ხდებოდა აქციაზე მიმავალი სამარშუტო მიკროავტობუსების გაჩერება საბურავების შემოწმების მოტივით. ახსნა-განმარტების მოთხოვნის დროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თავს იკავებდნენ კომენტარისაგან და არ ასახელებდნენ ვინაობას. პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ აქციის მონაწილეთა კოლონა დაეშალათ და მაქსიმალურად აფერხებდნენ მათ გადაადგილების პროცესს. ადგილი ჰქონდა ავტომანქანების ჩამორთმევის მცდელობასაც. საპატრულო პოლიცია ბათუმიდან ჩოლოქამდე ხუთჯერ შეეცადა კოლონის შეფერხებას. აღნიშნულ ფაქტზე შედგენილია ოქმი.
5. სახალხო დამცველის რწმუნებულის გიორგი ჩარკვიანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქობულეთიდან ორი ნოემბრის აქციაზე მიმავალ კოლონას უკან მიჰყვებოდა პოლიციის მანქანა (07 მარკის თეთრი ჟიგულები სანომრე ნიშნებით – GHG 667 და GHG 669), ასევე შავი BMW სანომრე ნიშნით BBD 506 და შავი ჯიპი DIN 982.

2008 წლის 29 იანვარის რეკომენდაციით სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან მოითხოვა წინასწარი გამოძიების დაწყება აჭარის რეგიონიდან მომავალი მოქალაქეებისათვის გადაადგილების თავისუფლების ხელყოფის ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების დაწყების.

მამული ბუხრიკიძის საქმე

მამული ბუხრიკიძემ ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის რწმუნებულს. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2007 წლის 2 ნოემბერს ათ ადამიანს შეუთანხმდა, რომ წაიყვანდა მათ თბილისში

გამართულ აქციაზე. ამავე დღეს, დილის 10:00 საათზე მგზავრები შეიკრიბნენ „ხალხის პარტიის“ ოფისთან. მამული ბუხრიკიძემ ისინი წაიყვანა თბილისის მიმართულებით, მისი კუთვნილი სამარშრუტო ტაქსით. იმ ადგილას, სადაც მგზავრები ჩასხდნენ, მსუბუქი ავტომანქანა მოძრაობდა მიკროავტობუსის ირგვლივ და თვალყურს ადევნებდა მას. ერთ-ერთმა მგზავრმა აღნიშნა, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. მ.ბუხრიკიძის განმარტებით, აღნიშნული ავტომობილი მათ გაჰყვა ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურამდე, ხოლო ამ ადგილას წინა მხრიდან შემოუარა სამარშრუტო ტაქსი, რათა შეეხედა ტრაფარეტისთვის. ტრაფარეტზე ეწერა „თბილისი“. გზაზე ისინი არავის არ გაუჩერებია. მგზავრები ჩამოვიდნენ დიდუბის ავტოსადგურამდე. მძლოლმა ავტოსადგურში აიყვანა რვა მგზავრი და გაემართა უკან, ხაშურის მიმართულებით.

2007 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 11:30 საათზე, როდესაც მამული ბუხრიკიძის ოჯახის წევრებს ეძინათ, ისინი გააღვიძა საშინელმა ხმაურმა. ოჯახის უფროსი ადგა, გაიხედა ფანჯრიდან, გავიდა აივანზე და შუქიც აანთო, მაგრამ ვერაფერი დაინახა და არც არავინ შეუნიშნავს. მანქანა ისევ თავის ადგილას, წინა ეზოში იდგა. ბუხრიკიძეების სახლის წინ დგას ხუთსართულიანი დანგრეული შენობა. მათ მიიჩნიეს, რომ ძლიერ წვიმაში მისი ნგრევის ხმა ისმოდა.

დილის 8:00 საათზე მეუღლემ მამული ბუხრიკიძეს აცნობა, რომ მანქანას მინები ჰქონდა ჩამტვრეული. მათ გამოიძახეს პოლიცია. ისინი დაიკითხნენ. ექსპერტმა ავტომობილს სურათი გადაუღო. მამული ბუხრიკიძე ფიქრობს, რომ მომხდარი ფაქტი უკავშირდება მის მიერ 2 ნოემბერს აქციის მონაწილეთა თბილისში წაყვანის ფაქტს.

სახალხო დამცველის რწმუნებულს ახსნა-განმარტება მისცა მამული ბუხრიკიძის მეზობელმა, მერი ჩუბინიძემ. მისი თქმით, 2007 წლის 5 ნოემბერს, ღამის 12:00 საათისათვის ქუჩის მხრიდან შემოესმა ხმაური. მას შეეშინდა, რომ არ გაღვიძებოდა ბავშვს და გაიხედა ფანჯარაში. მერი ჩუბინიძემ თავდაპირველად გაიფიქრა, რომ სახლის წინ მდგარი ხუთსართულიანი შენობა ინგრეოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მან დაინახა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ჯერ მის სახლს უყურებდა, მერე კი გაიქცა. სახლის წინ ჩაირბინეს სხვებმაც, ჩასხდნენ იქვე მდგარ მანქანაში და გაიქცნენ. დილას მან შეიტყო, რომ მისი მეზობლის, მამული ბუხრიკიძის სამარშრუტო ტაქსის მინები იყო ჩამტვრეული. მერი ჩუბინიძემ მოგვიანებით, სამსახურში შეიტყო, რომ ანალოგიურად მოექცნენ ვინმე გოდელოვს, მძლოლს, რომელსაც მისი მეზობლის მსგავსად 2 ნოემბერს რამდენიმე მგზავრი წაიყვანა თბილისში.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია წინასწარი გამოძიება.

ზაზა გოდელაშვილის საქმე

ზაზა გოდელაშვილმა ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის რწმუნებულს. მისი თქმით, 2007 წლის 2 ნოემბრისათვის ის რამდენიმე ადამიანს შეუთანხმდა, რომ წაიყვანდა მათ თბილისში, გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგზე. 2 ნოემბერს, დაახლოებით დილის 10:00 საათისათვის მგზავრები შეიკრიბნენ „ხალხის პარტიის“ ოფისთან. ზაზა გოდელაშვილმა ჩასვა ისინი მიკროავტობუსში და წამოიყვანა თბილისის მიმართულებით.

2007 წლის 5 ნოემბერს, საღამოს 7:30 საათზე ზაზა გოდელაშვილი იმყოფებოდა მეზობელთან. მან გაიგონა ხმაური, თუმცა ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. მოგვიანებით შვილებმა ზაზა გოდელაშვილს შეატყობინეს, რომ მის კუთვნილ სამარშრუტო ტაქსს ჩამტვრეული ჰქონდა საქარე მინა. მეზობლებმა მას უთხრეს, რომ დაინახეს, როგორ გარბოდა ოთხი ახალგაზრდა იქვე მდგარი ავტომანქანისაკენ.

ზაზა გოდელაშვილი მაშინვე დაუკავშირდა ხაშურის პოლიციას, რომლებიც ექსპერტთან ერთად გამოცხადდნენ. მათ გადაიღეს სურათები. აღნიშნულ ფაქტს იძიებს გამოძიებელი ბესო ჩინჩალაძე. მას შემდეგ,



რაც შეიცავს, რომ დანარჩენ მძღოლებსაც იგივე ამბავი გადახდათ, ზაზა გოდელაშვილი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული უკავშირდება მათ მიერ 2 ნოემბერს ხალხის თბილისში ჩამოყვანის ფაქტს.

ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა ხაშურის რაიონში მცხოვრები მესამე მძღოლიც, თუმცა მან ვინაობის გამხელა არ ისურვა.

რატი მაისურაძის საქმე

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ლეიბორისტული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარეს რატი მაისურაძეს. მისი განმარტებით, იგი მუდმივად მონაწილეობდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში. 2007 წლის 3 ნოემბერს დაახლოებით ღამის 1 საათსა და 40 წუთზე, რატი მაისურაძემ თბილისში კონსერვატორიის მახლობლად იყიდა სიგარეტი და გადაწყვიტა აქციაზე დაბრუნება. ლესია უკრაინკას №2-თან, სადაც მდებარეობს ნაციონალური მოძრაობის ოფისი, მან შენიშნა 2 ავტომანქანა, რომლებიც ათარბეგოვის ქუჩისაკენ უკან სვლით დაიძრნენ. ქუჩა გადაკეტილი ჰქონდათ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს. მიუხედავად ამისა, რატი მაისურაძის განმარტებით, საპატრულო პოლიციამ გზა გაუხსნა აღნიშნულ ავტომანქანებს, რომლებიც გაჩერდნენ ლესია უკრაინკასა და ათარბეგოვის ქუჩებს შორის. აღნიშნული ავტომანქანებიდან გადმოვიდა დაახლოებით 10 პირი, ნიღბებით და ხელკეტებით. მათ დანახვაზე რატი მაისურაძე გაიქცა ა.ზიჩის ქუჩისაკენ, ამ დროს ნიღბიანმა პირებმა 3-ჯერ ისროლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მისი მიმართულებით. რატი მაისურაძე წაიქცა. აღნიშნულმა პირებმა მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

10-მა პირმა იგი სცემა ხელკეტებით, მუშტებით და იარაღის ტარებით, რაც გრძელდებოდა დაახლოებით ერთ წუთს. რატი მაისურაძე თავდამსხმელებმა მოათავსეს ერთ-ერთი მანქანის (BMW, სერია 444) საბარგულში. მეორე მანქანა იყო ოპელ ვექტრა, რომელსაც უკანა სანომრე ნიშანი ჩამოვარდნილი ჰქონდა. თავდამსხმელებმა რატი მაისურაძე მისთვის უცნობ ადგილას წაიყვანეს, საიდანაც მისი განმარტებით, მხოლოდ სატელევიზიო ანძა ჩანდა. იგი განმეორებით სცემეს, რის შემდეგაც იგი ისევ მოათავსეს მანქანის საბარგულში და გადაიყვანეს მუხათგვერდის სასაფლაოზე. იგი კიდევ ერთხელ სცემეს ხელკეტებითა და იარაღის ტარებით, ურტყამდნენ თავსა და ფეხებში. რის შემდეგაც იგი დატოვეს მუხათგვერდის მახლობლად მდებარე ხიდთან. დაახლოებით 10 წუთში გამოიარა ტაქსმა, რომელმაც რატი მაისურაძე წაიყვანა „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში. რატი მაისურაძის განმარტებით, აღნიშნული მოვლენები ვითარდებოდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიდან დაახლოებით 15 მეტრში, თუმცა საპატრულო პოლიციელებს არც გასროლაზე და არც მის ცემის ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. რატი მაისურაძე გადაყვანილ იქნა №1 საავდემყოფოში.

სახალხო დამცველმა საქმის მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად გადააგზავნა ძველი თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში.

2007 წლის 24 დეკემბერს ძველი თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს წერილით გვეცნობა, რომ ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №07075049 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმე ამჟამად ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წარმოებაშია, რომელიც ატრებს ოპერატიულ—საგამოძიებო ღონისძიებებს დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირების დადგენის მიზნით.

კობა ჭითანავას საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სოხუმის უნივერსიტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს კობა ჭითანავას. იგი „გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდა. კობა ჭითანავას განმარტებით, 2007

წლის 3 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, მას შემდეგ, რაც გააკეთა საბოლოო მიმართვა აქციის მონაწილეებისადმი, გადაწყვიტა სახლში წასვლა და გაემართა „რუსთაველის“ მეტროსაკენ. მას თან ახლდა აქციაზე გაცნობილი პირი და ერთი უცნობი პიროვნება. მათ რუსთაველის პროსპექტზე, „ბილანის“ ოფისთან მდებარე წყლის შადრევანიდან დალიეს წყალი. უეცრად, უცნობმა პიროვნებამ კობა ჭითანავას მოხადა ქუდი და გადააგდო. კობა ჭითანავა დაინტერესდა მისი ვინაობით, რაზეც უცნობმა უპასუხა, რომ იგი აქაური იყო. კობა ჭითანავამ ჰკითხა, იგი ვინმესთან ერთად იყო, თუ მარტო იყო, პასუხად უცნობმა მიუთითა იქვე მდგარ ავტომანქანზე. აღნიშნულ ავტომანქანაში, სავარაუდოდ მუქი ფერის „X 5“-ში, ისხდნენ სპეციალურ ფორმაში გამოწყობილი ადამიანები, ხოლო გარეთ იდგა დაახლოებით 2-3 პირი. მათ ნააქციეს კობა ჭითანავა და წიხლებით სცემეს. აღნიშნული შემდეგ კობა ჭითანავა გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში.

სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქმის მასალები გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის №04.01.2008/55 წერილში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 26 დეკემბერს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №10078340 საქმეზე, კობა ჭითანავას მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბიჭიკო მშვიდობაძისა და ნიკა მაჭუტაძის საქმე

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებს, ბიჭიკო მშვიდობაძესა და ნიკა მაჭუტაძეს. მათი განმარტებით, ისინი 2007 წლის 3 ნოემბერს დაახლოებით 2 საათზე აქციიდან ბრუნდებოდნენ სახლში. მათ ოპერის შენობის წინ შენიშნეს ავტომანქანა ჯიპი, რომელშიც ისხდნენ სპეციალურ ფორმაში გამოწყობილი პირები. ნიკა მაჭუტაძის განმარტებით, „ჯიპში“ მსხდომმა პირებმა, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორმა, ბაჩო ახალაიამ, მას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ბიჭიკო მშვიდობაძემ და ნიკა მაჭუტაძემ თავს გაქცევით უშველეს.

სახალხო დამცველმა ბიჭიკო მშვიდობაძისა და ნიკა მაჭუტაძის ახსნა-განმარტებები შემდგომი რეაგირებისათვის გადააგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის №06022008/69 წერილში აღნიშნულია, რომ ბიჭიკო მშვიდობაძისა და ნიკა მაჭუტაძის ახსნა-განმარტებები დაერთო სისხლის სამართლის №06078035 საქმეს. მათ დასაკითხად გაგზავნილია დავალება საგამოძიებო მოქმედების შესრულების შესახებ.

გიორგი ლეკიშვილის საქმე

გიორგი ლეკიშვილი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართული მანიფესტაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მისი გადმოცემით, 2007 წლის 3 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 10 საათისათვის იდგა პარლამენტის წინ, დანარჩენ მომიტინგებთან ერთად. გ.ლეკიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ დროს, ქაშუეთის ეკლესიის გვერდით მდებარე ქუჩიდან (არჩილ ჯორჯაძის ქუჩა) საპატრულო პოლიციის მანქანა ამოვიდა. მომიტინგეთა მომცრო ჯგუფი მანქანისაკენ დაიძრა. გიორგი ლეკიშვილიც ამავე მიმართულებით გაემართა, რათა შეეკავებინა ისინი და თავიდან აეცილებინა შესაძლო ინციდენტი პოლიციასა და მომიტინგეებს შორის. მოქალაქის განმარტებით, ის ჩავიდა 9 აპრილის (ყოფილი ალექსანდროვის) ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე. მან დაინახა, რომ პოლიციასა და რამოდენიმე ადამიანს შორის სიტყვიერ შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი. მისი თქმით, პოლიციელები იგინებოდნენ და ხალხს დაშლისაკენ მოუწოდებდნენ.



გიორგი ლეკიშვილის განმარტებით, ის ჩადგა მომიტინგეთა წინ და დახია ისინი უკან, გაშველების მიზნით. გიორგი ლეკიშვილი თავით მათკენ იყო მიბრუნებული და აწყნარებდა მანიფესტაციის მონაწილეებს. ამ დროს, ერთ-ერთი პოლიციელის მხრიდან მას გულ-მკერდის არეში, ილიასთან მოხვდა ბლაგვი საგანი. პოლიციელები იყვნენ ოთხნი. გიორგი ლეკიშვილს დარტყმისაგან რამოდენიმე წამის განმავლობაში შეეკრა სუნთქვა. როდესაც მას მომიტინგეებმა კითხეს, კარგად იყო თუ არა, მან ისინი დაამშვიდა და უთხრა, რომ კარგად გრძნობდა თავს. ამასობაში პოლიციელები გაიქცნენ. მოგვიანებით, სასწრაფო დახმარების ექიმებმა გიორგი ლეკიშვილს განუმარტეს, რომ ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული. ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გაიხსნა მისი ავადმყოფობის ისტორია.

ბექა ზარიძის საქმე

ბექა ზარიძე რესპუბლიკური პარტიის წევრია. იგი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ორგანიზებულ მანიფესტაციაში. 2007 წლის 4 ნოემბერს, დღის განმავლობაში ის საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდა და ხელში რესპუბლიკური პარტიის დროშა ეჭირა. შუადღისას დაახლოებით 13:30 საათზე ბექა ზარიძე ჩავიდა 9 აპრილის ბაღში წყლის დასაღვავად. მისი განმარტებით, ის იყო მარტო და დროშა მხარზე ჰქონდა გადადებული. მან ნელი სვლით შემოუარა წყლის ონკანს და წყალი დალია. მისგან 30 მეტრის მოშორებით იდგა 15-20 კაცისაგან შემდგარი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი. როდესაც მათ ბექა ზარიძე დაინახეს, დაიწყეს მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება – აგინებდნენ და მიმართავდნენ „შე რესპუბლიკელო“ და ნელი სვლით მიუახლოვდნენ. ბექა ზარიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მან ყურადღება არ მიაქცია აღნიშნული ჯგუფის ქმედებას და ნაბიჯს აუჩქარა. ის მიდიოდა რუსთაველის გამზირის მიმართულებით. დაახლოებით 10 მეტრის გავლის შემდეგ ბექა ზარიძემ ზურგში დარტყმა იგრძნო. თავდაპირველად მას მოეჩვენა, რომ ქვა მოხვდა ზურგში და გაიქცა. როდესაც 9 აპრილის ბაღის კიბეებზე არბოდა, მან დროშას ხელი გაუშვა. ქაშუეთის ეკლესიის მახლობლად მდებარე კიბეებზე ამოსვლის შემდეგ, მან უკან მიიხედა და დაინახა, როგორ მოსდევდა ერთი ბიჭი. ბექა ზარიძის განმარტებით, რუსთაველის გამზირზე ასვლის შემდეგ მან ზურგზე, ხერხემალთან სისველე იგრძნო, ხელი მოისვა და დაინახა სისხლი. ამ დროს მან საპატრულო პოლიციის მანქანას ჩაურბინა გვერდით. მას ორი ადამიანი მისდევდა, ხელები ჰქონდა სისხლიანი, თუმცა ისე ჩაუარა გვერდით პოლიციის თანამშრომლებს, რომ ამ უკანასკნელებს არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ. ბექა ზარიძის თქმით, მას ყურადღება არ მიუქცევია საპატრულო ეკიპაჟის ნომრისათვის. საპატრულო პოლიციის მანქანას არჩილ ჯორჯაძის ქუჩა ჰქონდა გადაკეტილი.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ბექა ზარიძე ავიდა გრიბოედოვის ქ. №13-ში მდებარე რესპუბლიკური პარტიის ოფისში. მან მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა თანაპარტიელებს. დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაზარალებულმა მიმართა ქაშუეთის ეკლესიასთან მდგარ სასწრაფო დახმარება „03“-ის ექიმებს, რომლებმაც განუცხადეს, რომ ჭრილობა იყო ღრმა და უმჯობესი იქნებოდა თუ იგი წავიდოდა საავადმყოფოში. ბექა ზარიძემ მიაკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს. აღნიშნულ დანესებულებაში მას განუმარტეს, რომ ჭრილობა იყო 2,5 სმ სიღრმის და სავარაუდოდ მიყენებული იყო დანით. ჭრილობის დამუშავების შემდეგ მას დაადეს 2 ნაკერი.

ბექა ზარიძე მეორე დღეს დრენაჟის ამოსაღებად გამოცხადდა საავადმყოფოში. მან ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „იმედის“, „რუსთავი-2-სა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს. ამის შემდგომ, ის გამოვიდა საავადმყოფოდან და ეზოში შეკრებილი ის ახალგაზრდები შენიშნა, რომლებმაც წინა დღეს ფიზიკური დაზიანება მიაყენეს მას. ბექა ზარიძე შებრუნდა საავადმყოფოში და რესპუბლიკური პარტიის წევრებთან ერთად დატოვა შენობა.

„საქართველოს გზის“ აქტივისტის საქმე

2007 წლის 4 ნოემბრის ღამეს პარლამენტის წინ მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ისარგებლეს აქციის მონაწილეთა სიმცირით და დისლოკაციის ადგილიდან – სასტუმრო „მარიოტის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ავტომანქანებით გაემართნენ პარლამენტის მიმართულებით. საპატრულო პოლიციის სამმა ავტომანქანამ გაიარა აქციის მონაწილეთა გასწვრივ, პარლამენტისა და ქაშუეთის ეკლესიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის სავალ ნაწილზე, უფრო კონკრეტულად იმ ადგილზე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში იყო გადაკეტილი. ამ ფაქტმა აქციის მონაწილეთა ერთი ნაწილის პროვოცირება გამოიწვია. ისინი შეძახილებით გაემართნენ „მარიოტის“ მიმართულებით, სადაც იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები.

აქციის მონაწილეთა და პოლიციას შორის მოსალოდნელი შეტაკების თავიდან ასაცილებლად პოლიტიკური პარტიების აქტივისტთა ერთმა ნაწილმა პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან შეკრა ცოცხალი ჯაჭვი, ჩადგა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის და აქციის მონაწილეებს არ აძლევდნენ პოლიციასთან მიახლოების საშუალებას. ცოცხალ ჯაჭვში იმყოფებოდა პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს გზის“ ერთერთი აქტივისტი, რომელმაც პირადი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სახალხო დამცველისაგან მისი ვინაობის კონფიდენციალობის დაცვა ითხოვა. ამ დროს „საქართველოს გზის“ აქტივისტს, რომელიც პირით აქციის მონაწილეებისაკენ იყო მიმართული, ზურგიდან მიუახლოვდა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი და თავში ჩაარტყა ხელჯოხი. დარტყმის შემდეგ „საქართველოს გზის“ აქტივისტი შემოტრიალდა და მხოლოდ ზურგზე გაკეთებული წარწერა – „კრიმინალური პოლიცია“ შენიშნა. ამ პიროვნების მიერ ხელჯოხის გამოყენების ფაქტი შენიშნა სასტუმრო „მარიოტისაკენ“ მდგომმა „საქართველოს გზის“ კიდევ ერთმა აქტივისტმა.

მომიტინგეთა უკანონო დაკავება ხობში

2007 წლის 5 ნოემბერს თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე დასასწრებად ზუგდიდიდან მომავალი სამარშუტო ტაქსი ხობთან გააჩერა საპატრულო პოლიციამ. მგზავრები გადაყვანილი იქნენ ქალაქ ხობში, სადაც სამარშუტო ტაქსის მძღოლი ნარკოლოგიური შემონმების ჩატარების, ხოლო სამარშუტო ტაქსის მგზავრი მამაკაცები იდენტიფიცირების მიზნით გადაყვანილი იქნენ ხობის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, საიდანაც მათი გათავისუფლება მოხდა მათი პიროვნების შემონმების და ფოტოგრაფირების შემდგომ. ხობის პოლიციის მხრიდან არანაირი სახის შეზღუდვებს არ დაექვემდებარნენ გაზეთი „დისკუსიის“ ჟურნალისტები: მარინა დამენია, ნათია ბერულავა, ხვიჩა ახალაია, სოფიო და ლელა ხუბულავები. აღნიშნული პირები მგზავრობდნენ იმავე სამარშუტო ტაქსით. მარინა დამენია, ნათია ბერულავა და ხვიჩა ახალაია დაუკავშირდნენ სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს თანამშრომელს ბაგრატ ქირიას, რომელმაც საკუთარი ავტომანქანით დააბრუნა ისინი ზუგდიდში. მოგვიანებით, ჟურნალისტები ქალაქ ზუგდიდში კვლავ შეხვდნენ ხობში დაკავებულ მგზავრებს, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა იქნენ დაკავებული ამჯერად უკვე ზუგდიდის პოლიციის მიერ. დაკავებულების სანახავად ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს შენობაში მივიდა სახალხო დამცველის რწმუნებული ბაგრატ ქირია, რომელიც ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში არ შეუშვეს ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მყოფმა პირებმა, რომლებიც იცავენ ზემოაღნიშნულ შენობას.

დაკავება განხორციელდა ყოველგვარი დასაბუთებული ეჭვის გარეშე. საპროტესტო აქციაზე მიმავალი ადამიანები თითქოს მიჩნეული იქნენ ძებნაში მყოფ პირებად. პოლიციის განყოფილებაში მიყვანით, შემონმებითა და ფოტოგრაფირებით დაირღვა ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. მით უმეტეს, რომ დღეის მდგომარეობით ისინი არც ეჭვმიტანილნი არიან კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, არც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ იქნა შედგენილი. სერიოზულ ვაკვირებას იწვევს ის გარემოება, რომ



ერთი და იგივე პირები დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ გახდნენ შემომნების ობიექტი. ცხადია, რომ ამ შემომნების მიზანი იყო მათი დაშინება და მიტინგში მონაწილეობისათვის ხელის შეშლა. მიმართა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან, ადგილი აქვს სამარშუტო ტაქსის მძღოლისა და მგზავრების მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავებას (სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილი) და პოლიტიკური ნიშნით ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

ცალსახაა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელებული უკანონო დაკავებები ემსახურებოდა მშვიდობიან საპროტესტო აქციაში შეერთებისათვის ხელის შეშლას. აღნიშნული ქმედება მოტივირებული იყო ოპოზიციური პოლიტიკური მოსაზრებების შეუწყნარებლობით. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან დარღვეულია გამობატვის, შეკრება-მანიფესტაციისა და გადაადგილების თავისუფლება. ზემოაღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის კუთხით არსებულ სერიოზულ პრობლემას.

სახალხო დამცველის რწმუნებულის ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში არდაშვებით დაირღვა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, რომლის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე და აპარატის თანამშრომლები კანონის მე-18 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ან მის ნაწილს ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით“. ზემოხსენებული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი ამონმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამონმებს აღნიშნულ დანესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას“. სახალხო დამცველის რწმუნებულის კანონიერი მოთხოვნის – დაეშვათ დაკავებულ პირებთან შესახვედრად – შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ანდრო გოგოლაძის საქმე

2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის მოედანზე მიმდინარე აქციის დარბევის შემდეგ ანდრო გოგოლაძე მივიდა მეტეხის ეკლესიასთან. როდესაც სპეცდანიშნულების რაზმი მივიდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ანდრო გოგოლაძე სხვა მომიტინგეებთან ერთად, წავიდა ბარათაშვილის ხიდისაკენ, სადაც ყვითელ საწვიმარში ჩაცმულმა პოლიციელებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

ნინო სილაგაძის საქმე

ნინო სილაგაძე გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ჟურნალისტი. მისი განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იმყოფებოდ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე. ამ ადგილას, დილის აქციის დარბევის შემდეგ, შეკრებილი იყო მოსახლეობა და ოპოზიციური პარტიების ლიდერები. ნინო სილაგაძის თქმით, რიყეზე მასთან ერთად იმყოფებოდა მისი თანამშრომელი შორენა ცივქარაშვილი. მომიტინგეების შეკრებიდან დაახლოებით 30-40 წუთში პოლიციის მიერ აქციის დაშლა დაიწყო. რიყის ტერიტორიას ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს სპეცდანიშნულების რაზმმა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. მათ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყეს მომიტინგეების დარბევა. ჟურნალისტის მიერ მონოღებულები ინფორმაციით, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ტერიტორიიდან გაღწევა. პოლიციელები გაუგონარი სისასტიკით სცემდნენ ხალხს. განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩეოდა რიყის დაღმართიდან ჩამომავალი რაზმი. ისინი „მიშა, მიშა“-ს სკანდირებდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ყოველ შემხვედრს.

ნინო სილაგაძე და შორენა ციციქარაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ გადამღებ ჯგუფთან ერთად იმყოფოდნენ. ნინო სილაგაძის განმარტებით, მათ თვალწინ წააქციეს მამაკაცი, რომელმაც ცემის შედეგად მოიტეხა ფეხი. თავად ჟურნალისტებს თავს დაესხა ოთხი სპეცრაზმელი. თავდაპირველად, დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან მათ დამიზნებით ესროლეს რეზინის ტყვიები. პირადად ნინო სილაგაძეს რეზინის ტყვიები მოხვდა კისრის არეში და ფეხზე. ამის შემდეგ მათ გინებით მიუახლოვდა ოთხი სპეცრაზმელი, რომლებიც ეძახდნენ: „ოპოზიციონერებო“ და ცდილობდნენ მათი ტერიტორიიდან გაყრას. როდესაც მედიის წარმომადგენლებმა მათ აუხსნეს, რომ იყვნენ ჟურნალისტები, სპეცრაზმის მუშაკები გახდნენ უფრო აგრესიულები და ამის შემდეგ გამოიყენეს ხელკეტები. ერთ-ერთმა მათგანმა ნინო სილაგაძეს ხელკეტი მუცელის არეში დაარტყა. მან დაუყვირა, რომ დაწყნარებულიყო, ვინაიდან უკვე მოხვდა რეზინის ტყვიები. სპეცრაზმის მუშაკმა მას აგრესიულად უპასუხა: „კარგად ვერ მოგარტყეს“. ამის შემდეგ, მათ საშველად ახალგაზრდა მამაკაცი გამოემართა. მცირეოდენი შეხლა-შემოხლის შემდეგ, სპეცრაზმის თანამშრომლებმა ჟურნალისტებს თავი დაანებეს.

ნინო სილაგაძის თქმით, დარბევის განმავლობაში საპატრულო პოლიციის მანქანები იდგნენ რიყის დაღმართზე. მათში მსხდომი პოლიციელები არ რეაგირებდნენ ახალგაზრდა გოგონების შეურაცხყოფისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე და შორიდან აკვირდებოდნენ მოვლენებს.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ საქმე

ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წლის 7 ნოემბერს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების გადაღების დროს, ამავე ტელეკომპანიის ვიდეო ოპერატორი გიორგი ქვრივიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პატრულის თანამშრომლებმა ცემეს და წაართვეს ვიდეოკამერა (Panasonic NV-JF300 (DV – 00129)). ერთდღიანი მკურნალობის კურსი გიორგი ქვრივიშვილმა გაიარა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტი, თინათინ ბერუაშვილი ადასტურებს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად ოპერატორ გიორგი ქვრივიშვილთან ერთად იმყოფებოდა პარლამენტის შენობის წინ. იმ დროს, როცა მომიტინგეები გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ, ტელეკომპანია „თრიალეთის“ ოპერატორი გაყვა მათ, რათა მიმდინარე მოვლენები გადაეღო. თ.ბერუაშვილმა სცადა გ.ქვრივიშვილთან დაკავშირება, თუმცა მისი ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ წყლის ქავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით მომიტინგეთა დარბევის შემდეგ მას დაურეკა საინფორმაციო გამოშვების უფროსმა და აცნობა, რომ ოპერატორი ცემეს, კამერა წაართვეს და გადაიყვანეს საავადმყოფოში. თ.ბერუაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დაინახა კადრები, თუ როგორ სვამდნენ ოპერატორს სასწრაფო დახმარების მანქანაში. საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ სტუდიასთან დაკავშირების შემდეგ მან გამოარკვია, რომ გიორგი ქვრივიშვილი გადაყვანილი იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თინათინ ბერუაშვილმა იგი საავადმყოფოში მოინახულა. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გიორგი ქვრივიშვილმა დატოვა საავადმყოფო. მან თინათინ ბერუაშვილს შეატყობინა, რომ პარლამენტის შენობასთან განვითარებული მოვლენების გადაღებისას ყვითელ ლაბადაში გამონყობილმა პოლიციელმა მას ჯერ კამერა წაართვა, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მეორე დღეს თინათინ ბერუაშვილი დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრს და მიანოდა მათ ინფორმაცია კამერის წართმევის ფაქტის შესახებ. მისი განმარტებით, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებმა მას მისცეს ზურა გვენეტაძისა და შოთა ხიზანიშვილის ტელეფონის ნომრები და უთხრეს, რომ მათთვის უნდა მიემართა. ზურაბ გვენეტაძემ უარყო ტელეკომპანია „თრიალეთის“ კუთვნილი კამერის მასთან არსებობის ფაქტი, შოთა ხიზანიშვილთან დაკავშირება კი შეუძლებელი აღმოჩნდა.



**დავით უსუფაშვილის ახსნა-განმარტება
2007 წლის 7 ნოემბრის დილის დარბევასთან დაკავშირებით**

დავით უსუფაშვილმა ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის რწმუნებულს. შვიდი ნოემბრის დილას ის პარლამენტის შენობის წინ, დანარჩენ მომიტინგეებთან ერთად იმყოფებოდა. მისი განმარტებით, ამავე დღეს, დაახლოებით დილის 7:00 საათზე, პარლამენტის შენობასთან გამოჩნდა ქალაქის დასუფთავების სამსახურის ტექნიკა – დაახლოებით 8-9 დიდი, 10-მდე კი უფრო მონაცრე ზომის მანქანა და ორასამდე მეეზოვე. დავით უსუფაშვილის განმარტებით, ეს იყო სრულიად უჩვეულო, ვინაიდან, საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას დასუფთავების მიზნით პარლამენტის შენობასთან მოდიოდა დაახლოებით 7-8 მეეზოვე, რომელთაც ჩვეულებრივ ჰქონდათ მუშაობის საშუალება. მომიტინგეები ყოველთვის ეხმარებოდნენ მათ ტერიტორიის მონესრიგებაში. დილის ამ მონაკვეთში პარლამენტის შენობის წინ 16-მდე მოშიმშილე იწვა. იმის გამო, რომ მთელი ღამის განმავლობაში წვიმდა, მათ თავზე გადაჭიმული იყო ლურჯი ფერის ბრეზენტი. პარლამენტის შენობასთან ამ დროისათვის იმყოფებოდა დაახლოებით 200-მდე აქციის მონაწილე.

დავით უსუფაშვილის განმარტებით, ის და გიორგი მელაძე პირადად ესაუბრნენ დასუფთავების ჯგუფის უფროსს, ტარიელ ხიზანეიშვილს, რომელმაც თქვა, რომ მისული იყო მხოლოდ ტერიტორიის დასუფთავების მიზნით და მეტი არაფერი არ იცოდა.

დაახლოებით 7:45 საათზე ნავის მანქანებმა დატოვეს ტერიტორია. ამ დროს თავისუფლების მეტროს მხრიდან მოედანზე შევიდა 2-3 ყვითელი ავტობუსი, საიდანაც ჩამოვიდნენ ყვითელი ლაბადებში ჩაცმული პოლიციელები. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები გამოჩნდნენ მეორე მხრიდანაც. მათ დაიკავეს გზის სავალი ნაწილი. დავით უსუფაშვილის განმარტებით, დემონსტრანტებს არავითარი წინააღმდეგობა მათთვის არ გაუწევიათ. ისინი მხოლოდ კითხვებს სვამდნენ, რათა გაერკვიათ, თუ რისთვის იყვნენ მისულნი პოლიციის თანამშრომლები. აქციის მონაწილეები ორგანიზებულად გადავიდნენ ტროტუარზე. ამასობაში, პოლიციის რაზმები გადავიდნენ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გზის სავალ ნაწილზე და სოლისტურად შეიჭრნენ აქციის მონაწილეთა ჯგუფში. დავით უსუფაშვილის განმარტებით, აქციის მონაწილენი ხელებანეულნი გაჩერდნენ მოშიმშილეთა პერიმეტრზე. გოგა ხაინდრავა იდგა იმ კუთხეში, სადაც მიინევდნენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომლებმაც ის გადაისროლეს ქვემოთ. შემდგომ პოლიციელებმა მოარღვიეს რკინის ჯებირები და დაიწყეს მოშიმშილეების გადმოყრა. დავით უსუფაშვილის თქმით, მოშიმშილეებს კიდებდნენ ხელს და ყრიდნენ, ხშირ შემთხვევაში კი ურტყამდნენ ფეხებს. მისივე განმარტებით, პოლიციელთა მხრიდან მათ არ მოუსმენიათ არც ერთი გაფრთხილება. დემონსტრანტები პოლიციის თანამშრომლებს უსვამდნენ კითხვებს, თუ რომელი კანონი ირღვეოდა მათ მიერ, რაზეც მათ პასუხები არ მიუღიათ.

დავით უსუფაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პოლიციელების მხრიდან განსაკუთრებული დაზიანებები მიიღეს ლევან გაჩეჩილაძემ და ბიძინა გეგიძემ. დემონსტრანტები ცდილობდნენ მოშიმშილეთა გაყვანას, რა დროსაც სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები ურტყამდნენ მათაც. პარალელურად, სამართალდამცავები ადგილზე მომუშავე სხვადასხვა ტელევიზიის გადამღები ჯგუფებს კამერებს ართმევდნენ და ამსხვრევდნენ. დარბევას იღებდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს 5-6 კამერა. დემონსტრანტები ერთ-ერთ მათგანს შეეკითხნენ, თუ რომელი ტელეკომპანიიდან იყო. მან უპასუხა, რომ იყო ტელეკომპანია „კავკასიის“ ოპერატორი, თუმცა მას შემდეგ რას სახელი და გვარი ჰკითხეს და პირადობის მოწმობა მოსთხოვეს, მან დაიწყო გინება და დაუძახა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც მას ალყა შემოარტყეს და გაიყვანეს.

კობა დავითაშვილის საქმე

კობა დავითაშვილი არის „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე. აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრია. ეს უკანასკნელი ორგანიზებას უწევდა ქ. თბილისში 2007 წლის 2-7 ნოემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციას რუსთაველის გამზირზე.

7 ნოემბერს ცრემლსადენი გაზის გამოყენებით რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო აქციის დარბევას კობა დავითაშვილი თვალყურს პარლამენტის შენობის სახურავიდან ადევნებდა. კობა დავითაშვილი სახურავზე ხმის გამაძლიერებელთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას ცდილობდა. აღნიშნული საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ ოპოზიციის ერთიანი ეროვნული საბჭო „რესპუბლიკური პარტიის“ ოფისში შეიკრიბა, სადაც დაიგეგმა საპროტესტო აქციის ჩატარება რიყეზე. ვინაიდან მიტინგის ჩასატარებლად საჭირო აპარატურა კვლავ არ არსებობდა, კობა დავითაშვილი „კონსერვატიული პარტიის“ სამ წევრთან ერთად წავიდა მის შესაძენად.

გამყიდველმა კობა დავითაშვილს აცნობა, რომ დილიდან ბაზრობაზე დადიოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები და ძმები რურუების დაჯგუფების წევრები.¹³⁶ ისინი ხალხს უკრძალავდნენ აქციაზე წასვლას. ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიაში კობა დავითაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შეიძინეს საჭირო აპარატურა. როდესაც ისინი გამოდიოდნენ მაღაზიიდან, იქ მივიდა 20-მდე ადამიანი. დაახლოებით 7 მათგანი შევიდა მაღაზიაში და ყოველგვარი საუბრის ან გაფრთხილების გარეშე დაიწყეს კობა დავითაშვილის ცემა. აღნიშნული პირები, კობა დავითაშვილის განმარტებით, იყვნენ შავ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულნი. კობა დავითაშვილს ზუსტად არ ახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა მისი ცემა. მას სცემდნენ სკამებით, გასაშლელი რკინის ჯოხებითა და გაურკვეველი საგნებით, შემდეგ გამოიყვანეს გარეთ და განაგრძეს მისი ცემა. კობა დავითაშვილმა იქვე მდგარ სასულიერო პირს და „ელიავას“ ბაზრობაზე მყოფ ხალხს სთხოვა დახმარება. ამის შემდეგ თავდამსხმელები მოქალაქეებმა ალყაში მოაქციეს. კობა დავითაშვილის განმარტებით, ხალხის წინააღმდეგობის გამო თავდამსხმელები ვეღარ ახერხებდნენ კუთვნილ ავტომანქანამდე მისვლას. მათ მძევლად აიყვანეს მახლობლად მდგარი თეთრი მიკროავტობუსის მძღოლი, კობა დავითაშვილი საბარგულში ჩასვეს და აიძულეს მძღოლი, წასულიყო გორში გლდანის გავლით. აღნიშნული მიკროავტობუსი იყო თეთრი ფერის, საბარგო. სავარაუდოდ, მძღოლი ვაჭრობდა მანქანის საბურავებით, ვინაიდან საბარგული სავეს იყო შეფუთული საბურავებით. მიკროავტობუსში თავდამსხმელები აგრძელებდნენ კობა დავითაშვილის ცემას. ამ უკანასკნელის განმარტებით, ის შეაფოთა იმ ფაქტმა, რომ თავდამსხმელები სახეს არ მალავდნენ. ამ გარემოებამ მას აფიქრებინა, რომ მისი ფიზიკური ლიკვიდაცია ჰქონდათ გადაწყვეტილი, რაც საუბრისას დაუდასტურეს კიდევ. კერძოდ, კობა დავითაშვილმა მიმართა მათ „თუ მკლავთ, რაღა გორში მიგყავართ, კასპში მაინც ჩამიყვანეთ, მშობლიური მხარეა“, რაზეც თავდამსხმელებმა უპასუხეს: „შეგისრულებთ, თუ პურმარილს იკისრებ“. კობა დავითაშვილმა მგზავრობისას დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი. ვინაიდან მიიჩნია, რომ მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო, წარმოთქვა ლოცვა და შეუნდო თავდამსხმელებს ყოველივე. ამან, მისი ვარაუდით, იმოქმედა მათზე, რადგან მათ მძღოლს გააჩერებინეს მანქანა, ამოიტანეს წყალი, რომლითაც მობანეს სახე და ჭრილობა ცხვირსახოცით შეუხვიეს. თავდამსხმელების მითითებით, მძღოლმა კობა დავითაშვილისათვის უცნობ ადგილას, ბუჩქნარში გადაუხვია. გამტაცებლები გადავიდნენ ავტომანქანიდან და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საუბრობდნენ ტელეფონზე. ამის შემდეგ კობა დავითაშვილი გადაიყვანეს შავი ფერის ტოიოტას ფირმის ჯიპში. მანქანას მძღოლის მხარეს დაზიანებული ჰქონდა წინა საქარე მინა, ასევე მძღოლი გვერდით საქარე მინა არ იწეოდა ბოლომდე. კობა დავითაშვილმა, სანამ ჯიპში ჩასვამდნენ, შენიშნა წითელი ფერის BMW-ს მარკის ავტომანქანა. „ჯიპში“ მას გადმოჰყვა 2-3 თავდამსხმელი, ხოლო მანქანაში კიდევ 2 უცნობი პიროვნება დახვდათ. მგზავრობისას თავდამსხმელები პერიოდულად უკავშირდებოდნენ უცნობ პიროვნებას და მას ასმენინებდნენ კობა დავითაშვილის კვნესას. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას მოისმინა, როგორ ეუბნებოდნენ თავდამსხმელები უცნობს, „სამნი ჩვენ ვართ, ალიკაც აქ არის“.

ბოლოს თავდამსხმელებმა კობა დავითაშვილს უთხრეს, რომ ასალეღვებელი აღარაფერი ჰქონდა, ვინაიდან მიჰყავდათ საავადმყოფოში. იგი ცოტა ხანში მიიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

¹³⁶ ნიკოლოზ რურუა საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. ძმასთან, გიორგი (ჟორიკა) რურუასთან ერთად, ნიკოლოზ რურუა 1991-1992 წლებში სახელმწიფო გადატრიალების დროს ხელმძღვანელობდა არაფორმალური შეიარაღებული სამხედრო ფორმირების, „მხედრონის“ ერთ-ერთ დანაყოფს ე.წ. „ბოროტების საქმოს“. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში, ასევე 1993 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიმდინარე სამოქალაქო ომში. ოპოზიციური პარტიის ზოგიერთი ლიდერის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს გიორგი რურუა სავარაუდოდ მონაწილეობდა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის დაშლაში.



აღსანიშნავია, რომ ავტომანქანა დაუბრკოლებლად შევიდა ჰოსპიტალის ეზოში. კობა დავითაშვილი გადაიყვანეს საკაცზე და მოათავსეს რენიმაციაში. დაზარალებული აღნიშნავს, რომ მომსახურე მედ-პერსონალი გაკვირვებული ჩანდა მისი იქ ხილვით, თუმცა ექიმებმა თითქოს იცოდნენ საქმის ვითარება და მომზადებულები იყვნენ მის მისაღებად. ექიმი დაჟინებით მოითხოვდა ოპერაციის ჩატარებას, რასაც კობა დავითაშვილი ეწინააღმდეგებოდა. მას ჰოსპიტალში ჩაუტარდა მთელი რიგი გამოკვლევები. მიუხედავად იმისა, რომ მას არც შინაგანი ორგანოების დაზიანება და არც თავის ქალის სერიოზული ტრავმა აღენიშნებოდა, იგი მოათავსეს რენიმაციაში. აქ იგი სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ აძლევდნენ ტელეფონზე დარეკვის საშუალებას. მეორე დღე შეიტყო, რომ გორის ეპისკოპოსი მეუფე ანდრია ცდილობდა მასთან დაკავშირებას, თუმცა ექიმმა მას განუმარტა, რომ კობა დავითაშვილის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იგი ვერ შეძლებდა ლაპარაკს. კობა დავითაშვილის განმარტებით, გორის ჰოსპიტალში მომუშავე მისმა ნათესავმა მალულად შეძლო მასთან მობილური ტელეფონის შეტანა. კობა დავითაშვილი დაუკავშირდა ოჯახს და პარლამენტის წევრ კახა კუკავას. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი. კობა დავითაშვილის განმარტებით, ამჟამად აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა მისი დაკითხვა მოხდა მხოლოდ 14 ნომბერს.

ოთარ მუჯირიშვილისა და ლევან მოსაშვილის საქმე

2007 წლის 8 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაკავებულებს: ოთარ მუჯირიშვილს და ლევან მოსაშვილს.

ოთარ მუჯირიშვილის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს იგი უნდა შეხვედროდა მეგობარს დილომ-ში. ვინაიდან გზა იყო გადაკეტილი, ჩამოვიდა ტაქსიდან დილმის მასივის ტერიტორიაზე და გადაწყვიტა ფეხით წასულიყო. მისი განმარტებით, საავადმყოფოებთან მას თავს დაეხსნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები და დაუწყეს ცემა, შემდეგ გაათრიეს ტელეკომპანია იმედის ტერიტორიაზე და იქ გააგრძელეს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. ოთარ მუჯირიშვილი აღნიშნავს, რომ მას ერთ-ერთმა სპეც.რაზმელმა ჰკითხა, ჰქონდა თუ არა დანა. მუჯირიშვილის უარყოფითი პასუხის შემდეგ უთხრა – „მე რაც მომინდება, შენს ჯიბეში ის იქნება“. მისი განმარტებით, იგი ხელბორკილით მიაბეს უცნობ პიროვნებას, რომელთან ერთადაც თითქოს მან ჩაიდინა დანაშაული. ამის შემდეგ ჩასვეს მანქანაში, მიიყვანეს დამტვრეულ მანქანასთან (მანქანის მოდელი არ ახსოვს) და ურთიერთ საუბრის შემდეგ წაიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის განყოფილებაში.

დაკავებულ ოთარ მუჯირიშვილს ვიზუალურად დაზიანებები აღენიშნებოდა. კერძოდ, შუბლზე მარცხენა მხარეს სინითლე, მარჯვენა თვალთან სინითლე და შელურჯება, თავზე სისხლნაჟღენთი, ზურგის არეში სინითლე ზოლების სახით.

ლევან მოსაშვილის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს იგი იმყოფებოდა კუთვნილ ბინაში (ქ. თბილისი, დილმის მასივი, მე-4 კვ. კორპ. 5^ა). დაახლოებით 23:00 საათზე მას შემოესმა ხმაური, გადაიხედა აივნისა და დაინახა დაახლოებით 150-200 კაცი, რომლებიც სკანდირებდნენ სიტყვას „საქართველო“. იგი ჩავიდა ეზოში. იქ იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ეჭირათ ბოთლები, ქვები და იმუქრებოდნენ პატრულის მანქანების დაზიანებით. მისი განმარტებით, მან მოახერხა ახალგაზრდების დაყოფილება, გადაეყარათ აღნიშნული ნივთები. დაახლოებით 5-7 წუთის შემდეგ, ტელევიზიის მხრიდან გამოჩნდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები. მათ მომიტინგეების მხარეს ისროლეს ცრემლსადენი ყუმბარები, რის შემდეგაც მომიტინგეები დაიშალნენ.

ლევან მოსაშვილი აღნიშნავს, რომ რამდენიმე მეზობელთან ერთად დარჩა ეზოში, რა დროსაც მათ მიუახლოვდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები და დაუწყეს ცემა ხელკეტებით.

იგი უხსნიდა, რომ იყო უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, რამაც სპეც.რაზმის თანამშრომლები უფრო გააღიზიანა. მას დაადეს ხელბორკილები და პატრულის მეშვეობით გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის №გ15012008/8/ წერილში აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისში რუსთაველის გამზირსა და რიყის ტერიტორიაზე 2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენების შედეგად ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიღებული სხეულის დაზიანების ფაქტზე დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №06078035 საქმეზე, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში მონმის სტატუსით დაიკითხა ოთარ მუჯირიშვილი. მისი სხეულის დაზიანებათა ხარისხის დასადგენად დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №02073801 საქმეზე, ოთარ მუჯირიშვილის მიერ საპატრულო პოლიციის ავტომანქანის დაზიანებისა და ხულიგნობის ჩადენის ფაქტზე.

2007 წლის 18 დეკემბერს 2007 წლის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოთარ მუჯირიშვილის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში.

2007 წლის 28 დეკემბერს ოთარ მუჯირიშვილთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. ოთარ მუჯირიშვილს შეეფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალი პირობით გამოსაცდელი ვადით იმავე ხანგრძლივობით და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ოთარ მუჯირიშვილი არ მიიჩნევს თავს დამნაშავედ ზემოხსენებული ქმედების ჩადენაში. მისი განმარტებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობა განპირობებული პროკურატურის წინააღმდეგ საქმის მოგების შეუძლებლობით.

ვლადიმერ ხუციშვილის საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულები 2007 წლის 12 ნოემბერს იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ქ.თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს იქ განთავსებულ ვლადიმერ ხუციშვილს.

ვლადიმერ ხუციშვილის განმარტებით, 2007 წლის 11 ნოემბერს დაახლოებით 21-22 საათზე იგი იმყოფებოდა ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზირზე, თემქის დასახლების ასახვევში მდებარე აფთიაქში მედიკამენტების შესაძენად. აფთიაქში შევიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მისთვის უცნობი ორი ან სამი პიროვნება. მათ ვლადიმერ ხუციშვილს ყელში ხელი წაუჭირეს და ძალის გამოყენებით გაიყვანეს აფთიაქიდან. გარეთ იმყოფებოდა დაახლოებით 5 ან 6 პირი. იგი გამოყვანისთანავე ჩასვეს თეთრი ფერის ნივარში, სადაც აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. კერძოდ, ხელით სცემდნენ სახის და ზურგის არეში და სთხოვდნენ დაებრუნებინა რეზინის ხელკეტი. ვლადიმერ ხუციშვილის განმარტებით, იგი მიიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. პოლიციის თანამშრომლებმა 7 ნოემბერს რიყეზე მიმდინარე მოვლენების ამსახველი ვიდეო ფირი ჩართეს. ჩანა-



წერში დაფიქსირებულია ვლადიმერ ხუციშვილი რეზინის ხელკეტი. მისი განმატებით, აღნიშნული ხელკეტი მან აქციის დარბევის დროს ერთ-ერთ ნიღბიან სპეცრაზმელს წაართვა, რომელიც მოქალაქეებს სცემდა. ამის შემდეგ დაახლოებით 5-6 პოლიციელი მას 5 წუთის განმავლობაში აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. კერძოდ, მთელ სხეულზე ხელებით და ფეხებით სცემდნენ, რის გამოც სხვა ფიზიკურ დაზიანებებთან ერთად, ჩაემტვრა რამდენიმე კბილი. ცემისას პოლიციელები მოითხოვდნენ ეთქვა, ვისთან ერთად იყო აქციაზე. ამის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა უბრძანა დანარჩენებს შეენწყვიტათ მისი ცემა. ვლადიმერ ხუციშვილის განმარტებით, მან თავი დაარტყა ოთახში მდგარ მინის მაგიდას, რის შემდეგაც სამმა პოლიციელმა იგი ჩაიყვანა ფოიეში, ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს თბილისის შს მთავარ სამმართველოში, სადაც იგი გამოძიებლმა დაკითხა. თბილისის შს მთავარ სამმართველოში მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. დაკითხვის შემდეგ ვლადიმერ ხუციშვილი დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

ამჟამად ვლადიმერ ხუციშვილი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, რომელსაც იხდის რუსთავის №6 საპყრობილეში. ვლადიმერ ხუციშვილის მიმართ შედგენილი იქნა საბრალდებო დასკვნა, რომელიც საქმის არსებითად განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. საბრალდებო დასკვნიდან ირკვევა, რომ ვლადიმერ ხუციშვილს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე (ერთი წლის განმავლობაში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება იმ პირის მიერ, ვისაც აღნიშნული ქმედებისათვის ადრე დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი) და 225-ე (მასობრივ არეულობაში მონაწილეობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ვლადიმერ ხუციშვილის მიერ 273-ე მუხლით გათვალისწინებული სავარაუდო დანაშაულის ჩადენა გამოიხატება იმაში, რომ 2006 წლის 21 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ნათია გუჯაბიძის დადგენილებით ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

2007 წლის 14 მაისს ვლადიმერ ხუციშვილი დაკავებული იქნა საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ და გადაყვანილი იქნა ნარკოლოგიურ განყოფილებაში. ვლადიმერ ხუციშვილს დაუდგინდა „ბუპრენორფინის“ და „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

2007 წლის 1 ოქტომბერს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-5 განყოფილებამ ადმინისტრაციული წესით დააკავა ვლადიმერ ხუციშვილი. ამ უკანასკნელს ნარკოლოგიურ განყოფილებაში ჩაუტარდა კლინიკური გამოკვლევა და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

ამ ორი შემთხვევის საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურამ ბრალი წაუყენა ვლადიმერ ხუციშვილს 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენაში.

საბრალდებო დასკვნაში აღწერილია ქმედების 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციის დაშლის დროს ვლადიმერ ხუციშვილმა რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გვირაბის შესასვლელთან, მომარჯვებული ხელკეტიტ ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის, სპეციალური დაცვის განყოფილების გუშაგ-მებრძოლს პაატა გელაშვილს.

პროკურატურის მტკიცებით, 2007 წლის 11 ნოემბერს დაკავების მომენტში ვლადიმერ ხუციშვილს კვლავ დაუდგინდა „ბუპრენორფინისა“ და „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი.

2007 წლის 18 თებერვალს ვლადიმერ ხუციშვილს წინასწარი პატიმრობა შეეცვალა 2000 ლარის ღირებულების გირაოთი.

დაჩი ბერიძის საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულები 2007 წლის 12 ნოემბერს იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ქ.თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაჩი ბერიძეს. მისი განმარტებით, ამა წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 21:00 საათისათვის იმყოფებოდა მეტროსადგურ „ავლაბრის“ წინ მდებარე გაჩერებასთან და ცდილობდა გაეჩერებინა ტაქსი. ამ დროს, იქვე მდგომი თეთრი ფერის ავტობუსიდან გადმოვიდნენ ყვირთელ სანვიმრებში ჩაცმული პოლიციელები. დაჩი ბერიძის განმარტებით, ერთ-ერთმა მათგანმა მას თავში რეზინის ხელკეტი ჩაარტყა, რის შემდეგაც ირგვლივ შემოეხვივნენ დანარჩენები. დაკავებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მას არ ახსოვს, თუ როგორ აღმოჩნდა თეთრი ფერის ავტობუსში. აღნიშნული ტრანსპორტით ის გადაყვანილ იქნა პარლამენტის შენობასთან, სადაც ის გადასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში და წაიყვანეს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში.

დაჩი ბერიძეს თავზე აღენიშნება სისხლნაჟღერებები და შეშუპება. პოლიციელთა განმარტებით, მისი დაკავების საფუძველია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევა.

შორენა შელიას საქმე

დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისას სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვედნენ და ესაუბრნენ ერთ-ერთ დაკავებულ ქალბატონს, შორენა შელიას. მისი განმარტებით, 2007 წლის 8 ნოემბერს იმყოფებოდა ქ.თბილისში, ქიზიყის ქ.№7ა-ში მდებარე ჯიხურში, სადაც იგი მუშაობს გამყიდველად. შუადღისას მასთან მივიდა ორი უბნის ინსპექტორი, რომლებმაც უთხრეს, რომ ჯარიმა, რომელიც ადრე ჰქონდა დაკისრებული და გადახდილი, ბანკის მიერ არ ფიქსირდებოდა და საკითხის გასარკვევად უნდა გაყოლოდა მათ პოლიციის განყოფილებაში. შორენა შელიამ პოლიციის თანამშრომლებს განუცხადა, რომ აღნიშნული ჯარიმა დროულად ჰქონდა გადახდილი, თუმცა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დიდი ხნის ძებნის მიუხედავად ვერ იპოვა. მან გადანყვიტა, რომ პირადობის მონაწილეებით შეეძლო გადაემონებინა ჯარიმის გადახდის ფაქტი. ის მივიდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც შეიტყო, რომ იგი იყო დაკავებული, ვინაიდან 2007 წლის 7 ნოემბერს მიტინგზე დააფიქსირეს კამერებმა. შედგა მისი დაკავების ოქმი, ხოლო თავად გამოყვანილ იქნა დილომში მდებარე დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში.

2007 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ შორენა შელიას ქმედებაში არ იკვეთებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნები და შეწყვიტა საქმის წარმოება.

ელიზბარ ბასიშვილის საქმე

2007 წლის 7 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემონმების კაბინეტში, სადაც გაესაუბრნენ და შესაბამისი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს დაკავებულ ელიზბარ (კახა) ბასიშვილს. მისი თქმით, ამა წლის 7 ნოემბერს, დილის 8:00 საათისათვის იმყოფებოდა პარლამენტს შენობის წინ გამართულ მშვიდობიან აქციაზე, მოშიმშილეებთან ერთად. ის თავდაცვით შემოიღობდა სამი დღის განმავლობაში. ამ დროს გამოჩნდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომლებმაც დაიწყეს აქციისა და მოშიმშილეების დარბევა და ცემა. დაკავე-



ბულის განმარტებით, პოლიციელებმა ის დააგდეს ასფალტზე და ცემეს, რა დროსაც მიიღო დაზიანება მარცხენა ფეხის კოჭთან. მარცხენა ქვედა კიდურზე მას აღენიშნება შეშუპება. მისი განცხადებით, პოლიციელები მას ხელებითა და ფეხებით ურტყამდნენ თავის არეშიც. ელიზბარ ბასიშვილის თქმით, მისი და აქციის დანარჩენი მონაწილეების მხრიდან პოლიციელების მიმართ წინააღმდეგობის განვება ადგილი არ ჰქონია. ის ძალის გამოყენებით გაიყვანეს რუსთაველის გამზირზე, ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ განყოფილებაში. ელიზბარ ბასიშვილმა უარი განაცხადა შარდის ჩაბარებაზე, რის გამოც დაუდგინეს კლინიკურად ნარკოტიკული ზემოქმედება, რასაც აპროტესტებს.

მალხაზ ჯოლოსხავას საქმე

2007 წლის 9 ნოემბერს მ.ჯოლოსხავას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. როგორც ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მალხაზ ჯოლოსხავა 2007 წლის 07 ნოემბერს, დაახლოებით 05:30 საათზე მოძრაობდა ფეხით, თავისუფლების მოედნიდან კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით, რა დროსაც კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმული ორი მამაკაცის მიერ იძულებით იქნა მოთავსებული BMW მარკის ყავისფერ ა/მანქანაში, სადაც მ.ჯოლოსხავას მიმართ განხორციელდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელიც ა/მანქანაში დახვდა მ.ჯოლოსხავას, დეზოდორანტის მსგავსი ბალონიდან სახეში შეასხა მისთვის გაურკვეველი ნივთიერება, რამაც გამოიწვია თვალების წვა და ცრემლდენა. მალხაზ ჯოლოსხავას განცხადებით, მარჯვენა ხელის შუა თითში ინტენსიურად ჩხვლეტდნენ ნემსის მაგვარ საგანს და პარალელურად აფრთხილებდნენ, აღარ მიეღო მონაწილეობა საპროტესტო აქციაში. ძლიერი ფიზიკური ტკივილების გამო, მ.ჯოლოსხავამ დაკარგა გონება და არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ლალიძის ქუჩის №6-ში მდებარე სახლთან, ასფალტზე დაწოლილ მდგომარეობაში, მას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. მოგვიანებით, დაახლოებით 12 საათისათვის მ.ჯოლოსხავა დაბრუნდა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, რა დროსაც დაიწყო მომიტინგეთა დარბევა, სადაც ეს უკანასკნელი პოლიციის თანამშრომლების მიერ კვლავ იქნა ნაცემი რეზინის ხელ-კეტებით. აქვე მან შენიშნა ის ორი პოლიციელი, რომლებმაც დილით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. მ.ჯოლოსხავას განცხადებით ზ/აღნიშნულ პირთა ამოცნობა შეუძლია, რადგან ისინი არაერთგზის ჰყავს ნანახი კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დარბევის დროს მალხაზ ჯოლოსხავა გახდა შეუძლოდ, დაკარგა გონება და დადაყვანილი იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ნეიროქირურგიის ცენტრში“, სადაც გაეცენენ მ.ჯოლოსხავას ავადმყოფობის №467 ისტორიას. როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან ირკვევა, მოქალაქე სამედიცინო ცენტრში შეიყვანეს 2007 წლის 07 ნოემბერს ქალა ტვინის დაზურული ტრამვისა და თავის ტვინის შეტრყევის დიაგნოზით, ასევე მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილის ქვეშ აღენიშნება სისხლჩაქცევები.

გია შერაზადაშვილის საქმე

2007 წლის 07 ნოემბერს დაახლოებით 14:00 საათზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს რენიმაციულ განყოფილებაში მიყვანილი იქნა, პარლამენტის შენობასთან გამართული აქციის დარბევისას, მძიმედ დაშავებული, უგონო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე გია შერაზადაშვილი.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც გაეცენენ გ.შერაზადაშვილის ავადმყოფობის ისტორიას. როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან ირკვევა, მოქალაქე სამედიცინო ცენტრში შეიყვანეს 2007 წლის 07 ნოემბერს უგონო მდგომარეობაში, დიაგნოზით: პოლიტრამვა, ქალა-ტვინის დაზურული მწვავე ტრამვა, ეპიდურული ჰემატომა, ორივე ჰემისფეროში, სუბდურული ჰემატომა მარცხენა შუბლის საფეთქელში, სუბარაქნოიდული ჰემორაგია,

ფუძისა და ქალასარქელის ძვლების მოტეხილობა. მუცლის ღრუს დახურული ტრამვა, ღვიძლის მე-3 სეგმენტის გახეთქვა, ცხვირის არეში ექსკორაციები.

2007 წლის 07 ნოემბერს 15:00 საათზე გ.შერაზადაშვილს ჩაუტარდა ქალა-ტვინის ოპერაცია, ხოლო 08 ნოემბერს ჩაუტარდა ოპერაცია ღვიძლზე. იგი 2008 წლის 6 მარტის მდგომარეობით ჯერ კიდევ რეაბილიტაციის ცენტრში გადიოდა მკურნალობას.

გია შერაზადაშვილი არ მონაწილეობდა საპროტესტო აქციაში. იგი 2007 წლის 7 ნოემბერს იდგა საკუთარ სახლთან, რომელიც მდებარეობს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე. პოლიციელებმა, რომლებიც მისდევდნენ რუსთაველის გამზირიდან გრიბოედოვის ქუჩაზე გაქცეულ მომიტინგეებს, გია შერაზადაშვილი შეცდომით აღიქვეს დემონსტრანტად და სასტიკად გაუსწორდნენ.

ნათელა ნემსაძის საქმე

2007 წლის 9 ნოემბერს ნათელა ნემსაძეს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. როგორც ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, ნათელა ნემსაძე 2007 წლის 07 ნოემბერს, დაახლოებით 08:00-09:00 საათისათვის მოძრაობდა ფეხით ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც თავს დაესხა რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული სამი პიროვნება და მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ ურტყამდნენ ხელკეტებს კეფის, ზურგისა და ბეჭების მიდამოებში. ძლიერი ფიზიკური ტკივილების გამო ნ.ნემსაძემ დაკარგა გონება, როდესაც გამოფხიზლდა, იმყოფებოდა ქაშუეთის ეკლესიის ქვემოთ მდებარე პარკში. ნ.ნემსაძე გაემართა მეტრო „რუსთაველისაკენ“, რა დროსაც შეესწრო სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ მომიტინგეთა დარბევის ფაქტებს. იმდენად, რამდენადაც თავს გრძნობდა შეუძლოდ და ცემის შედეგად განიცდიდა მწვავე ტკივილებს, დახმარებისათვის მიმართა იქვე მდგარ სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებს და გადაყვანილი იქნა რესპუბლიურ საავადმყოფოში.

ნ.ნემსაძის განცხადებით, ის მონაწილეობას იღებდა პარლამენტის წინ გამართულ აქციაში 02 ნოემბრიდან და თითქმის ყოველ საღამოს, აქციის მონაწილე მამაკაცები, რომლებიც მიდიოდნენ ქაშუეთის ეკლესიასთან მდებარე საპირფარეოში, ბრუნდებოდნენ ნაცემები. მათი განცხადებით, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციის თანამშრომლები.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ნეიროქირურგიის ცენტრში“, სადაც გაეცენენ ნ.ნემსაძის ავადმყოფობის №466 ისტორიას. როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან ირკვევა, მოქალაქე სამედიცინო ცენტრში შეიყვანეს 2007 წლის 07 ნოემბერს ქალა-ტვინის დახურული ტრამვისა და თავის ტვინის შერყევის დიაგნოზით,

მამუკა მდინარაძის საქმე

2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა მამუკა მდინარაძეს. როგორც ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 14:30 საათისათვის მამუკა მდინარაძე გამოვიდა თავისი საცხოვრებელი ბინიდან. მივიდა 9 აპრილის ბაღთან, რადგან აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა მიტინგზე. პოლიციის მიერ მომიტინგეების დარბევის პროცესში მამუკა მდინარაძე გაიქცა. ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც გაქცეული მამუკა მდინარაძის გვერდით აღმოჩნდა, ფეხი დაუდო და წააქცია. თხუთმეტამდე პოლიციელი ერთდროულად გამეტებით ურტყამდა ნიხლებს წაქცეულ მ.მდინარაძეს და ერთმანეთს სთხოვდნენ – „მეც დამარტყმევინეთ“. პოლიციელებმა მას შემდეგ შეწყვიტეს მოქალაქის ცემა, რაც შემთხვევით გამვლელმა, სამღვდელოების ნარმომადგენელმა პირებმა სთხოვეს ამის შესახებ. ვინაიდან მამუკა მდინარაძე თავს გრძნობდა შეუძლოდ, მან მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოს დახმარებისათვის. როგორც გა-



ირკვა, მამუკა მდინარაძეს ცემის შედეგად დაუზიანდა ფილტი და ჩაუტარდა ოპერაცია, ჩაუდგეს დრენაჟი. კიდურებზე, ზურგისა და თავის არეში აღენიშნება მრავლობითი ქრილობები.

ნინო სოსელიას საქმე

2007 წლის 8 ნოემბერს მოქალაქე ნინო სოსელიას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. როგორც ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12:30 საათისათვის ის იმყოფებოდა პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. როდესაც პოლიციამ დაიწყო მომიტინგეთა დარბევა წყლის ქავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით, იგი იდგა პარლამენტის გვერდით, პირველ საშუალო სკოლასთან, რა დროსაც ნინო სოსელიას ერთ-ერთმა ნიღბიანმა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა პირმა, თავის არეში ჩაარტყა ხელკეტი, სახეში გაანწა სილა და მთელი ძალით მიანარცხა პირველი საშუალო სკოლის კედელს. მიუხედავად მწვავე ტკივილისა, მას გონება არ დაუკარგავს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ნინო სოსელია წავიდა სახლში. მოგვიანებით, მარცხენა თვალიდან დაეწყო ცრემლდენა და ძლიერი ტკივილები თავისა და ბეჭის არეში. 2007 წლის 08 ნოემბერს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს. ნ.სოსელიას მკურნალ ექიმთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას გატეხილი აქვს თავის ქალა (საფეთქლის ძვალი).

დუშეთის ქუჩის საქმე

2007 წლის 12 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისში, დუშეთის ქ. №7-ში მცხოვრები კოპინაშვილების ოჯახში. ბავშვების დედის, დიანა ჯამასპიშვილის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 19:30 საათზე ის იმყოფებოდა სახლში 3 მცირეწლოვან შვილთან ერთად – ელენე კოპინაშვილი 5 წლის, ლუკა კოპინაშვილი – 2 წლის და ანი კოპინაშვილი – 1 თვის. ქალბატონმა დიანამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ხალხი სამების ეკლესიისაკენ გაიქცა, სცადა თავი შეეფარებინა დუშეთის ქუჩისათვის, როდესაც გაურკვეველმა პირებმა მათ დასაშლელად კოპინაშვილების ბინის ეზოში შემოაგდო ცრემლსადენი გაზი, რის შედეგადაც ბავშვებმა მიიღეს ინტოქსიკაცია და გადაყვანილნი იქნენ იაშვილის სახელობის ცენტრალურ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით. თავად ბავშვებიც იხსენებდნენ მომხდარის შესახებ.

იმავე დღეს, სახალხო დამცველის რწმუნებულები შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდნენ დუშეთის ქ. №4-ში მცხოვრებ ნინო ხურციძის ოჯახში. ნინო ხურციძის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, მას შემდეგ რაც ხალხი ბარათაშვილის ხიდიდან გამოიქცა სამების ეკლესიისაკენ, მათი საცხოვრებელი სახლის აივანზე დაუდგენელმა პირმა შემოაგდო ცრემლსადენი გაზის ბალონი, რომელიც დაეცა ხურციძის აივნის კართან. ნ. ხურციძეს ჰყავს 7 თვის ბავშვი, რომელიც მშობლებმა, იმისათვის რომ არ მოწამლულიყო, გაახვიეს ადიალაში და ტანსაცმლის კარადაში ჩასვეს. სასწრაფო დახმარების ექიმებმა გასინჯეს ბავშვი და დაადგინეს, რომ ბავშვს მოწამვლა არ აღენიშნებოდა. ოჯახი დემონსტრაციას არ ესწრებოდა.

ზურაბ ცხოვრებაშვილის საქმე

ზურაბ ცხოვრებაშვილი 2007 წლის 07 ნოემბერს იმყოფებოდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე. აქციას შეუერთდა დაახლოებით დღის პირველ საათზე კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მოხდა შეტაკება ხალხსა და სპეცდანიშნულების რაზმს შორის. შეტაკების დროს ჰაერში იდგა მძაფრი სუნნი, რაც გამოწვეული იყო ცრემლსადენი გაზის გამოყენების გამო. მას ხელში ეჭირა საქართველოს დროშა, რის გამოც რამდენჯერმე მოხვდა რეზინის ხელკეტი ზურგის არეში, თან ესმოდა მიზანმიმართული გინება მისი მისამართით (შენი მედროშე დედა...). ამ დროს თავში მოხვდა გაურკვეველი საგანი. ამის შემდეგ გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ ქაშუეთის ეკლესიაში, თუმცა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გზა გადაკეტილი დახვდათ. ამის

შემდეგ შეეცადენ თავისუფლების მოედნის მხრიდან შეელნიათ ქაშუეთის ეკლესიაში, თუმცა გზა იქაც გადაკეტილი იყო. გზაზე მიმავალს წინ შეხვდა სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენელი, რომელმაც ხელიდან გამოგლიჯა დროშა და ხელისკვრით და ყვირილით უბრძანა დაეტოვებინა ტერიტორია. მოსთხოვა დროშის დაბრუნება, რა დროსაც სანაცვლოდ რამდენჯერმე გაარტყეს. ამ დროს მის წინ ახალგაზრდა წააქციეს და დაუწყეს ცემა, რა დროსაც მიეშველა, თუმცა ისიც წააქციეს და რამდენჯერმე ამოარტყეს წიხლი. ამის შემდეგ დატოვა აქცია.

ცხრა ნოემბერს ზურაბ ცხოვრებაშვილს სახლში მიაკითხა პოლიციის ორმა თანამშრომელმა და მოთხოვეს, გაყოლოდნენ დიდი ლილოს განყოფილებაში თითქოსდა მის მიერ დაწერილ საჩივართან დაკავშირებით. იქ უთხრეს, რომ ორგანიზებას უწევდა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციას. სამართალდამცავები მოითხოვდნენ იმ ადამიანების სიას, რომლებიც მონაწილეობდნენ აქციაში. ამის შემდეგ წაიყვანეს ლილოს განყოფილებაში და უთხრეს, რომ შეუფარდებდნენ 15 დღიან პატიმრობას, თუმცა ბოლოს გაათავისუფლეს და უთხრეს, რომ კვლავ დაუკავშირდებოდნენ. კვირას, 11 ნოემბერს, საღამოს დაურეკეს და კიდევ ერთხელ მოთხოვეს მისი თანამოაზრეების სია. აინტერესებდათ ინფორმაცია იაგო ლობჟანიძე და ვინმე გეგეშიძის თაობაზე. მას შემდეგ რაც მისგან მიიღეს უარი, რომ არ იცნობდა ზემოხსენებულ ადამიანებს, ზურაბ ცხოვრებაშვილი გაათავისუფლეს. 12 ნოემბერს დილით ისევ წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, კიდევ ერთხელ სთხოვეს ინფორმაცია მიტინგის მონაწილეებზე, უარის შემდეგ კი შეადგინეს პატაკი და გადაიყვანეს სასამართლოში, სადაც დააჯარიმეს 100 ლარით.

გ.რ.-ს საქმე

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ გ.რ.-ს მოუვიდა უწყება სასამართლოდან. უწყებაში აღნიშნული იყო, რომ იგი მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ხულიგნობისათვის. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა პოლიციის თანამშრომლის ჩვენების საფუძველზე. პოლიციელი ადასტურებდა, რომ მან მოქალაქე გ.რ. ამოიცნო ვიდეოკამერით დაფიქსირებული მასალის ყურებისას. გ.რ.-მ სასამართლოს განუცხადა, რომ 7 ნოემბერს იგი არ იმყოფებოდა რუსთაველის გამზირზე და მოითხოვა ვიდეომასალის ჩვენება. სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სცნო ის სამართალდამრღვევად ხულიგნობაში და დააკისრა ადმინისტრაციული სასჯელი 100 ლარის ოდენობით. მოქალაქე გ.რ.-ს დაანერინეს ხელწერილი, სადაც იგი პირობას დებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას მისცემდა მიხეილ სააკაშვილს. გ.რ. სიტყვიერად გააფრთხილეს, რომ თუ ასე არ მოიქცევა, მას ეს „ძვირად დაუფდება“, რადგან საარჩევნო კაბინებში დამონტაჟებული იქნება ფარული ვიდეო კამერა, რომელიც ყველაფერს დააფიქსირებს. გარდა ამისა, გ.რ.-მ პოლიციაში ყოფნისას ნახა სია, რომელშიც ის, მსგავს სამართალდარღვევაში მხილებულ პირთა შორის, 180-ე აღმოჩნდა. გ.რ.-ს ხელთ ჰქონდა სასამართლოს დადგენილება, რომლის ასლის გადმოცემაზეც მან, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, უარი განაცხადა. მოქალაქე გ.რ.-მ გვთხოვა დაგვეცვა მისი კონფიდენციალობა, რადგან ეშინია პოლიციის მხრიდან ანგარიშსწორების.

მანანა იაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე მანანა იაშვილი. მისი განმარტებით, აქციის დაშლის დროს სოლოლაკისა და მთაწმინდის ქუჩებში დარჩა გაზის კაფსულები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს აღნიშნული უბნის მაცხოვრებლების, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობაზე. ბავშვებს განუვითარდათ სტრესი და ასთმური შეტევები.

ირაკლი ფირცხალავას საქმე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს იქ მყოფ ირაკლი ფირცხალავას.



მისი განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს იმყოფებოდა სამსახურში, რა დროსაც მასთან გამოცხადდა კრიმინალური პოლიციის 2 თანამშრომელი, რომლებმაც მოსთხოვეს გაჰყოლოდა პოლიციის განყოფილებაში დასაკითხად, რაზეც ის დასთანხმდა. ამის შემდეგ, ის გადაიყვანეს შსს ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში, სადაც გაესაუბრნენ თბილისში გამართულ მიტინგთან დაკავშირებით. სამართალდამცავების განმარტებით, ირაკლი ფირცხალავა მანიფესტაციაში მონაწილეობის დროს დაფიქსირებული იყო ვიდეოფირზე. მოგვიანებით ის გადაიყვანეს შსს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაკითხეს მონმის სახით და დააკავეს ეჭვმიტანილად. აქვე განუმარტეს, რომ ის იყო სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული. კერძოდ, მასობრივი არეულობისა მონაწილე, რასაც დაკავებული არ ეთანხმება და თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ.

მოგვიანებით ირაკლი ფირცხალავას მიმართ შეწყდა სისხლისამართლებრივი დევნა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. საქმის მასალები გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამ უკანასკნელმა 2007 წლის 15 ნოემბერს ირაკლი ფირცხალავა სცნო სამართალდამრღვევად სამართალდამცავი ორგანოს კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, ქმედება გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა თხუთმეტი დღის ვადით.

ლევან კაპანაძის საქმე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაკავებულს ლევან კაპანაძეს.

მისი განმარტებით, მ/წ 13 ნოემბერს იმყოფებოდა საკუთარი სახლის ეზოში, რა დროსაც მასთან ა/მანქანა „ვაზ 2107“-ით გამოცხადდა 4 პოლიციელი, რომლებმაც იკითხეს მისი სახელი და გვარი. ვინაობის დადგენის შემდეგ კი, ის გადაიყვანეს შსს დიღმის მეორე განყოფილებაში. ლევან კაპანაძეს მოგვიანებით განუმარტეს, რომ მისი დაკავების საფუძველი გახლდათ სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა. კერძოდ, მისი მონაწილეობა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მ/წ 07 ნოემბერს. იმავე დღეს დაკავებული გადაიყვანეს შსს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაკითხეს მონმის სახით და გააფორმეს მისი ეჭვმიტანილად დაკავების ოქმი. ლევან კაპანაძე თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ და აცხადებს, რომ ის სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე პირი არ არის.

2007 წლის 15 ნოემბერს ლევან კაპანაძის მიმართ შეწყდა სისხლისამართლებრივი დევნა. იმავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სცნო ლევან კაპანაძე სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. ლევან კაპანაძეს დაეკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

ნიკოლოზ ქემოკლიძის საქმე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაკავებულს ნიკოლოზ ქემოკლიძეს.

მისი განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს იმყოფებოდა საკუთარ სახლში, რა დროსაც მასთან გამოცხადდა ორ პოლიციელი, რომლებმაც წაიყვანეს შსს ისანი-სამგორის №8 განყოფილებაში, შემდეგ გადაიყვანეს ისანი-სამგორის შს სამართველოში, სადაც ბრალი წაუყენეს 2007 წლის 07

ნოემბერს პოლიციელების ცემისათვის. ნიკოლოზ ქემოკლიძის მტკიცებით, ის მართლაც იმყოფებოდა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე, მაგრამ მისი მიზანი არ ყოფილა მასში მონაწილეობის მიღება, არამედ იმყოფებოდა იქ გამართულ კონცერტზე მეგობრებთან ერთად, რა დროსაც არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

2007 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ცნო ნიკოლოზ ქემოკლიძე სამართალ-დამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. ნიკოლოზ ქემოკლიძეს დაეკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

ზაალ სიხარულიძე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაკავებულს ზაალ სიხარულიძეს.

მისი განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს იმყოფებოდა საკუთარ სახლში, რა დროსაც მასთან გამოცხადდა პოლიციელი გიორგი სიდამონიძე, უცნობ თანამშრომელთან ერთად, რომლებმაც ის წაიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის შსს განყოფილებაში, სადაც გაესაუბრნენ თბილისში გამართულ მიტინგთან დაკავშირებით, ჩართეს ვიდეოფირი, სადაც ჩანერილი იყო აქციის მიმდინარეობა და ფირზე აღბეჭდილი იყო ზაალ სიხარულიძე. ამ კადრების ნახვის შემდეგ, გადაიყვანეს შსს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაკითხეს მონმის სახით და დააკავეს ეჭვმიტანილად. აქვე განუმარტეს, რომ ის იყო მასობრივი არეულობის მონაწილე, რასაც დაკავებული არ ეთანხმება და თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ.

2007 წლის 15 ნოემბერს ზაალ სიხარულიძის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა შეწყდა. საქმის მასალები გადაგზავნილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. იმავე დღეს სასამართლომ ზაალ სიხარულიძეს დააკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ინგა კვაჭანტირაძის 2007 წლის 15 ნოემბრის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისში რუსთაველის გამზირსა და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეებმა მოაწყვეს მასობრივი არეულობა. მოსამართლე მიუთითებს, რომ მოქალაქეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობას, რბევას, ქონების დაზიანება-განადგურებას, პოლიციის თანამშრომლებისათვის იარაღად მომარჯვებული საგნებით წინააღმდეგობის გაწევას, მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას. მოსამართლემ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ზაალ სიხარულიძე იმყოფებოდა რიყეზე და არ დაემორჩილა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ზაალ სიხარულიძე მიცემულ შენიშვნაზე რეაგირებდა უხეშად და გამომწვევად.

დადგენილებიდან არ იკვეთება, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე მივიდა სასამართლო დასკვნამდე, რომ ზაალ სიხარულიძე არ დაემორჩილა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას. დადგენილებაში მითითებულია საქმის მასალებზე (სავარაუდოდ ეს უნდა იყოს პროკურორ სალომე ჯანუაშვილის 2007 წლის 14 ნოემბრის დადგენილება ზაალ სიხარულიძის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი) და მხარეთა ახსნა-განმარტებებზე. სასამართლოს დადგენილებიდან არ ჩანს, რომ მოსამართლემ მოისმინა ოქმის შემდგენი პატრული-ინსპექტორების ახსნა-განმარტებები. სასამართლოს დადგენილებიდან ირკვევა, რომ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ზაალ სიხარულიძე არ დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. გაუგებარია,



თუკი სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მხოლოდ ზაალ სიხარულიძეს მოუსმინა, მაშინ რატომ მიუთითებს დადგენილებაში მხარეთა ახსნა—განმარტებებზე მრავლობით რიცხვში. იმავდროულად, გაკვირვებას იწვევს, რატომ გამოიყენა ზაალ სიხარულიძის მიერ სასამართლოში მიცემულ ახსნა-განმარტება მოსამართლემ სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუკი სავარაუდო სამართალდამრღვევი არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს.

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ თავის დადგენილებაში უცვლელად გადმოიწერა ის სტანდარტული ტექსტი, რაც 7 ნოემბრის მოვლენების დროს დაკავებულ პირთა ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილებებში და საბრალდებო დასკვნაში დაწერა პროკურორმა სალომე ჯანუაშვილმა. მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე მიუთითებს, რომ ზაალ სიხარულიძე პოლიციის კანონიერ მოთხოვნაზე გამომწვევად რეაგირებდა, მაგრამ იგი არ აკონკრეტებს, თუ რომელი კონკრეტული უკანონო ქმედების შეწყვეტა მოსთხოვა მას პოლიციამ – ეს იყო ძალადობის, რბევის, ქონების დაზიანება-განადგურების, პოლიციის თანამშრომლებისათვის იარაღად მომარჯვებული საგნებით წინააღმდეგობის განხორციელების, მათთვის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან თავის შეკავება თუ რაიმე სხვა. სასამართლოს დადგენილებიდან არ ჩანს, რომ ზაალ სიხარულიძემ რომელიმე ზემოთ აღწერილი ქმედება ჩაიდინა. სამაგიეროდ გარკვევით წერია, რომ აღნიშნული ქმედებების ჩადენის დროს ზაალ სიხარულიძე იმყოფებოდა რიყეზე და გამომწვევად იქცეოდა. ეს გარემოება არ წარმოადგენს კანონდარღვევას. მოსამართლეს ნათლად უნდა დაედასტურებინა, თუ კონკრეტულად რა უკანონო ქმედების აღკვეთა მოითხოვა პოლიციამ ზაალ სიხარულიძისაგან.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის დადგენილება ზაალ სიხარულიძისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე არის დაუსაბუთებელი.

რევაზ ჩხიკვაძის საქმე

2007 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს იქ განთავსებულ დაკავებულს რევაზ ჩხიკვაძეს.

მისი განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს იმყოფებოდა საკუთარ სახლში, რა დროსაც მასთან გამოცხადდა უბნის ინსპექტორი ორ პოლიციელთან ერთად, რომლებმაც სთხოვეს გაყოლოდა პოლიციის განყოფილებაში, რაზეც რევაზ ჩხიკვაძე დასთანხმდა. ამის შემდეგ, ის გადაიყვანეს შსს ვაკე-საბურთალოს №5 განყოფილებაში, სადაც გაესაუბრნენ თბილისში გამართულ მიტინგთან დაკავშირებით, ჩართეს ვიდეოფირი, სადაც ჩანერილი იყო აქციის მიმდინარეობა და კადრში ჩანდა რევაზ ჩხიკვაძე. ამ კადრების ნახვის შემდეგ, გადაიყვანეს შსს თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაკითხეს მონმის სახით და დააკავეს ეჭვმიტანილად. აქვე განუმარტეს, რომ ის იყო მასობრივი არეულობისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის განხორციელების მონაწილე.

2007 წლის 15 ნოემბერს რევაზ ჩხიკვაძის მიმართ შეწყდა სისხლისამართლებრივი დევნა. საქმის მასალები გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამ უკანასკნელმა რევაზ ჩხიკვაძეს შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის.

ირმა ქარდავას საქმე

2007 წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ.თბილისში, გლდანის დასახლებაში არსებული უშიშროების აკადემიის საერთო საცხოვრებელში, ირმა ქარდავას ოჯახ-

ში. მისი განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 11:00 საათისათვის ის თავის ორ მცირე-წლოვან შვილთან – 9 წლის ნ.უ. და 7 წლის გ.უ.-სთან ერთად იმყოფებოდა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, დანარჩენ მომიტინგეებთან ერთად. მას შემდეგ, რაც სპეცრაზმის წევრების მიერ გაშვებულ იქნა ცრემლსადენი გაზი, ი.ქარდავამ შვილებთან ერთად თავი შეაფარა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, სადაც დაჰყო დაახლოებით 15 წუთი. შენობაში იმყოფებოდნენ დაცვის პოლიციის მუშაკები, ადგილობრივი თანამშრომლები და ოცამდე მოქალაქე. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ, პოლიციის თანამშრომელმა ირმა ქარდავას შეატყობინა, რომ შენობაში შემოვარდა ცრემლსადენი გაზის კაფსულა. შიგნით მყოფი ხალხი იძულებული გახდა უკანა გასასვლელიდან გასულიყო. ეზოში გასვლისას აღმოჩნდა, რომ სამთავრობო დაცვის წარმომადგენლებს ეზოს კარიბჭე გარედან ჰქონდათ ჩაკეტილი. უმცროს ვაჟიშვილს, გული წაუვიდა. უცნობმა ქალმა ის წყლით მოასულიერა. ირმა ქარდავა იხსენებს, ხომ მხოლოდ დიდი ხვენის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჭიშკრის გაღება. ეზოდან გასვლის შემდეგ მათ გააგრძელეს მოძრაობა ჩიტაძის ქუჩით და მიუახლოვდნენ კანცელარიის შენობას, მაგრამ სპეცრაზმმა იქაც გადაკეტა გზა და გაუშვა ცრემლსადენი გაზი. ირმა ქარდავას თქმით, ისინი მოყვნენ ალყაში. ქალბატონი ირმა და მისი შვილები იმყოფებოდნენ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების გამო. ამ დროისათვის მათ დახმარება აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარების ექიმებმა. მას შემდეგ, რაც მოათავსეს სასწრაფო დახმარების მანქანაში, ირმა ქარდავამ დაკარგა გონება. დედა და შვილები გადაყვანილნი იქნენ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, საიდანაც გაენერნენ იმავე დღეს.

ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მომენტისათვის ბავშვებს აღნიშნებოდათ ყელის ტკივილი და თავის არეში სიმძიმის შეგრძნება.

ნატო მასხარაშვილის საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისში, ნიკო მარის №22-ში, ლუარსაბიშვილების ოჯახში. ისინი შეხვდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ნატო მასხარაშვილს. ნატო მასხარაშვილი ორი შვილის – 1,5 წლის გ.ლ და 7 წლის ო.ლ-ს დედაა. ამა წლის 7 ნოემბერს ისინი პარლამენტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე იმყოფებოდნენ. მათ დაინახეს, როგორ მორბოდა ხალხი მათი მიმართულებით, ასევე დაინახეს კვამლი, რის შედეგადაც მოინამლნენ. ნატო მასხარაშვილმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შესვლა დააპირეს, თუმცა ისინი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა არ შეუშვეს. მათ განაგრძეს მოძრაობა მეტროს მიმართულებით. ბავშვები შეშინდნენ. 7 წლის ო. დედას ეკითხებოდა: „ხომ არ მოვკვდებით?“. ამ დროს ისინი უცნობმა სამოქალაქო პირმა მანქანით მიიყვანა კოლმეურნეობის მოედნამდე. აღნიშნულ ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის მანქანები იდგნენ. ნატო მასხარაშვილმა მათ დახმარებისათვის მიმართა და სთხოვა სასწრაფო დახმარების გამოძახება, თუმცა პოლიციელებმა ისე დატოვეს ტერიტორია, რომ დახმარება არ აღმოუჩინათ. რამდენიმე ხანში გზაზე გამოიარა სასწრაფო დახმარების მანქანამ, რომელიც ნატო მასხარაშვილმა გააჩერა. აღნიშნული მანქანით ბავშვები გადაყვანილ იქნენ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც მათ პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.

მორისონ ქობალიას საქმე

2007 წლის 11 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მორისონ ქობალიამ, რომელიც პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულია 80-იანი წლებიდან და არის „ხალხთა თანამეგობრობის პარტიის“ თავმჯდომარე.

15 ნოემბერს მორისონ ქობალია ლილოს პოლიციის IV ქვეგანყოფილების ორმა წარმომადგენელმა წაიყვანა განყოფილებაში, სადაც ჰკითხეს, იმყოფებოდა თუ არა 7 ნოემბრის აქციაზე. მორისონ ქობალიამ უპასუხა, რომ მიტინგის დარბევისას „ხალხის თანამეგობრობის პარტიის“ ოფისში პარტიის



წევრებთან და სტუმრებთან შეხვედრაზე იყო, ამიტომ მან გვიან გაიარა მიტინგის ადგილისკენ და რადგან რუსთაველის ქუჩაზე პოლიციელები მოძრაობდნენ, ქვედა ქუჩით წავიდა კოლმეურნეობის მოედანზე, საიდანაც გადიოდა მისი დასახლების მარშრუტი.

მორისონ ქობალიასთვის დამატებითი კითხვები აღარ დაუსვამთ, მაგრამ 16 ნოემბერს დააპატიმრეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით, რომლის მიხედვითაც, ქობალია 7 ნოემბერს 13-14 საათებში დროშით ხელში მოუწოდებდა ხალხს გზის გადაკეტვისკენ და ლანძღავდა, აგინებდა და ცემდა პოლიციელებს. მორისონ ქობალია ამოიწრო პოლიციის თანამშრომელმა მიხეილ პეტრიაშვილმა. ქობალიას განცხადებით, სწორად ეს ადამიანი 15 ნოემბერს ითხოვდა მისთვის მიეთითებინათ, რომელი იყო მორისონ ქობალია, როცა ეს უკანასკნელი პირისპირ ედგა – და თავად განმცხადებელმა ამცნო მას საკუთარი სახელი და გვარი.

მოსამართლის წინაშე მიხეილ პეტრიაშვილმა დაადასტურა ქობალიას მიერ პოლიციელების შეურაცხყოფის ფაქტი. ბატონმა მორისონმა კი განუცხადა მოსამართლეს, რომ უამრავ მოწმეს შეეძლო დაედასტურებინა, რომ იგი 7 ნოემბრის აქციაზე არ იმყოფებოდა, ხოლო საღამოს 16:30-ზე კი, როცა მან გაიარა რუსთაველის პარალელურ ქუჩაზე, მიტინგი უკვე დიდი ხნის დარბეული იყო და მას მაშინ პოლიციელებთან შეხება არ ჰქონია.

მოსამართლის განცხადებით, მოწმეების გამოძახება ვერ მოესწრებოდა და ქობალიას 400 ლარის გადახდა დააკისრა ჯარიმის სახით.

ციალა კედელაშვილის საქმე

2007 წლის 29 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 70 წლის ციალა კედელაშვილის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მიწისძვრით დაზარალებულია და ექვსი წლის განმავლობაში უმძიმეს პირობებში უწევს ცხოვრება. მთავრობა მის საჩივრებს არასოდეს პასუხობდა და ამიტომ იგი სისტემატურად დადიოდა აქციებზე.

7 ნოემბერს, როდესაც სპეცრაზმმა ცრელმსადენი გაზითა და წყლის ქავლით დაშალა მომიტინგეები მათ შორის ციალა კედელაშვილიც იყო. მისი განცხადებით ნიღბიანმა სამართალდამცავებმა მას ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს და ხელკეტი თავში მოხვდა. ციალა კედელაშვილს გული წაუვიდა და სასწრაფო დახმარებამ აღმოუჩინა შველა. მას შემდეგ ციალა კედელაშვილი მკურნალობს და იღებს მედიკამენტებს.

ზურაბ პეტრიაშვილის საქმე

2007 წლის 13 ნოემბერს დაახლოებით დილის 9 საათზე მოქალაქე ზურაბ პეტრიაშვილს თავის სახლში, რომელიც მდებარეობს დიდ ლილოში, მიაკითხა ადგილობრივი პოლიციის განყოფილების თანამშრომელმა და სთხოვა, გაჰყოლოდა პოლიციის განყოფილებაში. პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან ერთი საათის შემდეგ იგი ავტომანქანით გადაიყვანეს ისანი-სამგორის რაიონის „სადგურ ლილოს“ მთავარ განყოფილებაში, სადაც რამდენიმე პიროვნებამ დაჰკითხა 7 ნოემბრის მიტინგის თაობაზე. ზ.პეტრიაშვილის განმარტებით 7 ნოემბერს მიდიოდა რუსთაველის გამზირზე მდებარე ოფისში. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ხალხი რომ დაინახა, გაჩერდა, ამ დროს მოხდა დაპირისპირება იქ შეკრებილ ხალხსა და პოლიციას შორის. იგი გაერიდა შექმნილ არეულობას და გაემართა მეტროსკენ, რა დროსაც დაიწყო სპეცრაზმის მიერ ხალხის დაშლის ოპერაცია. აღმოჩნდა, რომ ამ დროს მეტრო სადგური „თავისუფლების მოედანი“ არ მუშაობდა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი გაემართა კოლმეურნეობის მოედნისაკენ და გაჰყვა ავტობუსს მეტრო სამგორის მიმართულებით. მეტრო სამგორიდან იგი გაჰყვა სამარშრუტო ტაქსს და წავიდა სახლისაკენ ლილოს დასახლებაში.

7 ნოემბერს ნანახი ფაქტების შესახებ მან მოუყვა პოლიციელებს, რომლებმაც ზურაბ პეტრიაშვილს არ დაუჯერეს და განუცხადეს, რომ წაიყვანდნენ სასამართლოში, სადაც მას დააჯარიმებდნენ. მათი ბრალდებით 7 ნოემბერს იგი არ ემორჩილებოდა პოლიციელებს და ცდილობდა გზის გადაკეტვას. ერთ-ერთი პოლიციელისაგან მიიღო პასუხი, რომ უმჯობესია ბრალდებას დაეთანხმოს და ჯარიმა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მის მხარეზე არ იქნება და, თუ გაჯიუტდება, მის მიმართ გამოყენებული იქნება ზემოქმედების სხვა საშუალებები. აღნიშნული საუბრის შემდეგ იგი მარტო დატოვეს ოთახში დაახლოებით ოცდაათი წუთის განმავლობაში. რის შემდეგაც იგი გაათავისუფლეს.

ზურაბ პეტრიაშვილმა აქვე მიუთითა, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან რაიმე სიტყვიერ შეურაცხოვას ადგილი არ ჰქონია.

ვალერიან დარჩიაშვილის საქმე

2007 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ვალერიან დარჩიაშვილმა. მისი განმარტებით, მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, დაახლოებით 16 საათზე, შეხვდა მეგობარს და მასთან ერთად შევიდა ქაშუეთის ეკლესიაში. პარალელურად პარლამენტის წინ მიმდინარეობდა ოპოზიციის მიტინგი. 11 ნოემბერს, დაახლოებით 17 საათზე, განმცხადებელი დაიბარეს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მეექვსე განყოფილებაში და წაუყენეს ბრალი მიტინგზე სიტყვიერად გამოსვლისა და ხელისუფლების გინებისათვის. ბატონმა ვალერიანმა მოითხოვა ბრალდების დოკუმენტური საფუძველი, რაზეც უპასუხეს, რომ უბნის ინსპექტორების მიერ შეტანილი იყო საჩივარი, თითქოს ვ.დარჩიაშვილი მომიტინგეებს შორის იგინებოდა და არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, თუმცა აღნიშნული საჩივარი მისთვის არ წარუდგენიათ. განმცხადებლის განმარტებით, მას ბრალი დასდეს წვრილმან ხულიგნობაში და მასალები გადაუგზავნეს ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. 11 და 12 ნოემბერს განმცხადებელი დაპატიმრებული იყო და იმყოფებოდა ქ.თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში.

ვალერიან დარჩიაშვილის მიმართ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 6 ნოემბერს სამართალდამრღვევი იმყოფებოდა ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე და მოიხმარდა უცენზურო სიტყვებს. სამართალდარღვევის ოქმში არააფერია მინიშნებული იმის შესახებ თუ რა კონტექსტში იყო აღნიშნული გამონათქვამები წარმოთქმული.

2007 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, რევაზ თოფჩიაშვილმა ყოველგვარი მტკიცებულებების შემონიშნების, მონიშნების მოსმენის გარეშე განხილა სამართალდარღვევის საქმე. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ მოისმინა მხოლოდ ოქმის შედგენი პატრულ-ინსპექტორის გიორგი მილაძის ახსნა-განმარტება, რომელიც მიუთითებდა, რომ ვალერიან დარჩიაშვილი მოიხმარდა უცენზურო სიტყვებს. სასამართლომ ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა საქმის მსგავსად, არ გადაამოწმა პატრულ-ინსპექტორის ახსნა-განმარტების უტყუარობის ფაქტი სხვა მტკიცებულებებით, ვალერიან დარჩიაშვილი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა 100 ლარით.

მოსამართლეს უნდა შეეწყვიტა საქმისწარმოება, თუკი დადგინდებოდა, რომ ვალერიან დარჩიაშვილმა მიტინგზე გამოსვლის დროს გამოიყენა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, პოლიტიკურ კონტექსტში. თუმცა მოსამართლე რამაზ თოფჩიაშვილს არ შეუწუხებია თავი საქმის არსებითი გარემოებების დადგენისათვის. საბოლოო ჯამში ადმინისტრაციული სანქცია დაეკისრა ადამიანს, რომელიც ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლებით გარანტირებულ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლოს დადგენილებით ამ უფლებაში ჩარევა მოხდა საკმაოდ დასაბუთებისა და უტყუარი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.



შიო კობიძის საქმე

2007 წლის 15 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ალექსანდრა თევზაძემ. განმცხადებლის განმარტებით, მისი ვაჟიშვილი, შიო კობიძე, აფხაზთის ომის ინვალიდი, 7 ნოემბერს პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე იმყოფებოდა. სპეცრაზმის მიერ მომიტინგეთა დარბევის დროს, იგი გადაეფარა ერთ-ერთ ჟურნალისტს, რის გამოც თვითონ იქნა სასტიკად ნაცემი, ჩამტვრეული აქვს ნეკნები და შიო კობიძემ მკურნალობის კურსი გაიარა ომის ვეტერანთა ჰოსპიტალში.

თეიმურაზ და გიორგი თოფურიების საქმე

2007 წელს 7 ნოემბერს „ტელეიმედის“ წინ საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რწმუნებულმა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ახსნა-განმარტება ჩამოართვა გიორგი თოფურიას, მის მამას – თეიმურაზ თოფურიას და ლევან ხუნწარიას.

გიორგი თოფურია არის სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდულის“ ლიდერი. მისი წერილობითი ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 7 ნოემბერს, დეპუტატ გივი თარგამაძის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ გაუჩნდა ეჭვი ტელეკომპანია „იმედის“ შესაძლო დარბევის შესახებ. იგი მოძრაობა „ახალგაზრდულის“ 50 წევრთან, მათ შორის ლევან ხუნწარიასთან ერთად, გაემართა „იმედის“ შენობისაკენ. ტელეკომპანიის ჭიშკართან ასევე იმყოფებოდა გიორგი თოფურიას მამა თეიმურაზ თოფურია. ტელეკომპანია „იმედის“ შენობასთან გიორგი თოფურიას მისვლიდან 15 წუთში გამოჩნდა სპეცდანიშნულების რაზმი. ლევან ხუნწარიას განმარტებით, მან დაინახა, როგორ მივიდა სასწრაფო დახმარების მანქანა შენობასთან, მაგრამ სპეცრაზმმა არ შეუშვა. თეიმურაზ თოფურიამ შეამჩნია, რომ რამდენიმე პოლიციელი მოქალაქეს სცემდა და მისი დაცვა სცადა. თეიმურაზ თოფურიას ახსოვს, როგორ მოუტრიალდა პოლიციელი, „ებრაელის მსახური“ უწოდა და ხელკეტი მოუქნია. ამის შემდეგ თეიმურაზ თოფურიამ გრძნობა დაკარგა და როდესაც გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ უმოწყალოდ იყო ნაცემი. გიორგი თოფურია აცხადებს, რომ მან პოლიციელებს ხელიდან გამოსტაცა უცნობი ქალი, ამ დროს დაინახა 8-9 პოლიციელი, რომლებიც მისდევდნენ მამამისს, თეიმურაზ თოფურიას. იგი თვითმხილველია, როგორ ჩაართვა პოლიციელმა ნიხლი ნაქცეულ თეიმურაზ თოფურიას.

პოლიციელების დაშლის შემდეგ გიორგი თოფურიამ მამამისი ჩასვა მანქანაში. დაახლოებით 30-40 მეტრის გავლის შემდეგ პოლიციამ მათ ისევ გადაუკეტა გზა. გიორგი თოფურიას გაცხადებით, ერთ-ერთმა სამართლადამცავმა მანქანის კარი გააღო და უბრძანა, შეეგინებინა ბადრი პატარკაციშვილისთვის. უარის მიღების შემდეგ დაარტყა ხელკეტი, უწოდა „ებრაელების მსახური“ და კიდევ ერთხელ უბრძანა შეეგინებინა. გიორგი თოფურიამ მანქანის კარები მოხურა, მაგრამ 50-მდე პოლიციელმა დაიწყო მანქანის მტკრევა. მათ მანქანა დაამტკრიეს, თეიმურაზ თოფურია გადმოიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო გიორგი თოფურიას თავში ხელკეტი ჩაარტყეს და ქვა ესროლეს. მანქანას ააგლიჯეს სანომრე ნიშანი. პოლიციელებმა მანქანის საბარგულიდან ამოიღეს 2 ათასი ლარი. ამ თანხის აღმოჩენის გამო პოლიციელებმა მათ „ებრაელების მოსყიდულები“ უწოდეს. საბოლოოდ გიორგი თოფურიამ მოახერხა მანქანის დაძვრა და გაეცალა შემთხვევის ადგილს. სპეცრაზმი გაქცეულებს გზაში რეზინის ტყვიებს ესროდა. გიორგი თოფურიამ მამამისი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანა, სადაც რამდენიმე საათი დარჩნენ.

გიორგი თოფურიას გაცხადებით, თეიმურაზ თოფურიას ცემის ფაქტი დააფიქსირა ტელეკომპანია „რუსთავი-2-მა“. ტელეკომპანია „იმედი“ კი დააფიქსირა მანქანის დამტვრევის ფაქტი.

ყვითელ ლაბადაში გამოწყობილი პოლიციელების მიერ თეიმურაზ თოფურიას უმოწყალო ცემის ფაქტი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-მა“ დააფიქსირა ჟურნალისტ მანანა მანჯგალაძის პირდაპირი ჩართვის დროს. ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს, როგორ ურტყამს პოლიციელი გაქცეულ თეიმურ თოფურიას ხელკეტს, რის შემდეგაც იგი ძირს წაიქცა. პოლიციელებმა გააგრძელეს ნაქცეული

ადამიანის ნიხლებით ცემა. თემურ თოფურისა გადაეფარა შვილი, რომელსაც მოხვდა სამართალ-დამცავებისაგან მოქნეული ნიხლები. კადრებში ასევე ნათლად ჩანს, „რუსთავი-2“-ის მეორე ყურ-ნალისტი ნატა ნიჭარაძე, რომელიც ცდილობს გიორგი და თეიმურაზ თოფურიების დახმარებას.

ანა ნილოსანის საქმე

„ტელეიმედის“ თანამშრომელი ანა ნილოსანი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, მას შემდეგ გამოჩნდა, რაც შეიტყო სპეცრაზმის შეჭრის შესახებ. შენობის ჭიშკართან მიახლოების შემდეგ სპეცრაზმელები მას მიმართავდნენ შემდეგი სიტყვებით: „პატარკაციშვილის გოშიებო“, „პატარკაციშვილის ბოზებო“, „გამყიდველებო“.

ნიკოლოზ ვადაჭკორიას საქმე

„ქრონიკის“ ოპერატორი ნიკოლოზ ვადაჭკორია შეჭრის მომენტში არ იმყოფებოდა შენობაში. იგი ჭიშკართან დახვდა შენობიდან გამოსულ კოლეგებს და გაეშურა დილომში მდებარე მაიაკოვსკის ძეგლისაკენ. გზაჯვარედინთან მიახლოების შემდეგ, სპეცდანიშნულების რაზმმა დაადევნა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები. ამის შემდეგ კოლეგასთან ერთად გაიქცნენ იაშვილის სახელობის კლინიკისაკენ.

რუსუდან ტაბატაძის საქმე

ტელეკომპანია „იმედის“ პროგრამების რედაქციის რედაქტორის, რუსუდან ტაბატაძის სამუშაო დრო დასრულდა 19 საათზე, თუმცა მას სამსახურში დაბრუნება მოუწია მას შემდეგ, რაც შეიტყო ტელევიზიაში სპეცრაზმის შეჭრის შესახებ. იგი ჭიშკართან მყოფს მეგობარი დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ ტელეკომპანიას უახლოვდებოდნენ ყვითელ ფორმაში ჩაცმული პოლიციელები და შეიარაღებული სპეცრაზმელები. რუსუდან ტაბატაძემ საპროტესტო აქციის დატოვების მიზნით მიაშურა ტელეკომპანიის მახლობლად მდებარე ეკლესიას, სადაც დახვდა სპეცრაზმი. სპეცრაზმელები რუსუდან ტაბატაძეს და მასთან მყოფ პიროვნებას, „პატარკაციშვილის ბოზებს“ უწოდებდნენ, ურტყამდნენ ხელკეტებს და მათი მიმართულებით გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. რუსუდან ტაბატაძეს ხელკეტი მოხვდა წელში, ხოლო მის გვერდით მდგომ უცნობ მამაკაცს მოხვდა რეზინის ტყვია თვალში. რუსუდან ტაბატაძემ თავი შეაფარა სადარბაზოს და იქიდან ნათლად ხედავდა, როგორ ათრევდნენ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები მოქალაქეებს მანქანიდან და როგორ ურტყამდნენ ნიხლს მათ.

სალომე არშბას საქმე

საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ 20 საათსა და 30 წუთზე გასული ინფორმაციის შემდეგ, რომელიც იუწყებოდა ტელეკომპანია „იმედში“ სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის ფაქტს, ტელეკომპანიის შენობასთან მანქანით გამოცხადნენ „იმედის დილის“ წამყვანი სალომე არშბა და ამავე გადაცემის კორესპონდენტები ნინო კვანტრიშვილი და ვიქტორია ბუკია. ისინი ტელეკომპანიას მიუახლოვდნენ, რომლის ტერიტორიიდან მათ დაინახეს, რომ ტელევიზიასთან მყოფი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები როგორ იკეთებდნენ დოლბანდს. „იმედის დილის“ ჟურნალისტები გაიქცნენ შენობის მარცხნივ და დადგნენ 100 მეტრის დაშორებით. ამ დროს დაიწყო სროლა სალომე არშბა, ნინო კვანტრიშვილი და ვიქტორია ბუკია შეცვივდნენ ახმეტელის №2-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, სადაც შეიფარა უცნობმა ოჯახმა. სალომე არშბამ დაურეკა მეგობარს, რომელსაც მანქანით სახლში უნდა წაეყვანა. ამ დროს გამოჩნდა სპეცდანიშნულების დამატებითი რაზმი, რომელმაც ახმეტელის ქუჩაზე გაუშვა ცრემლსადენი გაზი. სალომე არშბა, ნინო კვანტრიშვილი გამოვიდნენ ბინიდან და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.



მაია ანთელავას საქმე

სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრისას, შენობაში არ იმყოფებოდა „ტელეიმედის“ კადრების ინსპექტორი მაია ანთელავა. იგი ინფორმაციის მიღებითანავე გაეშურა ტელევიზიის შენობისაკენ. მისი მისვლის მომენტში ახმეტელის ქუჩის მხარეს, „ტელეიმედის“ დასაცავად გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეებმა იწყეს შეგროვება. ამის შემდეგ მას შეატყობინეს, რომ სპეცდანიშნულების რაზმს თანამშრომლები გამოჰყავდა მეორე შესასვლელიდან, ლუბლიანას ქუჩის მხრიდან. ახმეტელის ქუჩაზე გამოსვლისას დაინახა ყვითელი ავტობუსი, საიდანაც გადმოდიოდნენ ყვითელლაბადიანი და ნილბიანი ადამიანები. მაია ანთელავამ ჰკითხა მათ, თუ რა სჭირდათ შენობის შიგნით თავისუფლებათა ლეკვით ადამიანებს, რაზედაც ზემოხსენებულმა ადამიანებმა ხელკეტი მოიღერეს და „ურჩის ბოზი“ უწოდეს.

ამ დროს შენობას მიადგა ავტომანქანა ნივა, საიდანაც ორმა ახალგაზრდამ იკითხა თუ რა ხდებოდა შენობის შიგნით, რაზედაც ნილბიანმა და წითელდოლბანდიანმა შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ და ავტომანქანა დაუზიანეს. ამ დროს ატყდა სროლა. ამის შემდეგ სპეცრაზმელებმა გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. მაია ანთელავა მივიდა ყვითელლაბადაში ჩაცმულ პოლიციის თანამშრომელთან და სთხოვა, შეენყვიტა ძირს წაქცეული ადამიანის ცემა. პოლიციელმა მაია ანთელავას მხარში ხელკეტი გადაარტყა. როდესაც ხელკეტი ხელახალა მოიქნია, მაია ანთელავას უცნობი მამაკაცი გადაეფარა.

ამის შემდეგ მაია ანთელავა გაიქცა. ამ დროს სპეცრაზმელებმა გაქცეულ გაქცეულ მაია ანთელავას ექვსი რეზინის ტყვია მოარტყეს. კოჭთან მოხვედრილმა ტყვიამ იგი წააქცია. მოსახლეობა ცდილობდა გაქცეული ადამიანების მათ სახლებში შეფარებას, მაგრამ გაქცეულები ვერ ახერხებდნენ სადარბაზოებში შესვლას, ვინაიდან სპეცრაზმელები იჭერდნენ და სასტიკად სცემდნენ. სპეცრაზმელებმა გაქცეული ადამიანების დევნა რამდენიმე კილომეტრში, მაიაკოვსკის ძეგლთან შეწყვიტეს. კოჭში ტყვიის მოხვედრის შემდეგ, მაია ანთელავას დიდი ხნის განმავლობაში უჭირდა ფეხით გადაადგილება.

დავით სიხარულიძის საქმე

ლუბლიანას ქუჩიდან აქციის მონაწილეებზე თავდასხმის ფაქტს ასევე ადასტურებს „ტელეიმედის“ თანამშრომელი დავით სიხარულიძე, რომელიც სამსახურში მაშინ გამოცხადდა, როდესაც „რუსთავი-2-ის“ ეთერით „ტელეიმედის“ სიგნალის გათიშვის შესახებ შეიტყო. სამართალდამცავთა დადევნების შემდეგ მან სხვებთან ერთად თავი იაშვილის კლინიკას შეაფარა, საიდანაც წამოვიდა 23 საათზე.

თინათინ ბაქრაძის ახსნა-განმარტება

„ტელეიმედის“ მთარგმნელ-რედაქტორი თინათინ ბაქრაძე სამსახურიდან გავიდა 20 საათსა და 55 წუთზე. გზად მიმავალმა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობასთან გაიგონა ხმაური. უკან დაბრუნდა, თუმცა „ტელეიმედის“ შენობაში შესვლა ვეღარ მოახერხა, ვინაიდან ჭიშკარი ჩაკეტილი იყო და მთელ ტერიტორიაზე განლაგებული იყო სპეცდანიშნულების რაზმი. თინათინ ბაქრაძესთან ერთად იმყოფებოდა „ტელეიმედის“ რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც ითხოვდნენ შენობაში შეშვებას. ჭიშკართან გამოჩნდა ტელეკომპანია „იმედის“ დაცვის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ სასტიკად იყვნენ ნაცემი. ამ დროს თინათინ ბაქრაძეს შეატყობინეს, რომ დედამისი თავს შეუძლოდ გრძნობდა. იგი შევიდა ტელეკომპანიის ახლოს მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, ტელეფონით ესაუბრა დედას და დაამშვიდა. როდესაც თინათინ ბაქრაძე დაბრუნდა ტელეკომპანია „იმედის“ შენობასთან, სპეცრაზმი უკვე არბევდა აქციის მონაწილეებს. თინათინ ბაქრაძემ იგრძნო ზურგში ძლიერი დარტყმა, თუმცა არ შეუძლია იმის თქმა, ქვა მოხვდა თუ ხელკეტი დაარტყეს. თინათინ ბაქრაძემ თავის შეაფარა ერთერთ საცხოვრებელ სახლს, რომლის ფანჯრიდან

ადევნებდა თვალს ადევნებდა ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. მან დაინახა თუ როგორ დაედევნა სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიიდან გამოქცეულ აქციის მონაწილეებს, რომლებიც ცდილობდნენ თავი კორპუსის ეზოებისა და სადარბაზოებისათვის შეეფარებინათ. სპეცრაზმელები გაქცეულ ადამიანებს მისდევდნენ ეზოებში და ხელკეტებს გამეტებით ურტყამდნენ. ბოლოს თინათინ ბაქარაძე გამოვიდა სამალავიდან და მიუახლოვდა დიღმის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც მან შეამჩნია, როგორ ურტყამდნენ სპეცრაზმელები ხელკეტებს გაქცეულ არასრულწლოვანებს. ამ დროს გაშვებული იქნა ცრემსადენი გაზი, რის შედეგადაც თინათინ ბაქარაძე შეუძლოდ შეიქმნა.

მაია შათაშვილის საქმე

„ტელეიმედის“ თანამშრომელმა მაია შათაშვილმა სამსახურში დაბრუნება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ტელევიზიით გიორგი თარგამაძის გამოსვლას მოუსმინა. „ტელეიმედის“ ჭიშკართან მისვლის შემდეგ მას სპეცრაზმელმა ხელი ჰკრა და გარეთ გაათრია. მაია შათაშვილთან ერთად იმყოფებოდა მისი კოლეგა ნინო ლოლაშვილი და მისი მეუღლე. ქალბატონებს ყვითელ ლაბადაში ჩაცმულმა პოლიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი, ხოლო ნინო ლოლაშვილის მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აქციის დაშლისას მაია შათაშვილმა დაინახა, თუ როგორ სცემდნენ პოლიციელები დაახლოებით 12 წლის არასრულწლოვანს.

გიორგი მდივანის საქმე

„ტელეიმედთან“ მიმდინარე საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა ტელეკომპანიის კინოდეპარტამენტის გახმოვანების რეჟისორი, გიორგი მდივანი. მან ტელეკომპანიის შენობა სპეცრაზმის შეჭრამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა. მისი თქმით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხრიდან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიმართ ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ძალადობას. აქციის დარბევის შემდეგ გიორგი მდივანმა თავს გაქცევით უშველა. ახმეტელის ქუჩაზე რამდენიმე წუთით გაჩერდა დასასვენებლად. ამ დროს მას თავს დაესხნენ სპეცრაზმელები და რეზინის ტყვიები ესროლეს.

თამარ კვანტალიანის საქმე

„ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის ასისტენტი, თამარ კვანტალიანი „ტელეიმედის“ შენობასთან მაშინ გამოცხადდა, როდესაც სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის ამბავი გაიგო. მისი განმარტებით, ტელევიზიის გარეთ მიმდინარე აქციის დაშლა მოხდა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. აქციის დაშლისას მან თავი შეაფარა ერთერთ კორპუსში განთავსებულ საცხოვრებელ ბინას. ნახევარი საათის შემდეგ გაემართა რესტორან „ლუდის მოედნის“ მიმართულებით. გზად შეეფეთა გაქცეულ ახალგაზრდებს, რომელთაც სპეცდანიშნულების რაზმი მოსდევდა. სწორედ ამ დროს გამოყენებული იქნა ცრემსადენი გაზი.

ეკატერინე ბაქრაძის საქმე

„ტელეიმედის“ კინოდეპარტამენტის მთარგმნელ-რედაქტორს ეკატერინე ბაქრაძეს სამუშაო დრო 19 საათზე უმთავრდებოდა, ამის მიუხედავად, 7 ნოემბერს სამსახურში ამ დროის გასვლის მიუხედავად დარჩა, ვინაიდან არსებობდა ინფორმაცია, რომ „ტელეიმედზე“ შტურმი იგეგმებოდა. 20:20 საათზე შედარებით განიმუხტა ვითარება, რამაც ეკატერინე ბაქრაძეს ტელეკომპანიის შენობის დატოვების გადაწყვეტილება მიაღებინა. ტელეკომპანიის შენობიდან გამოვიდა ახმეტელის ქუჩაზე



არსებული გამოსასვლელიდან. ამ დროს შეიტყო, რომ ლუბლიანას ქუჩის მხრიდან „ტელეიმედში“ შეიჭრა სპეცდანიშნულების რაზმი. მისი განმარტებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დაცვის თანამშრომლებს, რომლებიც 40 წუთის განმავლობაში სველ ასფალტზე ყავდათ დანვენილი. მან შენიშნა ჯერ ყვითელ ლაბადაში გამონყოფილი პოლიციელები, შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, რომლებსაც სახეზე აირინინალები ეკეთათ. მათ ტელევიზიასთან შეკრებილი აქციის მონაწილეთა მასა გაარღვიეს, შევიდნენ „ტელეიმედის“ ეზოში და იქიდან დაიწყეს გაზის კაფსულების სროლა.

ქეთევან ვაშაკიძის საქმე

კინოდეპარტამენტის თარგმნა-რედაქტირების მენეჯერმა ქეთევან ვაშაკიძემ იმ დროს დატოვა ტელეკომპანიის შენობა, როდესაც შტურმი უკვე იწყებოდა. მან დაინახა დაცვის თანამშრომელი, რომელიც ფერდს იტკიებდა და ქუთუჯზე ეტყობოდა ნიხლის კვალი. ქეთევან ვაშაკიძემ გადაწყვიტა, ტელეკომპანიის შენობას არ მოსცილებოდა. ცოტა ხანში ჭიშკარი ხალხით გაივსო. ტელევიზიასთან შეკრებილი ადამიანები ტელემაუნყებლობის აღდგენას ითხოვდნენ. სატელეფონო საუბრის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მივიდა ქეთევან ვაშაკიძის შვილი. მათ თავისი თვალთ ნახეს, როგორ ურტყამდა ნიხლებს პოლიცია ნაქცეულ ადამიანს. ტელეკომპანიის შენობის წინ მობილიზებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა გაუშვა ცრემლსადენი გაზი, რის შემდეგაც ქეთევან ვაშაკიძე გაიქცა. სპეცრაზმელებმა გაქცეული ადამიანები ალყაში მოაქციეს და მათ საშუალებას არ აძლევდნენ, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორია.

ირაკლი ნიჟარაძის საქმე

ტელეკომპანია „იმედის“ შენობასთან ასევე იმყოფებოდა „იმედის დილის“ რედაქტორი ირაკლი ნიჟარაძე. საპროტესტო აქციის დარბევისას მან სპეცრაზმელებს ხელიდან გამოსტაცა ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ხელკეტებს გამეტებით ურტყამდნენ პოლიციელები. ტელეკომპანიასთან ახლოს, ახმეტელის ქუჩაზე ერთერთი კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს მაღაზია, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ზემოაღნიშნული კორპუსის მაცხოვრებელთა მცირე ჯგუფი. სპეცრაზმმა ცრემლსადენი გაზი გაუშვა მათი მიმართულებით.

ნინო ლოლაშვილის საქმე

2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ გახმოვანების რეჟისორი ნინო ლოლაშვილმა 21 საათზე დატოვა ტელევიზიის შენობა და გაეშურა ავტოსადგომისაკენ. ამ დროს ავტოსადგომში გამოჩნდა უნომრო, ვერცხლისფერი BMW X5. ამ უკანასკნელმა მოახდინა ავტოსადგომის გასასვლელის ბლოკირება. პარალელურად გამოჩნდნენ შავ ტანსაცმელში გამონყოფილი პირები, რომელმაც იქ მყოფ ადამიანებს ძირს დანოლა მოსთხოვეს. შემოჭრილებმა იარაღის მუქარით დაცვის პუნქტი დაატოვებინეს თანამშრომლებს და დაანვინეს ისინი მინაზე. ამ დროს ნინო ლოლაშვილთან მივიდნენ მისი მეუღლე და თანამშრომელი, მაია შათაშვილი. შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა ქალბატონებს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გააპროტესტა ნინო ლოლაშვილის მეუღლემ, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელს. ამის შემდეგ მას ჩამოგლიჯეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაკის მონიშვნა და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ორმა სამართალდამცავმა ორჯერ ჩაარტყა ხელკეტი ნინო ლოლაშვილს მხარში. ნინო ლოლაშვილმა და მისმა მეუღლემ თავს გაქცევით უშველეს, სამართალდამცავებმა გაქცეულებს დაადევნეს ცრემლსადენი გაზი.

გიორგი მურჯიკნელის საქმე

ტელეკომპანია „იმედის“ გახმოვანების მსახიობი, გიორგი მურჯიკნელი მას შემდეგ მივიდა ტელე-იმედის შენობასთან, როდესაც პირდაპირ ეთერში მოისმინა გიორგი თარგამაძის განცხადება სპეც-რაზმის შეჭრის შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო აქციის მონაწილეთა დარბევა. სპეცდა-ნიშნულების რაზმის წევრებმა ხელკეტის გამოყენებით თავის არეში დაზიანება მიაყენეს ტელეიმედის ჟურნალისტს ანა მამულაშვილს, რომელიც გიორგი მურჯიკნელმა და „იმედის“ თანამშრომელმა ოთარ წირქვაძემ გადაიყვანეს იაშვილის სახელობის კლინიკაში.

ზოგადი ინფორმაცია 2007 წლის 7 ნოემბერს

ქ. თბილისის საავადმყოფოებში მოთავსებული პაციენტების შესახებ

2007 წლის 8 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ მათ მიეწოდათ 2007 წლის 7 ნოემბერს შემოყვანილი პაციენტების სია. მითითებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 7 ნოემბერს ხსენებულ საავადმყოფოს მიაკითხა 46-მა პაციენტმა. მათგან 10 პოლიციელია. 6 პოლიციელს დაუდგინდა მონამვლის დიაგნოზი, 4-ს კი სხვადასხვა ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა. 36 სამოქალაქო პირიდან 26 მოთავსებული იყო მონამვლის დიაგნოზით, 1 მათგანს მონამვლასთან ერთად აღენიშნებოდა მრავლობითი ტრამვა, ხოლო დანარჩენებს (9) აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები.

8 ნოემბრის მდგომარეობით, აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში 7 იანვარს შემოყვანილი 3 პაციენტი იწვა. მათგან ორი იყო პოლიციელი. ერთ-ერთი მათგანი, გიორგი ტაბატაძე მოთავსებული იყო მონამვლის დიაგნოზით. მისი განმარტებით, პარლამენტის შენობის წინ გამართული მანიფესტაციის დაშლისას დაკარგა გონი, თუმცა ვერ იხსენებს, რატომ და რა მომენტში. მან უარი განაცხადა სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის ახსნა-განმარტების მიცემაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზეც.

მეორე პოლიციელი, გოჩა გვარამაძე, ასევე შემოყვანილი იქნა 7 ნოემბერს და მოთავსებულია აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. მას დაუდგინდა ქალატვის ტრამვა და თავის ტვინის შერყევა. მისი ქმით, ის მონაწილეობდა 7 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ გამართული აქციის დარბევაში. სახალხო დამცველის რწმუნებულთა შეკითხვაზე, როგორ მიიღო მან დაზიანებები, გვიპასუხა, რომ არაფერი არ ახსოვს, ასევე უარი განაცხადა რაიმე ახსნა-განმარტების მოცემასა და აღნიშნულის თაობაზე ჩვენს მიერ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზეც.

მესამე პაციენტი სამოქალაქო პირია – ავთანდილ ჯორბენაძე. ის თავად მონაწილეობდა მანიფესტაციაში და გახდა დარბევის მსხვერპლი. მას სხვადასხვა დაზიანებები აქვს მიღებული. სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტისას ის თავს ცუდად გრძნობდა, ამიტომ იმ დროისათვის უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მოცემაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის მოსაზრებებით.

ქალაქის №1 კლინიკურ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მიერ 7 ნოემბერს რიყეზე მიტინგის დარბევისას დაშავებული 63 პირი მიიყვანეს. დაშავებულებს შორის ხუთს ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, 4 დაშავებული იმყოფება სტაციონარში.

8 ნოემბრის მონაცემებით მიტინგზე ცრემლსადენი აირით მონაწილე 10 მოქალაქე ჯერ კიდევ იმყოფებოდა კლინიკაში და გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას. მთლიანობაში დაშავებულებს შორის, რომლებმაც მიაკითხეს №1 კლინიკურ საავადმყოფოს, იყო 3 არასრულწლოვანი 11 წლის



თ.პ; 17 წლის ქ.ა. და 16 წლის ხ.მ., სამივე არასრულწლოვანი იყო მიტინგის დასაშვლად გამოყენებული ცრემლსადენი აირით მონამული, აღენიშნებოდათ გულისრევა, თავლისა და ყელის მიდამოში წვის შეგრძნება.

როგორც რიყეზე ჩატარებული მიტინგის მონაწილე ვახტანგ ინასარიძე იხსენებს – მომიტინგეები სპეცრაზმელებმა ალყაში მოაქციეს და ის ხედავდა, რომ ნიღბიანი პირები უმონყალოდ სცემდნენ მიტინგის მონაწილეებს თავად მას, ასევე ნიკოლოზ დიდიშვილს და გიორგი თევდორაშვილს აქვთ ფეხის ტრამეები, მათთვის და თავად ექიმებისთვის ძნელი სათქმელია, თუ რა ტიპის ტყვიები გამოიყენეს სამართალდამცველებმა მიტინგის დასარბევად.

გიორგი თევდორაშვილმა ჯანმრთელების მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შეძლო სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრება.

2008 წლის 8 იანვარს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორმა“ სახალხო დამცველს გაუგზავნა ვახტანგ ინასარიძის, ასევე ნიკოლოზ დიდიშვილისა და გიორგი თევდორაშვილის სასამართლო-სამედიცინო დასკვნების ქსეროასლები.

ალტერნატიული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში კი აღნიშნულია: „ჭრილობებში უცხო სხეულების არსებობის გათვალისწინებით, დაზიანება განვითარებული უნდა იყოს საკმაო კინეტიკური ენერჯის მქონე რაიმე ფეთქებადი საგნის მოქმედებით.“¹³⁷ იმავე შინაარსის მოსაზრებას ვხვდებით ვახტანგ ინასარიძის მიმართ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში: „დაზიანება განვითარებული უნდა იყოს ცეცხლსასროლი კომპონენტისა და საკმაო კინეტიკური ენერჯის მქონე ფეთქებადი საგნის მოქმედებით“.¹³⁸

ერთ-ერთი დაშავებული იყო სასჯელადსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენელი ლევან ფიცხელაური, რომელმაც უარი განაცხადა სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრაზე და ახსნა-განმარტების მიცემაზე.

2007 წლის 12 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი იმყოფებოდა ქ.თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც შეხვდა 7 ნოემბერს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს და მათ ნათესავებს. კერძოდ, დაზარალებულ ნიკოლოზ დიდიშვილს და მის დედას – ჯული ბერიას, დაზარალებულ ვახტანგ ინასარიძეს და დაზარალებული გიორგი თევდორაშვილის მამას და ძმას. ასევე შეხვდა იმ კლინიკათა ხელმძღვანელებს, რომლებშიც მოთავსებული არიან აღნიშნული მოქალაქეები.

ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის შედეგად გაირკვა, რომ არც ერთი დაზარალებული არ იყო ინფორმირებული, თუ ვინ ანაზღაურებდა მათ მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების ნაწილს თავად ყიდულობენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი შეხვდა კლინიკათა ხელმძღვანელებს. მათ განაცხადეს, რომ ოფიციალურად არ არიან ინფორმირებული სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამის შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენლები ინფორმაციის გადამონმების მიზნით დაუკავშირდნენ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე. ოპერატორმა დაადასტურა, რომ აქციის დაზარალებულ მონაწილეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს სრულად დაფარავს სახელმწიფო. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა კლინიკების ხელმძღვანელებისგან მოითხოვა ინფორმაციის დაზუსტება ოფიციალური წყაროების საშუალებით და პაციენტთა ინფორმირება ამის შესახებ, ასევე აქამდე განეული ხარჯების საკითხის

¹³⁷ ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა №56/კ ნიკა დიდიშვილის მიმართ მე-10 გვ.

¹³⁸ ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გიორგი თევდორაშვილის მიმართ №55/კ მე-7 გვ.

გარკვევა. კლინიკების ხელმძღვანელებმა, მხოლოდ ამის შემდეგ (ტრავმატოლოგიური კლინიკა – დირექტ.: თ.ნოზაძე, სისხლძარღვთა და გადაუდებელი მიკროქირურგიის კლინიკა – დირექტ.: თ.ბუაჩიძე) პირადად აცნობეს დაზარალებულებს, რომ მათ მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებდა სახელმწიფო, ხოლო აქამდე განეული ხარჯები აუნაზღაურდებოდათ განსაზღვრული წესით.

ასევე საყურადრებოა, რომ №1 კლინიკურ საავადმყოფოში მოთავსებულ სამივე პაციენტს ჰქონდა კიდურების მძიმე დაზიანება, რომლის მკურნალობაც, სავარაუდოდ, ვერ დასრულდება საავადმყოფოდან განწერის მომენტისთვის. მნიშვნელოვანია შემდგომი მკურნალობის და რეაბილიტაციის ხარჯების უზრუნველყოფა.

8 ნომბრის საპროტესტო აქციის დაშლა ბათუმში

2008 წლის 8 ნომბერს დილის 9 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის წინ გაიმართა აღნიშნული უნივერსიტეტისა და ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტთა საპროტესტო აქცია. აღნიშნული შეკრება დაშლილი იქნა სპეციალურ ფორმაში ჩაცმული ნიღბიანი პირების მიერ. მათ სცემეს შეკრების მონაწილე სტუდენტები. სპეცდანიშნულების რაზმმა გამოყენა ცრემლსადენი გაზი. აქციის მონაწილეები გაიქცნენ ბათუმის №მე-2 საჯრო სკოლის მიმართულებით, მათ უკან მისდევდნენ სპეცრაზმელები. გაქცეულთა ნაწილმა თავი შეაფარა სკოლის გვერდზე არსებული საბავშვო ბაღის შენობას, ხოლო დაახლოებით 20-30 აქციის მონაწილე შევიდა №2 საჯრო სკოლის შენობაში. სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები დაედევნენ აქციის დანარჩენ მონაწილეებს, რომლებმაც ვერ იპოვეს თავშესაფრი.

2008 წლის 8 ნომბერს ქალაქ ბათუმის №1 კლინიკურ საავადმყოფოში შეიყვანეს უნივერსიტეტის შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის ოთხი მონაწილე, ნიკა კახიძე, გიორგი ბერიძე, ლაშა ბაყუნაშვილი და მამუკა მამულაშვილი. მათ აღენიშნებოდათ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები: გიორგი ბერიძეს აღენიშნებოდა მარჯვენა საფეთქლის თხემის არეში სისხლნაჟღენთები, მცირე სისხლიანი გამონადენით. სისხლნაჟღენთი მარჯვენა თხემ-საფეთქლის არეში აღენიშნებოდა ნიკა კახიძესაც. მამუკა მამულაშვილი უჩიოდა ტკივილს გულმკერდის არეში. ლაშა ბეყუნაშვილს სახეში ურტყეს მუშტი, ხოლო ზურგზე გადაარტყეს ხელკეტი. ფიზიკური შეურაცხყოფის დროს დაუზიანდა სათვალე და მიიღო ნაკანრი ნარბის არეში. ლაშა ბეყუნაშვილს დაესვა მარჯვენა თვალის კაკლის კანტუზიის დიაგნოზი.

ქ. ბათუმში ჩარკვიანის სახელობის სამშობიარო სახლში მიყვანილი იქნა უნივერსიტეტის შენობასთან გამართული აქციის მონაწილე,თამილა ბაჯელიძე. ეს უკანასკნელი იყო შვიდი თვის ფეხმძიმე. აქციის დაშლის შედეგად, მის მიმართ გამოყენებული იქნა ძალა, რის შედეგადაც დაზიანდა ნაყოფი. ინტოქსიკაციის თავიდან აცილების მიზნით, თამილა ბაჯელიძეს მიეცა აბორტის გაკეთების წინადადება. თამილა ბაჯელიძეს ნაყოფი გადარჩა. თუმცა ვერ მოხერხდა მეორე ფეხმძიმე გოგონას ნაყოფის გადარჩენა. ამ უკანასკნელს გამოედგინა სპეცდანიშნულების რაზმი. ფეხმძიმე ქალმა თავი უნივერსიტეტის შენობას შეაფარა. სპეცრაზმელებმა გაქცეულ ქალბატონს მესამე სართულამდე სდიეს.

2008 წლის 8 ნომბერს პოლიციამ დააკავა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შეუდგინა უნივერსიტეტთან გამართული შეკრების მონაწილე მამუკა სოლომონიძე, ქ.ბათუმში უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე უცენზურო სიტყვების წარმოთქმისა და ხმამაღალი გინეზისათვის, ქმედება გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, გოჩა ფუტყარაძემ მამუკა სოლომონიძე ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით.



ნანა ჯაფარაშვილი ტელეკომპანია „იმედისა“ და გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ

2007 წლის 22 აგვისტოს გაზეთებში – „ალია“, „24 საათი“ „რეზონანსი“ და „ახალი თაობა“ – გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტების მიერ ბინის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტზე გურჯაანის შს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება. აღნიშნულ გარემოებას საფუძვლად დაედო მოქალაქე ნანა ჯაფარაშვილის განცხადება, რომელიც განმარტავდა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ რეგიონულმა კორესპონდენტმა ჟანა დიდუბაშვილმა, ოპერატორმა კახა გოგილაშვილმა და „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ ჟურნალისტმა გელა მთივლიშვილმა დაარღვეეს მისი საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა.

2007 წლის 23 აგვისტოს სახალხო დამცველმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს, ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტს კახეთის რეგიონში ჟანა დიდუბაშვილს, ამავე ტელეკომპანიის ოპერატორს კახა გოგილაშვილს და მოქალაქე ნანა ჯაფარაშვილს.

ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით ირკვევა შემდეგი გარემოებები:

2007 წლის 12 აგვისტოს გურჯაანის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ქ. გურჯაანში მცხოვრები არასრულწლოვანი გ.ჯ. მას ბრალი წაუყენეს 2006 წლის დეკემბერში ნანა ჯაფარაშვილის გარდაცვლილი დედის საკუთრებაში რიცხული სახლიდან ჯართის ქუჩაში, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით. იმის გამო, რომ ნანა ჯაფარაშვილმა ქუჩის გზით მითვისებული ნივთები დაიბრუნა შემთხვევიდან მოკლე ხანში, დანაშაულის შესახებ არ განაცხადა შინაგან საქმეთა ორგანოებში. ხსენებული შემთხვევის შესახებ პოლიციისათვის ცნობილი გახდა რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებული იქნა ნანა ჯაფარაშვილის განცხადებით, რის შემდეგაც არასრულწლოვან გ.ჯ.-ს მიმართ გატარებული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძი-

ებები. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვან ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით დაუნიშნა გირაო ხუთი ათასი ლარის ოდენობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა.

2007 წლის 15 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედის“ კახეთის რეგიონულმა კორესპონდენტმა ჟანა დიდებაშვილმა შეიტყო გ.ჯ.-ს ბრალდების შესახებ სისხლის სამართლის საქმის დეტალები. ინფორმაციის მიღებიდან მეორე დღეს ჟანა დიდებაშვილი ჩავიდა ქალაქ გურჯაანში და თავისი წყაროსაგან მიღებული ინფორმაცია გადაამონმა გ.ჯ.-ს მშობლებთან. არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმით ასევე დაინტერესდა ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი.

ჟურნალისტი ჟანა დიდებაშვილის განმარტებით, იგი დაუკავშირდა გ.ჯს დამცველს, მიხეილ შიოშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ბინაში შეღწევის ბრალდების ნაყენება არასრულწლოვანის მიმართ იყო დაუსაბუთებელი, ვინაიდან სახლი, საიდანაც სავარაუდოდ ჯართის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება განხორციელდა, თავისი მდგომარეობის გამო არ გამოიყენებოდა საცხოვრებლად და მასში შეღწევა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ქმედების დანაშაულებრივი კვალიფიკაციის სისწორის დასადგენად, ჟურნალისტი გელა მთივლიშვილმა და ჟანა დიდებაშვილმა გადანყვიტეს დანაშაულის შედეგად ხელყოფილი სახლის დათვალიერება. მათ სურდათ იმის გარკვევა, თუ რამდენად არის შესაძლებელი დაბრკოლების გადალახვის გარეშე საცხოვრებელ სახლში შესვლა.

გელა მთივლიშვილის და ჟანა დიდებაშვილის, ასევე ოპერატორ კახა გოგილაშვილის მტკიცებით, საცხოვრებელ სახლში მისვლამდე „იმედის“ გადამღებმა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაინერა ნანა ჯაფარაშვილთან. მათივე განმარტებით, ჩანერის დასრულების შემდეგ, ნანა ჯაფარაშვილმა მათ შესთავაზა ენახათ საცხოვრებელი ადგილი, რომელიც გახდა ქურდობის ობიექტი. გელა მთივლიშვილის განმარტებით, აღნიშნულ შეთავაზებას შეესწრნენ ნანა ჯაფარაშვილის სავაჭრო დისლოკაციასთან ახლოს მყოფი ტაქსის მძღოლები. გელა მთივლიშვილს არ შეუძლია ტაქსის მძღოლთა ვინაობის დასახელება. შესაბამისად, ვერ შეეძელით ნანა ჯაფარაშვილის სახლის გადაღების ნებართვის ან თანხმობის ფაქტის დადგენა. სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება, მიგვაჩნია, რომ ნანა ჯაფარაშვილის მხრიდან საცხოვრებელი სახლის ეზოში შესვლის თანხმობას ადგილი არ ჰქონია.

ნანა ჯაფარაშვილი უარყოფს თავისი დედის სახელზე რიცხული სახლის გადაღების თაობაზე მისი მხრიდან ნამოსული რაიმე ინიციატივის ფაქტს. იგი აცხადებს, რომ სახლში შეღწევა და გადაღების წარმოება არ იყო მასთან შეთანხმებული. ტელეკომპანია „იმედმა“ მისგან ინტერვიუ აიღო მას შემდეგ, რაც თვითნებურად შევიდნენ საცხოვრებელ სახლში.

2007 წლის 16 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ეთერში გავიდა ჟანა დიდებაშვილის მიერ მომზადებული სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო 24 ლარის ღირებულების ჯართის ქურდობისათვის გ.ჯ-სათვის დაკისრებული გირაოს თანხის ოდენობის (ხუთი ათასი ლარის) არაგონივრულობაზე. სიუჟეტში ხაზი იყო გასმული არასრულწლოვანი ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, რომელსაც არ შეეძლო ბრალდებულის შეფარდებული გირაოს გადახდა. სიუჟეტში აისახა ის გარემოება, რომ გ.ჯს შეგნებულად უმძიმებენ ბრალს, ვინაიდან მას არ შეუღწევია დაცულ ბინაში, არამედ ის შევიდა მიტოვებულ სახლში, სადაც დიდი ძალისხმევის გარეშე ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია მოხვედრა. მაყურებლისათვის სახლის მდგომარეობის ზუსტი ილუსტრაციის მიზნით, კადრებში ნაჩვენებია სახლისაკენ მიმავალი გზა, შესასვლელი, შენობის კედლები და ნარჩენები. ჟანა დიდებაშვილის სიუჟეტი დაბალანსებული იყო ნანა ჯაფარაშვილის კომენტარით. გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა კომენტარის გაკეთებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟანა დიდებაშვილის მიერ მომზადებულ სიუჟეტს წინ უძღოდა „იმედის“ ეთერში ჟურნალისტი გიორგი მოლოდინის მიერ მომზადებული რეპორტაჟი, რომელიც შეეხებოდა თბილისში, გლდანის რაიონში არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ჯართის ქურდობის ფაქტს, რომელიც გ.ჯ-ს საქმის



ანალოგიური იყო. ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება, კონტექსტიდან გამომდინარე, იყო არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებულ მწვავე პრობლემაზე გამოძახილი. რაც უდაოდ წარმოადგენს საზოგადოებრივი ყურადღების საგანს და უფლებას აძლევს ჟურნალისტს, საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გურჯაანის პროკურატურასა და ამავე რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს რაიონულ განყოფილებას. სახალხო დამცველმა მოითხოვა 160-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ფაქტზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ №გ03.10.2007/29 წერილით სახალხო დამცველს აცნობა, რომ ნანა ჯაფარაშვილის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის მიზნით. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხედველობაში იქნება მიღებული სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

თეა ალავერდაშვილი რამაზ ქერეჭაშვილის წინააღმდეგ

2007 წლის 3 აგვისტოს სახალხო დამცველის გაესაუბრა გურჯაანში საზოგადოებრივი მაუწყებლის კორეპოდენტს თეა ალავერდაშვილს, რაზედაც შედგა ოქმი. ასევე ახსნა-განმარტება ჩამოართვა გაზეთ „იმედის“ ჟურნალისტს, თამარ მახარაშვილს, „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრის“ კახეთის კოორდინატორს გელა მთივლიშვილს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რამაზ ქერეჭაშვილს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტებს, პაატა ჯაჭვლიანსა და გელა მეგრელიშვილს.

მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა შემდეგი გარემოებები:

2006 წლის ნოემბერიდან დეკემბრის თვემდე საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტი თეა ალავერდაშვილი შეთავსებით მუშაობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მომზადებული რეპორტაჟისათვის ჟურნალისტმა კომენტარი აიღო „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრის“ კოორდინატორისაგან კახეთის რეგიონში, გელა მთივლიშვილისაგან. ამ გარემოებამ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო თეა ალავერდაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. თეა ალავერდაშვილის მეუღლე პაატა ჯაჭვლიანი მუშაობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

2007 წლის 27 აგვისტოს გელა მთივლიშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვისა და კორუფციის თემაზე მოიწვია პრესკონფერენცია. მედიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გამამღები ჯგუფიც. გელა მთივლიშვილის განმარტებით, პრესკონფერენციის მიმდინარეობის დროს თეა ალავერდაშვილს ურეკავდნენ მობილურ ტელეფონზე და პრესკონფერენციის გაშუქებისაგან თავის შეკავებას სთხოვდნენ. თუმცა თეა ალავერდაშვილმა არათუ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა, არამედ კომენტარი აიღო გამგეობის კულტურის სამსახურის თანამშრომლის, თინათინ ზარდიაშვილისაგან. ამ უკანასკნელმა საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუდასტურა გელა მთივლიშვილის პრესკონფერენციაზე გაჟღერებული ინფორმაცია, რომ სამსახურის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასის ოდენობა არ შეესაბამებოდა სახელფასო უწყისის მონაცემებს. თინათინ ზარდიაშვილთან ინტერვიუს ჩანერას თვალყურს ადევნებდა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების სპეციალიტი თემურ ბუნაშვილი. თეა ალავერდაშვილმა გელა მთივლიშვილის

მიერ მოყვანილი ფაქტების შესახებ კომენტარის მიღების მიზნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს. რამაზ ქერეჭაშვილმა კომენტარზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ თეა ალავერდაშვილის მეუღლე, პაატა ჯაჭვლიანი თავის კაბინეტში დაიბარა და სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა მოსთხოვა. ამგვარი მოთხოვნის მიზეზი თეა ალავერდაშვილის ჟურნალისტური საქმიანობა გახდა, რაზედაც პაატა ჯაჭვლიანი ზემოქმედებას ვერ ახდენდა. ამ დროს რამაზ ქერეჭაშვილის კაბინეტში ასევე იმყოფებოდნენ თემურ ბუნაშვილი და გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალიტი, გელა მეგრელიშვილი.

თეა ალავერდაშვილმა გურჯაანის გამგებლის მოთხოვნა მასზე ზენოლად აღიქვა და გამგებლის ქმედებებზე სასაუბროდ შეხვდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს. საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ თეა ალავერდაშვილი აღმოჩნდა კულტურის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების სპეციალისტის, თემურ ბუნაშვილის პირისპირ. ამ უკანასკნელმა მუნიციპალიტეტის გამგებელზე მომზადებული რეპორტაჟის გამო ჟურნალისტს შეურაცხყო. აღშფოთებულმა თეა ალავერდაშვილმა უკვე გამგებლის, რამაზ ქერეჭაშვილის კაბინეტს მიაშურა. ჟურნალისტმა თემურ ბუნაშვილის საქციელზე განმარტებების მოსმენა ითხოვა. აღნიშნული მოთხოვნა ხმამაღალ საუბარში გადაიზარდა. ამ დროს გამგებლის სამუშაო კაბინეტში ასევე იმყოფებოდნენ პაატა ჯაჭვლიანი, გელა მეგრელიშვილი და გურჯაანის საკრებულოს წევრი, მურთაზ შალუაშვილი. საუბრის დანყების წინ გამგებლის კაბინეტის მისაღებში იმყოფებოდნენ ტელეკომპანია „მზის“ კორეპონდენტი კახეთის რეგიონში ხათუნა გულიაშვილი, ასევე ჟურნალისტები გელა მთივლიშვილი და თამარ მახარაშვილი. რამაზ ქერეჭაშვილი ჟურნალისტის ხმამაღალმა საუბარმა გააღიზიანა, რის შედეგადაც მან საკუთარი მობილური ტელეფონი ისროლა. აღნიშნულ ფაქტს თვითმხილველები განსახვავებულად აღწერენ. თეა ალავერდაშვილი, გელა მთივლიშვილი და თამარ მახარაშვილი მიუთითებენ, რომ მობილური ტელეფონი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის მიმართულებით იყო ნასროლი, რაც მან შემთხვევით აიცილა. ამ ფაქტს თავად გამგებელი, გელა მეგრელიშვილი და პაატა ჯაჭვლიანი კატეგორიულად უარყოფენ. ისინი აცხადებენ, რომ რამაზ ქერეჭაშვილმა არა თეა ალავერდაშვილისაკენ ისროლა მობილური ტელეფონი, არამედ სრულიად საპირისპირო, გამგებლის სავარძელის მიმართულებით. პაატა ჯაჭვლიანი აღნიშნავს, რომ მობილური ტელეფონი მოხვდა კედელს, რომელიც მდებარეობს გამგებლის სავარძლის მახლობლად.

პაატა ჯაჭვლიანი ადასტურებს, რომ მეუღლის პროფესიული საქმიანობის გამო გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი რამაზ ქერეჭაშვილი მასზე მართლაც ახდენდა ზენოლას. პაატა ჯაჭვლიანი იქვე აღნიშნავს, რომ მობილური ტელეფონის სროლა არ მომხდარა მისი მეუღლის მიმართულებით. პაატა ჯაჭვლიანი მიუთითებს, რომ თეა ალავერდაშვილს არ შეეძლო სროლის ტრაექტორიის განსაზღვრა, ვინაიდან იმ მომენტში გამგებლისაგან ზურგით იდგა, ხოლო სხვა ჟურნალისტები გამგებლის კაბინეტში მობილური ტელეფონის სროლის შემდეგ შევიდნენ. გელა მთივლიშვილი დაბიჯობით ამტკიცებს, რომ წარმოადგენს მობილური ტელეფონის ჟურნალისტის მიმართულებით სროლის თვითმხილველს და გამგებლის სამუშაო კაბინეტში მას შემდეგ შევიდა, რაც მას ხმაური შემოესმა.

რუსუდან ჭაბუკიანისა და კახა ჯანეზაშვილის საქმე

2007 წლის 27 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ საღამოს საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ეთერში გავრცელდა ინფორმაცია ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტ რუსუდან ჭაბუკიანისა და ოპერატორ კახა ჯანეზაშვილისათვის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ აპარატურის წართმევის შესახებ. ვინაიდან, აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში საგარაუდო ჩარევას, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის მიერ დაწყებული იქნა აღნიშნული საკითხის შესწავლა.

2007 წლის 28 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტს რუსუდან ჭაბუკიანსა და ოპერატორ კახა ჯანეზაშვილს. ასევე, შემთხვევის თვითმხილველებს, პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრებს,



ნანა ლეჟავასა და თამარ რუხაძეს. ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტებებიდან დგინდება შემდეგი გარემოებები:

საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით 2007 წლის 27 სექტემბერს 19:30 საათიდან ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი, რუსუდან ჭაბუკიანი და ოპერატორი, კახა ჯანეზაშვილი იმყოფებოდნენ ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩის №27, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე ზემოხსენებულ შენობასთან გამოჩნდა საპატრულო პოლიციის დაახლოებით 20 ავტომანქანა, რომლებმაც გადაკეტეს აღნიშნული ქუჩა. საპატრულო პოლიციის ავტომანქანებიდან გადმოვიდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, რომლებიც მიუახლოვდნენ ოფისს, რომლის კიბეებზეც იმყოფებოდა „იმედის“ გადამღები ჯგუფი. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა მოითხოვეს ჟურნალისტების შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გაყვანა.

საპატრულო პოლიციის მანქანების გამოჩენისთანავე, ჩაირთო ტელეკომპანია „იმედის“ კამერა. სამართალდამცავებმა მოითხოვეს გადაღების შეწყვეტა, ამის შემდეგ, მიუახლოვდნენ ოპერატორ კახა ჯანეზაშვილს, წაართვეს კამერა და ხელები გადაუგრიხეს. ჟურნალისტმა რუსუდან ჭაბუკიანმა მოითხოვა კამერის უკან დაბრუნება, რასაც შს ორგანოს წარმომადგენლების მიერ მისთვის მიკროფონის წართმევა მოჰყვა. სამართალდამცავებმა ხელგადაგრეხილი ოპერატორი და ჟურნალისტი დააყენეს სახით ორ სხვადასხვა საპატრულო პოლიციის ავტომანქანისაკენ. აპარატურის ჩამორთმევის შემდეგ, კახა ჯანეზაშვილის მოთხოვნით, სამართალდამცავებმა შეწყვიტეს ფიზიკური იძულება, თუმცა ჟურნალისტს ეკრძალებოდა მობილური ტელეფონით რედაქციასთან კომუნიკაცია. სამართალდამცავების იმ ჯგუფმა, რომელმაც ოფისში შეაღწია, დაახლოებით 5-10 წუთში, დააკავა და შენობიდან გამოიყვანა მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი. თვითმხილველების მტკიცებით, შენობიდან გამოყვანის შემდეგ, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ პირადი ჩხრეკის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ადგილი არ ჰქონია. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს ზემოაღნიშნული მოძრაობის შენობის აიენიდან აკვირდებოდნენ ნანა ლეჟავა და თამარ რუხაძე.

2007 წლის 2 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას. სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან მოითხოვა სამართალდამცავების მიერ ტელეკომპანია „იმედის“ გადამღები ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ქმედების ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყება, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ჩამორთმეული აპარატურის დაბრუნება.

2007 წლის 18 ოქტომბერს სახალხო დამცველს შინაგან საქმეთა სამინისტროდან №7/1/5-4060 წერილით აცნობეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების განმარტებით აპარატურის წართმევას ადგილი არ ჰქონია. როგორც მოგვიანებით, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გახდა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააბრუნა აპარატურა ვიდეომასალის გარეშე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან წერილობითი პასუხი არ მიუღია.

ელისო ბერიშვილის და თემურ თანდაშვილის საქმე

2007 წლის 7 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა ელისო ბერიშვილმა, სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მიუთითა შემდეგი:

2007 წლის 7 ნოემბერს „დილის ქრონიკის“ გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია.

დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე პარლამენტის შენობას მიუახლოვდა დასუფთავების სამსახურის დაახლოებით 15 ავტომობილი. ამავდროულად, სატვირთო ავტომობილებით შეიტანეს რკინის მესერი. დასუფთავების სამსახურის ავტომობილების გატარების მოტივით, გაიხსნა საპატრულო პოლიციის მიერ გადაკეტილი ქუჩა და პარლამენტის წინ საპატრულო პოლიციის ლაბადებში გამონყობილი სამოცამდე ადამიანი შევიდა. ისინი ორგანიზებულად მიუახლოვდნენ მოშიმშილებს და დაიწყეს მათი დარბევა. ამ პროცესებს აფიქსირებდა ტელეკომპანია „იმედის“ გადამღები ჯგუფი.

ძალადობის ფაქტების გადაღების დროს, ჟურნალისტებს მივიდა საპატრულო პოლიციის ერთი ჯგუფი (დაახლოებით 5 ადამიანი). პოლიციელებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ოპერატორი ძირს დააგდეს და ვიდეოკამერა წაართვეს. ამის შემდეგ ნიხლებით სცემეს ელისო ბერიშვილიც და მიკროფონის წართმევა სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს.

წართმეული ვიდეოკამერა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეიტანეს კინოთეატრ „რუსთაველში“. დაახლოებით ერთ საათში ერთ-ერთ ჟურნალისტს ტელეფონით დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი და აცნობა, რომ თავის ავტომობილში იპოვა ტელეკომპანია „იმედის“ ვიდეოკამერა.

საბოლოოდ, შოთა ხიზანიშვილმა უკან დააბრუნა მწყობრიდან გამოსული და გამოსაყენებლად აბსოლუტურად უვარგისი ვიდეოკამერა.

სახალხო დამცველს იდენტური ახსნა-განმარტება მისცა ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორმა – თემურ თანდაშვილმა.

სახალხო დამცველმა საქმის მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

მარიამ ქადაგიშვილის საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მარიამ ქადაგიშვილი აღნიშნავს, რომ 7 ნოემბერს, დილის 8:00 საათისათვის ის მივიდა პარლამენტის შენობასთან. მას თან ჰქონდა კამერა და იღებდა ფილმს საერთაშორისო საკაბელო ტელევიზია „სი-ენ-ენის“ დაკვეთით.

მარიამ ქადაგიშვილის განმარტებით, მიტინგი თითქმის დაშლილი იყო, როდესაც მას ალყა შემოარტყა პოლიციის ოთხმა თანამშრომელმა. მისი თქმით, მიტინგის დაშლის პროცესში პოლიციის თანამშრომლები განსაკუთრებით ავიწროებდნენ იმ პირებს, ვისაც კამერა ჰქონდა თან. მარიამ ქადაგიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პოლიციელებმა მას წაართვეს კამერა და რამდენჯერმე ზურგშიც ჩაარტყეს მუშტები. ამის შემდეგ მან რამდენჯერმე მიმართა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს კამერის დაბრუნების თხოვნით. მოგვიანებით, პოლიციის თანამშრომელმა დათო გელოვანმა მას კუთვნილი აპარატურა კასეტის გარეშე დაუბრუნა. კამერა იყო დაზიანებული. მას უთხრეს: „ხიზანიშვილს მიაკითხე კასეტაზე“. მარიამ ქადაგიშვილი ფიქრობდა, რომ კასეტას სავარაუდოდ გაშიფვრის შემდეგ დაუბრუნებდნენ.

2007 წლის 25 ნოემბერს რიყეზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. ჟურნალისტმა მარიამ ქადაგიშვილმა, რომელიც ამზადებდა მასალას საკაბელო ტელეკომპანია „CNN“-სათვის, სცადა რიყეზე მყოფი რამდენიმე მაღალჩინოსანის, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამინისტრაციის უფროსის, შოთა ხიზანიშვილის, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, ბაჩო ახალაიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, ერეკლე კოდუას გადაღება. შვიდმა პოლიციელმა მას ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვა ვიდეოკამერა. მოგვიანებით მარიამ ქადაგიშვილს დაუბრუნეს წართმეული კამერა, თუმცა გადაღებული მასალის გარეშე.



2007 წლის 28 ნოემბერს სახალხო დამცველმა გადაუგზავნა საქმის მასალები გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

2008 წლის 21 იანვარს გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ კამერის წართმევისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით მოწმედ დაიკითხა მარიამ ქადაგიშვილი. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გიორგი ქვრივიშვილის საქმე

ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წლის 7 ნოემბერს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების გადაღების დროს, ამავე ტელეკომპანიის ვიდეო ოპერატორი გიორგი ქვრივიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პატრულის თანამშრომლებმა სცემეს და წაართვეს ვიდეოკამერა (Panasonic NV-JF300 (DV – 00129)). ერთდღიანი მკურნალობის კურსი გიორგი ქვრივიშვილმა გაიარა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტი, თინათინ ბერუაშვილი ადასტურებს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად ოპერატორ გიორგი ქვრივიშვილთან ერთად იმყოფებოდა პარლამენტის შენობის წინ. იმ დროს, როცა მომიტინგეები გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ, ტელეკომპანია „თრიალეთის“ ოპერატორი გაყვა მათ, რათა მიმდინარე მოვლენები გადაეღო. თინათინ ბერუაშვილმა სცადა გიორგი ქვრივიშვილთან დაკავშირება, თუმცა მისი ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით მომიტინგეთა დარბევის შემდეგ მას დაურეკა საინფორმაციო გამოშვების უფროსმა და აცნობა, რომ ოპერატორი სცემეს, კამერა წაართვეს და გადაიყვანეს საავადმყოფოში. თინათინ ბერუაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დაინახა კადრები, თუ როგორ სვამდნენ ოპერატორს სასწრაფო დახმარების მანქანაში. საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ სტუდიასთან დაკავშირების შემდეგ მან გამოარკვია, რომ გიორგი ქვრივიშვილი გადაყვანილი იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თინათინ ბერუაშვილმა იგი საავადმყოფოში მოინახულა. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გიორგი ქვრივიშვილმა დატოვა საავადმყოფო. მან თინათინ ბერუაშვილს შეატყობინა, რომ პარლამენტის შენობასთან განვითარებული მოვლენების გადაღებისას ყვითელ ლაბადაში გამოწყობილმა პოლიციელმა მას ჯერ კამერა წაართვა, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მეორე დღეს თინათინ ბერუაშვილი დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრს და მიაწოდა მათ ინფორმაცია კამერის წართმევის ფაქტის შესახებ. მისი განმარტებით, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებმა მას მისცეს ზურა გვენეტაძისა და შოთა ხიზანიშვილის ტელეფონის ნომრები და უთხრეს, რომ მათთვის უნდა მიემართა. ზურაბ გვენეტაძემ უარყო ტელეკომპანია „თრიალეთის“ კუთვნილი კამერის მასთან არსებობის ფაქტი, შოთა ხიზანიშვილთან დაკავშირება კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

2007 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქმის მასალები გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას.

2008 წლის 8 თებერვალს გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, გიორგი ქვრივიშვილის განცხადება დაერთო სისხლის სამართლის №06078035 საქმეს. აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება დაიწყო 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე და რიყის ტერიტორიაზე ცალკეულ მოქალაქეთა სხეულის დაზიანების ფაქტზე. მოწმის სახით დაიკითხეს გიორგი ქვრივიშვილი და თინათინ ბერუაშვილი, დანიშნეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ქვრივიშვილის სხეულის დაზიანებათა ხარისხის დასადგენად.

თეა სიჭინავას ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20:45 საათზე ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ კორესპონდენტი თეა სიჭინავა იმყოფებოდა სააპარატოში, როდესაც მასთან შევიდა ატირებული ჟურნალისტი ირინე ხიზანიშვილი და განაცხადა, რომ შენობაში შეიჭრა სპეცდანიშნულების რაზმი. ამ დროს სააპარატოში იმყოფებოდა ათამდე ადამიანი და მათ შორის ცხრა თვის ფეხმძიმე — ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე. სააპარატოში მყოფმა ჟურნალისტებმა დაკეტეს კარი და დაელოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას. კარზე ჯერ კაკუნის შემდგომ ბრაზუნის ხმა გაისმა. ნახევარი წუთის გასვლის შემდეგ სააპარატოს კარი შეამტვრიეს. ოთახში შევიდნენ შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და უნილბო სპეცდანიშნულების რაზმის წევრები. მათ ჟურნალისტებს ხელები მალა აანევენეს და უბრძანეს იატაკზე დანოლა. სპეცრაზმელები მალე დარწმუნდნენ ბრძანების აღსრულების შეუძლებლობაში, ვინაიდან სააპარატოში არსებული სივრცე ვერ დაიტევდა ათზე მეტ დანოლილ ადამიანს. სანაცვლად მოითხოვეს ხელებანულ მდგომარეობაში მუხლებზე ჩაჯდომა. დიანა ტრაპაიძემ, ფეხმძიმობის გამო, მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხა სპეცრაზმელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება. თეა სიჭინავამ სთხოვა სპეცრაზმელს, არ შეხებოდა მის ფეხმძიმე კოლეგას. ამ თხოვნაზე სპეცრაზმელმა ვაკვირებული სახით იკითხა, რომელია ფეხმძიმეო? მაშინ, როცა დიანა ტრაპაიძე მის პირდაპირ იდგა და ამ ქაღალტონის მდგომარეობა ყველასათვის ნათელი იყო. ამ დროს დანარჩენმა სპეცრაზმელებმა ჟურნალისტების თანდასწრებით დააზიანეს სააპარატოში არსებული კაბელი. ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელს პაატა კაკაურიძეს სრულიად უმიზეზოდ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა იატაკზე დაგდებასა და ცემაში. სპეცრაზმელებმა ჟურნალისტებს მოსთხოვეს ტელეფონების ჩაბარება. თეა სიჭინავამ აკანკალებული ხელებით მიანოდა სპეცრაზმელს ტელეფონი. სპეცრაზმელმა მოსთხოვა, შეენყვიტა კანკალი. თეა სიჭინავამ უპასუხა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. სპეცრაზმელი კიდევ უფრო გაღიზიანდა და ყვირილით მოსთხოვა კანკალის შეწყვეტა. თეა სიჭინავამ უკან დამალა ხელები. ამის შემდეგ სააპარატოში მყოფი თანამშრომლები ერთმანეთის მიყოლებით, წყვილებად გამოიყვანეს სააპარატოდან. დერეფანში თეა სიჭინავამ დაინახა თავისი თანამშრომლები, რომლებიც იატაკზე იწვნენ და ხელები თავზე ჰქონდათ დანყოფილი. იგივე მდგომარეობა იყო შენობის პირველ სართულზეც. სააპარატოდან ჟურნალისტები შეიყვანეს ნიუსრუმში. სპეცრაზმელები ჟურნალისტებს არ აძლევდნენ ქალაქის ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობას და რუსეთის აგენტებს უწოდებდნენ. ამის შემდეგ თეა სიჭინავამ დატოვა ტელეკომპანია „იმედის“ ტერიტორია.

ლაშა მიქაძის ახსნა-განმარტება

საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ჟურნალისტი ლაშა მიქაძემ განმარტა, რომ 7 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე პროფესიული მოვალეობის შესრულების მიზნით. ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში ჟურნალისტი ლაშა მიქაძე დაბრუნდა 19 საათზე. ორმოც წუთში მან კვლავ დატოვა ტელეკომპანიის შენობა, ხოლო უკან დაბრუნებისას „ტელეიმედი“ სპეცდანიშნულების რაზმის ალყაში იყო მოქცეული. მან ტელეკომპანიის ეზოში დაინახა თანამშრომლები, რომლებსაც გარეთ არ უშვებდნენ. ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტები შენობას მეორე გამოსასვლელიდან ანუ ლუბლიანას ქუჩის მხრიდან დატოვებდნენ. ლაშა მიქაძემ, ჟურნალისტი ლევან ტაბიძემ და საინფორმაციო სამსახურის შეფ-რედაქტორმა, მათე კირვალიძემ მიაშურეს ლუბლიანას ქუჩას და შეხვდნენ შენობიდან ევაკუირებულ კოლეგებს. ჟურნალისტები შეიკრიბნენ ერთად და დაიძრნენ „იმედის“ მეორე შესასვლელისაკენ. პირველად წავიდა ლაშა მიქაძე, მას მიჰყვნენ დიანა ტრაპაიძე, მისი მეუღლე, „ტელეიმედის“ რედაქტორი ჯონი კალანდაძე, ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, გადაცემა „ღია ეთერის“ პროდიუსერი ირაკლი მოსეშვილი. ლუბლიანას შესახვევთან მათ დახვდათ სპეცრაზმი, რომელმაც გაფრთხილების გარეშე გაუშვა ცრემსადენი გაზი. ლაშა მიქაძე შეტრიალდა და გაიქცა, თუმცა გასროლილი რეზინის ტყვია მას მაინც მოხდა. რეზინის ტყვიები ესროლეს ცხრა თვის ფეხმძიმე დიანა ტრაპაიძესაც, რომელიც მირბოდა ლაშა მიქაძის გვერ-



დით. ლაშა მიქაძემ, დიანა ტრაპაიძემ და ჯონი კალანდაძემ სირბილის შემდეგ მიაღწიეს ერთერთ კორპუსს, სადაც გამოქცეული ჟურნალისტები შეიფარა მესამე სართულზე მცხოვრებმა უცნობმა ოჯახმა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ამავე კორპუსის პირველ სართულზე მცხოვრებმა უცნობი ოჯახმა შეიფარა სპეცრაზმელებისაგან დევნილი ტელეკომპანია „იმედის“ პოპულარულ წამყვანიც ინგა გრიგოლია, ჟურნალისტი სოფო ნიკოლაიშვილი და მის მეუღლე, ირაკლი მოსეშვილი. ინგა გრიგოლია თავს შეუძლოდ გრძნობდა. გამოძახებული იქნა სასწრაფო სამედიცინო სამსახური „03“, რომელსაც გააყოლეს ინგა გრიგოლია, ასევე, მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, დიანა ტრაპაიძეც.

ლევან ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ მიჰყავდათ ჟურნალისტებს ლევან ჯავახიშვილსა და სოფო მოსიძეს. წამყვანებს გადაცემის მიმდინარეობისას რეჟისორმა აცნობა, რომ შენობაში სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა. ამის შესახებ წამყვანებმა პირდაპირ ეთერში აუწყეს მსმელს. მოგვიანებით პირდაპირი ეთერი გააგრძელა საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქციის ხელმძღვანელმა გიორგი თარგამაძემ. სოფო მოსიძე და ლევან ჯავახიშვილი საეთეროში შევიდნენ. მალე საეთეროს კარი შემოამტვრიეს და საეთეროში საგრძნობროდ ცემით შეათრია ვიზაჟისტი ნათია ქარქაშაძე, რომელსაც აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. სპეცრაზმელი საეთეროში მყოფ სხვა ადამიანებსაც აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ცეცხლსასროლ იარაღს უმიზნებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, საეთეროში მყოფი თხუთმეტი ადამიანი ჩაიყვანეს პირველ სართულზე, სადაც ლევან ჯავახიშვილმა დაინახა იატაკზე დანოლილი თავისი კოლეგები, რომელთაც თავის მხარეს ცეცხლსასროლი იარაღის ლულები ჰქონდათ დამიზნებული. ერთ-ერთი სპეცრაზმელი ტელეკომპანიის თანამშრომელ ქალბატონებს „ბადრის პუტანკებს“ უწოდებდა. სპეცრაზმელმა ლევან ჯავახიშვილს იარაღი მოუღერა და „ბადრის ლეკვი“ უწოდა. გარეთ გამოსულ ლევან ჯავახიშვილს უარი უთხრეს მისი კუთვნილი ავტომანქანით სარგებლობაზე. ამ დროს შენობას მოუახლოვდა სპეციალურად აღჭურვილი რაზმი, რომელმაც ჟურნალისტ ლევან ჯავახიშვილს ორი რეზინის ტყვია ფეხებში, ხოლო ორი ზურგში ესროლა. სპეცდანიშნულების რაზმმა გაქცეულ ჟურნალისტს ლუდუშაურის კლინიკის ტერიტორიამდე სდია. ლევან ჯავახიშვილი არ აპირებდა აქციაში მონაწილეობას, მის მიმართ დადევნება გამონევეული იყო არა წესრიგის დაცვის, არამედ ანგარიშსწორების მოტივით.

ირინა ხიზანიშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბრის საღამოს საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ წამყვანი ირინა ხიზანიშვილი იჯდა ნიუსრუმში, როდესაც შემოესმა ყვირილი. ამის შემდეგ იგი ავიდა საეთეროში და იქ მყოფ პირებს აცნობა, რომ შენობაში სპეცდანიშნულების რაზმი იყო შესული. ცოტა ხანში საეთეროში შევიდნენ „ქრონიკის“ წამყვანები სოფო მოსიძე და ლევან ჯავახიშვილი. სამი წუთის გასვლის შემდეგ საეთეროში შეაღწიეს სპეცრაზმელებმა და იქ მყოფებს ძირს დანოლა უბრძანეს. საეთეროში იმყოფებოდა „ტელეიმედის“ 15 თანამშრომელი. სპეცრაზმელები ჟურნალისტებს დაემუქრნენ ძალის გამოყენებით, მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში. ხუთი წუთის შემდეგ საეთეროში შეკრებილი ჟურნალისტები ჩაიყვანეს ნიუსრუმში. ირინა ხიზანიშვილი დაინახა, რომ ტელეკომპანიის თანამშრომლები იატაკზე იწვნენ და მათ თავს დასტრიალებდნენ შეიარაღებული სპეცრაზმელები. ირინა ხიზანიშვილი მიუახლოვდა თავის სამუშაო კომპიუტერს, აიღო თავის ჩანთა და ხელებანეული გამოვიდა შენობიდან. „ქრონიკის“ სპორტულმა ჟურნალისტმა ლაშა დვალიშვილმა კოლეგებს, ირინა ხიზანიშვილს, თამუნა ჩიხლაძეს, ანა იასაშვილსა და რუსუდან ჭაბუკიანს თავისი მანქანით სარგებლობა შესთავაზა. თუმცა სპეცრაზმელებმა არ მისცეს ჟურნალისტებს მანქანით გადაადგილების შესაძლებლობა.

თამარ ჩიხლაძის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20 საათსა და 30 წუთზე სიუჟეტის დამონტაჟების შემდეგ მთავარი რედაქტორის სამუშაო ოთახში იმყოფებოდა საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ კორესპოდენტი თამარ ჩიხლაძე. ამ დროს მას მოესმა ყვირილის ხმა: შემოვარდნენ, გაიქეციოთ. თამარ ჩიხლაძემ ცხადად დაინახა ნიღბიანი და შეიარაღებული სპეცრაზმელები. თამარ ჩიხლაძე თავის კოლეგასთან, ანა იასაშვილთან ერთად ავიდა ჯერ მეორე, შემდეგ მესამე სართულზე. ამ დროს სტუდიის კარზე იყო მიყრდნობილი ანა იასაშვილი, რომელსაც დაემართა ასთმის შეტევა. „დროების“ ჟურნალისტებმა დაჩივრები გაუშვეს და იოსებ ბარნაბიშვილმა შეუძლოდ მყოფი ანა იასაშვილი შეიყვანეს „დროების“ სამუშაო ოთახში და მოათავსეს გაღებულ ფანჯარასთან. ამ დროს აღნიშნულ ოთახში შეიჭრა სპეცრაზმი და იქ მყოფ პირებს ჩამოართვა მობილური ტელეფონი. სპეცრაზმელები მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ანა იასაშვილი თავს შეუძლოდ გრძნობდა, მისცეს მას ოთახის დატოვების საშუალება. დერეფანში თამარ ჩიხლაძემ დაინახა თავისი თანამშრომლები, რომელთა ნაწილი კედელზე ყავდათ მიყუდებული, ნაწილი იატაკზე იწვა. თამარ ჩიხლაძეს და მასთან მყოფ ჟურნალისტებს თან ახლდნენ სპეცრაზმელები, რომლებიც პერიოდულად აჩერებდნენ და თხოვნის მიუხედავად არ აძლევდნენ ანა იასაშვილს წამლის გამოყენების საშუალებას. როდესაც ანა იასაშვილი შედარებით უკეთ გახდა, თამარ ჩიხლაძესთან ერთად გავიდნენ ტელეკომპანიის ეზოში. თამარ ჩიხლაძემ მოისმინა სპეცრაზმელთა ერთი ნაწილის შემდეგი სიტყვები: „ბადრის ლეკვებო“, „თქვენი ბადრია ჭკვიანად რომ ყოფილიყო, ასე არ იქნებოდიო“, „ულვაშას მონები მეტის ღირსი ხართ“. მას შემდეგ, რაც სპეცრაზმელებმა აქციის მონაწილეთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზის გამოყენება გადაწყვიტეს, ანა იასაშვილმა და თამარ ჩიხლაძემ ლუბლიანას ქუჩის მხრიდან დატოვეს „ტელეიმედის“ მიმდებარე ტერიტორია.

ლევან ჩხაიძის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბრის 20 საათსა და 30 წუთზე საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ კორესპოდენტი ლევან ჩხაიძე იმყოფებოდა ტელეკომპანია „იმედის“ შენობის პირველ სართულზე. მან გაიხედა შესასვლელისაკენ და დაინახა შენობაში შემოჭრილი ნიღბიანი პირები. ლევან ჩხაიძეს მიუახლოვდა ოთხი პიროვნება და იარაღის მუქარით უბრძანა ძირს დაწოლა. ლევან ჩხაიძე დაემორჩილა მოთხოვნას. სპეცრაზმელებმა ჟურნალისტს მოსთხოვეს მობილური ტელეფონი, თუმცა ლევან ჩხაიძეს აღნიშნული ნივთი თან არ ჰქონდა. ამ დროს ლევან ჩხაიძესა და მასთან მყოფ ჟურნალისტს ნანიკო კუპრაშვილს მიუახლოვდა ნიღბში გადაცმული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურაძე. ლევან ჩხაიძემ მას სთხოვა ნანიკო კუპრაშვილის გარეთ გაყვანა. აღნიშნული თხოვნა იოსებ თოფურაძემ დააკმაყოფილა. ცოტა ხანში ლევან ჩხაიძე დაბრუნდა ნიუსრუმში და სცადა ოჯახში დარეკვა, თუმცა მისი მცდელობა აღკვეთილი იქნა შსს-ს თანამშრომლების ჩარევის შედეგად. ამის შემდეგ ლევან ჩხაიძე გამოიყვანეს შენობიდან. როდესაც ლუბლიანას ქუჩაზე მოძრაობდა, ლევან ჩხაიძემ დაინახა, თუ როგორ გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. სამართალდამცავები დაედევნენ აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს. დაჭერილ ადამიანებს შს ორგანოს თანამშრომლები სასტიკად უსწორდებოდნენ. ლევან ჩხაიძე ჯერ ტყის, შემდეგ დიღმის ტრასის მიმართულებით გაიქცა, სადაც თავი შეაფარა ავტოგასამართ სადგურს. ამის შემდეგ ლევან ჩხაიძე დაბრუნდა სახლში.

თამთა ფეიქრიშვილის ახსნა-განმარტება

ჟურნალისტი თამთა ფეიქრიშვილი სამსახურში 2007 წლის 7 ნოემბრის 17 საათიდან იმყოფებოდა. ამ დროიდან ტელეიმედის შემოსასვლელში გარკვეული ჩოჩქოლი სუფევდა, ვინაიდან საპროტესტო აქციიდან მოჰყვდათ მონამღული ჟურნალისტები და ოპერატორები. ბოლო ხმაურის ატეხვის შემდეგ,



თამთა ფეიქრიშვილი წამოდგა და ტელეკომპანიის შესასვლელს მიაშურა. მან დაინახა შენობაში შემოჭრილი შეიარაღებული ადამიანები. მათი რაოდენობა აღწევდა ასს. გადაცემა „რეაქციის“ სამუშაო ოთახთან თამთა ფეიქრიშვილს დაუმიზნეს ცეცხლსასროლი იარაღი და მობილური ტელეფონის გადაცემა მოსთხოვეს. შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლები გლვედნენ გაყვანილობებს, ამტვრევდნენ კარებს, ძირს ყრიდნენ კომპიუტერის მონიტორებს. შეჭრილთა ერთ ნაწილს სახეზე აირწინალები ეკეთა და ხელში გაზის სასროლი იარაღი ეჭირა, მეორე ნაწილს სახეზე ნიღბები ეკეთა, ხოლო ხელში ცეცხლსასროლი ავტომატები ეჭირა, მესამე ნაწილს უბრალოდ შავი ფერის სპეციალური ტანსაცმელი ეცვა. ათი წუთის შემდეგ, შეჭრილმა სპეცრაზმელებმა შენობის მესამე სართულზე გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. თამთა ფეიქრიშვილმა, რომელსაც აწუხებდა ქრონიკული ასთმა, ითხოვა პირველ სართულზე ჩასვლა და ჟანგბადის ჩასუნთქება, რაზედაც უარი მიიღო. თამთა ფეიქრიშვილს მხოლოდ ოცი წუთის შემდეგ ჩავიდა პირველ სართულზე ჩასვლის ნება. მოგვიანებით, ლუბლიანას ქუჩაზე მოძრაობისას მან კვლავ იგრძნო ცრემლსადენი გაზი. თამთა ფეიქრიშვილი მონაწილის გამო მკურნალობდა ოთხი დღის განმავლობაში.

ლევან მანველიძის ახსნა-განმარტება

„ტელეიმედის“ თანამშრომელი ლევან მანველიძე იმყოფებოდა დირექტორის კაბინეტში, ხმაურზე იგი გამოვარდა და დაინახა იატაკზე დაწოლილი თანამშრომლები. ერთერთი სპეცრაზმელი გენერალურ დირექტორს, ბიძინა ბარათაშვილს შუბლის გახვრეტით დაემუქრა.

თინათინ ფეიქრიშვილის ახსნა-განმარტება

საკვირაო ტელეჟურნალ „დროების“ ჟურნალისტი თინათინ ფეიქრიშვილი იყო სამზარეულოში. როდესაც სპეცრაზმელები შეცვივდნენ მას იარაღის მუქარით ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და ძირს დააწვინეს, სადაც იმყოფებოდა 20-25 წუთი.

ლევან გიორგაძის ახსნა-განმარტება

ლევან გიორგაძე იმყოფებოდა მანქანის ავტოსადგომთან. სპეცრაზმის მიახლოების შემდეგ, ის და მასთან მყოფი 10 კაცი დააწვინეს ბეტონზე და ხელები თავზე დაადებინეს. ასეთ მდგომარეობაში ზემოხსენებული ადამიანი იმყოფებოდა ორმოცი წუთის განმავლობაში.

ამირან კუპატაძის ახსნა-განმარტება

ტელეკომპანია „იმედის“ უცხოეთის განყოფილების ხელძღვანელი ამირან კუპატაძე 2007 წლის 7 ნოემბრის 20 საათსა და 50 წუთზე იჯდა თავის სამუშაო მაგიდაზე. ამ დროს ნიუსრუმში შეცვივდა სპეცდანიშნულების რაზმი. პაატა კუპატაძე კოლეგებთან ერთად დააწვინეს იატაკზე. ოცი წუთის შემდეგ წამოაყენეს და მოსთხოვეს შენობის დატოვება. „ტელეიმედის“ მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მხარდამჭერებით, რომლებიც აპროტესტებდნენ ტელევიზიაში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრას. ამის გამო ამირან კუპატაძემ დროულად ვერ მოახერხა ტელეკომპანია „იმედის“ მიმდებარე ტერიტორიის დატოვება. 15 წუთის შემდეგ გაეშურა ლუბლიანას ქუჩისაკენ, სადაც შეხვდნენ სპეცრაზმელებს. ამ უკანასკნელებმა შეიტყვეს რა, რომ აღნიშნული ადამიანები ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები იყვნენ, დაუშინეს მათ რეზინის ტყვიები. ამირან კუპატაძეს მოხვდა ორი ტყვია, მაშინ როდესაც სპეცრაზმელებისაგან გამოქცევის შედეგად ნაქცეულ გოგონას აყენებდა. რეზინის ტყვიები მოხვდა ზურგის არეში, გაუმწვავდა ტკივილი და სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართა თბილისის №4 საავადმყოფოს.

ამირან მურვანიძის ახსნა-განმარტება

ტელეკომპანიის ოპერატორის ამირან მურვანიძის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე სპეცრაზმელების შემოვარდნის შემდეგ მან დაინახა ძირს დაწვენილი თანამშრომლები. ამის შემდეგ დაანვინეს თვითონ ამირან მურვანიძე. ერთერთმა შეიარაღებულმა დააჭირა მკლავზე ფეხი და მოსთხოვა ტელეფონი. ოცი წუთის შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფის თანხლებით ამირან მურვანიძე გარეთ გაიყვანეს. ბოლოს ამირან მურვანიძემ მიაშურა ლუბლიანას ქუჩას, სადაც თხუთმეტ-ოც წუთში დაიწყო რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის სროლა ჟურნალისტების მიმართულებით. ამირან მურვანიძემ თავი იაშვილის სახელობის კლინიკას შეაფარა. ნახევარი საათის შემდეგ ამირან მურვანიძე დაბრუნდა ტელევიზიის შესასვლელთან, სადაც განახლდა ცრემლსადენი გაზის გაშვება და რეზინის ტყვიების სროლა. ამირან მურვანიძე გაიქცა დიღმის ბაზრის მხარეს, სადაც იგივე სახის ძალადობას ნაანყდა.

ირაკლი ყიფიანის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20:30 საათიდან 20:50 საათამდე ირაკლი ყიფიანი იმყოფებოდა ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორებისათვის განკუთვნილ ოთახში, როდესაც გაიგო ხმაური. ოთახიდან გამოსვლისას დაინახა შემოსასვლელში დაწოლილი თანამშრომლები, რომლებსაც გარშემო სამხედრო ფორმაში ჩაცმული ადამიანები დასტრიალებდნენ. ირაკლი ყიფიანი სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა გაათრიეს ფოიეში, დაანვინეს და ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. ოცი წუთის გასვლის შემდეგ ირაკლი ყიფიანი გაიყვანეს გარეთ, სადაც დაჰყო ნახევარი საათი. ამის შემდეგ მას უბრძანეს ლუბლიანას ქუჩაზე გასვლა, საიდანაც დაიძრა მაიაკოვსკის ძეგლის მიმართულებით. ამ დროს მისკენ გამოემართა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელმაც დაიწყო რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზების გაშვება. ირაკლი ყიფიანი რამდენიმე ადამიანთან ერთად მოტრიალდა და გაიქცა იაშვილის სახელობის კლინიკის მიმართულებით. ირაკლი ყიფიანი რაც უფრო სწრაფად გარბოდა, სპეცდანიშნულების რაზმი მით უფრო მეტ რეზინის ტყვიებს ესროდა. ბოლოს ირაკლი ყიფიანი შევიდა დიღმის ტყეში, საიდანაც გავიდა აღმაშენებლის ხეივანზე და დაბრუნდა სახლში.

თეა კერესელიძის ახსნა-განმარტება

ტელეკომპანიაში შევარდნის შემდეგ, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ რედაქტორი, თეა კერესელიძე დაანვინეს იატაკზე, არქივსა და „ნიუსრუმს“ შორის მდებარე ოთახებს შორის. თეა კერესელიძე ცდილობდა ატირებული სტაჟიორების დამშვიდებას, რასაც სპეცრაზმელის გალიზიანება მოჰყვა. მან სიმშვიდის შენარჩუნების მოთხოვნით, ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღის ლულა შუბლზე დაადო რედაქტორს.

ნინო კიკნაძის ახსნა-განმარტება

ნინო კიკნაძე პრაქტიკას გადიოდა ტელეკომპანია „იმედში“. სპეცრაზმის შენობაში შევარდნის მომენტში იგი იმყოფებოდა ნიუსრუმში. ნინო კიკნაძე მივიდა სპეცრაზმელთან და ჰკითხა, თუ რა ხდებოდა. სპეცრაზმელმა ხელჯოხი მოუღერა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ნინო კიკნაძე სხვებთან ერთად დაანვინეს იატაკზე და მიადეს იარაღი. ფსიქოლოგიური განცდების შედეგად, იგი შეუძლოდ შეიქმნა. სპეცრაზმელთა დახმარებით წამოაყენეს. საჭირო მედიკამენტის მიღების დროს, შეშინების მიზნით, ახლოს მდებარე მაგიდაზე ერთერთმა სპეცრაზმელმა დაარტყა ხელკეტი. ტელეკომპანიის ჰოლში მყოფი ყველა თანამშრომელი, მას შემდეგ გამოიყვანეს გარეთ, რაც გიორგი თარგამაძე ჩამოიყვანეს ზედა სართულიდან.



გიორგი ხუგაშვილის ახსნა-განმარტება

სპეცრაზმის შეჭრის მომენტში რეჟისორის ასისტენტი გიორგი ხუგაშვილი ძმასთან, ნიკოლოზ ხუგაშვილთან ერთად გაიქცა საეთერო სააპარატოდან. ისინი მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც იმყოფებოდნენ სპეცრაზმელები. 5-მა სპეცრაზმელმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაათრიეს ისინი ფოიეში, დაანვინეს იატაკზე. მათი მიყვანის მომენტში ფოიეში უკვე იწვა ერთი ადამიანი. სპეცრაზმმა მოითხოვა ტელეფონების გათიშვა. გიორგი ხუგაშვილი დაემორჩილა ამ ბრძანებას და გადაწყვიტა თავისი კუთვნილი ტელეფონის ჯიბეში ჩადება. ამ დროს მივარდა სპეცრაზმელი, ზურგში ნიხლი ჩაარტყა და ხმამაღლა მოსთხოვა ტელეფონის ტელეფონის ძირს დადება.

დროის გასვლასთან ერთად ფოიეში მიჰყავდათ „იმედის“ სხვა თანამშრომლები, რომლებსაც ასევე იატაკზე აწვენდნენ. სპეცრაზმის ერთერთი ოცეულის მეთაური შემდეგი სიტყვებით მიმართავდა იქ მყოფ ადამიანებს: „აი მიიღეთ ბადრის შნირებო დემოკრატია! ეს გინდოდათ? ამისთვის იბრძოდით? ეს დემოკრატია გინდოდათ, თქვენი დედა...“ გიორგი ხუგაშვილი ცდილობდა სპეცრაზმელთა სახის დამახსოვრებას, რადგან რამდენიმე მათგანი უნილბოდ დადიოდა, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან ერთერთი სპეცრაზმელი თავის დახრას სთხოვდა. გარეთ გაყვანის შემდეგ გიორგი ხუგაშვილის ყურადღება მიიქცია სპეცდანიშნულების რაზმის არაკოორდინირებულმა მოქმედებამ. ერთი ნაწილი თანამშრომლებს ტელეკომპანიის ტერიტორიის დატოვებას სთხოვდა ლუბლიანას ქუჩაზე არსებული გამოსასვლელიდან, მეორე ნაწილი კი ახმეტელის ქუჩიდან. ჟურნალისტების ეზოში გაყვანის შემდეგ, სპეცდანიშნულების რაზმმა დაიწყო „ტელეიმედის“ შენობაზე დამონტაჟებული გარე სათვალთვალ კამერების მსხვერვა. გიორგი ხუგაშვილი და მისი ძმა მოხვდნენ თავდაპირველად ლუბლიანას ქუჩაზე, სადაც მათ საპატრულო პოლიცია დაედევნა. გაქცეულების მიმართ გამოყენებული იქნა რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი. ისინი ჯერ ტყეში შეცვივდნენ, შემდეგ გავიდნენ ახმეტელის ქუჩაზე, კინოსტუდიის შესასვლელთან. აქ მათ კვლავ ესროლეს რეზინის ტყვიები, რის შემდეგაც გაიქცნენ დიღმის ბაზრის მიმართულებით.

ლევან ალფაიძის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს საღამოს 20 საათზე „ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის ბიძინა ბარათაშვილის ოთახში, მესამე სართულზე მასთან ერთად იმყოფებოდნენ ლევან ალფაიძე, ოთარ შამათავა, ირაკლი შარაბიძე, გიორგი ტოგონიძე, გიორგი ამაშუკელი, რევაზ მანელიძე. ამ დროს მათ შეატყობინეს შენობაში სპეცრაზმელთა შემოიჭრის შესახებ. ლევან ალფაიძემ ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ „ტელეიმედის“ ეზო შავ ტანსაცმელში გამონყობილი სპეცრაზმელებით იყო სავსე. იგი ჩავიდა პირველ სართულზე და პოლში შენიშნა სპეცრაზმელები, რომლებიც იარაღით აშინებდნენ თანამშრომლებს. ლევან ალფაიძემ გარკვევით შენიშნა ჰოლის იატაკზე, ნიუსრუმთან ახლოს პირქვე მწოლიარე ოპერატორი მიშა თვარაძე, რომელსაც სპეცრაზმელები აგინებდნენ და ფეხს ურტყამდნენ. სიტუაციაში გარკვევა თავდაპირველად ტელერადიოკომპანია „იმედის“ გენერალურმა დირექტორმა ლუის რობერტსონმა სცადა. ეს უკანასკნელის შენობაში შეჭრის განმარტებას ითხოვდა, თუმცა ინგლისური ენის არმცოდნე სპეცრაზმელებს ვერაფერი გააგებინა. ბიძინა ბარათაშვილმა სპეცრაზმელებს აუხსნა, რომ იგი ტელევიზიის დირექტორი იყო და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას დაპირდა. ამ წინადადებაზე სპეცრაზმის ხელმძღვანელმა უპასუხა: „შუბლს გავიხვრიტავ, ბარათაშვილო.“ ამის შემდეგ ჰოლში მყოფი ყველა ადამიანი შეიყვანეს ნიუსრუმში, სადაც ასევე იმყოფებოდა პოლიტიკოსი გია მაისაშვილი, რომელიც სკამზე იჯდა და თავს რამდენიმე სპეცრაზმელი დასტრიალებდა. ცოტა ხანში ნიუსრუმში შეგროვდა „ტელეიმედის“ დაახლოებით 40 თანამშრომელი. ყველა მათგანს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. თავისუფლების აღკვეთა დაახლოებით თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ბიძინა ბარათაშვილთან, ლუის რობერტსონთან და ლევან ალფაიძისთან მივიდა სპეცრაზმელი და აცნობა, რომ შენობა უნდა დალუქულიყო. შენობის დატოვებამდე ტელეკომპანიის ხელმძღვანელებს ეკითხებოდნენ თუ როგორ ირთებოდა ეთერი. ლუბლიანას ქუჩაზე გასვლის შემდეგ ლევან ალფაიძემ სთხოვა სპეცრაზმელებს მისთვის და ლუის რობერტსონისათვის ტელევიზიაში

დაბრუნების ნება მიეცათ, რათა დასწრებოდნენ შენობის დალუქვის პროცესს. მათი დაბრუნების შემდეგ შენობაში შევიდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული გამომძიებლები. მესამე სართულის დალუქვის შემდეგ, ლევან ალფაიძემ თავისი თვალთ ნახა მეორე სართულზე სამოტაჟოსა და სა-აპარატოში დამსხვრეული აპარატურა. პირველ სართულზე ცენტრალურ სააპარატოში ყველაფერი ძირს ეყარა. სამართავ პულტზე ფეხით იყვნენ ნასიარულები, კაბელები გადაჭრილი იყო, ტელევიზიის დიზაინის და მუსიკალური რედაქციის ოთახებში მონიტორები და ასევე პროცესორები ძირს ეყარა, მყარი დისკები ამოღებული იყო. მინისქვეშ მდებარე სასადილოს მაცივრიდან გატაცებული იქნა უალკოჰოლო სასმელები. შეურაცხყოფილი იყო „ქრონიკის“ გარდაცვლილი ჟურნალისტის ნინო ან-დლულაძის ხსოვნის კუთხე, საიდანაც ჩამოგლიჯეს გარდაცვლილის სურათი.

გიორგი ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს „ტელეიმედის“ ეთერის რეჟისორი, გიორგი ჯავახიშვილი იმყოფებოდა ცენტრალურ საეთეროში. ამ უკანასკნელის კარი იღება იმ შემთხვევაში, თუ სენსორს შეეხება საშვი. შენობაში შეჭრილმა სპეცრაზმელებმა ვერ მოახერხეს საეთეროში შესვლა 35-40 წუთის მანძილზე. ისინი აბრაზუნებდნენ კარებზე, ყვიროდნენ, თუმცა უშედეგოდ. ცოტა ხანში კარები გაიღო და სპეცრაზმელებს საეთეროში შეყვნენ ბიძინა ბარათაშვილი, გიორგი თარგამაძე და გოგიტა ირემაშვილი. ცოტა ხნის შემდეგ საეთეროში შევიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული უცნობი და გამორთო ყველა აპარატურა. ამის შემდეგ ყველა თანამშრომელი გაყვანეს ცენტრალური საეთეროდან და, როგორც შემდგომ გაირკვა, მთელი ცენტრალური საეთერო იქნა დარბეული. ეს გარემოება კარგად დასტურდება ფოტომასალით. როგორც ჩანს, ნინასნარ იყო დაგეგმილი ცენტრალური საეთეროს განადგურება.

დავით კიკვაძის ახსნა-განმარტება

დავით კიკვაძემ „ტელეიმედის“ მთავარმა რეჟისორმა, 2007 წლის 7 ნოემბერს 19 საათზე არქივისათვის დაახარისხა ვიდეოკასეტები. დაახლოებით 21 საათისათვის გაეშურა სასადილოსაკენ. სპეცრაზმის შეჭრის მომენტში ტელეფონით ესაუბრა მეგობარს, რომელსაც შეატყობინა შენობაში მიმდინარე მოვლენის შესახებ. სპეცრაზმელებმა ვერ აიძულეს დავით კიკვაძეს პირქვე, იატაკზე დაწოლა, რის შემდეგაც იგი პირით დააყენეს კედელთან და ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. ცოტა ხნის შემდეგ იგი წაიყვანეს სამუშაო კაბინეტში და გასაღებით გააღებინეს კარები, სადაც შევიდნენ სპეცრაზმელები. ამის შემდეგ დავით კიკვაძე გაიყვანეს „ტელეიმედის“ ეზოში, სადაც მან დაინახა, რომ წვიმიან ამინდში, ტალახში ივნენ „ტელეიმედის“ შენობის დაცვის თანამშრომლები. დავით კიკვაძემ შეამჩნია შენობის მოპირდაპირე მხარეს მიმდინარე საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეები ითხოვდნენ სპეცრაზმის შენობიდან გაყვანას. ამ დროს აქციის მონაწილეებს ლუბლიანას ქუჩის მხრიდან მიუახლოვდა სპეცდანიშნულების რაზმი, რომლიც სკანდირებდა: „ურჩის ბოზებო“ და აქციის მონაწილეებს, რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენი გაზის კაფსულებს უშენდა.

მერაბ მეტრეველის ახსნა-განმარტება

„ქრონიკის“ ჟურნალისტის, მერაბ მეტრეველის გადმოცემით, სპეცრაზმის შეჭრისათვის იგი იმყოფებოდა ნიუსრუმში. ამ დროს თანამშრომლების ერთი ნაწილი იატაკზე დაანვინეს, ნაწილი, მათ შორის მერაბ მეტრეველი, უბრალოდ დაჯდა. მერაბ მეტრეველის თქმით, შემოჭრილთა შორის განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ყვითელ ლაბადაში გამონყობილი პოლიციელი, რომელიც ხელკეტს მაგიდაზე ურტყამდა და გაჰყვიროდა: **„დაგერხათ ბადრის მონებო, რა გეგონათ, სული ურიას რომ მიჰყიდეთ“**. მერაბ მეტრეველმა მობილური ტელეფონის დამალვა მოახერხა. ნიუსრუმში შეჭრილები წყვეტდნენ ტელეფონის კაბელებს, რათა „ტელეიმედის“ თანამშრომლებს ახლობლები-



სათვის არ დაერეკათ. ნახევარის საათის გასვლის შემდეგ ყველას შენობის დატოვება უბრძანეს. მერაბ მეტრეველი გარეთ გამოსვლის შემდეგ იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც სპეცდანიშნულების რაზმი აქციის მონაწილეებს არბევდა. მას მოხვდა რეზინის ტყვია, ხოლო „ტელეიმედის“ თანამშრომელს, ანა მამულაშვილს ხელკეტით თავის არეში მიყენეს დაზიანება, რამაც სისხლდენა გამოიწვია.

ანა მამულაშვილის ახსნა-განმარტება

ანა მამულაშვილი არის საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკის“ სტაჟიორი. 2007 წლის 7 ნოემბერს იმყოფებოდა „ტელეიმედის“ შენობაში. სპეცრაზმის შემოჭრის შემდეგ, სამართალდამცავებმა ყველა თანამშრომელი ძირს დააწვინეს და უხამსი ფორმით მიმართავდნენ. ყველა თანამშრომელს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. მოგვიანებით ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა თავისი მობილური ტელეფონით ანა მამულაშვილს დაარეკინა დედასთან. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ „ტელეიმედის“ თანამშრომლები გაიყვანეს ტელეკომპანიის ეზოში. ჟურნალისტები მიუახლოვდნენ ჭიშკარს, რომელიც მდებარებს ახმეტელის ქუჩის მხარეს. ანა მამულაშვილმა ჭიშკართან შეამჩნია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა. ეს უკანასკნელი მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ანა იასაშვილი შეუძლოდ გახდა. ჭიშკართან იმყოფებოდნენ ტელეკომპანიების „რუსთავი-2“-სა და „მზის“ გადაამტეხი ჯგუფები. ასევე ანა მამულაშვილმა ჭიშკართან თვალი მოჰკრა „ტელეიმედის“ უმარავ მხარდამჭერს. ცოტა ხნის შემდეგ ჭიშკართან მყოფი თანამშრომლები გაიყვანეს ლუბლიანას ქუჩაზე, რომელიც არ იყო განათებული. სამართალდამცავები შინისაკენ მიმავალ ჟურნალისტებს მიუახლოვდნენ „ჯიპის“ ტიპის ავტომანქანებით და გაუშვეს ცრემსადენი გაზი. ჟურნალისტები გაიქცნენ იაშვილის სახელობის კლინიკის მიმართულებით. სირბილის დროს ანა მამულაშვილმა თავის არეში იგრძნო დარტყმა და ძლიერი ტკივილი. ანა მამულაშვილს კისერი გაუთბა და მიხვდა, რომ სდიოდა სისხლი. მან ვეღარ შეძლო დამოუკიდებლად გზის გაგრძელება. ტელეკომპანიის თანამშრომელმა მიხილ თვარაძემ აიყვანა ხელში და იაშვილის სახელობის კლინიკაში მიიყვანა ანა მამულაშვილი. მას თავზე დაადეს ხუთი ნაკერი. ამის შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანის მეშვეობით გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ივანე ქიტუაშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის დილის“ ჟურნალისტი ივანე ქიტუაშვილი 20:20 საათზე იმყოფებოდა ტელეკომპანიის მინისქვეშ არსებულ სასადილოში. ამ დროს მან გაიგო კვილის ხმა, ამოვარდა სასადილოდან და შენიშნა ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ყვიროდა, რომ ტელეკომპანიაში შემოჭრილი იყო სპეცდანიშნულების რაზმი. ივანე ქიტუაშვილი გაიქცა შენობის მესამე სართულის მიმართულებით, სადაც მისი მისვლისთანავე 30 ადამიანი მოგროვდა. ივანე ქიტუაშვილი ჩავიდა მეორე სართულზე, სადაც შეხვდა თანამშრომელს, რომელიც მუცელს იტკიებდა. ეს უკანასკნელი აიყვანა მესამე სართულზე. მალე მესამე სართულზე ავიდა სპეცრაზმიც. ჟურნალისტებმა სპეცრაზმელების ბრძანების შემდეგ ტელეფონები გათიშეს და იატაკზე დადეს. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ მესამე სართულიდან პირველ სართულზე ჯერ ქალები, შემდეგ მამაკაცები ჩამოიყვანეს. „ტელეიმედის“ ეზოში უამრავი შეიარაღებული ადამიანი იყო. ცენტრალურ შემოსასვლელთან შეკრებილი იყვნენ ტელეკომპანია „იმედის“ მხარდამჭერები. შენობიდან გამოყვანილ ჟურნალისტებს თავდაპირველად ცენტრალური შესასვლელიდან ანუ ახმეტელის ქუჩის მხრიდან სთხოვეს გასვლა, შემდეგ გადამწყვეტილება შეცვალეს და ლუბლიანას ქუჩისაკენ მიუთითეს. ლუბლიანას ქუჩასთან ივანე ქიტუაშვილმა დაინახა „იმედის“ დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ძირს იწვნენ და თავზე ხელები ჰქონდათ შემონწყობილი. ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები ლუბლიანას ქუჩისაკენ გავიდნენ. ლუბლიანას ქუჩაზე გაშვებული იქნა ცრემსადენი გაზი. ივანე ქიტუაშვილი და „იმედის დილის“ პროდიუსერი ინგა დადიანი ბავშვთა საავადმყოფოსაკენ გაიქცნენ. გზად საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ პრაქტიკანტს შეხვდნენ. სამივე მათგანი „ასტრა-დილომის“ ტერიტორიასთან მივიდა, საიდანაც ივანე ქიტუაშვილის მეგობრის მანქანით წავიდნენ შინ.

თემურ ხუბულავას ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20:30 საათზე ტელეკომპანია „იმედის“ ტექნიკური დირექტორი თემურ ხუბულავა იმყოფებოდა ფოიეში, როდესაც გაისმა თანამშრომლის ხმა ტელევიზიაში შეიარაღებული ადამიანების შეჭრის შესახებ. ერთ წუთში ფოიე გაივსო შეიარაღებული და ნიღბიანი სპეცრაზმელებით. თემურ ხუბულავა იმყოფებოდა ბიძინა ბარათაშვილისა და ლუის რობერტსონის გვერდით და მან გარკვევით გაიგონა, როგორ დაემუქრა სპეცრაზმელი ბიძინა ბარათაშვილს შუბლის გახვრეტით. თემურ ხუბულავა დაანვინეს კამერების ბაზის მორიგის გია მენაბდისა და ოპერატორის ასისტენტის ილია მახარაძის გვერდით. სპეცრაზმელმა უკნიდან ნიხლი ჩაართყა თემურ ხუბულავას, მას შემდეგ რაც მან წამოდგომა სცადა. 20 წუთის გასვლის შემდეგ თემურ ხუბულავა წამოაყენეს და ფოიეში დაიწყო არეულობა. თემურ ხუბულავამ ისარგებლა ამ ფაქტით და ჩავიდა ქვედა სართულზე, მოკლე ჩართვის თავიდან აცილების მიზნით დენის წყაროს გასათიშად. დუბლირების აპარატურის მხარეს თემურ ხუბულავა შეხვდა სპეცრაზმელებს, რომლებიც ანადგურებდნენ იქ არსებულ საგნებს. სპეცრაზმელებმა თემურ ხუბულავა ძალის გამოყენებით აიყვანეს ზედა სართულზე. თემურ ხუბულავა გაიყვანეს ახმეტელის ქუჩაზე, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია.

გიორგი მოლოდინის ახსნა-განმარტება

ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ჟურნალისტი გიორგი მოლოდინი ტელეკომპანიაში გადაღებიდან დაბრუნდა დაახლოებით 20:30 საათზე. ნიუსრუმში ყოფნის დროს შემოესმა ხმაური, რომელიც იუნყებოდა, რომ შენობაში შეიჭრნენ სამართალდამცავები. გადაღების მიზნით გიორგი მოლოდინი სასწრაფოდ შევიდა არქივში, აიღო თავისუფალი კასეტა და გავიდა შემოსასვლელ ოთახში. მან დაინახა ნიღბიანი და უნიღბო სამართალდამცავები. ზოგ მათგანს ეცვათ შავი ქურთუკები, თავზე ეფარა აკეცილი ქუდები. ზოგიერთს ეცვა ჩვეულებრივი სამხედრო ფორმები. უმეტეს მათგანს ჰქონდა „კალაშნიკოვის“ ტიპის ცეცხლსასროლი ავტომატები და პისტოლეტები. ამის შემდეგ სპეცრაზმელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თანმხლებით სასადილოში ჩაიყვანეს დაცვის სამსახურის თანამშრომელი. გიორგი მოლოდინის ტელეფონი იყო დამჯდარი და ამ მოტივით მისი ჩამორთმევისაგან თავი შეიკავეს. სპეცრაზმელები გადაადგილების მიზნით ძირს მწოლიარე ადამიანებს ფეხით აბიჯებდნენ. მოგვიანებით გიორგი მოლოდინი სხვებთან ერთად ლუბლიანას ქუჩაზე გაიყვანეს. ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ გიორგი მოლოდინი ჩაჯდა მანქანაში და გაემართა ამერიკის შეერთებული შტატების სალჩოს მიმართულებით, რომელიც ასევე მდებარეობს ლუბლიანას ქუჩაზე.

თამაზ ფოლადაშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20:50 საათზე სააპარატოში ბიძინა ბარათაშვილსა და გიორგი თარგამაძესთან ერთად შევიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი. მათ მოითხოვეს აპარატურის გათიშვა. თამაზ ფოლადაშვილმა შეასრულა აღნიშნული მოთხოვნა. რამდენიმე წუთის შემდეგ სააპარატოში შევიდა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. მათ გათიშეს კონექტორი. ამის შემდეგ თანამშრომლებმა დატოვეს სააპარატო, სადაც დარჩა შეიარაღებული სპეცრაზმელი.

იოსებ ბარნაბიშვილის ახსნა-განმარტება

სპეცრაზმელების შეჭრის მომენტში „დროების“ ჟურნალისტი, იოსებ ბარნაბიშვილი იყოფებოდა ტელეკომპანიის სასადილოში. ამ დროს მას შემოესმა ყვირილის ხმა, ავიდა ზედა სართულზე და დაინახა რამდენიმე ათეული ნიღბიანი და შეიარაღებული სპეცრაზმელი. ისინი კითხულობდნენ, თუ სად იყო კამერები და არქივი. იოსებ ბარნაბიშვილი გაიქცა მესამე სართულისაკენ, სადაც ნახა, რომ



მის კოლეგას, ანა იასაშვილს ჰქონდა ასთმური შეტევა. იოსებ ბარნაბიშვილი ჩავიდა ნიუსრუმში ანა იასაშვილის ჩანთიდან წამლის ამოსაღებად. ნიუსრუმში შესვლისას თვალი მოჰკრა ძირს დაყრილ თანამშრომლებს. ერთერთმა სპეცრაზმელმა მოსთხოვა სტუდიური განათებისა და კამერების გამორთვა, რაზედაც იოსებ ბარნაბიშვილმა უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არ იყო. იოსებ ბარნაბიშვილმა ვერ მოახერხა ანა იასაშვილის ასთმის სანინალმდეგო წამლის პოვნა. ამ დროს ნიუსრუმის კარები გაიღო და ჟურნალისტმა დაჩი გრძელიშვილმა შემოიყვანა შეუძლოდ მყოფი ანა იასაშვილი.

იოსებ ბარნაბიშვილი გამოვიდა ნიუსრუმიდან და გაემართა „დროების“ ჟურნალისტების №345 სამუშაო ოთახისაკენ, რადგან არ სურდა ოთახის უმეტესად მკაცრად დატოვება. ამ დროს ტელეფონზე დაურეკეს და „ტელეიმედში“ არსებული მდგომარეობის შესახებ ჰკითხეს და საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღუთქვეს. იოსებ ბარნაბიშვილმა მოსაუბრეს აუხსნა არსებული მდგომარეობა. ოთახთან მიახლოებისას ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა უხეში ფორმით მოსთხოვა საუბრის შეწყვეტა და მობილური ტელეფონის გადაცემა. იოსებ ბარნაბიშვილი დაემორჩილა მის მოთხოვნას. ტელეფონის გადაცემის შემდეგ იოსებ ბარნაბიშვილს ოთახის დატოვება მოსთხოვეს. ბოლოს ძალით დააყენეს კედელთან. ოთახიდან გამოსვლისას იოსებ ბარნაბიშვილმა სამუშაო მაგიდის პირველ უჯრაში დატოვა მისი კუთვნილი ავტომობილის „POT-614“-ის დოკუმენტაცია და მცირე ზომის სათადარიგო დეტალები, ასევე ექვსასი ლარი, რომელიც საჩუქრის სახით იქნა შეგროვებული „დროების“ ჟურნალისტის დაჩი გრძელიშვილისა და ოპერატორის იავო გოგილაშვილის შვილის შეძენასთან დაკავშირებით. იოსებ ბარნაბიშვილისათვის უცნობია თუ რა ბედი ეწია აღნიშნულ ნივთებს. მესამე სართულზე მყოფი ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები ჩააყენეს მწკრივში და უბრძანეს პირველ სართულზე. იოსებ ბარნაბიშვილი სხვა ჟურნალისტებთან ერთად შენობიდან გაიყვანეს ლუბლიანას ქუჩაზე. მას არ მისცეს ავტომანქანის, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ავტოსადგომზე იყო გაჩერებული, წაყვანის შესაძლებლობა. ლუბლიანას ქუჩაზე სამართალდამცავების მიერ „იმედის“ ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ იოსებ ბარნაბიშვილი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, გაიქცა დილოში რესტორან „უშბასა“ და „გაგრის“ მიმართულებით. 2007 წლის 9 ნოემბერს იოსებ ბარნაბიშვილს უფლება მისცეს, წაეყვანა ავტოსადგომზე გაჩერებული მისი კუთვნილი ავტომანქანა. ავტოსადგომზე მისვლისას, შეამჩნია, რომ მისი კოლეგის, ელისაბედ ვაჩნაძის გვერდით გაჩერებული ავტომობილი იყო გაძარცვული.

მაია ყიფიანის ახსნა-განმარტება

„ტელეიმედის“ მუსიკალური პროდიუსერი მაია ყიფიანი სპეცრაზმის შეჭრის მომენტში იმყოფებოდა სამონტაჟოში მეორე სართულზე. მომხდარის შესახებ მაია ყიფიანს შეატყობინა „ქრონიკის“ ჟურნალისტებმა. მაია ყიფიანი გაემართა პირველ სართულზე და დაინახა როგორ იწვნენ ტელეკომპანიის თანამშრომლები იატაკზე. მაია ყიფიანს მოსთხოვეს ჩამოსვლა და დანოლა, რასაც არ დაემორჩილა. მაია ყიფიანი დაბრუნდა მეორე სართულზე, სადაც ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და პირით დააყენეს კედელთან. მეორე სართულიდან ყველა თანამშრომელი ჯერ გაიყვანეს ტელეკომპანია „იმედის“ ეზოში, შემდეგ – ცენტრალური გასასვლელიდან, რომელიც მდებარეობს ლუბლიანას ქუჩაზე.

ლუბლიანას ქუჩაზე ჟურნალისტების გამოჩენისთანავე სპეცრაზმელებმა მაშინვე გაუშვეს ცრემლსადენი გაზი, გაქცეულებს ესროდნენ რეზინის ტყვიებს, უკან მისდევდნენ, ვისაც დაეწეოდნენ, რეზინის ხელკეტით სასტიკად სცემდნენ. მაია ყიფიანმა დაინახა, როგორ ურტყამდნენ რეზინის ხელკეტს ერთერთ გაქცეულ ახალგაზრდას. ტელეფონის ჩამორთმევამდე მაია ყიფიანი დაუკავშირდა ოჯახის წევრებს. ლუბლიანას ქუჩაზე მას მიაკითხა კიდევაც ავტომანქანამ. თუმცა სპეცრაზმელებმა არ მისცეს ავტომანქანასთან მიახლოების შესაძლებლობა და აიძულეს, წასულიყო იაშვილის სახელობის კლინიკისაკენ.

გიორგი ირემაშვილის ახსნა-განმარტება

ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლის გიორგი ირემაშვილის განმარტებით, სპეცრაზმელების შე-
მოჭრისას იმყოფებოდა მესამე სართულზე. მას სხვა თანამშრომლების მსგავსად ჩამოართვეს მო-
ბილური ტელეფონი და მიატრიალეს კედლისაკენ. სპეცრაზმელები ათვალეირებდნენ ოთახებს. და-
კეტილ კარებს ნიხლით ამტვრევდნენ. სპეცრაზმელმა გიორგი ირემაშვილს მოსთხოვა ეთერის
გათიშვა. გიორგი ირემაშვილი ჯერ გაიყვანეს „ტელეიმედის“ ეზოში, შემდეგ სხვა ჟურნალისტებთან
ერთად საერთოდ დაატოვებინეს ტელეკომპანიის ტერიტორია. გიორგი ირემაშვილის განმარტებით,
ქუჩაში მათ ესროდნენ რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენ გაზს. ზოგიერთს ურტყამდნენ რეზინის
ხელკეტებს. სპეცრაზმელებმა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებს იაშვილის სახელობის კლი-
ნიკამდე სდიეს.

ზაალ წულუკიძის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს 20:20 საათზე ზაალ წულუკიძე გადაცემების „იმედის დილისა“ და
„ვინიგრეტის“ წამყვანი, ჩამოდიოდა ფოიეში რეჟისორის ასისტენტ თამარ ღონლაძესთან ერთად. ამ
დროს შემოცვივდნენ „ტელეიმედის“ თანამშრომლები და იყვირეს „შემოდიან“, „შემოდიან“. არეულო-
ბის დროს ზაალ წულუკიძემ დაკარგა თამარ ღონლაძე და სირბილით ავიდა მესამე სართულზე,
სადაც იმ მომენტში იმყოფებოდნენ „იმედის დილის“ მიმართულების პროდიუსერი ინგა დადიანი,
„იმედის“ მთავარი პროდიუსერი ოთარ შამათავა და სხვები. ნიღბიანები ავიდნენ მესამე სართულზე,
იქ მყოფ პირებს, მათ შორის ზაალ წულუკიძეს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და დააყენეს
პირით კედელთან. 15 წუთის შემდეგ ზაალ წულუკიძე რამდენიმე კოლეგასთან ერთად ჩაიყვანეს
პირველ სართულზე ფოიეში და გაიყვანეს ეზოში. ამ დროს მან დაინახა პარლამენტის წევრები კახა
კუკავა, ზვიად ძიძიგური და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი პაატა
ჩახნაშვილი.

ზაალ წულუკიძემ „იმედის“ ტერიტორია დატოვა თამარ ღონლაძესთან ერთად. ორივე გავიდა ლუბლი-
ანას ქუჩაზე, სადაც წვიმაში იდგნენ დაახლოებით 40 წუთი. ამის შემდეგ ზაალ წულუკიძე გაემართა
ტექსელის ხეივანის მიმართულებით, როდესაც გაიგო აფეთქების ხმა. მან სირბილით განაგრძო სი-
არული ლუდუშაურის სახელობის კლინიკისაკენ. ზაალ წულუკიძისა და თამარ ღონლაძის მხარეს
სულ უფრო მეტად გროვდებოდა ცრემლსადენი გაზის კვამლი. ამ დროს მათთან გამოჩნდა სასაწრაფო
დახმარების მანქანა. ზაალ წულუკიძემ სცადა შეუძლოდ მყოფი კოლეგის ჩასმა „03“-ის მანქანაში,
როდესაც თავად მარჯვენა დუნდულის არეში მოხვდა რეზინის ტყვია. თამარ ღონლაძე ჩაჯდა სასწ-
რაფო დახმარების მანქანაში, ზაალ წულუკიძემ კი ფეხით განაგრძო გზა. ზაალ წულუკიძემ მოიხედა
უკან და დაინახა სპეცრაზმელები ხელკეტებით, რომლებიც მიდიოდნენ მისი მიმართულებით. სპეც-
რაზმელებმა გაუშვეს ცრემლსადენი გაზი, რის შედეგადაც ზაალ წულუკიძეს უჭირდა სუნთქვა და
გადაადგილება. ამ დროს გამოჩნდა ლექსუსის ტიპის შავი ჯიპი, რომლის მეშვეობით ზაალ წულუკიძემ
თავი დააღწია სპეცრაზმელთა დევნას.

კახაბერ იმნაიშვილის ახსნა-განმარტება

2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის“ მთავარი რედაქტორი, კახაბერ იმნაიშვილი იმყოფებოდა პანაშვიდზე.
ტელეკომპანიაში შეჭრის შესახებ მობილური ტელეფონით შეატყობინა დავით კიკვაძემ. როდესაც
ტელეკომპანიას მიუახლოვდა, ალაყაფის კარი იყო დაკეტილი და ეზოში იმყოფებოდნენ სპეცრაზმე-
ლები, ასევე ყვითელ ლაბადებში გამოწყობილი პოლიციელები. კახაბერ იმნაიშვილი გადაძვრა ალა-
ყაფის კარიდან შევიდა შენობაში და შენიშნა, რომ პოლიციელები ტელეკომპანიის სასადილოდან
ყუთებით ეზიდებოდნენ საკვებს. ამ დროს შენობაში იმყოფებოდნენ ბიძინა ბარათაშვილი, ლუის



რობერტსონი და ლევან ალფაიძე. გამომძიებლები ახდენდნენ შენობის დალუქვას. კახაბერ იმნაიშვილის განმარტებით, ცენტრალური სააპარატო, საეთერო, მეორე სართულზე განთავსებული სამონტაჟოები მთლიანად იყო განადგურებული. კარები და სათვალთავლო კამერები იყო გატეხილი. ერთ-ერთი სპეცრაზმელი ფეხით ამტვრევდა კომპიუტერს, ხოლო მის გვერდით მყოფი – DVCAM-ის კასეტებს. არ დარბეულა მეოთხე პავილიონი, რომელიც სხვა შენობას წარმოადგენს, თუმცა „ტელეიმედის“ კუთვნილებას.

ტელეკომპანია „TV-25“-ის საქმე

2007 წლის 8 ნოემბერს 15 საათზე სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ბათუმში ადგილობრივი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „TV-25“-ის ოფისთან, რათა გაერკვიათ აღნიშნული სატელევიზიო სადგურის მანუქებლობის შეწყვეტის მიზეზი. ადგილზე მისვლის შემდეგ დადგინდა, რომ ტელეკომპანიის ოფისის კარი იყო დაკეტილი და ადგილზე პატრულირებდნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. სიტუაციაში გარკვევის მიზნით სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს „TV-25“-ის დამფუძნებლებს, მალხაზ ვერძაძესა და მერაბ მერკვილაძეს, არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსს მაია მერკვილაძეს, ტელეკომპანიაში დასაქმებულ ჟურნალისტებს ნაზიბროლა ქობულაძესა და ლიზა თედორაძეს. მათი ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება შემდეგი გარემოებები:

2007 წლის 7 ნოემბერს ღამის 12 საათზე ტელეკომპანია „TV-25“-ის შენობა დატოვა საინფორმაციო სამსახურის უფროსმა მაია მერკვილაძემ. ერთადერთი ადამიანი, რომელიც შენობაში დარჩა, იყო ღამის მორიგე, ვიდეო-ინჟინერი, მურმან ბერიძე. 8 ნოემბერს ღამის პირველ საათზე გაითიშა ტელეკომპანია „TV-25“-ის სიგნალი. ტელეკომპანიის შენობაში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით ბედია პოლიციის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად და მურმან ბერიძეს აიძულა, რომ ტელეკომპანია „TV-25“-ის სიგნალის გათიშვა. დავით ბედიამ პოლიციელებს მოახსენებინა სარელეო გადამცემი და შემთხვევის ადგილზე მისულ ტელეარხის დამფუძნებელს, მერაბ მერკვილაძეს განუცხადა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „TV-25“ წყვეტდა მანუქებლობას. პოლიციის უფროსისვე განმარტებით, ტელეკომპანიის აპარატურას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და მერაბ მერკვილაძეს წარუდგინა სარელეო გადამცემი. მოგვიანებით, არხის დამფუძნებლისათვის ცნობილი გახდა, რომ სარელეო გადამცემის დეტალები პოლიციელებმა თან წაიღეს და ტელევიზიის დასაცავად ორი პოლიციელი დატოვეს. მანუქებლობის შეწყვეტის შემდეგ, ტელეკომპანიის შენობაში არ უშვებდნენ დამფუძნებლებსა და თანამშრომლებს.

ტელეკომპანია „TV-25“ წარმოადგენს მესამე სატელევიზიო სადგურს „იმედისა“ და „კავკასიის“ შემდეგ, რომლის სამაუწყებლო სიხშირე სრულად იქნა ჩახშობილი. ტელეკომპანია „TV-25“ აქტიურად აშუქებდა იმ დაბრკოლებებს, რასაც უქმნიდნენ 2007 წლის 2 ნოემბერს თბილისში დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე მომავალი ავტომობილის კოლონას დაბა მახინჯაურთან. ტელეკომპანია „TV-25“ ითვლება მესამე ხელისუფლებისაგან არაკონტროლირებად მედია საშუალებად, რომლის სამაუწყებლო სიგნალი სრულად ჩაახშვეს. „რუსთავი-2“-სა და „მზისაგან“ განსხვავებით ვერც საინფორმაციო გამოშვებების გარეშე ახერხებდა ეთერში გასვლას. ამან გარკვეული ფინანსური დანაკარგი მიაყენა ტელეკომპანიას.

2007 წლის 16 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების დღეს „TV-25“-მა ვერ აღადგინა მანუქებლობა. სატელევიზიო სადგურის დამფუძნებლები უშედეგოდ ცდილობდნენ გაეგოთ, რატომ არ აძლევდნენ მათ ეთერში გასვლის უფლებას. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია მიიწვია ევროკომისიის წარმომადგენლობას, რომელთაც ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოითხოვეს პასუხი. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი „TV-25“-ის ეთერში გასვლა.

რადიო „ჰერეთის“ საქმე

2007 წლის 03 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ გენერალურმა დირექტორმა, რამაზ სამხარაძემ. მან წარმოადგინა იმ საუბრის ფარული აუდიო ჩანაწერი, რომელიც შედგა განმცხადებელსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან“ დაახლოებულ პიროვნებას, ისაკო ცქიფურიშვილს შორის. რამაზ სამხარაძემ აღნიშნული საუბარი ჩაინერა 2007 წლის 30 ნოემბერს. აუდიო ჩანაწერიდან ირკვევა შემდეგი გარემოება:

ისაკო ცქიფურიშვილი საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ დააკავშირა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მათთან საუბრისას ისაკო ცქიფურიშვილმა განაცხადა, რომ იცნობდა რამაზ სამხარაძეს. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაავაზვნეს ისაკო ცქიფურიშვილი შუამავლად რამაზ სამხარაძესთან. ისაკო ცქიფურიშვილმა რადიოსადგურის გენერალურ დირექტორს აუხსნა, რომ მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებას ლაგოდებში დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ამისათვის საჭირო იყო რადიო „ჰერეთის“ სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა. ისაკო ცქიფურიშვილი ითხოვდა რადიოს ეთერით აღარ მომხდარიყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა. ისაკო ცქიფურიშვილმა გაიხსენა ერთერთი ასეთი კრიტიკული რეპორტაჟი, რომელიც მომზადებული იყო მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, კერძოდ რადიო „ჰერეთმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თელავში მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს გენერალური პროკურორის ძმა, დავით ადეიშვილი და თელავის ყოფილი გამგებელი გოჩა მამაცაშვილი. ამასთან დაკავშირებით რადიო „ჰერეთის“ ეთერში კომენტარი გააკეთა ლეიბორისტული პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნიკა ვარდოშვილმა, რომელმაც განაცხადა: „გოჩა მამაცაშვილი, თავის ბანდასთან ერთად, არის არჩევნების უბადლო გამყალბებელი, რის გამოც გამოგზავნა საქართველოს პრეზიდენტმა კახეთში თავისი შტაბის ხელმძღვანელად. მამაცაშვილის პირობებში ჩატარებული არჩევნების შედეგები დღესავით ნათელია. ეს არჩევნები ადეიშვილისა და მამაცაშვილის დიქტატურის ქვეშ ჩაივლის. სწორედ გოჩა მამაცაშვილის დამსახურებაა, რომ თელავს დღეს ერთპარტიული საკრებულო ჰყავს“. ამ განცხადებასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა, რაც ხაზგასმული იყო ზემოხსენებულ რეპორტაჟში.

ისაკო ცქიფურიშვილი ურჩევს რამაზ სამხარაძეს, თავი შეიკავოს მაღალი თანამდებობის პირებთან დაპირისპირებისა და თუნდაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების კრიტიკული გამონათქვამების ეთერში გაშვებისაგან. დაჟინებით ურჩევს არ ახსენოს დავით ადეიშვილისა და გოჩა მამაცაშვილი სახელები. ასევე ურჩევს დათანხმდეს „ნაციონალური მოძრაობის“ შემოთავაზებას რადიო „ჰერეთის“ ეთერში წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება, რომ რადიო „ჰერეთს“ შეუწყდება ლიცენზია და რადიოსადგური გახდება სადამსჯელო ჯგუფის დარბევის ობიექტი. ისაკო ცქიფურიშვილმა კონკრეტულად მიუთითა იმ ჯგუფზე, რომელმაც მათ საუბრამდე რამდენიმე ხნით ადრე დაარბია ტელეკომპანია „იმედის“ შენობა. ისაკო ცქიფურიშვილი ხაზს უსვამს, რომ მსგავსი მუქარა მომდინარეობს ცენტრალური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისაგან.

ისაკო ცქიფურიშვილის მუქარა საეჭვოდ დაემთხვა „ჰერეთის“ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2007 წლის 20 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე კონკურსის გამარჯვებულად გამოაცხადა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთი“. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებით დაეკისრა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთს“ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის – 1032,75 – ლარის გადახდის ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სალიცენზიო გადასახდელის გადახდის ბოლო ვადად განისაზღვრა 2007 წლის 20 მაისი. გადანყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე კომისიას გადანყვეტილება უნდა მიეღო სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.



„საქართველოს ბანკის“ 2007 წლის 1 დეკემბრს გაცემული ცნობის თანახმად, ირკვევა, რომ სამაუნ-ცებლო კომპანია „ჰერეთმა“ ხაზინის ერთიან ანგარიშზე 2007 წლის 18 მაისს გადარიცხა 1032,75 ლარი სალიცენზიო გადასახდელის 20% სახით.

2007 წლის 04 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, შეხვდნენ სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს, ბატონ კახი ყურაშვილს. მისი განმარტებით, რადიო „ჰერეთი“ მაუნცებლობს ლიცენზიის გარეშე. „ჰერეთს“ ლიცენზიის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოდგენია 2007 წლის 3 დეკემბრამდე, შესაბამისად, კომისიას დღემდე არა აქვს გაცემული სამაუნცებლო ლიცენზია. კახი ყურაშვილის განმარტებით, ულიცენზიო მაუნცებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹ მუხლის თანახმად ითვალისწინებს ჯარიმას ხუთი ათასი ლარის ოდენობით.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ულიცენზიოდ მაუნცებლობის ფაქტის გამოვლენა მოხდა სამაუნცებლო კომპანია „ჰერეთის“ მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდგომ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება ულიცენზიოდ მაუნცებლობის შესახებ ფაქტების გამოვლენა, არ არის ვალდებული, მუდმივად აკონტროლოს ყველა სამაუნცებლო კომპანია.

კახი ყურაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უკვე წარმოდგენილია სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, სამაუნცებლო კომპანია „ჰერეთზე“ მოხდებოდა ლიცენზიის გაცემა შვიდი სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა აითვლებოდა 3 დეკემბრიდან, როდესაც კახი ყურაშვილის განმარტებით, სამაუნცებლო კომპანია „ჰერეთის“ მიერ მოხდებოდა სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებული იყო 12 დეკემბრამდე გაეცა მაუნცებლობის ლიცენზია. კახი ყურაშვილის განმარტებით, ლიცენზიის გაცემა ვერ გაათავისუფლებდა „ჰერეთს“ ლიცენზიის გარეშე საქმიანობისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

კახი ყურაშვილის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ სამაუნცებლო კომპანია „ჰერეთი“ ლაგოდებსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში მაუნცებლობდა 2006 წლიდან. აღნიშნული გარემოება აუცილებლად ცნობილი უნდა ყოფილიყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის, რომლის მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს გეგმიურ შემოწმებას. საინტერესოა, რატომ გახდა აქტუალური ერთი წლის თავზე ტელეკომპანია „ჰერეთის“ ულიცენზიოდ მაუნცებლობის საკითხი კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის. გაუგებარია, რატომ არ მიიღო კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება 2007 წლის 20 მაისს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო. აქვე ცალსახად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მაუნცებლობის შესახებ კანონი ლიცენზიის მინიჭების ვალდებულებას უკავშირებს არა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დროულ წარდგენას, არამედ სალიცენზიო გადასახდელის 20% კომისიის მიერ დადგენილ ვადაში გადახდას. „ჰერეთმა“ სალიცენზიო გადასახდელის 20% გადაიხადა ვადის ამონურვამდე 2 დღით ადრე, ამგვარად, დაუშვებელია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღება.

ტელეკომპანია „ჰერეთის“ წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მათთან მუდმივად ჩადიოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის ჯგუფი და არკვევდა, ხომ არ ხდებოდა ხელშეშლა სხვა მაუნცებლის მხრიდან მათ კუთვნილ სიხშირეზე. კომუნიკაციების ეროვნული კომისია უარყოფს სამაუნცებლო კომპანია „ჰერეთის“ მიმართ ყოველგვარი მსგავსი შემოწმების განხორციელების ფაქტს.

2007 წლის 11 დეკემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო №757/18 გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ჩატარდა რადიოსიხშირული სპექტრის მონი-

ტორინგი ქ. ლაგოდებში. შემონიშნების შედეგად გაირკვა, რომ შპს „სამაუნეებლო კომპანია ჰერეთი“ 102.8 მჰც რადიოსიხშირეზე მაუნეებლობა ხორციელდება ლიცენზიის გარეშე. ამავე კომპანიის მიერ გამოყენებულია 402.6 მჰც სიხშირე რადიოსარელეო ხაზის ფუნქციონირებისათვის კომისიის მიერ შემოაღნიშნული სიხშირის მინიჭების გარეშე. ამასთან დაკავშირებით შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და „სამაუნეებლო კომპანია ჰერეთს“ დაეკისრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „სამაუნეებლო კომპანია ჰერეთის“ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას კოდექსის 144¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნებს. კერძოდ, შემოაღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ულიცენზიო საქმიანობისა და რადიოსიხშირის სპექტრით მინიჭების გარეშე სარეგებლობისათვის. კომისიამ მიიჩნია.

იმავედროულად 2007 წლის 11 დეკემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო №758/1 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „სამაუნეებლო კომპანია ჰერეთს“ მიანიჭა კერძო მაუნეებლობის №B 95. იგივე გადაწყვეტილებით სამაუნეებლო კომპანია „ჰერეთს“ უფლება მიეცა გამოეყენებინა 102.8 მჰც რადიოსიხშირე, ანუ ის რადიოსიხშირე, რომლით შეიძინა თვის განმავლობაში ულიცენზიო სარეგებლობისათვის სამაუნეებლო კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.

სახალხო დამცველის მიერ შემოსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების მიუხედავად, ისაკო ცქიფურიშვილი არათუ სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში არ მისცეს, არამედ ამ უკანასკნელმა გააგრძელა სამაუნეებლო კომპანია „ჰერეთის“ ჟურნალისტებზე უკანონო ზემოქმედება. 2008 წლის 5 იანვარს სამაუნეებლო კომპანიის ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას ლაგოდების №15 საარჩევნო ოლქის №19 საარჩევნო უბანზე. ეს უკანასკნელი მდებარეობს ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში. ხათუნა გოგაშვილის განმარტებით, საარჩევნო უბანზე მივიდა მოქალაქე ისაკო ცქიფურიშვილი, რომელიც არ წარმოადგენდა ამომრჩეველს და არ ჰქონდა უბანზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ისაკო ცქიფურიშვილმა ხათუნა გოგაშვილს საუბრის აუდიო ჩანერისაგან თავის შეკავება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ისაკო ცქიფურიშვილმა დიქტოფონი წაართვა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს. ამ ინციდენტის თვითმხილველები გახდნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტის“ დამკვირვებელი და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.

2008 წლის 10 იანვარს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები, რომლებიც ეხებოდა ისაკო ცქიფურიშვილის მხრიდან რადიოსადგურის დარბევის მუქარას, გადაუგზავნა გურჯაანის რაიონულ პროკურატურას.

2008 წლის 1 თებერვალს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2008 წლის 16 იანვარს შინაგან საქმეთა ლაგოდების რაიონულ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №030080019 საქმეზე, სამაუნეებლო კომპანია „ჰერეთის“ დირექტორის მიმართ განხორციელებული მუქარისა და სიტყვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტებზე, დანაშაულები გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 153-ე მუხლებით.

2008 წლის 9 იანვარს სახალხო დამცველმა საქმის მასალები, რომლებიც ეხებოდა ხათუნა გოგაშვილზე მუქარას და მისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების სამთავრობო ჯგუფის ხელმძღვანელს, ეკატერინე ტყეშელაშვილსა და გენერალურ პროკურორს, ზურაბ ადეიშვილს.



ირაკლი ბათიაშვილის საქმე

ირაკლი ბათიაშვილის საქმე სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში დეტალურად იყო განხილული. საანგარიშო პერიოდში მითითებულია მოსამართლის კონკრეტული დარღვევებისა და სახალხო დამცველის მიერ იუსტიციის საბჭოსთვის მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის შესახებ.

2007 წლის 17 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ადვოკატმა – იოსებ ბარათაშვილმა, რომელიც ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ირაკლი ბათიაშვილის წინასწარი გამოძიების პროცესში პატიმრობისა და სასამართლოში საქმის განხილვის კანონიერების საკითხის შესწავლას. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ ი. ბათიაშვილი სასამართლოს მიერ არაკანონიერად იქნა მსჯავრ-

დებული. სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომლებიც მის დამნაშავეობას დაამტკიცებდა, მოხდა იმ სატელეფონო საუბრების გაყალბება, რომლებიც საფუძვლად დაედო ი. ბათიაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას და, შესაბამისად, ის არის პოლიტიკური პატიმარი.

როგორც განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, 2006 წლის 22 ივლისს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კერძოდ, „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერში“ და ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გადაცემა „დროებაში“ გავიდა სიუჟეტები, სადაც კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის მიერ გაკეთდა განცხადება შეიარაღებული ფორმირება „მონადირის“ შექმნისა და სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობის გამოცხადების შესახებ, საფუძვლად დაედო 2006 წლის 22 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ემზარ ბექმურზიას ძე კვიციანის ბრალდების სისხლის სამართლის №090060756 საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყებას. 2006 წლის 26 ივლისს გამომძიებლის ზურაბ ბეიტრიშვილის მიერ მოწმის სტატუსით დაიკითხა ირაკლი ბათიაშვილი ე.კვიციანთან მისი ურთიერთობის, ბატალიონ „მონადირის“ სამართლებრივი სტატუსისა და კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

2006 წლის 29 ივლისს სისხლის სამართლის №090060756 საქმეზე მოხდა ი.ბათიაშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (25)307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (№1 ტომის 228-230-ე ფურცელი).

2006 წლის 30 ივლისს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის გ.გოგინაშვილის მიერ ი.ბათიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება (№1 ტომის 253-ე ფურცელი).

2006 წლის 22 სექტემბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის ე.არეშიძის ბრძანებით ი.ბათიაშვილს გაუგრძელდა პატიმრობის ორთვიანი ვადა კიდევ ერთი თვით, სამ თვემდე, ანუ 2006 წლის 29 ოქტომბრამდე (№3 ტომის 19-20 ფურცელი).

2006 წლის 26 ოქტომბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დ.მეტრეველის მიერ გაცემული იქნა ბრძანება ი.ბათიაშვილისათვის პატიმრობის სამთვიანი ვადის კიდევ ერთი თვით, ოთხ თვემდე, ანუ 2006 წლის 29 ნოემბრამდე გაგრძელების შესახებ (№3 ტომის 53-56 ფურცელი).

2006 წლის 21 ნოემბერს ი.ბათიაშვილს განმეორებით წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 376-ე მუხლით (№3 ტომის 109-115 ფურცელი).

საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლის №090061129 საქმე 2006 წლის 24 ნოემბერს საბრალდებო დასკვნით გადაიგზავნა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (№3 ტომის 132-138), სადაც საქმის არსებითი განხილვას ადგილი ჰქონდა მოსამართლის მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაერთგზის უხეშად დარღვევას. კერძოდ:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად – „სასამართლოში საქმის შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხს“. სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და 2006 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით დატოვა უცვლელი.

აღნიშნულის შესახებ ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ი.ბარათაშვილმა და გ.ნიკოლეიშვილმა არაერთგზის დააყენეს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ი. ბათიაშვილის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, რის არგუმენტირებასაც ახდენდნენ მ.თეთრაულის მიერ გამოტანილი დადგენილების დასკვნითი ნაწილით: „განსასჯელ ი.ბათიაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიება დაპატიმრება გამოყენებულია სწორად და არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძვლები“.

მოსამართლის მ.თეთრაულის მიერ გამოტანილი დადგენილება აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის შესახებ სრულად არ პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის შესახებ ბრძანების გაცემისას მოსამართლე განიხილავს შუამდგომლობას 140-ე მუხლით დადგენილი წესით“, რითაც ფაქტობრივად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი.

2. ი.ბათიაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი – იოსებ ბარათაშვილის მიერ მ.თეთრაულის წინაშე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა, სასამართლოს მოწმის სახით დაეკითხა დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი, კოსტანტინე გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, გიორგი კობახიძე, ზურაბ ბეიტ-



რიშვილი, გ.გოგოლაშვილი, ნორა კვიციანი, გოჩა ფიფია, ერეკლე კოდუა, ნიკოლოზ ტაბატაძე, ზაზა ბრეგაძე, ზურაბ კოტარია და სხვ. მაგრამ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ინტერესების საზიანოდ სასამართლოში არ გამოცხადდნენ ე. კოდუა, ზ. კოტარია და ნ. ტაბატაძე.

მოსამართლე მ.თეთრაულმა დაცვის მხარეს განუმარტა, რომ სასამართლოს მიერ ორჯერ იქნა სასამართლო უწყება გაგზავნილი ე.კოდუასა და ზ.კოტარიას სახელზე, მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა მათი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა, ხოლო რაც შეეხება მოწმის სახით ნ.ტაბატაძის გამოძახებას, იმდენად რამდენადაც დაცვის მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ნ.ტაბატაძის მისამართი სასამართლომ ვერ შეძლო ნ. ტაბატაძის სასამართლო პროცესზე გამოცხადების უზრუნველყოფა“ (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, 61-ე ფურცელი).

სასამართლოს უნდა ეზრუნა გამოძახებულ მოწმეთა გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიოობის დადგენისათვის და უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლით, რაც არ განახორციელა. ამით უგულვებელყო კანონით დაცვის მხარისათვის მინიჭებული პროცესუალური შესაძლებლობა და დაცვის მხარეს შეუზღუდა ეფექტური დაცვის განხორციელების საშუალება.

ამასთან, მ.თეთრაულმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი, როცა არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის – ზ. ბრეგვაძის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სასამართლომ შეგნებულად აარიდა თავი სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაბარებულ პირთა გამოცხადების უზრუნველყოფას და მათ დაკითხვას.

3. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, ირაკლი ბათიაშვილს დახმარება მის მიერ მიცემული რჩევებით, დარწმუნებით ან მოქმედებით უნდა გაენია უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი პირისთვის (პირებისთვის). შესაბამისად, მის მიერ სხვა პირთათვის (რომლებიც არ არიან დანაშაულში თანამონაწილენი) მიცემული რჩევები და მათთან გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ფსიქოლოგიური დახმარება დანაშაულის ჩასადენად. შესაბამისად, ის სატელეფონო საუბარი, რომელიც ირაკლი ბათიაშვილსა და ნორა არღვლიანს შორის შედგა, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ემზარ კვიციანის მიმართ აღმოჩენილი დახმარება რჩევა-დარიგებების მიცემით, თუ დარწმუნებით. ნორა არღვლიანი ამ დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნორა არღვლიანთან განხორციელებული სატელეფონო საუბრები ირაკლი ბათიაშვილის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დამადასტურებელ ფაქტად იქცა, რითაც ფაქტობრივად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავში ასახული ნორმები.

4. სასამართლო გამოძიების დროს განსასჯელის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა იოსებ ბარათაშვილმა და გელა ნიკოლაიშვილმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს, რომ დანიშნულიყო ფონოსკოპიური ექსპერტიზა ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილ კომპაქტ-დისკებზე არსებული სამი ჩანაწერის სინამდვილესთან დაკავშირებით. კერძოდ, №11206522, №11205642 და №11211522 სატელეფონო საუბრები.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის შესახებ, **შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობით კი მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საკვანძო პრინციპები და მთელი რიგი ნორმები**, კერძოდ, 468-ე, 356-ე, მე-10 (3), მე-18, მე-19, 132-ე, 496-ე(3) და 503-ე(2) მუხლები, რადგან დაუშვებელია მოსამართლემ თავი აარიდოს თავისი ვალდებულების შესრულებას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებათა უწყუარობის დადგენასთან დაკავშირებით.

მართალია, მოსამართლე თავის შინაგანი რწმენით აფასებს, თუ რა ჩაითვლება უტყუარ მტკიცებულებად, მაგრამ შინაგანი რწმენა არ გულისხმობს მოსამართლის სრულ თავისუფლებას, არამედ, იგი ვალდებულია, განაჩენს საფუძვლად დაუდოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შეფასება, ანუ მოსამართლე ვალდებულია, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სრულყოფილად გამოიკვილოს და შეაფასოს უკლებლივ ყველა მტკიცებულება. განსაკუთრებით კი ის მტკიცებულება, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველია.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. მაგრამ ზ/აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ სასამართლომ საქმის გადანყევებისას გამოიყენა ის მტკიცებულებები, რომელთა უტყუარობაც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ იდგა, რაც წარმოადგენს, როგორც კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე კარში ასახული მთელი რიგი იმპერატიული ნორმების უხეშად უგულვებელყოფასა და დარღვევას.

მიუხედავად ი.ბათიაშვილის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული არერთი პროცესუალური დარღვევისა, 2007 წლის 23 მაისს მოსამართლე მ.თეთრაულმა გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და ირაკლი ბათიაშვილი დამნაშავედ სცნო, სისხლის სამართლის კოდექსის 25 და 315-ე მუხლის მეორე ნაწილით „ამბობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად ან ხელში ჩასაგდებად“ – გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. ბათიაშვილის საქმის ანალიზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ სასამართლომ თავისი გადანყვეტილება დააყრდნო საკუთარ მოსაზრებებს და იმ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობაც საეჭვოა და რომლებიც სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულია: "წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ".

ზემოაღნიშნული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები არ შეიძლება მივიჩნიოთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისად და უტყუარად, ისევე, როგორც უგულვებელყოფილი იყო შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობა (მონშეთა გამოძახებისას და დაკითხვისას და ა.შ). სასამართლოს გადანყვეტილება არის დაუსაბუთებელი, რაც კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევაა. ი.ბათიაშვილის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საერთო სასამართლოს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი“.

განხილული გარემოების საფუძველზე კი ადგილი ჰქონდა მოსამართლე მ.თეთრაულის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, ვინაიდან დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა. კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე



პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს“ (საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანს, შეესწავლათ მოსამართლის – მაია თეთრაულის ქმედების კანონიერების საკითხი და მიეღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ლევან ჟორჯოლიანის საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მ.გველესიანმა, სახელმწიფო ბრალმდებლის ლევან ზაქრაძის მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე სპარტაკ ბუკიას, გია სიორიძის, ლევან ჟორჯოლიანისა და სხვათა მიმართ.

2007 წლის 21 მაისის განაჩენის თანახმად, 2003 წლის შემოდგომაზე დანაშაულებრივმა ჯგუფმა განიზრახა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დეკრეტულ შვებულებაში მყოფ პირებზე სათანადო თანხის გამოყოფის შესახებ დადგენილი მექანიზმის სათავესოდ გამოყენება ყალბი და ფიქტიური დოკუმენტების გაფორმების გზით, სახელმწიფოს მიერ ფეხმძიმეთათვის განკუთვნილი დეკრეტული შვებულების დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ქალთა კონსულტაციების მეშვეობით პოულობდნენ პირებს, ვინც ექვს თვეზე ზევით იყვნენ ორსულობად და მათ მოტყუებით აფორმებდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, რის შემდეგაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე გამოიყოფოდა ამ თანამდებობებისათვის განსაზღვრული დღიური ხელფასის 126 დღეზე გამრავლებული ოდენობის თანხები. ამ თანხის დიდ ნაწილს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თაღლითურად ეუფლებოდნენ.

2007 წლის 21 მაისის განაჩენით ლევან ჟორჯოლიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით (ქრთამის აღება, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით. ლ. ჟორჯოლიანს საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლის ვადით.

სასამართლო აღნიშნულ საქმეში ლევან ჟორჯოლიანთან მიმართებაში დაეყრდნო ერთი მონმის ჩვენებას. კერძოდ:

1) თ.ბ.-ის (დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი) მითითებით, იგი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა გ.ს.-ს, რომელმაც განუცხადა რომ უმჯობესი იქნებოდა ორსული ქალების მიერ ნოტარიულად დამონებულ ახალი განცხადებები მიეტანა ფონდში. ამ საუბრის დროს კი, თ.ბ.-ს კატეგორიული განცხადებით, გ.ს.-თან ერთად იმყოფებოდა ლ. ჟორჯოლიანი. თ.ბ.-ს ესმოდა, რომ გ.ს. აღნიშნული განცხადებების შესახებ ლევან ჟორჯოლიანს ესაუბრებოდა.

სასამართლოს განაჩენში, მონმის თ.ბ.-ს ჩვენებაში აღნიშნული ფრაზის გარდა, არ არის მითითებული რაიმე მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ლ. ჟორჯოლიანის მიერ ქრთამის აღების ფაქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო განაჩენის დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ ერთი მონმის ჩვენებას, რომელიც უარყოფილ იქნა თავად განსასჯელ ს.ბ.-ს მიერ. მონმე თ.ბ.-სა და განსასჯელ ს.ბ.-ს მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობა არ ყოფილა აღმოფხვრილი სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თ.ბ. სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებს, რომ იგი მობილური ტელეფონით ესაუბრა გ.ს.-ს, როდესაც ლ. ჟორჯოლიანის იქ ყოფნა დაადასტურა. გ.ს.-ს მისთვის არ უთქვამს, რომ ლ. ჟორჯოლიანს ესაუბრებოდა, ასევე არ უთქვამს, რომ იგი სამსახურში იყო. მონმე თ.ბ.-მ ასევე მიუთითა,

რომ მან გ.ს.-ს დაურეკა 2-3 საათის შემდეგ და იგი არ იყო ჩართული მობილურის ვიზუალურ ხედვაში. მოწმე თ.ბ.-ს განცხადებით, მისი ვარაუდი ლ.ჟორჯოლიანისა და გ.ს.-ს საუბრის შესახებ გამომდინარეობს იქიდან, რომ თ.ბ.-მ გაიგონა ლევან ჟორჯოლიანის ხმა „ხო, ხო, ასე სჯობიაო“. გ.ს.-ს არაფერი უთქვამს ლ.ჟორჯოლიანზე, მაგრამ თ.ბ.-მ შედეგით დაადგინა, რადგან თანხა მიიღო და თან ხმაც იცნო. თ.ბ. აღნიშნავს, რომ ის ლ.ჟორჯოლიანს ტელეფონით არ დალაპარაკებია, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თითქმის ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად ხვდებოდა.

თ.ბუჭულაძის ზემოაღნიშნული ჩვენებით, სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ ლ.ჟორჯოლიანმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

ლ.ჟორჯოლიანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით სასამართლომ დაარღვია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან:

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად: 3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებას და გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას“ .

ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად: „1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით“. ხოლო, 132-ე მუხლის თანახმად: „1. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.

გიორგი გენაძის საქმე

2006 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა გეგუთის კოლონიის ყოფილმა თანამშრომელმა, ბესიკ ჩხეტიანმა. იგი მიუთითებდა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები სისტემატურად ავზავნიდნენ აკრძალულ საგნებს



და პატიმრებისთვის ამგვარი საგნების შეგზავნა (მათ შორის – ფულის) ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

განცხადებაში აღნიშნული ფაქტების შესამოწმებლად სახალხო დამცველის თანამშრომლები, გიორგი გენაძე და გიორგი მშვენიერაძე 2006 წლის 2 ნოემბერს იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისში. გიორგი მშვენიერაძის მითითებით გიორგი გენაძე გაემგზავრა გეგუთის კოლონიაში, სადაც დაწესებულების თანამშრომლებს ჰკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა პატიმრისათვის ფულის შეგზავნა, ხოლო თანამშრომლების კითხვებზე, თუ ვისთვის სურდა თანხის შეგზავნა, ის სხვადასხვა პატიმრის სახელს და გვარს ასახელებდა.

ერთი თანამშრომლისგან უარის მიღების შემდეგ ის მასთან საუბარს აღარ აგრძელებდა და იმავე კითხვით მიმართავდა სხვა თანამშრომელს. სულ გამოკითხა 6 თანამშრომელი. თანხის შეგზავნის შესახებ ყველა გამოკითხულმა თანამშრომელმა უარი განაცხადა, რის შემდეგაც გიორგი გენაძე ტელეფონით დაუკავშირდა გიორგი მშვენიერაძეს და აცნობა, რომ თანხის შეგზავნა სასჯელალსრულების დაწესებულებაში არ ხდებოდა. ამის შემდეგ მან დატოვა დაწესებულების მიმდებარე ტერიტორია.

5 ნოემბერს, 18 საათზე პრესკონფერენცია გამართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბაჩო ახალაიამ, სადაც გამოაქვეყნა გიორგი გენაძისა და გიორგი მშვენიერაძის შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი. საუბრის აუდიოჩანაწერი ოპერატიულმა ორგანოებმა მოიპოვეს და კანონით სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის ხელმოწვევად მიიღეს უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს მას არ ჰქონდა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების უფლება, მაშინ როცა იმ დროს გამოძიებას არ ჰქონდა დადგენილი ეჭვმიტანილი პირის ვინაობა.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ 2 ნოემბერს დაიწყო ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონულმა სამმართველომ მიანოდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორს და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს. წერილში ნათქვამი იყო, რომ მიღებული ოპერატიული ინფორმაციით ჯერჯერობით დაუდგენელი პირები გეგმავდნენ თანხის შეგზავნას გეგუთის ან ქუთაისის სასჯელალსრულების დაწესებულებაში. აღნიშნულის შესაბამისად დაიწყო გამოძიება იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აკრძალული ნივთის გადაცემის მცდელობის ფაქტზე.

განსაკუთრებულად ყურადღება შემდეგ გარემოებაზეა გასამახვილებელი. გამოძიება თავად ადასტურებს ფაქტს, რომ გიორგი გენაძეს 2006 წლის 2 ნოემბრის 12 საათამდე არ ჰქონია გადაწყვეტილი სოფელ გეგუთში გამგზავრება. შესაბამისად ცხადია, რომ ოპერატიულ ინფორმაციას ვერ მიიღებდა ვერც შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სამმართველო. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა გიორგი გენაძის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის მიყურადება. მოსამართლესა და პროკურორს ეჭვი არ შეუტანიათ იმ გარემოებაში, რომ კუდ-მა ოპერატიული ინფორმაცია მიიღო 2006 წლის 2 ნოემბრის 13.50 საათამდე არანაკლებ 3 საათით ადრე. ცხადია, რომ რეალურად ისმინებოდა არა მის მფლობელობაში არსებული ტელეფონი და ნომერი, არამედ გიორგი მშვენიერაძის სატელეფონო ნომერი (8 77 46 06 60), რომელიც სახალხო დამცველის აპარატის საკუთრებაა. შესაბამისად, ეს არის უკანონო მოსმენა.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოძიების მოეპოვება მხოლოდ 3 ჩანაწერი, სადაც ერთმანეთს სწორედ გიორგი გენაძე და გიორგი მშვენიერაძე ელაპარაკებიან, ხოლო გიორგი გენაძის სატელეფონო საუბრის სხვა ჩანაწერი გამოძიებას არ მოეპოვება. არადა, დროის იმავე შუალედში გიორგი გენაძეს არაერთი საუბარი აქვს განხორციელებული.

მოგვიანებით, იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სამმართველოში მონმის სტატუსით დასაკითხად დაიბარეს გიორგი გენაძე, რომელმაც ჩვენებით დაადასტურა, რომ ის ნამდვილად იმყოფებოდა გეგუთის კოლონიის მიმდებარე ტერიტორიაზე და

იქ ახორციელებდა კონკრეტულ დავალებას. იგი კითხვით მიმართავდა სასჯელალსრულების დანესებულების თანამშრომლებს, შეიძლება თუ არა პატიმრისათვის თანხის შეგზავნა. უარის მიღების შემდეგ მან დატოვა კოლონიის მიმდებარე ტერიტორია, რადგანაც მიიჩნია, რომ შემონმების მიზანი მიღწეული იყო.

გიორგი გენაძე იმავე დღეს ცნეს ექვმიტანილად, ხოლო 2006 წლის 14 ნოემბერს ბრალდებულად და ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დანაშაულის პროვოკაცია), რომელიც გულისხმობს: „სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით“.

გიორგი გენაძეს აღმკვეთ ღონისძიებად 2006 წლის 16 ნოემბერს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ კოზმაყამ შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მოსამართლემ აღმკვეთი ღონისძიების შესახებ ბრძანებით გიორგი გენაძის მიერ ჩადენილი ქმედება დადასტურებულად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სწორედ სასამართლომ გამოარკვია, რომ გიორგი გენაძემ ჩაიდინა მასზე ბრალად შერაცხული ქმედება, ოღონდ განსხვავებით სასჯელისაგან, მას აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. აღნიშნული მოქმედებით სასამართლომ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც როგორც საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის 1 პუნქტის, ასევე „ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლება-თა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის უხეში დარღვევაა.

გამოძიება გრძელდებოდა 2007 წლის მარტის თვემდე, თუმცა გამოძიებას ნოემბრის შემდეგ საქმეში ახალი მტკიცებულება არ მოუპოვებია და ის შედგება მხოლოდ აუდიო ჩანაწერებისაგან, ბრალდებულის ჩვენებისა და მოწმეთა ჩვენებებისაგან, რომლებიც სასჯელალსრულების დანესებულების თანამშრომლები არიან.

ახლოესტურად უსაფუძვლოა საბრალდებო დასკვნა, რომელშიც განვითარებული იყო პროკურორის ეჭვები იმასთან დაკავშირებით, თითქოს გიორგი გენაძე ცდილობდა გეგუთის კოლონიის თანამშრომლებისთვის ფულის გადაცემას და ამ ფაქტის ვიდეო-აუდიო ჩანერას, რათა შემდგომში მიეღწია მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნისთვის.

წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ საქმის არსებითი განხილვა 2007 წლის 3 მაისს დაიწყო. დაიკითხნენ განსასჯელი, ბრალდებისა და დაცვის მოწმეები.

როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მოწმისა და განსასჯელის ჩვენებიდან, იმ ნაწილში, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა, უტყუარად არის დადასტურებული შემდეგი:

1. გიორგი გენაძეს არავინ დაუყოლიებია დანაშაულის ჩასადენად, ანუ გიორგი გენაძის ქმედებას, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან დანაშაულის ჩადენაზე თანხმობა არ მოჰყოლია.
2. გიორგი გენაძეს თან არ ჰქონდა ფული (ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებით მათ ფული არ დაუნახავთ, ხოლო დაცვის მხარის მოწმისა და განსასჯელის ჩვენებით, გ.გენაძეს არათუ მის მიერ თანამშრომლების შეცდომაში შეყვანის მიზნით მითითებული 50 ლარი, არამედ საერთოდ არ ჰქონდა ფული).
3. გ.გენაძეს არ უნარმოებია ფარული ვიდეო-აუდიო ჩანერა (ბრალდების მოწმეებმა ამის შესახებ არაფერი იციან, ხოლო დაცვის მხარის მოწმის და განსასჯელის ჩვენება ადასტურებს იმას, რომ გ.გენაძეს არაფერი ჩაუწერია).

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ი.გვაგვალამ განაჩენი გამოიტანა ამა წლის 10 დეკემბერს (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს). გიორგი გენაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-145-ე მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც ჩაითვალა პირობითად.



განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს ერთადერთ არგუმენტად მოყვანილი აქვს ღრმა შინაგანი რწმენა, რომ გ.გენაძემ ჩაიდინა დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა. განაჩენში ვკითხულობთ „დანაშაული (საუბარია პროვოკაციაზე) დამთავრებულად ითვლება დაყოლიების მომენტიდან“; „განსასჯელის ქმედება უშუალოდ იქნა მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ამ მსჯელობით მოსამართლე საკუთარ თავთან მოვიდა წინააღმდეგობაში.

განაჩენი არის აბსოლუტურად უსაფუძვლო შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება რეალურ დანაშაულთა რიცხვს. შესაბამისად, ის ჩადენილად ითვლება მაშინ, თუ პირი დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიებს სხვა პირს. ამავდროულად, სამართალდამრღვევს უნდა ამოძრავებდეს კონკრეტული მიზანი – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს დაყოლიებული პირი და ამ მიზნის მისაღწევად უნდა ჰქონდეს დასახული კონკრეტული გზა. არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა, რადგან თუ მოხდა პირის დაყოლიება (და ბუნებრივია უნდა არსებობდეს ზემოაღნიშნული მიზანიც) სახეზეა დასრულებული დანაშაული, ხოლო თუ მისი დაყოლიება არ მომხდარა, სახეზე იქნება დანაშაულის მომზადება. იქიდან გამომდინარე, რომ 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა, მისი მომზადება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შესაბამისად, იმისთვის, რომ გამოძიებას და სასამართლოს დაედგინათ, მოხდა თუ არა დანაშაული, მათ უტყუარად უნდა დაედგინა შემდეგი გარემოებები:

1. რომ გიორგი გენაძემ ნამდვილად დაიყოლია კონკრეტული ფიზიკური პირი დანაშაულის ჩასადენად;
2. გიორგი გენაძეს მიზნად ჰქონდა დასახული მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;
3. ასევე უნდა დადგენილიყო, რა საშუალებით ცდილობდა გიორგი გენაძე დასახული მიზნის მიღწევას.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ცალსახა და მარტივია:

1. დაიყოლია თუ არა გიორგი გენაძემ კონკრეტული ფიზიკური პირი დანაშაულის ჩასადენად? აღნიშნული კითხვის პასუხი მოცემულია თავად პროკურორის საკამათო სიტყვაშიც, სადაც ნათლად და არაორაზროვნადაა ხაზგასმული, რომ გიორგი გენაძეს დანაშაულის ჩადენაში არავინ დაუყოლიებია. შესაბამისად, გიორგი გენაძეს კიდევ რომ ჰქონოდა განზრახვა და შესაძლებლობა, ჩადენა დანაშაული, სახეზე იქნებოდა მხოლოდ მისი მომზადება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს.
2. ჰქონდა თუ არა გიორგი გენაძეს მიზნად დასახული სასჯელალსრულების თანამშრომლების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა? ამ კითხვაზე პასუხი გამოძიებას უნდა გაეცა კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით. ამის ნაცვლად პროკურორი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ გიორგი გენაძეს, მიღებული დავალების ნაცვლად, რომ კანონის ფარგლებში გადაემონებინა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, გაუჩნდა სურვილი, დანაშაულის პროვოკაციით მიეღწია სად-ის თანამშრომელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის. რას უნდა გამოენვია გიორგი გენაძეში ამდაგვარი სურვილი, ან კონკრეტულად რა მტკიცებულებას აფუძნებს ამგვარ მოსაზრებას სახელმწიფო ბრალმძებელი, არც საბრალებო სიტყვიდან და არც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მასალებიდან არ დასტურდება. შესაბამისად ნათელია, რომ პროკურორი ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს უპასუხოდ ტოვებს და მხოლოდ უარგუმენტო მოსაზრებას ახვევს თავს სასამართლოს.
3. რა საშუალებით ცდილობდა გიორგი გენაძე დასახული მიზნის მიღწევას? თუ გიორგი გენაძე გადაწყვეტდა დანაშაულის ჩადენას, მას მიზნის მისაღწევად უნდა გამოეყენებინა ეფექტური საშუალება, რომლის გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა სად-ის თანამშრომელთა სისხლის

სამართლის პასუხისგებაში მიცემა. გამოძიება ავითარებდა ეჭვს, რომ გიორგი გენაძე აღნიშნული მიზნის მიღწევას ცდილობდა ფარული ვიდეო გადაღებით და მისი ტელესაშუალებებით გავრცელებით. აღნიშნული ეჭვი მთელი გამოძიების მანძილზე ეჭვად დარჩა და ის ბრალდების მხრიდან ვერანაირი მტკიცებულებით ვერ იქნა დასაბუთებული სასამართლო გამოძიების დროს. საბრალდებო დასკვნაც კი, რომელიც უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ეყარებოდა, არა თუ უტყუარ მტკიცებულებას, არამედ საერთოდ რაიმე სახის მტკიცებულების მოშველიებასაც ვერ ახერხებს აღნიშნული ეჭვის დასადასტურებლად. ერთადერთ არგუმენტად მოყვანილი იქნა ის ფაქტი, რომ როცა გიორგი გენაძეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა წინასწარ გამოძიებაში, ამ უკანასკნელმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. მართალია დუმილის უფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე მთელი რიგი საერთაშორისო თუ შიდა საკანონმდებლო აქტებით, მაგრამ გამოძიება მიიჩნევს, რომ ის ფაქტორი, რომ გიორგი გენაძემ დუმილის უფლება გამოიყენა, სწორედ იმის დასტურია, რომ ის ფარულად ახდენდა თავისი ქმედების ვიდეოფიქსაციას. გამოძიების მიერ წამოყენებული ეს მოსაზრება, თითქოს დუმილის უფლების გამოყენება მიანიშნებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, 21-ე საუკუნის მართლმსაჯულებისათვის სრული ნონსენსია. სამწუხაროდ, მსგავსი მსჯელობა საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია სასამართლომ.

იმისათვის, რომ არსებობდეს 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სასამართლო გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს ზემოთ დასმულ სამ კითხვას და დანაშაული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ სამივე კითხვაზე უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გაცემია დადებითი პასუხი. სამართლიანი სასამართლოს პირობებში მოსამართლეს ნათლად უნდა დაენახა, რომ აღნიშნული კითხვებიდან უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით პასუხი არცერთზე არ არის გაცემული. მეტიც, პროკურორი ღიად საუბრობდა მხოლოდ მის პრივატულ შეხედულებებსა და ეჭვებზე. შესაბამისად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი შეიძლებოდა მხოლოდ ერთი წინადადებით დასაბუთებულიყო: „საქმეში მოცემულია ეჭვები და არა ფაქტები, რაც სასამართლოს განხილვის უფლებამოსილებას სცილდება“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიანჩია, რომ გიორგი გენაძის მიმართ განხორციელდა დევნა მის საქმიანობასთან დაკავშირებით, რათა აღნიშნულით ზეგავლენა მოეხდინათ სახალხო დამცველის თანამშრომელთა საქმიანობაზე და დაეშინებინათ ისინი. ხოლო გიორგი გენაძე იმის მაგალითია, თუ როგორ დაისჯება ყველა ადამიანი, რომელიც შეეცდება წინ აღუდგეს ამა თუ იმ უწყებაში არსებულ დარღვევებს, რომელთაც უშუალო უარყოფითი გავლენა აქვთ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე.

სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმე და წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უცვლელად დატოვა ძალაში.

ამჟამად განაჩენი გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

მამუკა ლომსაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის 4 სექტემბერს მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის – დავით ჯუღელის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების რეკომენდაციით.

2007 წლის 13 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნანან ლომსაძემ. მისი განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ივლისის განაჩენით, სისხლის სამართლის საქმეზე მ.ლომსაძისა და სხვათა მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, მ.ლომსაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და



ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორი წლითა და ექვსი თვის ვადით. აღნიშნული განაჩენი დაცვის მხარემ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, თუმცა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე 21 აგვისტომდე არ იყო გადაგზავნილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (განაჩენის გამოტანიდან გასულია ერთ წელზე მეტი დრო).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს წერილის თანახმად, მ. ლომსაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში არ შესულა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით ჯუღელის მიერ მსჯავრდებულების მ. ლომსაძისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 2006 წლის 12 ივლისს. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებულების მ. ლომსაძის და დ. ნატროშვილის ადვოკატების – პ. ხათაშვილის და მ. ხურციას სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შესულ იქნა ფოსტიდან 2006 წლის 15 აგვისტოს (ფოსტას ხსენებული საჩივარი ჩაბარდა 2006 წლის 11 აგვისტოს).

საქართველოს სსსკ-ის 528-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში უნდა გადაიგზავნოს განაჩენის გამოტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა დაირღვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დ. ჯუღელის მიერ.

ზვიად ობოლაძისა და ნინო ლობჯანიძის საქმე

2007 წლის 14 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიენოებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით („ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება“) გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებათა (განაჩენი, განჩინება) ასლები.

2007 წლის 25 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებულ წერილში მითითებულია, რომ 2006-2007 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით განხილულია ერთი საქმე და გამოტანილია მხოლოდ ერთი განჩინება, რომლის ასლიც დართული ჰქონდა უზენაესი სასამართლოდან მიღებულ წერილს.

ზემოაღნიშნული განჩინება, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, გამოტანილია 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ (მ. ომხარელი, ზ. მეიშვილი, ლ. მურუსიძე), რომელიც დააყენა მსჯავრდებულის – ნინო ლობჯანიძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - დავით კორკოტაშვილმა და მსჯავრდებულის - ზვიად ობოლაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - გია ჯოგლიძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 29 დეკემბრის განაჩენზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველზე, რომ საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რადგან გადაწყვეტილება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

განჩინებაში წარმოდგენილი ფრაზა – „გადანყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან“, წინააღმდეგობაში მოდის უზენაესი სასამართლოდან მიღებული წერილის შინაარსთან, რადგან მასში მითითებულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა მხოლოდ ერთი საქმე, რომლის ასლიც სახალხო დამცველს გაეგზავნა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მეორე ნაწილით გასაზღვრულია, რომ „საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“. იმდენად, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკაში არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ მოიძებნებოდა, რომელზეც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჰქონდა ნამსჯელი, ამასთან, არ ჰქონდა შექმნილი სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხილვისა და გადანყვეტის პრაქტიკა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, შეეძლო, მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა დიდი პალატისათვის, რადგან საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენდა იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

მით უმეტეს, არსებობდა სერიოზული მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავდა ნინო ლობჯანიძისა და ზვიად ობოლაძის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს (იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენება).

ა.ლ-ს საქმე

2006 წლის 21 ნოემბერს, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლუიზა ყუფარაძემ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა 1989 წლის 14 ნოემბერს დაბადებულ არასრულწლოვან ა.ლ-ს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს“.

მოსამართლემ უხეშად დაარღვია კანონის აღნიშნული მოთხოვნა.

საქართველოს სახალხო დამცველმა აპარატის 2006 წლის 29 ნოემბერს სათანადო მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გენერალურ პროკურორს გაუგზავნა.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №74068449 საქმეზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლ.ყუფარაძის მიერ უკანონო სასამართლო გადანყვეტილების გამოტანის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2007 წლის 19 ივლისის წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების თანახმად, საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით გამოირკვა და დადგინდა, რომ სამტრედიის რაიონული სასამარ-



თლოს მოსამართლის ლ.ყუფარაძის მიერ გამოტანილ იქნა უკანონო სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც მან ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება – მოსამართლის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.

2007 წლის 4 ივლისს, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით ამოღებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა), ე.ი. აღნიშნულმა ქმედებამ განიცადა დეკრიმინალიზაცია.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს კანონმდებლის პოზიციას, რაც განამტკიცებს მოსამართლის დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტულ სისხლის, ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო საქმეზე.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, როცა ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დანაშაული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ.ყუფარაძის მიერ უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტზე წარმოებული წინასწარი გამოძიება შეწყდა.

თუმცა, ზემოაღნიშნული მუხლის გაუქმება არ ნიშნავს, რომ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა არ იწვევს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომის სახეებია: ა) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა. კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს“.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ.ყუფარაძის ზემოაღნიშნული ქმედება შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, მის მიერ უხეშად იქნა დარღვეული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნა, რითაც არსებითი ზიანი მიაყენა პროცესის მონაწილეს.

სახალხო დამცველმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს გაუგზავნა წერილი მოსამართლის ლ.ყუფარაძის დისციპლინური დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2006 წლის პირველ ნახევარში, როცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ანა ლელეყვამ ადმინისტრაციული წესით 14 დღით დააპატიმრა არასრულწლოვანი პირი – ზ.შ. გამოძიება კი სხვა მუხლით, კერძოდ, სსკ-ის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) დაიწყო.

ზოგადად, სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლთან დაკავშირებით დამკვიდრდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა (დეტალურად იხ. პროკურატურის თავში).

რეზო ბოჭორიშვილის საქმე

2007 წლის 3 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე რეზო ბოჭორიშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა განმცხადებელი, გააჩნია სახელფასო დავალიანება რეზო ბოჭორიშვილის მიმართ.

რეზო ბოჭორიშვილმა სახელფასო დავალიანების გასტუმრებისათვის სარჩელი შეიტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც 2006 წლის 21 აგვისტოს სასამართლო გადაწყვეტილებით, რეზო ბოჭორიშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მოპასუხეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს დააკისრა რეზო ბოჭორიშვილის სახელფასო დავალიანების 1490 ლარის და 11 თეთრის ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2006 წლის 26 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა სააღსრულებო დეპარტამენტში.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5, მე-6 პუნქტების და 921-ე მუხლის

მოთხოვნათა შესაბამისად, იმერეთის სააღსრულებო ბიურომ მოვალე მხარეს ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ. წინადადება მოვალე მხარემ არ შეასრულა. აღნიშნული ვადის ამონურვის შემდეგ, სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია მოვალე საბიუჯეტო დაწესებულების მიმართ განახორციელოს იძულებითი აღსრულება. მიუხედავად ამისა, მოქალაქე რეზო ბოჭორიშვილმა სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველისათვის განცხადებით მიმართვის დღემდე არ იყო აღსრულებული.

სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმე-

31

დანართი 5. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება

2007

დებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს: “მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.”

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და ხელშეკრულებებს, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

„2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია წინა წლებში საბიუჯეტო დანესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გადასახდელი თანხები, რაც, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 2006 წლის 21 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ვინაიდან, ადგილი ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნათა შეუსრულებლობას, სააღსრულებო მოქმედებათა გატარებისათვის კანონით განსაზღვრული ვადების, კრედიტორის უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევას, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, გაგზავნილი იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რათა სააღსრულებო დეპარტამენტს გაეტარებინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და დროულად მომხდარიყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

იმერეთის სააღსრულებო ბიურომ სააღსრულებო წარმოების მასალები ქვემდებარეობის მიხედვით გადაუგზავნა სააღსრულებო დეპარტამენტის განაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. რომელიც უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს მოვალის საბანკო ანგარიშებიდან, საბანკო დანესებულებაში გაგზავნილი საინკასო დავალების საფუძველზე.

2007 წლის 21 სექტემბერს სააღსრულებო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კრედიტორ რეზო ბოჭორიშვილს მიეცა მითითება გაეხსნა საბანკო ანგარიში, რომელზეც მოგვიანებით ჩაირიცხა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული თანხა.

ნუგზარ გალუაშვილის საქმე

2007 წლის 3 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნუგზარ გალუაშვილმა. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა განმცხადებელი, გააჩნია სახელფასო დავალიანება ნუგზარ გალუაშვილის მიმართ. სახელფასო დავალიანების საკითხზე მოქალაქემ სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც 2007 წლის 17 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ნუგზარ გალუაშვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა ნუგზარ გალუაშვილის სახელფასო დავალიანების 676 ლარის და 94 თეთრის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტი-

ლებზე 2007 წლის 2 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი №3/4047-06 რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა სააღსრულებო დეპარტამენტში.

მიმდინარე წლის 22 მარტს მოვალე მხარეს, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 921 მუხლის შესაბამისად გაეგზავნათ წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნენ, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. აღნიშნული წინადადება მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა. შემდგომში სააღსრულებო წარმოება იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად გადაეცა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა სააღსრულებო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული ვადები, როგორც მოქალაქე ნუგზარ გალუაშვილი მიუთითებდა, სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“ და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სასამართლოზე მიმართვის უფლება თავის არსში მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და კრედიტორისათვის გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს.

სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს: „მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან“.

„2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია წინა წლებში საბიუჯეტო დანესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გადასახდელი თანხები, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 2007 წლის 17 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს გამოეყენებინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. ასევე, მიიღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის.

სააღსრულებო დეპარტამენტის პასუხიდან ცნობილი გახდა, რომ რეკომენდაცია სააღსრულებო დეპარტამენტს ჩაბარდა მიმდინარე წლის 7 სექტემბერს, ხოლო 11 სექტემბერს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა კრედიტორის საბანკო ანგარიშზე გადარიცხა სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ საქმე

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ თანამშრომლებმა მათი სახელფასო დავალიანების საკითხთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობის თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1998, 1999, 2000 წლებში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“ უწყებრივად ექვემდებარებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტს. აღნიშნულ ორგანოში წლების განმავლობაში მუშაობდნენ განმცხადებლები და დღეისათვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გააჩნია 1998, 1999, 2000 წლების სახელფასო დავალიანება სანარმოს თანამშრომელთა მიმართ.

სახელფასო დავალიანების საკითხთან დაკავშირებით შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ თანამშრომლებმა სარჩელით მიმართეს ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რომელმაც 2001 წლის 4 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება №2/1276-01 და დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნები. სასამართლო გადაწყვეტილებით, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა ცენტრის თანამშრომელთა მიუღებელი ანაზღაურების გადახდა 66 389,24 (სამოცდაექვსიათას სამასოთხმოდცხრა ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარის ოდენობით. სასამართლო გადაწყვეტილება 2001 წლის 6 აგვისტოდან შესულია კანონიერ ძალაში და 2001 წლის 2 ოქტომბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი №2/1276-01 (იხ.დანართი), რომელიც დადგენილი წესით აღსასრულებლად, წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში. ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 4 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი მოიცავს მთლიანი სახელფასო დავალიანების მხოლოდ ნაწილს და მათში დეტალურად არის მითითებული თითოეული თანამშრომლის-კრედიტორის კუთვნილი თანხა.

გარდა ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებისა, ცენტრის თანამშრომელთა დანარჩენი ნაწილის სახელფასო დავალიანების თაობაზე არსებობს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეორე, 2002 წლის 17 იანვრის №2/26-02 გადაწყვეტილება, რომელიც ასევე შესულია კანონიერ ძალაში და გაცემულია შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი №2/26-02 (გაცემული 2002 წლის 17 იანვარს), მთლიანობაში, აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელფასო დავალიანება შეადგენს 170 000 ლარს.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი სხვა დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოვალე მხარეს, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92¹ მუხლის შესაბამისად, არაერთხელ ჩაბარდათ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით – სამი თვის ვადაში – შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნენ, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. აღნიშნული წინადადებები მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა.

შემდგომში, სააღსრულებო დეპარტამენტის პასუხების თანახმად, დაიწყო იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელსაც, განმცხადებელთა განმარტებით, დღემდე არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა და კუთვნილი სახელფასო ანაზღაურების მიღებაში დახმარება შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ თანამშრომლებმა არაერთხელ თხოვეს საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, მაგრამ, მიუხედავად მრავალი მიმონერისა და თხოვნისა, სააღსრულებო დეპარტამენტმა ვერ უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს გამოეყენებინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. ასევე, მიიღო ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის.

სააღსრულებო დეპარტამენტმა წარმოადგინა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შუალედური პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ დაინყო მითითებული სააღსრულებო წარმოებების შესწავლა და მისი განხილვის შედეგები გვეცნობება დამატებით.

ელიკო სულხანიშვილის საქმე

2007 წლის 14 აგვისტოს №1363-07 განცხადებით მომმართა მოქალაქე ელიკო სულხანიშვილმა. განმცხადებლის განმარტებით, იგი მუშაობდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პროგნოზირების კომპიუტერულ ცენტრში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 მაისის N202 ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა. იმავდროულად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანამშრომლების მიმართ ჰქონდა 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რაც 45 თანამშრომლის მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში. დავალიანების თანხა შეადგენს 12054,70 ლარს.

2006 წლის 23 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით (საქმე ?3/173-06) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა ელიკო სულხანიშვილის და სხვათა (სულ 45 კრედიტორი) სასარგებლოდ 1998-1999-2000 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების გადახდა.

2007 წლის 13 მარტის (№01/12) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინადადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, 3 თვის ვადაში ნებაყოფლობით უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, არ აღსრულდა.

ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სამი თვის ვადაში ნებაყოფლობით არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღსრულებო დეპარტამენტს მივმართეთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ ზ/მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება.

სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ, ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად 07.09.07 წელს გაიგზავნა საინკასო დავალება თანხის უდაო წესით ჩამოჭრის მიზნით, რომლის შედეგადაც 24.09.07 წელს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის სადეპოზიტო ანგარიშზე ჩაირიცხა 12054,70 ლარი და დღეის მდგომარეობით კრედიტორების კუთვნილი თანხა გადარიცხულია მათ ანგარიშზე.



მარინა დათუაშვილის საქმე

2007 წლის 10 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მარინე მამაგეიშვილი-დათუაშვილი. განცხადებაში მითითებულია, რომ მისი მეუღლე, გელა დათუაშვილი მუშაობდა ქ.ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში პოლიციელად. იგი დაიღუპა 1997 წლის 14 დეკემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შერულებისას. მის ოჯახს შინაგან საქმეთა სამმართველოდან ეკუთვნოდა კომპენსაცია 10 წლის ხელფასის ოდენობით. ხელფასის გამოანგარიშებისას აღნიშნულმა სამსახურმა დაუშვა შეცდომა და გარდაცვლილის ოჯახს გადაუხადეს 3139 ლარი (ხელფასი გადაანგარიშებული იქნა ხელფასიდან 25 ლარი და 18 თეთრი. სინამდვილეში ხელფასი შეადგენდა 85 ლარს და 18 თეთრს), გადასახდელი დარჩათ 7080 ლარი. ოჯახს მითითებული თანხა არ გადაუხადეს, რისთვისაც მარინე დათუაშვილი მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. 1999 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაეკისრა 7080 ლარის გადახდა მარინა დათუაშვილის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა როგორც ქუთაისის საოლქო სასამართლომ, ასევე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. სააღსრულებო ფურცელი (№2/1869-99 წ.) გაცემულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე (1999 წლის 16 ივნისს).

აღნიშნული დროიდან მარინე დათუაშვილი სისტემატიურად მიმართავს შესაბამის ორგანოებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლად, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში არ მომხდარა აღსრულება.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს. პასუხად გვაცნობეს, რომ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებულია. სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ 2007 წლის 17 აგვისტოს გადაირიცხა შესაბამისი თანხა კრედიტორის, მამაგეიშვილი-დათუაშვილის სადეპოზიტო ანგარიშზე.

როგორც მ. დათუაშვილისაგან გახდა ცნობილი მითითებული თანხა უკვე გადაეცა კრედიტორს.

ბათო ჭუმბურიძის საქმე

2007 წლის 5 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ბათო ჭუმბურიძემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბათო ჭუმბურიძე ქ.თბილისის მერის 2003 წლის 7 მარტის №35 განკარგულებით დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ.თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის №120 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემდეგ, ქ.თბილისის მერის 2005 წლის 29 მარტის №34 განკარგულებით შეიქმნა აღნიშნული დანესებულების სალიკვიდაციო კომისია, რომელმაც ისე დაასრულა ფუნქციონირება, რომ არ მოუმზადებია განკარგულების პროექტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გათავისუფლებისა და მათი სახელფასო დავალიანების გასტუმრების თაობაზე. ამდენად, არ არსებობდა მერის განკარგულება გათავისუფლების შესახებ, რის გამოც მერიის კადრების სამსახურმა უარი განაცხადა შრომის წიგნაკში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებაზე. 2005 წლის 21 ნოემბერს ბათო ჭუმბურიძემ სარჩელით მიმართა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ქ.თბილისის მერიის მიერ შრომის წიგნაკში მისი გათავისუფლების შესახებ ჩანაწერის გაკეთება და სახელფასო დავალიანების დაფარვა 13150 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა მიუღებელ ხელფასს 2005 წლის იანვარში 150 ლარს, ხოლო თებერვლიდან 1000 ლარს, გასასვლელ დახმარებას 1000 ლარს და ორი თვის ხელფასს 2000 ლარს. 2006 წლის 27 იანვარს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება რომლის

თანახმადაც, მოსარჩელე ბათო ჭუმბურიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს ქ.თბილისის მერიას დაეკისრა ბ.ჭუმბურიძის შრომის ნიგნაკში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ.თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ ჩანაწერის შეტანა. აგრეთვე, მოპასუხეს ქ.თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის იანვრიდან შრომის ნიგნაკში გათავისუფლების შესახებ ჩანაწერის გაკეთების მომენტამდე ხელფასის ანაზღაურება ყოველ თვეზე 150 ლარის ოდენობით. სასამართლო გადაწყვეტილებაზე 2006 წლის 11 ოქტომბერს გაიცა სააღსრულებლო ფურცელი №3/189-06, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით წარდგენილ იქნა სააღსრულებლო დეპარტამენტში.

მიმდინარე წლის 15 მარტს მოვალე მხარეს, ქ.თბილისის მერიას „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 921 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებლო დეპარტამენტიდან გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნა, რომ წინადადების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაინყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. აღნიშნული წინადადება მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა. შემდგომში სააღსრულებლო წარმოება იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად გადაეცა დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა სააღსრულებლო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული ვადები, სასამართლო გადაწყვეტილება ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ აღსრულებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქე ბათო ჭუმბურიძის უფლებების დაცვის მიზნით და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანიზაციის კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაიგზავნა რეკომენდაცია, რათა ბათო ჭუმბურიძის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მომხდარიყო „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებების საშუალებით.

2007 წლის 28 დეკემბერს სააღსრულებო დეპარტამენტიდან მივიღეთ რეკომენდაციის პასუხი, რომლის თანახმად, მითითებული სააღსრულებო საქმე აყვანილი იქნა კონტროლზე და უახლოეს მომავალში გატარდება იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები. მიუხედავად ამისა, დღემდე რეკომენდაციას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ მოჰყოლია.

რობერტ დიაკონიძის საქმე

2007 წლის 10 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით (№1491-07) მიმართა მოქალაქე რობერტ დიაკონიძემ სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რობერტ დიაკონიძე (1990-1991) წლების განმავლობაში მუშაობდა საზღვარგარეთ, საიდანაც საქართველოში გადმორიცხა ხელფასის სახით გამომუშავებული თანხა, რათა სამშობლოში დაბრუნებულს მიეღო. მისივე განმარტებით ეს თანხა სახელმწიფომ აღიარა შიდა ვალად, რაც არ გაცემულა. აღნიშნულ საკითხზე მოქალაქემ სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, ხოლო შემდეგ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს. საბოლოოდ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, რობერტ დიაკონიძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა რობერტ დიაკონიძის სასარგებლოდ 28102,35 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 14 თებერვალს გაიცა სააღსრულებლო ფურცელი №3/206-04, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა სააღსრულებლო დეპარტამენტში.



მიმდინარე წლის 20 თებერვალს მოვალე მხარეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებლო დეპარტამენტიდან გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნა, რომ წინადადების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. აღნიშნული წინადადება მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა. შემდგომში სააღსრულებლო წარმოება იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად გადაეცა დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა სააღსრულებლო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული ვადები, როგორც მოქალაქე რობერტ დიაკონიძე მიუთითებს, სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, რათა გამოეყენებინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და მიეღო ყველა ზომა სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისა და რობერტ დიაკონიძის დარღვეული უფლებების აღსადგენად.

2007 წლის 2 ნოემბერს მივიღეთ რეკომენდაციის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ უახლოეს მომავალში სააღსრულებო დეპარტამენტი გაატარებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიებას.

მოქალაქეები მიქაუტაძე, ჯალალონია და სხვ.

სახალხო დამცველს განცხდებით მიმართეს მოქალაქეებმა: ვეფხვია მიქაუტაძემ, მარინა პაპავამ, თამარ ჯალალონიამ, ზინაიდა რიგვაჟამ და მედეა რატიანმა სასამართლო გადაწყვეტილების არ აღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისინი არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები. 1993 წლიდან რეგისტრირებული არიან ქ.ქუთაისში, კერძო სახლებში სხვადასხვა მისამართებზე. ამჟამად აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობენ, ვინაიდან მესაკუთრეებს დასჭირდათ თავისი ფართი. დევნილებმა კი წლების განმავლობაში თავიანთი მცირე შემოსავლებით ვეღარ შეძლეს ბინის ქირის გადახდა, რისთვისაც საბინაო პრობლემასთან დაკავშირებით არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მაგრამ უშედეგოდ. უკიდურესი მდგომარეობის გამო ისინი იძულებული გახდნენ, დაეკავებინათ ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი თავისუფალი ფართი, მდებარე ქ. ქუთაისში, აღმაშენებლის ქ. №20-ში, ყოფილი სამხედრო პროკურატურის შენობაში, მაგრამ ადგილობრივმა თვითმმართველობამ მათი პირობები არ გაითვალისწინა და ფართი გაასხვისა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის 5.2, 5.2 ვ, 5.2 ზ, 5.2 ლ, 5.3 მუხლების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა და ლტოლვილთა განსახლების სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს დევნილები საცხოვრებელი ფართით.

აღნიშნულის გამო, განმცხადებლებმა სარჩელით მიმართეს ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს მოპასუხეებისაგან (ქ.ქუთაისის მთავრობა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო), კანონით დადგენილ ფარგლებში დააკმაყოფილონ საცხოვრებელი ფართით. ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და დაევალით ქ.ქუთაისის მთავრობას და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დააკმაყოფილონ მოსარჩეეები – ვეფხვია მიქაუტაძე, თამარ ჯალალონია, მარინა პაპავა, მედეა რატიანი და ზინაიდა რიგვაჟა საცხოვრებელი ფართით. სააღსრულებო

ფურცელი გაცემულია 2006 წლის 02 დეკემბერს და წარდგენილია იმერეთის სააღსრულებო ბიუროში, რასაც ადასტურებს სასამართლო აღმასრულებლის, ე.თოფურიძის მიერ 2007 წლის 14 მაისს მიწერილი №04/02 წერილი ქ.ქუთაისის მთავრობისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი.

დევნილების განცხადებით, აღსრულება დღემდე არ მომხდარა, ხოლო ქ.ქუთაისში უკვე მიმდინარეობს კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ვაუჩერიზაცია, რის გამოც თავისუფლდება დევნილთათვის გამოყოფილი ფართები, რომელსაც მოპასუხეები ნებაყოფლობით არ გადასცემენ.

აღნიშნულის თაობაზე რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, ასლები გაეგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და ქ.ქუთაისის მერიას.

სააღსრულებო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოვალე მხარემ გამოყო საცხოვრებელი ფართი, რაზეც კრედიტორებმა განაცხადეს უარი ტერიტორიული მდებარეობისა და კეთილმოწყობლობის გამო. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პასუხის მიხედვით კი ქ.ქუთაისის მერიისაგან აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო მზად არის თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს დევნილთა განსახლება. ქუთაისის მერიიდან საპასუხო წერილი არ მიგვიღია.

მალხაზ მელაშვილის საქმე

2007 წლის 4 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მალხაზ მელაშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ 2005 წლის 31 მაისს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მალხაზ მელაშვილს მოქალაქე ნაზიმ სადიკმა მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, მალხაზ მელაშვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს ნაზიმ სადიკს დაეკისრა მორალური და მატერიალური ზიანის მიყენებისათვის 12 ათასი ლარის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 19 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი №05/07-01-11261, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში.

მიმდინარე წლის 3 მაისს მოვალე მხარეს, გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით ხუთი დღის ვადაში შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნა, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაინყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი ნესით აღსრულება. წინადადება მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა. აღნიშნულის შემდგომ, მიმდინარე წლის ივნისის თვიდან ყადაღა დაედო მოვალის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებას, თუმცა, მისი რეალიზაცია არ მომხდარა.

„სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო აღმასრულებელი უფლებემოსილია მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებიდან ორი კვირის შემდეგ ამ ქონებაზე დანიშნოს აუქციონი.“ ყადაღადადებულ ან მოვალის მიერ ნებაყოფლობით გადახდილ ფულს, აღსრულების ხარჯების გამოკლებით, სასამართლო აღმასრულებელი გადასცემს კრედიტორს, ხოლო სხვა ყადაღადადებულ ნივთებს სასამართლო აღმასრულებელი საჯაროდ ყიდის აუქციონზე.

ამასთანავე, სასამართლო აღმასრულებელს გარდა კანონით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლებით) გათვალისწინებულ შემთხვევებისა არ შეუძლია



კრედიტორის ნერილობითი განცხადების გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს აღსრულება, დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო საბუთები, სხვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედების შესრულება, ამორიცხოს ყადაღადადებული ქონება აღწერის სიიდან. ასეთი მოქმედებები სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია შეასრულოს სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია დაადგინოს მოვალის ქონება და გადახდევინება განახორციელოს აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი შემოსავლებიდან, ასევე მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობით დარღვეულია მოქალაქე მალხაზ მელაშვილის უფლებები და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს.

ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ რეკომენდაცია არ გაიზიარა და დაყადაღებული ნივთების რეალიზაცია არ განახორციელა. ბიუროს განმარტებით, დაყადაღებულ ნივთებზე პრეტენზიას აცხადებენ მოვალე მხარის მშობლები. გარდა ამისა, სააღსრულებო ბიუროს მიერ ვერ იქნა მოძიებული სასამართლოსაგან დაკისრებული თანხის ღირებულების ქონება, ხოლო უძრავი ქონება სადაც ცხოვრობს ნაზიმ სადიკი წარმოადგენს მშობლების საკუთრებას. ამდენად, ქონების დაზუსტებისათვის (სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება), რომელზეც უნდა მიექცეს აღსრულება მხარეებმა უნდა მიმართონ სასამართლოს.

გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძის და ზურაბ თორდიას საქმე

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით (1730-07) მიმართეს მოქალაქეებმა გია პატარიძემ, ომარ ჭინჭარაძემ და ზურაბ თორდიამ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2006 წლის 27 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის პირველი ოქტომბრის №3629-პ, 3626-პ და 3632-პ ბრძანებები გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძის და ზურაბ თორდიას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს დაევალა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

მოპასუხეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს- სასამართლო გადაწყვეტილებით ასევე დაეკისრა მოსარჩელებისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და 2006 წლის 26 ივნისს მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში.

გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძის და ზურაბ თორდიას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანებები სასამართლომ ცნო ბათილად, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი შედეგები – მათი სამსახურიდან დათხოვნა – რაც იურიდიულად (არა ფაქტობრივად) ნიშნავს, რომ ისინი დღემდე მუშაობენ ძველ თანამდებობებზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მისი აღსრულების პროცესში მოვალე მხარეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის და 28-ე მუხლის შესაბამისად, არაერთხელ ჩაბარდა წინადადებები სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების უმოკლეს ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ და მოვალე გაფრთხილებული იქნა, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაინიშნება სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება.

აღნიშნულ წინადადებებს და სასამართლო აღმასრულებლების ღონისძიებებს განმცხადებელთა განმარტებით, არ მოჰყვა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

„სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში“.

აღსრულების სანყის ეტაპზე აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა გატარება. ამ სამართლებრივი აქტების გამოცემა დაადგენს დროის მონაკვეთს-დროის საბოლოო მომენტს, რაც საჭიროა იძულებითი განაცდურის პერიოდის და მისი ოდენობის გასაანგარიშებლად (როგორც კრედიტორმა გია პატარიძემ აღნიშნა, განაცდურის ოდენობის საკითხთან დაკავშირებით მიმართეს სასამართლო აღმასრულებელს, მოვალე ორგანიზაციას და ვერ შეთანხმდნენ განაცდურის ოდენობაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ჩვენი მოსაზრებით, განაცდურის ოდენობის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია).

მთელი ამ დროის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიმდინარეობის და იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებების უშედეგოდ გატარების შესახებ, მინდა აღვნიშნო, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა იძულებითი სააღსრულებო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული (კანონით დადგენილი) ვადები და იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალისაგან, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს განუსაზღვრა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ ადმინისტრაციული წარმოებისათვის გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა, რაც დღეისათვის დარღვეულია და მიმაჩნია, რომ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უხეშად არღვევს კრედიტორების: გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძისა და ზურაბ თორდიას უფლებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, რათა სასამართლო აღმასრულებლებმა გამოიყენონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და მიეღოს ყველა კანონიერი



ზომა სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის. ასევე, გააფრთხილონ მოვალე დანესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირები სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ.

2008 წლის 4 იანვარს სააღსრულებო დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს სასამართლო აღმასრულებლის მიერ არაერთხელ გაეგზავნა წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა აღნიშნულზე სააღსრულებო დეპარტამენტს აცნობა, რომ საკითხი განხილვის პროცესშია და საგადასახადო დეპარტამენტი მიიღებდა გადაწყვეტილებას, თუ რომელ თანამდებობაზე იქნებოდნენ აღდგენილი კრედიტორები. ამის შემდგომ სასამართლო აღმასრულებელმა აღსრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით, კვლავ მიმართა მოვალე მხარეს – საგადასახადო დეპარტამენტს, რაზეც მოვალემ კვლაც აცნობა, რომ საკითხი ისევ განხილვის პროცესშია.

ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი, რომელსაც სასამართლოსაგან ცალსახად ჰქონდა განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ერთთვიანი ვადა განზრახ არიდებს თავს სასამართლო აღმასრულებლების კანონიერი (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული) მოთხოვნების შესრულებას თითქმის ორი წლის განმავლობაში და უხეშად არღვევს კანონს. თავის მხრივ სასამართლო აღმასრულებლები არ ახორციელებენ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, შესაბამისად, ყოველთვის იზრდება იძულებითი განაცდურის ოდენობა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის გადასახდელი და დღემდე რჩება დარღვეული მოქალაქეების: გია პატარიძის, ომარ ჭინჭარაძის და ზურაბ თორდიას უფლებები.

ქუთაისის მერიაში
დაკავებული პირების
საქმე

2007 წლის 2 ივლისს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დააკავეს 24 პირი.

აღნიშნული დაკავება წარმოადგენდა ჟურნალისტებისთვის დადგმულ თეატრალიზებულ შოუს. დაკავებული პირები მერიის შენობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სხვადასხვა ადგილიდან მიიყვანეს. მათ შორის – ერთი თბილისიდან. ერთხელ დაკავებული ხალხი „შოუსთვის“ მეორედაც დააკავეს.

ბრალდებულის დაკავების ოქმების მონაცემების მიხედვით, რომლებსაც სახალხო დამცველის რწმუნებულები გაეცნენ შს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ზემოთ მითითებული პირების დაკავება მოხდა საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამმართველოში. არაოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნულ პირებზე გამოტანილი იყო დადგენილება ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ. აღნიშნულ დადგენილებებზე ოპერატიული თანამშრომლების მიერ გაკეთებულია შენიშვნა, რითაც ირკვევა, რომ პირები აღმოაჩინეს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში, საიდანაც მოხდა მათი შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენ-

ტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამმართველოში მიყვანა. საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, რომ დასახელებულ პირებს ხელბორკილი უშუალოდ სამხარეო ადმინისტრაციის შენობიდან გაყვანამდე დაადეს და ისე მოათავსეს სპეციალურ მიკრო ავტობუსში. ამავე კადრებიდან ჩანს, თუ როგორ გააცვენეს მათ ბრალდების არსი და შესაბამისი უფლებები. დაკავებულთა მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემული ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ ამ ადგილამდე ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით მივიდნენ ან მიიყვანეს. მეტიც, ერთი პიროვნების დაკავება მოხდა არა ქუთაისში, არამედ სხვა ქალაქიდან ჩაიყვანეს 2-3 დღით ადრე, თუმცა იგი 2 ივლისს სხვებთან ერთად თეატრალიზებულად დააკავეს სხვა პირებთან ერთად. თუმცა სახალხო დამცველის რწმუნებულთათვის მიცემულ

32

დანართი 6. პროკურატურა
და ადამიანის უფლებები

2007

ახსნა-განმარტებებში მხოლოდ ო. კიკვიძე და ა. ვაჩიბერიძე აღნიშნავენ, რომ საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მათი ფაქტობრივი დაკავება მოხდა 2007 წლის 2 ივლისს დაახლოებით 08:30 საათზე.

დაკავებულთა შორის იყვნენ ომარ კიკვიძე (ქუთაისის მერის მოადგილე) და ავთანდილ ვაჩიბერაძე (ინდ.მენარმე).

ომარ კიკვიძის ახსნა-განმარტების თანახმად, 2 ივლისს, დაახლოებით 08:30 სთ-ზე, იგი საკუთარი ავტომანქანით გამოვიდა საცხოვრებელი სახლიდან. რუსთაველის ქუჩაზე გზა გადაუკეტა თეთრი ფერის ავტომობილმა. მანქანიდან გადმოსულმა პიროვნებამ განუმარტა, რომ იყო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი და გაყოლა სთხოვა. დაახლოებით 08:50 სთ-დან 13:00 საათამდე ო.კიკვიძე იმყოფებოდა ავტომანქანაში, რომელიც ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას ჩამორთმეული ჰქონდა მობილური ტელეფონი. შეკითხვაზე, თუ რატომ მოძრაობდნენ გაუგებარი მიმართულებით, ო.კიკვიძეს უპასუხეს, რომ ელოდებოდნენ ხელმძღვანელობის მითითებას. 13:30 საათზე მანქანაში მყოფმა პირებმა სავარაუდოდ მიიღეს მითითება, რის შემდეგაც ო.კიკვიძე ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში უკანა შესასვლელიდან შეიყვანეს.

ავთანდილ ვაჩიბერაძის ახსნა-განმარტების თანახმად, 2007 წლის 30 ივნისს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს გამომძიებელმა ოლეგ ვარლამიშვილმა მას 2 ივლისს კუდ-ის დასავლეთ საქართველოს სამმართველოში გამოცხადება სთხოვა. ა.ვაჩიბერაძე დაახლოებით 08:30 საათზე გამოცხადდა, ის ჯერ გამომძიებელს შეხვდა, ხოლო შემდეგ შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს. ა.ვაჩიბერაძის თქმით, ოთახში მან დაახლოებით 2-3 საათი გაატარა, აქვე იმყოფებოდნენ სხვა ინდემნარმეებიც და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთი თანამშრომელი. მოგვიანებით შემოიყვანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებიც. როგორც ა.ვაჩიბერაძე ამბობს, არცერთი მათგანისთვის არ უთქვამთ, რომ დაკავებული იყვნენ, თუმცა ოთახის დატოვება აუკრძალეს. მოგვიანებით ოთახში მყოფი ყველა პირი ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში უკანა შესასვლელიდან შეიყვანეს.

აღნიშნულ პირთა დაკავების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის N2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. ადგილზე მიღებული განმარტების თანახმად, დაწესებულებაში არ იმყოფებოდა დირექტორი ლევან ფაჩულია, რის გამოც სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელმა ზურაბ მორჩაძემ დირექტორის დაბრუნებამდე სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის დაკავებულ პირთა დაკავების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შინაარსის გაცნობასა და დაკავებულებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. აღნიშნულზე სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ოქმი შეადგინეს.

ზემოაღნიშნული ქმედება წარმოადგენს სახალხო დამცველის რწმუნებულების კანონიერი საქმიანობისთვის ხელისშეშლას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს მიერ ზემოაღნიშნული საქმის შესწავლისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის N2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18, მე-19 და 27-ე მუხლების საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა ჩამოთვლილ პირთა დაკავების ოქმების ასლები. საპრობილიდან მიღებული წერილობითი პასუხის თანახმად, **დაკავების ოქმების ასლების მოწოდება ვერ ხერხდება ქსეროქსის აპარატის გაუმართაობის გამო.** (აქვე მითითებულია, რომ უნდა მივმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამომძიებო სამსახურს).

დაკავების ოქმების ასლები გამოთხოვილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის დასავლეთის საგამოძიებო განყოფილებიდან. მიღებული პასუხის თანახმად, სისხლის სამართლის N089060172 საქმე წინასწარი გამოძიების შემდგომი ორგანიზების მიზნით, ქვემდებარეობით გადაიგზავნა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ საქმეზე მასალების გაცნობა და ასლების გადაღება ბრალდებულთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმაც ვერ მოახერხეს. მათი შუამდგომლობები დააკმაყოფილეს, მაგრამ პროკურატურის თანამშრომლებმა (საქმეზე წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა) შეუქმნეს ტექნიკური პრობლემები, რის გამოც ვერ შეძლეს, მოეპოვებინათ ბრალდებულის დაკავების ოქმი, დადგენილება ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ, დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და სხვა მასალები.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიმართ გამოძიების დასაწყებად საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2007 წლის 2 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მუშაკების მიერ 24 პიროვნების დაკავებისას კანონდარღვევის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული დადასტურებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

ლ. მაისურაძის საქმე

სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ 2007 წლის 6 ოქტომბერს, ღამის 10 საათისათვის ლევან მაისურაძე, რომელიც გოჩა და ზვიად ქისტაურებთან ერთად ავტომანქანა „ნივით“ ონიდან სოფელ ქვედაში ბრუნდებოდა, იძულებით გააჩერეს ონის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე აკაკი მაისურაძემ და მასთან ერთად მყოფმა განყოფილების ორმა თანამშრომელმა. პოლიციელები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით იყვნენ შეიარაღებულნი. მათ ლევან მაისურაძე ავტომანქანიდან გადაათრიეს და სასტიკად სცემეს, ბოლოს კი ერთ-ერთმა პოლიციელმა ფეხებით აწია დაკავებული და თავი მიწაზე არტყმევინა.

ამ ფაქტის თვითმხილველებს მამა-შვილს გოჩა და ზვიად ქისტაურებს პოლიციელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან გადმოსვლა და მიწაზე დანოლა უბრძანეს. ამასთან, შესაშინებლად ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს კიდეც.

როგორც ქისტაურები აცხადებენ, მიწაზე დანოლამდე მათ დაინახეს, თუ როგორ გამეტებით ურტყამდნენ მაისურაძეს. მათ დაახლოებით 3-5 წუთის განმავლობაში ესმოდათ ლევან მაისურაძის მისამართით დედის გინებისა და ცემის ხმა. შემდეგ თავდამსხმელები ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ ონის მიმართულებით.

გოჩა და ზვიად ქისტაურებმა უგონო მდგომარეობაში მყოფი ლევან მაისურაძე ონის რაიონის სოფელ ქვედაში, მისი ძმის სახლში გადაიყვანეს.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა ქალა ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, სახის, გულმკერდის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნის თანახმად, დაზიანებები განეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს, რასაც შედეგად მოყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა. ლევან მაისურაძე თვეზე მეტხანს გადიოდა ამბულატორული მკურნალობის კურსს თბილისის №1 მოზრდილთა პოლიკლინიკაში.



აღსანიშნავია, რომ აკაკი მაისურაძე და მისი ორი თანამშრომელი აღნიშნულ ინციდენტამდე ერთი საათით ადრე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და გინებით ლევან მაისურაძის ძმის, ჯემალ მაისურაძის სახლშიც შევარდნენ. (ოჯახი ლევან მაისურაძის მამის გარდაცვალებიდან მე-40 დღეს აღნიშნავდა და სახლში საკმაო რაოდენობის მეზობლები და ნათესავები იყვნენ შეგროვილნი).

თვითმხილველთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პოლიციის თანამშრომლები გინებითა და ლანძღვით ლევან მაისურაძის მოკვლით იმუქრებოდნენ. მომხდურებმა სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად ოჯახის ერთ-ერთ სტუმარს ფიზიკური შეურაცხყოფაც მი-აყენეს.

2007 წლის 7 ოქტომბერს ონის შს განყოფილებაში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, ლევან მაისურაძის სხეულის დაზიანების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. ეჭვმიტანილად ცნობილ იქნა ონის შს განყოფილების სამი თანამშრომელი. ჩადენილი ქმედება გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წაყენებული მუხლი არ ასახავს პოლიციელთა მიერ ჩადენილი ქმედების სიმწვავეს და ისინი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი, მაშინ, როდესაც დაზარალებული ლევან მაისურაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, მას სამი პირი დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში სცემდა ხელებით, ფეხებითა და ავტომატის კონდახებით სახის, თავისა და გულმკერდის არეში.

აშკარაა, რომ ონის შს განყოფილების თანამშრომელთა მიერ ლევან მაისურაძის მიმართ ჩადენილი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის (ნამება) მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს – იმგვარი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს და რომლის მიზანია პირის დასჯა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. დანაშაული ჩადენილი ჯგუფურად, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარების თანახმად, „ქმედების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება ერთჯერადად ჩადენის შემთხვევაშიც, როგორც წესი, იწვევს 144¹ მუხლში მითითებული შედეგებიდან ერთ-ერთს. ეს ქმედებები შეიძლება არ გამოირჩეოდეს დიდი ინტენსივობით ან ხანგრძლივობით, მაგრამ ისეთი ხასიათისაა, რომ დაზარალებულში შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ქმედების ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა. მაგალითად, ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს ტოვებს.

* ნამების ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. ნამებისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა – პირის დასჯა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. ეს კი ფაქტობრივად შურისძიების მოტივია.

აქვე უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიერ რეაგირების გარეშე დატოვებული ჯემალ მაისურაძის სახლში ჩადენილი ხულიგნობა. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

ამასთან, ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა ჯგუფურად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის მწარმოებელი გამომძიებლის ზვიად შალამბერიძისა და ზედამხედველი პროკურორის ზვიად ჩხიკვაძის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებების მსუბუქი მუხლით დაკვალიფიცირება შეიცავს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ვინაიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირები არ დაისჯებიან მათ მიერ ჩადენილი ქმედების მიხედვით. გამომძიებელმა და პროკურორმა დაარღვიეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, „გამომძიებელი, პროკურორი..., რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებული არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი...“

გარდა ამისა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, როდესაც სათანადოდ არ იქნა გამოძიებული წამების ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ვინაიდან არ მოხდა გამოძიების დაწყება წამების მუხლით და გამოძიება არ დაწყებულა ხულიგნობისა და ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტებზე, სახალხო დამცველმა საქმის შესწავლის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, საგამომძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს.

არასრულწლოვანთა წამება – ლ.კ.-სა და ი.გ.-ს საქმე (ახალგორის საქმე)

2006 წლის ივნისში ახალგორის რაიონის შს განყოფილების ორმა თანამშრომელმა გ.მთანმინდელის სახელობის ახალგორის საბავშვო სახლის აღსაზრდელების, 16 წლის ლ.კ.-სა და 11 წლის ი.გ.-ს მიმართ ჩაიდინა დანაშაული. კერძოდ, ახალგორის რაიონის ფოსტის შენობიდან ელექტროსადენის ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით ახალგორის რაიონის შს განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლებმა ბონდო ტატუნაშვილმა და ბესიკ ორკოდაშვილმა ახალგორის საშუალო სკოლის ეზოდან, პედაგოგებთან შეუთანხმებლად, პოლიციის შენობაში წაიყვანეს აღსაზრდელები ლ.კ. და ი.გ. დანაშაულის ჩადენაში აღიარებითი ჩვენებების მიღების მიზნით, პოლიციის მუშაკებმა მათზე განახორციელეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, კერძოდ, სცემეს მუშტებითა და წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლით. ამის მიუხედავად, აღსაზრდელებისგან ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება. სამართალდამცველებმა ლ.კ. და ი.გ. გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს.

აღნიშნული ფაქტის მოწმე გახდა ბავშვთა სახლის შესამონმებლად ჩასული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტის თანამშრომელი ე.ზურაბიანი. სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩარევისა და დროული რეაგირების შემდეგ გახმაურდა აღნიშნული დანაშაული და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში დაიწყო გამოძიება.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის დააკავეს ახალგორის რაიონის შს განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებელი ბონდო ტატუნაშვილი და ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ბესიკ ორკოდაშვილი. ორივე მათგანს ბრალი საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 144¹-ე მუხლის (წამება) მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით და 369-ე მუხლის (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მე-2 ნაწილით წაყენა. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს, აღკვეთის ღონის-



ძიების სახით, შეეფარდათ დაპატიმრება ორი თვის ვადით, შემდეგ კი 5000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ წინასწარი პატიმრობიდან.

პროკურატურამ ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ბესიკ ორკოდაშვილი და ბონდო ტატუნაშვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე); 333-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე) და 144¹ -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებით (წამება, იგივე ქმედება ჩადენილი: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზე ზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე).

ზემოაღნიშნულ პირებს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალიათ პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნით თანამდებობაზე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

შეფარდებული სასჯელი ჩადენილ ქმედებასთან აშკარად არაადეკვატურია. ზემოაღნიშნულიდან ნათლად იკვეთება პროკურატურის დამოკიდებულება წამების ფაქტების მიმართ.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2007 წელს 144¹ (წამება) მუხლით გამოძიება 40 საქმეზე დაიწყო მათ შორის 4 დანაშაული გახსნილია, 144² (წამების მუქარა) მუხლით გამოძიება 2 საქმეზე დაიწყო, მათ შორის 2 – გახსნილია და 144³ (არაადამიანური მოპყრობა) მუხლით გამოძიება 19 საქმეზე დაიწყო, მათ შორის 11 დანაშაული გახსნილია.

2007 წლის 6 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლით მხოლოდ 5 საქმეზე დადგა განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2004-2007 (11 თვე) წლებში და ისიც მინიმალური სასჯელით.

დავით ბაძგარაძის საქმე

დავით ბაძგარაძე თბილისში ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა 2005 წლის 16 დეკემბერს 23 საათზე დააკავეს. ბაძგარაძეს გამოძიებამ ყაჩაღობაში დასდო ბრალი, რისთვისაც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2005 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება შეუფარდა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძემ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ასევე პირადობის დამადასტურებელი მონომობისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 16 დეკემბერს დავით ბაძგარაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს, რომლებთან ერთადაც შექმნა პირთა ჯგუფი და

განიზრახა, თავს დასხმოდა რომელიმე მოქალაქეს და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა სხვის ქონებას. სალამოს დაახლოებით 8 საათზე აღნიშნული ჯგუფი მივიდა თბილისში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, №401-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაღში, რა დროსაც ბაძგარაძე, გამოძიებით დაუდგენელ თანამონაწილეებთან ერთად, წინასწარ მომარჯვებული დანით თავს დაესხა მოქალაქე სოფო ზურაბიშვილს და გასტაცა შავი ფერის ხელჩანთა.

მოგვიანებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძე, თავის მეგობართან ერთად, ქუთაისიდან გამოემგზავრა და თბილისში მხოლოდ ლამის 11 საათზე ჩამოვიდა, რასაც თვით-მხილველებიც ადასტურებენ. ამასთან, ბაძგარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან განხორციელებული ზარების ამონაწერით დასტურდება, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძის მობილური ტელეფონიდან 21 საათისათვის რამდენიმე გამავალი ზარი იგოეთის ანძიდან არის განხორციელებული. იმ დროისათვის, სოფო ზურაბიშვილზე უკვე მომხდარი იყო ყაჩაღური თავდასხმა თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში.

დაზარალებულის ჩვენებით, თავდამსხმელს თავზე ეხურა ქუდი და მიუხედავად იმისა, რომ დაყარა-ლება 16 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე მოხდა, როცა სკვერში უკვე სრული სიბნელე იყო, მან ქუდს ქვემოთ გაარჩია ბაძგარაძის თმის ფერი და ვარცხნილობა. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დაზარალებული ბაძგარაძის ჩაცმულობასა და თმის ვარცხნილობას მხოლოდ მისი წარდგენის შემდეგ აკონკრეტებდა. სახალხო დამცველი დარწმუნებულია, რომ დაზარალებული ან კეთილსინდისიერად ცდებოდა, ან შეგნებულად იძლეოდა ცრუ ჩვენებას. რაც შეეხება ბაძგარაძის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, ისინი უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან პოლიციელები თავიანთ ჩვენებებში განმარტავდნენ, რომ ბაძგარაძე დაზარალებულის მითითების საფუძველზე დააკავეს. არიან სხვა მონემებიც, რომლებიც ზურაბიშვილზე მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს ადასტურებენ და არა ამ თავდასხმაში დავით ბაძგარაძის მონაწილეობას.

პროკურორმა ნინო ციხისელმა ისე შეადგინა საბრალდებო დასკვნა, რომ არ დაინტერესებულა საქმის არსებითი გარემოებებით. არ მოუძიებია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, არ გაუთვალისწინებია მონემთა ჩვენებები. ნივთმტკიცებად კი მარტოოდენ ამოცნობისა და ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლების ჩვენებები გამოიყენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი მტკიცებულებები, დაზარალებულისა და პოლიციელთა ჩვენებები, ასევე, მონემების ჩვენებები არ იყო დადასტურებული და ისინი არ შეიძლება, ყოფილიყო ბრალის შერაცხვის საფუძველი. შედეგად, 2006 წლის 20 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაძგარაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. პროკურორი ნინო ციხისელი არ დააკმაყოფილა სასამართლოს გადანყვეტილებამ და სააპელაციოო წესით გაასაჩივრა იგი.

2007 წლის 30 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დავით ბაძგარაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა, რომელიც უზენაეს სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

ვინაიდან პროკურორ ციხისელის ქმედებებში იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადგიშვილს ციხისელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმის მოთხოვნით.

2007 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა მიიღო გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის გიორგი ლაცაბიძის წერილი, რომელშიც მითითებულია: „სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს დაცული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ამდენად, საფუძველს მოკლებულია მტკიცება იმის შესახებ, რომ დავით ბაძგარაძე იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში“. გ.ლაცაბიძის განმარტებით, „სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ფაქტი არ შეიძ-



ლება განხილულ იქნეს ბრალდების მხარის მიერ წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის დამადასტურებელ გარემოებად. შესაბამისად, არ არსებობს პროკურორ ნ. ციხისელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით „დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“;

იმავე კოდექსის მე-18 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, „პროკურორი, გამომძიებელი, და სასამართლო ვალდებულნი არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე ზღუდული პირი“;

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად“;

საქართველოს სსსკ-ის 395-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო, მოსამართლე ან პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, როგორც კი წარმოიშობა ამ კოდექსის 28-ე მუხლში მითითებული საფუძველი“.

დ.ბაძგარაძის უდანაშაულობის საკითხი უმოკლეს დროში უნდა გამოვლენილიყო და იგი უნდა გაეთავისუფლებინათ. შთაბეჭდილება რჩება, პროკურორს ხელთ ჰქონდა ბაძგარაძის უდანაშაულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, მაგრამ საკუთარი შეცდომის დაფარვის მიზნით დ.ბაძგარაძე 8 თვის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა.

ზურა შათირიშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს 2007 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა მოქ. ზურა შათირიშვილმა. განმცხადებლის განმარტებით, მისი ვალი ჰქონდა მის ნათესავს ზურა რუსაძეს, რომელიც აღნიშნულ თანხას არ უბრუნებდა. ზ.შათირიშვილის შვილი გ.შათირიშვილი გასამართლებულ იქნა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ზ.რუსაძის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის და ცნობილი იქნა დამნაშავედ სასამართლოს მიერ. განმცხადებელი განმარტავს, რომ ზ.რუსაძემ გ.შათირიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე წინასწარ გამოძიებას მისცა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, რაზეც სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირება არ მოუხდენიათ.

წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, 2005 წლის 18 აგვისტოს დაზარალებულის სახით დაკითხვისას ზ.რუსაძემ მიუთითა, რომ 2005 წლის 16 აგვისტოს დაახლოებით

20:00 საათზე თავისი საცხოვრებელი სახლის კიბეებზე დახვდა გ.შათირიშვილი, სთხოვა ეზოში ჩასვლა და მანქანაში ჩაჯდომა ვალზე სასაუბროდ. ზემოაღნიშნული პირები ჩავიდნენ ეზოში და ჩასხდნენ იქ მდგომ შავი ფერის BMW-ს მარკის ავტომანქანაში. ზ.რუსაძე ჩაჯდა უკანა სავარძელში, გ.შათირიშვილი კი მძღოლის გვერდზე. გ.შათირიშვილმა დაიწყო საუბარი, თუ რატომ ვერ გადაუხადა მის ოჯახს ვალი ზ.რუსაძემ. ამ დროს მძღოლმა, რომლის ვინაობაც ზ.რუსაძისთვის უცნობი იყო, დაქოქა ავტომანქანა. ზ.რუსაძე შეეცადა ავტომანქანიდან გადახტომას, თუმცა ვერ შეძლო, რადგან კარები დაკეტილი იყო ავტომატურ რეჟიმზე, ამასთან გ.შათირიშვილი მას ხელით იჭერდა და სახეში ურტყამდა მუშტს. ზ.რუსაძე გ.შათირიშვილმა და უცნობმა პირმა მიიყვანეს გ.შათირიშვილის საცხოვრებელ ბინაში დოლიძის ქუჩაზე, სადაც იგი გ.შათირიშვილმა და მისმა თანმხლებმა უცნობმა პირმა ძალის გამოყენებით გამოიყვანეს ავტომანქანიდან და ასევე ძალის გამოყენებით აიყვანეს გ.შათირიშვილის საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე. აღნიშნულ ბინაში შესვლის შემდეგ გ.შათირიშვილმა გასაღებით დაკეტა კარები. გ.შათირიშვილის თანმხლებმა პირმა ამოიღო შავი ფერის პისტოლეტი და ასევე შავი ფერის რკინის გასაშლელი ხელკეტი, რომელიც გადასცა გ.შათირიშვილს, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღით კი აიძულა ზ.რუსაძე ჩამჯდარიყო სავარძელში. გ.შათირიშვილი მას სცემდა ზემოაღნიშნული ხელკეტით, ხოლო მეორე პიროვნება ფეხებს ურტყამდა.

2005 წლის 01 ოქტომბერს დაზარალებული ზ.რუსაძე დამატებით დაიკითხა, რა დროსაც მიუთითა, რომ 2005 წლის 16 აგვისტოს დაახლოებით 21:00 საათზე მისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან მას შეხვდა გ.შათირიშვილი და სთხოვა, რომ გაჰყოლოდა მას საცხოვრებელ სახლში, რაზეც ზ.რუსაძე დაეთანხმა. ისინი ჩავიდნენ ეზოში და ჩასხდნენ იქვე მდგომ BMW-ს მარკის ავტომანქანაში. გ.შათირიშვილმა მძღოლს უთხრა თავისი მისამართი. ავტომანქანაში მათ არ უსაუბრიათ. ასევე, არ ყოფილა ავტომანქანაში გ.შათირიშვილის მხრიდან მის მიმართ რაიმე ძალადობა. გ.შათირიშვილის საცხოვრებელ სახლთან ისინი გადმოვიდნენ ავტომანქანიდან, ხოლო მძღოლი წავიდა. გ.შათირიშვილი და ზ.რუსაძე შევიდნენ სადარბაზოში. გ.შათირიშვილმა გააღო კარები და შევიდნენ სახლში, სადაც დასხდნენ და დაიწყეს საუბარი ვალზე. გ.შათირიშვილმა მას გაბრაზებული ტონით უთხრა, რომ თუ 2005 წლის 18 აგვისტომდე არ მიუტანდა ვალს, მოკლავდა, ასევე დახოცავდა მისი ოჯახის წევრებს. ამის შემდეგ გ.შათირიშვილმა ამოიღო რკინის გასაშლელი ხელკეტი და დაუწყო ცემა. აღნიშნულს შეესწრო გ.შათირიშვილის მამა ზ.შათირიშვილი, რომელიც სთხოვდა შვილს, შეეწყვიტა რუსაძის ცემა. **2005 წლის 01 ოქტომბერს წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ზ.რუსაძემ უარყო ავტომანქანა BMW-ს მძღოლის მიერ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, ასევე უარყო აღნიშნული პირისა და გ.შათირიშვილის მიერ მისი გ.შათირიშვილის ბინაში ძალის გამოყენებით შეყვანის ფაქტი და ავტომანქანაში მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.** ჩვენების შეცვლის მიზეზად კი დაასახელა, რომ ცემის შედეგად იყო მძიმე მდგომარეობაში და არ ახსოვს, თუ რა ჩანერა დაკითხვაში.

დაზარალებულის სახით ზ.რუსაძე ისევ დაიკითხა 2005 წლის 13 ოქტომბერს და 2005 წლის 03 ნოემბერს, რა დროსაც მან დაადასტურა წინასწარი გამოძიებისათვის 2005 წლის 18 აგვისტოს მიცემული ჩვენება, ხოლო 2005 წლის 01 ოქტომბრის ჩვენება უარყო. 2005 წლის 01 ოქტომბერს განსხვავებული ჩვენების მიცემის მიზეზად მან დაასახელა გ.შათირიშვილის ოჯახის წევრების მხრიდან თხოვნა, შეეცვალა ჩვენება, რათა გ.შათირიშვილი გაესამართლებინათ და დაესაჯათ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

სასამართლო გამოძიების დროს დაკითხვისას ზ.რუსაძემ დაადასტურა ზემოაღნიშნული ჩვენება.

ზ.რუსაძის ზემოაღნიშნულ ქმედებაში იკვეთებოდა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. გამოძიებელი და პროკურორი ვალდებულები იყვნენ, დაეწყოთ წინასწარი გამოძიება ზ.რუსაძის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ფაქტზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის 03 აგვისტოს სათანადო მასალები შემდგომი რეაგირებისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურორს გაუგზავნა.



საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სათანადო რეაგირების შესახებ საქართველოს პროკურატურამ არ გაიზიარა.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ დაზარალებულმა ზ.რუსაძემ წინასწარი გამოძიების პროცესში საკუთარი ნებითა და ინიციატივით განაცხადა 2005 წლის 1 ოქტომბერს მიცემული არასწორი ჩვენების შესახებ. შემდგომში, ზ.რუსაძემ, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, ისე სააპელაციო სასამართლოში, სასამართლო სხდომებზე დაკითხვისას კვლავ დაადასტურა 2005 წლის 18 აგვისტოს, 13 ოქტომბერსა და 3 ნოემბერს მიცემული ჩვენებები.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის 21 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას მიმართა იმ პროკურორის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დასმის მოთხოვნით, ვინც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით არ დაინყო წინასწარი გამოძიება ზ.რუსაძის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლით.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2007 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას პროკურორის ქმედებაში არ არსებობს დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველი.

აღნიშნულ საქმეში იკვეთება პროკურატურის ტენდენციური მიდგომა. ჩვენების შეცვლის შემთხვევაში პროკურატურა როგორც წესი იწყებს გამოძიებას, ხოლო მაშინ როცა ზ.რუსაძემ ჩვენება შეცვალა პროკურატურის სასარგებლოდ, წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა.

„სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის დარღვევა

1. 2007 წლის 17 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, ქ.ბათუმის რაიონულ პროკურორს – ავთანდილ კილაძეს მიმართა შეწყვეტილი სისხლის სამართლის №17304801 საქმის ასლის მოთხოვნით.

2007 წლის 15 ოქტომბერს ქ.ბათუმის რაიონული პროკურატურიდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი სისხლის სამართლის №17304801 საქმის ასლების გადმოგზავნის საკითხი რეგულირდება ცენტრალიზებული წესით და საქმის მასალების მისაღებად სახალხო დამცველს საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის უნდა მიემართა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედებით ქ.ბათუმის რაიონულმა პროკურორმა ავთანდილ კილაძემ დაარღვია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 23-ე მუხლის მესამე პუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 და მე-16 მუხლები.

ზემოაღნიშნული ქმედება, იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. სახალხო დამცველმა მოხსენებითი ბარათი წერილის ასლთან ერთად შემდგომი რეაგირებისათვის ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოს გაუგზავნა.

2007 წლის 7 ნოემბერს ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ავთანდილ კილაძის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ად-

მინისტრაციულ სამართალდაცვევითა კოდექსის 173⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო შეწყდა.

კერძოდ, ა.კილაძის განმარტებით, მას არ ჩაუდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რადგან 2007 წლის 11 სექტემბრიდან 2007 წლის 29 სექტემბრამდე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში და ბათუმის რაიონული პროკურორის უფლებამოსილებას ახორციელებდა მისი მოადგილე ს.გოგილაშვილი.

მონმის სახით დაკითხული ს.გოგილაშვილის განმარტებით, მან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსისათვის სისხლის სამართლის №17304801 საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უარი განაცხადა მხოლოდ იმ მოტივით, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ წერილს თან არ ახლდა სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნება, რომლის წარდგენის აუცილებლობასაც იმპერატიულად ითვალისწინებს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ზემოაღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, 2007 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით, უცვლელი დატოვა.

სახალხო დამცველს ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ მიაჩნია.

სახალხო დამცველის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლომ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, სასამართლოს არაერთგზის აქვს ნამსჯელი ზ./აღნიშნული არგუმენტის საფუძვლიანობაზე და მიღებული აქვს გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ კონკრეტულ დანესებულებაში „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაგზავნილ წერილზე სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების არდართვა არ წარმოადგენს ინფორმაციის გაუცემლობისათვის კონკრეტულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის და მათზე ადმინისტრაციული სახდელის არდაკისრების საფუძველს.

2007 წლის 26 სექტემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის №2 დანესებულების დირექტორის ლაშა ბრეგვაძისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე. აღნიშნული საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის პროცესში ლ.ბრეგვაძის წარმომადგენლმა ზ.კორძაიამ მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა საქმის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ სახალხო დამცველის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ გიორგაძეს არ გააჩნდა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნება. სასამართლომ იმსჯელა რა აღნიშნულ არგუმენტზე დაადგინა, რომ „არ შეიძლება საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდეს ქ.რუსთავის საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის №2 დანესებულების დირექტორ ლაშა ბრეგვაძის წარმომადგენლის ზვიად კორძაიას განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ გიორგაძეს არ გააჩნდა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური რწმუნება“.

თუკი ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ნების-



მიერმა თანამდებობის პირმა, რომელთანაც სახალხო დამცველის აპარატიდან „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 ან მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში გაიგზავნება წერილი, მასზე პასუხს თან უნდა დაურთოს კონკრეტულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის ბრძანება, რათა არ გაჩნდეს ეჭვი, რომ წერილზე არაუფლებამოსილი პირი აწერს ხელს.

2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილებოდა ადვოკატების ირმა ჭკადუასა და მალხაზ ჯანგირაშვილის განცხადება. გამცხადებლების განმარტებით, ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №74068145 (ვაზაგაშვილის) საქმეზე, რომელზეც 2007 წლის 20 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2007 წლის 11 ივლისს სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის პროკურორს სისხლის სამართლის №74068145 საქმის ასლის მოწოდების თხოვნით.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებულ 2007 წლის 16 აგვისტოს წერილში მითითებულია, რომ სისხლის სამართლის საქმის გაცნობა და ასლების გადაღება სახალხო დამცველის წარმომადგენლებს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეუძლიათ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 19-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების განევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს“. ამდენად, თუკი სისხლის სამართლის №74068145 საქმის ასლების დამზადების ხარჯები აღემატება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-19 მუხლში განსაზღვრულ თანხას, სახალხო დამცველი მზად არის, გაილოს ასლების გადაღებისათვის საჭირო ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს არჩილ გიორგაძეს, მოეწოდებინა სისხლის სამართლის №74068145 საქმის ასლი.

2007 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული წერილით ირკვევა, რომ გენერალური პროკურატურა აღიარებს სახალხო დამცველის საქართველოს „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებას, მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან შემონმებისთვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, მაგრამ ამის მიუხედავად, უარს აცხადებს საქმის მასალების გამოგზავნაზე და მიუთითებს, რომ სახალხო დამცველის თანამშრომლებს საქმის მასალების ასლების გადაღება და მათი მიღება ადგილზე შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულ ქმედებას აქვს ტენდენციური ხასიათი. ამგვარი დამოკიდებულება და მსგავსი ტიპის ურთიერთობები სახელმწიფო უწყებებს შორის მეტად არასერიოზულია.

დანართი 7. შინაგან საქმეთა
სამინისტრო და ადამიანის უფლებები

2007 წლის 19 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულმა ალექსი ბახუტოვმა. განმცხადებლის ინფორმაციით, ლაშა ჩოფიკაშვილი, ვისი განზრახ მკვლელობისთვის ა.ბახუტოვს 2007 წლის 24 აგვისტოს თელავის რაიონულმა სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ცოცხალია და სოფელ ჯულაანში, მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში იმყოფება. სასტიკი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად ა.ბახუტოვმა და მისმა გერმა ი.ციციშვილმა აღიარეს დანაშაული, რომელიც ა.ბახუტოვს არ ჩაუდენია და რომლისთვისაც ა.ბახუტოვი სასჯელს სად-ის №5 საპყრობილეში იხდიდა.

ცოცხალი გარდაცვლილის – ლაშა ჩოფიკაშვილის განმარტებით, 2007 წლის 15 ივნისს იგი იმყოფებოდა ნათან ზათიაშვილის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც ალექსი ბახუტოვთან მცირე შელაპარაკება მოუვიდა. სახლში დაბრუნებულ ლ. ჩოფიკაშვილს ალექსი ბახუტოვმა დაუძახა და სიგარეტი სთხოვა. ჩოფიკაშვილმა მას სიგარეტი გაუტანა მდინარე სტორის ნაპირთან და სახლისკენ მობრუნდა, სწორედ ამ დროს გონება დაკარგა. გონზე მოსული იყო სველი და მდინარის ნაპირთან იწვა. შემდეგ ის სახლში შებრუნდა. გამთენიისას 04:00 საათზე ლ. ჩოფიკაშვილი ნავიდა სამუშაოდ ე.წ. ნანიდნარის ტერიტორიაზე, სადაც ვინმე იზნაურთან მსახურობდა მწყემსად. 20 სექტემბერს ლაშა ჩოფიკაშვილი ჩავიდა თელავში,

სადაც შეხვდა ნაცნობი, ვინმე არაბული და მისგან შეიტყო, რომ სოფელში გარდაცვლილი ეგონათ და დაუსაფლავებიათ კიდეც! სოფელში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში მასთან მივიდა თელავის რაიონული პოლიციის სამი თანამშრომელი, რომლებმაც ის იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში და თელავის პროკურატურაში წაიყვანეს. სამართალდამცავები 15 ივნისს ლ. ჩოფიკაშვილსა და ა.ბახუტოვს შორის მომხდარი შელაპარაკებით დაინტერესდნენ. მეორე დღეს, ლაშა ჩოფიკაშვილთან კვლავ მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები და თელავის საავადმყოფოში წაიყვანეს, ვენიდან სისხლი აუღეს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად გაასინჯეს ექიმს, რომლისგანაც ჩოფიკაშვილმა შეიტყო, რომ კისრის ძვალი ჰქონდა დაზიანებული.

ალექსი (გოჩა) ბახუტოვის განმარტებით, 2007 წლის 27 ივნისს სოფ. ფშაველში, ნათან



ზათიაშვილის ფერმაში, ის დააკავეს ქ.თელავის რაიონის სოფ.ნაფარეულის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც იარაღის მუქართა და ცემით აიძულებდნენ ეთქვა, სად ჩამარხა ლ.ჩოფიკაშვილის გვამი. ნაფარეულის პოლიციის თანამშრომელი გოჩა, მეტსახელად „თავა“, მას სიკვდილითაც ემუქრებოდა. ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს ა. ბახუტოვის გერი ირაკლი ციციშვილიც, რომელსაც ასევე ცემით აიძულებდნენ, დაესახელებინა ლაშა ჩოფიკაშვილის ადგილსამყოფელი. დაახლოებით ღამის 11:00 საათზე ალექსი ბახუტოვს დაუკავშირდა მისი გერი და ფერმაში შეხვედრა სთხოვა. ადგილზე მას რამდენიმე პოლიციელი დახვდა, ხელბორკილები დაადეს და ცემა დაუწყეს. იქვე იმყოფებოდა ა.ბახუტოვის მეუღლე ინდირა იზორია, რომლის მიმართულებითაც პოლიციელმა გოჩამ რამდენჯერმე გაისროლა. შემდეგ ა.ბახუტოვი და მისი გერი გადაიყვანეს ნაფარეულის პოლიციაში, სადაც გაგრძელდა მათი ფიზიკური შეურაცხყოფა. გაუსაძლისი წამების ფონზე ირაკლი ციციშვილმა აღიარა, რომ მისმა მამინაცვალმა მოკლა ლ.ჩოფიკაშვილი, ხოლო გვამის დამალვაში თავად დაეხმარა. ასევე ცემისა და წამების შედეგად ალექსი ბახუტოვმა აღიარა მკვლელობა.

სოფ.ნაფარეულის განყოფილების პოლიციელმა გოჩამ, იგივე „თავამ“ და ნუგზარ ზათიაშვილმა არა-ადამიანური მოპყრობით აიძულეს ალექსი ბახუტოვი, ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის თანამონაწილეებად დაესახელებინა მისი ნაცნობი ახალგაზრდები ასლან გაუარაშვილი, ალექსი ცოციშვილის და ვეფხო ხაჩოშვილი. „დანაშაულის“ აღიარების შემდეგ, მეორე დღით ის წაიყვანეს შემთხვევის ადგილზე, სადაც ბახუტოვმა აჩვენა მკვლელობის ადგილი. ეს ფაქტი თელავის პოლიციის თანამშრომლებმა ვიდეოკამერით დააფიქსირეს. მას შემდეგ, რაც ლაშა ჩოფიკაშვილის გვამი ვერ იპოვეს, სამართალდამცავებმა კვლავ გააგრძელეს ალექსი ბახუტოვისა და ირაკლი ციციშვილის ცემა, რათა მათ ზუსტად დაესახელებინათ ის ადგილი, სადაც გვამი გადამალეს. ბახუტოვი ველარ უძლებდა ფიზიკურ ზენოლას და პოლიციელებს სხვადასხვა ადგილს უჩვენებდა. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა მას ფეხი ჩაარტყა მუცლის არეში, იარაღი მიადო სახეზე და დაემუქრა, ხოლო ნუგზარ ზათიაშვილი ჯოხს ურტყამდა კისერში. საბოლოოდ სამართალდამცავებმა „დაასკვნეს“, რომ გვამი მდინარე სტორში გადააგდეს (რომელიც მსჯავრდებულის განმარტებით არ არის ღრმა და იქ შეუძლებელია რაიმეს გადამალვა).

2007 წლის ოქტომბრის თვის დასაწყისში ა.ბახუტოვმა გამოძიებლისა და ადვოკატისგან შეიტყო, რომ, გარდაცვლილი ლ.ჩოფიკაშვილი ცოცხალია და ამ ხნის განმავლობაში მთაში საძოვრებზე იმყოფებოდა. გამოძიებელმა ზ.ნიკლაურმა მას ასევე აცნობა, რომ, ჩოფიკაშვილმა მისცა ჩვენება მის წინააღმდეგ და თქვა, რომ ბახუტოვმა კეტი ჩამარტყაო, რის შემდეგაც იგი თითქოს გადავარდა წყალში, ხოლო გონზე მოსული სოფელს გაერიდა. მსჯავრდებულის მტკიცებით, გამოძიებელი დაპირდა, რომ მის მიერ ჩოფიკაშვილის არ ჩადენილი მკვლელობა გადაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მუხლზე.

ა.ბახუტოვის გერის, ირაკლი ციციშვილის განმარტებით, 2007 წლის 13 ივნისს ლ.ჩოფიკაშვილთან და მამინაცვალთან ერთად იმყოფებოდა სუფრაზე ნათან ზათიაშვილის მეცხოველეობის ფერმაში. ამ ორ პირს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება და ბახუტოვმა ჩოფიკაშვილს ხელი გაარტყა. ირაკლი ციციშვილმა ისინი გააშველა. შემდეგ ღვინის სმა მინდორში გააგრძელეს. მოგვიანებით, ლ.ჩოფიკაშვილი დაბრუნდა ფერმაში, ა.ბახუტოვი კი დარჩა მინდორში, რადგან ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში იყო. ი.ციციშვილი აცხადებს, რომ მეორე დღეს, დაახლოებით 14 საათისათვის მან ნახა ლ.ჩოფიკაშვილი და შესთავაზა მდინარეზე საბანაოდ ჩასვლა, რაზეც ამ უკანასკნელისგან მიიღო უარი და მას შემდეგ, სექტემბრის თვემდე ის აღარ უნახავს. 2007 წლის 18 ივნისს ი.ციციშვილთან მივიდა ნაფარეულის პოლიციის თანამშრომელი „თავა“ ორ პოლიციელთან ერთად და ი.ციციშვილსა და ა.ბახუტოვს ნაფარეულის პოლიციაში დაკითხვაზე წაყოლა მოსთხოვეს. პოლიციის განყოფილებაში მისვლისთანავე ი.ციციშვილი შეიყვანეს პოლიციის უფროსის ოთახში, სადაც სამართალდამცავებმა დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა შელაპარაკება მოხდა ა.ბახუტოვსა და ლ.ჩოფიკაშვილს შორის. ყველაზე მეტად აქტიურობდა ნაფარეულის განყოფილების პოლიციის თანამშრომელი გოჩა ნოღაშვილი, რომელიც სხვა სამართალდამცავებთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში უმოწყალოდ სცემდა ი.ციციშვილს და აიძულებდა ელიარებინა, თუ როგორ შემოაკვდა მის მამინაცვალს ლ.ჩოფიკაშვილი. ასევე აიძულებდნენ დაესმინა ნებისმიერი პიროვნება, ვინც რაიმე უკანონო ქმედებებს

ჩადიოდა სოფელში და სანაცვლოდ მას და მის მამინაცვალს გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. 2 საათის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

2007 წლის 27 ივნისს გ.ნოლაშვილმა ორ პოლიციელთან ერთად კვლავ მიაკითხა ირაკლი ციციშვილს ზათიაშვილის კუთვნილ ფერმაში. სამართალდამცავებმა ბახუტოვი ავტომანქანით წაიყვანეს, ერთ საათში უკან დააბრუნეს და მანქანიდან გადმოაგდეს. ხოლო ი.ციციშვილს განუცხადეს, რომ სოფელ კისისხევში, ალექსი ბახუტოვის ძმისშვილს გადამალული ჰყავდა ლაშა ჩოფიკაშვილი და მათთან ერთად წასვლა მოთხოვეს. ირაკლი ციციშვილი შეეცადა განემარტა პოლიციელებისათვის, რომ ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ მას სახეში მუშტი ჩაარტყეს და ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. განყოფილების უფროსის თანდასწრებით ი.ციციშვილი რეზინის ხელკეტებით სცემეს. ამგვარი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგ, იგი ჩაიყვანეს სოფელ კისისხევში, სადაც ნახეს მისი მამინაცვლის ძმისშვილი ზაურ ბახუტოვი, რომელმაც, რა თქმა უნდა, უარყო ლ.ჩოფიკაშვილის იქ ყოფნა და შემდეგ უკან დაბრუნდნენ ნაფარეულის პოლიციაში, სადაც უკვე მიყვანილი ჰყავდათ ალექსი ბახუტოვიც, რომელსაც გოჩა ნოლაშვილი სასტიკად სცემდა და აიძულებდა ელიარებინა ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის ადგილსამყოფელი. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, გოჩა ნოლაშვილმა ხელკეტით გააგრძელა ციციშვილის ცემა, რა დროსაც მისმა მამინაცვალმა სთხოვა იქ მყოფ პოლიციელებს, რომ შეენწყვიტათ მისი გერის ცემა და ყველაფერს დაიბრალებდა, რასაც ეტყოდნენ. 2007 წლის 27 ივნისს ირაკლი ციციშვილმა მოწმის სახით დაკითხვის დროს აჩვენა – „წავიღეთ ლ.ჩოფიკაშვილის ცხედარი და დავმარხეთ 1-1,5 მეტრზე საგუბურებიდან დაახლოებით 700-800 მეტრზე, რა ადგილის ჩვენებაც მე შემიძლია“.

იმ დღეს ორივე დაკავებული ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში დატოვეს, ხოლო მეორე დღეს წაიყვანეს სოფელ ფშაველაში მდებარე ე.წ. „ნანისქვილარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის ადგილსამყოფელის დასადგენად. რადგან გვამი ვერ აღმოაჩინეს, პოლიციელებმა გააგრძელეს მათი ცემა. შემდეგ ისინი თელავში, პოლიციის სამხარეო სამმართველოში გადაიყვანეს. სამმართველოს შენობაში მათ დახვდნენ სოფელ ჯულაანში მცხოვრები ასლან გაუარაშვილი და ვეფხო ხაჩოშვილი, რომლებიც ასევე ჩოფიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ჰყავდათ მიყვანილი. 28 ივნისს საღამოს ირაკლი ციციშვილი გაათავისუფლეს, ხოლო ალექსი ბახუტოვი, ასლან გაუარაშვილი, ვეფხო ხაჩოშვილი და იქ მყოფი ალექსი ცოციაშვილი სამმართველოში დატოვეს. იმ დღეს, როდესაც მის მამინაცვალს წინასწარ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, ირაკლი ციციშვილს დაურეკა გოჩა ნოლაშვილმა და გააფრთხილა, არაფერი ეთქვა მათზე განხორციელებულ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე, ასევე დასძინა, რომ იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, სექტემბრის თვეში მასთან მივიდა გოჩა ნოლაშვილი უცხო პოლიციელთან ერთად, რომლებმაც იგი აიძულეს გაჰყოლოდა სოფ. რუისპირში მდებარე ვინმე დურუს ფერმაში სამუშაოდ, სადაც მას ანაზღაურების გარეშე უნდა ემსახურა. ირაკლი ციციშვილი რამდენიმე დღე იძულებით მუშაობდა რუისპირში, საიდანაც სამი დღის შემდეგ გამოიპარა და ძველ სამუშაო ადგილას დაბრუნდა. შესაბამისად, ირაკლი ციციშვილი სამი დღის განმავლობაში გახდა იძულებითი შრომის მსხვერპლი, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 143¹ (ტრეფიკინგი) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

დაახლოებით ოქტომბრის თვის დასაწყისში ირაკლი ციციშვილი პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს ქ.თელავის რაიონულ პროკურატურაში, სადაც მას ლაშა ჩოფიკაშვილი დახვდა, რომელსაც ეკითხებოდნენ, თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის განმავლობაში და რა მოხდა 15 ივნისს. ჩოფიკაშვილის სამართალდამცავებს არწმუნებდა, რომ მისთვის ხელი არავის უხლია და თავის ნებით იყო ცხვარში წასული. მეორე დღეს, ლაშა ჩოფიკაშვილი და ირაკლი ციციშვილი კიდევ ერთხელ დაიბარეს პროკურატურაში. ლ.ჩოფიკაშვილმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ალექსი ბახუტოვმა მას ჯოხი ჩაარტყა თავში და დააგდო. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, შემდეგ მას შეხვდა გოჩა ნოლაშვილი, რომელმაც მობილური ტელეფონი ჩაარტყა თავში და სასტიკად გააფრთხილა, არაფერი ეთქვა მათ სანინალმდევოდ, განმაურების შემთხვევაში კი სიკვდილით დაემუქრა. ირაკლი ციციშვილი აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ცემისა და წამების შედეგად აწუხებს მარჯვენა თვალზე სიმძიმის შეგრძობა. ის ვერ მიმართავს ექიმს, რადგანაც არ აქვს საშუალება და, ამასთანავე, პოლიციელებმა სოფლის დატოვება აუკრძალეს.



ა.ბახუტოვის მეუღლიე, ინდირა იზორია ადასტურებს მეუღლისა და შვილის ახსნა-განმარტებებს და აცხადებს, რომ აღნიშნული შემთხვევის შესახებ ანალოგიური ჩვენება მისცა გამომძიებელსაც, რომელმაც მას ცარიელ ფურცელზე მოაწერინა ხელი.

ალექსი ცოციაშვილის განმარტებით, 2007 წლის 27 ივნისს თელავის შს სამმართველოში მას ჩამოართვეს ჩვენება ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით. მან გამომძიებელს აუხსნა, რომ 11 ივნისიდან 18 ივნისამდე იმყოფებოდა ყვარელში მამამისის მეგობარ ავთო დათულაშვილთან ერთად, აქედან გამომდინარე მას არაფერი აქვს საერთო ხსენებულ „მკვლელობასთან“. მიუხედავად ამისა, იქ მყოფმა სამართალდამცავებმა განუმარტეს, რომ მის მიერ მიცემულ ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ალექსი ბახუტოვმა და ირაკლი ციციშვილმა ის ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის მონაწილედ დაასახელეს. ამ საგამოძიებო მოქმედების შემდეგ ალექსი ცოციაშვილი დააკავეს და გადაიყვანეს ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეხვდა ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ალექსი ბახუტოვს, რომელსაც ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები და მასთან საუბარში აღიარებდა, რომ ძლიერი ცემის შედეგად, პოლიციის მოთხოვნით, ცრუდ დაასახელა ალექსი ცოციაშვილი, ასლან გაუარაშვილი და ვეფხვია ხაჩოშვილი.

ბრალდებულების ასლან გაუარაშვილისა და ვეფხვია ხაჩოშვილის განმარტებებიდან ასევე იკვეთება, რომ 2007 წლის 27 ივნისს ისინი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და ბრალი დასდეს ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის დამალვაში. მათ ასევე აჩვენეს ბრალდებულ ალექსი ბახუტოვის ჩვენების რამდენიმე ვიდეორჩანაწერი, სადაც ის განსხვავებულ ჩვენებებს იძლეოდა ჩოფიკაშვილის მკვლელობასა და მისი გვამის გადამალვის თაობაზე. იმავე საღამოს, თელავის შს სამხარეო სამმართველოს პირველ სართულზე ასლან გაუარაშვილი შეხვდა ალექსი ბახუტოვს, რომელიც იყო ძლიერ ნაცემი და დაზიანებები აშკარად ეტყობოდა. აქვე იმყოფებოდა ინდირა იზორია, რომლისგანაც ალექსი ცოციაშვილმა, ასლან გაუარაშვილმა და ვეფხვია ხაჩოშვილმა შეიტყვეს ალექსი ბახუტოვისა და ირაკლი ციციშვილის მიერ მათი ცრუდ დასმენის მიზეზი. ასლან გაუარაშვილსა და ვეფხვია ხაჩოშვილს ასევე შეეფარდათ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა და ისინი გადაყვანილი იქნენ სად-ის №5 საპყრობილეში. ვეფხვია ხაჩოშვილის მტკიცებით, მასთან საპყრობილეში მისული ადვოკატი ლეილა გარსევანიშვილს თხოვდა ელიარებინა პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლო არჩადენილი დანაშაულისათვის გაასამართლებდა.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ალექსი ბახუტოვის განცხადება, მისი წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ და ესაუბრნენ როგორც ბრალდებულს, ასევე დანაშაულის მსხვერპლს – გარდაცვლილად გამოცხადებულ ლაშა ჩოფიკაშვილს, რომელიც ცოცხალია და ჯანმრთელი. რაც ცხადია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ა.ბახუტოვი სასჯელს იხდიდა იმ დანაშაულის გამო, რომელიც რეალურად არ ჩაუდენია.

საქმის გარემოებების მიხედვით 2007 წლის 15 ივნისს ალექსი ბახუტოვი მისი გერი, ირაკლი ციციშვილი და ლაშა ჩოფიკაშვილი იმყოფებოდნენ ნათან ზათიაშვილის ფერმაში, სადაც ბახუტოვსა და ჩოფიკაშვილს შორის მოხდა მოხდა მცირე სიტყვიერი შეკამათება, რომელიც მალევე აღმოიფხვრა. მხარეები დასცილდნენ ერთმანეთს.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2007 წლის 21 ნოემბერს, თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ასლან გაუარაშვილის, ალექსი ცოციაშვილის და ვეფხვია ხაჩოშვილის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ ცოცხალი ლ.ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვაში ალექსი ბახუტოვისათვის დახმარების განწევა. ამ დროს, როგორც პროკურატურისთვის, ასევე სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ „მკვდარი“ ჩოფიკაშვილის სოფელში გამოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესზე ბრალდებულ ასლან გაუარაშვილს, ალექსი ცოციაშვილს და ვეფხვია ხაჩოშვილს სთხოვდნენ, ელიარებინათ ცოცხალი ადამიანის „გვამის“ გადამალვა, სანაცვლოდ კი, თავისუფლებას პირდებოდნენ.

2007 წლის 22 ნოემბერს, კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის ზ.ჯავახიშვილსა და განსასჯელებს ვ.ხაჩოშვილს, ა.ციციშვილსა და ა.გაუარაშვილს შორის გაფორმდა საპროცესო შეთან-

ხმება ბრალზე და სასჯელზე შეთანხმების თაობაზე. იმავე დღეს პროკურორმა შუამდგომლობების დამტკიცების მოთხოვნით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც შუამდგომლობები დააკმაყოფილა და დაამტკიცა.

თუმცა, საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ შედგენილ ოქმებსა და შუამდგომლობების მიხედვით არ ვლინდება განსასჯელთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რისი ჩადენა აღიარეს განსასჯელებმა ვ.ხაჩოშვილმა, ა.ცოციაშვილმა და ა.გაუარაშვილმა. მაშინ როდესაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679 მე-2 პრიმა მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა უნდა შეიცავდეს, ბრალდების ფორმულირებას, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერას მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679 მესამე პრიმა მუხლის 2 ნაწილის ა) პუნქტის თანახმად:

- 2. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს რომ:
 - ა) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი;

პროცესის მსვლელობისას პროკურორმა განაცხადა, რომ ის პრაქტიკულად ორი თვის მანძილზე ეხვეწებოდა ასლან გაუარაშვილს, ალექსი ცოციაშვილს და ვეფხვია ხაჩოშვილს, ელიარებინათ წარდგენილი ბრალი და დაედოთ საპროცესო შეთანხმება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების გამოჩენამ პროცესის მონაწილეთა შორის დაბნეულობა გამოიწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ფორმლობების დაცვითა და ზოგადი კითხვებით წარმართა სხდომა, რაც უდანაშაულო პირების მსჯავრდებით დასრულდა. 2007 წლის 22 ნოემბერს თელავის რაიონული სასამართლოს გადანაცვლებით დაიდო საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც ბრალდებულები სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდნენ. განაჩენის მიხედვით: ასლან გაუარაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 375-ე მუხლით; ალექსი ცოციაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით და სსკ-ის 375-ე მუხლით და ვეფხო ხაჩოშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 375-ე მუხლით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას ბრალდებულებმა, განმარტეს, რომ მართალია დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ, მაგრამ არ აქვთ სამართლიანი სასამართლოს იმედი, ამიტომ იძულებულნი არიან არჩადენილი დანაშაული აღიარონ.

ასსნა-განმარტებებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ასევე დგინდება, რომ ალექსი ბახუტოვი და მისი გერი ირაკლი ციციშვილი ნაფარეულის პოლიციის განყოფილებისა და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებით, დაექვემდებარნენ წამებასა და წამების მუქარას, რათა მათ ელიარებინათ ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობის ფაქტი ან რაიმე სახის ინფორმაცია, ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით.

რადგან საბრალდებო დასკვნითა და სასამართლოს განაჩენით გარდაცვლილად მიჩნეული ლაშა ჩოფიკაშვილი ცოცხალი და უვნებელია, აქედან გამომდინარე უტყუარად იკვეთება, რომ მსჯავრდებულ ალექსი ბახუტოვისა და მისი გერის ირაკლი ციციშვილის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული იძულებითი ჩვენებები დანაშაულის დაბრალებისა და ამასთანავე ასლან გაუარაშვილის, ალექსი ცოციაშვილისა და ვეფხო ხაჩოშვილის დასახელება ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადაძალის მონაწილეებად, მიღებული იქნა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან წამებით იქნა მიღებული, რაც



ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება მივიჩნიოთ მსჯავრდებულ ბახუტოვისა და მისი გერის, ირაკლი ციციშვილის ცოცხლად გადარჩენის ერთადერთ შანსად.

ალექსი ბახუტოვის ფიზიკური დაზიანების ფაქტები დასტურდება სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის რაიონის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 27 ივნისს დაკავებული ალექსი ბახუტოვი დმი-ში შეყვანილი იქნა 23 საათსა და 30 წუთზე, მას აღენიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: მარცხენა თვალის ქუთუთო ჩაშავებული, ცხვირზე ნაკანრი და მარცხენა მხარზე ნაკანრი, ხოლო 2007 წლის 29 ივნისს სად ქ.თბილისის №5-ე საპყრობილეში შეყვანისას მას აღენიშნებოდა მუქი შინდისფერი სისხლჩაქცევა მარცხენა თვალბუდის არეში, მარცხება ბეჭისა და მარჯვენა თეძოს ფრთის მიდამოში და აღნიშნულია, რომ ა.ბახუტოვის გადმოცემით აღნიშნული დაზიანებები მიიღო პოლიციის განყოფილებაში.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს დაეწყო გამოძიება 144', 144², 333, და 143¹ და მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებისათვის.

2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გააუქმა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი. 2008 წლის 23 იანვარს ბრალდებულ ალექსი ბახუტოვსა და კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორს შორის გააფორმდა საპროცესო შეთანხმება. 24 იანვარს კი, აღნიშნული გარიგების დამტკიცების მოთხოვნით პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა შუამდგომლობით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც იმავე დღეს დაამტკიცა განსასჯელთან დადაებული საპროცესო შეთანხმება. განაჩენით მოსამართლემ დადგენილად სცნო, რომ 2007 წლის 15 ივნისს ურთიერთშელაპარაკებისას ალექსანდრე ბახუტოვმა თავში ჯოხი ჩაარტყა ლაშა ჩოფიკაშვილს, რომელიც დაეცა მიწაზე და დაკარგა გონება. ალექსანდრე ბახუტოვს ლაშა ჩოფიკაშვილი გარდაცვლილი ეგონა და თავისი გერის ირაკლი ციციშვილის დახმარებით, მისი სხეული გადაიტანა საგუბრებიდან 200 მეტრის მოშორებით, ხოლო მეორე დღეს სოფელ ჯულაანში მცხოვრები ვეფხო ხაჩოშვილის, ალექსი ცოციაშვილის და ასლან გაუარაშვილის დახმარებით ლაშა ჩოფიკაშვილის სხეული გადაიტანა ე.წ. „ნანისქვილარის“ ტერიტორიაზე, ჩააგდო მდინარე სტორში და წყალს გაატანა. ლაშა ჩოფიკაშვილი მიუხედავად მიღებული ტრამვისა წყალში მოვიდა გონზე და გადარჩა.

ალექსი ბახუტოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქ. სსკ-ის 19, 108-ე მუხლით და 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. იმავე კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად თ/ა განესაზღვრა 1 წელი, ხოლო დარჩენილი 4 წელი შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

მაღსაზ ჯოლოსხვას საქმე

2007 წლის 9 ნოემბერს მ.ჯოლოსხვას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. როგორც ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მაღსაზ ჯოლოსხვა 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 05:30 საათზე ფეხით მოძრაობდა თავისუფლების მოედნიდან კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით, რა დროსაც კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ორმა მამაკაცმა იგი იძულებით მოათავსა BMW მარკის ყავისფერ ა/მანქანაში. მ.ჯოლოსხვას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელიც ა/მანქანაში დახვდა, მ.ჯოლოსხვას დეზოდორანტის მსგავსი ბალონიდან სახეში შეასხა მისთვის გაურკვეველი ნივთიერება, რამაც თვალბუდის წვა და ცრემლდენა გამოიწვია. მისივე

განცხადებით, მარჯვენა ხელის შუა თითში ინტენსიურად ჩხვლეტდნენ ნემსის მაგვარ საგანს და პარალელურად აფრთხილებდნენ, აღარ მიელო მონანილეობა საპროტესტო აქციებში. ძლიერი ფიზიკური ტკივილების გამო, მ.ჯოლოხავამ დაკარგა გონება და არ ახსოვს როგორ აღმოჩნდა ლალიძის ქუჩის №6-ში მდებარე სახლთან, ასფალტზე დანოლილ მდგომარეობაში, სადაც მას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. მოგვიანებით, დაახლოებით 12 საათისათვის მ.ჯოლოხავა დაბრუნდა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე. დაიწყო მომიტინგეთა დარბევა და მ.ჯოლოხავა პოლიციის თანამშრომლებმა კვლავ რეზინის ხელ-კეტებით სცემეს. აქვე მან შენიშნა ის ორი პოლიციელი, რომლებმაც დილით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. მ.ჯოლოხავას განცხადებით ზემოაღნიშნულ პირთა ამოცნობა შეუძლია, რადგან ისინი არაერთხელ ჰყავს ნანახი კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დარბევის დროს მ.ჯოლოხავა გახდა შეუძლოდ, დაკარგა გონება და გადაყვანილი იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ნეიროქირურგიის ცენტრში“, სადაც გაეცნენ მ.ჯოლოხავას ავადმყოფობის №467 ისტორიას. როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან ირკვევა, მოქალაქე სამედიცინო ცენტრში შეიყვანეს 2007 წლის 7 ნოემბერს ქალა-ტვინის დახურული ტრამვისა და თავის ტვინის შერყევის დიაგნოზით, ასევე მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილის ქვეშ აღენიშნება სისხლჩაქცევები.

მ.ჯოლოხავას ახსნა-განმარტებიდან ჩანს, რომ მის მიმართ შესაძლოა ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144¹ (წამება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებს.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყოთ წინასწარი გამოძიება მ.ჯოლოხავას მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

მამუკა მდინარაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება მოქალაქე მამუკა მდინარაძის ცემის ფაქტი. 2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მამუკა მდინარაძეს. ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 14:30 საათისათვის მ.მდინარაძე გამოვიდა თავისი საცხოვრებელი ბინიდან, მივიდა ალექსანდროვის ბაღთან, რადგან აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა მიტინგზე.

პოლიციის მიერ მომიტინგეების დარბევის პროცესში მამუკა მდინარაძე გაიქცა, დაძაბული სიტუაციისაგან თავის არიდების მიზნით, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდა, ფეხი დაუდო და წააქცია. ნაქცეულ მ.მდინარაძეს ფიზიკურ შეურაცხყოფას ერთდროულად თხუთმეტამდე პოლიციელი აყენებდა. ისინი გამეტებით ურტყამდნენ ფეხებს მ.მდინარაძეს და ერმანეთს თხოვდნენ – „მეც დამარტყმევენით“. პოლიციელებმა შეწყვიტეს მოქალაქის ცემა, მას შემდეგ, რაც შემთხვევით გამვლელმა სამღველოების წარმომადგენელმა პირებმა თხოვეს ამის შესახებ. ვინაიდან ეს უკანასკნელი თავს გრძობდა შეუძლოდ, მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს დახმარებისათვის. როგორც გაირკვა, მ.მდინარაძეს ცემის შედეგად დაუზიანდა ფილტვი და ჩაუტარდა ოპერაცია, ჩაუდგეს დრენაჟი. კიდურებზე, ზურგისა და თავის არეში აღენიშნება მრავლობითი დაჟეჟილობები. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც მ.მდინარაძის ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მის მიმართ განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ (წამება) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები.



სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყოთ წინასწარი გამოძიება მ.მდინარაძის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ნინო სოსელიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ნინო სოსელიას ცემის ფაქტს. 2007 წლის 8 ნოემბერს მოქალაქე ნ.სოსელიას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულმა.

ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12:30 საათისათვის ის იმყოფებოდა პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. პოლიციამ დაიწყო მომიტინგეთა დარბევა წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით. ნ.სოსელია იდგა პარლამენტის გვერდით, პირველ საშუალო სკოლასთან, რა დროსაც მას სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ერთ-ერთმა ნიღბიანმა პირმა თავის არეში ჩაართვა ხელკეტი, სახეში გაანწა სილა და მთელი ძალით მიანარცხა პირველი საშუალო სკოლის კედელს. ნ.სოსელიას მწვავე ტკივილის მიუხედავად, გონება არ დაუკარგავს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ნ.სოსელია წავიდა სახლში. მოგვიანებით, მარცხენა თვალიდან დაეწყო ცრემლდენა და ძლიერი ტკივილები თავისა და ბეჭის არეში. 2007 წლის 8 ნოემბერს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს. ნ.სოსელიას მკურნალ ექიმთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას გატეხილი აქვს თავის ქალა (საფეთქლის ძვალი).

როგორც ნ.სოსელიას ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მის მიმართ განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 144¹ (წამება) და 161-ე (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყოთ წინასწარი გამოძიება ნ.სოსელიას მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ედუარდ კაკაბაძის საქმე

2006 წლის 11 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა განსასჯელის, ედუარდ კაკაბაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნანა ანდლულაძემ. მისი განმარტებით, 2005 წლის 26 დეკემბერს დაახლოებით 17:10 საათზე აჭარის ა/რ კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა გიგა არჩაიამა და ჯამბულ ზაქარიაძემ დააკავეს ე.კაკაბაძე, რომელიც შემდეგში გადაიყვანეს აჭარის ა/რ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში. მითითებულ დროს აჭარის ა/რ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობას იცავდა საქართველოს შსს სპეციალური ოპერაციების ცენტრის დაცვის სამმართველოს მე-6 განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება. როგორც განმცხადებელი მიუთითებდა- მისი დაცვის ქვეშ მყოფის ე.კაკაბაძის მიმართ დარღვეული იქნა ეჭვმიტანილის სახით დაკავების 48 საათიანი ვადა, რაც დასტურდებოდა ზემოაღნიშნული დაცვის სამსახურის ჟურნალში არსებული ჩანაწერებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატიდან ოფიციალური წერილები გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას, რომლებითაც სახალხო დამცველი ითხოვდა ინფორმაციას, წარმოებდა თუ არა შსს სპეციალური ოპერაციების ცენტრის დაცვის სამმართველოს მე-6 განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების მიერ 2005 წლის 26 დეკემბერს აჭარის ა/რ კონტი-

ტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში შემსვლელ-გამსვლელ პირთა აღრიცხვის ყურ-ნალი და ასეთის შემთხვევაში, დაფიქსირებული იყო თუ არა შენობაში ედუარდ კაკაბაძის ყოფნა. წერილებზე პასუხი სახალხო დამცველს არ მიუღია.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით 2007 წლის 5 მარტს სახალხო დამცველმა წერილი (და მისი არ მიღების შემდეგ 25 მარტს – შესხენება) საქართველოს შსს ადმინისტრაციის უფროსს შოთა ხიზანიშვილსაც გაუგზავნა.

2007 წლის 25 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან შ.ხიზანიშვილის სახელზე გაგზავნილ წერილში დანვრილებით იქნა განმარტებული „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების მოთხოვნები და ზემოაღნიშნულ წერილებთან დაკავშირებით მოთხოვნილ იქნა პასუხი, რომელიც სახალხო დამცველს დღემდე არ მიუღია.

ყოლანდარია მზიანას საქმე

2007 წლის 8 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მზიანა ყოლანდარია. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 აგვისტოს განაჩენით გაიხიზნა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. 2002 წლის მარტში გაიხიზნა ზეპირად გაურიგდა ზუგდიდის რაიონში მცხოვრებ მზიანა ყოლანდარიას, რომ იგი დროებით სარგებლობაში აიყვანდა მ.ყოლანდარიას კუთვნილ „ფოლკსვაგენი“-ს მარკის მიკროავტობუსს და მგზავრების ქირით გადაყვანის შემდეგ მიღებული მოგებიდან ყოველთვიურად მისცემდა მას 70 ლარს. გ.ხვიჩიამ შეთანხმებისამებრ ჩაიბარა აღნიშნული ავტომანქანა, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა ქ.თბილისში და განიზრახა მ.ყოლანდარიას კუთვნილი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. გ.ხვიჩიას დაკავების შემდეგ სადავო გახდა მესაკუთრისათვის ავტომანქანის რეალურად დაბრუნების საკითხი, რომელთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია.

2007 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებულ წერილში მითითებული იყო, რომ 2007 წლის 29 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრები მზიანა ყოლანდარიას კუთვნილი „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანის თვითნებურად მითვისების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა, ვინაიდან დანაშაული ჩადენილი იყო ქ.თბილისში, სისხლის სამართლის საქმე ტერიტორიული ქვემდებარეობით, გადაიგზავნა ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოში.

2007 წლის 10 ოქტომბერს სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის მთავარი სამმართველოს უფროსს კობა ნარსიას მიმართა და მოითხოვა ინფორმაცია, გაგზავნილი იყო თუ არა სისხლის სამართლის №44070872 საქმე ტერიტორიული ქვემდებარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში. პასუხი სახალხო დამცველს დღემდე არ მიუღია.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის მთავარი სამმართველოს უფროსმა - კობა ნარსიამ დაარღვია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და ამავე კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტი, რითაც წარმოიქმნა შემაფერხებელი გარემოება, დახმარებოდა განმცხადებელს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში.



დიმიტრი სვანიძის საქმე

2006 წლის 23 მარტს, შსს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №74006003 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის ფაქტზე.

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციაში, 2006 გაფორმდა ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოქალაქე ნოშრევან ნამორაძის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „რეინჯროვერი“ სახელმწიფო ნომერით DIT 001 დარეგისტრირდა დიმიტრი სვანიძეზე.

მ/ნ 01 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა დიმიტრი სვანიძემ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „რეინჯროვერი“ (გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი DIT 001, საიდენტიფიკაციო ნომერი – SALLMANA42A104062, სარეგისტრაციო ნომერი AE0081793) შეიძინა მოქალაქე ნოშრევან ნამორაძისაგან. ე.ი. არის კეთილსინდისიერი შემძენი. 2007 წლის 9 იანვარს, ის იმყოფებოდა აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კაფეში, სადაც გამოცხადებულმა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსთხოვეს ავტომანქანის გასაღები, რის შემდეგ დ.სვანიძის კუთვნილი „რეინჯროვერი“ გადაიყვანეს შს სამინისტროს ე.წ. მოდულის შენობის ა/სადგომზე. აქვე გამოძიებულმა შეადგინა ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ დ.სვანიძის საკუთრებაში არსებული ავტომობილი შემოყვანილია საქართველოში შემოყვანის წესის დარღვევით.

2007 წლის 09 იანვარს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამოძიებულმა, განიხილა სისხლის სამართლის საქმე საბაჟო წესების დარღვევით ავტომანქანების საქართველოში შემოყვანის ფაქტზე და გამოიტანა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ამოღების შესახებ. იმავე დღეს გაფორმდა ამოღების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე დიმიტრი სვანიძისაგან, ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას №72-ის წინ, ავტოსადგომზე ამოღებული იქნა ა/მანქანა „რეინჯროვერი“ სახელმწიფო №DIT 001.

2007 წლის 10 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ.ხუჯაძემ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს საგამოძიებო, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტებში და სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტებში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პროკურორის ლ.სეხინიაშვილის შუამდგომლობა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ. **მოსამართლემ, წარმოდგენილი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის გამო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.**

2 ოქტომბერს, მოქალაქე დიმიტრი სვანიძემ სახალხო დამცველს დამატებით წარუდგინა განცხადება. მისი მტკიცებით, გამოძიებულმა გულედანმა არჩენა ინტერპოლიდან მიღებული წერილი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა არ იმყოფებოდა ძებნაში. მოთხოვნის მიუხედავად, დ.სვანიძეს არ გადაეცა ხსენებული დოკუმენტის ქსეროასლი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხსენებულ წერილთან დაკავშირებით ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს უფროსის ლაშა გიორგიძის მიმართვის ქსეროასლი, გაგზავნილი შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალიზირებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე, რომელიც ეხება ესპანეთის მიერ ძებნილ 8 ავტომანქანას. 2002 წლის 22 აგვისტოს კი განმცხადებელს გადასცეს შსს საჯარო ინფორმაციის ბიუროს უფროსისაგან გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ავტომანქანა „რეინჯროვერი“ (გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი DIT 001, საიდენტიფიკაციო ნომერი – SALLMANA42A104062, სარეგისტრაციო ნომერი AE0081793) ირიცხება გატაცებულთა სიაში.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელი, ნამდვილად არის ხსენებული ა/მანქანის კეთილსინდისიერი შემძენი და მესაკუთრე, რასაც ცხადყოფს თვით საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის მიერ, სვანიძის საკუთრებად რეგისტრირებული რეინჯროვერი სახელმწიფო №DIT 001. ამ ფაქტით დასტურდება, რომ აღნიშნულ ავტომობილზე, მისი შეძენის დროს სამართალდამცავების მხრიდან არავითარი პრეტენზია არ არსებობდა. ამავდროს, 2007 წლის 14 სექტემბერს შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის და ანალიზის სამმართველოს უფროსის კ.ბროკიშვილის მიერ გაცემული ცნობით, ზემოთხსენებული ა/მანქანა რეგისტრირებულია დ.სვანიძის სახელზე.

საქართველოს სახალხო დამცველის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, გრიგოლ გიორგაძემ მ/ნ 09 ოქტომბერს, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსს ლაშა გიორგიძეს გაუგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ითხოვდა მ/ნ 22 იანვრის №21/4/1-400 და 29 იანვრის №21/4/1-496 წერილების ქსეროასლებს. აღნიშნული წერილები ეხებოდა მადრიდის ინტერპოლიდან მიღებულ გზავნილებს (კერძოდ, ესპანეთის მხარის მიერ ძებნილ 8 ავტომანქანას). 15 ოქტომბერს ლაშა გიორგიძემ სახალხო დამცველს გაუგზავნა წერილი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ დანესებულებებთან საქმიანობის წარმართვა მიეკუთვნება შსს სამინისტროს ადმინისტრაციის ფუნქციას და სახალხო დამცველს აცნობა, რომ შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად მიემართა შსს ადმინისტრაციისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსს ლაშა გიორგიძის მიერ გამოთხოვილი მასალების გაცემით, შესაძლო იყო მოქალაქე დიმიტრი სვანიძის საკუთრებაში არსებული „რეინჯროვერის“ ესპანეთის მხარის მიერ ძებნის ფაქტის დადასტურება. **ინტერპოლის ცენტრალური ბიუროს მიერ სახალხო დამცველის აპარატის კანონიერი მოთხოვის შეუსრულებლობის შემდგომ, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ განმცხადებლის საკუთრებაში რიცხული ა/მანქანა არ იძებნებოდა ესპანეთის მხარის მიერ.**

საგულისხმოა, რომ დ.სვანიძისათვის დღემდე უცნობია მიმდინარე გამოძიების შედეგები. მისი კუთვნილი ა/მანქანის ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე გადაცემის შესახებ, მისთვის ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროებიდან. ამის შემდეგ მან მიმართა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური წერილით და ითხოვა ინფორმაცია. 13 აგვისტოს მას გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის №209 ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ზოგიერთი სახეობის ქონების განკარგვის შესახებ მომამზადებელი კომისიის სხდომის ოქმი №16 და ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 27 ივნისის №719 ბრძანების ამონაწერი, საიდანაც დასტურდება, რომ „რეინჯროვერი“ (გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი DIT 001, საიდენტიფიკაციო ნომერი – SALLMANA42A104062, სარეგისტრაციო ნომერი AE0081793) გადაეცა საქართველოს შსს სამინისტროს.

2007 წლის 28 სექტემბერს დ.სვანიძემ, სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ითხოვა ზემოთხსენებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული მონაცემებით, მას შემდეგ რაც დიმიტრი სვანიძემ დახმარებისთვის მიმართა სახალხო დამცველს, მასზე სამართალდამცავების მხრიდან დაიწყო დევნა. კერძოდ, შსს საპატრულო თანამშრომლებმა ის რამდენჯერმე გააჩერეს, გაჩხრიკეს და შეამოწმეს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე.



ლევან მანაგაძისა და გოჩა ლვინიანიძის საქმე

2007 წლის 3 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა წინასწარი გამოძიების დაწყების რეკომენდაციით საქართველოს გენერალურ პროკურატურას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულთა ცემის ფაქტზე.

2007 წლის 30 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს მსჯავრდებულებს ლ.მანაგაძეს და გ.ლვინიანიძეს.

ლ.მანაგაძემ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 4 ივლისს მასზე ფიზიკური ზეწოლა განახორციელეს ქ.ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებმა ლაშა მანდარიამ, ზურაბ მორჩაძემ და კოტე ჭეიშვილმა. მსჯავრდებულის განმარტებით, მას ძირითადად სცემდნენ გაშლილი ხელით, თავისა და ზურგის არეში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დასახლებული თანამშრომლები მისგან მოითხოვდნენ 2006 წლის 29 მაისს მომხდარ ყაჩაღობაში მონაწილეობის აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ე.წ. „ბოთლზე დასმით“ ემუქრებოდნენ. როგორც კ.ჭეიშვილმა განუცხადა, ყაჩაღური თავდასხმის დროს გარდაცვლილი მისი ბიძა იყო და სწორედ ამ მიზნით მოითხოვდა ლ.მანაგაძისგან ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობის აღიარებას.

ცემის შემდეგ (სავარაუდოდ გადაწყვეტილების მისაღებად) ლ.მანაგაძე ოთახში მარტო დატოვეს, რა დროსაც მან თვითდაზიანება მიიყენა. მომხდარის გამო მსჯავრდებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინა დაწესებულების ექიმმა. საკანში ლ.მანაგაძე გადაიყვანეს მეორე დილით. აღნიშნულის შესახებ ლ.მანაგაძემ უამბო ადვოკატ რამაზ ხუნწარიას.

გარდა ამისა, ლ.მანაგაძის განმარტებით, ლ.მანდარია მას დაემუქრა, როდესაც იგი სასამართლო პროცესზე მიჰყავდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ლ. მანაგაძე დაკითხა გამომძიებელმა. როგორც ლ. მანაგაძე განმარტავს, მას გამომძიებლისთვის არ უთქვამს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ზეწოლის შესახებ და განუმარტა, რომ ხელები თავად დაისერა და პრეტენზიაც არავისთან ქონდა. მას შემდეგ, რაც ლ. მანაგაძემ ადვოკატს უამბო ზემოაღნიშნულის შესახებ, მასთან განმეორებით გამოცხადდნენ გამომძიებელი და ექსპერტი, რა დროსაც ექსპერტმა მოახდინა ლ. მანაგაძის სხეულის დათვალიერება და შეადგინა დოკუმენტი, ლ. მანაგაძეს კი ხელი მოაწერინა.

ლ. მანაგაძე მზადყოფნას გამოთქვამდა, ადვოკატის თანდასწრებით ჩვენება მიეცა გამომძიებლისთვის ცემასთან დაკავშირებით.

2007 წლის 30 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ასევე ჩამოართვეს ამავე დაწესებულებაში სასჯელის მოხდისთვის განთავსებულ მსჯავრდებულს გ.ღვინიანიძეს. მსჯავრდებულის განმარტებით, იგი 2007 წლის 15 მაისს სასჯელის მოსახდელად ქ.ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან. ეტაპირების მიზეზად გ.ღვინიანიძე ასახელებდა გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორსა და მსჯავრდებულებს შორის კორუფციული დამოკიდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობას.

გ. ღვინიანიძის განმარტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მან ექიმთან შეხვედრა მოითხოვა და არ დაემორჩილა საპრობილის სარეჟიმო განყოფილების თანამშრომლის ლ.მანდარიას მოთხოვნას, შესულიყო საკანში. აღნიშნულით უკმაყოფილო ლ.მანდარიამ და ი.იბანიშვილმა (ეს უკანასკნელი ამჟამად მუშაობს სად-ის გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში) გ.ღვინიანიძეს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მას სცემდნენ მუშტებით სახისა და მუცლის არეში, აფურთხებდნენ სახეში და იხსენიებდნენ უშვერი სიტყვებით. მისი ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული სთხოვდა, შეწყვიტათ მისი ცემა, რადგან იყო ნაოპერაციები. შემდეგ ლ.მანდარიამ და ი.იბანიშვილმა გ.ღვინიანიძეს ჩააცვეს დამანყნარებელი პერანგი. ყოველივე ზემოაღნიშნულს ესწრებოდნენ ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ოპერატიული მორიგეები: მ.ჩოგოვაძე და მ.სამარგულიანი. გ.ღვინიანიძის განმარტებით, იგი დამანყნარებელი პერანგი იყო სამი დღე-ღამის განმავლობაში სამორიგეო ნაწილის იატაკზე. მას ამ პერიოდში არ მიეწოდებოდა საკვები, მხოლოდ წყალს ასმევდა მ.სამარგულიანი. მას ასევე არ მიეცა ექიმთან შეხვედრის შესაძლებლობა. მეორე დღეს ღვინიანიძე ინახულა ექთანმა და მისცა დამანყნარებელი საშუალებები. მეორე დღით ღვინიანიძესთან ჩავიდნენ დაწესებულების თანამშრომლები ლ.მანდარია და დ.ნარსია. დ.ნარსიამ მასზე თქვა, მკვდარივით აგდიაო და აუნთეს კელაპტრები. ამ დროს დ.ნარსიასთან მივიდა დაწესებულების თანამშრომელი, გვარად ჟორჟოლიანი და სთხოვა სამსახურიდან გათავისუფლება, რისთვისაც მას დ. ნარსიამ მოსთხოვა, გ.ღვინიანიძისთვის თავზე დაესხა წყალი. ჟორჟოლიანმა მოთხოვნა შეასრულა, რაზეც ორივემ გაიცინეს.

გ.ღვინიანიძე მიუთითებს, რომ მასთან მივიდა გამომძიებელი და აცნობა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული იყო წინასწარი გამოძიება დაუმორჩილებლობის ფაქტზე. გამომძიებელთან შეხვედრისას მას დამანყნარებელი პერანგი გახდილი ჰქონდა. მან ხელი არ მოაწერა ჩვენებას. მეორე დღეს მასთან მივიდნენ პროკურორი და ექსპერტი. პროკურორმა იკითხა: „ეგ არის გიჟი?“, ექსპერტმა განახორციელა მისი სხეულის დათვალიერება და შეადგინა დოკუმენტი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი მისთვის არ გაუცენია. ამ პერიოდში ღვინიანიძეს დამანყნარებელი პერანგი ეცვა. გ.ღვინიანიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან გამომძიებელსა და პროკურორს აცნობა მისი ცემის შესახებ, აღნიშნულ ფაქტზე მათ რეაგირება არ მოუხდენიათ.

მსჯავრდებულმა ახსნა-განმარტებაში ასევე აღნიშნა, რომ მან სამჯერ მიმართა საქართველოს სა-



ხალხო დამცველს მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული განცხადებების ბედი მისთვის უცნობია. სახალხო დამცველის აპარატში გ.ღვინიანიძის განცხადებები არ შემოსულა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები მიუთითებენ ამავე დაწესებულების თანამშრომელთა ქმედებებში საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლით (წამება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2007 წლის 20 ივლისს საქართველოს სასჯელადსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის დასავლეთის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ლ.მანაგაძის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამავე წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გ.ღვინიანიძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით ეცნობა, რომ 2007 წლის 15 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის დასავლეთის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება გ.ღვინიანიძის მიერ წინასწარი პატიმრობისა და სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე. წინააღმდეგობის განევის შედეგად გ.ღვინიანიძემ მიიღო დაზიანებები. გამოძიების პროცესში მან გამოიყენა დუმილის უფლება. სისხლის სამართლის საქმე გ.ღვინიანიძის მიმართ 2007 წლის 17 ივლისს არსებითად განსახილველად წარიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. გამოძიება გ.ღვინიანიძის ცემის ფაქტზე საერთოდ არ დაწყებულა.

შემდეგ კი საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2007 წლის 09 ოქტომბერს სისხლის სამართლის №073070547 საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება ლ.მანაგაძის ცემის ფაქტზე.

აღნიშნული წარმოადგენს ნათელ მაგალითს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საგამოძიებო ორგანოებს წამების ფაქტების მიმართ. ისინი მეტად ზერელედ ეკიდებიან ამგვარი შემთხვევების გამოძიებას. ძირითადად, გამოძიებას საერთოდ არ იწყებენ ან გამოძიება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ზურაბ ვიბლიანის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპრობილის სამედიცინო ნაწილში მოთავსებული მსჯავრდებულის ზურაბ ვიბლიანის ცემის ფაქტს.

2007 წლის 22 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოინახულა მსჯავრდებული ზ.ვიბლიანი და შეადგინა შესაბამისი ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 21 ნოემბერს მსჯავრდებული გახდა შეუძლოდ, დაკარგა გონება და ეტაპირებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. როდესაც გონზე მოვიდა, იმყოფებოდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც გაუკეთეს ინექცია ორჯერ და მოსთხოვეს ხელი მოეწერა საბუთზე, რომლითაც ის ოფიციალურად ამბობდა უარს რეანიმაციულ განყოფილებაში ყოფნაზე. ზ.ვიბლიანმა დაწესებულების თანამშრომლებს ზემოაღნიშნულზე განუცხადა უარი. მსჯავრდებულის განცხადებით, ამის შემდეგ ის გაიყვანეს ე.წ „ვახტაზე“, სადაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და, მიუხედავად იმისა, რომ ესაჭიროებოდა სამედიცინო დახმარება, გადაიყვანეს სასჯელადსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპრობილეში. დაწესებულებაში შეყვანისას იგი შეამონმა საპრობილის ექიმმა და გააკეთა შესაბამისი ჩანაწერი მის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით.

ზ.ვიბლიანს ვიზუალური დათვალირებისას აღმოაჩნდა შემდეგი სახის დაზიანებები: სისხლნაჟღენთები ხერხემლის, გულმკერდისა და მარჯვენა თედოს არეში, ასევე ექსკორაცია მარჯვენა თვალზე და დაზიანება თავის არეში. მსჯავრდებულის განცხადებით, აღნიშნული დაზიანებები მიიღო 2007 წლის 21 ნოემბერს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, დაწესებულების თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა მსჯავრდებულ ბექა ჩარკვიანსაც, რომელიც ზ.ვიბლიანზე განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების თვითმხილველი იყო.

სახალხო დამცველმა ზ.ვიბლიანის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმებისა და ბექა ჩარკვიანისათვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტების ასლები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილესა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს გაუგზავნა.

2007 წლის 18 დეკემბერს გვეცნობა, რომ 2007 წლის 23 ნოემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 საპყრობილიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურში დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის №073070855 საქმეზე, მსჯავრდებულ ზურაბ ვიბლიანის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება). ასევე სახალხო დამცველს აცნობეს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობდა გამოძიება ბ.ჩარკვიანის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი ახსნა-განმარტება დაერთო მითითებულ საქმეს და ჩატარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ზ.ვიბლიანის ცემის ფაქტზე მოხდა არასწორი კვალიფიკაცია და გამოძიება სხვა მუხლით (144¹) უნდა დაწყებულიყო. ზ.ვიბლიანის წამების ფაქტს 2006 წელსაც ჰქონდა ადგილი (იხ. 2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენება).

ზოგადად, ტენდენციურად იქცა, რომ არ ხდება წამების ფაქტების გამოძიება. პირიქით, ამგვარი ქმედებები ნახალისებულია.



ივანე ქორქიანის საქმე

2007 წლის 3 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით (№1447-07) მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა ივანე ქორქიანმა. მისი განმარტებით, დევნილობის პერიოდში, ქარელის ადგილობრივი მმართველობის ორგანომ ის დროებით საცხოვრებლად შეასახლა მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ შენობაში ქარელში, ბახტრიონის ქ.№66-ში. 1993 წლიდან 2005 წლის ივნისის თვემდე გამცხადებელი ოჯახთან – მეუღლესა და 3 მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე. განცხადებიდან ირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლი ეკუთვნოდა ოსი ეროვნების ოჯახს, მარლიეებს. ქორქიანებმა საჭიროდ ჩათვალეს შენობა დაებრუნებინათ საქართველოში რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნებული მესაკუთრებისათვის. საქართველოს პრეზიდენტმა ეს ფაქტი აღნიშნა თავის გამოსვლაში, 2005 წლის 10 ივ-

ლისს, ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე – „საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით“. მითითებული გამოსვლის ტექსტი საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულია სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალურ საიტზე. ვ.ქორქიანის ისტორიის მოყოლას საქართველოს პრეზიდენტი შემდეგი ფრაზით ამთავრებს: „სხვათა შორის, ეს ისტორია სრულიად შემთხვევით გავიგე და სპეციალური განკარგულება გავეცი, რათა მას და მის ოჯახს დავეხმაროთ“ (<http://www.president.gov.ge/?l=G&m=0&sm=3&st=140&id=452>). იმავეს ადასტურებს ვ.ქორქიანი თავის განცხადებაში.

გამცხადებელი მიუთითებს, რომ ამ ხნის მანძილზე მისი ოჯახი ნათესავებთან აფარებს თავს. ის განმარტავს, რომ რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მთავრობას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თუმცა მისი მდგომარეობა არ გამოსწორებულა და დღესაც თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი.

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №562 ბრძანებულების მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელის შეწყობის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს „საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტე-

ბისა და დავალებების შესრულების საერთო კონტროლს“. ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციის უფროსი „ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის საქმიანობას და უზრუნველყოფს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას“, „ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა და დავალებების შესრულების კონტროლის კოორდინაციას“.

მითითებული ნორმებისა და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 3 ოქტომბერს სახალხო დამცველმა მიმართა (№3139/05-3/1447-07) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ეკატერინე შარაშიძეს და გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია იმ სპეციალური განკარგულების შესახებ, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტი საუბრობს თავის 2005 წლის 10 ივლისის გამოსვლაში. კერძოდ, აღნიშნული განკარგულების ასლი და ინფორმაცია მისი შესრულების თაობაზე.

2007 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ო.ძიძიკაშვილის პასუხით (№9/1872) გვეცნობა, რომ განკარგულების ტექსტი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის.

ვ.ქოჩიაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ხნის მანძილზე მან თავად მოიძია თავისუფალი ფართი თბილისში, კახეთის გზატკეცილი №83-ში. აღნიშნულის თაობაზე მან წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მ.მაჭავარიანს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. 2006 წლის 6 მარტის საპასუხო წერილში (№01/01-17/1319) ი.გორგაძე წერს: „მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დევნილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დროებით დარეგისტრირებისათვის საჭიროა შენობის იურიდიული მეპატრონის წერილობითი თანხმობა. აღნიშნულ შემთხვევაში ამის შესაძლებლობა გააჩნია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რის შესახებაც ჩვენს მიერ გაგზავნილ იქნა წერილობითი თხოვნა მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას სახელზე (წერილი №01/01-17/1309.06.03.06). მისი თანხმობის შემთხვევაში ჩვენგან დაუყოვნებლივ იქნება ყველა პირობა შექმნილი დევნილთა რეგისტრაციისათვის ზემოაღნიშნულ მისამართზე“.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას პასუხიდან (№15/2121/3-6; 31.07.06 წ.) ირკვევა, რომ „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი მოხდეს დევნილთა შესახლება ზემოაღნიშნულ შენობებში იმ პირობით თუ ისინი არ არიან სხვა ადგილზე რეგისტრირებულნი და არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ადგილი.“

მიუხედავად ამისა, ივანე ქოჩიაშვილისა და მისი ოჯახის წევრების დარეგისტრირება ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილის №83-ში დღემდე არ მომხდარა. 2006 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის კორესპონდენტის განხილვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის, ვ.ცეცხლაძისადმი მიწერილ წერილში (01/01-17/6732) ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, ი.გორგაძე წერს, რომ „არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია მოვიძიოთ დროებითი საცხოვრებელი ფართი დუშეთის, ბაღდათის და ხონის რაიონებში“, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის კორესპონდენტის კოორდინაციის, ანალიზისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის მ.კვანტრიშვილისადმი 2007 წლის 19 ოქტომბერს მიწერილ წერილში (№01/01-17/6830) ი.გორგაძე აღნიშნავს: „არსებული რესურსების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით ვ.ქოჩიაშვილის დროებითი საცხოვრებელი ფართი შეგვიძლია გამოვუყუთ ახმეტის, ლაგოდეხის, ხონის ან წალკის რაიონში“.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, უზრუნველყოფენ დევნილს დროებითი საცხოვრებელი. ამავე მუხლის მე-7



პუნქტის თანახმად, „სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში“.

2005 წლის 12 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №157 დადგენილების 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა „ანარმოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების აღწერა ობიექტის მესაკუთრესთან ან საამისოდ უფლებამოსილ პირთან ერთად; განახორციელოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა ორგანიზებულად განსახლების მიზნით შესახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიის შედგენა და ობიექტის მესაკუთრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე ფართობის განაწილება და დევნილთა განსახლება“.

ზემოაღნიშნული ნორმებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი წერილის გათვალისწინებით, ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№3658/05-3/1447-07) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, კობა სუბელიანს რათა განეხილა ივანე ქორქიანისა და მისი ოჯახის ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №83-ში განსახლებისა და დარეგისტრირების საკითხი. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია.

მარინა ფალავას საქმე

სახალხო დამცველი განიხილავს მოქალაქე მარინა ფალავას განცხადებას (№0722-07). ის დევნილია აფხაზეთიდან. გამცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 1993 წლიდან 1996 წლამდე ის და მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ ახლობლის ბინაში. 1996 წელს მათ მოუწიათ ბინის დატოვება. ამავე დროს მეზობლებისაგან შეიტყვეს, რომ მახლობელ კორპუსში, მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, კორპ. №25, ბ. №4 იყო მიტოვებული, თავისუფალი საცხოვრებელი ფართი. მძიმე სოციალური პირობების გამო, ისინი შევიდნენ აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში და წლების მანძილზე შეიქმნეს ნორმალური საცხოვრებელი პირობები. ამავე დროს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ისინი რეგისტრირებულ იქნენ მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, თ.ლომაიას მიერ 1997 წლის 21 აგვისტოს გაცემული ცნობით (№02/01-22/4254). დოკუმენტის თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირები: ტუფურია თამაზი, ფალავა მარინა, ტუფურია დავითი და ტუფურია ეკატერინე რეგისტრირებული არიან ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მიკრორაიონი, 25-ე კორპუსი, ბინა №4-ში.

ის, რომ აღნიშნულ ფართზე რეგისტრირებული არ იყო საკუთრების უფლება, დასტურდება უფრო გვიანდელი დოკუმენტებით. კერძოდ: ქ.თბილისის მინის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, კ.შენგელიას 2003 წლის 20 აგვისტოს წერილით (№თ-51) ირკვევა, რომ ქ.თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, №25 კორპუსში მდებარე ბინა №4 საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნ.ბახტაძის 2004 წლის 6 დეკემბრის წერილის (№ფ-178) მიხედვით, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში 25.11.2004 წლის არსებული ჩანაწერებითა და ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მასალების თანახმად, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, კორპ. №25, ბინა №4-ზე კერძო საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.“ ამავე უწყების 2005 წლის 10 თებერვლის წერილით (№83/ი/202-05) დასტურდება, რომ ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, კორპ. №25, ბ. №4-ზე კერძო საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მიუხედავად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს გაცემული ცნობისა, დევნილთა ყველა მომდევნო რეგისტრაციის დროს ხდებოდა ძველი მონაცემების ავტომატურად გადატანა გამცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების ახალ დევნილის მონომობებში. შედეგად,

2004 წელს გაცემულ მათ დევნილის მონმობებშიც კი დროებით საცხოვრებელ ადგილად ფიქსირდება ქ.თბილისი, გამსახურდიას №3, და არა ის მისამართი, რომელზეც მარინა ფალავა და მისი ოჯახის წევრები უკვე 10 წელია ცხოვრობენ სამინისტროს შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

მიმდინარე რეგისტრაციის მანძილზე დროებით საცხოვრებელ ადგილად „ქ.თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, კორპ. №25, ბ. №4“ დაფიქსირება გამცხადებლის კანონიერ ინტერესს შეადგენს, ვინაიდან მისი მართლზომიერი მფლობელობა ამავე მისამართზე მდებარე საცხოვრებელ ფართზე იქნებოდა დოკუმენტურად უკეთესად უზრუნველყოფილი. რეალურად, დევნილის მონმობაში არსებული დროებითი საცხოვრებელი ადგილის სპეციალური გრაფის მიზანიც ესაა – წარმოშვას თითოეული დევნილის უფლება კონკრეტულ ფართზე. ამავე დროს, მარინა ფალავასა და მისი ოჯახის წევრებს მიეცემათ შესაძლებლობა ისარგებლონ ყველა იმ სოციალური შეღავათით, რასაც მათთვის ითვალისწინებს კანონი (ელექტროენერჯის, კომუნალური მომსახურების შეღავათების ჩათვლით).

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი, ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილი განმარტებულია როგორც „დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული“.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანებით „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონმობის ფორმის, მონმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესი. აღნიშნული წესის მე-4 მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, „რეგისტრაციის დროს დევნილი უფლებამოსილია მიაწოდოს სამინისტროს ინფორმაცია და წერილობითი ფორმით მოითხოვოს შესწორების შეტანა მის შესახებ არსებულ საიდენტიფიკაციო მონაცემებში დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, სამინისტრო უფლებამოსილია არასრული საიდენტიფიკაციო მონაცემების არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს დევნილს ამ მონაცემების შესავსებად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

ამავე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, „სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაუშვებელია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან კომპაქტური განსახლების ობიექტში, გარდა:

- ა) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე გარემოებების დადგომისას;
- ბ) არასრულწლოვანის მიერ დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში მის მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან;
- გ) დევნილის დაქორწინების ან განქორწინების (დევნილის განქორწინების შემთხვევაში მიეთითება მისი თავდაპირველი დროებითი საცხოვრებელი ადგილი) შემთხვევაში;
- დ) ქმედუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელთან.
- ე) იმ შემთხვევისა, როდესაც მეუღლეები ცხოვრობენ სხვადასხვა კომპაქტურად განსახლების ობიექტში.“

საგულისხმოა, რომ მოქალაქე მარინა ფალავას საქმეში დგას არა ერთი კომპაქტური განსახლების ობიექტიდან მეორე კომპაქტური განსახლების ობიექტში გადარეგისტრირების, არამედ მისი დევნილის მონმობაში მცდარად დაფიქსირებული კერძო სექტორის მისამართის შესწორების საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის მონმობა წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან



ის გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აწესებს და ადასტურებს პირის უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ დევნილის მონაწილეობა ის დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს თითოეული იძულებით გადაადგილებული პირისათვის და, ამავე დროს, ადასტურებს მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭების ფაქტს. დევნილის მონაწილეობა დევნილის სტატუსისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ყოველი რეგისტრაციის შემდეგ ის ხელახლა გაიცემა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მონაწილეობის შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის მონაწილეობის ერთ-ერთი რეკვიზიტია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი. მონაწილეობის ეს ჩანაწერი მნიშვნელოვან შედეგებს წარმოშობს დევნილისათვის – მის მფლობელობას კონკრეტულ საცხოვრებელ ფართზე აქცევს მართლზომიერად და ქმნის ლეგალურ საფუძველს მითითებულ ადგილას ცხოვრებისათვის. ასეთ შემთხვევებში დევნილი დაცულია გამოსახლების პროცესებში, ასევე სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას. დევნილის მონაწილეობა აქვს საარჩევნო სამართალშიც და შესაბამისად, მას უკავშირდება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომა. თავის მხრივ, სახელმწიფო ამგვარად უზრუნველყოფს მასზე შიდა კანონმდებლობით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს და დევნილებს უქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრებისათვის, ასევე აძლევს მათ შესაძლებლობას, დავის შემთხვევაში წარადგინონ მტკიცებულებები სათანადო სახელმწიფო ორგანოებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები არის „საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებული პირის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების შემადგენელი ნაწილია. ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია „პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოინურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას“.

მარინა ფალავას მიერ წარმოდგენილი სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის მონაწილეობით (გაცემულია 1997 წლის 19 ივნისს ქ.სოხუმის მმარის განყოფილების მიერ) დასტურდება, რომ ტუფურია დავით თამაზის ძემ გამოიცვალა გვარი და გადავიდა „წერეთელზე“.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 6 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№3672/05-3/0722-07) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, კობა სუბელიანს, რათა დევნილთა მიმდინარე რეგისტრაციის მანძილზე მარინა ფალავას, თამაზ ტუფურიასა და დავით წერეთლის დევნილის მონაწილეობაში დროებით საცხოვრებელ ადგილად მიეთითოს „ქ.თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, კორპ. №25, ბ. №4“. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრიდან“ გათავისუფლებული თანამშრომლების საქმე

2007 წლის 30 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით (№1891-07) მიმართეს სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ თანამშრომლებმა. მათი განმარტებით, 2006 წლის 11 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №19 დადგენილებით რეორგანიზებულ იქნა აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელერადიოკომპანია. მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აფხაზეთის მედია-ცენტრი.“

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის №10 დადგენილებით განისაზღვრა აღნიშნული დაწესებულების ლიკვიდაცია და სათანადო პროცედურების დაწყების თარიღად დადგინდა 2007 წლის 1 ივნისი. ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნა 2007 წლის 26 აპრილს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №25 დადგენილებით და ამჯერად სალიკვიდაციო სამუშაოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2007 წლის 1 მაისი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ სალიკვიდაციო პროცედურების ღონისძიებათა დასრულების ვადის განსაზღვრის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 12 ივნისის №26 დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ ლიკვიდაციის დასრულების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 15 ივნისი.

2007 წლის 13 ივნისს სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის, კ.ბენდელიანის მიერ გამოცემული ბრძანებებით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ამავე დაწესებულების 13 თანამშრომელი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №10, №25 და №26 დადგენილებები გასაჩივრდა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოში. 2007 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №10, №25 და №26 დადგენილებები. ბათილად ცნობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება შეწყდა მათი ბათილად ცნობის დღიდან, 2007 წლის 7 სექტემბრიდან. ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ საქმიანობა აღადგინა და მიუთითა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე.

სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ 13-მა თანამშრომელმა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა, ამჯერად 2007 წლის 13 ივნისს სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის, კ.ბენდელიანის მიერ გამოცემული ბრძანებების ბათილობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელებს უარი ეთქვათ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის მიერ მოსარჩელების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანებების ბათილად ცნობაზე და აღნიშნული ბრძანებები გამოცხადდა ძალადაკარგულად. მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრში“ ადრე დაკავებულ თანამდებობებზე, ხოლო მოპასუხე სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრს“ დაეკისრა მათ სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის შესაბამისი ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დრომდე. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც მიუთითა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ.

გამცხადებლების განმარტებით, მიუხედავად დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ მითითებისა, სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება აღსრულდა ნაწილობრივ: კერძოდ, არ იქნა აღდგენილი სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ საქმიანობა (ტელე და რადიო საეთერო მაუწყებლობა) და არ იქნა ანაზღაურებული მათთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი. სსიპ „აფხა-



ზეთის მედია-ცენტრმა“ მხოლოდ 2007 წლის 1 ნოემბრიდან აღადგინა მოსარჩელები ადრე დაკავებული თანამდებობებზე, ხოლო სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის, რ.ქირიას მიერ 2007 წლის 2 ნოემბერს გამოცემული ბრძანებებით აღდგენილი თანამშრომლები უკვე 26 დღეში, ანუ ა.წ. 28 ნოემბერს განმარტების გარეშე ხელმეორედ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული საკითხი ჯერ არ გამხდარა სასამართლოს განხილვის საგანი.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, მ.კონჯარიას მიერ №3/138-07 საქმეზე 2007 წლის 11 სექტემბერს გაცემული საალსრულებო ფურცელში აღნიშნულია: „აღდგეს აფხაზეთის მედია ცენტრის საქმიანობა. გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.“

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, მ.კონჯარიას მიერ №2/667-07 საქმეზე 2007 წლის 28 სექტემბერს გაცემულ საალსრულებო ფურცელში მითითებულია, რომ მოსარჩელების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მათი დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებები გამოცხადდა ძალადაკარგულად, შესაბამისად, ისინი აღდგენილ იქნენ ადრე დაკავებულ თანამდებობებზე, ხოლო მოპასუხე სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრს“ დაევალა მათ სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დრომდე.

ერთ შემთხვევაში კრედიტორებმა თბილისის საალსრულებო ბიუროში განცხადება წარადგინეს ამა წლის 12 სექტემბერს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1 ოქტომბერს.

გამცხადებლების განმარტებით, ამ დრომდე აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდა ნაწილობრივ. კერძოდ, არ იქნა აღდგენილი სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ საქმიანობა (ტელე და რადიო საეთერო მაუწყებლობა) და არ იქნა ანაზღაურებული მათთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი. ხოლო 2007 წლის 1 ნოემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აღდგენილი თანამშრომლები უკვე 26 დღეში, ანუ ა.წ. 28 ნოემბერს განმარტების გარეშე ხელმეორედ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლება-მოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.“

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.“

ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.“

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საალსრულებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №834 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, საალსრულებო წარმოების პროცესის კოორდინაცია და კონტროლი საალსრულებო დეპარტამენტის ერთ-ერთი მიზანია.

„სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იძულებითი აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა კრედიტორმა თავისი განზრახვა აღსრულების საქმის აღძვრის თაობაზე განუცხადა მოვალეს ან მის ნარმომადგენლად დანიშნულ პირს.“ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“ ნარმომადგენს სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გადაცემულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, არ გამოიყენება ამ მუხლით დადგენილი არც ოთხკვირიანი ვადა და არც განსხვავებული პროცედურა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლს 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები. „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუყოვნებლივი აღსრულების შემთხვევებში სააღსრულებო ფურცელი გაიცემა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე და არა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თუ სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, მოვალეს ეგზავნება წინადადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ნებაცხოვლობით შესრულების თაობაზე“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ნაწილს შეადგენს.

საქმეში აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლომ განმარტა, რომ მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს წარუდგინოს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული სარჩელი. სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, პარაგრაფი 54).

აღსრულების საქმისწარმოება სასამართლო განხილვის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სასამართლო თვლის, რომ პირის უფლება სასამართლო განხილვაზე, „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ განსაზღვრისათვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობასთან ერთად, თანაბრად იცავს ამ პირის უფლებას სააღსრულებო ნარმოებათა ხელმისაწვდომობაზეც, რაც არის უფლება სააღსრულებო ნარმოებათა დანყებაზე (აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, პარაგრაფი 56).

სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ეფექტიანი უფლების დაცვის ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს მხოლოდ ჩაურევლობას, არამედ, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების გატარება მოითხოვოს (აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, პარაგრაფი 64).

საქმეში ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ყველას უფლებას თავის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული მოთხოვნების გამო მიმართოს სასამართლოს. ამ გზით ხდება „სასამართლოსადმი მიმართვის უფლების“ განხორციელება. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, ანუ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე შესაბამისი პროცედურის წამოწყება, „სასამართლოსადმი მიმართვის უფლების“ მხოლოდ ერთ ასპექტს შეადგენს. რასაკვირველია, უფლება თავის-



თავად იქნებოდა ილუზორული, თუ ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართლებრივი სისტემა სასამართლოს მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებას მისცემდა შესაძლებლობას, დარჩენილიყო არაფექტური ერთი მხარის საზიანოდ. წარმოდგენილი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დეტალურად აღწერდეს მხარეებისათვის მინიჭებულ პროცედურულ გარანტიებს (პროცედურის სამართლიანობა, საჯაროობა და სისწრაფე) სასამართლო გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის დაცვის გარეშე. მე-6 მუხლის განმარტება ისე, თითქოს ის ექსკლუზიურად ეხება მხოლოდ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და პროცედურის ჩატარების წესს, შეუსაბამო იქნებოდა კანონის უზენაესობის პრინციპთან. კონვენციის რატიფიცირებისას ხელშემკვრელმა მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, პატივი სცენ ამ პრინციპს. მე-6 მუხლის მიზნებისათვის, ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნეს განხილული როგორც „სასამართლო განხილვის“ ინტეგრალური ნაწილი (ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 34).

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 14 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№3799/05-3/1891-07) მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ზვიად ზვიადაძესა და სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორს, ბატონ რაულ ქირიას, რათა უმოკლეს ვადაში აღასრულონ სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 სექტემბრისა და 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებები.

2008 წლის 16 იანვარს მივიღეთ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის, რაულ ქირიას პასუხი (№1/2), რომლითაც გვეცნობა შემდეგი: სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ მიერ 2007 წლის 8 ნოემბერს აპელაციის წესით გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატაში, სადაც ამჟამად განიხილება აღნიშნული საჩივარი. რაც შეეხება მოსარჩელეთათვის ასანაზღაურებელი განაცდურის გადახდას, აღნიშნულის აღსრულება შეუძლებელია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული გადასახდელი თანხის კონკრეტული ოდენობა. გაურკვეველია, როდის უნდა იქნეს დაანგარიშებული აღნიშნული თანხა. ამასთან, სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“ არ ანარმოებს რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას. მისი საქმიანობა სრულად ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სახსრების არ ქონის გამოც ვერ ხერხდება სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

2008 წლის 25 იანვარს მივიღეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ზვიად ზვიადაძის წერილი (№04/03-75 კოლ), რომლითაც გვეცნობა, რომ სასამართლო აღმასრულებელს, კ.ფეიქრიშვილს მიეცა წერილობითი მითითება, რათა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლო სააღსრულებო მოქმედება, მიღებული შედეგების შესახებ კი დაუყოვნებლივ აცნობოს კრედიტორ მხარეს.

გარდა ამისა, სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 25 დეკემბერს მიღებულ იქნა განჩინება სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ. სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის №2/667-07 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი განიმარტა იმგვარად, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრიდან“ გათავისუფლებული 13 თანამშრომლის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების დაკისრება გათავისუფლების დღიდან (2007 წლის 1 ივნისიდან) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დრომდე (2007 წლის 1 ნოემბრამდე) ნიშნავს მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის და ამჟამად მოქმედი სამტატო განრიგის ხელფასის ოდენობის მითითებით თანხის ანაზღაურებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქმე წარმოებაშია.

ლევან მამასახლისის საქმე

2007 წლის 14 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით (№0721-07) მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა ლევან მამასახლისმა. 2001 წლის 7 აგვისტოს დე ფაქტო აფხაზეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ის ჯერ დააკავეს, ხოლო მოგვიანებით გაასამართლეს ტერორიზმის ბრალდებით. მას მისჯილი ჰქონდა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიდა დრანდის ციხეში. ლევან მამასახლისი გათავისუფლებულ იქნა მიმდინარე წლის 14 თებერვალს.

2007 წლის 12-14 თებერვალს სოხუმში იმყოფებოდა ევროსაბჭოს დელეგაცია, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, თომას ჰამარბერგის ხელმძღვანელობით. დელეგაცია შედგებოდა კომისრის პოლიტიკური კონსულტაციებისა და თანამეგობრობის სამმართველოს დირექტორის, მარკ შოიესა და კომისრის მრჩეველების – ალექსანდრე გესსეს და რომან ჩლაპოკისაგან. დელეგაციის მიზანი იყო კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის შესწავლა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

დელეგაცია შეხვდა აფხაზეთის თვითღიარებული რეპუბლიკის შს მინისტრს, ოთარ ხეციას, ქალაქის შს სამმართველოს უფროსს რომან გაბლაიას, მოინახულა პენიტენციური სისტემის ორგანიზაციები, მათ შორის დროებითი დაკავების იზოლატორები და დრანდის ციხე, ასევე, ქალაქის სკოლა და სამედიცინო დაწესებულება. ბოლოს, დელეგაციის წევრები შეხვდნენ დე ფაქტო პრეზიდენტს. ბალაფშთან შეხვედრისას გადაწყდა ლევან მამასახლისის გათავისუფლების საკითხი. 15 თებერვალს პირადად ბატონმა თომას ჰამარბერგმა ჩამოიყვანა ლევან მამასახლისი თბილისში.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმებისამებრ ლევან მამასახლისი აფხაზურ მხარეს 14 თებერვალს, დღის 15:00 საათზე ენგურის ხიდზე უნდა მოეყვანა, სადაც უნდა გადაეცათ ის ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრისათვის. ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები ხუთი საათის განმავლობაში ელოდნენ ენგურის ხიდზე ლევან მამასახლისის მოყვანას. აფხაზური მხარის წარმომადგენლები მათ ეუბნებოდნენ: „20 წუთში იქნებიან“, „10 წუთში იქნებიან“, „გზაზე არიან“. ბოლოს, როდესაც გაირკვა, რომ 17:00 საათისათვის ლევან მამასახლისი ჯერ კიდევ ციხეში იმყოფებოდა, ბატონმა თომას ჰამარბერგმა არ გადალახა ენგურის ხიდი ლევან მამასახლისის გარეშე და დაბრუნდა გალში, გაეროს ოფისში, სადაც განაცხადა, რომ ის და დელეგაციის წევრები არ დატოვებდნენ აფხაზეთის ტერიტორიას, ვიდრე არ მოიყვანდნენ ლევან მამასახლისს. ბოლოს, აფხაზური მხარე იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ლევან მამასახლისი, რომელიც საღამოს 19:30 საათზე მოიყვანეს ენგურის ხიდზე და გადასცეს ევროსაბჭოს დელეგაციას.

დღეის მდგომარეობით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარეობს მამასახლისის საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ განაცხადის განხილვა.

უკანონო პატიმრობის მანძილზე ლევან მამასახლისი იმყოფებოდა აფხაზეთში, დრანდის საპყრობილეში, უმძიმეს პირობებში და ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე. მას აფეთქების შედეგად დაკარგული აქვს მარჯვენა ხელის მტევანი, ხოლო მარცხენა ხელზე ცერის გარდა ყველა თითი, აგრეთვე დაზიანებული აქვს ფილტვები და დაავადებულია ეგზემით. ლ.მამასახლისის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და მას ძვირადღირებული მედიკამენტები ესაჭიროებოდა. სახალხო დამცველის შუამდგომლობის შედეგად, 2005 წლის სექტემბრიდან უკანონო პატიმარი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით პერმანენტულად იღებდა შპს „ავერსი ფარმას“ მიერ მოწოდებულ მედიკამენტებს.

რაც შეეხება ლ.მამასახლისის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის ჩატარებას, სახალხო დამცველმა არაერთგზის მიმართა გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელს, რათა მათი მხარდაჭერით მედიკოსებს მოენახულებინათ უკანონო პატიმარი და მისი ჯანმრთელობის შესახებ ობიექტური დასკვნა გაეკეთებინათ, დაგვხმარებოდნენ საჭირო მედიკამენტების მიწოდებასა და მკურნა-



ლობის შესაბამისი კურსის ჩატარებაში. შედეგად, გაეროს მისიის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მოინახულეს ლევან მამასახლისის დრანდის ციხეში.

ლევან მამასახლისის განმარტებით, 2001 წელს ნალმზე აფეთქების შედეგად დაუზიანდა მარჯვენა ხელი. ამის გამო მას სჭირდება პროთეზი, რომლის შექმნაც, გამცხადებლის ცნობით, უნდა მომხდარიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით, თუმცა აღნიშნული თანხები იმ დროისათვის გამოყოფილი არ იყო. ლევან მამასახლისისათვის პროთეზის მორგების პროცედურა უნდა განხორციელდეს გერმანიაში. ლ.მამასახლისის გამგზავრებისათვის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ პროთეზის შესაძენი თანხა ჯერაც არ იყო გამოყოფილი. ამის გამო, გერმანული მხარე თავს იკავებდა პაციენტის მიღებისაგან.

2007 წლის 22 მაისს სახალხო დამცველმა მიმართა (№1545/01-2/0721-07) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბ-ნ ლადო ჭიპაშვილს, რათა უმოკლეს ხანში გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ბ-ნ ირაკლი გიორგობიანის 2007 წლის 13 ივლისის პასუხით (№01-11/01/5782) გვეცნობა, რომ ლევან მამასახლისი საჭიროებდა მკურნალობას გერმანიაში, „ოტო ბოკის“ ფირმაში. მკურნალობის საერთო ღირებულება „ოტო ბოკის“ მიერ გავრცელებული ფრაის-ლისტის მიხედვით შეადგენდა 8 862,2 ევროს. შესაბამისად, მოქალაქის განცხადება გადაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს, აღნიშნული თანხის რეფერალური პროგრამის ფარგლებში ანაზღაურების მითითებით.

2007 წლის 4 სექტემბერს მივიღეთ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფროსის, ვახტანგ სურგულაძის პასუხი (№01/061/1162), რომლითაც გვეცნობა, რომ ლევან მამასახლისის რეფერალური პროგრამის ფარგლებში მკურნალობის ღირებულებაა 8 862,2 ევრო. აღნიშნული თანხა 2007 წლის 24 ივლისს გადაირიცხა გერმანიაში, „ოტო ბოკის“ საბანკო ანგარიშზე.

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა ლევან მამასახლისი. გამცხადებლის განმარტებით, გერმანული მხარე უარს ამბობს მის მკურნალობასთან დაკავშირებული მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებაზე, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მას განუმარტეს, რომ თუ ამა წლის 10 დეკემბრამდე ის არ გაემგზავრება გერმანიაში, სამინისტრო „ოტო ბოკის“ ანგარიშზე გადარიცხულ თანხას უკან გამოიტანს.

ლევან მამასახლისის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ასევე ირკვევა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოხდა მხოლოდ პროტეზის ღირებულების თანხის გადარიცხვა გერმანული სამედიცინო კომპანიის ანგარიშზე, და არა მკურნალობის. როგორც „ოტო ბოკის“ წარმომადგენლებმა განუმარტეს, გერმანიაში ცხოვრებისა და მკურნალობის ღირებულება, პროტეზის ღირებულების ჩათვლით, შეადგენს 19 907,25 ევროს. აღნიშნული თანხიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადახდილია მხოლოდ ნაწილი – 8 862,2 ევრო.

საქართველოს სახალხო დამცველის ძალისხმევით, ლევან მამასახლისის მგზავრობის ხარჯები თავის თავზე აიღო ერთ-ერთმა ქართულმა კომპანიამ. შესაბამისად, მას უკვე აქვს ბილეთის ჯავშანი: ქალაქ ფრანკფურტში მიფრინავს 11 დეკემბერს, ხოლო უკან ბრუნდება 29 დეკემბერს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასცენ ვიზა ლევან მამასახლისზე. გამცხადებლის განმარტებით, დღის წესრიგში დგას მხოლოდ მისი გერმანიაში ცხოვრებისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საკითხი, რაც „ოტო ბოკის“ მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით შეადგენს 11 045,05 ევროს

(19 907,25 – 8 862,2). თუმცა, ფაქტია, რომ აღნიშნული თანხის უქონლობის გამო, შესაძლოა საფრთხე შეექმნას ლ.მამასახლისის გერმანიაში გამგზავრებასა და მკურნალობას.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც: „გასცემენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემწეობებსა და სხვა დახმარებებს კომპეტენციის ფარგლებში“.

ამავე კანონის 1¹ მუხლის „თ“ ქვეპუნქტი იცნობს ერთჯერადი ფულადი შემწეობის სამართლებრივ მექანიზმს. აღნიშნული შემწეობა არის „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მიეცემა უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილს მისი განცხადების საფუძველზე.“ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ლევან მამასახლისმა განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უკვე მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

„საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ლტოლვილთა და დევნილთა შენახვასთან დაკავშირებული „სხვა ხარჯებისათვის“, რომელიც არ არის დაკავშირებული ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯებთან, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გამოეყო 741,6 ათასი ლარი, ხოლო ამავე მუხლის შესაბამისად, დევნილთა დახმარების ფონდი განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით.

2007 წლის 6 დეკემბერს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, კობა სუბელიანს გადაუგზავნა და მიმართა წინადადებით (№3671/05-3/0721-07), რათა შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში განეხილა აღნიშნული საკითხი. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, მთავრობა „უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას“, „უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების განხორციელებას“. ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის მთავრობა „მონაწილეობს მართლწესრიგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.“

აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება „იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (აგრეთვე, შესაძლებლობის ფარგლებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის მიმართული საქმიანობის წარმართვა“.

მითითებული ნორმების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ასევე მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, დალილა ხორავას რათა განეხილა აღნიშნული საკითხი.

2008 წლის 16 იანვარს აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხით (№35) გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

გამცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და



სოციალური დაცვის სამინისტრომ „ოტო ბოკის“ ანგარიშზე გადარიცხული თანხა უკან გამოიტანა, ვინაიდან ფინანსური მხარდაჭერის არქონის გამო ლევან მამასახლისი ვერ გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საქმე წარმოებაშია.

სეისმური ობსერვატორიის შენობაში მცხოვრები დევნილების საქმე

სახალხო დამცველი განიხილავს აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების კოლექტიურ განცხადებას (№0627-07). განცხადებლები განმარტავენ, რომ 1998 წლის 29 მაისს ისინი თვითნებურად შევიდნენ ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.№77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობის მესამე სართულზე და დღემდე ამ მისამართზე ცხოვრობენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ობსერვატორიის ადმინისტრაციამ სასამართლოში წამოიწყო დავა. ქ.თბილისის ვაკის რაიონულმა სასამართლომ 1998 წლის 28 სექტემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება დევნილთა აღნიშნული შენობიდან გამოსახლების შესახებ, მხოლოდ მათთვის სამაგიერო ფართის მიცემის შემდეგ. მოპასუხეების შესაბამისი ფართით უზრუნველყოფა ამავე გადაწყვეტილებით დაევალა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა და საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დატოვა ძალაში. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, გ.დევედარიანი ერთ-ერთ განცხადებელს, ბორის პაპასქუას 1999 წლის 12 მაისის წერილით (№35-1209) ატყობინებს: „თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია მითითებული შენობიდან თქვენი და სხვა ლტოლვილების გამოსახლება სამაგიერო ფართობით დაკმაყოფილების შემდეგ, ჩვენს მიერ მიჩნეულია სწორად და სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის საჩივარი დატოვებულია უშედეგოდ.“ დევნილთა არაერთი მიმართვის მიუხედავად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ისინი სამაგიერო ფართით არ დაუკმაყოფილებია.

გამცხადებლების განმარტებით, სეისმური ობსერვატორიის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე და მათი წარმომადგენლების თანდასწრებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მიმდინარე წლის იანვარსა და მარტში ჩაატარა აღრიცხვა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოცემულ ობიექტზე ცხოვრობს 65 დევნილი.

ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.№77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილები დამისამართებულნი არიან დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში და არა მათ საცხოვრებელ ადგილებზე. შესაბამისად, დევნილები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ მათთვის დაშვებული კომუნალური შეღავათებით, მათ შორის ელექტროენერჯის შეღავათით, რაც ამძიმებს დევნილების ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი დევნილთა არაერთი მიმართვის მიუხედავად, პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას და დღესაც მოუგვარებელია.

„ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა რეგისტრაციისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების გაცემის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 12 სექტემბრის №157 დადგენილების 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა „ანარმოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების აღწერა ობიექტის მესაკუთრესთან ან საამისოდ უფლებამოსილ პირთან ერთად; განახორციელოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი; უზრუნველყოს კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა ორგანიზებულად განსახლების მიზნით შესასახლებელ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიის შედგენა და ობიექტის მესაკუთრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე ფართობის განაწილება და დევნილთა განსახლება.“

საგულისხმოა, რომ მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში საუბარია ობიექტის მესაკუთრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობაზე. „საამისოდ უფლებამოსილი პირი“ გულისხმობს იმ პირს ან ორგანოს, რომელსაც კანონის საფუძველზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ეს შეიძლება იყოს სასამართლო, კერძო არბიტრაჟი ან სხვა ლეგიტიმური, კანონით უფლებამოსილი ორგანო.

ასეთ სიტუაციაში, როდესაც დევნილთა გამოსახლება სამაგიერო ფართით დაკმაყოფილებამდე შეუძლებელია, ხოლო ლტოლვილთა და განსახლების მინისტროს ამ დრომდე, მთელი ცხრა წლის მანძილზე არ მოუხდენია მათთვის სამაგიერო ფართების გამოყოფა, გაუმართლებლად მიმჩნია გამცხადებლების არდარეგისტრირება სეისმური ობსერვატორიის შენობაში, რომელშიც ცხოვრების უფლება მათ სასამართლოს გზით აქვთ მოპოვებული.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დანესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.“

გარდა ამისა, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1¹ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი, ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილი განსაზღვრულია, როგორც „დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული.“

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის წერილშიც აღნიშნულია: „გამცხადებლები 1998 წლიდან ცხოვრობენ სეისმური ობსერვატორიის შენობაში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან იქ რეგისტრირებული, სწორედ ის წარმოადგენს მათ დროებით საცხოვრებელ ადგილს, ვინაიდან დროებითი საცხოვრებელი ადგილი არის პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, რეგისტრაცია კი ამ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მოხდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველი“. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, შოთა მალაშვიამ აღნიშნული წერილით (№1835-07) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, გიორგი ხევიაშვილს ჯერ კიდევ 2007 წლის 23 მარტში მიმართა ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.№77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილების საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის №157 დადგენილების სათანადოდ იმპლემენტაციისათვის, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2008 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№215/05-3/0627-07) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, კობა სუბელიანს, რათა დაუყოვნებლივ მოახდინოს ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.№77გ-ში მდებარე სეისმური ობსერვატორიის შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილების დარეგისტრირება ამავე მისამართზე, მათთვის სამაგიერო ფართების მიცემის დრომდე, რათა დევნილებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულყოფილად ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით მათთვის გათვალისწინებული შეღავათებით.

აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.



ზემო ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები დევნილების საქმე

სახალხო დამცველი განიხილავს თბილისში, კრწანისის რაიონში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №11-ე დაუმთავრებელ კორპუსში მცხოვრები დევნილების კოლექტიურ განცხადებას (№0979-06/1). განცხადებლების განმარტებით, დევნილთა 74 ოჯახი საცხოვრებელი ფართის არქონის გამო შესახლდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებულ შენობაში. განცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ ჩაატარეს გარკვეული გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა ელექტროგაყვანილობის მოწყობისა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად საჭირო გახდა დროებითი რეგისტრაცია აღნიშნულ მისამართზე.

2006 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №190 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა „უზრუნველყოს კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა ორგანიზებულად განსახლების მიზნით შესასახლებელ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიის შედგენა და ობიექტის მესაკუთრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე ფართობის განაწილება და დევნილთა განსახლება.“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ობიექტის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირად მიიჩნევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. კერძოდ, ამავე სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მიეკუთვნება: „სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა“. შესაბამისად, სწორედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროა უფლებამოსილი, გასცეს თანხმობა, რომლის საფუძველზეც უკვე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო განახორციელებს დევნილთა განსახლებას.

ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №11-ე დაუმთავრებელ კორპუსში მცხოვრებ დევნილთა საქმეში ფიგურირებს ქ.თბილისის ვიცე-მერის, მამუკა ახვლედიანის წერილი (№6671). აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმაციით, ზემო ფონიჭალის მე-4 მ/რაიონში მდებარე №11 კორპუსი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ არის. თავის მხრივ, ქ.თბილისის მერია არაა წინააღმდეგი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განახორციელოს მისი განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, ირაკლი გორგაძე 2007 წლის 31 ივლისის წერილში (№01/01-17/5323) პირდაპირ სთხოვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, რათა გასცეს წერილობითი თანხმობა განცხადებლების შემდგომი დამისამართების უზრუნველსაყოფად.

ამასობაში, მიმდინარე წლის 17 სექტემბერს განცხადებლებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას წერილით (№15/844/5-7) ეცნობათ, რომ „აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების დამისამართების საკითხი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.“

დღევანდელი მდგომარეობით, დევნილთა 74 ოჯახი კვლავ სამართლებრივად დაუცველი რჩება, ვინაიდან მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არ ემთხვევა მათი მიწერის ადგილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებლებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ სხვადასხვა სოციალური შეღავათების მიღებაშიც.

აღნიშნული გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, 2008 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველმა წინადადებით (№198/05-3/0979-06/1) მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, გიორგი არველაძესა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, კობა სუბელიანს, რათა მაქსიმალურად კოორდინირებულად განიხილონ ქ.თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №11-ე დაუმთავრებელ კორპუსში ფაქტობრივად მცხოვრები

დევენილების ამავე მისამართზე დარეგისტრირების საკითხი. აღნიშნული უწყებებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტების საქმე

2007 წლის 13 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით (№1356-07) მიმართეს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV და V კურსის სტუდენტებმა (დაუსწრებელი სწავლების ფორმა). სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ალექსანდრე შანგუა მათგან ზედმეტი თანხების გადახდას მოითხოვს დამატებითი კრედიტების ათვისების სანაცვლოდ. მათი განმარტებით, ხელშეკრულების დადების გარეშე, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის ზეპირი განცხადების საფუძველზე დაუსწრებელი სწავლების ათასზე მეტმა სტუდენტმა გადაიხადა თანხა, რომელიც უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალთან დადებული ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი მათ დაემუქრა, რომ თუ ამ თანხებს არ გადაიხდიან, კრედიტები არ მოუგროვებოდათ, დასწრებული სწავლების ფორმაზეც არ გადაიყვანენ. გამცხადებლების განმარტებით, ალ. შანგუამ მათ განუცხადა, რომ ის ყიდის კრედიტებს სტუდენტებზე, რომლებიც, სურვილისამებრ, შეიძენენ ან არ შეიძენენ აღნიშნულ კრედიტებს. მათ გამოთქვეს გარკვეული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ სოხუმის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტაციისა და სამართლებრივი აქტების გარეშე უკანონოდ ხდება თანხების მოზიდვა დაუსწრებელი სწავლების ფორმის სტუდენტებისაგან და ის დაკავებულია გაურკვეველი ფინანსური მაქინაციებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებს სტუდენტებმა ასევე განუმარტეს, რომ მათთვის წინასწარ ცნობილი არ ყოფილა იმ თანხის რაოდენობა, რომელიც საზაფხულო სემესტრის მოსმენისათვის უნდა გადაეხადათ. დასაწყისისათვის საუბარი იყო მცირე თანხებზე, ხოლო საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ უნდა გადაეხადათ დაახლოებით სამმაგი ოდენობა, ვიდრე ვარაუდობდნენ. გამცხადებლებმა ასევე წარმოადგინეს ქვითრები, რომლითაც დასტურება მათ მიერ I და II სასწავლო სემესტრებისათვის (სალაროს შემოსავლის ორდერი №106, №7777), ასევე საზაფხულო სემესტრისათვის (სალაროს შემოსავლის ორდერი №1) თანხის გადახდის ფაქტი. ასევე წარმოადგინეს ინდივიდუალური კონტრაქტები (№19-02; 09-133), რომელიც დადებულია სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისათვის და აწესრიგებს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალსა და სტუდენტს შორის წარმოშობილ ურთიერთობას. ხელშეკრულების თანახმად, 2002 წელს სწავლების წლიური საფასური მთელი პერიოდისათვის განისაზღვრა 360 ლარის ოდენობით. იმის მიუხედავად, რომ სხვა თანხებზე ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, V კურსელმა ვიტალი პერტახიამ ზაფხულის სემესტრის მოსმენისათვის გადაიხადა 262.50 ლარი. მის მსგავს მდგომარეობაშია უნივერსიტეტის ათასამდე სტუდენტი.

შექმნილი ვითარების შესწავლისა და გარემოებების დაზუსტების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სოხუმის უნივერსიტეტში და შეხვდნენ რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, ალექსანდრე შანგუას. საუბარში მან ვერ მიგვითითა ვერც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა ზაფხულის სემესტრისათვის სწავლის ღირებულებას და ახსენა თანხის გამოთვლის ე.წ. „ფორმულა“: $m : 48$, სადაც m უდრის ერთი სასწავლო წლის მანძილზე გადახდილი თანხის ოდენობას, 48 – არის წლის მანძილზე საშუალოდ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა, ხოლო მიღებული ჯამის ნამრავლი ზაფხულის სემესტრის მანძილზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე მიიღება ზაფხულის სემესტრის ღირებულება თითოეული სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ კურსის ღირებულების გამოთვლის აღნიშნული წესი არც ერთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ არის დაფიქსირებული. ალ.შანგუას განმარტებით, მითითებული „ფორმულა“ მონონებულ იქნა თათბირზე, თუმცა მან ვერ წარმოადგინა კოლექტიური ორგანოს სხდომის



ოქმები ან სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. აღ.შანგუამ კატეგორიული უარი განაცხადა სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე, რაც მას კანონით მოეთხოვებოდა. ასევე უარი განაცხადა ჩვენს მიერ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე.

სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ ასევე სოხუმის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დეკანს, დავით ჩიტაიას. მან დაადასტურა, რომ კრედიტის ღირებულება დაწესდა ზეპირად, თათბირზე. წერილობითი ფორმით ბრძანება დეკანატს არ მიუღია. მისი განმარტებით, ზაფხულის სემესტრის ბოლო კვირას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხელშეკრულებით დაიანგარიშა სტუდენტების მიერ დაგროვილი კრედიტები, თუმცა ამჯერად მათი რაოდენობა აღმოჩნდა უფრო ნაკლები, რამაც სტუდენტების პროტესტი გამოიწვია. ისინი ითხოვდნენ ხელშეკრულების გაფორმებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა თანხის გადახდა. დ.ჩიტაია თვლის, რომ V კურსის სტუდენტებს, რომელთაც ამონურეს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულება, ჩააბარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი, ზაფხულის სემესტრის ლექციები უნდა მოესმინათ საკუთრივ უნივერსიტეტის ხარჯზე.

ზაფხულის სემესტრი თსუ სოხუმის ფილიალში შემოღებულ იქნა ფილიალის დირექტორის 2007 წლის 15 ივნისის №04/01-85 ბრძანებით, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არაფერს ამბობს სწავლების საფასურზე. არ არსებობს სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან სტუდენტებთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც აღმოფხვრიდა მითითებულ ხარვეზს. რეალურად, მოხდა საკმაოდ დიდი თანხების გადახდევინება სტუდენტებისათვის მაშინ, როდესაც არ არსებობს სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტაცია.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სოხუმის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის, ალექსანდრე შანგუას ქმედებებში იკვეთება სამოხელეო დანაშაულის ნიშნები.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2007 წლის 3 სექტემბერს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, გიორგი ლაცაბიძეს.

2007 წლის 26 ოქტომბერს მიღებული ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსის, მ.გვარამიას წერილით (№გ25102007/48) გვეცნობა, რომ მასალები სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის, ალექსანდრე შანგუას მიმართ, წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში.

2007 წლის 19 ნოემბერს მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის, შოთა გენგაშვილის წერილით (№16-03-2227) გვეცნობა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარ სამმართველოში წინასწარი გამოძიება დაიწყო 2007 წლის 5 ნოემბერს, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, კერძოდ: თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე შანგუას მიერ უფლება-მოთხოვნების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. ამჟამად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიების მიერ სათანადო მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში დადგება დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. იგივე ინფორმაცია მოგვეწოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის, არჩილ გიორგაძის წერილით (№გ20.11.2007/92).

საქმე წარმოებამია.

ჯუმბერ მეფორიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს მოქალაქე ჯუმბერ მეფორიას განცხადებას (№1619-07). ის დევნილია აფხაზეთიდან და გააჩნია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონობა. ჯუმბერ მეფორიას განმარტებით, ამჟამად იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობს გალის რაიონის სოფელ საბერიოში. ოჯახის ხუთი წევრიდან სამი პენსიონერია, ორი – უმუშევარი. რამდენიმე წლის წინ, გამცხადებლის შვილმა გოდერძი მამფორიამ ავტოკატასტროფის შედეგად მიიღო თავის ტვინის მძიმე დაზიანება და ორივე ქვედა კიდურის სხვადასხვა ხასიათის მძიმე მოტეხილობები მიიღო. შედეგად, მას პირველი ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა. ამჟამად გოდერძი მამფორია პარალიზებულია და მიჯაჭვულია ლოგინს. ის საჭიროებს გადაადგილებულ ოპერაციებს, თუმცა მის ოჯახს სათანადო ფინანსური რესურსი არ გააჩნია. ჯუმბერ მეფორიას განმარტებით, მათი საცხოვრებელი სახლი, რომელიც სოფელ საბერიოში მდებარეობდა, მენყერმა დაანგრია, რის გამოც მათ უაღრესად რთულ სოციალურ პირობებში, ერთოთახიან ნაგებობაში უწევთ ცხოვრება.

გამცხადებლის განმარტებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთან მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების მიზნით, მან მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა მისი განცხადება არ იქნა დარეგისტრირებული. ამავე დროს, აღნიშნული დანესებულების თანამშრომელთა მხრიდან მას ზეპირად განემარტა, რომ სახელმწიფო სოციალური პროგრამები არ ვრცელდება გალის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 15 ნოემბერს სახალხო დამცველმა წერილით (№3477/05-3/1619-07) მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, დავით ლომიძეს და გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია: მონაწილეობენ თუ არა გალის რაიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სოციალურ პროგრამებში, აგრეთვე, გალის რაიონში მცხოვრები რამდენი ოჯახია დღეისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული. ხომ არ აწყდებიან ისინი რაიმე სახის სირთულეებს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისას, ან სოციალური დახმარებების მიღებისას.

2007 წლის 17 დეკემბერს მივიღეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ლომიძის პასუხი (№01-11/07/10946), რომლითაც გვეცნობა შემდეგი: „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილების თანახმად, მონაცემთა ბაზის ფორმირება ერთიანი სამართლებრივი პროცესია, რომელიც მოიცავს მასივური ოჯახის განაცხადის მიღებას, მის დამუშავებას, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებასა და სარეიტინგო ქულის მინიჭებას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ პროცედურების დასრულების შემდეგ ხდება ოჯახის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და შესაბამისად, ოჯახის სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა. ვინაიდან ჯუმბერ მეფორიას ოჯახი ცხოვრობს გალის რაიონის სოფელ საბერიოში, სააგენტოს წარმომადგენელი (სოციალური აგენტი) ვერ ახერხებს გადასვლას აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით. ამ მიზეზით ვერ ხორციელდება ჯუმბერ მეფორიას ოჯახის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სახალხო დამცველმა ჯუმბერ მეფორიას საქმესთან დაკავშირებით მიმართა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, მთავრობა „უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას“, „უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების განხორციელებას“. ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის მთავრობა „მონაწილეობს მართლწესრიგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში“.



აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მართვებობის სფეროს განეკუთვნება „იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (აგრეთვე, შესაძლებლობის ფარგლებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის მიმართული საქმიანობის წარმართვა“. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ.“ და „გ.დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სოციალური დაცვის სფეროში სამინისტროს ძირითად ამოცანას მიეკუთვნება „დევნილ მარტოხელა, უმწეო პენსიონერთა, 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა, მრავალსულიან ოჯახთა, უსინათლოთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა გამოვლენა, აღრიცხვა და მათთვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზაცია; დევნილი პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წლამდე ასაკის პირების, მრავალშვილიანი დედების, მარტოხელა დედების, დევნილთა სოციალურად დაუცველი სხვა ფენებისთვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დახმარების გაცემის ორგანიზაციაში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში“; „დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის პირების სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციის და სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის, სამედიცინო და ინტეგრაციის პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა; პროგრამების შემუშავება გრანტების მოსაპოვებლად“.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, 2007 წლის 22 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წერილით (№3263/05-3/1619-07) მიმართა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, დალილა ხორავას და გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა სახის სოციალური პროგრამებია გათვალისწინებული აფხაზეთის კანონმდებლობით, ასევე გამოითხოვა აღნიშნული სოციალური პროგრამების აღწერილობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები. სახალხო დამცველმა ამავე დროს მოითხოვა აფხაზეთიდან დევნილი ჯ.მეფორიას განცხადების შესწავლა.

აღნიშნული უწყებიდან 2007 წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილით (№1550) გვეცნობა, რომ ინდივიდუალური ხასიათის სოციალური პროგრამები აფხაზეთის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

საქმე წარმოებაშია.

ნანა ამაშუკელის საქმე

ნანა ამაშუკელმა განცხადებით (№439/ზ) მიმართა სახალხო დამცველს. გამცხადებლის განმარტებით, ის დევნილია სამაჩაბლოდან, კერძოდ ქ.ცხინვალიდან. 1994 წელს მან იქორწინა დავით აზნაურაშვილზე, რომელიც მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. ნანა ამაშუკელის განმარტებით, იმის გამო, რომ მან მეომარზე იქორწინა, მისი მშობლებიც გამოყარეს ქალაქ ცხინვალიდან 1994 წელს და აღნიშნული პერიოდიდან ყველანი ერთად ცხოვრობდნენ მის მეუღლესთან ქალაქ ბათუმში.

განცხადებიდან ირკვევა, რომ 1996 წელს ნანა ამაშუკელმა და მისმა მშობლებმა მიიღეს დევნილის სტატუსი. ვინაიდან იმ დროისათვის ოჯახი ბინას ქირაობდა, დევნილის მოწმობაში მათ მიუთითეს დავით აზნაურაშვილის მამის ბინის მისამართი. 1998 წელს გამცხადებლის მშობლებმა დატოვეს საქართველო და სამუშაოდ რუსეთის ფედერაციაში წავიდნენ.

1999 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ნანა ამაშუკელს განუცხადეს, რომ ვინაიდან გათხოვილი იყო ქალაქ ბათუმის მკვიდრზე, მას მოხსნილი ჰქონდა დევნილის სტატუსი და შესაბამისი დახმარება. გამცხადებელი მიუთითებს, რომ კანონის უცოდინარობის გამო მან აღნიშნული განმარტება სწორად მიიჩნია. მოგვიანებით, 2003 წელს, მან გამოარკვია, რომ მითითებული გარემოება დევნილის სტატუსის მოხსნის საფუძველი

არ იყო. ნანა ამაშუკელი მივიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სადაც განუმარტეს, რომ რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ის ვერ იღებდა დახმარებას, სხვა ინფორმაციის მიწოდება არ შეეძლოთ და მთელი რიგი საკითხები თავად გამცხადებელს უნდა გამოერკვია თბილისში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მეშვეობით.

ნანა ამაშუკელის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მან არაერთხელ მიმართა, თუმცა მისი განცხადებები დარჩა უპასუხოდ. საბოლოოდ, 2006 წლის 25 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ა.შველიძის წერილით (№01-17/7191) გამცხადებელს ოფიციალურად ეცნობა, რომ დევნილთა ერთიან კომპიუტერულ სიებში ის აღარ ფიქსირდება რეგისტრაციის გაუვლელობის გამო. იმავე წერილით ნანა ამაშუკელს გადაეგზავნა 1997 წლიდან 1999 წლამდე დევნილთა სარეგისტრაციო სიების ასლები. საგულისხმოა, რომ თითოეულ მათგანში გამცხადებელი და მისი მშობლები ფიქსირდებიან.

2007 წლის 16 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ა.შველიძის წერილით (№01-17/42) ნანა ამაშუკელს ეცნობა, რომ მისი განცხადება განხილვისა და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსს, ლაშა ბრეგვაძეს. 2007 წლის 14 მარტს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ირაკლი გორგაძის წერილით (№01/01-17/1857) გამცხადებელს ეცნობა, რომ დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის მას, პირადობის დამადასტურებელი მოწმობითა და შესაბამისი დოკუმენტაციით, პირადად უნდა მიემართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოსათვის, ქ.ზუგდიდში. ასევე შესაძლებელი იყო უშუალოდ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის მიმართვა. აღნიშნულ საკითხს სპეციალურად შექმნილი სარეკომენდაციო კომისია განიხილავდა.

2007 წლის 31 მაისს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის, ლაშა ბრეგვაძის წერილით (№06/01-17/3973) ნანა ამაშუკელს ისევ დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურა განემარტა.

გამცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 5 ივნისს თავის ორ ბავშვთან ერთად მან ზუგდიდში მდებარე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოსაც მიმართა, თუმცა მას იქ ისევ თბილისში ჩასვლა ურჩიეს. ამა წლის 22 ივნისს ნანა ამაშუკელი კვლავ გამოცხადდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გასაუბრებაზე. გამცხადებელს მოსთხოვეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ის ნამდვილად ცხოვრობდა ქალაქ ცხივნალში. 2007 წლის 24 ივნისს ნანა ამაშუკელი და მისი ოჯახის წევრები ჩავიდნენ ქალაქ ცხივნალში. გამცხადებელმა აიღო დაბადების მოწმობა. ამჯერად მას ქორწინების მოწმობა მოსთხოვეს. გამცხადებელმა აღნიშნული დოკუმენტიც წარადგინა სამინისტროში. 2007 წლის 27 ივლისს ნანა ამაშუკელმა მიიღო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის, ლაშა ბრეგვაძის წერილი (№06/01-17/5216), რომლითაც ეცნობა, რომ მისი შვილი პლასტიკური ბარათისა და შემწეობის თანხის მისაღებად უნდა გამოცხადებულიყო პირადად. გამცხადებლის განმარტებით, მან კვლავ მიაკითხა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. ნანა ამაშუკელი მიუთითებს, რომ აღნიშნული სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა, ლაშა ბრეგვაძემ მისი დაბადების მოწმობა დახია და უთხრა, რომ დოკუმენტი ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მან გამცხადებლისაგან უძრავი ქონების დეკლარაციის წარდგენაც მოითხოვა.

ამ დროიდან მოყოლებული ნანა ამაშუკელმა კიდევ რამდენიმე უწყებას მიმართა, თუმცა მისი მდგომარეობა არ გამოსწორებულა და პრობლემა ისევ დღის წესრიგში დგას.



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირები მათ მიერ შედგენილ წერილებში საუბრობენ ნანა ამაშუკელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე, და არა აღდგენაზე. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ გამცხადებელს დევნილის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა 1996 წლიდან 1999 წლამდე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა ემსჯელა მისთვის შეჩერებული სტატუსის აღდგენაზე, და არა ხელახლა მინიჭებაზე. დევნილის სტატუსის მინიჭება და დევნილის სტატუსის აღდგენა სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან და აბსოლუტურად სხვადასხვა პროცედურებს გულისხმობს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გაუვლელობა დევნილის სტატუსის შეჩერების საფუძველია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.“ ნანა ამაშუკელის შემთხვევაში კი, ვინაიდან მისთვის დევნილის სტატუსის შეჩერება გამოწვეული იყო სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გაუვლელობით, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაიაროს აღნიშნული რეგისტრაცია, რაც თავისთავად, ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევს მისი სტატუსის აღდგენას.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, 2008 წლის 4 იანვარს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა (№04/05-3) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს და შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა მის ხელთ არსებული მასალები. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

სიმონ გვარამიანის საქმე

2007 წლის 6 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით (№1940-07) მომართა მოქალაქე სიმონ გვარამიანმა. ის დევნილია და ამჟამად ცხოვრობს დმანისის რაიონის სოფელ სარკინეთში. გამცხადებლის განმარტებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში დაკარგა საკუთარი და მისი 3 შვილის დევნილის მონუმენტები, რის შესახებაც განაცხადა დმანისის რაიონის პოლიციის განყოფილებაში.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, „დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადამწყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონუმენტების ფორმის, მონუმენტის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანებით დამტკიცდა დებულება იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონუმენტის შესახებ. აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „დევნილის მონუმენტის დუბლიკატის გაცემა ხდება მონუმენტის გამოსაყენებლად უვარგისად ცნობის (დაზიანება და სხვა) ან დაკარგვის შემთხვევაში.“

2007 წლის 6 დეკემბერს სახალხო დამცველმა წერილით (№3670/05-3/1940-07) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე გახარაის და შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა მის ხელთ არსებული მასალებს. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

მოქალაქე

ა. ტოლიაშვილის საქმე

2007 წლის 18 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით (№1677-07) მომმართა მოქალაქე აკაკი ტოლიაშვილი, რომელმაც ვერ მიიღო საჯარო ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, თუ როდის იქნა დამტკიცებული მის დაქვემდებარებაში მყოფი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხა.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის „მ“ ქვეუნიქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მომსახურების მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გავზავნილი ინფორმაცია“.

თავისი შინაარსითა და ხასიათით ა. ტოლიაშვილის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ხასიათისა იყო. საჯარო ინფორმაციის თავისუფლება კი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პრო-

ფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან ნარუდგინოს სათანადო წესით დამონმებული ასლი“ ხოლო, ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

36

დანართი 10.

ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს
2007

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. რაც შეეხება საჯარო დაწესებულების ვალდებულებას ასლების მიწოდებაზე, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს დასახლებული კოდექსის 38-ე მუხლი, რომლის საფუძველზე, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის, გარდა ასლის გადაღებისთვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.“

ამდენად, დარღვეულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც თავის მხრივ არღვევს მოქალაქე აკაკი ტოლიაშვილის უფლებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რათა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე დაუყოვნებლივ გაეცათ მოქალაქე აკაკი ტოლიაშვილზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელათ იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა.

რეკომენდაცია დაკმაყოფილდა. მოქალაქე ა.ტოლიაშვილს გადაეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, თუმცა არ დამდგარა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ვერ უზრუნველყო მოქალაქისთვის დროულად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდება.

მოქალაქე მარინა სოლომონიშვილის საქმე

2007 წლის 11 ოქტომბერს სახალხო დამცველს საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემაზე განცხადებით (№1646-07) მომმართა მოქალაქე მარინა სოლომონიშვილმა. აღნიშნულმა მოქალაქემ საჯარო ინფორმაციის მისაღებად არაერთგზის მიმართა ქ.თბილისის მერიის ქველი თბილისის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდს მათ მიერ ლერმონტოვის ქუჩა №12-ში მოსახლეობისგან შესყიდული ფართის, 1 კვ/მ ღირებულების თაობაზე.

საქართველოს „სამოქალაქო კოდექსის“ 1509-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას არის ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო დაწესებულების

სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან არის საჯარო დაწესებულება.

„ზოგადი ადმინისტრაციული“ კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით აგრეთვე განსაზღვრულია, რომ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მომსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“.

გამომდინარე აქედან, მ.სოლომონიშვილის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო საჯარო ხასიათის და რადგან დარღვეული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც თავის მხრივ არღვევდა მოქალაქე მარინა სოლომონიშვილის უფლებებს, სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიის ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდს, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცა მოქალაქე მარინა სოლომონიშვილსთვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა.

რეკომენდაციაზე პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

გიორგი მოლოდინის საქმე

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი მოლოდინმა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გაირკვა, რომ 2007 წლის 3 სექტემბერს გ.მოლოდინმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის სახით მიეღო კონკრეტულ თანამდებობის პირთა გვარ-სახელები, რომელთაც 2004-2007 წლებში ისარგებლეს რეფერალური თუ სხვა სახელმწიფო პროგრამებით.

10 სექტემბრის წერილით გ.მოლოდინს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27 (პრიმა)-ე მუხლის, „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე, 28-ე მუხლების თანახმად, მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კონფიდენციალურია და სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს იგი პაციენტთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი მოლოდინს ვადის დარღვევით ეთქვა უარი მისთვის სასურველი ინფორმაციის მიღებაზე და არ განემარტა საჯარო ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრების წესი და ა.შ. რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად:

- „1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.“



ამასთან, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს 2007 წლის 10 სექტემბრის (№01-11/01/7428) წერილში მოყვანილ დასაბუთებას გიორგი მოლოდინის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თ) ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები განმარტებულია, როგორც საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა; 271-ე მუხლის თანახმად კი, „პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია“. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, **თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა**“.

თანამდებობის პირის განსაზღვრება მოცემულია საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლის მეორე მუხლი მიუთითებს, რომ „ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინი „თანამდებობის პირი“ გულისხმობს შემდეგ პირებს:

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;
- გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები; (25.05.2007 N4818)
- დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;
- ვ) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;
- ზ) საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები;
- თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- ი) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- კ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების ხელმძღვანელი;
- ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- მ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელები;
- ნ) ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, გამწვევი კომისიის რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები;
- ო) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პრეზიდენტის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები;
- პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;
- ჟ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;
- რ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი;
- ს) ამოღებულია (30.03.2007 N4603)
- ტ) ამოღებულია (5.06.2007 N4861)
- უ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

- ფ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილეები; (11.07.2007 N5249)
- ქ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;
- ღ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;
- ყ) მოსამართლე;
- შ) საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები; საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;
- ჩ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.“

კანონის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც მკაცრად უნდა იყოს გასაიდუმლოებული საჯარო დაწესებულების მიერ კერძო პირების და სხვა საჯარო მოხელეთა შესახებ, აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს თანამდებობის პირებთან მიმართებაში, რომელთაც ამომწურავად განსაზღვრავს კანონის ზემოაღნიშნული ნორმა. მათი პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მოქალაქისათვის. ამის თაობაზე მითითებულია ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი №9815/82, სერია AN#103), სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკოსები და თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციას, თავისი ნებით აყენებენ საკუთარ თავს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების წინაშე. ამდენად, მათ მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი სრულიად გასაგებია.

გარდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესებისა, ყურადსაღებია ევროპული სასამართლოს განმარტებანი სხვადასხვა საქმეებზე (მაგალითად, Ekin association-is, Informationsverein Lentia and others-ის, Autronic AG-ის საქმეები) ინფორმაციის თავისუფლებისა და მისი გავრცელების შეზღუდვების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა ჩაითვლება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად. შეზღუდვა დასაშვებია, თუმცა ის უნდა იყოს მართლზომიერი და ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული კანონით, ასევე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მიჩნეულია აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერსონალური მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, არის ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად პიროვნების სახელი, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონი და ა.შ, ამავე კოდექსის 44-ე მუხლი კი ადგენს თანამდებობის პირთა ამ მონაცემების საჯაროობას.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გიორგი მოლოდინის უარი არ უნდა ეთქვას კანონით დადგენილ თანამდებობის პირთა გვარ-სახელების მიღებაზე, რომელთაც ისარგებლეს სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით. განმცხადებელს არ მოუთხოვია ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ამდენად, „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოყვანა და ამ კუთხით ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება სხვა საჯარო მოხელეებს, მათ შესახებ ინფორმაცია უნდა დარჩეს გასაიდუმლოებული.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გიორგი მოლოდინის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ხასიათისაა იმ ნაწილში, რომელიც ეხება თანამდებობის პირებს.

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე და 40-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით



არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დაუყონებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არის გასაიდუმლოებული თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები, რაც თავის მხრივ არღვევს მოქალაქის კონსტიტუციითა და სხვა კანონებით გარანტირებულ უფლებებს. ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა გიორგი მოლოდინსთვის მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა და სამინისტრომ მიუთითა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის თაობაზე განცხადება შემოდის უშუალოდ მოქალაქეებისგან, ფიზიკური პირებისგან, სადაც არ არის მითითებული მათი თანამდებობები, შესაბამისად ვერ ხდება მათი იდენტიფიცირება და თანამდებობის პირისადმი მიკუთვნება.

გელა მთივლიშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გელა მთივლიშვილმა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გაირკვა, რომ 2007 წლის 16 აგვისტოს გაზეთ „იმედის“ მთავარმა რედაქტორმა, გელა მთივლიშვილმა მიმართა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის სახით მიეღო გურჯაანელ მოქალაქეთა წერილის ასლი, რომლითაც ისინი ბრალს სდებდნენ პირადად მას კონკრეტულ საკითხებში.

20 აგვისტოს წერილით გ.მთივლიშვილს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წერილის ასლის გადაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ამავე წერილიდან ცნობილი ხდება, რომ გ. მთივლიშვილის წინააღმდეგ მოყვანილი შენიშვნებისა და ბრალდებების შინაარსი მას საუბრის დროს გააცნეს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის 2007 წლის 24 აგვისტოს ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ წერილი, რომელსაც გელა მთივლიშვილი ითხოვდა, საჯარო ინფორმაციის სახით შეიცავს, როგორც თავად გელა მთივლიშვილის, ასევე კონკრეტულ თანამდებობის და ფიზიკურ პირთა პირად საიდუმლოებებს, რისი გამჟღავნებაც შელახავს მათ პატივსა და ღირსებას. წერილში, აგრეთვე, მითითებულია განმცხადებელთა ხელმოწერები, რომლებიც პირის იდენტიფიკაციის

შესაძლებლობას იძლევა. თქვენს ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია ისიც, რომ განმცხადებლები სხვა საკითხებთან ერთად მიუთითებდნენ თანამდებობის პირთა შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ.მთივლიშვილს უარი ეთქვა განცხადების ასლის მიღებაზე სრულყოფილი დასაბუთების გარეშე მას, აგრეთვე, არ განემარტა საჯარო ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრების წესი და ა.შ. რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად,

1. საჯარო დანესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დანესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დანესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.“

ვინაიდან, პირადი საიდუმლოების გაცემის შესახებ კონკრეტულ პირთა წინასწარი წერილობითი თანხმობა არ არსებობს, მიმაჩნია, რომ ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ამ ნაწილში წერილი უნდა დარჩეს გასაიდუმლოებული, ხოლო გელა მთივლიშვილის შესახებ არსებული ინფორმაცია და მოქალაქეთა შეხედულება თანამდებობის პირთა შესახებ უნდა გადაეცეს მოქალაქე გ.მთივლიშვილს შემდეგ გარემოებათა გამო:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თ) პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები განმარტებულია, როგორც საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა; 271-ე მუხლის თანახმად კი, „პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.“ 44-ე მუხლის თანახმად, „საჯარო დანესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა“.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. დასახელებული კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე, „პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დანესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

გამომდინარე აქედან, გელა მთივლიშვილის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას



განეკუთვნება იმ ნაწილში, რომელიც ეხება თავად ამ პიროვნებას და უკავშირდება მოქალაქეთა შეხედულებებს თანამდებობის პირებთან მიმართებაში.

ამასთან დაკავშირებით, არსებობს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება – ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ. გადაწყვეტილების 29-ე პარაგრაფის მიხედვით, პოლიტიკოსები და თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციას, თავისი ნებით აყენებენ საკუთარ თავს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების წინაშე, ამის გამო, ისინი უფრო ტოლერანტები უნდა იყვნენ მათ შესახებ გაკეთებული კრიტიკული განცხადებების მიმართ, თუნდაც ეს განცხადებები იყოს შეურაცხმყოფელი, ამაღლევებელი და შოკის მომგვრელი. ამ საქმეში, ევროპის სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, როდესაც ავსტრიის სასამართლოებმა ჟურნალისტს დააკისრეს სანქცია სიტყვა „იდოტის“ წოდებისთვის ავსტრიის კანცლერის იორკ ჰაიდერის მიმართ.

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე და 40-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გელა მთივლიშვილსათვის მის მიერ მოთხოვნილი წერილის ასლის გადაცემის მოთხოვნით, სადაც ღია იქნებოდაის ინფორმაცია, რომელიც ეხება თავად მას და მოქალაქეთა შეხედულებებს თანამდებობის პირთა შესახებ.

რეკომენდაცია დაკმაყოფილდა და ჟურნალისტმა მიიღო მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი.

**მიმდინარე წლის
24 ოქტომბერს სახალხო
დამცველს განცხადებით
მიმართა მოქალაქე
დავით ციბირაშვილმა**

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ განმცხადებელი არის შპს „გოგირდის აბანოს“ დამფუძნებელი და დირექტორი. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო აბანოს ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება. კერძოდ, მიწის ფართობი 233 კვ.მ. და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (აბანო).

განმცხადებელი განმარტავს, რომ მას, როგორც დამფუძნებელს და საწარმოს დირექტორს, მოსთხოვეს საკუთრება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის. ვინაიდან, მას არ სურდა ქონების გაჩუქება, დ. ციბირაშვილზე და მის ოჯახზე საქართველოს ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან სისტემატურად ხორციელდებოდა მუქარა. ემუქრებოდნენ, რომ ბრალს დასდებდნენ სხვადასხვა საფუძვლით და ციხეში ჩასვამდნენ. მოლაპარაკებები სპორტის, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროშიც მიმდინარეობდა, რის შემდეგაც, განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები პროკურატურის თანამშრომლის თანხლებით, ნოტარიუს ნინო გინტურთან მივიდნენ და 2006 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას.

ამჟამად დავით ციბირაშვილი სადავოდ ხდის ჩუქების ხელშეკრულებას. კერძოდ, საქარ-

თველოს სამოქალაქო კოდექსის 85-89-ე მუხლების თანახმად, იგი აპირებს სასამართლოს მიმართოს ხელშეკრულების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნით, რაც დასტურდება მისივე განცხადებით საქმის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ციბირაშვილის კანონიერი ინტერესი იყო სავარაუდო შემძენის მიმართ გაცხადება იმისა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო იძულებით და იგი აპირებდა დაეკავებინა კანონდარღვევით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით.

37

**დანართი 11. საკუთრების
უფლების ხელყოფა**

2007

2007 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდა აუქციონი, სადაც კერძო პირზე, ვინმე კახა კურდღელაშვილზე გაიყიდა განმცხადებლის საკუთრებიდან მისი ნების სანინალმდეგოდ გასული ქონება. აუქციონის ჩატარებამდე სახალხო დამცველის აპარატი გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც გაცხადებული იქნა აღნიშნული ფაქტის შესახებ, მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე, სამომავლო შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტორის გამორიცხვის მიზნით.

აუქციონის დროს განმცხადებელმა გამოიყენა შესაძლებლობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საჯაროდ განაცხადა იმის შესახებ, რომ აუქციონი ტარდებოდა კანონსა-ნინალმდეგო ქმედების შედეგად სახელმწიფოს მიერ ხელში ჩაგდებას.

აღნიშნულის მიუხედავად აუქციონი ჩატარდა, რის შედეგადაც აუქციონში გამარჯვებულ პირს, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვე-პუნქტის თანახმად, წარმოეშვა საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მოთხოვნის უფლება, თუმცა განმცხადებელმა შეინარჩუნა შესაძლებლობა, სასამართლოში სარჩელის შეტანით მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება და მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები) საფუძველზე არ ედავოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტორის შესახებ სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება და დავის განხილვის შედეგად აისახება მის გადანყვეტილებაში.

განმცხადებელი ასახელებს ქ.თბილისის პროკურატურის თანამშრომლების კონკრეტულ გვარებს (გიორგი ხვედელიძე და ვალერი ლაცუზბაია), რომლებმაც, მისივე თქმით, განახორციელეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით.

დ.ციბირაშვილის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ქ.თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 332-ე მუხლებით.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მიმართა რეკომენდაციით, ფაქტზე დაეწყო წინასწარი გამოძიება.

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გრიგოლ ხიზანიშვილმა

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ განმცხადებელი არის შპს „გოგიტას“ დამფუძნებელი და დირექტორი. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 20 ნოემბრამდე იყო აბანოს ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება. კერძოდ, მიწის ფართობი 708 კვ.მ. და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (ე.წ. ჭრელი აბანო).

განმცხადებელი განმარტავს, რომ მას, როგორც დამფუძნებელს და სწარმოს დირექტორს, მოსთხოვეს საკუთრება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის. ვინაიდან, მას არ სურდა ქონების გაჩუქება, გ.ხიზანიშვილზე და მის ოჯახზე საქართველოს ქ.თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან სისტემატურად ხორციელდებოდა მუქარა. ემუქრებოდნენ, რომ ბრალს დასდებდნენ სხვადასხვა საფუძველით და ციხეში ჩასვამდნენ. 2006 წლის 20 ნოემბერს განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები პროკურატურის თანამშრომლის თანხლებით, ნოტარიუს ნინო გინტურთან

მივიდნენ და 2006 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას.

დავით ციბირაშვილის მსგავსად, გ.ხიზანიშვილიც სადავოდ ხდის ჩუქების ხელშეკრულებას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-89-ე მუხლების თანახმად, იგი აპირებს სასამართლოს მიმართოს ხელშეკრულების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნით, რაც დასტურდება მისივე განცხადებით საქმის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

2007 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდა აუქციონი, სადაც ერთ-ერთ სანარმოზე გაიყიდა განმცხადებლის საკუთრებიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ გასული ქონება.

განმცხადებელი ასახელებს ქ.თბილისის პროკურატურის თანამშრომლების კონკრეტულ გვარებს (გიორგი ხვედელიძე, ვალერი ლაცუზბაია) რომლებმაც, მისივე თქმით, განახორციელეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით.

გ.ხიზანიშვილის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ქ.თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 332-ე მუხლებით. შესაბამისად, მან საქმის მასალები გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

განმცხადებლის ახსნა-განმარტება არ იყო დადასტურებული სხვა სახის უტყუარი მტკიცებულებებით, თუმცა წინასწარი გამოძიების დაწყება საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის სავალდებულო იყო. ფაქტია, რომ შეხსენების მიუხედავად, სახალხო დამცველს პასუხი გენერალური პროკურატურიდან ჯერაც არ მიუღია.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი იქნა მოქალაქე ჯემალ ნიკლაურის განცხადება

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

მოქალაქე ჯ.ნიკლაურმა 1996 წელს კონკურსის წესით შეიძინა გორის აგრარული ბაზარი და დააფუძნა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვი“.

მოქალაქე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ქ.გორში, გურამიშვილის ქ. №5-ში და მის საკუთრებაში იყო გორის მოქმედი ბაზარი, მინის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

2004 წლის 12 იანვარს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა განახორციელეს საბაზრო ობიექტის შემოწმება. მათ შორის იყო შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ ქარელი. პარალელურად, პროდუქტის გაყიდვის დროს ბაზარში მოვაჭრე გამყიდველმა შეცდომაში შეიყვანა მოქალაქე ალუდა ჯოხაძე და მას მოტყუებით გადაახდევინა 2 ლარი და 75 თეთრი. ამ ფაქტზე მ.ქარელმა საჯაროდ დაადანაშაულა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვის“ დამფუძნებელი ჯ.ნიკლაური, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უწოდა მას კორუმპირებული და მოითხოვა მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. აღნიშნული ინციდენტი ფართოდ იქნა გაშუქებული მედით.

ამის შემდეგ, გორის საგადასახადო ინსპექციამ განახორციელა არაგვეგმიური დოკუმენტალური რევიზია, რის შედეგადაც შედგენილი იქნა აქტი, რომლის თანახმად, ინდივიდუალურ საწარმო „ლიახვს“ დაეკისრა ჯარიმა საურავებით, სულ 287 000 ლარის გადახდა.

2004 წლის 23 თებერვალს შსს გორის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე ალუდა ჯოხაძის განცხადების საფუძველზე. ა.ჯოხაძე 2004 წლის 21 იანვრის



განცხადებაში მიუთითებდა, რომ ვინაიდან იგი გამყიდველმა მოატყუა, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ჯემალ ნიკლაური სახელმწიფოს უმაღლესად გადასახადებს.

ჯემალ ნიკლაურს წარედგინა ბრალი, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისათვის თავის არიდება).

აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. გამოძიების პროცესში იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ ჩატარდა ფინანსური ექსპერტიზა და დადგინდა, რომ ინდივიდუალური საწარმო „ლიახვის“ დავალიანება იყო არა 287 000, არამედ 37 000 ლარი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ წინასწარი პატიმრობის პირობებში, ფინანსური ექსპერტიზის დამთავრებამდე, მას უკვე გადახდილი ჰქონდა 58 886 ლარი. ამ პერიოდში დაინიშნა მ.ქარელი შიდა ქართლის გუბერნატორად და მან სასჯელალსრულების დაწესებულების უფროსის სამუშაო ოთახში ბრალდებული ორჯერ მოინახულა.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ შეხვედრების და სატელეფონო საუბრების დროს მ.ქარელი მას გამუდმებით ემუქრებოდა ფიზიკური განადგურებით და ოჯახის წევრების ციხეში ჩასმით, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხოლო მოთხოვნა იყო ჯ.ნიკლაურის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული ფსიქოლოგიური ზენოლის ფონზე იგი იძულებული გახდა, დაედო გარიგება საკუთარი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

2004 წლის 24 ივნისს ჯემალ ნიკლაურმა გორის რაიონის გამგეობას ჩუქების ხელშეკრულებით, გადასცა მის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტი, მინის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რაც შეფასებული არის 228 726 ლარად. გარიგება დამოწმდა ნოტარიუსის მიერ, ჯემალ ნიკლაურის პატიმრობის ადგილზე.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ჯემალ ნიკლაურმა ჩაიდინა დანაშაული და ამ ფაქტის უტყუარ მტკიცებულებად გამოძიებას ხელთ უპყრია ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება.

2004 წლის 13 სექტემბერს პროკურატურამ და ბრალდებულმა მიაღწიეს საპროცესო შეთანხმებას სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების საფუძველად მითითებულია ის ფაქტი, რომ ჯემალ ნიკლაურმა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 58 886 ლარი და ამავდროულად გორის რაიონის გამგეობას უსასყიდლოდ გადასცა თავის საკუთრებაში არსებული 228 726 ლარად შეფასებული ქონება.

დადასტურებით შეიძლება იმის თქმა, რომ 2004 წლის 13 სექტემბრის საპროცესო გარიგება წარმოადგენს არამართო სამართლებრივი ნორმების, არამედ სამართლის დარღვევის ერთმანეთში არევის და გაურკვევლობის ნიშნს. დაუშვებელია, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება (ხელშეკრულება) საფუძველად დაედოს საპროცესო შეთანხმებას. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი მიუთითებს, რომ „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის, ან შეწყვეტისკენ“, მაგრამ აქ საუბარია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს წარმოადგენს.

ამასთან, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება განმცხადებელს პრაქტიკულად აღარ აქვს, ვინაიდან ვერ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხოლო იძულებით დადებული გარიგების ემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქის ახსნა-განმარტება ალბათობის მაღალი ხარისხით ადასტურებს იძულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წყდება ფაქტებს შორის ლოგიკური ჯაჭვი. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ჯემალ ნიკლაური პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართ, გადასცა მთელი თავისი ქონება და ამის შემდეგ ცდილობდა სასამართლოს წესით მის დაბრუნებას.

სტუდია „მონიტორის“ მიერ განხორციელებული ჟურნალისტური გამოძიებით დასტურდება დანაშაულებრივი ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. 2004 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების ნამდვილობა დაამოწმა ნოტარიუსმა მალხაზ მახარაშვილმა მაშინ, როდესაც თავად მიუთითებს პროკურორისა და ბრალდებულის შეთანხმებაზე; რომ ჯემალ ნიკლაურმა სწორედ თავისუფლების სანაცვლოდ დათმო თავისი ქონება და ამ გარიგების უკან იდგა რამდენიმე გავლენიანი პირი. მათ შორის მიხეილ ქარელი, პროკურორი ტერაშვილი და პროკურორის იმჟამინდელი მოადგილე სოსიაშვილი.

სახალხო დამცველის შეფასებით ნოტარიუს მ.მახარაშვილის მიერ დარღვეულია როგორც „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ასევე იმ დროს მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს №321-ე ბრძანების (სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე) საკვანძო ნორმები (მე-4, მე-5, მე-7 და მე-11 მუხლები) და პრინციპები (დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის, პროფესიული მიუკერძოებლობის, დოკუმენტაციის შედგენა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად).

აღნიშნული დარღვევების გათვალისწინებით, განმცხადებლისთვის დამდგარი მძიმე შედეგის გამო, იკვეთება ნოტარიუსის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო პროკურორისა და მისი ყოფილი მოადგილის მიერ 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

იძულებითი ჩუქების გარდა სახალხო დამცველის აპარატში განხილულია ისეთი საქმეებიც, როცა მესაკუთრეებს მათი ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისებინეს (გააყიდინეს) ქონება. მაგალითად, ქ.სიღნაღში მოქალაქეების მანანა მაჭარაშვილის და თამარ თარაშვილის უძრავი ქონება მუქარისა და დაშინების შედეგად იქნა გაყიდული მათ მიერ.

ამა წლის 14 აგვისტოს სახალხო დამცველს №1365-07 განცხადებით მიმართეს შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ დირექტორმა იოსებ ქოქოლაძემ და მისმა წარმომადგენელმა იოსებ ბარათაშვილმა.

სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის ახსნა-განმარტებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“, რომლებიც საქართველოში არიან რეგისტრირებული, წარმოდგენენ კორპორაცია „SONY“-ს სტრატეგიულ პარტნიორებს საქართველოში. აღნიშნული საწარმოების საქმიანობის მიზანია კორპორაცია „SONY“-ს პროდუქციის რეკლამირება და მისი რეალიზაცია საქართველოში. შპს „ლაზერი-2 თბილისის“ 50% წილის მფლობელია ამერიკული კომპანია „IZZE ENTERPRISES“.

2006 წლის 1 იანვარს მოქალაქე მზია კაკაბაძესა და შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ.კაკაბაძემ მის საკუთრებაში არსებული 48,09 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი იჯარით გადასცა შპს „სონიცენტრი თბილისის“, ხოლო 200 კვ.მ. – შპს „ლაზერი-2 თბილისის“.



ხელშეკრულება ძალაში შევიდა დადებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 9 წლით, 2015 წლის 1 იანვრამდე.

საიჯარო ქირა თავდაპირველად განისაზღვრა ყოველთვიური გადასახდელის სახით 4500 ლარით (მათ შორის შპს „სონიცენტრი თბილისი“ – 500 ლარი, შპს „ლაზერი-2 თბილისი“ – 4000 ლარი).

2006 წლის 22 ნოემბერს მეიჯარე მ.კაკაბაძემ განმცხადებელს აცნობა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა იჯარით გაცემული ფართის გასხვისება და აქვე აღნიშნავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისი“ სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდებოდა ახალ მეიჯარესთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან. ანალოგიური შეტყობინებით მ.კაკაბაძემ 2006 წლის 30 დეკემბერს მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

2006 წლის 23 ნოემბერს მ.კაკაბაძემ, კანონით დადგენილი წესით, ჩუქების ხელშეკრულებით, საიჯარო ფართზე საკუთრება გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ამის შემდეგ, შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისი“ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ჩვეულებრივ გააგრძელა საიჯარო ურთიერთობა ქონების ახალ მესაკუთრესთან და 2006 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, ჯეროვნად ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას. კერძოდ, 2007 წლის 1 იანვრიდან მოიჯარეებს საიჯარო ქირა შექონდათ ნოტარიუსის მიერ გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე, რის თაობაზეც სამინისტროს ატყობინებდნენ წერილობით.

2007 წლის 12 თებერვალს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კ.დამენიამ №21/300/67 წერილით მოიჯარეებს შეატყობინა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც შესაძლებელი იყო საიჯარო ქირის ჩარიცხვა. ამავდროულად, წერილში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მითითებულია, რომ შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისი“ ვალდებულები არიან იჯარით დაკავებული ფართი გაათავისუფლონ 2007 წლის 1 ივლისამდე.

წერილის მიღების შემდეგ მოიჯარეები დროულად რიცხავდნენ საიჯარო ქირას აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე და დღეისათვის ქირა გადახდილია 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

იჯარით აღებულ ფართზე კომუნალურ გადასახადებს 2007 წლის აგვისტომდე იხდიდნენ მოიჯარეები. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იჯარით აღებული ფართის გარემონტებისა და სასაქონლო ბრუნვის გაზრდის მიზნით საწარმოებს აღებული აქვთ საბანკო კრედიტი 1 200 000 აშშ დოლარის და 350 000 ლარის ოდენობით და ყოველთვიურად იხდან შესაბამის საპროცენტო დანარიცხს.

2007 წლის 29 ივნისს საწარმოებმა მიიღეს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი, სადაც მითითებულია, რომ მოიჯარეების მიერ სამინისტროსათვის საიჯარო ქირის გადახდის ფაქტი არ ნიშნავს სამინისტროს თანხმობას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამავე წერილში კიდევ ერთხელ არის მითითებული, რომ ფართის გამოთავისუფლების ვადა იწურება 2007 წლის 1 ივლისს, თუმცა წერილში არ არის მითითებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის არც ერთი საკანონმდებლო საფუძველი.

2007 წლის 3 ივლისს განმცხადებელმა მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს. წერილში ხაზგასმულია სამინისტროს ვალდებულება და აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 1 იანვრამდე.

მიმართვის პასუხად, ამა წლის 13 ივლისს მოიჯარეებმა კვლავ მიიღო გაფრთხილება, რომ უმოკლეს ვადაში უნდა გაეთავისუფლებინა იჯარით აღებული ფართი.

ამის შემდეგ, საქართველოს შს სამინისტროს ადგილობრივ ორგანოს განცხადებით მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში, რუსთაველის №30-ში მდებარე უძრავი ნივთის ხელყოფის, ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აღნიშნული უძრავი ნივთით სარგებლობდა შპს „სონიცენტრი თბილისი“.

2007 წლის 31 ივლისს შპს „სონიცენტრი თბილისმა“ მიიღო წერილობითი გაფრთხილება შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოსგან იმის თაობაზე, რომ მოიჯარეს 5 სამუშაო დღის ვადაში ნებაცხოვლობით შეენწყვიტა სხვისი უძრავი ნივთის ხელყოფა, ან სხვაგვარი ხელშეშლა და გაეტანა ნივთები იჯარით აღებული ფართიდან.

განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული სახის გაფრთხილება არ მიუღია შპს „ლაზერი-2 თბილისს“.

2007 წლის 2 აგვისტოს მოიჯარეებმა შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს წარუდგინა წერილი და აღნიშნულ უძრავ ნივთზე მისი მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, 2007 წლის 7 აგვისტოს, შს სამინისტროს 200-მდე თანამშრომელმა გადააკეთა შპს „სონიცენტრი თბილისისა“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია, იძულების გზით შეამტვრიეს კარი, ხოლო მოიჯარეების ინვენტარი წაიღეს გაურკვეველი მიმართულებით. აღნიშნული ფაქტი დანვრილებით იქნა გაშუქებული მასმედიის საშუალებებით.

ამჟამად გამოსახლების პროცესი დასრულებულია, ხოლო მოიჯარეებმა განიცადეს დიდი ზარალი (მატერიალური ზარალის ზუსტი ოდენობა დადგინდება ექსპერტის დასკვნის შედეგად).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 651 მუხლის შესაბამისად, „1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.“

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსს აზუსტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“

2006 წლის 23 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის წმინდა სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და მას აღნიშნული ხელშეკრულების დადების მომენტიდან მოიჯარეებთან წარმოეშვა 2006 წლის 1 იანვრის (იჯარის) ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.“

სწორედ 317-ე მუხლში მითითებული, ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძველი აღინიშნება მოცემულ საქმეში. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით



სხვა რამ არ არის განსაზღვრული.“ კოდექსის 572-ე მუხლით კი განსაზღვრულია, შემდეგი: „თუ გამჭირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამჭირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.“

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, იმპერატიულად არის განსაზღვრული სამინისტროს კონკრეტული ვალდებულება – მისი ნებისგან დამოუკიდებლად გააგრძელოს 2006 წლის 1 იანვარს წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა შპს „სონიცენტრი თბილისთან“ და შპს „ლაზერი-2 თბილისთან“. კონკრეტულ ურთიერთობაში სამინისტრო წარმოადგენს ფიზიკური პირის, მ.კაკაბაძის უფლებამონაცვლეს.

უტყუარად არის დადგენილი და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოიჯარეები პირნათლად ასრულებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“ კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება, როგორც ვალდებულების დარღვევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.“

კონტრაქტის ცალმხრივი უარი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (ხელშეკრულებიდან გასვლა) მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, როდესაც მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი ცალმხრივად გასულიყო 2006 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებიდან და შესაბამისად, უარი ეთქვა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

თავის მხრივ, სამინისტროს მიერ ხელშეკრულებიდან უსაფუძვლო გასვლა არის ხელშეკრულების დარღვევა, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე, 572-ე, 394-ე და 408-ე მუხლების მიხედვით, შპს „სონიცენტრი თბილისისა“ და შპს „ლაზერი-2 თბილისისთვის“ წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.

უსაფუძვლოა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 22 ივნისის ნერილი გამოთქმული მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ მ.კაკაბაძე ვალდებული იყო სამინისტროსთვის გადაეცა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო უძრავი ნივთი და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოიჯარეებს ეკისრებოდათ ვალდებულება – გაეთავისუფლებინათ დაკავებული ფართი.

იმ შემთხვევაში, თუ მ.კაკაბაძემ არ შეასრულა ვალდებულება სამინისტროს წინაშე, სამინისტრო უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მოიჯარეების მიმართ მას პრეტენზიის წაყენების არავითარი საფუძველი არ გააჩნდა, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულების მხერვ იყო მ.კაკაბაძე და არა შპს „სონიცენტრი თბილისი“ ან შპს „ლაზერი-2 თბილისი“.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხელშეკრულებიდან თვითნებური (ცალმხრივი) გასვლით და თავისი მოვალეობების შეუსრულებლობით განმცხადებლის უფლებებთან და კანონიერი ინტერესებთან ერთად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საკვანძო პრინ-

ციპი – კეთილსინდისიერების პრინციპი. აღნიშნული პრინციპის განუხრელად დაცვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მოვალეობაა. მასზე დამოკიდებულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მაშინ, როდესაც სახელმწიფოებო ურთიერთობის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო.

რაც შეეხება ხელშეშლის აღკვეთის ფაქტს, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოსახლება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის სრული უგულვებლყოფით, რამაც გამოიწვია შპს „სონიკენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელყოფა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიფოებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“

კანონის დანაწესი, რომელიც მიუთითებს კანონისმიერი და სახელმწიფოებო შეზღუდვის შესახებ, სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი, რაც ასახულია კიდეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებაში. აღნიშნული ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველია, აღკვეთის ღონისძიებების დასრულებამდე უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.“

ამავე ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ „მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე აღნაგობის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის (მხოლოდ ბინაში ცხოვრების უფლებით), იჯარის, ქირავნობის ან თხოვების უფლებას, საჯარო რეესტრში არარეგისტრირებული ქირავნობის ან თხოვების ხელმწიფოებო, კანონიერ ძალში შესული სასამართლოს (კერძო არბიტრაჟის) გადაწყვეტილება ან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი, ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის მონაწილეობა ან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მხოლოდ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებისათვის) ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.“

დადასტურებულია და სადავო არ არის ფაქტი, რომ 2007 წლის 2 აგვისტოს წერილით განმცხადებელმა შპს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსს წარუდგინა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამის მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (უსაფუძვლო) მოთხოვნის შესრულება მოხდა კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გვერდის ავლით.

გარდა ამისა, ხელშეშლის აღკვეთის დროს შპს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ვინა-



იდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და უფლებამოსილების განხორციელებისას შეზღუდულია აღნიშნული კოდექსით (ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, რაც წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას), რადგან, ამ შემთხვევაში ორგანო არ ახორციელებდა დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნას, ან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. შესაბამისად, ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა მთელი რიგი ნორმები საქმის გარემოებების გამორკვევასთან და მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით, რაც უხეშად არის დარღვეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომელთა მხრიდან იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები – „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა (ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისისთვის“ უზრუნველყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უკანონო ქმედებით (ხელშეკრულებიდან გასვლით და ვალდებულების დარღვევით) გამონვეული ზიანის ანაზღაურება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერი ხარჯები, კონტრაქტთან მორიგების გზით უზრუნველყო სათანადო (ფულადი) კომპენსაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარეებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და სასამართლოში საქმის განხილვის პროცესმა შეიძლება მას გამოუსწორებელი შედეგი მოუტანოს, სახალხო დამცველმა მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრს, უმოკლეს ვადაში მიეღო გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აბსოლუტურად იდენტური გარემოებები გამოიკვეთა შპს „კაფე რუსთაველის“ საქმეში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისა და უკანონო გამოსახლების ჩათვლით. შესაბამისად, სახალხო დამცველმა იგივე შინაარსის რეკომენდაციით მიმართა სამინისტროს „შპს კაფე რუსთაველთან“ დაკავშირებით.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოიჯარეების გამოსახლებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურორს გადაუგზავნა მის ხელთ არსებული მასალები და იშუამდგომლა ზემოაღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყება.

განმეორებითი წერილის მიუხედავად მიმართვაზე საქართველოს გენერალური პროკურატურიდან პასუხი არ არის მიღებული.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხს, საპასუხო წერილით მინისტრის მოადგილემ სახალხო დამცველს დაუსაბუთებლად მოთხოვა მოეხდინა თავისი არგუმენტაციის უარყოფა, რადგან განმცხადებელს შეეძლო მისი სასამართლოში გამოყენება მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალებად.

მითითებული წერილის საპასუხოდ სახალხო დამცველმა ისევ მიმართა იგივე შინაარსის რეკომენდაციით ეკონომიკური განვითარების მინისტრს, რაც არ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან, მინისტრის არგუმენტაციით, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია თავისი არსით არ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე აქტს. შესაბამისად, მისი გაუზიარებლობის გამო თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება იქნას დასმული. რასაკვირველია, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლება აქვს იდავოს სასამართლოში, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები და ისარგებლოს მხარის ყველა საპროცესო უფლებით. ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაგრამ ზემოხსენებული საქმის განხილვა დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, რაც მხოლოდ განმცხადებლის ზარალს თუ გაზრდის. შესაბამისად, ასეთ (უდავო ხასიათის) საქმეზე დროულ და შესატყვის ანაზღაურებას თავად საჯარო ინტერესი მოითხოვს, რაც რეკომენდაციაშიც იქნა აღნიშნული.

გამოსახლება

სახალხო დამცველის აპარატში შემოდის უამრავი განცხადება რომლებიც ეხება უკანონო გამოსახლებას. საუბარია სამართალდამცავთა მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747-ე ბრძანების არასწორ გაგებაზე და ამ ბრძანებით დადგენილი პროცედურული წესების უხეშ დარღვევაზე.

ფორმალური ხასიათის დარღვევებზე (რომელთა არარსებობის შემთხვევაში შედეგის მხრივ საკითხზე იგივე გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული), რომელთაც არ გამოუწვევიათ არსებითი ზიანი, სახალხო დამცველს რეკომენდაციის სახით არ მოუხდენია რეაგირება, თუმცა გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც ერთი მხრივ (ძირითადად ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართვის შედეგად) სამართალდამცავი ორგანოები ახდენენ უსწრაფეს და ზოგჯერ უკანონო რეაგირებას და მეორე მხრივ დიდი ხნით ჭიანჭურდება, ან საერთოდ არ ხდება გამოსახლება, როცა ამას კერძო პირის/პირთა ინტერესი მოითხოვს.

2006 წლის 3 ნოემბერს განცხადებით მომმართა მოქალაქე ნადია ქორდელმა

სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის ახსნა-განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოირკვა შემდეგი გარემოებები: განმცხადებელი არის ქალაქ გორში, სუხიტაშვილის ქუჩა 22/32-ში მდებარე ბინის მესაკუთრე. საცხოვრებელი ბინა არის უფლებრივად უნაკლო, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

ნ.ქორდელის სიძე (ან გარდაცვლილი ჟუჟუნა ქორდელის ყოფილი მეუღლე) ტარიელ ხინჩიკაშვილი უკანონოდ არის შეჭრილი ხსენებულ საცხოვრებელ ბინაში და ძალადობის გზით (ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება), მანვე გამოასახლა ბინის მესაკუთრე თავის შვილთან ელენე ქორდელთან ერთად და დღეს განმცხადებელი ცხოვრობს უმძიმეს პირობებში გორის ნარკოლოგიურ ცენტრში.

ნადია ქორდელმა მიმდინარე წლის 2 აპრილს განცხადებით მიმართა შს გორის რაიონულ სამმართველოს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა რეაგირება, ტარიელ ხინჩიკაშვილის გამოსახლებასთან დაკავშირებით.

შს გორის რაიონულ სამმართველომ მიმართვის პასუხად ნ.ქორდელს აცნობა, რომ განცხადებაში დასმული საკითხი წარმოადგენს სამოქალაქო დავის საგანს, რაც განეკუთვნება სასამართლო კომპეტენციას და განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.



სახალხო დამცველმა გორის რაიონის შს სამმართველოს უფროსს განუმარტა, რომ 2006 წლის 8 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმოწერის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“ იგივე სახის დანაწესი დაემატა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მაისის №317 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიციაზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისა და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ი.მერაბიშვილმა გამოსცეს ნორმატიული აქტი საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის შესახებ.

2007 წლის 24 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747-ე ბრძანებით დამტკიცდა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის, ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის თანდართული წესი, პროცედურები და პირობები.

აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს მიერ ხელშეშლის აღკვეთას ხელს არ უშლის სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ან სასამართლო დავა.

ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (ან საკადასტრო გეგმა).

დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება, რომ განმცხადებელმა შს გორის რაიონულ სამმართველოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მკაფიოდ ჩამოაყალიბა მოთხოვნა, მიუთითა თავისი უძრავი ქონების მისამართი და სავარაუდო ხელმოწერის ვინაობა. ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებული იყო მიეღო ზომები მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამავე ბრძანებით დადგენილი წესის დაცვით, რაც არ განხორციელდა. უფრო მეტიც, განმცხადებელს უარი ეთქვა სულ სხვა მოტივით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და უხეშად ლახავს ნ.ქორდელის კანონიერ ინტერესს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის ამოცანაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად „საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. სწორედ საკუთრების უფლების უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმია განსაზღვრული ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებში სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით და მათი მოთხოვნის შესრულება პირდაპირ კავშირშია მესაკუთრის კანონიერ ინტერესთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა გორის რაიონულ სამმართველოს მიმართა რეკომენდაციით, რათა მომხდარიყო კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი განხორციელება და განმცხადებლის კანონიერი მოთხოვნის შესრულება მისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

მაჭარაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მანანა მაჭარაშვილი. 1995 წლიდან განმცხადებლისა და მისი მეუღლის, თამაზ გორელიშვილის საკუთრებაში იყო ქ. სიღნაღში დავით აღმაშენებლის ქ. №5-ში არსებული მიწის ნაკვეთი მასზე არსებული სავაჭრო ობიექტით (მაღაზიით).

მ.მაჭარაშვილის ახსნა-განმარტების თანახმად, 2007 წლის 10 იანვარს მას შეხვდა ქალაქ სიღნაღის გამგებელი გია ინანიშვილი და განუმარტა, რომ ქალაქში მიმდინარე გარდაქმნითი სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე საზოგადოებრივ საჭიროებას წარმოადგენდა მისი მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა. აქვე შეთავაზა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რაზეც მე-საკუთრემ უარი განაცხადა.

ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში გ.ინანიშვილმა კვლავ სცადა მოლაპარაკება, განუმარტა განმცხადებელს, რომ არსებობდა ინვესტორი, რომელსაც შეეძლო ერთ კვადრატულ მეტრში 300 დოლარის გადახდა. ურჩია მას დათანხმებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სამეწარმეო საქმიანობით ფინანსური პოლიცია დაინტერესდებოდა და მაღაზიასაც დაანგრევდნენ ქალაქის იერსახესთან შესაბამისობის გამო.

დადგენილია ფაქტი, რომ 21 აგვისტოს განმცხადებელთან მივიდა ფინანსური პოლიცია და ჩაატარა შემოწმება.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ უშუალოდ ფინანსური პოლიციის მხრიდან მიიღეს მუქარანარევი რჩევა სავაჭრო ობიექტის გაყიდვასთან დაკავშირებით. მუქარის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში მისი მეუღლე ციხეში აღმოჩნდებოდა.

ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 5 სექტემბერს. სავაჭრო ობიექტი გაიყიდა 21 000 აშშ დოლარად. განმცხადებელს ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსთვის ჯერ არ მიუმართავს.

აღსანიშნავია, რომ მითითებული ობიექტი დაყადაღებულია და ეს ასახული იყო საჯარო რეესტრის ამონაწერში. სამოქალაქო სამართლებრივი გაგებით უძრავი ნივთის დაყადაღება ნიშნავს მესაკუთრისთვის მისი გასხვისების აკრძალვას სასამართლოს მიერ. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, ნივთზე ყადაღის არსებობა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ნივთზე უფლების ხელახალი რეგისტრაცია მაინც მოახერხა.

თარაშვილის საქმე

თამარ თარაშვილის საკუთრებაში არსებული მაღაზია მდებარეობდა ქალაქ სიღნაღში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე №7-ში.

განმცხადებლის განმარტებით, გასული წლის ზაფხულში გ.ინანიშვილმა მას ნაუყენა ულტიმატუმი, რომ გაეყიდა მაღაზია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი საქმიანობით დაინტერესდებოდა ფინანსური



პოლიცია და მალაზიასაც დაუნგრევდნენ, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა ქალაქის იერსახეს. მის შეთავაზებაზე – თავად გაერემონტებინა მალაზია, ქალაქის მერმა უარი განაცხადა, რის შემდეგაც, განმცხადებლის განმარტებით, იგი დარწმუნდა, რომ გ.ინანიშვილის მიზანი იყო ობიექტების ხელში ჩაგდება.

ამის შემდეგ, თ.თარაშვილის მალაზიაც შეამონმა ფინანსურმა პოლიციამ. განმცხადებლის განმარტებით, მათ არ წარმოუდგენიათ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები და მათვე შესთავაზეს მალაზიის გაყიდვა. განუმარტეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ოდენობის ჯარიმას დააკისრებდნენ. ამის შემდეგ, განმცხადებელი დათანხმდა ობიექტის გაყიდვას.

ამის შემდეგ, განმცხადებლის განმარტებით, იძულებით მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ფინანსური პოლიციის, შსს-ს და პროკურატურის თანამშრომლები.

შეფასება:

განმცხადებლების ახსნა-განმარტების სარწმუნოების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. თუმცა მაღალი ალბათობით უნდა ითქვას, რომ მათ მიერ დადებული გარიგება ნასყიდობის თაობაზე არ იყო მათი ნამდვილი ნების გამოვლენა, ეს მოხდა მუქარის შიშით. განმცხადებლებს განუმარტავდნენ, რომ მათ მიერ ქონების დათმობა იყო აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. ასეთ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ საკუთრების ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო ყველა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია კანონით „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ და არა მესაკუთრეთა დაშინებით და მუქარით.

ბადურ მილაშვილის საქმე

2008 წლის 4 თებერვალს განცხადებით მომმართა მოქალაქე ბადურ მილაშვილმა სახელმწიფოსთან იძულებით დადებული ხელშეკრულების თაობაზე. მოქალაქემ განაცხადა, რომ იგი აიძულეს თავისი ქონება გადაეცა სახელმწიფოსთვის, იძულების გარეშე მას ასეთი ნება არ გააჩნდა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული პიროვნების საქმის შესახებ სახალხო დამცველის აპარატს ინფორმაცია ჯერ კიდევ 2007 წლის იანვარში ჰქონდა. იმ დროისათვის სიღნაღის მუნიციპალიტეტში ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, სწორედ მათ შორის იყო ბადურ მილაშვილი და გელა ბეჟაშვილი. აღნიშნული შემთხვევების შესასწავლად სახალხო დამცველის წარმომადგენლები სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩავიდნენ, თუმცა მხოლოდ გელა ბეჟაშვილთან მოხერხდა შეხვედრა, ვინაიდან, როგორც ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, ბადურ მილაშვილთან კონტაქტი არ მყარდებოდა, რადგანაც ის დაშინებული იყო და ვერ ბედავდა იძულების ფაქტზე საუბარს.

განმცხადებლის განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ბადურ მილაშვილი 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო ქ. სიღნაღში ივ.ლოლაშვილის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (საერთო ფართი 535 კვ.მ) მესაკუთრე, რაც დასტურდება ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 2006 წლის 14 დეკემბერს მოქალაქე ბადურ მილაშვილსა და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ბადურ მილაშვილმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ.სიღნაღში ივ.ლოლაშვილის ქ.№1

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს, ჩუქების ხელშეკრულებები იძულებით დაიდო რამდენიმე პირთან მათ შორის გელა ბეჟაშვილთან, რომლის საქმეც არაერთხელ აისახა სახალხო დამცველის

საპარლამენტო მოხსენებებში (მან სახელმწიფოს ჩუქების სახით უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული, ქ. სიღნაღში ერეკლე II №1-ში მდებარე ტერიტორია საერთო ფართობით 720 კვ.მ)

ბადურ მილაშვილის 2008 წლის 4 თებერვლის განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 13 დეკემბერს, ღამით უცნობმა ადამიანებმა იგი წამოიყვანეს სოფელ ბოდბისხევიდან ქ. წნორში და დაემუქრნენ, თუ მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს სახელმწიფოს არ აჩუქებდა, მას და მის ოჯახს პრობლემები შეექმნებოდა, ბადურ მილაშვილის განმარტებით, იგი დაშინდა და ყოველივე ამის შემდეგ მეორე დღესვე ანუ 14 დეკემბერს მან ხელი მოაწერა ჩუქების ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 85-ე, 86-ე, 87-ე მუხლებიდან, მიმაჩნია, რომ 2006 წლის 14 დეკემბერს ბადურ მილაშვილსა და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილ გარიგებას შემდეგ გარემოებათა გამო:

დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ ბადურ მილაშვილი ნამდვილად იყო ქ.სიღნაღში ივ. ლოლაშვილის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (საერთო ფართობი 535 კვ.მ) მესაკუთრე, რაც ვლინდება საჯარო რეესტრის ამონაწერიდანაც და 2006 წლის 14 დეკემბრის სანოტარო აქტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.“ სწორედ იმ ფაქტს, რომ ამ მონაცემების უზუსტობის დამადასტურებელი დოკუმენტი არავის წარმოუდგენია, ამონიშნავს ნოტარიუსი გიორგი ლომაშვილი ზემოხსენებულ სანოტარო აქტში. ამდენად 2006 წლის 14 დეკემბრის მონაცემებით ქ. სიღნაღში ივ. ლოლაშვილის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართობი 535 კვ.მ) იყო ბადურ მილაშვილის საკუთრება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“ გარიგების განმარტებისას კანონმდებელი აღნიშნული მუხლის კომენტარში ეყრდნობა ნების გამოვლენის თეორიას და მიუთითებს, რომ გარიგება არის კერძო ნების გამოვლენა. სრულიად შესაძლებელია, შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ეს კი არის საფუძველი ნების გამოვლენის ბათილობისა. შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება ინტერესის საგანი ხდება მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს კონფლიქტი. მოცემულ შემთხვევაში, ბადურ მილაშვილის მიერ გამოვლენილი ნება არსებითად ეწინააღმდეგება მის შინაგან ნებას, ვინაიდან იგი განმარტავს, რომ მან იძულებით გამოხატა ასეთი ნება.

ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“ მოცემულ შემთხვევაში ბადურ მილაშვილსა და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული გარიგება ბათილია კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევით დადების გამო, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, აქ ადგილი არა აქვს ნების ნამდვილ გამოვლენას. ამდენად, აღნიშნული მუხლის მიხედვით, იგულისხმება, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია როგორც ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი, ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. ბადურ მილაშვილის შემთხვევაში სახეზე გვაქვს ყველა ის სპეციალური საფუძველი, რაც ახასიათებს იძულებით დადებულ გარიგებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დალო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან“. ამდენად, იძულე-



ბის დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვლენაში, რაც მიზნად ისახავს გარიგების დადებას. ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში განხორციელდა ჩარევა გელა ბეჟაშვილის ნების გამოვლენაში, რაც მიზნად ისახავდა ჩუქების ხელშეკრულების გზით სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ასეთი ნება არ მომდინარეობდა თავად ბადურ მილაშვილის მხრიდან, ის ნაიყვანეს, დაემუქრნენ და აიძულეს, რომ გამოეთქვა ქონების გადაცემის სურვილი. სამოქალაქო კოდექსი ადგენს, აგრეთვე, იძულების გამოხატვის ფორმებსა და ხასიათს. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში და მუქარაში. პირველ მათგანს მაშინ აქვს ადგილი, როცა პირს ფიზიკური იძულებით, ძალის გამოყენებით მოანერინებენ ხელს გარიგებაზე ან მძიმე ფიზიკური ტანჯვის მიყენებით, ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში არწმუნებენ, იკისროს ვალდებულება. მუქარის შემთხვევაში, პირი იძულებული ხდება მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიშით მოახდინოს სხვის მიერ ნაკარნახევი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა ბ.მილაშვილის მიმართ, ვინაიდან მას დაემუქრნენ მისი ოჯახისათვის პრობლემების შექმნით. აღნიშნულს კი, ასევე, სამართლებრივად ანესრიგებს დასახელებული კოდექსის 87-ე მუხლი, რომლის თანახმად, „იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.“

გარიგების ბათილობისა და მართლზომიერების შეფასებისას, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს იძულების ხასიათს, სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად,

- „1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.
- 2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.“

ამდენად, იძულება უნდა იყოს რეალური, გათვალისწინებულ უნდა იქნას, ვისგან მოდის იძულება და ვის მიმართ ხორციელდება იგი. მოცემულ შემთხვევაში, ბ.მილაშვილი, რომელზედაც განხორციელდა იძულება, არის მოქალაქე, რომელსაც, ჰყავს მეუღლე და შვილები, ხოლო გარიგების მეორე მხარე არის სახელმწიფო თავისი ძლიერი და უზარმაზარი აპარატით. მის დაქვემდებარებაში არის ქვეყნის ყველა ძალოვანი უწყება, სახელმწიფოზე დამოკიდებული კერძო მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა. ერთი სიტყვით, ერთ მხარეზე დგას აშკარად ძლიერი კონტრაგენტი, რომელსაც აბსოლუტური ძალა შესწევს, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რაც უარყოფითად აისახება მეორე მხარეზე ანუ რეალურად შეასრულოს მუქარა. ამდენად, ბადურ მილაშვილი განმარტავს, რომ მას ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ ის პირები რომლებმაც იგი 13 დეკემბერს ღამით ნაიყვანეს ქ. წნორში ნამდვილად შეძლებდნენ მუქარის შესრულებას. აღსანიშნავია, აგრეთვე, მუქარის განხორციელების დრო, ადგილი და ვითარება. ბ.მილაშვილი გამიზნულად მიჰყავთ ღამით, ვინაიდან შიშის ფაქტორი ასეთ დროს გაცილებით ძლიერია. ამ სურათის ნარმოდგენის შემდეგ აღარ არსებობს ეჭვი, რომ ბ.მილაშვილმა აბსოლუტურად რეალურად აღიქვა განხორციელებული მუქარა და იმ ღამესვე მისი ნების სანინააღმდეგოდ ხელი მოანერა ჩუქების ხელშეკრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დარღვეულია მთელი რიგი კანონთა მოთხოვნები, დარღვეულია ქვეყნის მთავარი კანონი – კონსტიტუცია, რომლის თანახმად საკუთრება ერთ-ერთი გარანტირებული და მყარად დაცული უფლებაა, მოცემულ შემთხვევაში, ასევე, იგნორირებულია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნების გამოხატვის თავისუფლება, რაც თავის მხრივ ადასტურებს მოქალაქე გელა ბეჟაშვილის უფლებების დარღვევას. გამომდინარე აქედან, მიმაჩნია, რომ 2006 წლის 14 დეკემბერს ბ.მილაშვილსა და სახელმწიფოს (სიღნაღის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების განყოფილება) შორის დადებული გარიგება ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ბადურ მილაშვილს უნდა დაუბრუნდეს იძულებით გასხვისებული საკუთრება, ხოლო აღნიშნული ქონების ჩამორთმევით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად ან, მორიგების შემთხვევაში, ბადურ მილაშვილს უნდა შეეთავაზოს მისი ქონების ადეკვატური ღირებულების კომპენსაცია.

თაბუკაშვილის ქუჩა

თაბუკაშვილის ქ. №50-52-ში მცხოვრებმა მოქალაქეებმა სახალხო დამცველს ჯერ კიდევ 2006 წლის მარტში მიმართეს მათი შენობის უკანონო დემონტაჟისა და საკუთრების ხელყოფის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ქ.თბილისის მერიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შეწყვიტა ზედამხედველობის სამსახურის ის უკანონო ქმედებები, რომლებიც მიმდინარეობდა კანონის მოთხოვნათა დაუცველად და მიმართული იყო ამ შენობის დემონტაჟისკენ. უნდა ითქვას, რომ 2006 წლის გაზაფხულზე თაბუკაშვილის ქუჩაზე აღმართული მაღალსართულიანი სახლი გადაარჩა.

საქმის ფაქტობრივი გარემოება:

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ დასახლებული სახლის პროექტი შეთანხმდა მთავარი არქიტექტორის 1998 წლის 3 ივნისის №292 ბრძანებით, ხოლო 1998 წლის 31 დეკემბერს არქმშენისსპექციიდან გაიცა მშენებლობის ნებართვა №297. შემდგომში პროექტმა განიცადა კორექტირება, რაც დამტკიცდა მთავარი არქიტექტორის 2001 წლის 8 მაისის №133 ბრძანებით. კორექტირებულ პროექტზე მშენებლობის ნებართვა საქმეში არ დევს, თუმცა ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასკვნაში მითითებულია, რომ 2002 წლის 15 თებერვალს არქმშენისსპექციის მიერ მშენებლობის ნებართვა უვადაოდ გაგრძელდა. აქედან გამომდინარე, 2003 წლის 3 აპრილის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით, ხელახალი კორექტირებული პროექტის დამტკიცების შემდეგ მშენებლობის ნებართვა აღარ გაუციათ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტის ცნობიდან ირკვევა, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების „სნიპ 2.03.01-84“-ის 2.5 პოზიციის თანახმად, ზემოაღნიშნული შენობის მშენებლობისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბეტონი არანაკლებ ბ25 კლასის, რაც შეესაბამება ბეტონის 300 მარკას, ხოლო რადიოფიზიკური სამშენებლო ლაბორატორია „ბინულის“ მიერ შედგენილი საპროექტო ლაბორატორიული დაკვნის მონაცემებით, რკინაბეტონის სვეტებში გამოყენებული ბეტონი სხვადასხვა სართულზე 300 მარკაზე ნაკლებია, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას შენობას, განსაკუთრებით სეისმური ძალების ზემოქმედებისას. დასკვნაში მითითებულია, რომ ბეტონის დაბალი მარკა ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული შენობის სიმტკიცეს, კერძოდ, დარღვეულია „სნიპ 2.03.01-84“-ის 2.5 პოზიციის მოთხოვნა.

საქმეში წარმოდგენილია, აგრეთვე, 2006 წლის 25 მარტის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ოქმი №115 (ბეტონის სიმტკიცის დადგენა უშუალოდ კონსტრუქციაში ურღვევი მეთოდით). დასახლებული ოქმის თანახმად, თაბუკაშვილის ქ. №50-52-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შემონგებისას დადგინდა, რომ „პროექტით მიღებულ 14-300 მარკას შეესაბამება ბეტონის კლასი 13 225 სიმტკიცით 12-28,9 მგჰა (295კგ/სმ²).

2007 წლის 20 ივლისს ქ.თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გამოსცა დადგენილება №00000092 არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, რომლის საფუძველზეც დაადგინა თაბუკაშვილის ქ. №50-52 სახლის დაუყოვნებელი დემონტაჟი.

დასახლებულ დადგენილებაში, აგრეთვე, მითითებულია, რომ ობიექტის შემონგების შედეგად გამოვლინდა არაერთი დაღვევა (იხ. დადგენილება, გვ.2), ამასთან, ბინის მესაკუთრეებმა არ შეასრულეს მინერილობის პირობები, რომელიც მათ ჩაბარდათ 2007 წლის 25 ივნისს.

სწორედ ზემოაღნიშნული დარღვევის გამო, გადაწყდა შენობის დემონტაჟი, რომელიც უნდა აღსრულებულიყო დაუყოვნებლივ. საფუძვლად მითითებულია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, „დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თუ დარღვევის დაუყოვნებლივ გამოუსწორებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტე-



რებს, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მინერილობის პირობების თავის მიერ ან მესამე პირთა მეშვეობით ან/და საკუთარი ხარჯით შესრულების თაობაზე. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.“

ბინის მესაკუთრეებმა დაუყოვნებლივ მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ქმედების შეჩერება სარჩელის აღძვრამდე, რაც არ დაკმაყოფილდა 2007 წლის 20 ივლისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით. სასამართლო მთლიანად დაეყრდნო ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებაში მოყვანილ ფაქტებს და დადგენილად მიიჩნია ისინი. სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილების გადაუდებელი აღსრულება გამართლებული იყო აღნიშნულ შენობაში მცხოვრებ, აგრეთვე, მათ მეზობლად მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

შემდგომში ბინის მესაკუთრეებმა აღძრეს სარჩელი 2007 წლის 20 ივლისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თუმცა დღეისათვის ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან, მოურიგდნენ ქ.თბილისის მერიას და მათთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ მიიღონ სხვა საცხოვრებელი ბინები, რომელთა მშენებლობა ჯერ არ არის დაწყებული.

სახალხო დამცველის შეფასება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგენილება გამოიცა 2007 წლის 20 ივლისს, იგი იმავე დღეს ჩაბარდათ მესაკუთრეებს და სწორედ იმავე დღეს დაიწყო შენობის დემონტაჟი. ბინის მესაკუთრეებს არ მიეცათ გონივრული ვადა იმისათვის, რომ თუნდაც გაეზარებინათ, სად წავიდოდნენ ღია ცის ქვეშ დარჩენილები, არ აცალეს დაფიქრება, როგორ დაეცვათ საკუთარი უფლებები. ისინი შეურაცხველეს, გამოყარეს სახლებიდან, დაუზიანეს ავეჯი და სხვა ქონება, დაუნგრეს საკუთარი სახლები და მიაყენეს უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანი. უდიდეს ეჭვს იწვევს საფუძველი იმ დადგენილებისა, რომელიც ასე სწრაფად გამოიცა და იმავე დღეს აღსრულდა კიდევ. მართალია, სასამართლოს არ უმსჯელია და არ განუმარტავს, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობები, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის დანგრეული შენობა უფრო ნაკლები საფრთხის მატარებელი იყო, ვიდრე თაბუკაშვილის ქუჩასა თუ სხვა ძველ უბნებში მდგარი საუკუნის სახლები, რომლებიც ყოველდღე იშლება და საფრთხეს უქმნის ადამიანთა საციცხლეს. თაბუკაშვილის ქუჩაზე მდგარი მრავალსართულიანი სახლის ნგრევა გამიზნული იყო კონკრეტული შედეგის მისაღწევად და არა კანონისმიერი საფუძვლის არსებობით.

სავალალოა ფაქტი იმის შესახებაც, რომ მხარე პრინციპულად ვერ იდავებს სასამართლოში და მოურიგდება ქ. თბილისის მერიას. ვფიქრობ, ეს არის შიში სახელმწიფოსადმი, უნდობლობა სასამართლოსადმი და იმის განცდა, რომ სამართლის საპოვნელად ევროპულ სასამართლოში დიდხანს მოუნვეს სიარული, ამიტომ დათანხმდა სახელმწიფოს პირველივე, ყველაზე მისაღებ შემოთავაზებას.

შპს „ლინქის“ საქმე

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შპს „ლინქის“ დირექტორმა გიორგი ჯაოშვილმა.

სახალხო დამცველის აპარატში საქმის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

შპს „ლინქი“ დაფუძნებულია საქართველოში და მისი მესაკუთრე არის მოქალაქე არკადი პატარკაციშვილი. შპს-ს არსებობის მანძილზე მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულების დადების გზით მთანმინდის პარკის რეაბილიტაცია.

2005 წლის 2 მარტს ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის დაიდო ხელშეკრულება „მთანმინდის პარკის რეაბილიტაციის, ინვესტირებისა და გრძელვადიანი იჯარის შესახებ“. გარიგება დადებული იქნა წერილობითი ფორმით და დამონმდა ნოტარიუსის მიერ.

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ქ.თბილისის მთავრობამ აიღო ვალდებულება, შპს „ლინქსის-თვის“ გადაეცა ქ.თბილისში მდებარე მთანმინდის პარკი 49 წლის ვადით. კერძოდ:

1) მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 212 901 კვ.მ, რომლის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 130 000 ლარით. 2) შპს „მთანმინდის პარკის“ სანესდებო კაპიტალიდან ამოღებული ძირითადი საშუალებები. წლიური საიჯარო ქირა – 16 000 ლარი. 3) შპს „თბილბაგირტრანსის“ სანესდებო კაპიტალიდან ამოღებული მთანმინდის ფუნქციონირი და საბაგირო გზა, ყველა სადგურის ჩათვლით. წლიური საიჯარო ქირა – 74 000 ლარი.

შპს „ლინქსისთვის“ საიჯარო ქონების ფაქტობრივ გადაცემასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მთავრობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გაჭიანურდა, რაც დადასტურებულია ქ.თბილისის მთავრობის კორესპონდენციებით და მოგვიანებით გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, ქონების გადაცემისთვის საჭირო გახდა ტექნიკური და სამართლებრივი ხასიათის საკითხების მოგვარება. მაგალითად: მთანმინდის ფუნქციონირის და საბაგირო გზის ობიექტები; სადგურები, საყრდენი სვეტები, სალიანდაგო გზები და სხვა, არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებად. შესაბამისად, შეუძლებელი იყო შპს „ლინქსის“ სახელშეკრულებო უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში საიჯარო ობიექტზე.

მსგავსი საკითხების მოსაგვარებლად ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება 2007 წლის 11 აპრილს (სანოტარო წესით). ახალი ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „ლინქსს“ იჯარით გადაეცა: 1) მთანმინდის ფუნქციონირის სალიანდაგო გზა; 2) მთანმინდის ფუნქციონირის ქვედა სადგური; 3) მთანმინდის საბაგირო გზის ზედა სადგური; 4) მთანმინდის საბაგირო გზის ქვედა ბაგირის საყრდენი სვეტი.

შპს „თბილბაგირტრანსის“ სანესდებო კაპიტალში არსებული უძრავი ქონებიდან ქ. თბილისის მთავრობას შპს „ლინქსისთვის“ გადასაცემი დარჩა მთანმინდის ფუნქციონირის ზედა სადგური, მთანმინდის საბაგირო გზის ქვედა სადგური და ზედა ბაგირის საყრდენი სვეტი.

შპს „ლინქსის“ დირექტორის, გიორგი ჯაოშვილის განმარტებით, მოგვიანებით გაირკვა, რომ მთანმინდის საბაგირო გზის ქვედა სადგური და ზედა ბაგირის საყრდენი სვეტი 2007 წლის 11 აპრილისთვის არ იყო რეგისტრირებული ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში და ამიტომ შპს „ლინქსს“ ობიექტები ვერ გადაეცა იჯარით. შემდგომში მოხდა მათი რეგისტრაცია და დადგა აუცილებლობა 2005 წლის 2 მარტის იჯარის ხელშეკრულებაში შესულიყო შესაბამისი ცვლილებები. შედეგად, მომზადდა ხელშეკრულების ცვლილებები, რომელიც მოწონებული იქნა ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 სექტემბრის №19.27.653 დადგენილებით „ქ.თბილისში მთანმინდის პარკის რეაბილიტაციის, ინვესტირებისა და გრძელვადიანი იჯარის შესახებ 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“.

განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ ცვლილებას სჭირდებოდა მხოლოდ სანოტარო წესით დამონმება, რისი მოსამზადებელი სამუშაოებიც უკვე ჩატარებული იყო, მაგრამ ქ.თბილისის მთავრობა აჭიანურებდა ხელშეკრულების ცვლილებებზე ხელმოწერას.

2007 წლის 17 ოქტომბერს შპს „ლინქსმა“ მიიღო ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის №07-2/1248 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წლის 2 მარტს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, დადგენილია საიჯარო ქირის გადახდის გრაფიკი. აგრეთვე საკონკურსო პროგრამით განისაზღვრა საიჯარო ქირის ოდენობა, რაც პირველი წლისთვის შეადგენდა 130 000 ლარს. ხოლო შემდეგი წლების საიჯარო ქირის



ოდენობა – იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობამ შპს „ლინქს“ მოსთხოვა ერთი თვის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდა, ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის დადგენილი ოდენობით, ხოლო მიმდინარე პერიოდზე – ამ დროისთვის მოქმედი ქ.თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №1-7 გადაწყვეტილების (ქ.თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის, მიწის წლიური სა-იჯარო ქირის განსაზღვრისა და შესაბამისი ზონირების შესახებ) შესაბამისად.

მოიჯარეს დამატებით ეცნობა, რომ ქ.თბილისის მთავრობის მიერ 2007 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მონონებული იქნა ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქს“ შორის 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც გაფორმდებოდა სანოტარო წესით.

განმცხადებელმა მიიღო ქ.თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის ნ.ბახტაძის 2007 წლის 17 ოქტომბრის №15-1/1714 წერილი, რომლითაც შპს „ლინქს“ ეცნობა, რომ ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 სექტემბრის №19.27.653 დადგენილებით დამტკიცებული ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი მიზანშეუწონლად მიიჩნია მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურმა და მის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ქ.თბილისის მთავრობამ 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილებით გააუქმა თავისივე 2007 წლის 7 სექტემბრის №19.27.653 დადგენილება, მონონებული იქნა იჯარის ხელშეკრულებაში შესატანი ახალი პროექტი და მოიჯარეს თხოვდა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.

2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.597 დადგენილების (პროექტის) თანახმად, შპს „ლინქს“ იჯარით გადაეცემოდა მთანმინდის საბაგირო გზის ქვედა სადგური და ზედა ბაგირის საყრდენი სვეტი. გარდა ამისა, ხელშეკრულებას ემატებოდა 2.8-ე მუხლი, რომლის თანახმად, 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 წლის განმავლობაში საიჯარო ქონებაზე იჯარის ქირა იქნებოდა დაფიქსირებული ამ ცვლილების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ცვლილების შემთხვევაში შპს „ლინქს“ ქირის გადახდისას უნდა ეხელმძღვანელა ქ.თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №1-7 გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად, მთანმინდის პარკი მიეკუთვნება 35-ე ქვეზონას და ერთი კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6,48 ლარს.

2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში აღნიშნული ცვლილების შეტანის შემთხვევაში, იჯარით გადაცემულ მიწაზე წლიური საიჯარო ქირა იქნებოდა 1 379 598 ლარი, მაშინ როდესაც მითითებული ხელშეკრულების თანახმად, წლიური ქირა არის 220 000 ლარი. როგორც აღინიშნა, ცვლილების პროექტის (რომელიც მიღებული იქნა 2007 წლის 7 სექტემბერს №19.27.653 დადგენილების სახით) მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა მისი უკუქცევითი ძალა, ანუ ქირის ახლებურად განსაზღვრა არა დადგენილების მიღების, არამედ 2005 წლის ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

ქ.თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული ცვლილებების პროექტის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებას უნდა დაემატოს 4.3 და 4.4 პუნქტები, რომელთა თანახმად, საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარე ჯარიმდება გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1 პროცენტით, ყოველ გადაცილებულ დღეზე და საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ჯარიმის სახით დაეკისრება დარჩენილი განსაზღვრული ინვესტიციის 0,1 პროცენტი, დარღვევის დღიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

განმცხადებელმა უარყო ოფერტი (რაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა, როგორც ადმინისტრაციული აქტი), სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი სამართლებრივი საფუძველით:

1) მოსარჩელის მიერ 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულება შეფასებულია, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“

ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით დადებულ ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებასა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას შორის განსხვავება მდგომარეობს იმ ასპექტში, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შემთხვევაში კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, კანონით უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

მოცემულ შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილებას ქ.თბილისის მთავრობას სწორედ კანონი აძლევდა. კერძოდ, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ.თბილისის მთავრობა უფლებამოსილია ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ადგილობრივ საკუთრებას, დადგენილი წესით და მიზნებისთვის. 2005 წლის 2 მარტის გარიგების საჯარო-სამართლებრივი მიზანი კი იმთავითვე იყო განსაზღვრული არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტებით, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1033 განკარგულებით „მთაწმინდის პარკის ტერიტორიის სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული განკარგულების თანახმად, ქ.თბილისის მერიას დაევალა მთელი რიგი სამართლებრივი აქტების მიღება და ღონისძიებების გატარება, მთაწმინდის პარკის ტერიტორიის რეაბილიტაციის და ფუნქციონირზე მოსახლეობის დასასვენებელი ცენტრის კეთილმოწყობის მიზნით. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მართებულად არის შეფასებული 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების სამართლებრივი არსი.

2) სარჩელის ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლი, რომლის თანახმად „1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.“ სარჩელში აღნიშნულია, რომ შპს „ლიქს“ და ქ.თბილისის მთავრობას შორის წარმოშობილი ორმხრივი უფლება-მოვალეობებიდან სახელმწიფოს არ გააჩნია პრიმატი და არ სარგებლობს არანაირი უპირატესობით.

აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი. ნორმის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“ კერძოსამართლებრივი ურთიერთობები (მათ შორის სახელშეკრულებო) კი დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ პირთა თანასწორობის უმთავრეს პრინციპზე.

3) განმცხადებელი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილების გამოცემა დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადებასთან და დადებასთან, რაზედაც უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წარმოება „ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით“. მოსარჩელის განმარტებით, ქ.თბილისის მთავ-



რობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილებით შეიზღუდა შპს „ლინქის“ უფლება და კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, „1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. 2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.“ ქ.თბილისის მთავრობამ დაარღვია კანონის აღნიშნული მოთხოვნა.

4) სადავოდ არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ ქ.თბილისის მთავრობის მიერ აქტის მიღებისას დარღვეულია კანონის მოთხოვნები: დადგენილებაში არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლება გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. გარდა ამისა, აქტი არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას და არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილს, 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, და მე-5 მუხლს.

აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და სამართლებრივ შეფასებაზე დაყრდნობით, მოსარჩელემ მოითხოვა სადავო დადგენილების ბათილად ცნობა. მოთხოვნის საფუძველად მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი, რომლის თანახმად „1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება...“

2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისის ვიცე მერმა მ.ახვლედიანმა და ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზ.ბეგაშვილმა მედიის წინაშე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ შპს „ლინქის“, რომლის მესაკუთრეა მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, დიდი ხნის განმავლობაში უხეშად არღვევდა სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობა ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან და შპს „ლინქსთან“ შეწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა. ამ განცხადების „სამართლებრივი საფუძველი“ არ დაკონკრეტებულა, მაგრამ ალბათობის მაღალი ხარისხით იყო ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილება.

გ.ჯაოშვილის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, აღნიშნულ განცხადებამდე, საიჯარო ობიექტზე შეიჭრა დაახლოებით 50-60 შეიარაღებული და ნიღბიანი პირი. მათ დაიკავეს პარკის შესასვლელი და მომსახურე პერსონალს იძულებით დაატოვებინეს ტერიტორია.

განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ მოთხოვნის მიუხედავად, შეიარაღებულ პირთაგან არავის წარმოუდგენია ადმინისტრაციული აქტი ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი. ეს გარემოება კი ადასტურებს ქმედების უკანონობას. ამასთან, მოიჯარეებს დღემდე არ აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად შევიდნენ საიჯარო ობიექტზე.

საიჯარო ქონების ადგილზე დათვალეირების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ პარკის ტერიტორიაზე. მათ მიერ უტყუარად არის დადგენილი, რომ ობიექტს იცავს დაცვის პოლიცია (იხ. დანართი). ამავდროულად დაცვის პოლიციის თანამშრომლები პარკის ტერიტორიაზე შპს „ლინქის“ წარმომადგენელთაგან დღემდე არავის უშვებენ.

პასუხგაუცემელია სახალხო დამცველის მოადგილის წერილი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან (წერილით მოთხოვნილი იყო სსიპ დაცვის პოლიციის ქმედების სამართლებრივი საფუძველი). სახალხო დამცველის მოადგილის №3508/04-5/1781-07 წერილზე არ აქვს პასუხი ქ.თბილისის ვიცე მერს. აღნიშნული წერილით გამოთხოვილი იყო შპს „ლიქსის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ქ.თბილისის მერიის მიმართვა უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შპს „ლიქსის“ მიერ ვალდებულებათა დარღვევის დამადასტურებელი შემთხვევაშიც, ქმედებები (რასაც ქ.თბილისის ვიცე მერის და საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებები ეჭვგარეშე მიზეზ-შედეგობრივი კავშირით მოჰყვა) იქნებოდა ყოველად უსაფუძვლო და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით, დანაშაულებრივიც.

იმ შემთხვევაში, თუ ქ.თბილისის მთავრობა იქნებოდა უფლებამოსილი, გასულიყო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მას უნდა მიემართა წერილით შპს „ლიქსისთვის“ საიჯარო ობიექტის დატოვების მოთხოვნით, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილი იყო, მიემართა სასამართლოსთვის (გამოსახლების მოთხოვნით), ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურისთვის, ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გასატარებლად.

შსს-სთვის მიმართვის შემთხვევაში უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747-ე ბრძანების თანახმად), დაეცვა მთელი რიგი პროცედურული მოთხოვნები, განცხადების საფუძვლიანობის განხილვისა და მოიჯარის მიერ მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხდინა შემდგომი რეაგირება.

თუ ქ.თბილისის მთავრობა მიმართავდა სასამართლოს, მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი შემდგომი ღონისძიებების გატარება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს საერთოდ არ ჰქონია ადგილი. უფრო მეტიც, განმცხადებლისთვის და ჩვენთვის დღემდე უცნობია საიჯარო ობიექტზე შეჭრილი სპეც. დანიშნულების რაზმის წარმომადგენლობა და არ არსებობს შპს „ლიქსის“ მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება.

საქმესთან დაკავშირებით, შეუძლებელია ქ.თბილისის მთავრობის მიერ უარყოფილი იქნას მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები. არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს იმ მტკიცებულებების და გარემოებათა ნამდვილობა, რაზედაც განმცხადებელი ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას და რის მეშვეობითაც ასაბუთებს ჩემდამი მომართვის საფუძვლიანობას. კერძოდ:

1) 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-2.1 მუხლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საერთო ფართობით 212 901 კვ.მ. ჯამური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენდა არა 130 000, არამედ 220 0000 ლარს.

2) მე-2.5 მუხლის შესაბამისად, მოიჯარეს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა შემდეგი გრაფიკით: 1) პირველ წელს – საიჯარო ქირის ჯამური თანხის 20 %; 2) მეორე წელს – საიჯარო ქირის ჯამური თანხის 30%; 3) მესამე წელს – საიჯარო ქირის ჯამური თანხის 175%...

3) 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებით, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება შპს „ლიქსის“ განესაზღვრა ყოველი მეექვსე საანგარიშო თვის ბოლოს.



4) ქ.თბილისის მთავრობამ დაარღვია 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-3.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულება და, მისივე ბრალით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოგვიანებით დაარეგისტრირა მოიჯარის საიჯარო უფლება 212 910 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, ქ.თბილისის მთავრობის მოთხოვნა, გადაუცემელ მიწის ნაკვეთებზე ქირის გადახდის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს იქნებოდა მოკლებული და, ბუნებრივია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში შპს „ლინქის“ ვალდებულება შემოიფარგლა მხოლოდ იმ ქირის გადახდით, რაც უკვე გადაცემულ მიწის ნაკვეთზე პროპორციულად მოდიოდა, თუმცა 2007 წლის 11 აპრილის ცვლილებით (ორმხრივი შეთანხმებით) ხელშეკრულების 6.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადა აითვლება და იწყება შესაბამის ქონებაზე საჯარო რეესტრში მოიჯარის იჯარის უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.“ ამ პუნქტს მიენიჭა უკუქცევითი ძალა და ძალაშია 2005 წლის 2 მარტიდან.

5) საერთო ჯამში 212 901 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე შპს „ლინქის“ იჯარის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ყველაზე ადრინდელი თარიღია 2006 წლის 2 ივნისი. ე.ი. საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება მოიჯარეს მითითებული თარიღიდან წარმოეშვა.

6) ტენდერში გამარჯვების შემდეგ, შპს „ლინქის“ ბეს სახით გადახდილი აქვს 44 000 ლარი (იხ. დანართი), რაც შეადგენს პირველი წლის საიჯარო ქირას – საიჯარო ქირის ჯამური ოდენობის 20%.

7) მეორე წლის საიჯარო ქირის – 39 000 ლარის (საიჯარო ქირის 30%) გადახდის ვალდებულება მოიჯარისთვის დგებოდა 2008 წლის 2 ივნისს. თუმცა, ვინაიდან ხელშეკრულების 2.6-ე მუხლის თანახმად ქირა გადახდილი უნდა ყოფილიყო ყოველი მეექვსე საანგარიშო თვის ბოლოს, შპს „ლინქის“ 39 000 ლარის 50%-ის - 19 500 ლარის გადახდა ევალებოდა 2007 წლის 2 დეკემბრამდე.

ყოველივე აღნიშნული კი იძლევა შემდეგი შეფასების შესაძლებლობას:

ქ.თბილისის მთავრობამ გაურკვეველი მოსაზრებებით მიიღო ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება.

გამომდინარე იქედან, რომ შპს „ლინქის“ პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლები ქ.თბილისის მთავრობას არ ანიჭებდა ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებამოსილებას. აღნიშნული ნორმების შინაარსი მიუთითებს იმის შესახებ, რომ კონტრაქტის ცალმხრივი უარი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (ხელშეკრულებიდან გასვლა) მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, როდესაც მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. შესაბამისად, ქ.თბილისის მთავრობას უნდა დაემტკიცებინა შპს „ლინქის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტი. საამისოდ კი გარიგებაში ცვლილებების შეტანა იყო საჭირო.

2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-9.3 მუხლის თანახმად „ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით“. ამავე ხელშეკრულების მე-9.4 მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.“

იმისათვის, რომ ქ.თბილისის მთავრობის პროექტი გამხდარიყო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, საჭირო იყო შპს „ლინქის“ წერილობითი თანხმობა. პროექტის ავტორებისთვის წინასწარვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ კონტრაქტის ცვლილებაზე არ დათანხმდებოდა. ამიტომაც ქ.თბილისის მთავრობამ იპოვა „გამოსავალი“ და შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ადმინისტრაციული აქტით (ნების ცალმხრივი გამოვლენით) სცადა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ შპს „ლინქის“ სასამართლოს არ მიმართავდა (მაგ: თუ გაუშვებდა აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადას), დადგენილების შესრულება ყველა შემთხვევაში იქნებოდა სავალდებულო.

გადაუჭარბებელი იქნება შეფასება, თუ ვიტყვით, რომ სადავო დადგენილება არის სამართლის დარღვევის აღრევის და გაურკვევლობის ნიმუში. დაუშვებელია სახელშეკრულებო ცვლილება, რომელიც

ორმხრივ შეთანხმებას საჭიროებს, მიღებული იქნეს ადმინისტრაციული აქტის სახით და შემდგომ ეს კაბალური აქტი გახდეს ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შესახებ მოთხოვნის და მოგვიანებით ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარი საფუძველი.

განმცხადებელი მართებულად აღნიშნავს იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცვლილებები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში საჭიროებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფას, საქმის გარემოებათა გამოკვლევას და მთელ რიგ შეზღუდვებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა განმცხადებლის მხრიდან დადგენილების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ამის აღნიშვნა საერთოდ არ წარმოადგენდა აუცილებლობას, რამდენადაც იმთავითვე ცხადია, რომ დაუშვებელია, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სახელშეკრულებო ცვლილება მიღებული იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით. შესაბამისად, დადგენილება თავისი ფორმალური და მატერიალური ბუნებით არის სრული სამართლებრივი ნონსენსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი უშუალოდ მიუთითებს იმის შესახებ, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში „ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.“ ქ.თბილისის მთავრობას კი აღნიშნული შინაარსის აქტის (დადგენილების) გამოცემის კონკრეტული უფლებამოსილება არც ერთი კანონით არ ჰქონდა მინიჭებული.

ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილება ცალსახად ექვემდებარება ბათილად ცნობას, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება როგორც კანონს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილს, 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, მე-5 მუხლს), ასევე ხელშეკრულებას და სამოქალაქო კოდექსის საკვანძო პრინციპებს (ნების ავტონომიის და კეთილსინდისიერების პრინციპებს).

არათუ დარღვეულია, არამედ სრულად არის უფლებელყოფილი აქტის მიღების და გამოცემისთვის კანონმდებლობით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლებით) დადგენილი მოთხოვნები.

მიმაჩნია, რომ დარღვეულია შპს „ლინქსის“ სახელშეკრულებო უფლებები და კანონიერი ინტერესები. ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილება კი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, მისი კანონსაწინააღმდეგობის მოტივით.

როგორც ცნობილია, ხელშეკრულების მე-3.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მეიჯარის მიერ მის ვალდებულებათა დარღვევას, ან მოიჯარის უფლებების შელახვას, რაც შედეგად გამოიწვევს მოიჯარის მატერიალურ ზარალს, ან შემოსავლების შემცირებას, მეიჯარე უფლებამოსილია, მიყენებული ზიანის სრული თანხა გამოქვითოს საიჯარო ქონების გადასახადის თანხიდან.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მმართველმა ქ.თბილისის მერიამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლის შესაბამისად, ბათილად ცნოს 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა (ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება). ამავდროულად, კონტრაპენტთან მორიგების გზით, უზრუნველყოს სათანადო (ფულადი) კომპენსაცია და შპს „ლინქსის“ აუნაზღაუროთ ხელშეკრულებიდან უკანონოდ გასვლის, ობიექტზე სპეც. დანიშნულების რაზმის შეჭრის და სსიპ დაცვის პოლიციის უკანონოდ შესვლის შედეგად წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავალი.

რეკომენდაციის პასუხი ამ დროისათვის არ მიგვიღია.



შრომითი უფლებების დარღვევა

მოქალაქე თინა ანთაძე ცხოვრობს ხულოს რაიონში, სოფელ გელაძეებში. 2000 წლის 10 ოქტომბერს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაენგრა საცხოვრებელი სახლი და სხვა დამხმარე ნაგებობები. ვინაიდან აღნიშნულ ადგილზე შენობების აღდგენა შეუძლებელი გახდა, მეზობლებისა და ახლობლების დახმარებით ნაგებობები გადატანილი იქნა მითითებული ადგილიდან მოშორებით, თუმცა ისიც არ აღმოჩნდა საცხოვრებლად მყარი ადგილი და მისი ოჯახი კვლავ აღმოჩნდა მენეჯერსაშიშ ზონაში. აღნიშნული დადასტურებულია 2004 წლის 21 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოლოგიის, სამთო საქმისა და წიაღისეული რესურსების სახელმწიფო დეპარტამენტის საინჟინრო გეოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი შენობის ვიზუ-

ალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევით. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, მიწის ფართობის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის უვარგისია, ხოლო საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების შემთხვევაში საცხოვრებელ სახლს საფრთხე ემუქრება, რის საფუძველზეც საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის მიერ ტერიტორია აყვანილი იქნა მუდმივი დაკვირვების ობიექტად. არსებული საშიშროების გამო თინა ანთაძის რვა წევრი თავს აფარებს ნათესავებთან და ახლობლებთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებელმა არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს და ითხოვა სათანადო საცხოვრებელი ფართის ან მიწის ნაკვეთის გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ ქ. ბათუმში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვა შესაბამისი კომპენსაცია. დახმარების ნაცვლად განმცხადებლის ოჯახი (მეუღლე მიხეილ ტაშტანის-ძე ანთაძე) ამოიღეს პირველი კატეგორიის სტიქიის დაზარალებულთა სიიდან და გადაიყვანეს მესამე კატეგორიაში, რისთვისაც შესაბამისი საკომპენსაციო თანხის გაცემაზე უარს ეუბნებიან, თუმცა ხულოს რაიონის, დიოკნისის თემის საკრებულოს მიერ 2006 წლის 09 მარტს (№203) გაცემული ცნობით დასტურდება, რომ განმცხადებლის ოჯახი ექვემდებარება პირველ კატეგორიას. განმცხადებლის ოჯახს მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩასახლება სთავაზობენ, რაზეც თ.ანთაძის ოჯახი არ თანხმდება, ვინაიდან ოჯახის თითქმის ყველა წევრი

ავადმყოფი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ისინი დაზარალებულნი სტიქიური უბედურების შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზარების დროს. ამასთანავე, მათ აქვთ უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არსებობენ მხოლოდ ახლობლებისა და ნათესავების დახმარებით. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა და სხვა რაიონში ჩასახლებით მოხვდებიან სრულიად უცხო გარემოში და მათ ახლობლები ვეღარ დაეხმარებიან, ამიტომ ითხოვენ ადგილზე დახმარებას საცხოვრებელი ფართით ან კომპენსაციით.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ 2007 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით თანხა გათვალისწინებული იყო სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესასყიდად. შესყიდვები განხორციელდა კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში. თინა ანთაძის ოჯახის განსახლების საკითხი განხილული იქნება აღნიშნულ რაიონებში.

თითქმის ანალოგიური ინფორმაცია მოგვანოდა ხულოს რაიონის გამგეობამ. თ.ანთაძის განცხადება არაერთხელ იქნა შესწავლილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი ოჯახი ცხოვრობს ხის ორსართულიან სახლში, რომელსაც ჯერ-ჯერობით არავითარი საფრთხე არ ემუქრება, სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1,25 მიწის ნაკვეთით. ამასთანავე თ.ანთაძის ოჯახი ყოველთვიურად პენსიის სახით ღებულობს 385 ლარს, ხოლო სოციალური დახმარების სახით 78 ლარს.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე, მოსალოდნელი სტიქიური უბედურების გამო, მისი ოჯახისათვის შეთავაზებული იქნა განსახლებულიყო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, რაზეც უარი განაცხადა და მოითხოვა ფულადი კომპენსაცია, რისი საშუალებაც, როგორც წერილშია მითითებული ხულოს რაიონის გამგეობას არ გააჩნია. აქვე მითითებულია, რომ შეუძლებელია მათი ჩასახლება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აღნიშნულის შესახებ განმცხადებლის ოჯახს არაერთხელ მიეცა განმარტება გამგეობისაგან.

მოქალაქე ოთარ გელაძე

სახალხო დამცველს მსგავსი განცხადებით არაერთხელ მიმართა ასევე ხულოს რაიონის სოფელ ღურტადან მოქალაქე ოთარ გელაძემ. განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოთარ გელაძის მრავალწლიანი ოჯახი ცხოვრობდა ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში. 1971 წლის 11 თებერვალს სოფელში ჩამონოლილი ზვავის შედეგად დაიღუპა ოჯახის რვა წევრი. გადარჩნენ თვითონ და მისი მშობლები, რომლებიც ზვავში მოხვედრის გამო დაინვალიდნენ. გელაძის ოჯახთან ერთად ზვავმა ჩაიტანა 40 ოჯახი, რომელთაგან დაიღუპა 24 ადამიანი. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, იმ დროისათვის მისი ოჯახის გარდა ყველა ოჯახი დააკმაყოფილა, კერძოდ ჩასახლეს ჩაქვში და აუშენეს საცხოვრებელი სახლები. ხოლო მათ ოჯახს ყურადღება არავინ მიაქცია და ისინი თავშეფარებულ იქნენ ნათესავებთან. ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 24 დეკემბრის №328 წერილიდან ირკვევა, რომ განმცხადებლის ოჯახს მასზე გამოყოფილი სახელმწიფო დახმარებებით, ასევე ფულადი დახმარებებით და ჩაქვში ჩასახლებით არ უსარგებლია. ამასთანავე, არ უსარგებლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 25 მაისის №349 დადგენილებით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დამატებით გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტით. ამდენად, ვინაიდან ო.გელაძის მამა არის მნოლიარე ავადმყოფი, ჰყავს სამი შვილი და არ აქვს საცხოვრებელი სახლი, ოჯახი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. ო.გელაძე სისტემატურად მიმართავს შესაბამის სამსახურებს დახმარებისათვის. მის განცხადებებს დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. მას ამჟამად, სთავაზობენ წალკაში ჩასახლებას, თუმცა თანახმა იქნებოდა იმთავითვე, თავის მეზობლებთან ერთად კომპაქტურად ჩაქვში ჩასახლებაზე, დღეს კი უარს ამბობს წალკაში ჩასახლებაზე, ვინაიდან მის მამას გადაადგილება არ შეუძლია. ამასთანავე, მეწყერის შედეგად ერთდროულად დაღუპული ოჯახის რვა წევრიც აჭარაშია დაკრძალული. იგი ითხოვს, რომ მისი ოჯახი ად-



გილზე დააკმაყოფილონ საცხოვრებელი ბინით ან გამოუყონ თანხა, რათა ააშენოს სახლი თავის სოფელში.

ო.გელაძის განცხადების საფუძველზე მიემართეთ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას. საიდანაც გვაცნობეს, რომ აღნიშნული საკითხი არაერთხელ იქნა შესწავლილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გელაძის ოჯახი არ განეკუთვნება განსახლების პირველ კატეგორიას, თუმცა, მისთვის შეთავაზებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ჩასახლება, რაზეც განმცხადებელი კატეგორიულ უარს აცხადებს. იგი განმეორებით მოგემართავს და ითხოვს ფულად დახმარებას ან აჭარის ტერიტორიაზე ჩასახლებას.

მოქალაქე ელენა ბარათაშვილი

2007 წლის 7 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.ჭიათურის რაიონში მდებარე მოქალაქე ელენე ბარათაშვილი, 1991 წელს ჭიათურის რაიონში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთათვის გამოყოფილი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნული საკითხი სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი იქნა ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში და გაირკვა, რომ 1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის გამოყოფილი – 90000 ლარი ჭიათურის რაიონის გამგეობის მიერ გაიხარჯა არამიზნობრივად. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, 2006-2007 წლებში ჭიათურის რაიონში მცხოვრებ მიწისძვრით დაზარალებულთათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან კვლავ გადაირიცხა საკმაოდ დიდი თანხა, თუმცა მას დახმარება მაინც არ მიუღია.

ე.ბარათაშვილის განცხადების საფუძველზე, მიემართეთ საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. აღნიშნული უწყებებიდან მიღებულ პასუხებში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის №261 და №264 განკარგულებებით ჭიათურის რაიონში სტიქიით დაზარალებულ 71 ოჯახზე გამოიყოფილი ფინანსური დახმარება, 2005 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ფინანსურ დახმარებებს ანხორციელებდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, პრეზიდენტის რწმუნებულების მიერ მონოღებული სიებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე.

№264 განკარგულების შესაბამისად წარდგენილ სიაში ე.ბარათაშვილის გვარი ფიგურირებდა, თუმცა მასზე დახმარების განევა ვერ მოხერხდებოდა, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებდა განკარგულებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ არ ცხოვრობდა რკინიგზის ვაგონში.

ამასთან განმცხადებელს განემარტა, რომ ქ.ჭიათურის გამგებელმა, ბატონმა მამუკა გოგატიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა მასთან შეხვედრისა და შემდგომი დახმარებისა.

მოქალაქე თამარ სვანიძე

2007 წლის 22 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე თამარ სვანიძე. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, 1991 წელს ონის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაენგრა საცხოვრებელი სახლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს, თუმცა დღემდე არც ფულადი და არც სხვა სახის დახმარება არ მიუღია. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიიღო წერილობითი პასუხი, რომ დახმარება უნდა მიეცეს 30 ოჯახს. დახმარების მიზნით შექმნილმა კომისიამ გადაწყვიტა ამ ეტაპზე დაეხმარონ იმ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ ვაგონებში, ფიცრულში ან სხვის სახლში.

საკითხის გარკვევის მიზნით მივმართეთ ონის რაიონის გამგებელს და ასლი გაეგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საიდანაც მოვითხოვეთ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

გამგეობიდან პასუხი არ მივიღია, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა განხორციელდა კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში. რეგიონიდან წარმოდგენილი ინფორმაციით თამარ სვანიძის ოჯახი განეკუთვნება მიწისძვრით დაზარალებულთა პირველ კატეგორიას. სამინისტრო მზადაა განიხილოს ამ ოჯახის განსახლების საკითხი იმ რაიონებში სადაც განხორციელდა შესყიდვები.

რაც შეეხება ფინანსური დახმარების განეკუთვნებას, სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტში ამ მიზნით, თანხა არ არის გათვალისწინებული.

მოქალაქეები ოდიშარია-თამლიანი და სხვები

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.თბილისის, ქერჩის ქ.№22-ში მცხოვრებმა მიწისძვრით დაზარალებულებმა. როგორც განცხადებაშია მითითებული, ქ.თბილისში მომხდარი მიწისძვრის გამო ისინი 2005 წლის დეკემბერში შესახლებული იქნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე (დროებითი ორდერებით), განმცხადებლები უკმაყოფილო არიან აქ არსებული საცხოვრებელი პირობებით. კერძოდ, არ იღებთ ფანჯრებს და არ ნიავედება ოთახები. არ აქვთ პირადი ჰიგიენის დაცვის მინიმალური პირობები. ამასთანავე, ხშირად არ მიეწოდებათ ელექტროენერგია, განსაკუთრებით როცა ძლიერი სიცივეებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორები ითხოვენ, ან შეუქმნან საცხოვრებელი პირობები, ან გამოუყონ კომპენსაცია თავიანთ რაიონებში საცხოვრებელი ბინების შესაძენად.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე მივმართეთ გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელს, ნიკოლოზ ხაჩირაშვილს.

როგორც 2007 წლის 28 დეკემბრის წერილით გვაცნობეს, მითითებულ კორპუსში შესახლებულია მიწისძვრით დაზარალებული ოჯახები სხვადასხვა რაიონებიდან. ყველა სართულზე მოწყობილია ორ-ორი სველი წერტილი, სამრეცხაო და სამზარეულოები. უკვე დამონტაჟდა ახალი ელექტროენერგიის მკვებავი ხაზი და ელექტროენერგიის მიწოდებაში შეფერხებები აღარ იქნება.

ამავე წერილში მითითებულია, რომ განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალური სარგებლობის დამხმარე ფართთან დაკავშირებით (სველი წერტილები, სამზარეულოები და სხვა), ტექნიკურად შეუძლებელია. ხოლო საკომპენსაციო თანხების გაცემა ბინების შესაძენად სცილდება გამგეობის კომპეტენციას.

მოქალაქე კახაბერ ჯაბაური

მიმდინარე წლის 05 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე კახაბერ ჯაბაურმა საბინაო საკითხთან დაკავშირებით. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, 1987 წლიდან ცხოვრობდა ქ.თბილისში თავის ძმასთან ზაზა ჯაბაურთან ერთად. 1987 წლის 28 ნოემბრიდან მისი ძმა ზაზა ჯაბაური, განწვეული იქნა სამხედრო სამსახურში. 1988 წლის 28 მარტიდან დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან ფსიხოპათიის დიაგნოზით. ზ.ჯაბაურის სამკურნალოდ გაყიდეს საცხოვრებელი ბინა და დარჩენ ღია ცის ქვეშ. კახაბერ ჯაბაური წლების მანძილზე, თავისი მცირეწლოვანი



შეილით, ავადმყოფი დედითა და მეუღლით ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. ოჯახში არავინ არ მუშაობს და თავს ირჩენენ დონორობით. იმის გამო, რომ ბინის ქირის გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა, დროებით საცხოვრებლად გადავიდა ნათესავის ბინაში, რომელიც ითხოვს ბინის დაცლას. იგი ვერ მოხვდა ვერც სოციალური დახმარების პროგრამაში. ამდენად, კ.ჯაბაურის ოჯახი განიცდის მძიმე მატერიალურ გაჭირვებას. განმცხადებელმა აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს და მიუთითა, რომ ქ.თბილისში, მუხიანის მე-4^ე მიკრორაიონის, მე-10 კორპუსში არის რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა, რომლებზეც კერძო საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. განმცხადებელი ითხოვს დახმარებას საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაში.

კ. ჯაბაურის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერს.

მ/წ 05 ოქტომბერს მიღებულ (№06/8721) პასუხში განმარტებულია საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველები. თუმცა აქვე მითითებულია, რომ კ.ჯაბაურის 2006 წლის 18 აპრილის განცხადების საფუძველზე, მათ მიერ შესწავლილია განმცხადებლის საცხოვრებელი პირობები და აღრიცხვაზე იმყოფება საცხოვრებელი (საბინაო) პრობლემების მქონე პირთა (ოჯახთა) სიაში. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა კ.ჯაბაური კვლავ მიმართავს სახალხო დამცველს დახმარებისათვის, საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების შესახებ.

მოქალაქე გიორგი ლომაია

სახალხო დამცველი განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი ლომაიამ სახელფასო დავალიანების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი არის აფხაზეთიდან დევნილი. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში იმუშავა 23 წელი. 2005 წლის 01 ნოემბერს სამსახურიდან პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან. მას მისაღები დარჩა სახელფასო დავალიანება 110 ლარის ოდენობით და სამსახურიდან გასასვლელი ოთხი თვის კომპენსაცია, რისთვისაც ითხოვს დახმარებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას მიეცა წერილობითი პასუხი, რომ მსგავს საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც ვიღებთ ერთი და იგივე პასუხს, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების დაფარვისათვის თანხები, რის გამოც სამინისტრო ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს.

მოქალაქე ცისანა ხეცურიანი

2007 წლის 10 ივლისს სახალხო დამცველს განმეორებით მიმართა მოქალაქე ცისანა ხეცურიანმა მისი ან გარდაცვლილი მეუღლის ვახტანგ ცომაიას მთლიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე (1460.79 ლარი), ვინაიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე მან აიღო სახელფასო დავალიანების მხოლოდ ნაწილი.

ც.ხეცურიანის განცხადების საფუძველზე მივმართეთ სააქციო საზოგადოება გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის გენერალურ დირექტორს, ბატონ ლაშა ჭილაძეს.

მ/წ 08 აგვისტოს №662/22-7 პასუხით გვაცნობეს, რომ სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიაში“ შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა ც.ხეცურიანის გარდაცვლილი მეუღლის ვახტანგ ცომაიას მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების დაფარვის საშუალებას. აქვე მითითებულია, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე მოხდება ყველა დავალიანების დაფარვა.

მოქალაქე თეიმურაზ მეცხოვრიშვილი

2007 წლის 26 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.ჭიათურის ზონალური საგადასახადო ინსპექციის ყოფილმა თანამშრომლებმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი წლების მანძილზე მუშაობდნენ მითითებულ სამსახურში. 2004 წელს განხორციელებულ რეფორმასთან დაკავშირებით, დათხოვნილი იქნენ სამსახურიდან და მიუღებელი დარჩათ 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავალიანება. აღნიშნულის თაობაზე მათ მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც 2005 წლის 14 ივნისს მიიღეს პასუხი (02-09-05/1230), რომ „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ასიგნებები წინა წლების დავალიანებათა დასაფარავად. მითითებული მუხლით გამოყოფილი სახსრები მიმართული იქნება დავალიანებების დასაფარავად სამინისტროს მიერ შემუშავებული რიგითობის გათვალისწინებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახელფასო დავალიანების დაფარვა დღემდე არ მომხდარა.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე რეკომენდაციით მიემართეთ ფინანსთა სამინისტროს. ველოდები პასუხს.

მოქალაქე ზაურ ვიბლიანი

2007 წლის 26 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.ბოლნისიდან მოქალაქე ზაურ ვიბლიანი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1997 წლიდან 2004 წლამდე იგი მუშაობდა ბოლნისის რაიონის მინის მართვის სამმართველოში, უფროსის მოადგილედ. 2004 წლის 01 სექტემბერს, მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დათხოვნილი იქნა სამსახურიდან და მიუღებელი დარჩა 1998-1999-2000-2003 წლების სახელფასო დავალიანება, რომელიც შეადგენს 1300 ლარს. აღნიშნულის თაობაზე მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც 2005 წლის 24 თებერვალს მიიღო პასუხი (04-02-02-181/6084), რომ „აღნიშნული დავალიანებები 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ დაწინაურებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოყოფილი იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ“. აღნიშნული დროიდან გასულია თითქმის სამი წელი და დღემდე არც პასუხი და არც სახელფასო დავალიანება არ მიუღია.

ზ. ვიბლიანის განცხადების საფუძველზე მიემართეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ველოდები პასუხს.

მოქალაქე სვეტლანა ვოსკანიანი

2007 წლის 26 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა მოქალაქე სვეტლანა ვოსკანიანი. იგი აღნიშნავდა, რომ არის ონკოლოგიური ავადმყოფი, II ჯგუფის ინვალიდი. ესაჭიროება ქიმიოთერაპია. მინიჭებული აქვს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფის სტატუსი, (განაცხადის ჩაბარების თარიღია 08/01/2007). იმისათვის, რათა სვეტლანა ვოსკანიანს ესარგებლა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 7 თებერვლის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით“, მას განაცხადი უნდა შეეტანა 2007 წლის 1 იანვრამდე. სწორედ დაგვიანება გახდა მიზეზი იმისა, რომ მოქალაქის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა მოხდება 2008 წლიდან. ვინაიდან, სვეტლანა ვოსკანიანი უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობს, არ გააჩნია მკურნალობისათვის აუცილებელი თანხები, არის ონკოლოგიური ავადმყოფი, რომლის დაავადება პროგრესირებს და საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, საქართველოს სახალხო დამცველმა (წერილი №2506/04-1/1260-07) რეკომენდაციით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დირექტორს, ბატონ ლევან ფერაძეს. აღნიშნული რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველი თხოვდა



სააგენტოს დირექტორს მოქალაქის მიმღე სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის, ამასთანავე იმ ფაქტის გათვალისწინებას, რომ სვეტლანა ვოსკანიანის ვაჟს ბავშვობიდან დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ჯგუფის ინვალიდობა და გამონაკლისის სახით მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო დაზღვევით.

2007 წლის 30 აგვისტოს (წერილი №01/10-3717) სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად გაირკვა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის ?166 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „2007 წელს სადაზღვევო ვაუჩერი გაიცემა მხოლოდ ქ. თბილისისა და იმერეთში მცხოვრებ იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ წარმოებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 2007 წლის 1 ივლისამდე, და რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.“ ამგვარად, მოქალაქე სვეტლანა ვოსკანიანის ოჯახზე ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე გაიცემა სადაზღვევო ვაუჩერი.

მოქალაქე თინათინ არხოშაშვილი-ტეტუნაშვილი

2007 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე თინათინ არხოშაშვილი-ტეტუნაშვილი. განმცხადებლის განმარტებით, იგი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, პირველი ჯგუფის უსინათლო. 2001 წლიდან იღებდა 40 ლარ პენსიას და 22 ლარ საოჯახო დახმარებას. მოქალაქე პენსიას ამჟამადაც იღებს, თუმცა საოჯახო დახმარების მიღება, გაურკვეველი მიზეზით, შეუწყდა 2006 წლის ნოემბრის თვიდან. ზემოაღნიშნული მიზეზის გასარკვევად (პენსიის შეწყვეტა), განმცხადებელმა მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. როგორც აღნიშნული უწყების პასუხის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გავლისას თინათინ ტეტუნაშვილის ოჯახს მიენიჭა 68 970 სარეიტინგო ქულა და, ვინაიდან დახმარების დასანიშნი ქულა არის 57 001, შეუწყდა საოჯახო დახმარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად: „საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ერთი).“ აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ თინათინ ტეტუნაშვილი იღებდა საოჯახო დახმარებას და არა საარსებო შემწეობას და, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს პასუხში დაფიქსირებული სოციალური დახმარების დასანიშნი ზღვრული 57 001 ქულა დადგენილია საარსებო შემწეობის მისაღებად, ხოლო საოჯახო დახმარების დასანიშნად ზღვრული ქულა განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, თინათინ ტეტუნაშვილის ოჯახზე სოციალური ანუ საოჯახო დახმარება გაიცემოდა და უნდა გაიცეს, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახზე, რომელიც დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების საფუძველზე, 2007 წლის 21 სექტემბერს (წერილი №3054/04/1470-07) რეკომენდაციით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დირექტორს, ბატონ ანდრია ურუშაძეს, რომლის თანახმად, ითხოვდა, შეესწავლათ თინათინ არხოშაშვილი-ტეტუნაშვილისთვის საოჯახო დახმარების შეწყვეტის საკითხი და აღედგინათ მოცემული სოციალური დახმარება, რომელიც დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით იქნა შეწყვეტილი. ასევე მიმართა, ემსჯელა თინათინ არხოშაშვილი-ტეტუნაშვილისთვის უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურების და იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მოქმედებდნენ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2007 წლის №02/09-8106 წერილის თანახმად, საქმის მასალების, საოჯახო დახმარების შეწყვეტის

მიზეზების საფუძვლიანობის და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობებდნენ უმოკლეს ვადაში, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

მოქალაქე ნანა ლომთაძე

ამა წლის 14 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს №0977-07 განცხადებით მომართა მოქალაქე ნანა ლომთაძე. განმცხადებლის ახსნა-განმარტებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

ნანა ლომთაძე 1991 წლიდან 2004 წლის 14 აპრილამდე მუშაობდა ქ. ქუთაისის N13 საშუალო რუსული სკოლის დირექტორად. ზემოხსენებული პიროვნება პირველად დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის N351/კ ბრძანების თანახმად. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების სისტემატური დარღვევები, რაც დადასტურებულ იქნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 30 აპრილის, ამავე პალატის 2004 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით; აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების მიერ ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ-ნ ნანა ლომთაძის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე N8804815 ყალბი ატესტატის, მისი დანართის დამზადებისა და გაცემის ფაქტზე. ხოლო ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის N351/კ ბრძანებაში დაფიქსირებული გათავისუფლების სერიოზული საფუძვლების მიუხედავად, მოცემული ბრძანება გაუქმდა და ნანა ლომთაძე აღდგენილ იქნა ქ. ქუთაისის N13-ე საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. მან მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით, არ დადასტურდა ნანა ლომთაძის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატიური შეუსრულებლობა და მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითება საფუძველს მოკლებული იყო.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნანა ლომთაძის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატურ შეუსრულებლობად არ შეიძლება მიჩნეულიყო საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ დირექტორის მიერ საჯარო ინფორმაცია არ გაიცა მხოლოდ ერთხელ, ანუ ამ სახის კანონდარღვევას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა. სადაო ბრძანებაში მოსარჩელის გათავისუფლების საფუძვლად (საჯარო ინფორმაციის გაუცემლობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები) მითითებული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ინფორმაციის მხოლოდ ნაწილის გაუცემლობა სცნო სასამართლომ უკანონოდ და დაავალა სკოლის დირექტორს მისი გაცემა.

სააპელაციო სასამართლომ, ამავე გადაწყვეტილებაში, უსაფუძვლოდ მიიჩნია ნანა ლომთაძის გათავისუფლების საფუძვლად მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტზე მითითება.



ვინაიდან, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, კერძოდ ქუთაისის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის 2004 წლის 25 აპრილის წერილით დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე #8804815 აღძრულ იქნა სსკ 362.1 მუხლის შესაბამისად ყალბი ატესტატის დამზადება-გამოყენების ფაქტზე და არა კონკრეტული პირის მიმართ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N351/კ ბრძანებაში ნანა ლომთაძის გათავისუფლების საფუძვლად შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე მითითებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნანა ლომთაძის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენა საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლოს მიხედვით, ამორალურ გადაცდომად არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო ინფორმაციის დროულად გაუცემლობა ან მის გაცემაზე უარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა ნანა ლომთაძის სააპელაციო სარჩელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის N351/კ ბრძანების ბათილად ცნობისა და მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. ამდენად, გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.

მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 27 აპრილის განჩინებით, ზემოხსენებული თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა და მოსარჩელე კვლავ აღდგა მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე.

განმცხადებელი აქვე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსასრულებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მხოლოდ 2005 წლის 9 ივნისს გამოსცა მისი თანამდებობაზე აღდგენის ბრძანება. ნანა ლომთაძე სამინისტროს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ფორმალური პროცედურის დაცვად მიიჩნევს, რადგან 2005 წლის 19 ივნისს მას ერთდროულად ჩაბარდა როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 9 ივნისის N170/კ ბრძანება მისი თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, ასევე, მეორე – 2005 წლის 10 ივნისის ბრძანება N171/კ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე. ამ უკანასკნელი ბრძანების თანახმად, გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, „ამ კანონის ამოქმედება არის ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.“

ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსად, ნანა ლომთაძემ სასამართლო წესით გააჩივრა 2005 წლის 10 ივნისის N171/კ ბრძანება. ვინაიდან, მიიჩნევა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ფორმალურად აღადგინა თანამდებობაზე მხოლოდ იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობაში არ დასდებოდა ბრალი და უკანონოდ გაათავისუფლა ისე, რომ დირექტორის თანამდებობაზე ფაქტობრივად ერთი დღეც არ უმუშავია.

წინამორბედი ბრძანების მსგავსად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 10 ივლისის N171/კ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით. ხოლო სამინისტროს მიერ სააპელაციო წესით გააჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება ზემდგომმა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით უცვლელად დატოვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ ერთგვაროვანი პოზიცია დააფიქსირა და დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სადაო აქტის მიღებისას (2005 წლის 10 ივნისის N171/კ ბრძანება) ვალდებული

იყო, გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად მიეღო გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან არსებობდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

უტყუარად დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზემოხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად აღსრულება არ მოხდა.

მოგვიანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 26 მარტის N98/კ ბრძანების თანახმად ნანა ლომთაძე აღდგენილ იქნა ქ. ქუთაისის N13 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად.

თანამდებობაზე აღდგენის ფაქტი განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა 2007 წლის 16 აპრილს, როდესაც იგი ქ. ქუთაისის რესურს ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა N13 საჯარო სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. განმცხადებელი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა N98/კ ბრძანებით იგი აღადგინა არა N13 საჯარო სკოლის დირექტორად, არამედ „ზოგადი განათლების კანონის“ თანახმად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

2007 წლის 24 აპრილს ნანა ლომთაძისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აპრილის N299/კ ბრძანების შესაბამისად. მოცემული ბრძანების მიხედვით, გათავისუფლების საფუძველად მითითებულია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნანა ლომთაძის გათავისუფლების ბრძანება გამოიცა სწორედ იმ დღეს, როდესაც ის ქუთაისის რესურს ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა N13 საჯარო სკოლაში. საგულისხმოა ისიც, რომ ქუთაისის N13 სკოლას გარკვეული პერიოდის მანძილზე ორი დირექტორი ჰყავდა, მინისტრის 2007 წლის 26 მარტის N98/კ ბრძანების თანახმად თანამდებობაზე აღდგენილი ნანა ლომთაძე და მის აღდგენამდე მოქმედი დირექტორი ნატო სანდუხაძე. ეს მდგომარეობა, განმცხადებლის განმარტებით, გაგრძელდა ნანა ლომთაძის თანამდებობაზე წარდგენამდე – 2007 წლის 16 აპრილამდე.

ზემოხსენებული ფაქტების ანალიზი საქართველოს სახალხო დაცველს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნანა ლომთაძის თანამდებობაზე აღდგენით ორივე შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად დაიცვა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ვალდებულება, რომლის თანახმად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია შემდეგ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება: ნანა ლომთაძეს თანამდებობაზე პირველად აღდგენისას დირექტორად არ უმუშავია არც ერთი დღე. უფრო მეტიც, მას ერთდროულად ჩაბარდა თანამდებობაზე აღდგენისა და გათავისუფლების ბრძანებები. ხოლო, მეორედ თანამდებობაზე აღდგენის შემდეგ, ნანა ლომთაძეს 2007 წლის 16 აპრილიდან 2007 წლის 24 აპრილამდე მიეცა შესაძლებლობა ემუშავა N13 საჯარო სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. იმისათვის, რათა პირველი აღდგენისას და იმავდროულად გათავისუფლებისას დაშვებული პრეცედენტი არ განმეორებულიყო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნანა ლომთაძე ფორმალურად, ერთი კვირით აღადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. თუმცა, აქვე უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ ნანა ლომთაძე 2007 წლის 16 აპრილს, იმ დღეს, როდესაც იგი ქუთაისის რესურს ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა N13 საჯარო სკოლის



დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N299/კ ბრძანების შესაბამისად ოფიციალურად გათავისუფლდა თანამდებობიდან.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ადგილი აქვს კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას და კანონით დადგენილი ნორმების არასწორ განმარტებას, რაც დადასტურებული იქნა სხვადასხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით.

სწორედ ამ საფუძვლით, 2007 წლის 6 ნოემბერს (წერილი №3415/04-3/0977-07) საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ლომაიას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბათილად ეცნოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აპრილის ?299/კ ბრძანება, ვინაიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისას და გამოცემისას არსებითად დარღვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შესაბამისად, ნანა ლომთაძე აღედგინათ ქ.ქუთაისის N13 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2007 წლის 13 დეკემბრის (წერილი №16-09-2/19269) პასუხში, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე, გამოხატა მზადყოფნა სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იმოქმედოს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვინაიდან ზემოაღნიშნულ საქმეს განიხილავდა თბილისის სააპელაციო სასამართლო.

მესხეთის ფილიალის თანამშრომელთა საქმე

2007 წლის 19 ივლისს განცხადებით მომართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა. განმცხადებელთა განმარტებით, 2007 წლის მაისში, ფილიალის დირექტორმა მათთან უსაფუძვლოდ შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის თანამშრომლების გ. კუტალაძის, პ. ასპანიძის, ს. მელიქიძის, ნ. ახალკაცის და ნ. ხითარიშვილის სამსახურიდან გათავისუფლება არამართლზომიერი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

მესხეთის ფილიალი სამართლებრივად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა იყო. შესაბამისად, მთელ რიგ უფლებამოსილებებს ფილიალის ადმინისტრაცია თსუ დებულებიდან გამომდინარე ახორციელებდა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ხუბუას 2006 წლის 16 ოქტომბერის N01/247 ბრძანებით მოხდა სოხუმის, მესხეთის, სიღნაღის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ფოთის, ქვემო ქართლის და ჯავახეთის ფილიალების დირექტორებისათვის უნივერსიტეტში რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე, ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირება.

აღნიშნული ბრძანებით ფილიალის დირექტორებს, სახელმწიფო უნივერსიტეტში რეორგანიზაციის

პროცესის დასრულებამდე, თავიანთი ფუნქციების სამართლებრივად გამართულად და ეფექტიანად განსახორციელებლად მიენიჭათ უფლებამოსილება ხელი მოეწერათ მხოლოდ:

- ა) ფილიალებში წარმოებული საბუღალტრო-საფინანსო დოკუმენტაციისთვის;
- ბ) აკადემიურ, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ აქტებზე, მათ შორის მათთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებზე;
- გ) სტუდენტებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ აქტებზე და ხელშეკრულებებზე;

2. ცნობად უნდა მიეღოს, რომ ფილიალის დირექტორებს „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალებისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ივლისის N01-01/143 ბრძანებით მინიჭებული ჰქონდათ უფლებამოსილება, უნივერსიტეტთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტის სახელით ეწარმოებინათ სახელმწიფო შესყიდვები ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

აქვე დაევალით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების დირექტორებს, მკაცრად დაეცვათ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ნორმები.

ცხადია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ხუბუას 2006 წლის 16 ოქტომბრის N01/247 ბრძანებით მესხეთის ფილიალის დირექტორს, შალვა ზაზაშვილს არ ჰქონდა უფლებამოსილება, გამოეცა 2007 წლის 23 მაისისა და 22 ივნისის ბრძანებები N1/80, N1/105, რომელთა საფუძველზეც მან განახორციელა მესხეთის ფილიალის დროებითი საშტატო განრიგში ცვლილებები და ადმინისტრაციის სამსახურების და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, მოგვიანებით მესხეთის ფილიალის დირექტორმა შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა თანამშრომლებს: გ. კუტალაძეს, პ. ასპანიძეს, ს. მელიქიძეს, ნ. ახალკაცს და ნ. ხითარიშვილს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ფილიალის დროებითი საშტატო განრიგის ცვლილებებს, ადმინისტრაციის სამსახურების რეორგანიზაციას და ნაწილობრივ სტრუქტურულ ცვლილებებს საფუძველად დაედო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2007 წლის 21 თებერვლით დათარიღებული მომართვა N167-02. როცა აღნიშნული დოკუმენტი გამოვითხოვეთ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციიდან, 13 აგვისტოს, ფილიალის დირექტორის შ. ზაზაშვილის ხელმოწერით მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ „მომართვა N167-02 სხვა დოკუმენტაციასთან ერთად ამოღებულია ფინანსური პოლიციის მიერ, რომელიც აწარმოებს ფილიალის საფინანსო საქმიანობის რევიზიას“. მოგვიანებით ფინანსთა სამინისტრომ ჩვენი მოთხოვნის პასუხად გვაცნობა, რომ „2007 წლის 21 თებერვლის მომართვა N167-02 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალიდან ამოღებული არ არის“. დოკუმენტი არა თუ არ აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უფრო მეტიც, ადმინისტრაციიდან 2007 წლის 29 აგვისტოს მიღებულ პასუხში N566/01-02-22-04 ნათქვამია, რომ „2007 წლის 21 თებერვლის N167-02 მომართვა უნივერსიტეტის კანცელარიაში რეგისტრირებული არ არის“.

აშკარა იყო, რომ მესხეთის ფილიალის დირექციამ გადაამეტა უფლებამოსილებას, განახორციელა რეორგანიზაცია, რაც მის უფლებებში არ შედიოდა, რეორგანიზაციას საფუძველად დაუდო არარსებული დოკუმენტი, რასაც მოჰყვა სხვა არამართლებრივი შედეგები. კერძოდ: ფილიალის სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის სპეციალისტთან, პავლე ასპანიძესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველად 2007 წლის 23 მაისს განხორციელებული რეორგანიზაციაა მითითებული. იმავე მოტივით შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება რეორგანიზებული სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის დისპეჩერს ნანა ხითარიშვილს. ფილიალის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-სამეცნიერო დარგში გურამ კუტალაძეს, შრომითი ხელშეკრულების



მოშლის საფუძვლად რეორგანიზაციის გარდა, შრომითი ხელშეკრულების ცალკეული მუხლების დარღვევაც უდევს. ესაა არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა, ლექცია-სემინარების ჩატარების დადგენილი წესის უგულვებელყოფა, ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების დროულად არ დაბრუნება და ა.შ.

მსგავს შემთხვევაში, ფილიალის დირექციას დისციპლინური გადაცდომისთვის თანამშრომლებისთვის უნდა დაეკისრებინა შესაბამისი სახდელი.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით არცერთ აღნიშნულ გადაცდომაზე ფილიალის დირექციას არ ჰქონდა გატარებული ადმინისტრაციული ზომები, რაც თავის მხრივ ხელშეკრულების მოშლის მოტივაციას არადაამაჯერებელს ხდიდა, ხოლო მიღებულ გადანაცვლებას გათავისუფლების თაობაზე გადამეტებულს. მით უფრო, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, საკითხი განეხილა და გადაეწყვიტა „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა“.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ“.

ვინაიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დირექტორს შ.ზაზაშვილს ფილიალში განხორციელებული რეორგანიზაციით გადააჭარბებული ჰქონდა უფლებამოსილებისთვის, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას მივმართე რეკომენდაციით, არარად ეცნო 2007 წლის 23 მაისის N1/80 და 22 ივნისის N1/105 ბრძანებები ყველა შედეგით და აღედგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის თანამშრომლებისთვის გ.კუტალაძეს, პ.ასპანიძეს, ს.მელიქიძეს, ნ.ახალკაცს და ნ.ხითარიშვილსთვის პირვანდელი სამართლებრივი სტატუსი.

რეკომენდაციის პასუხად უნივერსიტეტის რექტორმა გვაცნობა, რომ მესხეთის ფილიალი გადაკეთდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და თანამშრომელთა აღდგენა უნდა მოხდეს ახალი ვითარების გათვალისწინებით. ჩვენ ცალსახად არ ვეთანხმებით ამ პოზიციას, ვინაიდან ფაქტი, რომელზეც ჩვენს რეკომენდაციაშია საუბარი მოხდა მანამ, ვიდრე ფილიალის სტატუსი მოქცეული იყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მმართველობის ქვეშ.

ბ. ჯ-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე ხათუნა ჯ.-მ. საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვია, რომ ხათუნა ჯ. არის მარტოხელა დედა, მას ჰყავს 7 წლის ქალიშვილი და ასაკოვანი მამა, რომელიც დაავადებულია ფსიქიკური აშლილობით და შაქრიანი დიაბეტით. ოჯახს აქვს უკიდურესად მძიმე მატერიალური პირობები. ხათუნა ჯაჯანიძე უმუშევარია, მას არ აქვს საცხოვრებელი სახლი, პრაქტიკულად ოჯახი დარჩენილია ღია ცის ქვეშ. მატერიალური სიდუხჭირის გამო დედა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სკოლაში წაყვანას.

სახალხო დამცველმა მიმართა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობას, რათა მომხდარიყო საკითხის შესწავლა და ხათუნა ჯ.-სათვის დახმარების განევა, თუმცა დღემდე მისთვის დახმარების აღმოჩენა ვერ მოხერხდა.

კახაბერ ჯ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე კახაბერ ჯ.-მა. მისი საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმეა. ის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ერთოთახიან ბინაში, სადაც, მათ გარდა, ცხოვრობენ კახაბერ ჯ.-ის დედა და მისი ფსიქიურად დაავადებული ძმა ოჯახით. კახაბერ ჯ. და მისი მეუღლე უმუშევრები არიან.

მათი 10 წლის ვაჟი – თ. ჯ., მშობლების უსახსრობის გამო, მოკლებულია ელემენტარულ, მონაწილისათვის აუცილებელ სასწავლო პირობებს. მშობლები

დანართი 13. ბავშვის უფლებები

ვერ ყიდულებენ მისთვის საჭირო სახელმძღვანელოებს და ტანსაცმელს. ბავშვი უსახსრობის გამო ძალიან ხშირად აცდენს გაკვეთილებს და სასწავლო პროცესში შეინიშნება ჩამორჩენა. ეს კი მძიმედ აისახება ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

სახალხო დამცველმა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა ბავშვისათვის დანიშნული შესაბამისი დახმარება, ამ ეტაპზე საკითხის შესწავლა და სიტუაციის პირველადი შეფასება დაევალა „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის“ პროგრამის სოციალურ მუშაკს. ჯერ-ჯერობით უცნობია შეფასების შედეგები.

შორენა ჟ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე შორენა ჟ.-მა. განმცხადებელი მი-

39

2007

უთითებდა, რომ მას ჰყავს ერთადერთი მცირეწლოვანი შვილიშვილი. ბავშვი მოკლებულია მშობელთა მზრუნველობას, დედა გარდაეცვალა, ხოლო მამის ადგილსამყოფელი მათთვის უცნობია. შ.ჯიშკარიანი მეურვეობას უწევს შვილიშვილს, თუმცა მატერიალური პრობლემების გამო, მას არ შეუძლია ბავშვისათვის აუცილებელი ოპერაციისათვის საჭირო თანხის გადახდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტს. პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და კონფლიქტურ ზონაში მცხოვრები 0-15 წლამდე ასაკის მოსახლეობა. საქმე შესასწავლად გადაეცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზუგდიდის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს.

ნანა ლ.-ს საქმე

სახალხო დამცველს მომართა მოქალაქე ნანა ლ.-მ, მას ჰყავს 10 წლის ცერებრალური დამბლის უმძიმესი ფორმით დაავადებული შვილი. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში საერთოდ გაუქმდა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა. მედიკამენტებით დახმარებას კი მისი შვილისათვის და მსგავსი დაავადებით დაავადებულთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ნანა ლ. არ ირიცხება სიღარიბის დაძლევის პროგრამაში და განიცდის მატერიალურ სიდუხჭირეს, მან ვერ შეიძინა შვილისთვის აუცილებელი მედიკამენტები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახალხო დამცველმა მიმართა კერძო ფარმაცევტულ კომპანია „პსპ რიხტერს“, რომელმაც მოახერხა დახმარების აღმოჩენა 10 წლის ბავშვისთვის.

ნანა ბაბლომაშვილის საქმე

2007 წლის 15 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების წევრმა ნანა ბაბლომაშვილმა. მისი განმარტებით, 2007 წლის 14 ივნისს თანამორწმუნე ეთერი გულიაშვილთან ერთად იმყოფებოდა მე-3 მასივის ზემო პლატოს 51^ა კორპუსის მე-3 სადარბაზოში, სადაც ქადაგებდა თავის რწმენას. №48 ბინის მფლობელმა, დაახლოებით 35 წლის მამაკაცმა, აღნიშნულ ქალბატონებთან გასაუბრების შემდეგ შეიტყო მათი რელიგიური მრწამსის შესახებ, მიაყენა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და აუკრძალა რელიგიური მსახურების განხორციელება.

2007 წლის 22 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან ისანი-სამგორის შს რაიონულ სამმართველოში №1967/05-2/0983-07 წერილით გადაიგზავნა ნანა ბაბლომაშვილის განცხადება. წერილში მივუთითეთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნდა ფაქტის შესწავლა მომხდარიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით, როგორც რელიგიური კუთვნილების ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა.

2007 წლის 4 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის №გ02072007/115 წერილით პასუხად გვეცნობა, რომ 2007 წლის 28 ივნისს ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №304073312 საქმეზე,

დანართი 14. რელიგიის თავისუფლება

იეჰოვას მოწმეების – ნანა ბაბლომაშვილისა და ეთერ გულიაშვილის მიმართ რელიგიური ნიშნით განხორციელებული ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით).

კახაბერ მიქაძის საქმე

2007 წლის 6 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების წევრმა კახაბერ მიქაძემ. მისი განმარტებით, 2007 წლის 2 ივნისს რელიგიური საქმიანობის განხორციელების მიზნით იმყოფებოდა აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. დაახლოებით 13 საათზე საკუთარი ავტომანქანით გაემართა ქალაქ აბაშის გარეუბანში. ცენტრთან მიახლოების დროს შენიშნა მოპირდაპირე მხარეს მოძრავი ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით KVZ 921, რომელსაც მართავდა

40

2007

ვინმე ხვიჩა ჯახია. აღნიშნულ ავტომანქანაში მსხდომი პირები არ აძლევდნენ გზის გაგრძელების საშუალებას. ავტომანქანიდან გადმოვიდა ვინმე რაინდი ჩაგანავა და დაინტერესდა კ.მიქაძის ვინაობით. როდესაც შეიტყო, რომ იგი იყო რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების წევრი, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაუზიანა ავტომანქანა.

2007 წლის 18 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან №1848/05-2/0930-07 გაიგზავნა წერილი საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და აბაშის შს რაიონულ განყოფილებაში, სადაც აღნიშნულია კ.მიქაძის მიერ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები და მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა შეესწავლათ ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დადგენის, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე (სხვისი ნივთის დაზიანება) და 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის) მუხლებით.

2007 წლის 16 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის (№გ13072007/134) წერილით პასუხად გვეცნობა, რომ 2007 წლის 1 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს აბაშის რაიონულ განყოფილებაში კ. მიქაძის განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №048070056 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით.

კახაბერ გელაშვილის და გიორგი ყურუას საქმე

2007 წლის 4 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შევიდა რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების წევრების კახაბერ გელაშვილისა და გიორგი ყურუას განცხადება. მათი განმარტებით, 2005 წლის 3 ნოემბერს პაატა ბლუაშვილმა და მისმა მომხრეებმა განმცხადებლები ზენოლითა და მუქარით გამოაძევეს მათ მიერ ნაქირავები ფართიდან, რის გამოც უკანონო შეეშალათ ხელი რელიგიური წესის აღსრულებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვდნენ შესაბამის დახმარებას.

2005 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურას შესაბამისი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა კ. გელაშვილისა და გ. ყურუას განცხადება და შესაბამისი მასალები.

2006 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურას განმეორებით მივმართეთ წერილობით და გამოვითხოვეთ ინფორმაცია მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2007 წლის 17 ნოემბერს პასუხად გვეცნობა, რომ 2005 წლის 17 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს საგამოძიებო დანაყოფში დაიწყო წინასწარი გამოძიება განცხადებაში მოყვანილ ფაქტზე (სისხლის სამართლის №012050771 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა).

2005 წლის 4 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, ბრალდებულ პ.ბლუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და მოთავსდა №5-ე საპრობილეში. დაცვის მხარის საჩივრის საფუძველზე, ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის 2005 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით პ.ბლუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა შეიცვალა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემით. 2005 წლის 30 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. იმ საფუძველით, რომ განსასჯელმა პ.ბლუაშვილმა თავი აარიდა სასამართლო პროცესზე გამოცხადებას, 2006 წლის 9 აპრილს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზ.ესებუამ გამოიტანა დადგენილება მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. ამჟამად პაატა ბლუაშვილს შეფარდებული აქვს პატიმრობა და მასზე გამოცხადებულია ძებნა.

გიორგი სარალიძის საქმე

2007 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (№2026-07) მიმართა მოქალაქე გიორგი სარალიძემ. განმცხადებელი განმარტავს, რომ მან იური მაჩიტაძესთან, გოდერძი ცერცვაძესთან და ავთო ვადაჭკორიასთან ერთად შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში, აღმაშენებლის ქ. №63-ში. აღნიშნულ ტერიტორიაზე გიორგი სარალიძე და მისი თანამორწმუნეები აშენებენ იეპოვას მონმეთა რელიგიური რიტუალების ჩატარებისათვის საჭირო ნაგებობას. განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 12 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 01:00 საათზე შენობის მიმართულებით დაუდგენელმა პირებმა ისროლეს სანვავით სავსე ბოთლი. აღნიშნული სავანი დავარდა სხვენზე და გამოიწვია ხანძარი, რომელიც ლოკალიზებული იქნა შენობაში მყოფი დარაჯების მიერ. გიორგი სარალიძის განმარტებით, აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

2007 წლის 21 დეკემბერს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზესტაფონის შს რაიონული განყოფილების უფროსს, ბატონ მალხაზ მაჩიტაძეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია აღნიშნული საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

კახაბერ გალაშვილის საქმე

2007 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (№0505-06/1) მიმართა მოქალაქე კახაბერ გალაშვილმა. იგი იეპოვას მონმეთა რელიგიური თემის ხუცესია. განმცხადებლის განმარტებით, 2007 წლის 9 დეკემბერს ქ. რუსთავში, მელიქიშვილის ქ. №119-ში მდებარე იეპოვას მონმეთა „სამეფო დარბაზში“ ატარებდა რელიგიურ შეხვედრას. საღამოს, დაახლოებით 6-7 საათზე შენობის მიმართულებით დაუდგენელმა პირებმა ისროლეს ქვები. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შენობის მიმართულებით ქვების სროლის ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი, რის შედეგადაც დაზიანებულია იეპოვას მონმეთა „სამეფო დარბაზის“ ფასადი.

განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება, რომელსაც აწარმოებს რუსთავის შს განყოფილების გამომძიებელი როლანდ ეჯიბაშვილი.

2007 წლის 21 დეკემბერს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის შს განყოფილების უფროსს, ბატონ გელა გიგინეიშვილს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და 23-ე მუხლების თანახმად, გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია აღნიშნული საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

ალექსანდრე ბარნაბიშვილის საქმე

2007 წლის 13 ივლისს სახალხო დამცველს №1199-07 განცხადებით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია იეპოვას მონმის წევრმა ალექსანდრე ბარნაბიშვილმა. მან აღნიშნა, რომ თანამორწმუნესთან, გიორგი კაპანაძესთან ერთად შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ჩუბინაშვილის ქუჩა №26ა-ში. აღნიშნული ნაგებობა გამოიყენება რელიგიური ხასიათის შეკრებებისათვის.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოხსენებული რელიგიური დანიშნულების ნაგებობა არაერთხელ გამხდარა მეზობლად მცხოვრები არასრულწლოვანების თავდასხმის ობიექტი. არასრულწლოვანთა



აგრესიული ქმედებები, რომლებიც მოტივირებულია რელიგიური შეუწყნარებლობით, გამოიხატება შენობაზე წარწერის – „ძირს იეჰოვა“ – გაკეთებაში, ზარის ჩამტვრევასა და ქვების სროლაში.

2007 წლის 16 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან გაიგზავნა №2648/05-2/1199-07 მიმართვა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში. აღნიშნული წერილით შემდგომი რეაგირებისათვის გადავგზავნეთ ალექსანდრე ბარნაბიშვილის განცხადება და მოვითხოვეთ უბნის ინსპექტორის მეშვეობით არასრულწლოვანებთან აღმზრდელითი საქმიანობის წარმოება.

2007 წლის 13 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ჩუბინიშვილის ქ.26ა-ს მეზობლად მცხოვრები არასრულწლოვანების მიმართ გატარებული იქნა შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები. 15 ოქტომბერს ალექსანდრე ბარნაბიშვილს გაეგზავნა ძველი თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსის წერილის ასლი და ეცნობა, რომ ჩვენს მიერ საქმისწარმოება დასრულებულია.

ანა ჯიქურაშვილის საქმე

2007 წლის 14 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმის წევრმა ანა ჯიქურაშვილმა. მისი განმარტებით, 2007 წლის 13 ივლისს მორეტის ქ. №24-ში რელიგიური შეკრების დასრულების შემდეგ, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე მას თავს დაესხა შვიდი უცნობი პიროვნება, დაუშინეს ქვები, ნასროლი ქვა მოხვდა თავში და მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. „03“-ის ეკიპაჟმა იგი გადაიყვანა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო გამოძახებული პატრული შემთხვევის ადგილზე მივიდა ერთი საათის დაგვიანებით.

2007 წლის 27 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში გაიგზავნა №2004/05-2.0979-07 წერილი, სადაც მივუთითეთ ანა ჯიქურაშვილის განცხადებაში აღნიშნული გარემოებები და მოვითხოვეთ შემდგომი რეაგირება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

2007 წლის 18 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის №გ6072007/108 წერილით გვეცნობა, რომ 2007 წლის 13 ივნისს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №01073167 საქმეზე, ანა ჯიქურაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული, გათავლისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. 12 ივნისს მოხდა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა და გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათავლისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ოთარ მიქავას საქმე

2007 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ადვოკატმა მანუჩარ ციმინტიამ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის, ოთარ მიქავას სახელით, რომელიც არის რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმის წევრი. მისი განმარტებით, 2007 წლის 27 მარტს, დღის საათებში გლდანის მე-7 და მე-8 მიკრორაიონების დამაკავშირებელ ხიდთან ოთარ მიქავას რელიგიური სიძულვილის მოტივით თავს დაესხა 15 პიროვნება. დაზარალებულს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. საპატრულო პოლიციამ ვერ შეძლო თავდამსხმელების შემთხვევის ადგილზე დაკავება. მანუჩარ ციმინტიას განმარტებით, ო.მიქავას მიერ დადგენილი იქნა ორი სავარაუდო თავდამსხმელის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რაც ეცნობა გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელს გ.კოლოტაურს, რომელიც აღნიშნულ ფაქტზე აწარმოებდა წინასწარ გამოძიებას. დაზარალებულის მიერ ამოცნობილი ორი თავდამსხმელი იმავე დღეს გაათავისუფლეს.

2007 წლის 13 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან №1805/05-2/0931-07 წერილით მანუჩარ ციმინტიას განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

2007 წლის 06 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის გ05-072007/118 წერილით პასუხად გვეცნობა, რომ 2007 წლის 27 მარტს გლდან-ნაძალადევის რაიონის შს საქმეთა სამმართველოს მეორე განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №01071657 საქმეზე, ოთარ მიქავას მიმართ განხორციელებული ხულიგნობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2007 წლის 26 ივნისს ექვმიტანილად იქნა ცნობილი ლ.გოგიაშვილი, რომლის ქმედება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ზაზა ბერიშვილის საქმე

2007 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს №0868-07 განცხადებით მიმართეს რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების წევრებმა ზაზა ბერიშვილმა და შაქრო ძაძამიამ. მათი განმარტებით, 2007 წლის 25 მაისს დილის 10 საათზე იმყოფებოდნენ ქალაქ ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის დასაწყისში, სადაც ქადაგებდნენ საკუთარ რწმენას. ამ დროს შეხვდნენ უცნობ, შუახნის მამაკაცს, რომელმაც, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ თანამოსაუბრეები იყვნენ იეჰოვას მოწმეები, მიაყენა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა.

2007 წლის 5 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან №0868-07 განცხადება გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისთვის. 2007 წლის 18 ივლისს გენერალური პროკურატურის (№გ/6072007/109) წერილით პასუხად გვეცნობა, რომ 2007 წლის 27 მაისს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №44070505 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2007 წლის 16 ივლისს სისხლის სამართლის საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სოფელ მოხეში მუსლიმი მოსახლეობისთვის მეჩეთის აღდგენაში ხელის შეშლა

2007 წლის 10 ოქტომბერს სახალხო დამცველს №1653-07 კოლექტიური განცხადებით მიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი მოხეს ოცდაორმა მაცხოვრებელმა. განმცხადებლების განმარტებით, ისინი არიან მუსლიმანური აღმსარებლობის მიმდევრები. სოფელში მდებარეობს შენობა, რომელიც აგებულია XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა მიერ და წარმოადგენდა მეჩეთს. განმცხადებლების განმარტებით, საბჭოთა რეჟიმის დროს ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი გადასახლების შემდეგ ყოფილი მეჩეთის შენობა ჯერ გამოყენებული იყო სანყოფანად, შემდგომ მასში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და კლუბი. დღეისათვის აღნიშნული შენობა ამორტიზებულია და არ აქვს სახურავი. მასთან მიახლოება, უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი.

განმცხადებლის განმარტებით, სოფლის მუსლიმ მოსახლეობას განზრახული ჰქონდა შენობისათვის ღობის შემოვლება. აღნიშნული სამუშაოები სავარაუდოდ არ იყო შეთანხმებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან. ამავე დროს, დაგეგმილმა სამუშაოებმა სოფლის ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგობა გამოიწვია. სოფლის მოსახლეობა ითხოვს ყოფილი მეჩეთის შენობის სათანადო მდგომარეობაში მოყვანას, მისი განადგურების თავიდან აცილების მიზნით. ამისათვის მათ აუცილებლად მიაჩნიათ შენობის რემონტი და შემოღობვა. მოსახლეობა მზადყოფნას გამოთქვამს აღნიშნული ღონისძიებები განახორციელოს საკუთარი ხარჯებით.



მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ხსენებული შენობა წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. შესაბამისად, ნებისმიერი სამუშაოს განხორციელება, პირველ რიგში, წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებლობის საკითხს. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თვითმმართველი ერთეულის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ ან რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესების დაცვა.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფელ მოხეს მუსლიმი მოსახლეობის მოთხოვნა სრულებით სამართლიანი და კანონიერია და შესაბამისად, ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ ადაკვატური რეაგირება უნდა მოახდინოს მასზე.

სოფელ ფლატეში მეჩეთის თვითნებურად დაზიანება

რელიგიური ორგანიზაცია „მუსლიმთა სასულიერო სამუფთო სამმართველოს“ მუფთმა ბეჟან ბოლქვაძემ მომმართა განცხადებით. მისი განმარტებით, სოფელ ზარზმის ეკლესიის მღვდელმა ნიკოლოზ გენაძემ სოფელ ფლატეში ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა მიერ აგებულ მეჩეთს მოხსნა სახურავი და ზედა ორი რიგის მოჩუქურთმებული ქვები. ისინი მღვდელმა ნიკოლოზ გენაძემ წაიღო ზარზმაში ეკლესიის ასაშენებლად.

2007 წლის 1 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლატეში, სადაც გაესაუბრა აღნიშნული სოფლის მცხოვრებლებს. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ნაწილი – აჭარიდან გადმოსახლებული მუსლიმი. მათი განმარტებით, სოფლის ცენტრში განთავსებული შენობა, რომელსაც სახურავი აქვს ახილი და ფასადზე დატანებული ქვები არის ჩამოშლილი (ჩამონგრეული), აგებულია ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა მიერ. შენობის შესასვლელ კედელთან გამოსახულია მუსლიმური სიმბოლიკა, ხოლო შენობის უკანა ფასადზე გვხვდება არაბული წარწერები, რომლებშიც უფრო გვიან პერიოდში არის ცემენტი ჩასხმული. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან ფლატეს მაცხოვრებლების იძულებითი გადასახლების შემდეგ, აღნიშნული შენობა გამოიყენებოდა ჯერ სოფლის კლუბად, შემდეგ სანყოფანად. ბოლო პერიოდში, გაპარტახების შედეგად, შენობა ასრულებს შინაურ ცხოველთა სადგომის ფუნქციას. ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ქვების ჩამოშლა გამოიწვია ბუნებრივმა პირობებმა და შენობის სიძველემ. ისინი იქვე აღნიშნავენ, რომ შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის სოფლის მაცხოვრებელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამისათვის ითხოვენ შენობის დემონტაჟს და მასში დატანებული სამშენებლო მასალით მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მეჩეთი სწორედ ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებით არის აშენებული.

სოფლის მუსლიმი მოსახლეობის განმარტებით, 2007 წლის აგვისტოს ბოლოს სოფელ ზარზმის მღვდლის, ნიკოლოზ გენაძის, ინიციატივით ზარზმის ეკლესიის მრევლმა სოფელ ფლატეში მდებარე მეჩეთს მოხსნა სახურავი, ჭერი და რამდენიმე მოჩუქურთმებული ქვა. მათი თქმით, აღნიშნული მასალა ჩაიტანეს სოფელ ზარზმაში ეკლესიისა და მაცხოვრებელი შენობის ასაგებად, რის გამოც მუსლიმები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

2007 წლის 1 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ასევე სოფელ ზარზმის მონასტერში, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია მოჩუქურთმებული ქვები. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა ზარზმის მონასტრის მორჩილს, ვალერი ქუთათელაძეს. ვალერი ქუთათელაძის განმარტებით, მონასტრის წინ განთავსებული ქვები

ეკლესიამ შესანიშნავი სახით მიიღო სოფელ ფლატეს მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობისგან. მისივე თქმით, აღნიშნული ქვეები ჩამოიშალა სოფელ ფლატეს ყოფილი საწყობის შენობიდან. მორჩილი ვალერის აზრით, ტაძრის წინამძღვარი, სავარაუდოდ, აპირებს მეჩეთის ქვების სამშენებლო მასალის სახით გამოყენებას ზარზმის სამონასტრო კომპლექსში ორი მცირე ეკლესიის ასაგებად და საცხოვრებელი სახლის გარე ფასადის მოსაწყობად. დარჩენილი მასალით ნავარაუდევია სოფელ ფლატეში მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენა. მორჩილი ვალერი ვარაუდობს, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება მას შემდგომ, რაც ტაძრის წინამძღვარი მიიღებს სათანადო ნებართვას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროდან.

სახალხო დამცველის რწმუნებული ასევე ესაუბრა ზარზმის ეკლესიის მრევლის წევრს, სოფელ ფლატეს მკვიდრს, მათე რეხვიაშვილს. ამ უკანასკნელის განმარტებით, ზარზმის მონასტრის წინ განთავსებული ქვეები მან და სოფელ ფლატეს სამმა მკვიდრმა სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე წამოიღეს მათი სოფელის ყოფილი კლუბის (საწყობის) შენობიდან. მისი მტკიცებით, ქვეები ჩამოიშალა ბუნებრივი მოვლენების შედეგად და შენობის ფასადის დემონტაჟს ადგილი არ ჰქონია.

გამგებლის თქმით, ყოფილი საწყობის შენობა ირიცხება ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე. შესაბამისად, შენობა არ ყოფილა განკარგული ადიგენის თვითმართველობის კომპეტენტური ორგანოების მიერ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა. 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (გამგებობის) უფლებამოსილებას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ან სხვაგვარად განკარგვა; იმავე კანონის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობისა და განკარგვის, მისით სარგებლობის დროს ვალდებული არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები“.

ვინაიდან სოფელ ფლატეს ყოფილი საწყობის სამშენებლო მასალის ზარზმის მონასტრისათვის გადაცემის თაობაზე გადანაცვლებები არ ყოფილა მიღებული ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებობის მიერ, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგენილი ოქმები მიუთითებს ადიგენის თვითმმართველი ერთეულის კუთვნილი ქონების აშკარა დაუფლებაზე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე (ძარცვა) მუხლით.

გარდაბნის №3 საბავშვო ბაღში რელიგიის სწავლება

2007 წლის 6 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა კავშირის „საქართველო ჩემი სამშობლო“ თავმჯდომარე ალი ბაბაევმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის ხელმძღვანელის, მ.უგულავასა და მისი მომხრეების ქმედებები იწვევს ამ რაიონში მცხოვრები როგორც ქართველების, ასევე აზერბაიჯანელი მოსახლეობის უკმაყოფილებას. განცხადება ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის №3 საბავშვო ბაღში რელიგიის სწავლებას, რაც ეწინააღმდეგება აღსაზრდელთა უმრავლესობის რწმენის თავისუფლებას.

2007 წლის 9 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან გაიგზავნა №3426/05-2/1313-07 წერილობითი მიმართვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის №3 საბავშვო ბაღის ადმინისტრაციაში, რომლითაც მოვითხოვეთ ინფორმაცია, ისწავლება თუ არა №3 ბაღში რელიგია.

2007 წლის 22 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების №76 პასუხით გვეცნობა, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების არცერთ ბაგა-ბაღში, მათ შორის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში, რელიგია არ ისწავლება.



www.ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. 11

ტელ.: 92 24 70, 92 24 77 ფაქსი: 92 24 70

ცხელი ხაზი: 99 58 98

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge